ხოსე ორტეგა ი გასეტის ოთხი წიგნის ელექტრონული ვერსია:

ხოსე ორტეგა ი გასეტი - ადამიანი და ხალხი
ხოსე ორტეგა ი გასეტი - ორი დიდი მეტაფორა
ხოსე ორტეგა ი გასეტი - ხელოვნების დეჰუმანიზაცია
ხოსე ორტეგა ი გასეტი - მასების ამბოხი

ხოსე ორტეგა-ი-გასეტი

ადამიანი და ხალხი

2013-4992

ხოსე ორტეგა-ი-გასეტი

ადამიანი და ხალხი

Vg ჭ003 2

MEDIATHEKA
MTHK-1/110064

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი – 2012 წელი

სემიოტიკის კვლევითი ცენტრი
თარგმანები

სარედაქციო
ჯგუფი: **ცირა ბარბაქაძე** (მთ.რედაქტორი),
თამარ ბერეკაშვილი,
გია ჯოხაძე, თამარ ლომიძე

მთარგმნელი **გია ჯოხაძე**

მცდელობის მიუხედავად ვერ მოვიპოვეთ საავტორო უფლებები წინამდებარე თარგმანზე. მზად ვართ, განვიხილოთ და გადავწყვიტოთ ნებისმიერი შესაძლო დავა ამ საკითხთან დაკავშირებით.

გარეკანზე გამოყენებულია ცირა ბარბაქაძის ფოტო.

© 2012, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ISBN 978-9941-18-120-7

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

სარჩევი

დეჰუმანიზაციის წინასწარმეტყველი 4

ენა. შესავალი ახალ ლინგვისტიკაში 11

ადამიანთა გამოთქმანი. „საზოგადოებრივი აზრი“. სოციალური მოთხოვნილებანი. სამოქალაქო ძალაუფლება 63

დეჰუმანიზაციის წინასწარმეტყველი

ის, ვინც ნიცშეს დარად, პერსპექტივიზმის ადეპტობას განიზრახავს, მცირე ხნით მაინც დაგვაჯერებს, რომ *მისი* ხედვა უნიკალურია, *მისი* მზერა – შეუმცდარი და *მისი* სიტყვა – ზუსტი.

და ეს „მცირე ხანი“ საუკუნეზე მეტი აღმოჩნდება.

და მაინც, რას გულისხმობს პერსპექტივიზმი?

ეს გახლავთ იდეა, რომ შემეცნების შედეგი არსებითად შემმეცნებლის პირად პოზიციას ემყარება. ლეიბნიცის ანალოგიით, სხვადასხვა მხრიდან დანახული ერთი და იგივე ქალაქი პერსპექტიულად სრულიად განსხვავებულად წარმოგვიდგება. ამგვარადვე, ვინაიდან უსასრულო ოდენობის მარტივი სუბსტანცია არსებობს, სამყაროს საკუთარი პერსპექტივიდან რომ ჭვრეტენ, არსებობენ სხვადასხვა სამყაროებიც. თუმც ისინი სხვა არაფერია, თუ არა პერსპექტიულად სხვადასხვა შეხედულებანი ერთადერთ, უფრო ხისტად – ერთ და მხოლოდ ერთ სამყაროზე.

რადგან სიტყვა სამყაროზე ჩამოვაგდეთ, მინდა წარმოისახოთ მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ესპანეთი, რომელიც მონარქიას, რესპუბლიკანიზმსა და დიქტატურას შორის მერყეობდა. ეს იყო დრო ომებისა და რევოლუციებისა, მასობრივი მოძრაობებისა და ტოტალიტარული რეჟიმებისა. ესპანეთის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უპყრია 1898 წელს – ესპანეთი აშშ-სთან ომში დამარცხდა და ზღვისპირა კოლონიებს გამოემშვი-

დობა. ოდესღაც ძლევამოსილი ქვეყანა ევროპის რიგით პროვინციად იქცა. 1898 წლის თაობამ, რომელსაც უნამუნოს თქმისამებრ, „ესპანეთი სტკიოდა“, სახელმწიფოს აღორძინება განიზრახა. ორი – ერთი მხრივ, ტრადიციული, კონსერვატიული, რელიგიური, და მეორე მხრივ, განვითარებული, ევროპული ღირებულებების დამცველი, ლიბერალური – ესპანეთის ბრძოლამ სისხლისღვრასთან ერთად გონებათა ჭიდილიც მოიტანა.

თუ ამ კონვულსიების მოშთობა საერთოდ შესაძლებელი გახლდათ, მაშინ ეს, უწინარესად, ხოსე ორტეგა-ი-გასეტის ფიგურასა და აზროვნებას თუ ხელეწიფებოდა.

* * *

ხოსე ორტეგა-ი-გასეტი 1883 წლის 9 მაისს დაიბადა, მადრიდში, გაზეთის რედაქტორის ოჯახში, თუმც თვით გაზეთი დედის, დოლორეს გასეტის ოჯახს ეკუთვნოდა. ყმაწვილი გასული საუკუნის ლიბერალური იდეების ატმოსფეროში იზრდებოდა. პრინციპში, ამასაც იმიტომ ვამბობთ, რომ სწორედ ჟურნალისტობამ და ლიბერალიზმმა იმოქმედა გასეტის პოლიტიკით დაინტერესებაზე.

ორტეგა იეზუიტი ბერების სკოლაში სწავლობდა, მალაგაში, რომლის დასრულების შემდეგაც ჯერ ბილბაოს უნივერსიტეტში, შემდეგ კი მადრიდის ცენტრალურ უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა ფილოსოფიისა და ლიტერატურის განხრით. მადრიდშივე მიანიჭეს ფოლოსოფიის დოქტორის ხარისხი. 1905-დან 1907 წლამდე ორტეგა გერმანიის (ლაიფციგი, ნიურნბერგი, კელნი, ბერლინი, და რალა თქმა უნდა, მარბურგი) უნივერსიტეტებში სრულყოფს განათლებას. მარბურგში მასზე დიდი ზეგავლენა

მოახდინა ჰერმან კოენისა და პაულ ნატორპის ფილოსოფიურმა მრწამსმა: ორივე ნეოკანტიანელი გახლდათ.

ესპანეთში დაბრუნების შემდეგ გასეტის საპროფესორო კარიერა იწყება. 1917 წლიდან გაზეთში იწყებს თანამშრომლობას, სადაც აქვეყნებს თავის პირველ სერიოზულ ესსეებს: „უხერხემლო ესპანეთი“ და „მასების ამბოხი“. ამ უკანასკნელმა გასეტს საერთაშორისო აღიარება მიჰგვარა.

1923 წელს გასეტმა ჰუმანიტარული ჟურნალი დაარსა (Revista de Occidente), რომელშიც იბეჭდებოდა ფილოსოფიური აზროვნების მწვერვალთა (შპენგლერი, ჰეიზინგა, ჰუსერლი, ზიმელი, რასელი და სხვ.) ტექსტების თარგმანები და კომენტარები.

ესპანეთის მეორე რესპუბლიკის პერიოდში გასეტი დამფუძნებელი კრების წევრად აირჩიეს, ფრაქციასაც კი ხელმძღვანელობდა, მაგრამ პოლიტიკით მალევე განიხიბლა. სამოქალაქო იმის დროს ესპანეთიდან წავიდა და ევროპაში დაბრუნებამდე ანუ 1942 წლამდე არგენტინაში ცხოვრობდა. 1948 წელს გასეტი ესპანეთს უბრუნდება. მალე იგი ჰუმანიტარულ ინსტიტუტს აარსებს, სადაც ასწავლის იმას, როგორც ესმის და იმას, რაც თვითონ სურს: აქ წაკითხულ ლექციათა კურსი საფუძვლად დაედება მის წიგნს „რა არის ფილოსოფია“.

გასეტის მთელი ფილოსოფიური შესაძლებლობანი და უნარი, შეიძლება ითქვას, რეალობის ახსნას მიეძღვნა. ამ მიზნის მისაღწევად ფილოსოფოსმა უკან უნდა მოიტოვოს ცრურწმენანი, ადრინდელი შეხედულებანი და სამყაროს არსობრივი სინამდვილე იკვლიოს. გასეტის აზრით, ფილოსოფიამ უნდა გადალახოს როგორც იდეალიზმის (სი-

ნამდვილეს ეგო განაპირობებს), ისე ანტიკურ-შუა საუკუნეობრივი რეალობის (სინამდვილე სუბიექტის მიღმაა) საზღვრები, რათა უმზიროს მხოლოდ ჭეშმარიტ სინამდვილეს (ანუ „ჩემს ცხოვრებას“ – თითოეული ინდივიდის ცხოვრებას). მე არ ვარსებობ საგნების გარეშე და საგნები არაფერია უჩემოდ: „მე“ (ადამიანი) ვერ დასცილდება „ჩემს გარემოცვას“ („*მე* ვარ მე და ჩემი გარემოცვა“ – აი, გასეტის ფილოსოფიის მთავარი ფორმულა).

გასეტისათვის სინამდვილის ასახსნელად დეკარტეს „ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ“ საკმარისი არ აღმოჩნდა. ესპანელმა ფილოსოფოსმა შექმნა სისტემა, რომელშიც „რადიკალური რეალობა“ არის „ჩემი ცხოვრება“ (პირველი *მე*). იგი შედგება მე-საგან (მეორე *მე*) და „ჩემი გარემოცვისაგან“. ეს გარემო დამთრგუნავია. მაშასადამე, არსებობს მუდმივი დიალექტიკური ურთიერთობა, მუდმივი ინტერაქცია პიროვნებასა და გარემოს შორის, რომლის შედეგადაც ვიღებთ სიცოცხლეს, როგორც აუცილებლობასა და თავისუფლებას შორის მოქცეულ დრამას.

სიცოცხლე, ერთდროულად, ბედიცაა და თავისუფლებაც. ეს უკანასკნელი ბედის შიგნეულში ფუთფუთებს. ბედი გვაძლევს დეტერმინებულ შესაძლებლობათა ულმობელ რეპერტუარს, ანუ ის გვანიჭებს განსხვავებულ ბედისწერას. გვეძლევა ბედი და ამ მადლთან ერთად, საკუთარ ბედისწერასაც ვირჩევთ. ბედით მოსალტულებმა მაინც უნდა ვიაქტიუროთ, გადაწყვეტილებები მივიღოთ და შევქმნათ ე.წ. „სიცოცხლის პროექტი“. ეს სრულიად განსხვავდება მათი მოდუსისაგან, რომლებიც ხელშეკრულებებით, წესჩვეულებებითა და მოცემული სტრუქტურებით შემოფარგლულან, რომელთაც ურჩევნიათ უშფოთველად და მშვი-

დად იცხოვრონ, ვინაიდან აფრთხობთ პროექტის არჩევის ვალდებულება.

დავუბრუნდეთ დეკარტეს და მისადმი გასეტის დამოკიდებულებას: შეიძლება ითქვას, გასეტმა გაარღვია დებულების – „ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ“ – დახშული წრე და განაცხადა: „ვცოცხლობ, მაშასადამე, ვფიქრობ“. მან შემოიტანა ცნება „სიცოცხლის მიზეზი“, რათა მიეთითებინა ახალი ტიპის მიზეზზე: იგი მუდმივად იცავს სიცოცხლეს იმისაგან, რაც მას წალეკვით ემუქრება. გასეტის სააზროვნო რეპუტაციას ამყარებს თეორიაც, რომელსაც მან რაციოვიტალიზმი უწოდა: ცოდნა ემყარება სიცოცხლის რადიკალურ რეალობას, რომლის ერთ-ერთი არსებითი კომპონენტი არის მიზეზი თავისთავად. ამით გასეტი ნიცშეს ვიტალიზმს გაექცა, რომლის თანახმადაც, სიცოცხლე იმპულსებზე გაცემული პასუხია. გასეტისათვის *მიზეზი* გადამწყვეტია ზემოთ აღნიშნული სიცოცხლის პროექტის შესაქმნელადა და განსავითარებლად.

სასიცოცხლო მიზეზი „ისტორიული მიზეზიცაა“: ვერც ინდივიდი, ვერც საზოგადოება ვერ მოწყდება საკუთარ წარსულს. რეალობის გასაგებად მის ისტორიას უნდა ჩაწვდე. ადამიანს ბუნება კი არა, ისტორია აქვს. მიზეზი უნდა ფოკუსირდეს არა იმაზე, რაც არის, არამედ იმაზე, რაც ხდება.

სოციალური პრობლემების წვდომის თვალსაზრისითაც გასეტი ერთ-ერთი პიონერია. დასავლურ ფილოსოფიაში იგი პირველად შეეხო *მასობრივ საზოგადოებას*: ეს გახლდათ სულიერი ატმოსფერო, რომელიც დასავლეთში ბურჟუაზიული დემოკრატიის კრიზისმა, საზოგადოებ-

რივი ინსტიტუციების ბიუროკრატიზებამ, ფულის გაფეტიშებამ და პიროვნული კონტაქტების დევალვაციამ გამოიწვია. ჩამოყალიბდა საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემა, რომელშიც თითოეული ადამიანი თავს სტატისტად გრძნობს: იგი ასრულებს მასზე თავმოხვეულ როლს, იყოს უპიროვნო საწყისის – ბრბოს ნაწილი. საჭიროა შეიქმნას არისტოკრატული ელიტა: ადამიანები უნდა დაემორჩილონ ნებისმიერ არჩევანს, უნდა ხელმძღვანელობდნენ მხოლოდ სიცოცხლისმიერი სწრაფვით... მასობრივი საზოგადოების ერთგვარი ინტელექტუალური სტილი რაციონალიზმია. არადა, საჭიროა, დავუბრუნდეთ სამყაროში ორიენტირების მეცნიერებამდელ ფორმებს, ძველ, დაუნაწევრებელ *სიბრძნის სიყვარულს*...

ხოსე ორტეგა-ი-გასეტი 1955 წლის 18 ოქტომბერს გარდაიცვალა. მისი ნეშტი მადრიდის სან-ისიდროს სასაფლაოზე განისვენებს, რაც ნაკლებადაა იმის მიზეზი, მის მიერ მითითებულ ორ საფრთხეს თვალი მოვუხუჭოთ: არ ვიქცეთ „ადამიან-მასად“, ანუ არ ვიუაროთ საკუთარი ცხოვრების აგება, და „ცივილიზებულ ბარბაროსად“ – ვიწრო სპეციალისტად, რომელიც ვერ მაღლდება საკუთარ დრომდე და არ ძალუძს თავისი თაობისათვის თავის მიერვე დაკისრებული მისიის აღსრულება.

* * *

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ხოსე ორტეგა-ი-გასეტის რამდენიმე თხზულება: „ხელოვნების დეჰუმანიზაცია“, „მასების ამბოხი“, „ორი დიდი მეტაფორა“, „იდეები და რწმენები“ ქართულად თარგმნილია.

სალექციო კურსი „ადამიანი და ხალხი“ 12 ლექციისაგან შედგებოდა. მისი ტექსტი ესპანეთში მხოლოდ გასეტის გარდაცვალების შემდეგ, 1957 წელს დაიბეჭდა.

ზემოთ ჩამოთვლილ ქართულ თარგმანებს შეემატება კიდევ ერთი: ფრაგმენტი ლექციათა კურსიდან: „ადამიანი და ხალხი“.

ენა. შესავალი ახალ ლინგვისტიკაში

ძნელად მოსაძებნია იმაზე უფრო ადამიანური ურთიერთობა, რომელიც დედა-შვილს ან შეყვარებულებს აკავშირებს. უაღრესად უნიკალური არსება – დედა ხომ თავისი უნიკალური ქმნილების – შვილის გამო ცხოვრობს. შეყვარებულობის დროს კი სწორედ ამ კონკრეტულ მამაკაცს უყვარს სწორედ ეს კონკრეტული ქალი – შეუდარებელი, შეუცვლელი, ერთადერთი. მათი ქცევა, მათი ერთმანეთისადმი დამოკიდებულება პიროვნებათშორისი ურთიერთობის ძალზე ნათელი მაგალითია. ბარემ აქვე შევნიშნოთ: შეყვარებული წყვილი ყველაზე ხშირად და ყველაზე მეტად საუბრითაა დაკავებული. რა თქმა უნდა, სასიყვარულო ალერსსაც ეძლევა, თუმც, ესეც საუბრის გაგრძელებაა, ოღონდ – სხვა ფორმით. ამას დაზუსტება აღარ სჭირდება. სიყვარული, რომელსაც მზერა და ალერსი ასულდგმულებს, უფრო მეტად ცოცხლდება საუბრით, დაუსრულებელი დიალოგით. სიყვარული მგალობელი ფრინველივით სტვენს და ჭიკჭიკებს, სიყვარული მჭევრმეტყველია და, თუ რომელიმე შეყვარებული მაინც დუმს, ეს იმას ნიშნავს, რომ მას სხვაგვარად არ შეუძლია. ის ბუნებითაა გამორჩეულად მდუმარი.

ეს უაღრესად ინდივიდუალური ქმედება, რომელსაც ორივე მონაწილე მთელ თავის პიროვნულ სიღრმეს ახმარს, ორიგინალური შესაქმის ეს უწყვეტი აქტი – სიყვარული – შუამავლად მეტყველებას ირჩევს. ლაპარაკი გარკვეული ენის გამოყენებას ნიშნავს, თუმც, შეყვარებულებს არ შეუქმნიათ იგი. ენა, რომელზეც მიჯნურები საუბრობენ, მათთან ერთად არსებობდა, საზოგადოებაში ფეთქავდა.

ბავშვობაშივე ჩასახლდა მასში ადამიანთა სამეტყველო აღქმასთან ერთად. რამეთუ ენას – იმთავითვე და სამუდამოდ მარად მშობლიურს – ითვისებენ არა გრამატიკიდან ან ლექსიკონიდან, არამედ – მხოლოდ ადამიანური მეტყველებიდან. ყველა მიჯნურს სურს რაღაცის თქმა, ბევრის გამოთქმა, მაგრამ სინამდვილეში ეს სურვილი მხოლოდ ერთს ნიშნავს – გიამბოთ საკუთარ ცხოვრებაზე, თითოეულის განუმეორებლად ინდივიდუალურ ყოფაზე. როცა ერთ-ერთ პირველ ლექციაში აღვნიშნე, ადამიანთა ცხოვრება თავიდან ბოლომდე რადიკალური მეტყველებაა-მეთქი, დავამატე, რომ სიყვარული ორი მარტოობის გაცვლა-გამოცვლის, ორი იდუმალი შინაგანი სამყაროს შერწყმის ცდაა და თუ ის წარმატებით დასრულდა, ორი ნაკადი გაერთიანდება, ორი ცეცხლი ერთურთს შეედუღება. აი, რატომ ეუბნებიან შეყვარებულები ერთმანეთს: „ჩემო სიყვარულო!“ ან სხვა მათ დარ სიტყვებს.

მაგრამ ერთმანეთისგან უნდა გავარჩიოთ, რის თქმას ლამობენ ამ სიტყვების მეშვეობით და ის, რასაც ამბობენ. ის, რისი თქმაც შეყვარებულებს სურთ, ერთურთისადმი რომ განიცდიან, ის გრძნობაა – ჭეშმარიტი, აღმვსები, მათი პიროვნული სიღრმიდან მომდინარე, მათ მიერ განცდილი და გაცნაურებული. საპირისპიროდ ის, რასაც ამბობენ ანუ გამოთქმა, რომლითაც ერთურთს მიმართავენ, სიყვარულში უტყდებიან, გრძნობაში არწმუნებენ – „ჩემო სიყვარულო!“ – მათთან გარედან მოვიდა. მათ არ ესმით მისი არსი. აქ ზუსტად იგივე ვითარებაა, რაც – მისალმებისას. მშვენივრად მესმის, რომ მისალმებისას შემხვედრს ხელი უნდა გავუწოდო, მაგრამ სრულებით ვერ გამიგია, რატომ უნდა მოვიქცე სწორედ ასე და

არა სხვაგვარად. შეყვარებულებმა შეუმცდარად იციან, რომ გრძნობათა გაცვლისას მთავარია ამგვარ ან ანალოგიურ სიტყვათა დართვა. მაგრამ ისინი ვერ ხვდებიან, რად ჰქვია მათ გრძნობას „სიყვარული“, რად გამოიხატვის ბგერათა სწორედ ამგვარი თანმიმდევრობით და არა სხვაგვარად. მათ სურვილში, გრძნობაში, გამოუტყდნენ სატრფოს, და გამოთქმის აქტში ანუ გარკვეულ ბგერათწარმოებაში, კავშირის დანახვა შეუძლებელია. და თუ მიჯნურები ამ ბგერათშეთანხმებას ირჩევენ, მხოლოდ იმიტომ, რომ სმენიათ: შეყვარებულები ასე იქცევიან. და არა სხვა რომელიმე მიზეზის გამო, რაზეც მიგვითითებს სიტყვა „სიყვარული“.

ენა სოციალური ჩვევაა, ორი ადამიანის, ორი სამყაროს შუამავალი და თითოეული ინდივიდის მიერ მისი გამოყენება უაღრესად ინდივიდუალურია. და ამ ფაქტის შემაძრწუნებელ, თითქმის კომიკურ დადასტურებას იმაში ვხედავ, რომ ჩვეულებრივ, „რაციონალურსა“ და „ლოგიკურს“ ვეძახით ჩვენს უკიდურესად გონივრულ საქციელს. მაშინ, როცა თვით ეს სიტყვები – „რაციონალური“, „ლოგიკური“ – წარმოდგება სიტყვებისაგან ratio და logos, რომლებითაც თავდაპირველად ლათინურსა და ბერძნულში „მეტყველებას“ აღნიშნავდნენ. სხვაგვარად რომ ვთქვა, ამ სიტყვებით გამოვთქვამთ ირაციონალურ ქმედებას, თანაც იშვიათად – ერთ-ერთ გადამწყვეტ მომენტში, ყველაზე ხშირად კი – სხვა დანარჩენში.

ვიმეორებ: ჩვენ მეტ-ნაკლებად კარგად გვესმის იდეები, რომელთა გამოხატვას წარმოთქმული სიტყვებით ვცდილობთ, მაგრამ არ ვიცით, რას გამოხატავს ჩვენი მეტყველება, თავისთავად რას ნიშნავს ჩვენი გამოთქმა-

ნი ანუ სიტყვები. ყოველივე ზემოთქმული მისალმებასაც ეხება. თვით ხელის გაწვდის ფაქტი მხოლოდ მაშინ ცნობიერდება, როცა მისალმების შემდეგ ვიწყებთ თეორიულ მსჯელობას იმაზე, რაც მოხდა და შედეგად ჩვევის ეტიმოლოგიას აღმოვაჩენთ ხოლმე. იგივე ხდება სიტყვის შემთხვევაში. ხშირად მასში აზრს ვერ ვპოულობთ და გაუგებარი რჩება. ასე მოხდა „სიყვარულთან“ დაკავშირებით. ეს სიტყვა რომაელთაგან გვერგო, მაგრამ არა რომაული, არამედ – ეტრუსკულია. ეტრუსკთა გამოცდილებიდან იშვა (საკითხავია, როგორი გამოცდილებიდან?), თუ მათაც სხვა ხალხებისგან ისესხეს? სამწუხაროა, მაგრამ არ ვიცით სიყვარულს – აგრერიგად დიდი ადგილი რომ უჭირავს ჩვენს ცხოვრებაში – მაინცდამაინც ასე რატომ ვეძახით. მაგალითად, ვამბობთ: „შიშმა განმგმირა“. თავისთავად ამ გამოთქმას აზრი არა აქვს. გაუგებარია, გრძნობა, რომელიც ჩვენში იშვა და სივრცესთან გაუცხოებულია, როგორ აღმოჩნდა ჩვენს მილმა და შემდეგ „განგვგმირა“ კიდეც! თუმც ამ შემთხვევაში ყოველივეს ნათელს ჰფენს ეტიმოლოგია, რომლის თანახმადაც ბერძნულსა და სხვა ინდოევროპულ ენებშიც არსებობდა სწორედ ასეთი გამოთქმა. პირველყოფილ ინდოევროპელებს სჯეროდათ, რომ ვნებები, სნეულებათა დარად, კოსმიური, გარემომცველი, ადამიანთა მილმა არსებული ძალებია, რომლებიც დროდადრო ჩვენში იჭრებიან.

ჩვეულების მეორე ნიშანი ისაა, რაც გვაიძულებს მის დაცვას, მის მორჩილებას. მეტყველებაში როგორ ხდება ყოველივე ეს? ვინ გამიბრაზდება ან ვინ დამემუქრება, თუ მე არა სიტყვებს, არამედ ჩემს მიერ გამოგონილ ბგერებს გამოვიყენებ?

როცა მისალმებაზე საუბრისას ერთგვარ იძულებაზე მივუთითებდი, მხოლოდ სანქციის ის ტიპი გიჩვენეთ, რომელიც წარმოიქმნებოდა ჩვეულების უგულებელყოფისას. მაგრამ როგორც ქვემოთ დავინახავთ, ჩვეულების ყველა ტიპში იძულება მხოლოდ ამ ტიპისთვის ნიშანდობლივ ფორმას იღებს. განსხვავება მათ შორის უკიდურესად არსებითია. ეს ფორმები ყველაზე უკეთ არკვევენ ფუნქციას, რომელსაც ჩვეულების თითოეული ტიპი ასრულებს ამა თუ იმ საზოგადოებაში. მაქსიმალური იძულება ფიზიკური ხასიათისაა. სოციალური გარემოცვა მას მაშინ მიმართავს, როცა ადამიანები უარობენ ჩვეულებათა ძალზე ნიშანდობლივი ტიპის – „სამართლის“ დაცვას. თუ რატომ, ქვემოთ ვნახავთ. ამჯერად კი მხოლოდ შენიშვნით დავკმაყოფილდეთ: იმ იძულებასთან შედარებით, რომელიც მისალმების ჩვევის უგულებელყოფას მოსდევს, სამართალი გაცილებით მძლავრად, უხეშად და მკვეთრად მოგვეჩვენება. წარმოვიდგინოთ ასეთი ვითარება: ვიღაცამ საათი მოიპარა და დაიჭირეს in fraganti (დანაშაულის ადგილას); პოლიციელი მაშინვე აკავებს დამრღვევს და ძალის გამოყენებით იქ მიჰყავს, სადაც ჯერ არს. ამ შემთხვევაში რომელიღაც კერძო პირის ბოროტ ქმედებაზე საზოგადოების პასუხი ფიზიკური ხასიათისაა, მაქსიმალურად ინტენსიური და სწრაფი. ეს მაგალითი კიდევ ერთხელ გვათქმევინებს, რომ ჩვეულება შეიძლება დავყოთ ძლიერად და სუსტად. ჩვევათა ინტენსივობით მითითებული ორი ხარისხი განისაზღვრება საიძულებლად გამოყენებული ძალის ოდენობით. მისალმება და ყოველივე ისიც, რასაც „ზნეს“ ვეძახით, სუსტ ჩვეულებათა სახეობანია. სამართალი, პირიქით, ძლიერი ჩვეულებაა. და ვიმედოვნებ

გიჩვენოთ, მისი ყველაზე ხშირი ფორმა და prima facie (აქ: საწყისი სახე, თაურსახე) რატომაა სხვა ჩვეულებებთან შედარებით განსაკუთრებული; სწორედ უკანასკნელმა გარემოებამ შეუშალა ხელი იურისტებსა და სამართლის ფილოსოფოსებს სამართალში ის განეჭვრიტათ, რაც სინამდვილეშია: სამართალი მრავალთაგან ერთ-ერთი ჩვეულებაა. უკვე გითხარით: რამდენადაც ჩვენი გარემოცვა სოციალურია, თავს ავლენს, როგორც მუდმივი და საყოველთაო იძულება. აი, დადგა ხელსაყრელი მომენტი სიტყვის უთქმელად გამოვასწოროთ გავრცელებული მცდარი შეხედულება სოციალურ და კოლექტიურ იძულებაზე!

ჩვეულებრივ მიიჩნევენ, რომ კოლექტიური იძულება იგულისხმება სხვების მიერ ჩვენდამი გამოხატულ დადებით თუ უარყოფით ქმედებაში. ეს ასე არ არის. სინამდვილეში ეს იმ იძულების ერთ-ერთი ფორმაა, რომლის ორი სახეობა უკვე განვიხილეთ: სხვების აღშფოთება, როცა მათ არ ვესალმებით (რაც მეგობრული დამოკიდებულების, პატივისცემისა და ურთიერთობის სურვილის უბრალო უგულებელყოფაა) და მეორეც, პოლიციელის ენერგიული ჩარევა მაშინ, როცა ვიღაცამ, ვთქვათ, საათი მოიპარა ან ანდერძი გააყალბა. სავსებით ბუნებრივად მეჩვენება „ჩემს საქციელზე იძულებით ზემოქმედებად“ განვიხილო ნებისმიერი მძიმე შედეგი, რაც იმით იქნება გამოწვეული, რომ მე ისე არ მოვიქეცი, როგორც ეს ჩემს სოციალურ გარემოცვაშია მიღებული.

მაგალითად, ჭაბუკს სურს სიყვარულში გამოუტყდეს სატრფოს, მაგრამ უარობს რომელიმე ცნობილი ენის გამოყენებას. რა თქმა უნდა, ეს პოლიციის ჩარევის საბაბი არ არის, მაგრამ ერთი რამ კი უეჭველია: ამ შემთხვევა-

ში მისი მიჯნური ჭაბუკის ზრახვებს ვერ ამოიცნობს და ვერც ჭაბუკი ეტყვის საწადელს. ჩვეულება, რომელსაც ენა წარმოადგენს, მშვიდად, აუღელვებლად, ყოველგვარი გარეშე ძალის გამოუყენებლად ზემოქმედებს ადამიანებზე, აიძულებს მათ ამ ჩვეულების უბრალო და, ამავე დროს, პირწმინდად ავტომატურ და უცილო გამოყენებას. ამ ჩვეულებაზე უარის თქმისას ენა შეუძლებელს ხდის გაგებას და გაგებინებას, ძირშივე ადამბლავებს ნებისმიერ ნაყოფიერ და ნორმალურ თანაგანცდას. აქ ჩვენს წინაშეა იძულება, რომელიც არ შეიცავს ვისიმე პოზიტიურ თუ ნეგატიურ ქმედებას (ეს, ასე ვთქვათ, წინასწარგანზრახული უტყვობაა), რადგანაც ჩვენ „ქმედებად“ ვერ მოვიხსენიებთ „გაუგებრობას“ ან რაღაცას, რაც უინდივიდოდ ხორციელდება. ამგვარად, იძულება ყოველგვარ პირობებში ფორმალურად უნდა მივიჩნიოთ, როცა კი ჩვენ დაუსჯელად ძალგვიძს ქცევის იმ წესის არჩევა, რომელიც საყოველთაოდ მიღებულისგან განსხვავდება. დასჯა ან შურისძიება სხვადასხვა ზომას ან ხარისხს გულისხმობს. მაგალითად, იმის შეუსრულებლობა, რაც ჩვენს გარემოცვაშია მიღებული, გაცილებით ძნელია, ვიდრე – მისი შესრულება. აი, ერთი მარტივი და, ამდენად, ძალზე თვალსაჩინო მაგალითი: საკმარისია საუზმეზე იმისგან განსხვავებული რამ მოვითხოვოთ, რაც ჩვენს ყოველდღიურ მენიუშია, რომ უდიდეს წინააღმდეგობებს წავაწყდეთ. რამდენ ხათაბალას უკავშირდება ამ ტრივიალური მოთხოვნილების დაკმაყოფილება მოგზაურობისას ან ადგილის შეცვლისას! პირიქით, საზოგადოება გვათავისუფლებს საუზმის ჩვენ მიერვე მოგონების მოვალეობისაგან და გვთავაზობს წინდაწინ აპრობირებულ მენიუთაგან

ერთ-ერთს. ყოველივე ეს – დრამატიზების გარეშე – მხოლოდ წვრილმანია და მაინც, საზოგადოების არსებობის, უფრო სწორად, მისი სიმყარის გადამწყვეტ მიზეზად გვევლინება. ხომ ყველა ჩვენგანს მონდომებია, ერთხელ მაინც გაჰქცეოდა საზოგადოებას! თუმც საკმარისი იყო იმ ძალისხმევის წარმოდგენა, რაც მარტო ყოფნას დასჭირდებოდა – როცა სრულიად მარტო უნდა გაისარჯო – რომ გაქცევისადმი ვნება მაშინვე ჩაგვეკლა. ნათქვამია, ადამიანი ბუნებით საზოგადოებრივი არსებააო. ეს განსაზღვრება საკმაოდ ბუნდოვანია, მაგრამ დროის უქონლობის გამო მის კრიტიკას ვერ შევუდგები. საბოლოოდ, მზადაც კი ვარ დავეთანხმო მას, თუ ერთ რამეს დავამატებდი: ადამიანი ბუნებით მარტოხელაცაა და მასში გამუდმებით ხან თვლემს, ხან იღვიძებს საზოგადოებისგან გაქცევის სურვილი. პერიოდულად ეს სურვილი ისტორიული მასშტაბითაც გამოვლენილა. უკანასკნელ ხანს – ხან ერთ, ხან მეორე ქვეყანაში – მთელს მსოფლიოში იფეთქა გაქცევის ავადმყოფური სწრაფვის ეპიდემიამ, წყურვილმა, მიატოვო საზოგადოება, რომელშიც ცხოვრობ და შეძლებისდაგვარად – ყოველივე სხვაც. მაგალითად, ამ წლების განმავლობაში უამრავ ევროპელს უოცნებია უკაცრიელი კუნძულის ბინადრობაზე.

როცა ნაპოლეონი გერმანიაში შეიჭრა და მისი ჯარი ვეიმარს მიუახლოვდა, გოეთემ თქვა: „ნეტავ ყოველივე ამის მიღმა ვყოფილიყავი!“, მაგრამ ასეთი „მიღმა“ არ არსებობს. რომის იმპერიის პირველ საუკუნეებში ყოველგვარი კულტურული და სამოქალაქო ცხოვრებით განხიბლული ადამიანები უდაბნოში გარბოდნენ, რათა ჩაძირულიყვნენ სასოწარკვეთილ მარტოობაში. ქრისტი-

ანი ბერები როდი არიან მარტოობის გამომგონებელნი. ისინი მხოლოდ ბაძავდნენ მათ, ვინც სირიასა და ეგვიპტეში ჯერ კიდევ ორი ასწლეულის წინ გამხდარიყო მეუდაბნოე და განდეგილი, რათა ექადაგათ mone – მარტოობა. ამიტომაც დაარქვეს მათ monakhoi – მონაზვნები. ცხოვრების ასეთმა წესმა მათ უზარმაზარი პოპულარობა შესძინა და წარმოქმნა ერთგვარი ეპიდემია. უდაბნოები აივსო ათასობით განდეგილით, რომლებიც ამის გამო უკვე აღარ იყვნენ მარტოხელები და დაარსეს თემი – kinovia, მონასტერი (სიტყვიდან koinos – საერთო). მათ კი, ვინც უფრო რადიკალურ განმარტოებას ესწრაფოდა, გადაწყვიტეს, ვერტიკალის მეშვეობით ჩამოსცილებოდნენ ახლობლებს – აშენებდნენ მაღალ სვეტს, რომლის მწვერვალზეც ცხოვრობდნენ. მათ მესვეტეები უწოდეს. თუმც არც ამან უშველათ. იმპერატორი თავის კარისკაცებს რჩევისთვის აგზავნიდა წმინდა სიმონთან. ისინი ქვევიდან ასძახოდნენ და თავიანთ თხოვნას აცნობდნენ მას.

ენა, რომელიც უფრო რთული წარმონაქმნია, ვიდრე – მისალმება, სხვებზე მკაფიოდ და ზუსტად აგნებს სოციალური რელობის ნიშან-თვისებებს. ამიტომაც მასში ყველაზე ნათლად ვლინდება სოციალური ყოფა. საზოგადოება არსებითად თანაცხოვრებაა, განსაზღვრული კოლექტიური ერთობის უწყვეტი და უდრეკი არსებობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს არის თანაარსებობის განსაკუთრებული ფორმა, რომელიც განსხვავდება სხვა კოლექტიური გაერთიანებებისა და ერთობებისაგან. როგორც კი ადამიანთა რომელიმე ჯგუფი გამოეყოფა კოლექტიურ ერთობას, რომელშიც სხვებთან ერთად ცხოვრობს, იმავე

წამს ავტომატურად ვისიმე ნებისგან დამოუკიდებლად იცვლება ენა, რომელზეც ესა თუ ის ჯგუფი ადრე ლაპარაკობდა და თანდათანობით ყალიბდება განსხვავებული, ახალი ენა. თუკი რომელიმე ტრაგიკული მიზეზის გამო დარბაზში მსხდომნი სხვა ესპანელებს მოვწყდებოდით და რამდენიმე წლის შემდეგ კვლავ შევუერთდებოდით ჩვენს თანამემამულეებს, დიდად გაგვიკვირდებოდა, რომ, შეუმჩნევლად, ზოგადმოსახმარი ესპანურისგან განსხვავებულ ენაზე ავმეტყველებულვართ! ამ განსხვავებას შევამჩნევდით ზოგი სიტყვის წარმოთქმისას, განსხვავებული იქნებოდა ზოგის სემანტიკა, სინტაქსური ფორმა, ფრაზეოლოგიზმები. ჩვენ მიერ წარმოსახული შესაძლებლობა არაერთხელ განსხეულებულა ისტორიაში. აქ თავს იჩენს საპირისპირო დამოკიდებულებაც: ეს არაერთხელ გამეორებული ფაქტი ადასტურებს, რომ რომელიღაც ერთობის არსებობას წინ უცილოდ უძღვის რომელიღაც განცალკევება. ეს უკანასკნელი შეიძლება სხვადასხვა მიზეზებმა წარმოშვას. მათგან ყველაზე ნათელია გეოგრაფიული წინაღობები, რომლებსაც ჯგუფის იზოლაციამდე მივყავართ. დრო რომ მქონდეს, გიამბობდით ახალი გვინეის ერთ ხალხზე, რომელიც ახლახან აღმოაჩინეს და შეისწავლეს. საუკუნეთა წიაღში, შორეულ წარსულში მოხდა გეოლოგიური კატასტროფა, რის შედეგადაც მთის ხეობებში მომწყვდეული ეს ხალხი სამყაროს მოწყდა. მაგრამ განკერძოების მიზეზი შეიძლება იყოს მხოლოდ პოლიტიკურიც ან აიხსნას სხვა, უფრო რთული მოტივებით. სოციოლოგიური კვლევები სათანადოდ რომ მიმდინარეობდეს, უთუოდ ღრმად შეისწავლიდნენ იზოლაციის გავლენას კოლექტიურ ცხოვრებაზე – როგორც

წარსულში, ისე – აწმყოში. ამ საკითხის განსავრცობად დავუმატებდით, რომ წარსულშიც და მომავალშიც შესაძლებელია მკაფიოდ მივადევნოთ თვალი სხვადასხვა კერძო მაგალითს, უალრესად ფერსავსე სურათს. ეს დიდად გვარგებდა, თანაც იმაზე მეტად, ვიდრე წარმოგვიდგენია. მაგალითად, შეტყობინების თანამედროვე საშუალებათა განვითარებამ იქამდე მიგვიყვანა, რომ ადამიანთა უმრავლესობა ძალზე ხშირად მიდის მშობლიური ქვეყნიდან სხვა, მათ შორის, ყველაზე დაცილებულ ადგილას – და ეს ისტორიაში პირველად იქცა ნორმად. ეს მოვლენა, ალბათ, კვლავაც ინტენსიურად განვითარდება. საკითხი მხოლოდ სივრცეში მოძრაობით როდი ამოიწურება. პრესის წყალობით შეგვიძლია საზღვარგარეთ მიმდინარე ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენების თანამონაწილენი გავხდეთ. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: რას მოუტანს ეს საზოგადოებრივ ცხოვრებას?

ჯერ ხომ ისევ გაურკვეველია, უპირობოდ კეთილად იმოქმედებს თუ არა ეს? ხომ შეიძლება ამ პროცესის დაჩქარებამ თუნდაც დროებითი, ყველაზე უფრო მძიმე და საბედისწერო შედეგი მოგვიტანოს? სოციოლოგებსა და ეთნოგრაფებს ამ პრობლემისთვის სათანადო ყურადღება არ მიუქცევიათ. ისინი არასოდეს დაფიქრებულან, ვთქვათ, ასეთ ფაქტზე.

ერთმანეთისგან რასობრივი ნიშნით – ენით, ჩვეულებებითა და სხვ. – სრულიად განსხვავებული ნიგერიელი მრავალრიცხოვანი ტომები ისეთ სივიწროეში ცხოვრობენ, რომ გადაუჭარბებლად შეიძლება თქმა: ერთმანეთს თავზე ასხედან. მიუხედავად ამისა, თითოეული ტომის წარმომადგენელი მიჯაჭვულია თავის კონკრეტულ სა-

ზოგადოებას და მკაფიოდ აცნობიერებს სხვების უცხო ტომთათვის მიკუთვნებულობას. და რადგან წმინდა დოლები საკუთარი ტომისა და საკუთარი საზოგადოებრივი ჩვეულების გამომხატველია, ველურები ნებისმიერი უცხოელის გამოჩენისას ამბობენ: „სხვა დოლის ხმაზე ცეკვავს", რაც ნიშნავს: სხვა რწმენა, ენა, ტაბუ და ა.შ. აქვს.

როგორ ავხსნათ, რომ განსხვავებულობის ამგვარ თანაგანცდაში არ იკარგება ტაბუსა და სხვა ფენომენების მსგავსება, რომლებიც ამ ტომთა შიგნით მჭიდრო სოციალურ ერთიანობასა და დარაზმულობას უზრუნველჰყოფს? ტაბუს ერთგვარობა იწვევს სოციალურ ერთობას, რომელიც განმაკერძოებელ გავლენას ახდენს ყველაზე აქტიურად თანამცხოვრებ ხალხებზეც.

იმის წყალობით, რომ ენა ძალზე ზუსტად რეაგირებს სოციალურ პირობებზე, თვალს ვადევნებთ ენობრივ სხვაობას არა მარტო განსხვავებულ საზოგადოებაში, არამედ – განსხვავებულ სოციალურ ჯგუფებშიც. უძველესი ცნობის თანახმად, რომელიც დაახლ. ჩვ. წ-მდე 3000 წლითაა დათარიღებული, შუმერულ-აქადურ ქალაქებში ორი განსხვავებული ენა არსებობდა: ერთი – მამაკაცთა – eme-ku, მეორე – ქალთა – eme-sal, რომელსაც, ამავე დროს, ფრთხილთა ენასაც ეძახდნენ. მაინც რამ განაპირობა, რომ ამ კაცებმა და ქალებმა ერთმანეთს ვერ გაუგეს? მსგავს შეხედულებას იცავდა თვით ედუარდ მეიერი![1] მაგ-

---

1 ედუარდ მეიერი (1855-1930) – გერმანელი ისტორიკოსი, სიძველეთმცოდნე; უაღრესად რთულ და მრავალსახა არქეოლოგიურ, ეპიგრაფიკულ, ლიტერატურულ, ნუმიზმატიკურ და სხვა წყაროებზე დაყრდნობით შეისწავლა ძველი აღმოსავლეთი, საბერძნეთი და რომი. მისი ყველაზე ცნობილი ნაშრომია ხუთტომეული „უძველესი დროის ისტორია". მეიერი იყენებდა მოდერ-

რამ რამდენიმე წლის წინათ, როცა ჰროზნიმ[2] გაშიფრა ხეთური ლურსმული წარწერა და ხეთების მონათესავე სხვა ხალხის იეროგლიფური წარწერაც, ამ დასკვნას წყალი შეუდგა. გაუგებრად რჩება, რატომ ვერ შეეგუა ამ მოვლენას ეს შესანიშნავი ენათმეცნიერი: ახლაც ხომაა ხალხი, რომელშიც არსებობს კაცთა და ქალთა ენები! კარლო ალბერტო ბერნული,[3] კერძოდ, ყურადღებას ამახვილებს ისეთ ქალურ ენაზე, რომლის გაგება არც ერთ მამაკაცს არ ძალუძს და რომელიც გამოიყენება მხოლოდ ქალთა საიდუმლო წეს-ჩვეულებათა აღსრულებისას (მაგალითად, სუაჰილის ენაში). ამ ენის თავისებურებები და გავრცელების არეალი შეისწავლა ფლორა კრაუსმაც.

ჩვენი ესპანური, იმ ფორმით, – ნაწილობრივ იდეალურად ან უტოპიურად, მაგრამ საბოლოოდ, საკმაოდ საფუძვლიანად – რომლითაც ძალგვიძს მას ნორმატიული ვუწოდოთ, განსხვავებული სოციალური კლასების თანამშრომლობის მექანიკური შედეგია. როგორც ცნობილია, ყოველ კლასს აქვს თავისი ენა. ამის მიზეზია არა შემთხვევითი სხვაობა მათ შორის, არამედ – ერთგვარი ფუნდამენტური გარემოება, რომელიც სხვადასხვა საზოგადოებრივ კლასებს ერთგვარ ორგანოებად აქცევს, რო-

---

ნიზმის ციკლურობის თეორიას (მთარგმ.).

2 ბედრჟიჰ ჰროზნი (1879-1952) – ჩეხი ხეთოლოგი, ძველი აღმოსავლეთის ხალხთა და ენათა მკვლევარი; შეისწავლა შუმერული მითოლოგია, ძველი ბაბილონის კულტურა და ეკონომიკა, შუმერული და აქადური ენის ლურსმული ძეგლები. ხეთურ ენაში ინდოევროპული ხასიათი შეამჩნია. თარგმნა და გამოაქვეყნა ხეთური ტექსტები (მთარგმ.).

3 კარლო ალბერტო ბერნულისა და ფლორა კრაუსის მოღვაწეობის დამადასტურებელ ცნობებს ვერ მივაკვლიეთ (მთარგმ.).

მელთაგან თითოეული განსაკუთრებულ როლს თამაშობს ნორმალური ენის მყოფობაში. კლასები, რომელთაც შესაბამისად, სახალხოს, საშუალოს და უმაღლესს უწოდებენ, ლაპარაკობენ სავსებით განსხვავებულ ენებზე. როგორც ლერხი[4] აღნიშნავს, ლაპარაკის მანერა, ანუ ენის გამოყენება სამ განსხვავებულ, სოციალურ ჯგუფად იყოფა; მაგალითად, არსებობენ ადამიანები, რომლებიც ლაპარაკისას არ მსჯელობენ თავიანთ მანერაზე; ისინი ენას დაუდევრად იყენებენ და ჰაიჰარად ეპყრობიან – ეს სახალხო ჯგუფია. არსებობენ ისეთებიც, რომლებიც განსჯიან საკუთარ მეტყველებას, მაგრამ ეს რეფლექსია მცდარია; მას მივყავართ სალაღობო დაწინდვამდე, როცა ნატიფი განათლებით თავმომწონე რომელიღაც ქალბატონი აცხადებს, რომ მისი ქმარი „იმპორტულ ენებს ფლობს“. და ბოლოს, არსებობს უმაღლესი ჯგუფი, რომელიც მკაცრად ადევნებს თვალ-ყურს თავის მეტყველებას.

ანგარიშში ნუ ჩავაგდებთ საშუალო ჯგუფს, რომელიც იშვიათად ახერხებს ნორმატიულ ენაზე ზემოქმედებას. რჩება ხალხი და კულტურული არისტოკრატია. მათი დამოკიდებულება ენისადმი მხოლოდ კერძო გამოვლინებაა საერთო, ცხოვრებისეული მდგომარეობისადმი. მხოლოდ ორი საშუალებაა, რომ ცხოვრებისადმი დამოკიდებულება გამოხატო. ერთი იმას გულისხმობს, რომ თავი არ შეიზღუდო და ნებისმიერი სურვილი აისრულო. მეორე მიდგომა ისაა, რომ ჩავიკლათ სულში სწრაფვანი და მიველტვოდეთ იმას, რომ ჩვენი ქცევა ნორმებში მოვაქციოთ. ლერხი მიუთითებს, „კულტურული“ ინდივიდი, ჩვეულებრივ, უმაღ-

4 პ.ი. ლერხი (1828-1884) – რუსი ორიენტალისტი და არქეოლოგი (მთარგმ.).

ლესი კლასებიდან, თუ როგორ ლაპარაკობს ლინგვისტური „ნორმების“, თავისი ენისა და, ზოგადად, ენის სახელით. პლებეი, პირიქით, ისე ლაპარაკობს, როგორც ღმერთი ინებებს. ამიტომაც, ლერხი, რომანტიკული ინტერპრეტაციის საპირისპიროდ, ამტკიცებს, რომ რჩეულნი (ანუ არისტოკრატია), ნორმის ერთგულნი რჩებიან, ამყარებენ და იცავენ ენას, ხელს უშლიან იმას, რომ ფონეტიკური კანონების ამარა დარჩენილი ენა, სადაც განუყოფლად ბატონობს ხალხური მეტყველება, უკიდურესად არ გაღარიბდეს. მართლაც დიდი გავლენა იქონია ფრანგულში თანხმოვნების დაკარგვამ, ვიდრე უმაღლესი კლასები გონს არ მოეგნენ და თავიანთი მკაცრი კონტროლი არ დააწესეს: pediculum-იდან (ტილი), მხოლოდ pou დარჩა, parabolare-დან (საუბარი) – parler, cathedra-დან (სავარძელი) – craire an chaise, oculus-დან – (თვალი) – oeil, augurium-დან (საათი) – heur. აქედან გამომდინარეობს მრავალი კონვერგენცია, რომლებმაც ფრანგული ენა ორაზროვანი ბგერებით დახუნძლეს: san მომდინარეობს ისეთი განსხვავებული ლათინური სიტყვებიდან, როგორებიცაა centum (ასეული), sanguem (სისხლი), sine (გარეშე), se inde (s'en) (საიდან), საბოლოოდ, ecce hoc inde (c'en); აქედანვე მომდინარეობს გამოთქმა, რომლის ეტიმოლოგიის დადგენა დიდი ხნის განმავლობაში ვერ ხერხდებოდა: c'endessus dessous (ყირამალა), რომელიც სრულიად სულელურად გარდაქმნილა ახლა sens dessus dessous, უფრო ადრე, ვოჟლა[5] და მადამ დე სევინიე[6] წერდნენ: sans dessus dessos.

---

5 კლოდ ვოჟლა (de Vaugelas, 1585-1650) – საფრანგეთის აკადემიის „წევრი-დამფუძნებელი“, ფრანგული ლიტერატურული ენის ერთერთი დამდგენი (მთარგმ.).

6 მადამ დე სევინიე (1626-1696) – ფრანგი მწერალი (მთარგმ.).

როცა ის სიტყვები მოკლდებოდა, რომელთაც მახვილი ბოლოსწინა მარცვალზე მოუდიოდათ: tepidus, tiede (თბილი), რჩებოდა მხოლოდ მახვილიანი მარცვლები ბასრი ან ბლაგვი მახვილით: portum (პორტი) – port; porta – porte (კარი). თუმც, ბოლო სიტყვაში e მუნჯია, და რომ არა კულტუროსანთა ჩარევა, რა თქმა უნდა, e გაქრებოდა და porte port-ში აგვერეოდა, ორი სიტყვისაგან რედუცირებულ ფორმა port-ს მივიღებდით. აბსტრაქტული სიტყვებისა და უამრავი უაღრესად სასარგებლო ენობრივი საშუალების არსებობას, მაგალითად, ზოგიერთი კავშირისა, სწორედ განათლებულ საზოგადოებრივ ფენებს უნდა ვუმადლოდეთ.

XVI საუკუნეში ფრანგული ენის განვითარება ჯერ კიდევ ემორჩილებოდა ინდივიდუალური გამოყენების კაპრიზს. XVII საუკუნის დასაწყისში იგრძნობა ნორმის ზემოქმედება, რაც მაღალი კლასებისაგან მომდინარეობს. პერსონაჟი, რომელიც ამ ნორმის გამოსახატად შეირჩა, არც ბრძენია და არც პედანტი, რომელიც მხოლოდ საკუთარი სახელით ლაპარაკობს. ეს გახლავთ თავაზიანად მოუბარი ადამიანი, ანუ ის, ვინც მსმენელის თვალსაზრისს ითვალისწინებს და პასუხს იძლევა, რადგან ლაპარაკობს არა როგორც მარტოსული მწერალი, არამედ – როგორც ფორმალურად საუბრის მონაწილე. ამგვარად, იღებენ ნორმას, რომელსაც ყველაზე მთავარი ენობრივი თავისებურება გვკარნახობს – ეს არის თანაზიარობა. და სწორედ ადამიანი, როგორც ურთიერთობით მცხოვრები არსება, დაადგენს კანონს. მაგრამ თვით ამ ცნების საზღვრებშიც კი უპირატესობა ენიჭება იმგვარ თანაზიარ ადამიანს, რომლისთვისაც მეტყველება – საუბარი – პირ-

წმინდა ფორმალობაა, საკუთარი თავისთვის განხორციელებული, ანუ უპირატესობა ენიჭება თავაზიან „მაღალი წრის ადამიანს“ – l'honnete homme, l'homme de bonne compagnie. სამართლიანია, რომ ზეპირი საუბრისას, როცა მთავარია სწორად გაგიგონ, მეტყველების ფორმას განაპირობებს სწორედ ასეთი ტიპის ადამიანი, ვინაიდან ის ისე ლაპარაკობს, როგორც საჭიროა. წერილობითი მეტყველებისას, პირიქით, ფორმას ის ირჩევს, ვინც წერს.

როცა მეტყველება ფონეტიკური კანონების ამარა რჩება, ისეთი ენა წარმოიქმნება, რომელშიც ძალზე ბევრი ორაზროვანი თანაბრად რთული გამოთქმა იყრის თავს; ზოგი მათგანი ემსგავსება ერთმანეთს, მიუხედავად იმისა, რომ ეს სიტყვები სხვადასხვა სიტყვიდან არიან წარმოქმნილნი. ასე დაემართა ინგლისურ და ჩინურ ენებს. აქედან მომდინარეობს ეს სევდიანი ხვედრი ინგლისური ენისა, რომელიც ავალებს მის მატარებელთ ხშირ spelling-ს (ასოებით გამოთქმა სიტყვისა), როცა ხან ერთმა, ხან მეორე თანამოსაუბრემ თავის ადრესატს უნდა გაუშიფროს წარმოთქმული სიტყვა. ხანდახან ეჭვიც კი იბადება, რომ ერთ ინგლისელს მეორისა მხოლოდ იმდენად ესმის, რამდენადაც მათი საუბარი ყველაზე ხშირად „საერთო ადგილებისაგან“ შედგება და თითოეულმა წინდაწინ იცის, რას უპასუხებენ. ჩინურში გამოთქმის რთული პრობლემა გადაიჭრა განსხვავებული სიმაღლის ტონებით, რომლებმაც აქციეს ეს ენა არც თუ ამოდ სასმენ მუსიკად და ხელი შეუშალეს მის ლათინური ასოებით ტრანსკრიპციას ანდა ნებისმიერი სხვა არაიდეოგრაფიული ანბანით ჩაწერას.

„ჩემო სიყვარულო!“ არც თუ ცუდი დასაწყისია! კიდევ კარგი, შეუძლებელია იმის გათვლა, კერძოდ ვის მიემარ-

თება ეს სიტყვიერი ამოოხვრა! როცა ამ სიტყვებს ათასკაციანი აუდიტორიის წინაშე წარმოვთქვამ, ამ თავხედურ გამოთქმას არქიმორიდებულობად ვაქცევ ხოლმე; მორიდებულობა, როგორც ცნობილია, იმას გულისხმობს, რომ გამოტოვო ის, რაზეც ლაპარაკი არ ეგების. ამგვარი თავმდაბლობა მაინც გულისხმობს იმ პირობას, რომ უთქმელის თქმა ნამდვილად შეიძლებოდა, რადგან ის გაცნობიერებულია. მაგრამ ორი ზემონახსენები სიტყვა, იმის მიუხედავად, რომ მათ სიტყვის სახე და განუსაზღვრელი მნიშვნელობა აქვთ, არ წარმოგვიდგება გამოთქმად, ანუ არაფერს ამბობენ. რატომ? მათი შემადგენელი ბგერები ხომ სრულად და სწორად გამოითქვა? ისინი არაფერს ამბობენ, რადგან არავის მიემართებიან, მათ ჰყავთ გამგზავნი – მე – მაგრამ არ ჩანს ადრესატი და ამიტომაც, როცა ბაგეებს ამოსცდებიან იმ მტრედივით, რომელსაც დაავიწყდა, საით მიფრინავს და ცაში ტრიალებს, ეს სიტყვები არ მისდევენ საკუთარ ბილიკს, არავისთან მიდიან, არაფერს ამბობენ. ჩემ მიერ წარმოთქმული „ჩემო სიყვარულო!“ ახლა ჰაერს გამოეკიდა; ისე არსებობს, თითქოს ლექსიკონში იყოსო. ლექსიკონში მოთავსებული სიტყვები კი მხოლოდ შესაძლო მნიშვნელობებია, მაგრამ არაფერს გამოთქვამენ. უჩვეულოდ სქელკანიანი წიგნები, რომელთაც „ლექსიკონებს“ ვეძახით, საკმაოდ საინტერესო ფენომენია: მათში თავმოყრილია ენის ყველა სიტყვა და მაინც, ლექსიკონის ავტორი ერთადერთი ადამიანია, რომელმაც ეს სიტყვები ჩაწერა, მაგრამ იმავე დროს, არ გამოთქვა ისინი. ზედმიწევნით ჩაწერილი ისეთი სიტყვებით, როგორებიცაა, ვთქვათ „სულელი“, „ბრიყვი“, იგი არავის მიმართავს, მათ არავის უსაბამებს და არავინ ჰყავს

მხედველობაში. აი, მოულოდნელი პარადოქსი – ენა, ანუ სიტყვათა კრებული, ლექსიკონი პირდაპირ უპირისპირდება მეტყველებას. ხოლო სიტყვები ასეთები მხოლოდ მაშინ არიან, როცა ისინი ვიღაცამ ვიღაცას უთხრა. მხოლოდ კონკრეტული ქმედებისას, სხვაგვარად – ცოცხალი ქმედებისას, რომელსაც ერთი ადამიანი მეორის მიმართ ახორციელებს, სიტყვები თავის რეალობას იძენენ. ვინაიდან ადამიანები, რომლებიც ერთმანეთს ესიტყვებიან, ადამიანური სიცოცხლეებია. ყველა ადამიანური სიცოცხლე კი ნებისმიერ წამს განსაზღვრულ სიტუაციასა თუ გარემოებაშია. სავსებით მკაფიოა, რომ იმგვარი რეალობა, როგორიც „სიტყვაა“, განუყოფელია მთქმელისაგან, რომელიც მას წარმოთქვამს. ნებისმიერი სხვა მიდგომა იმთავითვე აბსტრაქციად აქცევს სიტყვას, ამპუტაციას უტარებს მის მნიშვნელობას, რის შედეგადაც მისგან მხოლოდ უსიცოცხლო ნასხეპი რჩება.

ამგვარად, თუ ვამბობ „ჩემო სიყვარულო“ და ამასთან, ამ სიტყვებს არავის ვუსაბამებ, არავისკენ მივმართავ, არ იქმნება გამოთქმა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ სიტყვებში არ არის ჭეშმარიტი სიტყვიერი ქმედება. ჩვენს წინაშე მხოლოდ ბგერაა, ის, რასაც ლინგვისტები ფონემას უწოდებენ. მიუხედავად ამისა, მოცემულ ბგერას, როგორც ჩანს, მნიშვნელობა მაინც აქვს. რა მნიშვნელობას ვგულისხმობ? რასაკვირველია, ჩვენ არ ვცდილობთ სარისკო ამოცანის გადაჭრას – განვსაზღვროთ სიყვარულის შემადგენელი რეალობა. საბოლოოდ, ჩვენი მიზანია, ვიპოვოთ ამ გამოთქმის საზრისი, ანუ განვსაზღვროთ გაგება, რომელიც მყისიერად წარმოიქმნება ჩვენს გონებაში, როცა კი ვამბობთ „ჩემო სიყვარულო!“ და თუკი

მაინც ვეცდებოდით ამ საკითხის გადაჭრას, აღმოვაჩენდით, რომ ჩვენი გონებრივი მზერის წინაშე მეტნაკლებად მკაფიოდ წარმოიქმნება სხვადასხვა კონკრეტული მნიშვნელობა, რომლებითაც ეს სიტყვები წარმოითქმის ვინმეს მიერ და ვინმეს მიმართ. ამგვარ შემთხვევაში მათი მნიშვნელობები განსხვავებულია იმის გათვალისწინებით, თუ რა სიტუაციაში იმყოფებიან მისი მონაწილენი. მაგალითად, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ სიტყვებით „ჩემო სიყვარულო!“ დედა მიმართავს შვილს ან შეყვარებული – სატრფოს. დედობრივი სიყვარული განსხვავდება ქალისა და მამაკაცის გრძნობისგან. ეს ნათელია და ჩვენი განხილვის საგანს არ წარმოადგენს. უფრო საინტერესო ამ ორი მნიშვნელობის შედარებაა: იმისი, რომელსაც იძენს სიტყვა „სიყვარული“, როცა ის მართლაც კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციაში წარმოითქმის და იმისი, რომელიც მას ჰქონდა, როცა ის პირველად ამოვთქვი. თუ საქმე ეხება დედაშვილურ სიყვარულს ან სატრფოთა ურთიერთობას, სიტყვა „სიყვარული“ მიგვითითებს ქმედით, რეალურ, ყოვლისმომცველ გრძნობაზე, მისთვის ნიშანდობლივი არსებითი თუ მეორეხარისხოვანი ნიშან-თვისებებით. უხეიროდ გამოვთქვი: საქმე ისაა, რომ ორივე შემთხვევაში ეს სიტყვა წარმოადგენს ან აღნიშნავს არა ერთ რეალურ გრძნობას, არამედ – ორ ერთმანეთისგან განსხვავებულს. ამგვარად, გამოდის, რომ ერთი სიტყვა გამოიყენება ორი და თანაც, ძალზე განსხვავებული რეალობის აღსანიშნად. მსგავსი მოვლენა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავაიგივოთ ორაზროვან სიტყვათა არსებობის ფაქტთან, რომელთათვისაც ნიშანდობლივია ლინგვისტების მიერ „პოლისემიად“ წოდებული ტერმინი

ანუ მრავალმნიშვნელოვნება. ბგერათა ერთი და იგივე შეთანხმება სიტყვაში Leon აღნიშნავს აფრიკულ მტაცებელსაც, ესპანეთში მდებარე ქალაქსაც, რომის პაპებსაც და ორ სკულპტურასაც, რომლებიც ჩვენი პარლამენტის შენობის კიბეს იცავენ. ის ფაქტი, რომ ერთი და იგივე ფონემა leon ჩვენ მიერ მოყვანილ მაგალითში აღნიშნავს ყველა ამ რეალობას, წმინდა შემთხვევითობაა და ყოველი დამთხვევა აიხსნება რაღაც განსაკუთრებული და კონკრეტული მიზეზით. სახელი Leon („ლომი“) ცხოველის სახელწოდების შემთხვევაში, უბრალოდ, წარმოდგება ლათინური ძირიდან Leon-Leo-Leonis, ხოლო ქალაქ ლეონის სახელწოდება მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან legio (რომაული სამხედრო შენაერთი), რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ამ ადგილას იყო რომის ჯარების სამხედრო და ადმინისტრაციული სარდლობა. შესაბამისად, Leon, როგორც ცხოველისა და ქალაქის სახელწოდება, ერთი და იგივე სიტყვა კი არ არის, არამედ ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ორი სხვადასხვა სიტყვაა. უბრალოდ, ორი ფონეტიკური რიგის გამოთქმისას მომხდარი შემთხვევითი ტრანსფორმაციის შედეგად, რომლებითაც იწყებოდა Leon და Legio, ისინი გაიგივდნენ და მართლაც წარმოქმნეს ორაზროვნება. ვისარგებლებ შემთხვევით და დავუმატებ ახლანდელ დაკვირვებას. ზემომოყვანილი მაგალითი ნათლად ადასტურებს: ფონეტიკურ ცვლილებათა ანაბარა მიტოვებული ენა საბოლოოდ ივსება მსგავსი ორაზროვნებით, რაც შეუძლებელს ხდის ურთიერთგაგებას, ვინაიდან ლაპარაკი წმინდა სიტყვიერ თამაშად გარდაიქმნება. რაც შეეხება Leon-ებს, რომლებიც პარლამენტის წინ გამოუქანდაკებიათ, აქ მეტაფორამ შეცვალა სიტყვის

მნიშვნელობა და იმის ნაცვლად, რომ აღენიშნა სისხლხორციელი ცხოველი, ბრინჯაოს ან მარმარილოს ნაჭერს ეწოდა, რაც რამდენადმე თუ მოგვაგონებს ლომს (Leon).

თუმც, ლინგვისტთა აზრით, სიტყვა „ჩემო სიყვარულო“, რომელსაც წარმოთქვამს დედა და სიტყვები, წარმოთქმული სატრფოს მიერ, იგივეობრივია. საქმე ეხება ერთსა და იმავე გამოთქმას და ერთსა და იმავე მნიშვნელობას. მიუხედავად ამისა, ორივე ამ გამოთქმის შემთხვევაში სიტყვები უდავოდ სხვადასხვა გრძნობას გამოხატავენ – სიტყვა „სიყვარული“ თავისთავად და, როგორც ასეთი, უნდა ნიშნავდეს დედობრივ სიყვარულს, ან სატრფოთა ურთიერთობას. როგორ უნდა გამოხატავდეს ორივე ამ გრძნობას ერთდროულად, ძალზე გაუგებარია. მაგრამ ყოველივე ნათელი გახდება, როგორც კი ყურად ვიღებთ, რომ სიტყვა „სიყვარული“, ცალკე აღებული, სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმ ცხოვრებისეული სიტუაციისაგან მოშორებული, სადაც ითქვა, სინამდვილეში, არც ერთს, არც მეორეს, არც რომელიმე რეალურ, კონკრეტულ და, შესაბამისად, სრულყოფილ სიყვარულს არ ნიშნავს, ის აღნიშნავს მხოლოდ თვისებათა ნაკრებს, რომლებიც აუცილებლად უნდა არსებობდეს ყოველგვარ სიყვარულში – ადამიანების, საგნების, ღმერთის, სამშობლოს, მეცნიერების სიყვარულის და ა.შ., – თუმც იმ პირობით, რომ ამ თვისებების არსებობა საკმარისი არ არის სიყვარულისათვის. იგივე ეხება სიტყვა „სამკუთხედსაც“: მნიშვნელობები, რომლებსაც ჩვეულებრივ, შეიცავს ეს სიტყვა, სულაც არ არის საკმარისი დაფაზე რომელიღაც სამკუთხედის დასახაზად. ამისათვის საჭიროა, თვითონაც დაუმატო კიდევ რამდენიმე თვისება, რომელნიც ცნებაში არ

არიან ჩართულნი, მაგალითად, ისეთები, როგორებიცაა – გვერდების ზუსტი სიგრძე და კუთხეების ზუსტი სიდიდე; მხოლოდ ეს დამატებები აქცევს სამკუთხედს სამკუთხედად. სიტყვებს – „სიყვარული“, „სამკუთხედი“ – ხისტად რომ მივუდგეთ, არ გააჩნიათ მნიშვნელობა, ჩვენს წინაშე მხოლოდ მათი ჩანასახი, აზრობრივი სქემაა. ეს ერთგვარი ალგებრაისტული ფორმულა გახლავთ, რომელიც, როგორც ასეთი, ჯერ კიდევ არ არის ანგარიში, არამედ შესაძლო ვარაუდის სქემაა – სქემა, რომელშიც ასოების ნაცვლად უნდა „ჩაისვას“ განსაზღვრული რიცხვობრივი მნიშვნელობა.

არ ვიცი, შევძელი თუ არა, თქვენამდე მომეტანა ეს უცნაური თავისებურებები, რომლებიც ახასიათებს სიტყვებს და, შესაბამისად, მთელს ენას, რომ ავიღოთ სიტყვა, როგორც ასეთი (სიყვარული, სამკუთხედი), აღმოჩნდება, რომ მას საკუთარი მნიშვნელობა არ გააჩნია, არამედ მის მხოლოდ ერთ ფრაგმენტს გამოხატავს. ის მხოლოდ მაშინ შეიძენს ნამდვილ და სრულ მნიშვნელობას, როცა ჩვენ მას გამოვთქვამთ. თუმც, საიდან იძენს სიტყვა და ენა იმ რაღაცას, რომლებიც საჭიროა მათი ჩვეული როლის განსასახიერებლად, კერძოდ კი, მნიშვნელობის, აზრის ქონისათვის? ჩანს, რომ ეს თვისება სიტყვებს სხვა სიტყვების საშუალებით არ გადაეცემა და არ მომდინარეობს იმიდან, რასაც აქამდე „ენა“ ერქვა და რაც პრეპარირებული სახით არსებობს ლექსიკონში და გრამატიკაში. ენის ეს თავისებურება იბადება თვით ენის ფარგლებს მიღმა, ის მომდინარეობს ამ ენით მოუბარი ადამიანებისაგან, ადამიანებისაგან, რომლებიც განსაზღვრულ ვითარებაში ლაპარაკობენ. ადამიანები, წესისამებრ, სიტ-

ყვებს საჭირო ტონით წარმოთქვამენ, სახის ამა თუ იმ გამომეტყველებით, მათ მეტყველებას სდევს ესა თუ ის – თავშეკავებული თუ სარისკო – ჟესტიკულაცია, რომელიც თავის მხრივ, „ლაპარაკობს და გამოთქვამს“. ე.წ. სიტყვები რეალობის რთული კომპლექსის მხოლოდ ერთი ნაწილია და ასეთნი მხოლოდ იმდენად არიან, რამდენადაც მონაწილეობენ ამ რეალურ კომპლექსში და მას არ სცილდებიან. მაგალითად, ბგერათშეთანხმება „წითელი“ ასხივებს შესაძლო მნიშვნელობათა განსხვავებულ რიგს, მაგრამ ნამდვილი არც ერთი არ არის. თუმც, საკმარისია, ამ სიტყვამ დუქანში გაიჟღეროს, რომ ეს სივრცე აივსება უსიტყვო მომენტებით, „დუქნისთვის დამახასიათებელი ატმოსფეროთი“ და მსგავსი სიტყვა მხოლოდ მაშინ ასრულებს თავის ფუნქციას, მიზანში მაშინ ახვედრებს ზუსტ მნიშვნელობას. მაგ., ამ ფრაზაში: „დაუსხი წითელი!“ ნათქვამს უდიდესი მნიშვნელობა აქვს სწორედ ბანალობის გამო, რადგან მჭევრმეტყველურად ადასტურებს, რომ სიტუაციის ყველა სხვა განსხვავებული კომპონენტი, რომლებიც ვერაფრით ჩაითვლება სიტყვებად და რომლებიც sensu stricto საერთოდ არ უკავშირდებიან ენას. ენა გამოთქმის განუსაზღვრელი შესაძლებლობებითაა სავსე, ამიტომ მეტყველება შედგება არა მხოლოდ იმისაგან, რასაც თავისთავად ამბობს, არამედ ამ შესაძლებლობების აქტუალიზაციისაგან, გამოთქვას რამე მთელი სიტუაციის მნიშვნელობის გაცნობიერებით. წარმოგიდგენიათ: სიტყვა, როგორც ასეთი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, როცა ის თავის ძირითად როლს ასრულებს – გამოითქმის – გარდუვალად ერწყმის მთელ სიტუაციას, საგნებსა და ადამიანებს, ანუ ყოველივე იმას, რაც თავისთავად უტყვია.

სიტყვა თავისთავად ძალზე ცოტას ნიშნავს, მისი როლი ზემოქმედების მოხდენაა, როგორც უძლიერესი დეტონატორისა, რომელიც გამაყრუებელი გრუხუნით აფეთქებს ყველა დანარჩენის კვაზისიტყვიერ მუხტს. რა თქმა უნდა, წერილობით ენაში საქმე რამდენადმე სხვაგვარადაა. ეს არც ისე მნიშვნელოვანია, რადგან წერილობითი მეტყველება ზეპირს ემორჩილება, მთლიანად მას ეფუძნება. ჯერ კიდევ გოეთემ თქვა, რომ წერილი ზეპირი სიტყვის მკრთალი აჩრდილი და უღირსი მემკვიდრეა.

როგორც უკვე დავრწმუნდით, „მე“, „შენ“, „აქ“ და „იქ“ – განსხვავებული მნიშვნელობის მქონე სიტყვებია, რომლებიც დამოკიდებულია გამოთქმის სუბიექტსა და მის ადგილმდებარეობაზე. მაგალითად, გრამატიკაში ასეთ სიტყვებს „ოკაზიონალური მნიშვნელობის სიტყვები“ ჰქვიათ. კიდევ ერთხელ გავხაზავთ, რომ სწორედ ამ პუნქტში შეიძლება ლინგვისტებთან შეკამათება. ჩემი აზრით, უფრო სწორი იქნებოდა გვეფიქრა, რომ მსგავს სიტყვებს აქვთ არა მხოლოდ ერთი ოკაზიონალური მნიშვნელობა, არამედ – უთვალავი. მოყვანილი მაგალითები არაორაზროვანი დასკვნის გაკეთების უფლებას გვაძლევს: სწორედ ეს თავისებურებები აღმოაჩენს ყველა სიტყვას, ანუ ნებისმიერი სიტყვის ზუსტი მნიშვნელობა განისაზღვრება იმ გარემოებებით, იმ სიტუაციით, რომლებშიც ისინი გამოითქვა. ამგვარად, თითოეული სიტყვის სალექსიკონო მნიშვნელობა ჭეშმარიტი აზრის მხოლოდ ჩონჩხია; სიტყვის აზრი ყოველი გამოყენებისას რაღაცით განსხვავებულია და ახალია, მისი ჩონჩხი კონკრეტული მნიშვნელობის ცოცხალი ხორცით მეტყველების სწრაფმავალ და მარად ცვალებად ნაკადში იმოსება. რაც შეეხება სალექსიკონო

მნიშვნელობას, ტერმინ „ჩონჩხის“ ნაცვლად, ალბათ, უნდა გვესაუბრა ჭედადი მასალით შექმნილ ნამზადზე, რომელიც თავის შტამპირებულ ფორმას მაშინ იღებს, როდესაც სიტყვები თავიანთ თავს უბრუნდებიან ანდა როდესაც მათ ვინმე გამოთქვამს და ვინმეს მიმართავს, ასევე, როდესაც განსაზღვრული მიზეზების გამო და კონკრეტული მიზნის მისაღწევად გამოითქმის.

ლინგვისტიკამ იმით დაიწყო, რომ რეალურ ენაში გამოყო ზემოთ ნათქვამი სქემატური და აბსტრაქტული მომენტი. ამის შედეგად შესაძლებელი გახდა გრამატიკისა და ლექსიკონის შექმნა – ამოცანა, რომელიც ენათმეცნიერებამ ბრწყინვალედ შეასრულა, მაგრამ, როგორც კი პირველი სიძნელე გადალახა და ჩვენს წინაშე ლექსიკონი და გრამატიკა აღმოჩნდა, ნათელი გახდა, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია, რადგან ჭეშმარიტი მეტყველება და წერა სრულიად ეწინააღმდეგება ყველაფერს, რასაც კი ლექსიკონი და გრამატიკა გვასწავლიან. ეს დაკვირვება, უცილოდ, მართალია და ჩვენ სრული უფლება გვაქვს, ვამტკიცოთ: მეტყველების არსი სწორედ გრამატიკულ წესთა და სალექსიკონო ნორმების მუდმივ დარღვევაშია. მკაცრად ფორმალური მნიშვნელობით, „კარგი მწერლობა“, სხვაგვარად რომ ვთქვათ, საკუთარი სტილის ქონა ნიშნავს, ხშირად და მუდმივად შეიჭრა ლექსიკასა და გრამატიკაში. სწორედ ამიტომ ცნობილი ლინგვისტი ვანდრიესი[7] მკვდარს იმ ენას უწოდებს, სადაც შეცდომის დაშვების უფლება არავისა აქვს. ცოცხალი ენა კი, საპირისპიროდ, თავისი შეცდომებით ცოცხლობს. სწორედ ამ

7 ჟოზეფ ვანდრიესი (1875-1960) – ფრანგი ლინგვისტი, კელტოლოგი და ინდოევროპეისტი (მთარგმ.).

გარემოებით აიხსნება ის სახალისო მდგომარეობა, რომელშიც დღეს ლინგვისტიკაა: ადრე მის მიერ შექმნილი გრამატიკა და ლექსიკონი გარდუვალად ივსება იმ გამოკვლევათა ფართო სპექტრით, რომლებიც შეცდომათა მიზეზებსა და მათი დაშვების შესაძლებლობებს ეძღვნება, ვიმეორებ, შეცდომებისა, რომელთაც, რასაკვირველია, სადღეისოდ დადებითი როლი ითამაშეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მსგავსი გამონაკლისები იმგვარადვე ნიშანდობლივია ენისათვის, როგორც – წესები. ტრადიციულ ლინგვისტიკას შემოკრული კვლევათა ეს ველია სტილისტიკა. მოვიყვან მხოლოდ ყველაზე გასაგებ და ტრივიალურ მაგალითს. როცა ვიღაც ყვირის „ხანძარი!“ – ის გრამატიკას შეურაცხყოფს და აი, რატომ: მსგავსი ამოძახილით ჩვენ ყოველთვის რაღაცას გამოვთქვამთ. ყველა გრამატიკულად სწორი გამოთქმა კი, ჩვეულებრივ, რეალიზაციისათვის ითხოვს სრულ ფრაზას (როგორც ჯერ კიდევ არისტოტელე შენიშნავდა, ცალკეული სიტყვა არაფერს გამოხატავს). ჩვენს მაგალითში მოტანილი ფრაზა, შესაძლოა, ასეც ამოეთქვათ: „ცეცხლმა გამოიწვია ხანძარი და სახლი იწვის“. მაგრამ პანიკამ და სიცოცხლის უშუალო საფრთხემ, რაც ამ სიტუაციას მოჰყვება ხოლმე, აიძულა ადამიანი, უარი ეთქვა იმ გრძელი ფრაზული ფორმის გამოყენებაზე, რომელსაც ტრადიციული ლინგვისტიკა ითხოვს. ამის შედეგად, მთელი წინადადება ერთ საგანგაშო სიტყვად შეიკუმშა.

როგორც ვხედავთ, სტილისტიკამ, გრამატიკისაგან განსხვავებით, სამეცნიერო კვლევის სფეროში ჩართო ისეთი უტყვი ელემენტი, როგორიცაა ემოციური მდგომარეობა და კონკრეტული სიტუაცია, რომელშიც ვიღაც

ლაპარაკობს, სხვაგვარად, სწორედ ის, რაც, როგორც ადრე დავრწმუნდით, სრულიად განუყოფელია სიტყვისაგან და ამის მიუხედავად, მას ძალით მოწყვიტეს ლექსიკონებსა და გრამატიკაში. ეს კი ნიშნავს, რომ სტილისტიკა, მოარული აზრის საპირისპიროდ, სულაც არ არის გრამატიკის ერთგვარი დანამატი. პირიქით, ის ახლადაღმოცენებული ლინგვისტიკაა, რომელმაც გაბედა, ენას კონკრეტულ რეალობასთან მიახლოებული პოზიციით მიდგომოდა. გავრისკავ კიდეც და ვივარაუდებ, რომ მთავარი დანიშნულება სტილისტიკისა, რომელიც ცოტა ხნის წინ წარმოიშვა ლექსიკისა და გრამატიკის უცნაურ დამატებად, ისაა, რომ შეითავსოს ეს ორი დისციპლინა და ბარემ, მთელი ლინგვისტური პრობლემატიკაც ხელყოს. დიდი ხნის განმავლობაში მე ვავითარებ ახალი ფილოლოგიის დებულებას, რომლის უცილო უპირატესობას ვხედავ ენის ერთიან რეალობად შესწავლაში. ანუ იმ სახით, როგორშიცაა, როცა ცოცხალი, ჭეშმარიტი გამოთქმა განიხილება და არა – მკვდარი, თავის ცოცხალ სხეულს დაცილებული ანასხეპი. ახალი ფილოლოგია, მაგალითად, მოვალეა, ფორმალურ ლინგვისტურ პრინციპად ჩამოქნას ერთი ძველებური წესი (აქ ის მხოლოდ მისი შედარებით სიმარტივის გამო მომყავს), რომელიც ყოველთვის პრაქტიკული ჰერმენევტიკის ორიენტირი იყო და რომელიც ასე ჟღერს: Duo si idem dicunt, non est idem – „როცა ორნი ერთსა და იმავეს გამოთქვამენ, სინამდვილეში სხვადასხვა რამეს ამბობენ“.

ლინგვისტიკამ – ფონეტიკა იქნება ეს, გრამატიკა თუ ლექსიკა – ენის, როგორც ასეთის შესწავლის ნიღბით, გამოიკვლია ერთგვარი აბსტრაქცია, რომელსაც „ენა“

უწოდა. ენა კი, თუკი მისი ფორმალურად დასაზღვრის ნებას მოგვცემენ, სულაც არ არის აბსტრაქცია, არამედ როგორც გითხარით, ნამდვილი სასწაულია, რომელსაც უნდა ჩაწვდე, ვიდრე ადამიანთა და საზოგადოების შემსწავლელი მეცნიერების რომელიმე ფენომენს შესწავლიდე. თუმც, ლინგვისტები ენას ჯერ მხოლოდ მიუახლოვდნენ, რადგან ის, რასაც ისინი ამ ცნებაში გულისხმობენ, სინამდვილეში არ არსებობს, არამედ მხოლოდ ერთგვარი ხელოვნური და უტოპიური სქემაა, თვით ენათმეცნიერებისავე მიერ შექმნილი. სინამდვილეში ენა არასოდესაა რაღაც შექმნილი, დასრულებული, სხვაგვარად რომ ვთქვათ, „ფაქტი", რადგან ის არასოდეს „უქმნიათ", არასოდეს „სრულუყვიათ". ენა მუდმივად ქმნის საკუთარ თავს, ქმნის და ამავე დროს, ანგრევს, სპობს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ენა, ერთსა და იმავე დროს მუდმივად თვითქმნადობის პროცესშიცაა და თვითგანადგურებასაც განიცდის. აი, რატომაა, რომ დიდი ინტელექტუალური გმირობა, განსახიერებული თანამედროვე ლინგვისტიკის მიერ, ავალებს ამ უკანასკნელს – კეთილშობილებას ხომ თან სდევს მოვალეობა – ამჯერად მეორედ, ენერგიულად და ზუსტად მიუახლოვდეს ენის რეალობას. ეს დისციპლინა ამას მხოლოდ მაშინ მიაღწევს, როცა თავისი საგნის სერიოზულ შესწავლას დაიწყებს, მაგრამ არა როგორც მზადმყოფისა და დასრულებულისა, არამედ, როგორც ჩამოყალიბების პროცესში არსებულისა, ანუ მყოფისა in statu nansendi. ეს იმას ნიშნავს, რომ ლინგვისტიკამ ენა შეისწავლოს თავისი სილრმით, რომელიც მის ძირებშია მიმალული. შეცდომა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ დასახული მიზნის მისაღწევად ლინგვისტიკისთვის საკმარისი იქ-

ნებოდა ყველა წინამავალი ენობრივი ფორმის რეკონსტრუქცია ანდა – უფრო ზოგადად – ფორმების აღდგენა მათი განსაზღვრული ტიპის კვალობაზე, რომელიც ოდესღაც ჩამოყალიბდა. ეს ამოცანა ლინგვისტიკამ წარმატებით გადაჭრა და დიდად ფასეული ცოდნაც დააგროვა. ამასთან მთელი ეს ე.წ. „ენის ისტორია“ მხოლოდ გრამატიკათა და ლექსიკათა იმ ფორმით მოცემული წყებაა, რომელიც ენის ყველა ადრეული მდგომარეობისათვის იყო ნიშანდობლივი. არსებითად, ენის ისტორია მხოლოდ ენათა რიგია, რომელიც ერთმანეთს მოსდევს. ჩამოყალიბება, რაც ენას, როგორც ასეთს, ახასიათებს, სრულიად უკვლევი დარჩა.

ამ პრობლემის შესწავლისათვის საჭირო არ არის წარსულში ჩაღრმავება, თუმც ეს ყოველთვის უაღრესად სასარგებლოა. ენა მუდმივად ქმნის საკუთარ თავს და თვითვე ინადგურებს. ამიტომ მისი ჩამოყალიბების მიკვლევა თანაბარი წარმატებითაა შესაძლებელი როგორც წარსულში, ისე – აწმყოში. ერთი რამ უდავოა: წარსული მთავარია, მაგრამ უმთავრესი ისაა, რომ ლინგვისტიკამ თავს იდოს ენის მაცოცხლებელი ძირების მიკვლევა, იმ მომენტებისა, სადაც თვით სიტყვა ჯერ არ სრულქმნილა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მიკვლევა მისი გენეზისისა.

ჩემი ახალი ლინგვისტური მოძღვრების შეკუმშულად წარმოდგენა ასე ძალმიძს: ლაპარაკი – ძირითადად ნიშნავს (თუ რატომ „ძირითადად“, მოგვიანებით ვნახავთ) ენის ისე შენახვას, როგორც – ჩვეულებისა. მაგრამ ენის დაცვა, როგორც ჩვეულებისა, ადასტურებს, რომ ენა უკვე სრულქმნილია და თავს ჩვენს გარშემო არსებულ-

მა საზოგადოებამ მოგვახვია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ენა უკვე შექმნილია. მაგრამ ქმნადობა არ არის უბრალო ლაპარაკი. პირიქით, ქმნადობა ენის გამოგონებას გულისხმობს, მისი ახალი მოდუსების აღმოჩენას და, შესაბამისად, მისი აბსოლუტური, თავდაპირველი ქმნადობის მიკვლევას. ახალი მოდუსები და გამოყენების საშუალებები წარმოიქმნება მხოლოდ იმიტომ, რომ ენის განკარგულებაში არსებული უკვე არსებული მოდუსები საკმარისი არ არის ყველაფერ აუცილებლის გამოსახატად და გამოსათქმელად. გამოთქმა ანუ თვითგამოხატვის, ახსნა-განმარტების ნება განსაკუთრებული მოღვაწეობაა, ის ფუნქციაა, რომელიც წინ უსწრებს თვით ლაპარაკს, თვით მეტყველებასა და ენის იმ არსებობას, რომელშიც ის წარმოდგება.

გამოთქმა ქმნის ყველაზე ღრმა ენობრივ ფენას, რომელიც ლაპარაკზე გაცილებით ღრმაა. და ამ უღრმესი პლასტების მოძიება ლინგვისტიკის პირდაპირი ამოცანაა. ადამიანი, არსებითად, გამომთქმელი არსება რომ არ იყოს, ანუ ის, ვისაც ეთქმის, მაშინ არავითარი ენა არ იარსებებდა. ამიტომ გთავაზობთ ახალი დისციპლინის შექმნას, რომელიც ენის შესახებ ყველა არსებული ცოდნის ქვაკუთხედად უნდა იქცეს, და მიმაჩნია, რომ კვლევის ამ სფეროს უნდა ეწოდოს გამოთქმის თეორია. მაგრამ მაინც რატომ უჩნდება ადამიანს გამოთქმის მოთხოვნილება, რატომ არ დუმს, როგორც საბოლოოდ დუმან სხვა დანარჩენი ცოცხალი არსებები და იფარგლებიან მხოლოდ სიგნალის მიცემით მსგავსთა მიმართ ყვირილის, სიმღერის, ღმუილის საშუალებით, სიგნალთა ერთიანობით პრაქტი-

კულ სიტუაციებში, ბუნებამ ერთხელ და სამუდამოდ რომ დაუსაზღვრათ? მაგალითად, ფონ ფრიშმა[8] საკმაოდ ზუსტად მოახერხა ნახატების სერიის შექმნა, რომელნიც გამოისახება ჰაერში ფუტკრების ფრენისას და რომელთაც თან სდევს სრულიად განსაზღვრული ბზუილი და ხმაური. ამ ქმედებათა ერთიანობის შემწეობით ფუტკარი მოცემული სიტუაციის შესაბამის სიგნალს „აძლევს" სხვა ფუტკრებს. თუმც, მოცემული სიგნალები შეუძლებელია ფუტკრის „გამონათქვამებად" მივიჩნიოთ, საქმე გვაქვს მხოლოდ სხვადასხვა სიტუაციებით გამოწვეულ ავტომატურ რეფლექსებთან.

ერთ იმ დაბრკოლებათაგანი, რომელიც ნებას არ გვაძლევს ვილაპარაკოთ გამოთქმის, როგორც საკუთრივ ადამიანური ფუნქციის შესახებ, ის მიდგომაა, რომლის დროსაც ენა განიხილება იმის გამოხატულებად, რის შეტყობინებაცა და სიტყვებით გადმოცემა გვსურს, მაშინ, როცა დიდი ნაწილი იმისა, რის შეტყობინებასა და სიტყვებით გადმოცემას ვლამობთ, ორი განზომილებით გამოუთქმელი რჩება. პირველი განზომილება თვით ენობრივი მოღვაწეობის ზემოთაა, მეორე – ქვემოთ. ზემოთაა ყოველივე ის, რისი გამოთქმაც არ შეიძლება, ანუ რაც არ გამოითქმის. ქვემოთ – ყოველივე ის, რასაც არ ვამბობთ და თავისთავად იგულისხმება. და სწორედ მაშინ მსგავსი თავშეკავება მუდმივად მოქმედებს ენაზე, მის ახალ ფორმებს წარმოქმნის. ჯერ კიდევ ჰუმბოლდტი აღნიშნავდა: „ნებისმიერ ენაში ერთი მისი ნაწილი ყოველთვის ექსპრესიულადაა აღნიშნული და მკაფიოდ გამოხატული, მეორე კი, დამატებითი, ყოველ-

---

8 კარლ რიტერ ფონ ფრიში (1886-1982) – ავსტრიელი ეთოლოგი, ნობელის პრემიის ლაურეატი (1973წ.) (მთარგმ.).

თვის განზე რჩება, იგულისხმება. ჩინურ ენაში პირველსა და მეორეს შორის ურთიერთშესაბამობა ძალზე მცირეა." და შემდეგ განაგრძობდა: „ნებისმიერ ენაში სამეტყველო კონტექსტი წინ უსწრებს გრამატიკას. ჩინურში ის საერთო საფუძველია ურთიერთგაგებისა და, ხშირად, თვით კონსტრუქცია მხოლოდ მისგან მომდინარეობს. თვით ზმნაც კი შესაძლებელია გაგებულ იქნას ზმნის შესახებ არსებული ცნების წყალობით." ანუ ზმნა იბადება ზმნური ქმედებების იდეიდან, რომელიც, თავის მხრივ, კონტექსტიდან მომდინარეობს. მხოლოდ ზემომოყვანილი დასკვნების გათვალისწინებით შეიძლება უქვემდებარეო წინადადების გაგება, დაახლოებით, ამ ტიპისა: „ცრის!", ასევე, ასეთი წამოძახილებისა: „ხანძარი!", „ქურდები!", „წავედით!" მაგრამ თუ ადამიანი გამომთქმელი არსებაა, სრულიად აუცილებელია იმის გარკვევა, კერძოდ რას გამოთქვამს, აგრეთვე, რა აიძულებს, გამოთქვას, ან – პირიქით, გამოთქმისაგან თავი შეიკავოს, დადუმდეს. აშკარაა, რომ გამოთქმის სწორედ ასეთმა მოთხოვნილებამ – თანაც ეს მოთხოვნილება სავსებით გარკვეული და კონკრეტულია, რადგან ქმნის იმის მკაფიო სისტემას, რის გამოთქმაც ეგების, – შექმნა და შემდგომად განავითარა ენები. და მხოლოდ ახლა ძალგვიძს ადამიანის მიერ შექმნილი გამოთქმის ამ იარაღის განსჯა.

ყოველთვის, როცა ადამიანი ლაპარაკს იწყებს, თან სდევს შეგნება, რომ შეძლებს ნაფიქრალის გამოთქმას. მაგრამ ეს ილუზიაა, რადგან ამისთვის მხოლოდ ენა არ კმარა. ენა ხომ, ასე თუ ისე, იმის მხოლოდ მცირე ნაწილს გადმოსცემს, რასაც ჩვენ ვფიქრობთ და ქმნის დაბრკოლებებს სხვა დანარჩენის გადმოსაცემად. მაგალითად, ენა ვარგისია მათემატიკურ თეორიათა და მტკიცებათა გადმოსაცე-

მად. მაგრამ როგორც კი საუბარი ფიზიკას ეხება, ის მაშინვე ამჩნევს საკუთარ ორაზროვნებას და ნაკლულობას. და რაც უფრო სავსე, ადამიანური და რეალური ხდება თემა, მით ინტენსიურდება ენობრივი უზუსტობა, იდუმალება და უგერგილობა. ჩვენ შევეჩვიეთ დამკვიდრებულ ცრურწმენას, თითქოს, „საუბრისას ერთმანეთის გვესმის“, და იმდენად გვჯერა ყველაფერი თქმულის, რომ საბოლოოდ ისეთი მოტყუებულნი ვრჩებით, ჯობდა, საუკუნოდ დავმუნჯებულიყავით და უბრალოდ, სხვათა აზრების კითხვა შეგვძლებოდა. მეტიც: რადგან თვით აზროვნება დიდწილად ენას ეფუძნება – თუმც, სხვათაგან განსხვავებით, ეს დამოკიდებულება აბსოლუტური არა მგონია – საბოლოოდ გამოდის, თითქოს, ფიქრი საკუთარ თავთან ლაპარაკს ნიშნავდეს და, შესაბამისად, საკუთარი თავის ცუდად გაგებას. საკუთარი თავის გაუგებრობას კი საბედისწერო შედეგები მოსდევს.

1922 წელს პარიზში შედგა ფილოსოფოსთა საზოგადოების შეკრება, რომელიც ენის განვითარების პრობლემებს მიეძღვნა. სენის ნაპირების მკვიდრი ფილოსოფოსების გარდა მონაწილეობდნენ ფრანგული ლინგვისტური სკოლის, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ორგანიზაციის წევრებიც. და აი, ვკითხულობ დისკუსიის მოკლე მიმოხილვას და შემთხვევით წავაწყდი მეიეს[9] ზოგიერთ გამოთქმას – მეიე თანამედროვე ლინგვისტიკის შეუდარებელი კორიფეა – რომელთაც პირდაპირ თავზა-

---

9 ანტუან მეიე (1866-1936) – ფრანგი ლინგვისტი. აღსანიშნავია მისი ნაშრომები შედარებით-ისტორიულ ენათმეცნიერებაში, ინდოევროპეისტიკაში, სლავისტიკაში, ლათინურ და ბერძნულ ენებში, ირანისტიკაში, არმენისტიკაში (მთარგმ.).

რი დამცეს. „ყველა ენა, – ამტკიცებს მეიე, – გამოხატავს საზოგადოებისათვის ყოველივე აუცილებელს; ენა ამ საზოგადოების ორგანოა. ნებისმიერი ფონეტიკური წყობა და გრამატიკა ვარგისია იმისთვის, რომ ის გამოთქვა, რაც საჭიროა.“ მიუხედავად მეიეს ხსოვნისადმი დიდი პატივისცემისა, ამ სიტყვებში ბევრი რამ გადაჭარბებულია. რა აძლევს უფლებას მეიეს, თავისი კატეგორიული მსჯელობა ჭეშმარიტებად მიიჩნიოს? თვით პრობლემაც კი სცდება ლინგვისტიკის ვიწრო საზღვრებს. ლინგვისტმა ხომ ამა თუ იმ ხალხის მხოლოდ ენა იცის და არა – აზროვნება. მსგავსი დოგმა რომ ამტკიცო, საჭიროა, ჯერ ერთი, აზროვნება ენებით განსაზღვრო და, მეორეც: მათი იგივეობის კონსტატირება მოახდინო, მაგრამ ამ პირობის შესრულებაც კი იმის სამტკიცებლად, თითქოს, ნებისმიერი ენით ნებისმიერი აზრის გამოთქმა შეიძლებოდეს, სულაც არ არის საკმარისი. აუცილებელია იმის დამტკიცებაც, რომ ეს ერთნაირი სისადავითა და უშუალობით ძალუძს ყველა ენას. ენა კი არამხოლოდ ხელს უშლის ზოგი აზრის გამოთქმას, არამედ ამავე მიზეზის გამო ართულებს სხვის მიერ მათ გაგებას, გაგების ზოგი მიმართულების პარალიზებას ახდენს.

ჯადოსნური რეალობის წვდომა, ენა რომ ჰქვია, შეუძლებელია იმ უეჭველი ფაქტის სრული გაცნობიერების გარეშე, რომ მეტყველება სწორედ თავშეკავებიდან, სიჩუმიდან იბადება. არსებას, რომელსაც არ ძალუძს ბევრი რამის გამოხატვაზე უარის თქმა, საერთოდ არაფრის თქმა არ შეუძლია. ამგვარად განსხვავებული ენები შესაძლოა სხვადასხვაგვარად წარმოდგნენ გამოხატულსა და გამოუხატავს შორის გათანაბრების თვალსაზრისით.

ყველა ხალხი რაღაცას მალავს, რაღაცის გამოთქმისგან თავს იკავებს, რათა დანარჩენი თქვას. რადგან აბსოლუტურად ყველაფრის გამოხატვა შეუძლებელია. ამიტომაა განსაკუთრებით ძნელი ნებისმიერი თარგმანი, რადგან სწორედ ესაა ცდა, გამოხატო რომელიღაც ენაზე ის, რისი თქმისგანაც სხვა ენა თავს იკავებს. ყველა გამოთქმის შესახებ გამოთქმის თეორია უნდა იქცეს ასევე თეორიად იმ განსაკუთრებულ მიჩუმათებაზე, რომელიც სხვადასხვა ხალხისთვისაა ნიშანდობლივი. მაგალითად, ინგლისელები ბევრ ისეთ რამეს არ ამბობენ, რაც ჩვენ, ესპანელებს, გამუდმებით პირზე გვაკერია. და პირიქითაც! თუმც არსებობს ბევრი უფრო სერიოზული მიზეზი, რომელთა გამოც ლინგვისტიკა „გამოთქმის თეორიას“ უნდა მიუბრუნდეს. აქამდე ლინგვისტიკა არსებულ ენას სწავლობდა, ანუ ისეთს, როგორიც წარმოგვიდგა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ლინგვისტიკა სწავლობდა ენას, როგორც მომხდარ ფაქტს. მაგრამ ენა, ხისტად რომ ვთქვათ, არასოდესაა რამე დასრულებული, ის ყოველთვის ქმნის თავის თავს და თვითონვე ანგრევს, რადგან ეს ზოგადად, კაცობრიობის თავისებურებაა. ლინგვისტებს სწამთ: ეს საკითხი ისე უნდა გადაწყდეს, რომ შეისწავლონ ენის არამხოლოდ თანამედროვე მდგომარეობა, არამედ განიხილონ მისი ევოლუცია, ისტორიული განვითარება. საქმე ეხება სოსიურის მიერ ლინგვისტიკის დანაწილებას, ანუ დაყოფას სინქრონიად, რომელიც სისტემას ჩამოყალიბებული სახით იკვლევს და, დიაქრონიად, რომელიც ყურადღებას აპყრობს დროში ენობრივი მოვლენების ტრანსფორმაციას. მაგრამ მსგავსი დაყოფა დიდად უტოპიურია და ვერანაირად ვერ გვაკმაყოფილებს. უტოპი-

ურია თუნდაც იმიტომ, რომ ენის შემადგენლობა არასოდესაა დუნე, უსიცოცხლოო. ხისტად რომ ვთქვათ, ენაში საერთოდ არ შეიმჩნევა მისი ყველა კომპონენტის სინქრონული სურათი. მეორეც, უტოპიურია იმიტომ, რომ იგივე დიაქრონია სხვა არაფერია, თუ არა რეკონსტრუქცია ენის სხვა შეფარდებითი „თანამედროვეობებისა," თანაც იმ სახით, როგორითაც ისინი წარსულში არსებობდნენ. ამგვარად, დიაქრონია გვიჩვენებს მხოლოდ ენობრივ ცვლილებებს და, შედეგად, ჩვენ ვამჩნევთ მხოლოდ ერთი ახლანდელი დროის მეორით შეცვლას, ანუ თვალნათლივ ვხედავთ ენის ზოგ სტატიკურ სურათს, რომელთა შედარება შეიძლება რომელიღაც ფილმთან, სადაც ერთმანეთის მონაცვლე უძრავი სახეები მაყურებელს მოძრაობის ილუზიას აღუძრავენ. საუკეთესო შემთხვევაში, დიაქრონიას ძალუძს, გვაცნობოს ენის კინემატური ხედვა და არა მისი დინამიკური გაგება, რომელთან ერთადაცაა შესაძლებელი ცვლილებათა წვდომა. ნებისმიერი ცვლილება ზემოთ აღნიშნული ქმნადობისა და განადგურების მხოლოდ შედეგია, ენის მხოლოდ გარეგნული მხარე. ჩვენთვის კი აუცილებელია ენის შინაგანი კონცეპციის შექმნა, სადაც აღმოვაჩენდით არა დასრულებულ ენობრივ ფორმებს, არამედ – უშუალოდ მის მამოძრავებელ ძალებს.

ენის წარმოშობის საკითხს ლინგვისტებმა ტაბუ დაადეს. ეს გამართლებულია, თუ გავითვალისწინებთ ძველი ენობრივი მონაცემების სრულ არარსებობას. მაგრამ ენა, სიმართლე რომ ვთქვათ, არასოდესაა რაიმე დასრულებული, datum (მოცემული), დასრულებული ლინგვისტური ფორმები, უფრო პირიქით, ის გამუდმებით ქმნის საკუთარ თავს. ამა თუ იმ სახით ენის ცხოველმყოფელი

შესაძლებლობანი ამჟამადაც არსებობს. ამიტომაც რეზონულად ძალგვიძს ამ ენობრივი შემოქმედებით პოტენციის გამოყოფა თანამედროვე ენაში და მათი აღწერა. წინასწარ უარის თქმით, ამგვარი ცდებისაგან თავშეკავებით, თვითონვე ვაგებთ შეუვალ წინააღმდეგობებს ენის გენეზისის რამდენადმე წვდომის გზაზე.

ამ მიზეზის გამო ენის წარმოშობის ყველა თეორია ორ უკიდურესობას შორის მერყეობდა: ერთი მხრივ, მიიჩნევდნენ, რომ ენა საღვთო მადლია, მეორე მხრივ – ცდილობდნენ ცოცხალი არსებისთვის ნიშანდობლივი მოთხოვნილებებისაგან მის გათავისუფლებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, უკანასკნელ შემთხვევაში ადამიანთა ენა უთანაბრდებოდა ან ყვირილს, ოხვრას, მოწოდებას (სწორედ ამას ამტკიცებდა არც თუ დიდი ხნის წინათ გ. რევეში[10]), ან – სიმღერას, ჩიტების ანალოგიით (დარვინი, სფენსერი). ამავე იდეას ადასტურებს თითქოს ისეთი მოვლენები, როგორებიცაა შორისდებულები, ბგერათა მიბაძვა და სხვ. ამ შემთხვევაში ისევე, როგორც სხვა დროს, თეოლოგიური ახსნა ყველა ახსნის საწინააღმდეგოა, რამეთუ მტკიცება, თითქოს, ღმერთმა ადამიანი „გონიერ ცხოველად“ შექმნა ანუ უბრალოდ მიანიჭა მას ე.წ. „რაციონალობა,“ რომელიც თავის მხრივ, ენის ფლობასაც ნიშნავს, ან უფრო მარტივად, დებულება, თითქოს, ენა ადამიანს ღმერთმა უბოძა – იმის ტოლფასია, აღიარო: არც „რაციონალობა“ საჭიროებს რაიმენაირ განმარტებას და არც – ენა. სინამდვილეში გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას: თვით ადამიანი არასოდეს ყოფილა რაციონალური და არც ახლა შეიძლება ასეთად მისი მიჩნევა. არსებითად, ლაპარაკია რომე-

10 გეზა რევეში (1878-1955) – უნგრელი ფსიქოლოგი (მთარგმ.).

ლიღაც ბიოლოგიურ სახეობაზე, რომელიც წარმოიშვა – უკანასკნელი მონაცემებით – დაახლოებით მილიონი წლის წინათ. უდავოა, ევოლუციისას, ანუ თავისი ისტორიის განმავლობაში, ადამიანი დაადგა გზას, რომელმაც ათასწლეულების შემდეგ, შესაძლოა, ჭეშმარიტ რაციონალობამდე მიიყვანოს. მაგრამ სადღეისოდ მხოლოდ ძალზე პრიმიტიული ინტელექტუალური შესაძლებლობებით უნდა დავკმაყოფილდეთ, რომლებიც, ვიმეორებთ, მხოლოდ ფარდობითად შეიძლება „რაციონალურად“ ჩაითვალოს. ამასთან ენის წარმოშობის ახსნის ცდა, გამომდინარე ცხოველური თავისებურებებიდან, უხეშ შეცდომად მიიჩნევა, რადგან ამ შემთხვევაში სრულიად გაუგებარია, სხვა დანარჩენმა ბიოლოგიურმა სახეობებმა რატომ ვერ მიაღწიეს განვითარების ისეთ საფეხურს, როცა საკუთარი ენის შექმნას თვითვე შეძლებდნენ. ფაქტობრივად, მსგავსი „ბიოლოგიური“ თეორიები მიაწერენ ადამიანურის ტოლფას თავისებურებებს ყველა სხვა არსებას, მაგრამ სულაც არ არის აუცილებელი, რომ ცოცხალ არსებათა ამგვარი შესაძლო ენები ასევე დანაწევრებულ სამეტყველო სისტემას წარმოადგენდნენ. პრინციპში, ამას ყვირილის ენაც შეძლებდა. ცხოველთა ბევრ სახეობას ხომ – არა მარტო პრიმატებს – აქვთ ტვინის ერთგვარი „ელექტრონული“ მოწყობილობა, რომელსაც დაუძაბავად ძალუძს მეხსიერებაში შეინარჩუნოს ათასგვარი ყვირილის სისტემა, თანაც ისეთი რთულისაც, რომელიც თავისუფლად შეიძლება „ენას“ შევადაროთ, თუმც, ამ შემთხვევაში მეტყველების ორგანო არა იმდენად ენაა, რამდენადაც – ყელი.

სავარაუდოა, რომ ადამიანში „ადამიანურობის“ გაჩენის წამიდან წარმოიქმნა ურთიერთობის დაუოკებელი

მოთხოვნილება, რომელიც აბსოლუტურად აღემატება ყველა სხვა ცხოველის მსგავს სურვილს. და ეს საგანგებოდ იმ ცხოველში უნდა ჩასახლებულიყო, რომლიდანაც მოგვიანებით ადამიანი წარმოიშვა, ვინაიდან სწორედ ამ ცხოველს სურდა ძალიან ბევრის, არანორმალურად ბევრის თქმა. ამგვარად, ადამიანში მკვიდრობდა რაღაც, რაც არ გააჩნდა რომელიმე სხვა ცხოველს: ეს ავსებდა მის „შინაგან სამყაროს», რომელიც მას რაღაცნაირად უნდა გამოეხატა, გამოეთქვა. მიგაჩნდეს, რომ ეს რაციონალური სამყარო იყო – უხეში შეცდომაა. ხისტად რომ ვთქვათ, ამჟამინდელ „რაციონალობაში“ გარდუვალად აღწევს ინტელექტუალური ჩვევები, რომლებიც კაცობრიობის მთელი ისტორიის განმავლობაში კოლოსალური დაძაბულობის შედეგად გამომუშავდა და რომლებიც, რადგან თავდაპირველად არ არსებობდნენ, უშუალოდ მოჰყვნენ გადარჩევას, აღზრდას, შინაგან დისციპლინას. იმ ცხოველში, რომელიც შემდეგ „ადამიანად“ იქცა, უნდა წარმოქმნილიყო განსაკუთრებით მდიდარი და უჩვეულოდ განვითარებული წარმოსახვის ორიგინალური ფუნქცია ანუ ფანტაზია. ისტორიულად მტკიცდებოდა სწორედ ეს ფუნქცია, ვითარდებოდა, ხანგრძლივ სავარჯიშოებს უძღვებდა, რამაც, თავის მხრივ, ფანტაზია იმად გადააქცია, რასაც ჩვენ რიხიანად „გონებად“ ვიხსენიებთ. რა ძალამ გააჩინა ამ რომელიღაც ზოოლოგიურ სახეობაში ფანტაზიის უშრეტი წყარო ანუ განსაკუთრებით განვითარებული წარმოსახვა – ამაზე გაკვრით ვისაუბრე წინა ლექციაზე, ამასთან, ჩემს ერთ-ერთ ნაშრომშიც. ამ თემის გასაშლელად ახლა უბრალოდ დრო არა გვაქვს. და მაინც მცირედ გადავუხვევ სათქმელს და მოგახსენებთ:

თეოლოგების საპირისპიროდაც, რომლებიც ადამიანს ღვთის განსაკუთრებულ ქმნილებად მიიჩნევენ და, ზოოლოგიური კონცეპციისგან განსხვავებითაც, რომელიც ცხოველური სამყაროს ნორმალურ ფარგლებში ცდილობს ჩვენს ჩადულაბებას, ადამიანს ერთგვარ არანორმალურ ცხოველად მივიჩნევ. ადამიანის არანორმალურობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი აღსავსეა ხატ-სახეებით, ფანტაზიით, რომელმაც მოიცვა იგი, მძლავრ ნაკადად მიმოიქცა მასში, შექმნა ის, რასაც „შინაგანი სამყარო“ ეწოდება. აი, რატომაა ადამიანი – ამ სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობით – ფანტასტიკური ცხოველი. ამ საუნჯემ, რომელსაც ადამიანი ატარებს და სხვა ცხოველთათვის უცხოა, მიანიჭა ადამიანურ თანაგანცდას, ადამიანური ურთიერთობების ტიპს სრულიად ახალი ხასიათი. ამიერიდან ლაპარაკია არა მხოლოდ სიტუაციიდან გამომდინარე უტილიტარულ სიგნალთა მიღებასა და გაცემაზე; საქმე ეხება გადაუდებელ მოთხოვნილებას, გამოხატოს საკუთარი სანუკვარი სამყარო, რომელიც შინაგანად ხეთქს ადამიანს, სიმშვიდეს სტაცებს, აღაგზნებს და შფოთითა და ძრწოლით ავსებს. ეს შინაგანი სამყარო ადამიანისაგან დაჟინებით ითხოვდა გარეთ გასაღწევს, მასში ურთიერთობის ჭეშმარიტი მონაწილეობის – ერთი სიტყვით – ახსნა-განმარტების წყურვილს შობდა. ენის გენეზისის გასაგებად ზოოლოგიური უტილიტარიზმი საკმარისი არ არის. აქ არ შეიძლება შემოფარგვლა უბრალო სიგნალებით, რომლებიც ასოცირდება რაღაც ჩვენს მიღმა მომხდართან, ანუ სიტუაციასთან, რომლის აღქმაც ძალგვიძს.

აბსოლუტურად აუცილებელია წარმოვიდგინოთ, რომ ყველა იდუმალ არსებაში საკუთარი სულის სხვისთვის

ჩვენების უზარმაზარი ვნებაა, იმის თქმის ჟინია, რაც „შიგნით“ მომწიფდა და, კერძოდ – სანუკვარი წარმოსახვითი სამყარო; ერთი სიტყვით, იქ სულდგმულობდა აღსარების დიდი ლირიკული მოთხოვნილება, მაგრამ რადგანაც შინაგანი სამყაროს ხატ-სახენი უშუალო აღქმას არ ექვემდებარება, მათი გადმოცემა „სიგნალით“ შეუძლებელია; ვინმეს შინაგანი სამყარო მეორემდე რომ მიიტანო, სიგნალი თავისი წმინდა სახით, გარდუვალად უნდა იქცეს გარკვეულ გამოხატვად, სხვა სიტყვებით, ამგვარი ნიშანი თვითვე უნდა გულისხმობდეს რაღაც აზრს, რაღაც მნიშვნელობას. მხოლოდ ცხოველი, რომელსაც მართლაც სურდა „ბევრის თქმა,“ და სწორედ იმაზე, რაც „აქ“ არ არის, გარესამყაროში არ არსებობს, ამბობს უარს სიგნალთა უბრალო ერთიანობაზე, რადგან ზუსტად ესმის მისი შეზღუდულობა. ამ აღმოჩენამ, უცილოა, ეს ცხოველი აიძულა კავშირი გაეწყვიტა კომუნიკაციის მსგავს ნაკლულ საშუალებასთან და ეცადა მისი გადალახვა. საინტერესოა, რომ აღნიშნული „წყვეტა,“ როგორც ჩანს, არა მხოლოდ უშუალოდ უკავშირდება ენის „გამოგონებას,“ არამედ უდავოდ დღემდე გრძელდება და მცირე ქმნილებათა სერიად გარდაიქმნება. ესაა ინდივიდის მარადიული კონფლიქტი, რომელიც ესწრაფის რაღაც ახლის გამოთქმას, რაც მის სულში იშვა და სხვათათვის უცხოა; ესაა პიროვნების კონფლიქტი უკვე დადგენილ და წინასწარგანსაზღვრულ ენასთან, ან არადა, გამოთქმის ნაყოფიერი შეჯახება მეტყველებასთან.

ამ გარემოებებმა მომანიჭეს უფლება, წინასწარ მეთქვა, რომ ენის წარმოშობის პრობლემა, ნაწილობრივ, ახლაც შეიძლება ვიკვლიოთ. ენა, მეტყველება, ან ის, რაც

გამოითქმის, – კოლოსალური სისტემაა იმ სიტყვიერ ჩვეულებათა, რომლებსაც განსაზღვრული საზოგადოება აღიარებს. ინდივიდი, პიროვნება ამ ჩვეულებათა სახით იმთავითვე განიცდის ენობრივ იძულებას. ამიტომ მშობლიური ენაა ყველაზე ნათელი და ტიპური საზოგადოებრივი მოვლენა. სწორედ ის აძლევს საშუალებას „სხვებს“ შემოაღწიონ ჩვენში და საუკუნოდ დაფუძნდნენ, რაც თითოეულ ინდივიდს „ხალხის“ კერძო შემთხვევად აქცევს. მშობლიური მეტყველება ახდენს ჩვენი სანუკვარი სამყაროს უღრმეს ფენათა სოციალიზაციას, და ამიტომაც ნებისმიერი ინდივიდი, ამ სიტყვის ხისტი მნიშვნელობით, საზოგადოებას ეკუთვნის. რა თქმა უნდა, ცალკეულ ადამიანს შეუძლია იმ საზოგადოებიდან გაქცევა, რომელშიც დაიბადა და აღიზარდა, მაგრამ მაშინაც კი საზოგადოება გააფთრებით დაედევნება ლტოლვილს, რადგან ყველა ინდივიდი საზოგადოების მარადიული მატარებელია. აი, ჭეშმარიტი არსი დებულებისა, რომლის თანახმადაც, ადამიანი საზოგადოებრივი ცხოველია (თუმც, არისტოტელემ თქვა „პოლიტიკური ცხოველია“ და არა „საზოგადოებრივიო“;). ადამიანი სოციალურია, საზოგადოებას ეკუთვნის მაშინაც კი, როცა მას დიდად არ ხიბლავს ურთიერთობა. მისი სოციალობა, ანუ ამა თუ იმ საზოგადოებისადმი კუთვნილება მის გულღიაობაზე არ არის დამოკიდებული. მშობლიური ენა საუკუნოდ ტვიფრავს ადამიანს. და რადგანაც ყველა ენა გულისხმობს სამყაროს აბსოლუტურად თვითმყოფ სურათს, ის გარდუვალად აჯილდოებს ადამიანს რამდენიმე განსაზღვრული შესაძლებლობით, და ამასთან, არსებითად ზღუდავს კიდეც მას. აი, სად ვხედავთ მკაფიოდ, თუ როგორ ხდება

მოვლენა – „ესა თუ ის ადამიანი“ უმაღლესი კლასის აბსტრაქცია! ყოველივე, რაც ადამიანში სანუკვარია, წინასწარ არის განსაზღვრული და ფორმულირებული ამა თუ იმ საზოგადოებით.

მაგრამ ესეც სიმართლეა: ის, ვისაც უაღრესად პიროვნულისა და, შესაბამისად, სრულიად ახლის გამოხატვა სურს, წესისამებრ, ადამიანთა მეტყველებაში, ენაში ვერ პოულობს იმ სიტყვიერ ჩვევას, ადეკვატურად რომ ეთანადებოდეს მის გამოთქმას. მაშინ ინდივიდი ახალ გამოთქმას ქმნის. და თუ გაუმართლა და სხვა ბევრიც გაიმეორებს, ეს გამოთქმა, შესაძლოა, ახალ ენობრივ ჩვევად ჩამოყალიბდეს. ამგვარად, ყველა სიტყვა და ფრაზეოლოგიური საქცევი იმთავითვე იყო ცალკეულ ადამიანთა მიერ შექმნილი, რომლებიც შემდგომ მექანიკურ ყოფით ჩვეულებად გარდაისახნენ. მსგავსი დეგრადაცია აუცილებელია, რადგან სიტყვათა და საქცევთა ენაში შემოსვლის მთავარ პირობად გვევლინება და მაინც, ამ პიროვნულ აღმოჩენათა დიდი ნაწილი შედეგს ვერ აღწევს, ანუ რამდენადმე შესამჩნევ კვალს ვერ ტოვებს ენაზე: პიროვნული შემოქმედების ეს აქტები ბევრისთვის გაუგებარია. პიროვნული გამოთქმებისა და ადამიანთა მეტყველების ეს ბრძოლა ენის ყოფის ნორმად იქცა. ცალკეული ადამიანი ყოველთვის საზოგადოების ტყვეა, თუმც კი, ხანდახან, მისგან გაქცევის შესაძლებლობით სულდგმულობს, რათა ცხოვრების დამოუკიდებელ, საკუთარ ფორმას მისდიოს. ამგვარ ცდათაგან ცოტა თუ სრულდება წარმატებით – და მაშინ საზოგადოება აუქმებს ამა თუ იმ ჩვევას და პიროვნების მიერ გამომუშავებულ ახალ ფორმებს აიტაცებს ხოლმე. თუმც, ხშირად, ჩვენ მაინც მსგავს პი-

როვნულ სასოებათა მსხვრევის მოწმენი ვხდებით; ამგვარად ენაში ჩვენ ვხედავთ ნებისმიერი სოციალური ფაქტის პარადიგმას. ეთნოგრაფთა მონაცემების თანახმად, ველურებში, ახლაც პირველყოფილი წყობით რომ ცხოვრობენ, ხშირად გვხვდება ისეთი მოვლენა, როცა რომელიმე ახალი სიტუაცია ინდივიდისაგან მოითხოვს მშობლიურ ენაში არარსებული ფონემების წარმოქმნას. ეს ფონემები შემოქმედების შედეგია, რადგან მათი ბგერითი ფორმა წარმოთქმის მომენტში სრულად უპასუხებს იმას, რასაც განიცდის და რის გამოთქმასაც ლამობს ესა თუ ის ინდივიდი. კაცობრიობის განვითარების ადრეულ ეტაპზე ეს ფენომენი, სავარაუდოდ, უფრო ხშირად გვხვდებოდა, რადგან ადამიანური მეტყველება მხოლოდ მაშინ იდგამდა ფესვს და არსებობდა ენის, როგორც ასეთის – თუ შეიძლება ასე ითქვას – „შავი მონახაზი“.

მაგრამ გვაქვს კი საფუძველი ვამტკიცოთ, რომ სწორედ ფონეტიკური ფორმაა მთავარი, გადამწყვეტი მომენტი სიტყვათქმნადობის ზემოაღნიშნულ პროცესში, როგორც ამას დღევანდელი ლინგვისტიკა ვარაუდობს. სინამდვილეში, მყარად მწამს: თვით ფონეტიკაც კი უცილოდ ენის უღრმეს შრეებს უნდა ეფუძნებოდეს.

ენის „დაყვანა“ სიტყვამდე – sensu stricto, ანდა – მის ბგერით მხარემდე აბსტრაქციაა, ანუ რაღაც, კონკრეტულ რეალობას რომ არ ემთხვევა. თანამედროვე ლინგვისტიკის საფუძლად ქცეული ეს აბსტრაქცია დაბრკოლებად არ აღმართულა იმ ფართომასშტაბიანი და ერთგვარად, მკაცრად სანიმუშო კვლევისას, „ენად“ რომ მოვიხსენიებთ. მაგრამ ენათმეცნიერების უდავო წარმატებები იმ პლასტის ღრმა დამუშავებასა და დეტალურ შესწავლას გვავალებს,

რომელიც სულ ახლახან განხილული აბსტრაქციის ფარგლებს მიღმაა. ლინგვისტიკამ, როგორც დავრწმუნდით, უცილოდ უნდა ჩართოს მეტყველების ანალიზში იმის ნაწილი, რაც თვით მასში არ გამოიხატა, გამოუთქმელი დარჩა. და აქ არაორაზროვნად მსურს განვაცხადო! ჩვენი მეტყველება შედგება არა მხოლოდ სიტყვებისაგან, გვერათშეთანხმებათაგან ან ფონემათაგან. დანაწევრებულ გვერათა წარმოთქმა ხომ მეტყველების მხოლოდ ერთი ნაწილია. მისი მეორე მხარე მოიცავს მთელი ადამიანური სხეულის სრულ ჟესტიკულაციას, რომელიც თვითგამოხატვას ესწრაფის. და ეს ჟესტიკულაცია, ბუნებრივია, შედგება არა მხოლოდ მკაფიოდ გამოხატულ მოძრაობათაგან, არამედ, მაგალითად, თვალების, ღაწვების და ა.შ. ტონუსის შესამჩნევ ცვლილებათაგან. ენათმეცნიერები მსგავსი მოვლენების ფასეულობათა ალიარებისთვის დიდი ხანია მზად არიან, მაგრამ ამის მიუხედავად, მათ სერიოზულად არ აღიქვამენ. განა უმჯობესი არ იქნება, სიმართლეს თვალი გავუსწოროთ და გაჭკაცურად გალიაროთ: მეტყველება ჟესტიკულირებას ნიშნავს? ამ ფრაზის არსი უფრო კონკრეტული და პირქუშია, ვიდრე შესაძლოა, ერთი შეხედვით მოგვეჩვენოს.

ცალკეულმა ხალხმა, დიდწილად, დასავლეთის მკვიდრებმა, პრაქტიკულად ორი ასწლეულის განმავლობაში მკაცრად დისციპლინური გახადეს თავიანთი მეტყველება, რის შედეგადაც მათ იმას მიაღწიეს, რომ არსებითად შეზღუდეს, განსაკუთრებულ შემთხვევებში კი, საერთოდ აკრძალეს ყველაზე თვალშისაცემი ჟესტების გამოყენება. მაგალითად მოვიყვანთ ინგლისელებს. Merry England-ის („კეთილი, მხიარული ინგლისი") ხანაში საუბ-

რისას ისინი იმ სიმშვიდითა და უდრტვინველობით ვერ დაიკვეხნიდნენ, დღეს რომ მათ ნიშანდობლივ თავისებურებად მიაჩნიათ. ფალსტაფსა და მისტერ იდენს უფსკრული აცილებთ, რომელმაც უამრავი ჟესტი შთანთქა. როგორ იმოქმედა ამან გამოხატვაზე, არაფერს ვიტყვი. მაგრამ თუ ისტორიული განვითარების ადრეულ ეტაპებს დავუბრუნდებით, ჟესტიკულაციის ინტენსიურ მატებას შევამჩნევთ. აფრიკაში დღესაც შეხვდებით პირველყოფილ ხალხებს, რომელთაც არ ესმით ეთნოგრაფებისა და მისიონერებისა, არადა, მათ სრულყოფილად იციან იქაურთა ენები, თუმც მეტყველებას გამძაფრებულ ჟესტიკულაციას არ ურთავენ. მეტიც: ცენტრალური აფრიკის ზოგი ტომი შებინდებასთან ერთად საუბარს წყვეტს. არ ლაპარაკობენ, რადგან ერთმანეთს ვერ ხედავენ – ვინაიდან უკანასკნელი გარემოება ჟესტიკულაციას საბოლოოდ აუცხოებს მეტყველებისაგან.

მაგრამ მოყვანილი მაგალითები ჯერ კიდევ არ არის საკმარისი საფუძველი ფორმულისა: „მეტყველება ჟესტიკულაციას ნიშნავს.“

გასული საუკუნის დასაწყისში, რომელსაც კანტმა „მეცნიერების საიმედო გზა“ უწოდა, ლინგვისტიკა მაშინვე შეუდგა ენის იმ მხრივ შესწავლას, რომელიც უფრო სასურველი გახლდათ ზუსტი კვლევებისათვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყურადღება მიაპყრეს კაცობრიობის ძირითად სამეტყველო აპარატს, რომელიც ბგერების არტიკულაციას ახდენდა. ასე წარმოიშვა ფონეტიკა. მკაცრი მნიშვნელობით, ეს ტერმინი ჭეშმარიტებას არ შეესაბამება. თვითონ განსაჯეთ – ეს მეცნიერება სულაც არ სწავლობს ენობრივ ბგერებს, როგორც ასეთს; მხოლოდ

სამეტყველო ორგანოების მუშაობას იკვლევს. ამიტომ კლასიფიკაციისას ენობრივ ბგერებს ანიჭებდნენ მოქმედი ორგანოს სახელს; ასე გაჩნდა ქვეყნად ბაგისმიერი, კბილისმიერი და სხვ. ბგერები. სრულიად უეჭველია, რომ ამ მეთოდმა ბრწყინვალე შედეგები მოგვცა. და მაინც, არტიკულაციისთვის სრული უპირატესობის მინიჭება არასაკმარისად გააზრებულია, რადგან ენაზე დაკვირვება მთქმელის პლანში მიმდინარეობს და არა – მსმენელისა. მაგრამ ჩვენ მშვენივრად გვესმის: სიტყვა ამგვარი მაშინ კი არ ხდება, როცა ითქმის, არამედ მხოლოდ მაშინ, როცა ესმით, როცა მას ყურმახვილი ადამიანი იგებს. თვით მთქმელიც კი მუდმივად ცდილობს სრულიად გარკვეული ბგერის მკაფიო არტიკულირებას, სწორედ იმ ფონემის გამოთქმას, რომელიც მან თავდაპირველად უცხო ბაგეთაგან მოისმინა. წინასწარ განსაზღვრულ და მზა ენაში სიტყვების სმენით მოხელთების სამუშაო ყოველთვის პირველადია; შესაბამისად, ენა, უწინარესად, აკუსტიკური ფაქტია. როცა ოცდათხუთმეტიოდე წლის წინათ თავადმა ტრუბეცკოიმ[11] მეტყველების ბგერების, როგორც ასეთთა, შესწავლა დაიწყო იმის გასარკვევად, თუ ფონემის კერძოდ რომელი ნაწილი აქცევს ბგერებს განმასხვავებელ, მადიფერენცირებელ, ანუ სამეტყველო მოღვაწეობის ყველაზე ეფექტურ თვისებად, – თავში მარჯვე აზრმა გაუელვა (რადგან იმჯერად ტერმინი ადეკვატური აღმოჩნდა), თავისი დისციპლინისთვის ფონოლოგია დაერქმია.

---

11 ნიკოლაი ტრუბეცკოი (1890-1938) – რუსი ლინგვისტი, ეთნოლოგი, კულტუროლოგი (მთარგმ.).

უდავოა, ტრუბეცკოის მეთოდმა, განსხვავებით ტრადიციული ფონეტიკისაგან, შესაძლებელი გახადა ბგერის პირველსაწყისთან უფრო მიახლოება. და მაინც, როგორც ჩანს, არც თუ დიდი ხნის წინათ შემოთავაზებული არც ეს თვალსაზრისია საკმარისი ენის მთავარი, საწყისი დახასიათების მისაკვლევად. ფონოლოგია სწავლობს ბგერებს, როგორც ასეთთ. მაგრამ მზა ენაში დამკვიდრებული ეს ბგერები თავდაპირველად ოდესღაც უცილოდ ვიღაცის მიერ წარმოითქვა.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, გამოთქმა ხელახლა იქცევა პირველადად, მაგრამ ფონეტიკასთან შედარებით, სრულიად განსხვავებული მნიშვნელობით. საქმე ელემენტარული გამოთქმა როდია, რომელიც მთლიანად ემყარება წინასწარგანსაზღვრული, წინასწარ ცნობილი ბგერის წარმოთქმის სწრაფვას ან, რომ გავამარტივოთ, მიბაძვაზე დამყარებულ გამოთქმას.

ამ შემთხვევაში იმ არტიკულაციას ვგულისხმობთ, რომელსაც საერთოდ არ გააჩნია, რომელიმე წინასწარგანსაზღვრული ბგერითი მოდელი, ნიმუში... საქმე ეხება მოვლენას, რომელიც არ გახლავთ უბრალო მოწყობილობა, როდესაც მოძრაობა წარიმართება მთქმელისთვის უკვე ცნობილი სიტყვის გარეგანი ბგერითი ხატის შესაბამისად. და რადგანაც ყველა ენა ფონემათა განსაკუთრებული სისტემაა, ფონემათა მიღმა გარდუვალად მოიაზრება რაღაც განსაკუთრებული, საარტიკულაციო მოძრაობის თვითკმარი სისტემა, რომელიც სტიქიურია და არა – წინასწარგანზრახული ან მიბაძვითი. ამ თავისებურებებით აღბეჭდილი მოძრაობა იწოდება გამომხატველად, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჟესტებად. ეს სრულიად

ეწინააღმდეგება იმ მოძრაობებს, რომელთა შემწეობით, ამა თუ იმ მიზნის მიღწევას ვლამობთ.

რა გასაკვირიც უნდა იყოს, ვეჭვობთ, რომ ენის ნებისმიერი ბგერა მართლაც მეტყველების აპარატის ორგანოთა შინაგანი ჟესტიკულაციისაგან წარმოდგება, მათ შორის – ბაგეებისაც. ყველა ხალხში იყო გავრცელებული და ახლაც გავრცელებულია წინასწარგანუზრახველი, არასაჩვენებელი, მაგრამ სრულიად განსაზღვრული არტიკულაციის ტიპი, რომელიც გამოხატავს მისთვის დამახასიათებელ და ყველაზე ხშირად, თვითმყოფი შინაგანი სამყაროს თავისებურებებს. და ვინაიდან სამეტყველო აპარატის მიერ არტიკულირებულ ბგერებს ყოველთვის თან ახლავს ჩვენი სხეულის ჟესტები, ყველა ენის ბგერითი სისტემა გარკვეული პროექციით გარდუვალად გულისხმობს ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხის სულს. თვით ლინგვისტები გვკარნახობენ: რომელიმე ენის სასწავლად ჯერ სხეულის სრულიად კონკრეტული პოზა უნდა მივიღოთ. მაგალითად, ინგლისურ ენაზე სასაუბროდ, პირველ რიგში, ნიკაპი წინ უნდა წამოვწიოთ და კბილი კბილს დავაჭიროთ, შემდეგ კი ვცადოთ ბაგეთა პრაქტიკულად უძრავ მდგომარეობაში მოყვანა, ამგვარად, და მხოლოდ ამგვარად ყალიბდება ინგლისელებში ის ნაკლებგამომხატველი და ზიზღიანი კნავილი, რისგანაც შედგება მშობლიურ ენაზე მათი მეტყველება. ამის საპირისპიროდ, თუ ფრანგულის სწავლას გადაწყვეტთ, საჭიროა მთელი სხეული ერთგვარად ბაგეებისკენ მიდრიკოთ, თითქოს ვინმეს კოცნას აპირებდეთ, და მხოლოდ მერე ასრიალოთ ტუჩები ისე, რომ ერთმანეთს ეხებოდნენ. სწორედ ასე მიიღწევა უსაზღვრო თვითკმაყოფილება, ასე ნიშანდობლივი

რომაა რიგითი ფრანგისათვის. ზედმეტი თვითდაჯერებულობის მეორე სახესხვაობა გამოიხატება ნაზალიზაციით, რომელიც ინგლისურს ამერიკელებმა შესძინეს. ნაზალიზაცია ბგერის „გადაყლაპვაა", რომელიც თან სდევს ზეაწეულ ბგერას (მხოლოდ იმიტომ, რომ ცხვირის ღრუში მისი მჟღერი გამოძახილით დატკბეთ). მჟღერი სიტყვების ამგვარი მოპყრობა უფრო მეტი თვითმყოფადობის შესაძლებლობას იძლევა, ისეთი, თითქოს, საკუთარ თავს „შიგნიდან" უსმენდე. ლინგვისტთა შორისაც გამოჩნდება ხოლმე რომელიღაც მარჯვე ვაჟკაცი; ამერიკელებს არ გაუჭირდებათ იმის გაგება, რომ ინგლისელმა ლეოპოლდ სთეინმა[12] თავის წიგნში „მეტყველების ჩვილობა და ჩვილის მეტყველება" (The Infancy of Speech and the Speech of Infancy) ნაზალიზაციის დამკვიდრება პითეკანთროპს დაუკავშირა.

ამრიგად, ენა – დაფუძნებული გამოთქმაზე – ადამიანური ჟესტების ნაკრებს (შესაძლოა, აქ უფრო შესაფერისი ტერმინ „სისტემის" გამოყენება იყოს) განეკუთვნება. თუმც თითოეული ინდივიდის ჟესტთა ეს კრებული მისი პიროვნების მხოლოდ მინიმალური ნაწილია. ყველა ჩვენი ჟესტი, პრაქტიკულად, საზოგადოებისგან წარმოდგება, სხვაგვარად, ეს გახლავთ ჩვენ მიერ გამოყენებული რომელიღაც მოძრაობები, რომლებიც მიღებულია საზოგადოებაში. ამიტომ საკმარისია ამა თუ იმ ადამიანის ჟესტიკულაციის დანახვა, რომ დავადგინოთ, რომელ ერსა თუ ხალხს განეკუთვნება. ჟესტიკულაცია იმ ჩვევათა ერთიანობაა, რომელიც ჰგავს ჩვენ მიერ წინა ლექციებისას

---

12 ლეოპოლდ სთეინი (1894-1969) – ინგლისელი ფსიქიატრი (მთარგმ.).

განხილულთ. მათი ანალიზისას კვლავაც ვეხებით უკვე ნაცნობ პრობლემათა წრეს. და აქ ნებისმიერი ინდივიდი განიცდის გარემოცვის ზეგავლენას. და თუ ოდესმე ჟესტიკულაციის ისტორია დაიწერება, ისინი გარდუვალად დასრულდება ამ სტროფებით: ჟესტების გამოყენება, დაუცველობა და გაუქმება ჩვევათა არსებობის საერთო კანონებს ემორჩილება. ნებისმიერი საზოგადოება თავისი ჩვეულებებით, თავისი ჟესტებით ცხოვრობს და სწორედ მათი მეშვეობით გამოიხატება ყველაზე ნათლად ამ საზოგადოების ხასიათი. ამიტომ ესა თუ ის ხალხი უძლიერეს შოკს განიცდის, როცა სხვა ხალხის თვითმყოფად ჟესტიკულაციას აწყდება. ხშირად მსგავსი შოკი დაუოკებელ სიძულვილში გადაიზრდება ხოლმე, რის შედეგადაც ისეთი წვრილმანი, როგორიც განსაზღვრული ადამიანური საზოგადოების გამომსახველი მოძრაობებია, ხდება ურწმუნობის, სიძულვილისა და, ხანდახან მტრობის, ძლიერი ფაქტორი.

ადამიანთა გამოთქმანი. საზოგადოებრივი აზრი. სოციალური მოთხოვნილებანი. სამოქალაქო ძალაუფლება

მშობლიური ენა ყოველთვის არსებობს. ის აქ არის, ჩვენს უშუალო საზოგადოებრივ გარემოცვაში და ბავშვობიდანვე მექანიკურად იჭრება ჩვენში, როცა ადამიანთა ლაპარაკი გვესმის. თუ სიტყვა „ლაპარაკი“, მკაცრი მნიშვნელობით, განსაზღვრული ენის გამოყენებას აღნიშნავს, მეტყველება ენის ათვისების მხოლოდ მექანიკური შედეგია. სამეტყველო აქტი, „უბნობა“ ქმედებაა, რომელიც გარედან შიგნით მოემართება. გარეთ ირაციონალურად და მექანიკურად ათვისებული მეტყველება გარეთვე ბრუნდება. ამის საპირისპიროდ, გამოთქმა – ქმედება, რომელიც საფუძველს თვით სუბიექტიდან იღებს – რაღაც სანუკვარის გამოცხადების ცდაა. ამ რაციონალური და შეგნებული მიზნის მისაღწევად ადამიანი ყველა ხელმისაწვდომ საშუალებას იყენებს, რომელთაგან ენა მხოლოდ ერთ-ერთია. მაგალითად, ნატიფი ხელოვნება სხვა არაფერია, თუ არა – გამოთქმის საშუალება. ლაპარაკის შესაძლებლობა ინდივიდს ასე თუ ისე დადგენილი აქვს, თუ იგი ასე თუ ისე ფლობს ერთ ან რამდენიმე ენას. მეტყველება გრამოფონის ფირფიტათა ერთგვარი სერიაა, რომელსაც შინაარსის გათვალისწინებით „უკრავს“ ადამიანი. ასეთი დაპირისპირება უფლებას გვაძლევს, ნათლად დავინახოთ, რომ თუ გამოთქმა ან გამოთქმის განზრახვა საკუთრივ ადამიანური, ან ინდივიდის, როგორც ასეთის, ქმედებაა, მეტყველება ჩვევაა, რომელიც, სხვა ჩვევათა მსგავსად, ინ-

დივიდიდან არ იღებს სათავეს და არ არის სრულად გაცნობიერებული. ის არც ნებაყოფლობითი აქტია. ის საზოგადოების მიერ ჩვენთვის თავს მოხვეული აქტია. და ამიტომაც, მეტყველების სახით, რომელსაც ძველად ratio-ს და logos-ს უწოდებდნენ, თვალწინ წარმოგვიდგება სხვა სოციალური ფაქტებივით უცნაური რეალობა; იგი მართლაც საოცარია, ვინაიდან ჩვენს წინაშეა როგორც ადამიანური რეალობა – მას ქმნიან და იყენებენ თვითონ ადამიანები, რომლებსაც ეს სრულიად შეგნებული აქვთ; და ამავე დროს, როგორც – არაადამიანური რეალობაც, ვინაიდან თვით სამეტყველო აქტებს მექანიკური ხასიათი აქვთ. მაგრამ თუ ვეცდებით, პირუკუ შევისწავლოთ თითოეული სიტყვის ისტორია, პირუკუ გავადევნოთ თვალი თითოეულ სინტაქსურ კონსტრუქციას, შეგვეძლება – თანაც არაერთხელ – მაინც მივაკვლიოთ მათ წარმოშობას. დავინახავთ, რომ ნებისმიერი სიტყვა ან საქცევი, რომელთაც კი მნიშვნელობა აქვთ მათი შემქმნელისა და უშუალო მსმენელისათვის, წარმოშობით, ეტიმოლოგიურად შემოქმედებითი აქტია. შესაბამისად, სიტყვებიცა და გამოთქმებიც ოდესღაც ადამიანურ ქმედებას გამოხატავდნენ, რომლებმაც ენაში ჩვევად დამკვიდრებისას დაკარგეს თავიანთი პირვანდელი მნიშვნელობა და იქცნენ გრამოფონის ერთგვარ ფირფიტებად, ერთი სიტყვით, დეჰუმანიზება განიცადეს, სულისგან დაიცალნენ.

ესპანეთის სამოქალაქო ომისას ვიღაცამ მოიგონა სიტყვა „ზედმეტად მართავს“ (mandamas). ვფიქრობ, ამ გამოთქმის შემოქმედისთვისაც კი არ იყო ნათელი, რატომ მოხდა, რომ ცნება „მართვა“ მაინცდამაინც სიტყვა

mandamas-ით გამოიხატა. არც ისაა გასაგები, თუ რატომ გადმოიცემა მნიშვნელობა „მეტი“ სიტყვით mas.[13]

და მაინც, ორი სიტყვის ამგვარი შეწყობა ვიღაცის შემოქმედების ორიგინალური პროდუქტია, რომელსაც მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ავტორის, ისე – მსმენელისათვის. ის ნათელს ჰფენდა საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიღაც ფაქტს, რომელიც მაშინ არსებობდა. მეტიც, ეს სიტყვა მარჯვედ შერჩეულიცაა, რაშიც იოლად დავრწმუნდებით, თუ ასე თუ ისე ზუსტად აღვწერთ მის ტრაგიკომიკურ არსს: ხაზს ვუსვამ, ამ სიტყვის ორივე კომპონენტის აღწერას ვგულისხმობ.

მაშ, თუ ამას ვიზამთ, მივიღებთ იმ სიტუაციის ყველაზე ზუსტ განსაზღვრას, რომელშიც მაშინ ესპანეთის სამოქალაქო ხელისუფლება ჩავარდა. ამ მდგომარეობის დასრულებისთანავე – ეს ისეთი არანორმალური სიტუაცია გახლდათ, რომ მისი მეტ-ნაკლები სტაბილიზება, გამყარება შეუძლებელი იყო – სიტყვა mandamas-ის ხმარებაც გაიშვიათდა და სავსებით მოსალოდნელია, მალე საერთოდ გაქრეს კიდეც. ამგვარად, ჩვენს წინაშე ჩვევის მაგალითია – ზემოთ მოყვანილი სიტყვა რამდენიმე წლის განმავლობაში ლინგვისტურად დაკანონდა და პრაქტიკუ-

---

13 სიტყვა mandar ესპანურში პოლისემიურია და ნიშნავს: მბრძანებლობას, მეთაურობას, ანდერძის მიცემას (უანდერძა), უარყოფას, დაპირებას, მართვას (ცხენის გაძღოლა), დავალებას, გადაწყვეტას, დარტყმას, მიწვევას, აღძვრას, გამოწვევას, სიგნალის მიცემას, ბატონობას, ძირს დაგდებას, მოსროლას, გაგზავნას, ჩამოთვლას, ინსტრუქტაჟს და ა.შ. mas უარყოფითი ნაწილაკია. ამგვარად, mandamas-მა უნებლიეთ მიიღო ასეთი მნიშვნელობა: „უმართაობა, უხელმძღვანელობა“ (ის, ვინც არ მართავს, არ განაგებს) (მთარგმ.).

ლად, უკვე მოდიდან გადის. თუმც, ისიც წარმოვიდგინოთ, რომ ეს სიტყვა ამა თუ იმ მიზეზით ადამიანთა მეტყველებას შერჩეს, რამდენიმე თაობას გაუძლოს... სავსებით შესაძლებელია, რომ გამოთქმა manda-mas გარდაიქმნას გამოთქმად malmas ან რაღაც ამგვარად. მაშინ ამ სიტყვის ჯიუტად გამომყენებელი საერთოდ ვერ მიხვდება, მას, ვინც არეულ დროში სხვებზე მეტად ირჯება (მეტად მართავს, მეტად განაგებს), რატომ ჰქვია malmas.

ადამიანურმა ქმედებამ ჩვენი თანამემამულისა, რომელმაც ეს სიტყვა გამოიგონა, malmas წმინდა ენობრივ ჩვევად აქცია, ენის ჭანჭიკად გარდაქმნა, მისი დეჰუმანიზება მოახდინა. იგივე რამ მოსდით დღეს სიტყვებს mandar და malmas. ეს პროცესი ისე გართულდა, რომ თვით გამოჩენილმა ლინგვისტმა მეიემაც კი ბოლომდე ვერ გაიგო ზემოთ ნახსენები გამოთქმის არსი. აუცილებელი მგონია ამ პროცესისათვის ყურადღების მიპყრობა, რადგან ზემოთ მოყვანილი სიტყვა არა მარტო სულისგან დაცლის კიდევ ერთი მაგალითია, არამედ მიშვნელოვან პრობლემაზე საუბრის ნებასაც გვაძლევს.

ესპანური mas წარმოდგება ლათინური სიტყვიდან magis, რომლის მნიშვნელობას მაშინ გავიგებთ, თუ, მაგალითად, ვიტყვით magis esse (მეტად ყოფნა). იგივე ფუძე აქვს სიტყვას magnus (დიდი). მეიე აქ დამატებით ორ შენიშვნასაც გვთავაზობს, თუმც, ეს, მგონი, მისთვის უმნიშვნელოა. ყოველ შემთხვევაში, ისინი მას არავითარი დასკვნისკენ არ უბიძგებენ. მეიე ამბობს: ცნება „მეტი“-ს (mas) გადმოსაცემად ლათინურში კიდევ ორი სიტყვა გამოიყენებოდა: grandis, რომელიც სივრცის სიდიდეს უკავშირდებოდა, და plus, რომელიც რაოდენობრივ, რიცხვობრივ სი-

ჭარბეზე მიუთითებდა. და პირიქითაც, განაგრძობს მეიე, magnus და, შესაბამისად, magis, ხშირად ძალის, ძალაუფლების დამატებით მნიშვნელობებსაც ითავსებენ, რაც არ გააჩნიათ არც grandis-ს, არც – plus-ს. მეიე სხვას არას ამბობს, მაგრამ თქმული საშუალებას გვაძლევს ფუძეებში mag და mai რაღაც მნიშვნელოვანს მივაკვლიოთ. Magis esse (მეტად ყოფნა) საფუძველს უდებს სიტყვას magister (magisteros), მისგან კი სიტყვებს – magisteratus, magistratus. მაგრამ რომში „მაგისტრატი“ „მმართველს“, „ძალაუფლებით აღჭურვილ ადამიანს“ ნიშნავდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მაგისტრატი ისაა, ვინც სხვა მოქალაქეებზე მნიშვნელოვანია, ვინაიდან ის მართავს, ის განაგებს. ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ mandar, რომელიც წარმოდგება სიტყვიდან manu-dare, რომელიც იმ შესაძლებლობას გულისხმობს, როცა სხვისთვის საკუთარი ნების თავს მოხვევა ძალგიძს: ვიღაც ძალის მფლობელია, ძალისუფალია. მეიეს შეცდომა, როგორც აქ, ისე – სხვაგან, ისაა, რომ იგი განიხილავს სიტყვადქცეულ საგანს, მოვლენას, როგორც – არსებულს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მეიეს არ ესმის ის ნათელი ჭეშმარიტება, რომ ყველა საგანი მხოლოდ შედეგია მისი წარმომშობი ენერგიისა; პლატონის თქმით, იმისა, რაც „მის მყოფობას განაპირობებს“. მაგისტრატი სხვაზე მეტობას აღნიშნავს, მაგრამ სხვაზე მეტობა მეტ ძალაუფლებაზეც მიუთითებს. სწორედ ეს მიგვიძღვის ფუძე mag-ის თავდაპირველი მნიშვნელობებისაკენ სიტყვებში magnus და magis. ეს ფუძე კრთება სიტყვაშიც majestad („დიდებულება“). მართლაც, გერმანულში იგივე ფუძე მიუთითებს არა მხოლოდ იმაზე, რომ ვიღაც „მეტია“, არამედ ცინიკურად და ორაზროვნად აღნიშნავს თვით ძალაუფლებას –

magcht. ზემოგერმანულში magan-ს შეესატყვისება „ძალა“, ძველფრანგულში amoier („შეშინება“, „ძრწოლის მოგვრა“) გადასხვაფერდა სიტყვად esmoi, რის შედეგადაც თანამედროვე ფრანგულში დამკვიდრდა emoi. ინგლისურში გვაქვს may – „შეძლება“ და might – „ძალა“. სასაუბრო გერმანულში mogen აღნიშნავს „ძალას“, „შეძლებას“, moglich – „შესაძლებლობას“, მას, ვისაც შეუძლია იყოს ან მას, რასაც ყოფნა ძალუძს. ბერძნულშიც კი გვხვდება ანალოგიური მაგალითები: megale არა მხოლოდ დიდი ზომისა და რაოდენობის აღმნიშვნელია, არამედ რაღაცის კეთების შესაძლებლობაცაა; mechane „მექანიზმიცაა“, „მექანიკაც“ და „მანქანაც“.

ყოველივე ეს იმის კონსტატირების საშუალებას გვაძლევს, რომ ინდოევროპული ევოლუციის რომელიღაც ეტაპზე „mag-nas“ „ძლიერებას“, „ძალას“ ნიშნავდა, და ვინაიდან განსაზღვრულ ძალასა და ძლიერებას ნებისმიერი ადამიანი ფლობს, შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ეს ფუძე აღნიშნავდა „ძლიერებას“ ან „პოტენციას“, რაც აღემატებოდა სხვა დანარჩენ ძალასა და ძლიერებას და, შესაბამისად, აღნიშნავდა „უპირატესობას“, „მეტ შესაძლებლობას“. რადგან ძალაუფლება ძლიერებაა, გამოდის, რომ magistrat ზემოთ თქმული manda-mas-ია. ამ სიტყვის სხვა გარეგნულ ნიშნებზე მოგვიანებით მოგახსენებთ. სიტყვის magistrat გამოთქმისას ჩვენ არ ვფიქრობთ ზემოთქმულზე, მაგრამ დღეს დამტკიცებულია, რომ სიტყვები პირვანდელ მნიშვნელობათა გაქვავებული გვამებია. თუ ვიმსჯელებთ არა სიტყვაზე, არამედ რეალობაზე, რომელსაც ეწოდება magistrat, უფრო სწორად, იმ როლზე, რომელსაც დღეს ეს სიტყვა ასრულებს, მაშინვე გაგვახსენდება, რომ მაგისტრატი ასეთი იმიტომაა, რომ სწორედ მას ემორჩი-

ლება პოლიცია; რომ აღარაფერი ვთქვათ ძველ რომზე, სადაც მაგისტრატი, კონსული, იმავე დროს, უმაღლესი მთავარსარდალიც გახლდათ.

აქ რაიმე სახალისო თამაში გამორიცხულია, რადგან ეტიმოლოგია თითქმის ყოველთვის აშიშვლებს ადამიანური ცხოვრების მკაცრ რეალობას, რომელიც უფრო მიდრეკილია შენიღბვისა და ფარისევლობისაკენ და ჩვენგან ბევრ რამეს აიდუმალებს. თავს უფლება მივეცი, დრო დამეთმო მორიგი ეტიმოლოგიური ანალიზისათვის არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამან საშუალება მოგვცა, თვალნათლივ დაგვენახა, თუ განსაზღვრული ინდივიდის შემოქმედებას დაცილებული და ენობრივ სისტემაში ჩართული სიტყვები როგორ კარგავენ თავიანთ მნიშვნელობას და სულიერებადაცლილნი, როგორ განაგრძობენ მექანიზმის დეტალად ყოფნას. ასე მხოლოდ იმიტომ მოვიქეცი, რომ შემეხსენებინა: ყველა ეს ფენომენი გვეხმარება იმ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი პრობლემის გააზრებაში, რომელიც არალინგვისტურია და რომელსაც ახლა განვიხილავთ.

ამ მექანიკური დეტალების ანუ იმ სიტყვების შემწეობით, რომელთაც თავიანთი ზედმიწევნითი მნიშვნელობა დაკარგეს, ჩვენ ასე თუ ისე გამოვხატავთ იმას, რასაც ვფიქრობთ. მართლაც, სოციალური გარემო, ადამიანები, რომლებიც ბავშვობიდანვე გვატეხინებდნენ საზოგადოებაში მიღებულ ენას, იმ იდეებითაც გვავსებენ, რომლებიც სიტყვებს ამ ენისავე საშუალებით გამოხატავენ: იდეები არსზე, იმაზე, თუ როგორები არიან სხვები და როგორები ვართ ჩვენ – ერთი სიტყვით, იმაზე, თუ რა არის ცხოვრება – ჩვენი სიღრმისეული შემადგენე-

ლი ნაწილებია და, თუ საგნებს თავიანთ სახელებს დავარქმევთ, ამ იდეებშია ის, რაც სინამდვილეში ვართ. სიცოცხლე დრამაა და, როგორც ასეთი, ყოველთვის ემორჩილება განსაზღვრულ სიუჟეტს, რომელიც, თავის მხრივ, ასევე იცვლება სამყაროსა და ხალხზე ჩვენი შეხედულებების შესაბამისად. უეჭველია, მორწმუნის ცხოვრების სიუჟეტი უსაზღვროდ განსხვავდება მისი ცხოვრების სიუჟეტისაგან, ვინც დარწმუნებულია, რომ მხოლოდ მატერია არსებობს. ამგვარად, აზრების უმრავლესობა, რომლებითაც და რომელთა გულისთვისაც ვცხოვრობთ, არ არის ჩვენ მიერ მოგონილი და კარგად გააზრებული. მათ მექანიკურად ვიყენებთ, ვსესხულობთ იმ საზოგადოებისაგან, რომლებშიც ვცხოვრობთ; სწორედ მისგან, მისი ზეგავლენით შემოაღწიეს ჩვენში, ისევე, როგორც საპოხი აღწევს ავტომობილში.

საინტერესო იქნებოდა, დაგვეთვალა (სინამდვილეში ამის საშუალება არა გვაქვს) საზოგადოების, თუ გნებავთ, მთელი ნაციის რამდენი წევრი დაფიქრებულა ერთხელ მაინც – ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით – რატომაა ორს + ორი ოთხი და ამოვა თუ არა ხვალ მზე. ამ გამოთვლის შედეგად მივიღებდით, რომ ჩვენი იდეების უმრავლესობა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი იდეებია ანუ რწმენაც, აბსოლუტურად ირაციონალურია. ისინი ისეთივე ჩვევებია, როგორც – ენა ან მისალმება. საბოლოოდ, მათ ვერ ვაცნობიერებთ, არამედ მექანიკურად გვაქვს აკვიატებული. მაგრამ უდავოა: ჩვენ ყურად ვიღებთ გამოთქმის მხოლოდ ზედაპირულ მნიშვნელობას, რომელსაც ჩვენს ირგვლივ უსასრულოდ იმეორებენ; ვარჩევთ ორიანს სამიანისაგან და, ეს გვაძლევს ძალზე გაუგებარ

წარმოდგენას იმაზე, რაც ზემოთ მოხმობილ ფრაზაში იმალება. ოღონდ, ყურადღება მიაქციეთ, რომ გამოთქმა 2+2=4, იდეას შეიცავს, რადგან ამ რიცხვებზე რაღაც აზრს გვაწვდის, შესაბამისად, ისეთს, რომელსაც ჭეშმარიტების პრეტენზია აქვს. იდეა ყოველთვის რაღაცის ან რაღაცაზე იდეა ანუ მოსაზრებაა (მცდარი თუ მართალი). ამრიგად, იდეა მხოლოდ მაშინ შეიძლება ასეთად ჩავთვალოთ, მისი უშუალო მნიშვნელობის მიუხედავად, თუ სხვა შეხედულებებსაც გავითვალისწინებთ, რომელთაც ემყარება მისი ჭეშმარიტება ან პირიქით – მცდარობა, არაადეკვატურობა. იდეა რაციონალური მხოლოდ მაშინაა, როცა ყველა ეს შეხედულება დასაბუთებულია. ასე რომ, მსგავსი არაფრის თქმა არ ძალგვიძს იმ იდეებზე, ჩვენ რომ ყოველდღიურად გამოვთქვამთ. ყველაფერზე ვლაპარაკობთ, აზრებს ვსესხულობთ გარშემო მყოფთაგან, თითქოს ბანკიდან უსასრულოდ გამოგვქონდეს ფული, რომლის ანგარიში თვალითაც კი არ გვენახოს. ინტელექტუალურ ურთიერთობაში ადამიანი ჩვეულებრივ სარგებლობს იმ საზოგადოების კრედიტით, რომელშიც ცხოვრობს და ეს ინტელექტუალური კრედიტი მისთვის პრობლემას არასოდეს წარმოადგენდა. ეს კი ნიშნავს, რომ ადამიანი საზოგადოებრივი ავტომატია. მხოლოდ ამა თუ იმ განყენებულ საკითხზე მსჯელობისას ვინებებთ ხოლმე საბანკო ანგარიშის შემოწმებას, ათვისებული იდეის გაკრიტიკებას, რომ მერე ან უარვყოთ, ან კვლავ ავიტაცოთ, თუმც, ამჯერად მხოლოდ იმიტომ, რომ ყველამ ყოველმხრივ გაიაზრა, სკრუპულოზურად შეისწავლა მისი საფუძვლები.

ჩვენი სოციალური გარემო აღსავსეა სიტყვებით, გამოთქმებით ანუ შეხედულებებით როცა განვიხილავთ

უაზროდ დახვავებულ იდეებსა და აზრებს, რომლებიც ადამიანური მეტყველების სკიდან გამოფრენილი ფუტკრებივით თავს დაგვზუზუნებენ, ვაცნობიერებთ, რომ მათი ორ დიდ კლასად დაყოფა შეიძლება. ერთთ ჩვენ გამოვთქვამთ, როგორც – თავისთავად ნაგულისხმევთ; აქ მნიშვნელოვანი ისაა, რომ „ქვეყნად ყველა ასე ფიქრობს“; მეორე კლასში ჩვენთვის მნიშვნელოვანი ის მეტნაკლებად გამოხატული რაღაცაა, რაც საზოგადოდ მიღებულ აზრს არ ემთხვევა და ხანდახან, პირიქით, ეწინააღმდეგება კიდეც. პირველ შემთხვევაში, ვისაუბროთ გაბატონებულ შეხედულებებზე, მეორეში კი კერძო აზრებზე. ამა თუ იმა ადამიანის გამოთქმის მანერის გაანალიზებისას უცებვე ვიტყვით, რომ კერძო აზრები, როგორც წესი, უფრო მგზნებარედ გამოითქმის, თითქოს, მათი ყოველნაირად გაძლიერება, მათი მნიშვნელობის ხაზგასმა სურდეთ; ანდა პირიქით, მათ გამოთქვამენ უნდილად, ფრთხილად, თითქოს, თანამოსაუბრის რითიმე განაწყენებას ერიდებიანო, მაგრამ მაინც – დამაჯერებლად, მიმზიდველად; არის მათ შორის ისეთი მსჯელობაც, რომელიც გაკვრით, მაგრამ მაინც ყოველთვის გამოხატავს იმას, რაც მას საფუძვლად უდევს. ის, ვინც მსგავს განსაკუთრებულ აზრს გამოთქვამს, სრულად აცნობიერებს, რომ მის კერძო შეხედულებას, ვიდრე საყოველთაოდ გაქვეყნდებოდეს, მტკიცება და მხარდაჭერა სჭირდება. თანაც, თავის თანამოაზრეთა მხარდაჭერის, დაცვისა და პროპაგანდის მსგავსი. ნათქვამს ნათელი რომ მოვფინოთ, ბოლო შემთხვევა შევუდაროთ საყოველთაოდ აღიარებული აზრების გამოთქმას. თავშიც კი არავის მოუვა, რომ ისინი საკუთრად გაასაღოს ან მხარდაჭერას და დადასტურებას

დაელოდოს. ასეთ „ზოგად, საერთო ნაწილს“ ჩვენ ენერგიულად, მღელვარედ როდი გამოვთქვამთ, უბრალოდ – მას ვეყრდნობით, უფრო სწორად, მასზე მივუთითებთ. მოკლედ, იმის ნაცვლად, რომ დამცველის პოზა მივიღოთ, პირიქით ვიქცევით: საერთო, ზოგად აზრებს გამოვთქვამთ და მათვე ვეყრდნობით, ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციასავით ვიყენებთ, თითქოს, რომელიმე ბრძანებულებას, კოდექსსა თუ კანონს მოვიხსენიებდეთ. და მართლაც, ასეთი შეხედულებები დადგენილი ჩვეულებია. სიტყვა „დადგენილი“ კი იმას ნიშნავს, რომ ისინი არ საჭიროებენ ინდივიდთა რომელიმე ნაწილისა ან განსაზღვრული ჯგუფების მხარდაჭერას და დაცვას. პირიქით, ყველას თავს ეხვევიან და ყველაზე ზემოქმედებენ. სწორედ ეს მაიძულებს, მათ სოციალური მოთხოვნილებები ვუწოდო. ამ მოთხოვნილებათა ხარისხს – ხანდახან დიდი გაავებით – მკაფიოდ ხვდება ყველა, ვინც კი მათთან შეწინააღმდეგებას გაბედავს. კოლექტიური არსებობის ნებისმიერ მომენტში სოციალურ მოთხოვნილებათა ძალა შობს უამრავ ასეთ გავრცელებულ შეხედულებას, რომელთაც ჩვენ „საერთო, ზოგად ადგილებს“ ვეძახით. საზოგადოებას ან ადამიანთა ერთობას არ გააჩნია აზრები, ზუსტად და მკაფიოდ გააზრებული იდეები. საზოგადოებას აქვს მხოლოდ „საერთო, ზოგადი ადგილები“ და თვითონაც მათ ეფუძნება. ამით იმას კი არ ვამტკიცებ, თითქოს, ეს იდეები მცდარი იყოს – ისინი შესაძლოა გენიალურადაც კი მოგვეჩვენოს. უბრალოდ, როცა ეს აზრები იქცევიან სოციალურ მოთხოვნილებად, გავრცელებულ შეხედულებებად, „საერთო, ზოგად ადგილებად“, ვერაფრით შეძლებენ თავიანთი გამორჩეული შესაძლებლობე-

ბის განხორციელებას. მთელი მათი აქტივობა დაიყვანება ინდივიდებზე მექანიკურ ზემოქმედებამდე, სულგამოცლილ ძალადობამდე. საინტერესოა, რომ ყოველდღიურ ენაში ამგვარ აზრებს „გაბატონებულ შეხედულებებს“ უწოდებენ. მათი საზოგადოებრივი ყოფის მოდუსი ძალზე მაგონებს მთავრობისეულს: მბრძანებლობენ, ანუ ბატონობენ. აი, რა არის საზოგადოებრივი აზრი, რომელიც, პასკალის თქმით, მართავს სამყაროს და მაინც არ შეიძლება თანამედროვე ცნებად მივიჩნიოთ. ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე V საუკუნეში პროტაგორა იყენებს ზუსტად ასეთ გამოთქმას: dogma poleon (სიტყვასიტყვით: ქალაქური აზრები) (ეს ფაქტი იმიტომ მომყავს, რომ ნაკლებცნობილია); IV საუკუნეში მას იმეორებს დემოსთენე, რომელიც თავის XVIII სიტყვაში აცხადებს, რომ არსებობს „სამშობლოს საზოგადო ხმა“. ამრიგად, სზოგადოებრივი აზრი იმგვარადვე გვმართავს, როგორც – მისალმება და სხვა ჩვევები, როგორც გვმართავს ენა. ის, რაც ჭეშმარიტად სოციალურია, როგორიცაა – ჩაგვრა, იძულება და, შესაბამისად, ბატონობა, ყოველთვის ზეინდივიდუალურია. ამრიგად, არსებობს პრინციპული განსხვავება, რომელიღაც ჯგუფსა და საზოგადოებრივ აზრს შორის, ანუ იმას შორის, რომელიც ჩამოყალიბებულია და მომთხოვნი. მნიშვნელობა არა აქვს, ეს ჯგუფი თავის აზრს ენერგიულად და შემტევად გამოხატავს თუ არა. საზოგადოებრივი აზრის განსამტკიცებლად საჭირო არ არის სხვების რამდენადმე განსაკუთრებული მხარდაჭერა. ის ძალაუფლებითაა აღჭურვილი და თვითვე ბატონობს გონებაში, განაგებს სხვა აზრებს. სხვა დამცველი მას არ სჭირდება. კერძო მოსაზრებები კი, პირიქით, მხოლოდ იმდენად არ-

სებობენ, რამდენადაც ამა თუ იმ რაოდენობის ადამიანები უჭერენ მხარს.

წიგნებში, ნარკვევებში და, უპირველესად, ათასგვარ ანკეტაში, რომლებსაც განსაზღვრული ინსტიტუტები ინგლისურენოვანი ქვეყნების საზოგადოებრივი აზრის შესასწავლად იყენებენ, საზოგადოებრივი აზრი, წესისამებრ, ადამიანთა მცირე ან მსხვილი გაერთიანებების შეხედულებებშია არეული. ისეთი ფუნდამენტური მოვლენა, როგორიცაა სოციალური მოთხოვნილება, რომელსაც ვამჩნევთ არა მხოლოდ აზრის სფეროში, არამედ ყოველგვარ ჩვეულებაში და რომელიც ამ მიზეზის გამო უარსებითესი დახასიათებაა საზოგადოებრივი ფაქტისა და საზოგადოებისა, როგორც ფაქტების ერთობლიობისა, არ დაიყვანება ამა თუ იმ რაოდენობის ადამიანთა უბრალო მხარდაჭერამდე. თუ სოციოლოგიას სიზუსტე სურს, ეს ნათლად უნდა წარმოადგინოს. ჩვეულება ინდივიდების მიერ მისი მხარდაჭერით როდი მტკიცდება; პირიქით, ეს იმიტომაცაა ჩვეულება, რომ თვითონ იმორჩილებს ყველას. სწორედ ამიტომ, ყოველივე სოციალური ის რეალობაა, რომელიც დიდად განსხვავდება ყოველივე ინდივიდუალურისაგან. როცა მისალმებას განვიხილავდით – ჩვევას, მაგალითად რომ ავიღეთ – განვაცხადე, რომ ყველა სტუმრად მოწვეული ადამიანი in pectore (სულში) ხელის ჩამორთმევის წინააღმდეგიც რომ ყოფილიყო, ეს ჩვევა მაინც იბატონებდა მათზე, ვიდრე აშკარად არ შეთანხმდებოდნენ თავიანთ გარემოში მის გაუქმებაზე. მაგრამ ვინაიდან ჩვევა ყალიბდება არა ამ მცირერიცხოვანი ერთობის, არამედ ადამიანთა უზარმაზარი მასის მიერ, ისმის კითხვა: ნუთუ მის გასაუქმებლად ან პირიქით, რომელი-

მე ჩვევის განსამტკიცებლად, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მისი ძლიერებისათვის ასევე საჭიროა მოცემული საზოგადოების ყველა წევრის თანხმობა?

რა თქმა უნდა, არა. თუ ასეა, საზოგადოების რომელ ნაწილს ძალუძს ჩვევის დადგენა? მაშინ ვთქვი, რომ ჩვევის დადგენა არ განისაზღვრება უმრავლესობის აზრთა ერთიანობით და ხშირად, არცაა ამის შედეგი. ჩვენ აქ ერთგვარი ოპტიკური სიცრუის მსხვერპლი ვხდებით, რომელსაც მიგვაჩვია პრაქტიკულად მთელი საუკუნის განმავლობაში გაბატონებული აზრის მოქმედებამ. ლაპარაკია სხვა თვალსაზრისზე მობატონე „საერთო ადგილზე", მაჟორიტარულ საწყისზე, რომლებისაც ბრიყვულად სწამდათ ჩვენს პაპებსა და პეპერებს – მათ ეს იდეა გარდუვალად დემოკრატიიდან მომდინარე ეგონათ. ამგვარად, ჩვენს წინაშეა პრობლემა, რომელიც თვითვე იძლევა განსჯის საბაბს, რადგან უნდა განისაზღვროს პირობა, რომლის ძალითაც რაღაც – აზრი თუ სხვა რომელიმე ჩვევა – სოციალური მოთხოვნილების სპეციფიკურ ხასიათს იძენს. სამწუხაროდ, იძულებულნი ვართ, ამ საკითხის განხილვა გადავდოთ. არაფრით ვამცირებთ მის მნიშვნელობას, მაგრამ მაინც უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენთვის უფრო არსებითია სოციალური მოთხოვნილების სწორად გაგება, რომელიც, უდავოდ, მთელი სოციოლოგიის ალფა და ომეგაა. მასზე დაკვირვება ძალზე ძნელია, რადგან ყოველთვის ჩვენგან გასხლტომას ცდილობს. ამიტომ, უწინარეს ყოვლისა, დავასახელებ ნებისმიერი სოციალური მოთხოვნილების უარსებითეს თავისებურებებს.

1. სოციალური მოთხოვნილება, როგორიც უნდა იყოს მისი გენეზისი, წარმოგვიდგება, როგორც ჩვენი მო-

წონებისა თუ დაწუნებისაგან რაღაც დამოუკიდებელი (ის ჩვენს წინაშეა, იძულებულნი ვართ, ანგარიში გავუწიოთ და ამიტომაც გვაიძულებს. იძულება ხომ ის უბრალოა ფაქტია, როცა – გვინდა ეს თუ არა – იძულებულნი ვართ, გავითვალისწინოთ).

2. და პირიქით, ჩვენ ყოველთვის შეგვიძლია მივმართოთ სოციალურ მოთხოვნილებას, როგორც ძალაუფლების იმ ინსტანციას, რომელსაც დავეყრდნობით.

გამოთქმა „სოციალური მოთხოვნილება“ იურიდიულ ტერმინოლოგიას განეკუთვნება, სადაც ერთმანეთისაგან განირჩევა მოქმედი და გაუქმებული კანონები. მოქმედი კანონის არსი ისაა, რომ თუ ადამიანებს დასჭირდათ, ავტომატურად ამოქმედდება, როგორც – ძალაუფლების მექანიკური მოწყობილობა. მიაქციეთ ყურადღება: არა მხოლოდ გამოთქმა „სოციალური მოთხოვნილება“, არამედ მისთვის მიწერილი ორი თავისებურებაც პირდაპირ ემთხვევა იმას, რაც ტრადიციულად ყოველთვის სამართალსა და სახელმწიფო ფუნქციებს ეთანადება. ეს გარემოება კიდევ ერთხელ ადასტურებს სამართლის ფილოსოფოსთა საერთო შეცდომას – მოსაზრებას, რომ მხოლოდ სამართალს ახასიათებს პირადი მონაწილეობის გარეშე ჩვენზე ზემოქმედება. ან თითქოს, ის კოლექტიური ინსტანცია იყოს, რომელსაც მივმართავთ ან შეგვიძლია მივმართოთ. სინამდვილეში ეს თავისებურებები წარმოჩნდა ჩვენ მიერ განხილულ პირველივე ჩვეულებაში – არადა, საკითხი ეხებოდა სუსტ ჩვეულებას – მისალმების მარტივ ცერემონიას.

ამგვარად, ჩვენ ვსაუბრობთ ნებისმიერი სოციალური ფაქტების კრებითობაზე. საზოგადოება, როგორც ჩვევა-

თა ერთიანობა, ერთი მხრივ, საკუთარ არსებობას გვახვევს თავს და მეორე მხრივ, საკუთარ თავს გვთავაზობს იმ ინსტანციად, რომელსაც შეგიძლია მიმართო დაცვისა და მხარდაჭერისათვის. ერთიცა და მეორეც, მხარდაჭერაცა და იძულებაც, იმას გულისხმობს, რომ საზოგადოება, არსებითად, ძალაუფლებაა, სხვაგვარად რომ ვთქვათ – ინდივიდის მოწინააღმდეგე გადაულახავი ძალა. საზოგადოებრივი აზრი ანუ გაბატონებული შეხედულება სწორედ ამ ძალას ეყრდნობა და აიძულებს, იმოქმედოს სრულიად განსხვავებული ფორმებით, რომლებიც შეესაბამება კოლექტიური არსებობის სხვადასხვა დონეებს. და ეს კოლექტიური ძალაა სწორედ „სამოქალაქო ძალაუფლება“. მიუხედავად ამისა, სრულად არ გამქრალა და ზემოქმედებას განაგრძობს უბადრუკი ინტელექტუალური ცრურწმენა, რომელიც ხელს უშლის საზოგადოებრივი ფენომენების ნათლად გაგებას. ლაპარაკია იმაზე, რომ ვერ ვარჩევთ რომელიმე საზოგადოებრივ ფუნქციას, თუ არ არსებობს მისი შემსრულებელი სოციალური ორგანო. მაგალითად, სულ ახლახან, ეთნოგრაფები, რომლებიც იმ პრიმიტიულ საზოგადოებებს სწავლობდნენ, რომელთაც არ გააჩნდათ არც საკანონდებლო ორგანოები, არც მოსამართლეთა კორპუსი, არც ცალკეული კანონმდებლები, მიიჩნევდნენ, რომ იქ სამართალი არ არსებობდა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, იქ არ შეიმჩნეოდა არც იურიდიული, არც სახელმწიფოებრივი ფუნქციის არსებობის ფაქტები.

იგივე რამ ხდება სამოქალაქო ძალაუფლებასთან დაკავშირებით. მას მანამ ვერ ამჩნევენ, სანამ სოციალური ევოლუციის უფრო გვიანდელ ეტაპზე სამოქალაქო

ძალაუფლება არ შეიძენს მბრძანებლებისადმი სრულად დამორჩილებული მხედართმთავრებითა და წესდებით აღჭურვილი საგანგებო სამხედრო ორგანიზაციის ელფერს. თუმც, მართალი რომ ვთქვათ, სამოქალაქო ძალაუფლება მუდმივად ზემოქმედებს ნებისმიერი საზოგადოების ინდივიდებზე; წარმოშობისთანავე ახდენს ზეგავლენას ადამიანთა ნებისმიერ გაერთიანებაზე. ასე რომ, ამ შემთხვევაშიც, მისი გავლენა უდავოა, ყურადღებაც რომ არ მივაქციოთ ჩვენს ცხოვრებაში არმიისა და პოლიციის ჩარევის ფაქტებს. ასეთ ყველგანმყოფ და მარადიულ ძალაუფლებას ჩვენ ვერ ვგრძნობთ. ამ თვალსაზრისით, ის შეიძლება შევადაროთ ატმოსფერულ წნევას ან ფეხქვეშ – ნიადაგის სიმყარეს, რასაც ჩვეულებრივ, ვერ ვამჩნევთ ხოლმე. სამოქალაქო ძალაუფლების ქმედითობა თანდათან აისახება ჩვენს ქცევაზე, რადგან ეს უკანასკნელი თვითონვე რეგულირდება სწორედ სამოქალაქო ძალაუფლების მიერ. თანაც ისე, რომ საკმარისია, ჩვენი ნებით, დაუდევრობისა თუ შემთხვევითობის წყალობით, გავცდეთ შემოფარგლულ სივრცეს, რომ მაშინვე თავს დაგვატყდეს გარშემომყოფთა მძვინვარე პროტესტი. მათ ის აღაშფოთებთ, რომ ჩვეულებას არ ვიცავთ.

პირველყოფილ ადამიანებს, რა თქმა უნდა, არ ჰყავთ პოლიცია, რომელიც მათ უნდა აკვირდებოდეს, თვალყურს ადევნებდეს. ნუთუ ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოება თავის ფუნქციებს არ ასრულებს? სწორედ პირიქით – ეს ფუნქციები ზედმიწევნით ზუსტად სრულდება და ბევრად უფრო მკაცრადაც, ვიდრე ამას პოლიცია შეძლებდა.

ერთ თავის წიგნში „მელანეზიის ბინადართა გაქრობა“ (The depopulation of Melanesia) სფეისერი[14] აღნიშნავს, რომ კუნძულთა ჯგუფ ახალ ჰებრიდებზე ყველა მამაკაცი დღეს ერთად ატარებს, ქალებისაგან განცალკევებით. სახლის ერთი ნაწილი ქალებს უჭირავთ, მეორე – კაცებს. თუ კაცები თავიანთ ადგილას არ იმყოფებიან, ეს ყოველთვის შესამჩნევია და, შესაბამისად, როგორღაც თავი უნდა იმართლონ, რომ აღარაფერი ვთქვათ ქალთა შორის მათ ყოფნაზე.

უცნობია, რატომ მოიხსენიებენ ზნე-ჩვეულებებს ყოველთვის „კეთილად“. ადამიანთა საზოგადოება დაუღალავად აკვირდება – ისე, რომ ადამიანს აზრსაც არ ეკითხება – თავისი წევრების პირადი ცხოვრების ყველა გაელვებას. ასეთ დროს რა საჭიროა პოლიცია? როცა ევროპელების მოსვლასთან ერთად მელანეზიის კუნძულებზე პირველყოფილი საზოგადოებები დაიშალა და მამაკაცებს ინდუსტრიასა თუ სოფლის მეურნეობაში მუშაობა შესთავაზეს, კოლექტიური ერთობის სტიქიური მეთვალყურეობა პოლიციით ჩანაცვლდა. და რა მივიღეთ? კუნძულის ზემოთ აღწერილი ზნე-ჩვეულებანი მაშინვე „დაგონჯდა“.

სხვა მაგალითების მოყვანაც შემეძლო, მაგრამ მგონი, ერთიც საკმარისია, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ ის ფუნქციები, რომელთაც განუხრელად და უჩუმრად ასრულებდა ნებისმიერი საზოგადოება.

ამრიგად, სამოქალაქო ძალაუფლება სხვა არაფერია, თუ არა საზოგადოებრივი აზრის ენერგიული ემანაცია, რომელშიც მოიაზრება და რომელსაც ეფუძნება ყველა სხვა

---

14 ფელიქს სფეისერი (1880-1949) – ამერიკელი ეთნოლოგი (მთარგმ.).

ჩვევა თუ მოთხოვნილება. იძულების ფორმა და ხარისხი, რომლებითაც საზოგადოებრივი ძალაუფლება მოქმედებს, დამოკიდებულია იმაზე, რა მნიშვნელობას ანიჭებს საზოგადოებრივი აზრი ჩვევათა რღვევას. თანამედროვე აფრიკელ ხალხებში, რომლებიც ბანტუს ენაზე ლაპარაკობენ, ცნება „დანაშაულის“ გამომხატველი სიტყვა ითარგმნება, როგორც „ყოველივე ის, რაც ტომს სძაგს.“ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყოველივე ის, რაც საზოგადოებრივ აზრს ეწინააღმდეგება.

მაგრამ თუ ეს მტკიცება სწორია, მაშინ საწინააღმდეგო მოსაზრებაც სწორი ყოფილა. კერძოდ: ნებისმიერი სამოქალაქო ძალაუფლება ყოველთვის ეფუძნება შეხედულებას, რომელიც მართლა საზოგადოა, ანუ ყველასათვის საერთოა და მას ზემოქმედების უზარმაზარი ძალა აქვს. თუ ეს არ შეიმჩნევა, თუ საზოგადოებრივი აზრის ნაცვლად მხოლოდ კერძო და ჯგუფურ შეხედულებებს ვაწყდებით, რომლებიც, წესისამებრ, ურთიერთსაწინააღმდეგო თვალსაზრისთა ორ კონგლომერატს ქმნის, საზოგადოება იხლიჩება, იშლება, სამოქალაქო ძალაუფლება არსს კარგავს და პარტიებად ნაწევრდება. დგება რევოლუციებისა და სამოქალაქო ომების ჟამი.

თვალსაზრისთა ასეთი განსხვავებულობა იმ ფაქტის უკიდურესი გამოხატულებაა, რომელიც ნებისმიერ საზოგადოებაში შეიმჩნევა და ამ უკანასკნელის განუყრელი ნიშან-თვისებაა; ვგულისხმობ ზოგი ინდივიდის – სახელდობრ, ქურდების, გამცემების, მოძალადეების, უწესრიგობათა მომწყობების – ანტისოციალურ ხასიათს; როცა ამას შევიგნებთ, იმასაც გარდუვალად მივხვდებით, რომ ადამიანთა თანარსებობის „საზოგადოებად“ მონათვლა

ნიშნავს ევფემიზმის გამოყენებას. ე.წ. „საზოგადოება“ არასოდეს შეესაბამება იმას, რასაც სახელმწიფო გვპირდება. ასეა თუ ისე, საზოგადოება, იმავე დროს, გათიშულობა და მტრობაცაა. და ვინაიდან ეს წარმონაქმნი მაინც გამოთქვამს პრეტენზიას საწინააღმდეგო თვისებებზე, სრული პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადოთ, რომ საზოგადოება, არსებითად, სნეული, ნაკლული რეალობაა; ის მართლაც მუდმივი, უწყვეტი ბრძოლაა ქცევის იმ საწყისებისა და ტიპებისა, რომელთაც გამაერთიანებელი, სოციალური ხასიათი აქვთ იმ თვისებებთან, რომლებიც გათიშულობისა და ანტისოციალურობის ტენდენციებს ავლენენ. და ამ სამყაროს სიმშვიდის მინიმუმი რომ გავუნაღდოთ, რომლის წყალობითაც საზოგადოება, როგორც ასეთი, საკუთარ მყოფობას ინარჩუნებს, აბსოლუტურად აუცილებელია საზოგადოების შინაგანი „სამოქალაქო ძალაუფლების“ ძალადობის ფორმით გამოყენება. დაბოლოს, როდესაც საზოგადოება ვითარდება და ძლევს საკუთარ პრიმიტივიზმს, იძულებულია შვას საგანგებო წარმონაქმნი, რომლის მთავარი მოვალეობაა, უზრუნველჰყოს ამ ძალის გამოყენება ყველაზე აუცილებელი ფორმით. სწორედ ამ წარმონაქმნს ვეძახით სახელმწიფოს.

ხოსე ორტეგა-ი-გასეტი

ორი დიდი მეტაფორა
(ეძღვნება კანტის დაბადებიდან ორას წლისთავს)

როცა მწერალი საყვედურს გამოთქვამს ფილოსოფიაში მეტაფორის გამოყენების გამო, ამით იგი მხოლოდ იმას ამჟღავნებს, რომ არც ის იცის, რა არის ფილოსოფია, და არც ის – რა არის მეტაფორა. არც ერთ ფილოსოფოსს არ მოუვა აზრად მეტაფორის მსჯავრდება[1]. მეტაფორა აზროვნების აუცილებელი იარაღია, მეცნიერული აზრის ფორმაა. რა თქმა უნდა, შეიძლება მოხდეს, რომ მეცნიერმა შეცდომით მიიღოს მეტაფორა ან გამოხატვის სხვა ირიბი საშუალება პირდაპირ გამოხატული აზრის სახით. ასეთი შეცდომები, ცხადია, უნდა გაიკიცხოს და ისევე უნდა გამოსწორდეს, როგორც – ფიზიკოსის მიერ გაანგარიშებაში დაშვებული შეცდომები. მაგრამ ხომ არავინ დაიწყებს ამის გამო მტკიცებას, რომ ფიზიკამ არ უნდა ისარგებლოს მათემატიკით. მეთოდის გამოყენებაში დაშვებული შეცდომა არ გამოდგება თვით მეთოდის საწინააღმდეგო არგუმენტად. პოეზია მეტაფორაა; მეცნიერება მხოლოდ მიმართავს მეტაფორას, არც – მეტი, მაგრამ არც ნაკლები.

მეცნიერული მეტაფორის უარყოფა ეგრეთ წოდებული „სიტყვების შესახებ კამათის“ არმიღების მსგავსია. ზედაპირულ გონებას ნებისმიერი დისკუსია წარმოუდგენია, როგორც – სიტყვების შესახებ კამათი. მაგრამ სიტყვების შესახებ ნამდვილ კამათს ერთობ იშვიათად ვხვდებით. მკაცრად თუ ვიტყვით, სიტყვების შესახებ კამათი მხოლოდ ენათმეცნიერებს შეუძლიათ. სხვებისთვის სიტყვა არა მხოლოდ ლექსიკური ერთეულია, არამედ, უპირველეს ყოვლისა, – ის მნიშვნელობა, რომლის ასოციაციასაც ეს სიტყვა იწვევს. სიტყვების შესახებ საუბარი ნიშნავს საუბარს მნიშვნელობების ანუ ცნებების შესახებ, ტრადიციული ლოგიკური ენით თუ ვილაპარაკებთ. ხოლო რამდენადაც მნიშვნელობა სხვა არაფერია, თუ არა ობიექტზე ჩვენი აზრის ინტენცია, მიმართულობა, სიტყვების შესახებ კამათი მართლაც ნივთების შესახებ კამათი გამოდის.

ხდება, რომ განსხვავება ორ მნიშვნელობას ან ცნებას შორის – იმავდროულად, ორ ნივთს შორის – ფრიად მცირეა და, ამის გამო, არ აინტერესებს მოუქნელი ან პრაქტიკული გონების მქონე ადამიანს, და იგი თანამოსაუბრეზე გამარჯვებას იმით აღწევს, რომ ამ უკანასკნელს სიტყვებით ჟონგლიორობაში ადანაშაულებს. დაზიანებული მხედველობის მქონე კაცისთვის ხომ ყველა კატა რუხია. მაგრამ არიან ადამიანები, რომელთათვისაც უმაღლესი სიამოვნების მომნიჭებელია ობიექტებს შორის თუნდაც უმცირეს განსხვავებათა აღმოჩენა. არასოდეს გაქრებიან „სიტყვების შესახებ კამათში“ დახვეწილი, გამოწაფული გონებანი, და სწორედ მათ მოვიძიებთ ხოლმე ყოველთვის, როცა საინტერესო აზრის მოსმენა მოგვინდება.

აბსტრაქტულ განაზრებათა ვერშემძლებელი გონება ვერც მეტაფორისა და მეტაფორული აზრის ერთმანეთისგან გამიჯვნას შეძლებს. გამოთქმის ირიბ ფორ-

მას იგი პირდაპირი აზრით გაიგებს და ავტორს გაამტყუნებს იმაში, რაშიც თავადაა დამნაშავე. ფილოსოფიური აზრი, როგორც არც ერთი სხვა, მუდმივად და თითქმის შეუმჩნევლად გადადის პირდაპირი აზრიდან ირიბში; იგი არაა შეზღუდული ამ სფეროთაგან რომელიმე ერთით. კირკეგორს ერთი ასეთი მაგალითი აქვს მოცემული. ცირკში ხანძარი გაჩნდა. იმპრესარიოს გვერდით აღმოჩნდა კლოუნი, და იმპრესარიომ სწორედ მას დაავალა, ხალხისთვის ეს ამბავი ეცნობებინა. მაგრამ კლოუნის პირით ნათქვამი ეს ტრაგიკული ცნობა მაყურებლებს ხუმრობა ეგონათ და დარბაზი არ დაუტოვებიათ. ხანძარი მთელ შენობას მოედო და ხალხი დაიღუპა, ემსხვერპლა იმას, რომ ვერ შეძლო ხუმრობიდან სერიოზულად ნათქვამზე გადართულიყო.

მეტაფორა მეცნიერებაში ორი, ერთმანეთისგან განსხვავებული, სახით გამოიყენება. როცა მეცნიერი მანამდე უცნობ მოვლენას აღმოაჩენს, ანუ როცა ის ახალ ცნებას ქმნის, საჭიროა ამ უკანასკნელის სახელდება. რამდენადაც სრულიად ახალი სიტყვა არაფერს ეტყოდა მოცემული ენის მატარებლებს, იგი იძულებულია ისარგებლოს არსებული ლექსიკონით, რომელშიც ყოველი სიტყვის უკან გარკვეული მნიშვნელობა დგას. გასაგები რომ გახდეს, მეცნიერი ისეთ სიტყვას ირჩევს, რომლის მნიშვნელობას ახალ ცნებაზე მითითება შეუძლია. ტერმინი ახალ მნიშვნელობას იძენს ძველის საშუალებით და დახმარებით, რომელიც მასში ინახება. სწორედ ესაა მეტაფორა. როცა ფსიქოლოგი შენიშნავს, რომ ჩვენი წარმოდგენები ერთმანეთზე ზემოქმედებენ, ის ამბობს, რომ წარმოდგენები ასოცირდებიან, ე. ი. იქცევიან ისე, როგორც ადამიანები – სოციუმში (საზოგადოებაში). თავის მხრივ, იმან, ვინც პირველმა უწოდა ადამიანთა ერთობლიობას სოციუმი, ახალი საზრისი მიანიჭა ამ სიტყვას, რომელიც ლათინური წარმომავლობისაა – sequor, „მივყვები“, „მივდევ“; ესპანური სოციო, „საზოგადოების წევრი“, თავდაპირველად აღნიშნავდა „მიმდევარს“. ეს საინტერესო ისტორიული გარემოება ადასტურებს საზოგადოების წარმოშობის თეორიას, რომელიც გადმოცემულია ჩემს ნაშრომში „უხერხემლო ესპანეთი“. პლატონი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ნამდვილი რეალობა იგივეობრივი არაა ჩვენს ირგვლივ არსებული ცვალებადი სამყაროსი, ნამდვილი რეალობა, უცვლელი და უხილავი, ისეთი სრულყოფილი ფორმებისგან შედგება, როგორიცაა „აბსოლუტური სითეთრე“ ან, ვთქვათ, „უმაღლესი სამართლიანობა“. გრძნობებისთვის მოუხელთებელი, გონებისთვის მისაწვდომი ცნებების აღსანიშნად პლატონმა ჩვეულებრივ ენაში მოიძია სიტყვა ἰδέα, „იდეა“, რადგან ამ სიტყვით სურდა მიეთითებინა, რომ გონება გაცილებით სრულყოფილ მზერას ფლობს, ვიდრე – თვალი.

წამოჭრილი თემის გაღრმავებას თუ მოვინდომებთ, მაშინ, მოსალოდნელია, უარის თქმა მოგვიხდეს ტერმინ „მეტაფორაზე“, რომელმაც შეიძლება დაგვაბნიოს. მეტაფორა სახელწოდების გადატანაა. მაგრამ არსებობს სახელწოდების გადატანის მრავალი სახე, რომლის საფუძვლადაც არ დევს ის, რაც ჩვენ, ჩვეულებრივ, გვესმის, როგორც მეტაფორა. აი, ამა თუ იმ თვალსაზრისით დამახასიათებელი რამდენიმე ნიმუში.

სიტყვა „მონეტა“ ლითონში მოჭრილი ერთიანი სავაჭრო ექვივალენტის აღმნიშვნელია. მაგრამ თავდაპირველად ეს სიტყვა აღნიშნავდა იმას, „ვინც აცნობებს,

აფრთხილებს და განარიდებს“. ესაა იუნონას აღმნიშვნელი. რომში იყო განმარიდებელ იუნონას (Iuno Moneta) ტაძარი, ხოლო მის გვერდით არსებობდა ზარაფხანა. მასზე, რაც იქ იჭრებოდა, გადატანილ იქნა იუნონას – განმარიდებლის (მონეტა) – ეპითეტი. ახლა კი, როცა სიტყვა „მონეტას“ წარმოვთქვამთ, აღარ ვფიქრობთ ამაყი ქალღმერთის შესახებ.

სიტყვა „კანდიდატი“ თავდაპირველად ნიშნავდა თეთრი ტანსაცმლით შემოსილ ადამიანს. როცა რომის მოქალაქეს ირჩევდნენ რომელიმე მუნიციპალურ თანამდებობაზე, ის თავისი ამომრჩევლების წინაშე თეთრი სამოსით წარსდგებოდა ხოლმე. ამჟამად კანდიდატს ვუწოდებთ თანამდებობის ნებისმიერ პრეტენდენტს, განურჩევლად მისი სამოსის ფერისა. უფრო მეტიც: საამომრჩევლო რიტუალი, ჩვენს დროში, შავ კოსტუმს ანიჭებს უპირატესობას.

ფრანგული გამოთქმა „se mettre en gréve“ ნიშნავს „გაფიცვის გამოცხადებას“. საიდან აქვს gréve-ს ასეთი მნიშვნელობა? ჩვეულებრივ, ეს უცნობია მათთვის, ვინც ამ სიტყვას იყენებს. მათ არც სჭირდებათ ამის ცოდნა. მათთვის ესაა პირდაპირი აღნიშვნა. სიტყვა გრღვე, თავდაპირველად, ფრანგულ ენაში „ქვიშის ნაპირს“ ნიშნავდა. პარიზის მუნიციპალიტეტი მდინარის ნაპირზე იყო აშენებული. მის წინ კი განიფინებოდა ქვიშის ნაპირი – gréve, ხოლო სამუნიციპალო მოედანს გრევის მოედანი ეწოდა. აქეთ ეშურებოდნენ მაწანწალები; შემდეგ აქ თავს იყრიდნენ უმუშევრები, აქ ხდებოდა მათი დაქირავება. გამოთქმა ფაირე გრღვე უკვე ნიშნავდა „უმუშევრად ყოფნას“. ახლა ის ნიშნავს მუშაობის განზრახ შეწყვეტას. ამ გამოთქმის ისტორია ფილოლოგებმა აღადგინეს; ის არ აღმოცენდება იმ მუშების ცნობიერებაში, რომლებიც ამ სიტყვით სარგებლობენ.

დასახელების გადატანის ეს ნიმუშები დამყარებული არაა მეტაფორაზე. უბრალოდ, სიტყვა კარგავს ერთ მნიშვნელობას და იძენს მეორეს.

როცა ჩვენ ვამბობთ el fondo del alma – „სულის სიღრმე“ (სიტყვასიტყვით „სულის ფსკერი“), მხედველობაში გვაქვს რაღაც გონითი ფენომენი, რომელსაც არაფერი აქვს საერთო სივრცესთან და მოკლებულია ფიზიკურ მახასიათებლებს, ისეთს, მაგალითად, როგორიცაა ზედაპირი და ფსკერი.

როცა სულის რაღაც ნაწილს აღვნიშნავთ სიტყვით fondo – „ფსკერი“, ვითვალისწინებთ, რომ მას არ ვიყენებთ პირდაპირი აზრით, მაგრამ ამავე დროს გვესმის, რომ ჩვენთვის საჭირო ირიბი საზრისი პირდაპირითაა ნაწარმოები. პირიქით, ისეთი სიტყვა, როგორიცაა „წითელი“, პირდაპირ მხოლოდ შესაბამის ფერს აღნიშნავს. როცა ვამტკიცებთ, რომ სულს აქვს „ფსკერი“, თავდაპირველად ჩვენ ამ სიტყვას მივაწერთ რაიმე ჭურჭლის, მაგალითად – კასრის ფსკერს, ხოლო შემდგომ თითქოსდა „გავწმენდთ“ ამ მნიშვნელობას ფიზიკურ პარამეტრებზე მითითებისგან და მას ფსიქიკას მივაკუთვნებთ. მეტაფორისთვის აუცილებელია, რომ ჩვენ ვაცნობიერებდეთ მის ორობითობას. ამ დროს სახელს არ ვიყენებთ მისი პირდაპირი მნიშვნელობით და ჩვენ ეს კარგად გვესმის.

მაგრამ თუ ჩვენ ვიცით ამის შესახებ, რატომ ვმოქმედებთ ასე? რატომ არ უნდა მივანიჭოთ უპირატესობა პირდაპირ აღნიშვნას და არ გამოვიყენოთ სიტყვები პირდაპირი აზრით? „სულის სიღრმე“ რომ ისევე ნათლად აღიქმებოდეს ჩვენი მზერით, როგორც, მაგალითად, წითელი ფერი, მაშინ, უეჭველია, ვისარგებ-

ლებდით მისი აღნიშვნის მიზნით პირდაპირი და მხოლოდ მისთვის ნიშნეული დასახელებით. მაგრამ საქმის მთელი არსი იმაშია, რომ ჩვენთვის საინტერესო ფსიქიკური ობიექტის არა მხოლოდ დასახელებაა ძნელი, მისი მოაზრებაც ერთობ რთულია. იგი გვისხლტება; გონებას არ ძალუძს მისი დაჭერა. აქ უკვე ვამჩნევთ, რომ მეტაფორა ემსახურება არა მხოლოდ დასახელებას, არამედ – აზროვნებასაც. ესაა მეტაფორის მეორე – გაცილებით ღრმა და არსებითი – ფუნქცია შემეცნებაში. მეტაფორა გვჭირდება არა მხოლოდ იმისთვის, რომ, მიღებული დასახელების წყალობით, ჩვენი აზრი სხვათათვის ხელმისაწვდომი გავხადოთ; იგი თავად ჩვენ გვჭირდება იმისთვის, რომ ობიექტი ჩვენი აზრისთვის მისაწვდომი გახდეს. მეტაფორა არა მხოლოდ გამოხატვის საშუალებაა, არამედ – აზროვნების მნიშვნელოვანი იარაღიც. ვცადოთ ამის მიზეზთა გარკვევა. ჯონ სტიუარტ მილი წერდა, – ყველა სველი საგანი რომ, ამავე დროს, ცივიც ყოფილიყო, ე. ი. ეს ორი თვისება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად რომ არასოდეს გამჟღავნებულიყო, მაშინ ჩვენ, შესაძლოა, ისინი ერთ თვისებად მიგვეღო. სამყაროში რომ მხოლოდ ლურჯი საგნები არსებულიყო, მაშინ ჩვენთვის ერთობ ძნელი იქნებოდა ამ ფერზე ნათელი წარმოდგენის შექმნა. ძაღლი უკეთ გრძნობს მოძრავ საგანს, რამდენადაც მისი სუნის სიმძაფრე მოძრაობისას მერყეობს. სწორედ ასე, აღქმა და აზროვნება ცვალებადს უკეთ მოიხელთებს, ვიდრე – უცვლელს. ჩანჩქერის პირას მცხოვრებთ მისი ხმაური არ ესმით. თუმცაღა, ჩანჩქერი რომ შეწყდეს, ისინი გაიგონებენ გაუგონარს: სიჩუმეს.

აი, რატომ განსაზღვრავს არისტოტელე შეგრძნებას, როგორც – განსხვავების აღქმის უნარს. ჩვენ მოვიხელთებთ სხვადასხვასა და ცვალებადს, და ვერ ვამჩნევთ ერთნაირსა და უცვლელს. გოეთე სრულიად კანტიანური სულისკვეთებით ამტკიცებს, რომ, რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, საგნები სხვა არაფერია, თუ არა ის განსხვავებანი, რომელთაც ჩვენ მათ მივაწერთ. სიჩუმე, თავისთავად, არაფერია, ჩვენთვის ის რეალობას იძენს ხმაურისგან თავისი განსხვავების წყალობით. როცა ირგვლივ ყველაფერი ყუჩდება და უცებ დუმილი შემოგვეკვრის, მოუსვენრობას შევიგრძნობთ, თითქოს თავს ვიღაც მრისხანე დაგვდგომია და გვითვალთვალებს.

ამგვარად, ჩვენი აზრისთვის ყველა ობიექტი იოლად მისაწვდომი არაა, ყველაფრის შესახებ კერძო, ნათელი, მკაფიო წარმოდგენის შექმნა არ შეგვიძლია. ამიტომ ჩვენი სული იძულებულია, იოლად მისაწვდომ ობიექტებს მიმართოს, რათა, ამოსავალ წერტილად მათი მიღებით, წარმოდგენა შეიქმნას რთულ და ძნელად მოსახელთებელ ობიექტებზე.

მაშასადამე, მეტაფორა აზრის ის იარაღია, რომლის მეშვეობითაც ჩვენი კონცეპტუალური ველის ათვისებას ვახერხებთ. ჩვენთვის ახლობელი, იოლად მისაწვდომი ობიექტები აზრს შორეულ და ჩვენთვის მოუხელთებელ ცნებებზე მიუთითებენ. მეტაფორა ინტელექტის „ხელს“ აგრძელებს; ლოგიკისთვის მისი მნიშვნელობა შეიძლება შევადაროთ ანკესს ან შაშხანას.

აქედან, სხვათა შორის, არ გამომდინარეობს, რომ ის მოაზრებადის საზღვრებს აფართოებს. სულაც არა. ის მხოლოდ იმასთან მისადგომს უზრუნველყოფს, რაც ბუნდოვნად სჩანს ამ მისადგომის შორეულ საზღვრებთან. მეტაფორის გარეშე ჩვენს მენტალურ ჰორიზონტზე შეიძლებოდა წარმოქმნილიყო ყამირი ზონა,

ფორმალურად ჩვენი აზრის იურისდიქციას დამორჩილებული, მაგრამ ფაქტობრივად – აუთვისებელი და დაუმუშავებელი.

მეტაფორა პოეზიის საფუძველია, და მისი პოეტური ფუნქცია კარგადაა შესწავლილი. მეცნიერებაში მეტაფორა დამხმარე როლს თამაშობს. მეცნიერულ და პოეტურ მეტაფორებს, ჩვეულებრივ, ერთნაირი პოზიციებით უდგებოდნენ. მაგალითად, ესთეტიკაში მეტაფორას განიხილავდნენ, როგორც მხოლოდ მომჯადოებელ განათებას, რომლის ნათელმაც უეცრად გაასხივოსნა მშვენიერი. ამის გამო, მის მიმართ არ გამოიყენებდნენ ჭეშმარიტების ცნებებს და მას არ თვლიდნენ სინამდვილის შემეცნების იარაღად. ეს არ იძლეოდა იმის შემჩნევის საშუალებას, რომ პოეზიისთვის უცხო არაა კვლევითი მიზნები და ის მზადაა ისეთივე პოზიტიური ფაქტების აღმოსაჩენად, როგორებსაც მეცნიერება აღმოაჩენს ხოლმე.

ლექსში „სილვა ქალაქ ლოგრონოსადმი“[2] ლოპე დე ვეგა ბაღს ასე აღწერს:

შენ იხილავ, როგორ ჭყუმპალაობს ნიავი
ჭავლში შადრევანთა, რომელნიც
თავიანთ უკვდავ მარტოობაში
ცას ბროლის შუბებად ესობიან...

ლოპე დე ვეგა შადრევნის ჭავლს ბროლის შუბის სახით წარმოიდგენს. ნათელია, რომ ჭავლი არ შეიძლება შუბი იყოს. მაგრამ ის, რომ პოეტმა ჭავლი სწორედ ასე გამოიყენა, ატყვევებს წარმოსახვას და ესთეტიკურ სიამოვნებას გვანიჭებს.

პოეზია მიესალმება იმას, რასაც მეცნიერება უარყოფს. პოეზია და მეცნიერება მტრები არიან, მაგრამ ორივე თავისებურად მართალია.

პოეზია მეტაფორაში აფასებს იმას, რასაც კიცხავს მეცნიერება. ჭავლი და შუბი კონკრეტული ობიექტებია. კონკრეტულია ნებისმიერი საგანი, რომლის აღქმაც შეიძლება სხვა საგნებისგან დამოუკიდებლად. აბსტრაქტული ობიექტი, პირიქით, მხოლოდ რომელიმე სხვა ობიექტთან მტკიცე კავშირში აღიქმება. ფერი აბსტრაქტულ ობიექტს წარმოადგენს, რამდენადაც ჩვენ მას ამა თუ იმ ფორმის, ამა თუ იმ ზომის ზედაპირთან ერთად აღვიქვამთ. და პირიქით, შეუძლებელია ზედაპირის აღქმა ფერისგან დამოუკიდებლად. ზედაპირი და ფერი თანაარსებობისთვის არიან განწირულნი. ისინი გარჩევადნი არიან, მაგრამ – განუყოფადნი. ჩვენი გონება მონდომებულია, რომ მათ შორის ზღვარი გადოს. ჩვენ ამ ძალისხმევას აბსტრაჰირებას ვუწოდებთ. ამ ობიექტთაგან ერთ-ერთის აბსტრაჰირებას ვახდენთ, რათა მეორის ვირტუალური იზოლირება შევძლოთ და, ამავდროულად, მისი განმასხვავებელი ნიშნები განვსაზღვროთ.

აბსტრაქციები კონკრეტულ ობიექტთა შემადგენლობაში შედიან. მაგალითად, ბროლის შუბს, სხვა კომპონენტებთან ერთად, აქვს ფორმა და ფერი; გარდა ამისა, იგი თავის თავში მალავს დინამიკურ ძალას, რომელიც მას ხელის დარტყმით ატყობინებს რაღაცას და ჭრილობის მიყენებაც შეუძლია. მსგავსად ამისა, შადრევნის ჭავლში შეიძლება გამოიყოს ფორმა, ფერი და წყლის დაწნევით წარმოქმნილი დინამიკური ძალა, რომელიც მას მაღლა ატყორცნის.

ჭავლი და შუბი, თუ მათ მთლიანობაში გავიაზრებთ, განსხვავებულს მეტს ფლობენ, ვიდრე – საერთოს. მაგრამ თუ ხსენებული სამი აბსტრაქტული ელემენ-

ტით შემოვიფარგლებით, აღმოჩნდება, რომ ისინი იგივეობრივი არიან. ფორმა, ფერი და დინამიზმი მათში ერთნაირია. ეს მტკიცება მეცნიერული მიდგომიდან გამომდინარეობს, ის რეალური ფაქტის კონსტატაციას ახდენს: ეს ფაქტია ჭავლისა და შუბის ნაწილობრივი იდენტურობა.

ციური სხეული და რიცხვი სრულიად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მაგ-რამ როცა ნიუტონმა განსაზღვრა, რომ მიზიდულობის ძალა სხეულთა მასის პირდაპირპროპორციული და მათ შორის არსებული მანძილის კვადრატის უკუპროპორციულია, და მსოფლიო მიზიდულობის კანონი ჩამოაყალიბა, ამით მან ციურ მნათობებსა და რიცხვთა განსაზღვრულ მწკრივს შორის არსებული ნაწილობრივი და აბსტრაქტული იგივეობა აღმოაჩინა. პირველთა შორის მიმართება მეორეთა შორის მიმართების მსგავსია. ამ ანალოგიაზე დაყრდნობით ვინმე პითაგორელს რომ დაესკვნა, მნათობები რიცხვებიაო, იგი ნიუტონის ფორმულირებაში სწორედ იმას შეიტანდა, რაც ლოპე დე ვეგამ ბროლის შუბსა და შადრევნის ჭავლს შორის არსებული ნაწილობრივი, მაგრამ სრულიად რეალური იგივეობის მტკიცებას შესძინა. მეცნიერული კანონი ორი ობიექტის აბსტრაქტული კომპონენტების იგივეობის კონსტატირებით იფარგლება; პოეტური მეტაფორა ორი კონკრეტული ნივთის სრულ იგივეობას ამტკიცებს.

ეს ყველაფერი ნათელყოფს, რომ მეცნიერული აზროვნება მეტ-ნაკლებად მსგავსია პოეტურისა. მათ შორის განსხვავების მაჩვენებელია არა იმდენად სააზროვნო ოპერაციების ხასიათი, რამდენადაც მათი რეჟიმი და მიზნები. ეს აზრი შეიძლება გავავრცელოთ მეტაფორულ აზროვნებაზეც. იგი ყველგან გვხვდება, მაგრამ მეცნიერებაში მისი მიზანი განსხვავებულია მისი პოეტური დანიშნულებისგან. პოეზიაში მეტაფორა, ორი ობიექტის ნაწილობრივი მსგავსების საფუძველზე, ახდენს მათი სრული იგივეობის ყალბ მტკიცებას. სწორედ ჭეშმარიტების საზღვრების დამრღვევი ეს გადაჭარბება ანიჭებს მას პოეტურ ძალას. მეტაფორის სილამაზე ბრწყინვას იწყებს მაშინ, როცა მისი ჭეშმარიტობა მთავრდება. და პირიქით, არ შეიძლება არსებობდეს პოეტური მეტაფორა, რომელიც არ აღმოაჩენდა რეალურ ერთობას. გააანალიზეთ ნებისმიერი მეტაფორა და თქვენ მასში იხილავთ ორი ობიექტის საზღვრებში აბსტრაქტული კომპონენტების ერთობ ნათელ პოზიტიურ, უფრო მეტიც, მეცნიერულ, დამთხვევას.

მეცნიერება მეტაფორით სარგებლობის ინვერტირებას ახდენს. იგი იწყებს ორი, უსათუოდ განსხვავებული, ობიექტის სრული გაიგივებით, რათა მათი ნაწილობრივი მსგავსების დასაბუთებამდე მივიდეს, რაც მიღებული იქნება სწორედ, როგორც ჭეშმარიტება. მაგალითად, ფსიქოლოგმა, რომელიც საუბრობს ელ ფონდო დელ ალმა-ს შესახებ, მშვენივრად იცის, რომ სული არაა ფსკერის მქონე ჭურჭელი. მაგრამ ის გვაგებინებს, რომ არსებობს რაღაც ფსიქიკური შემადგენელი, რომელიც სულის სტრუქტურაში იმავე როლს ასრულებს, რასაც ფსკერი – ჭურჭელში. პოეზიის საპირისპიროდ, მეცნიერული მეტაფორა ვითარდება უფრო ძლიერი მტკიცებიდან უფრო სუსტისკენ, დიდიდან მცირესკენ. თავდაპირველად იგი ამტკიცებს სრულ იგივეობას, შემდეგ უარყოფს, ხოლო დასაბუთება ამ დროს ძალას ინარჩუნებს ობიექტთა გარკვეული ნაწილის მიმართ. საგულისხმოა, რომ აზროვნების განვითარების ერთობ ადრეულ სტადიაზე მეტაფორის სიტყვიერი

გამოხატულება აშიშვლებდა ამ ორმაგ ოპერაციას – ჯერ მტკიცებას, შემდგომ – უარყოფას. როცა ვედების პოეტს სურს თქვას: „მტკიცე, როგორც კლდე“, ის ამბობს: Sa parvato na acyutas (ლათინურად, ille firmus non rupes) – „მტკიცე, მაგრამ არა კლდე“. სწორედ ასე, ღმერთისადმი საგალობელი მგალობლის მიერ ხასიათდება, როგორც „ტკბილი, მაგრამ არა საჭმელი“; შეადარეთ, აგრეთვე, „აბღავლებული, მაგრამ არა ხარი“ (ნაკადის შესახებ), „კეთილი, მაგრამ არა მამა“ (მეფის შესახებ).

გმირში არის რაღაც ისეთი სულიერი თვისება, რომელიც სხვა თვისებებთან ერთად ქმნის მის მთლიან და სრულიად კონკრეტულ სახეს. საჭიროა დიდი ძალისხმევა, რომ მისი ეს თვისება გამოცალკევდეს და მოაზრებულ იქნას, როგორც ასეთი. ამ მიზნით, ვედების პოეტის კვალად, ის შეიძლება კლდეს შევადაროთ. კლდის სიმტკიცე ჩვენთვის კარგადაა ცნობილი; ამ ცნებაში ჩვენ ვპოულობთ რაღაც საერთოს გმირის სულიერ თვისებასთან. ჩვენ თითქოს ვამთლიანებთ გმირსა და კლდეს, შემდეგ კი გმირს სიმტკიცის ნიშანს ვუტოვებთ და მის სახეს კლდის ყველა სხვა თვისებას შემოვაცლით.

იმისთვის, რომ რაიმე თვისება აზრისთვის განკერძოებულ საგნად იქცეს, საჭიროა ნიშანი, რომელიც დააფიქსირებს მააბსტრაჰირებელი ძალისხმევის რეზულტატს, მატერიალიზებულჰყოფს მას და საიმედო ნიშით უზრუნველყოფს. სახელები, წერითი ნიშნები, განამტკიცებენ კონკრეტულ ცნებათა დანაწევრების შედეგად მიღებულ, აბსტრაქტულ ობიექტებს. თუ აზროვნების ობიექტი ერთობ უჩვეულოა, ჩვენ ჩვეულებრივ ნიშნებს ვეყრდნობით და, მათი შეერთებით, ობიექტის კონტურებს მოვინიშნავთ.

ჩვენი დამწერლობა ჩინურზე უფრო პრაქტიკულია, რადგან იგი წმინდა მექანიკურ პრინციპებს ემყარება. მასში ყოველ ბგერას თავისი ნიშანი აქვს; მაგრამ რამდენადაც იგი თავისთავად არაფერს აღნიშნავს, ჩვენი დამწერლობა არანიშნადია. ჩინური დამწერლობა ცნებებს უშუალოდ აღნიშნავს. იგი აზრის მდინარების უფრო ზუსტად ამსახველია. წერო ან იკითხო ჩინურად – ნიშნავს, იფიქრო. ჩინური იეროგლიფები ჩვენს ორთოგრაფიულ ნიშნებზე უფრო ზუსტად აღადგენს აზროვნების პროცესს. მაგალითად, როცა სევდის აღმნიშვნელ ნიშანს ვერ მიაგნო, ჩინელმა ორი იდეოგრამა შეაერთა, რომელთაგან ერთი „შემოდგომას“ აღნიშნავდა, ხოლო მეორე – „გულს“. სევდა დაფიქსირდა, როგორც „გულის შემოდგომა“. არც თუ ისე დიდი ხნის წინ, ჩინელებისთვის საჭირო შეიქნა, როგორღაც აღენიშნათ მათთვის ახალი ცნება „რესპუბლიკა“. ორმოცდაათი საუკუნის განმავლობაში ჩინეთში პატრიარქალური მონარქია ბატონობდა. გადაწყვიტეს, რესპუბლიკის უცნობი ცნება სხვადასხვა იეროგლიფთა კომბინაციით აღენიშნათ: ასე გაჩნდა იეროგლიფთა შენაერთი „საერთო-თანხმობა-სახელმწიფო“. რესპუბლიკის ცნება ჩინელებმა გაიაზრეს, როგორც საერთო თანხმობაზე დაფუძნებული არამკაცრი მმართველობა.

მეტაფორა იდეოგრამათა რაღაც ისეთ შენაერთს წარმოადგენს, რომელიც საშუალებას გვაძლევს, განვაკერძოოთ აზრისთვის ძნელადმისაწვდომი აბსტრაქტული ობიექტები და მათ თვითმყოფადობა მივანიჭოთ. ამიტომ იგი მით უფრო აუცილებელია, რაც მეტად შორდება ჩვენი აზრი ჩვეულებრივი ცხოვრების კონკრეტულ საგნებს.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ადამიანური გონება ყალიბდებოდა ადამიანის ბიოლოგიურ საჭიროებათა თანდათანობით დაკმაყოფილების პროცესში. იგი ჯერ ადამიანის გარემომცველ კონკრეტულ საგნებს ეუფლება და მათზე წარმოდგენას იქმნის. მათით გამოწვეული ინტელექტუალური რეაქციები კარგადა დამუშავებული. როცა გონებრივი დაღლილობა იწყება, ფიქრს კონკრეტული საგნებისკენ მივმართავთ და ასე ვისვენებთ. ცოცხალი ორგანიზმიდან მისი ფსიქიკური კომპონენტის გამოყოფა დიდ ძალისხმევას და ჯერაც შეუჩვეველი აბსტრაქციების მოშველიებას საჭიროებს. ფილოსოფოსი და ფსიქოლოგი კარგად უნდა იყვნენ გავარჯიშებული ფსიქიკურ ფენომენებზე დაკვირვებაში. რაც არ უნდა დავარქვათ იმ მოვლენების ერთობლიობას, რომლებიც ქმნიან ცნობიერებას – გონი თუ ფსიქიკა, – ნათელია, რომ ისინი ჩვენს სხეულთან ერთიანობაში არსებობენ, და მათი იზოლირების მცდელობა, როგორც წესი, შედეგად გონის მატერიალიზაციას იძლეოდა. რამდენჯერ მოუწადინებია ადამიანს იმ ინტიმური ფსიქიკური შინაარსის განკერძოება, რომელსაც თავის თავში აღმოაჩენდა, და ამ დროს ყოველთვის გულისხმობდა, რომ ეს შინაარსი ყველა სხვა ცოცხალ არსებაშიც მოქმედებს. პირის ნაცვალსახელთა წარმონაქმნი სწორედ ამ წადილთა ისტორიის შესახებ მოგვითხრობს და წარმოაჩენს, როგორ ფორმირდებოდა „მე“-ს იდეა გარეგნულიდან შინაგან ატრიბუტებზე გადასვლის გზით. „მე“-ს ნაცვლად თავდაპირველად ითქმოდა „ჩემი სხეული“, „ჩემი ხორცი“, „ჩემი გული“, „ჩემი მკერდი“. ახლაც, როცა „მე“-ს წარმოვთქვამთ ემფანტიკურად, მაშინვე მკერდზე დავიდებთ ხოლმე ხელს, და ამ ჟესტში „მე“-ს შესახებ უძველესი „სხეულებრივი“ წარმოდგენაა საცნაური. ადამიანი საკუთარი თავის შემეცნებას თავის კუთვნილებათა დახმარებით იწყებს. კუთვნილებითი ნაცვალსახელები წინ უსწრებდნენ პირის ნაცვალსახელებს: „ჩემი“ უფრო ადრე გაფორმდა, ვიდრე – „მე“. მოგვიანებით „ჩვენი“ კუთვნილებიდან აქცენტი გადმოდის ჩვენს სოციალურ პიროვნებაზე, თავად ჩვენზე. „მე“-ს წარმომადგენელი ხდება ჩვენი სოციალური სახე, ადამიანი საზოგადოებაში, რომელიც პიროვნების მეტ-ნაკლებად პერიფერიული ნიშნებით ყალიბდება. იაპონურ ენაში არ არსებობს მხოლობითი რიცხვის პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები. მოსაუბრე საკუთარ თავს ასეთი საშუალებების გამოყენებით ასახელებს: „არარაობა“, „ბრიყვი“, ხოლო მეორე პირის ნაცვალსახელის ნაცვლად ის იტყვის: „საპატიო პირი“, „უმაღლესობა“ და ა. შ. საკუთარი თავის შესახებ იგი მესამე პირით საუბრობს, როგორც – გარემომცველ სამყაროში არსებული საგნის შესახებ. ნებისმიერ სიტუაციაში ეტიკეტი აწესებს, ამ თითქოსდა გარეშე ობიექტებიდან ვინ უნდა აღინიშნოს როგორც „არარაობა“ და ვინ – როგორც „საპატიო პირი“. ხუპას ტომის ჩრდილოამერიკელი ინდიელების ენაში მხოლობითი რიცხვის მესამე პირის ნაცვალსახელის ვარირება ხდება იმის მიხედვით, ბავშვს გულისხმობენ თუ მოხუცს. აქვე უნდა ითქვას: ისეთი ტიპის მიმართვები, როგორებიცაა „თქვენო უმაღლესობავ“, „თქვენო უდიდებულესობავ“, „თქვენო უწმინდესობავ“ და ა. შ., წინ უსწრებდნენ „მე“ და „შენ“ ნაცვალსახელებს.

გასაკვირი არაა, რომ ლექსიკა შეიცავს იმ სიტყვების მცირე რაოდენობას, რომლებიც თავიდანვე ფსიქიკის ფენომენებს აღნიშნავდნენ. თითქმის მთელი თანამედროვე ფსიქოლოგიური ტერმინოლოგია წმინდა მეტაფორაა: კონკრეტუ-

ლი მნიშვნელობის სიტყვები მიმართულნი არიან საიმისოდ, რომ ფსიქოლოგიური თანმიმდევრობის მოვლენები აღნიშნონ.

მაგრამ ის შინაგანი არსი, ჩვენი სხეულისგან განყენებულად რომლის წარმოდგენასაც ვცდილობთ, ჯერაც შედარებით კონკრეტულია. არსებობენ გაცილებით აბსტრაქტული და ბუნდოვანი ობიექტები, რომელთა ჩამოყალიბებისთვის მეტაფორა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

ობიექტის შესახებ მკაფიო წარმოდგენის შესამუშავებლად საჭიროა აზრობრივად მისი იზოლირება, გამიჯვნა გარემოსგან. ამიტომაა, რომ ჩვენთვის ცვალებადის აღქმა უფრო იოლია, ვიდრე – უცვლელის. ცვალებადობა რეორგანიზებას ახდენს იმ კომპონენტებს შორის, რომლებიც სხვა კომბინაციებში იღებენ მონაწილეობას. ნოტიო ხან სიცივეს შეესაბამება, ხან – სითბოს. როცა ობიექტი პირველადი კომბინაციებიდან ამოვარდნას განიცდის, რჩება განსაზღვრული ფორმის ცარიელი ადგილი, რომელიც მსგავსია მოზაიკაში იმ ადგილის, სადაც რომელიმე დეტალი ამოვარდნილია.

შედეგად ვღებულობთ, რომ ობიექტის წვდომისას არსებული სიძნელეები იმ კომბინაციების რაოდენობის პირდაპირპროპორციულად იზრდება, რომლებში ჩართვაც შეუძლია ობიექტს: რამდენადაც მეტია ობიექტის კომბინაციები, იმდე-ნად ძნელი ხდება მისი გამიჯვნა და გაგება. მისი გამუდმებული თანყოფნა აჩლუნგებს ჩვენს აღქმას.

წარმოვიდგინოთ ობიექტი, რომელიც უცვლელად შედის ყველა სხვა ობიექტის შემადგენლობაში, ამ ობიექტთა სამუდამო ნაწილია, მათი მუდმივი ინგრედიენტი, მსგავსი წითელი ძაფისა, რომლითაც ნიშანდებულია ინგლისის სამეფო ფლოტის ყველა ტელეგრამა. ასეთი ყველგან თანმხლები, უნივერსალური, აუცილებელი და მოუცილებელი ობიექტი დიახაც არსებობს. ესაა ცნობიერება.

ჩვენ ვერაფერს ვიტყვით იმის შესახებ, რაც არაა ჩვენს ცნობიერებაში. ნებისმიერი ორი ობიექტი, რომელთაც ერთმანეთთან თითქოს არაფერი აქვთ საერთო, ერთნაირადაა ნიშანდებული იმით, რაც თან ახლავს ერთი სუბიექტის ცნობიერებას. იოლად გასაგებია, რაოდენ რთულია ამ უნივერსალური, საყოველთაო და გარდუვალი ფენომენის – ცნობიერების – მოხელთება, აღწერა და განსაზღვრება. მხოლოდ ცნობიერების წყალობით შეგვიძლია, ვიცოდეთ, რომ სხვა საგნებიც არსებობენ. ცნობიერება ქმნის ამ აქტს და თავადვე იქმნება მათით. იგია უთუო დანამატი ყველაფრის, რასაც ჩვენ აღვიქვამთ და რაზეც ვფიქრობთ, ნებისმიერი საგნისა და მოვლენის ერთსახოვანი, მოუშორებელი და განუყრელი თანამგზავრი. იმის წყალობით, რომ ტენიანობა ხან სიცივეს ერწყმის და ხანაც – სითბოს, ჩვენ შევძელით ამ თვისებათა გამორჩევა ერთმანეთისგან. მაგრამ როგორ განვსაზღვროთ, რას წარმოადგენს ცნობიერება, თუ ის მონაწილეობს ყველაფერში, რასაც ჩვენ აღვიქვამთ? ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა ვერანაირად მეტაფორას გვერდს ვერ ავუვლით.

სუბიექტსა და ობიექტს შორის უნივერსალური დამოკიდებულების – გასაცნობიერებელი დამოკიდებულების – გაგება შეიძლება მხოლოდ ობიექტებს შორის რაღაც სხვა ურთერთდამოკიდებულებასთან მისი შედარების გზით. ასეთი შედარების შედეგად მივიღებთ მეტაფორას. ჩვენთვის უკეთ ხელმისაწვდომი

კერძო ურთიერთდამოკიდებულების საშუალებით უნივერსალური მოვლენის განმარტებისას არ უნდა დავივიწყოთ, რომ ოპერირებას ვახდენთ მხოლოდ და მხოლოდ მეცნიერული მეტაფორით. ამ განსხვავებულ ობიექტებს შორის იგივეობის ურთიერთობა არ უნდა დავამყაროთ ისე, როგორც ეს პოეზიაში კეთდება. გაიგივების საშიშროება აქ ერთობ დიდია, რადგან ცნობიერებაზე წარმოდგენებითაა გაპირობებული სამყაროს ჩვენეული კონცეპცია, ხოლო ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, განსაზღვრავს ჩვენს მორალს, ჩვენს პოლიტიკას, ჩვენს ხელოვნებას. გამოდის, რომ სიცოცხლით სავსე სამყაროს ეს უზარმაზარი შენობა მეტაფორის პაწაწინა და მსუბუქ სხეულს ეყრდნობა.

მართლაც, ორი უდიდებულესი ისტორიული ეპოქის – შუა საუკუნეებში გადასული ძველი მსოფლიოსა და აღორძინებით დაწყებული ახალი დროის – ადამიანური გონება იკვებებოდა ორი შედარებით, ესქილე იტყოდა, – ორი სიტყვის ჩრდილით. ეს ორი დიდი ფილოსოფიური მეტაფორა, პოეტური თვალსაზრისით, უბადრუკია.

როგორ ესმოდა ძველ ადამიანს ის განსაცვიფრებელი ფაქტი, რომ გარემომცველი საგნები სრულიად განსხვავებულ სახეთა უთვლელ რაოდენობას ფლობენ. განვმარტოთ პრობლემის არსი. ვათვალიერებთ გუადარამას მთიან ქედს, რომლის სიმაღლე დაახლოებით ორი ათასი მეტრია, მთები გრანიტოვანი აგებულებისაა და მოცისფრო და ლილის ფერი აქვს. ცნობიერება ამ პარამეტრებს მოკლებულია: მას არ გააჩნია არც განფენილობა, არც – ფერი, არც – სიმაგრე. ამგვარად, ობიექტისა და სუბიექტის თვისებები არ თანხვდება, ისინი ერთმანეთს განიზიდავენ, მათ შორის არ შეიძლება წარმოიშვას რამენაირი ურთიერთობა, თუ არ ჩავთვლით ურთიერთგამორიცხვის ურთიერთობას. ამ დროს, აღქმის მომენტში, ობიექტი და სუბიექტი დადებითად ურთიერთზემოქმედებენ; უფრო მეტიც, ისინი თითქოსდა ერთიანდებიან. ისეთი ფენომენის არსებობას, როგორიც ცნობიერებაა, მივყავართ დასკვნამდე, რომ ურთიერთობის ორ აბსოლუტურად განსხვავებულ ტერმინს იგივეობის წარმოქმნა შეუძლია. ეს შეიცავს წინააღმდეგობას და წარმოშობს პრობლემას. ასეთი წინააღმდეგობის პირისპირ ჩვენი გონება იბნევა. იგი მტკიცებიდან, რომ A არის B, აწყდება მტკიცებას, რომ A არ არის B, და პირიქით, და ასე – უსასრულოდ. ეს მერყეობანი გონებას ღლიან, სიმშვიდეს და წონასწორობას უკარგავენ. მოჯადოებულ წრეს რომ თავი დააღწიოს, გონება ცდილობს, გადალახოს წინააღმდეგობა, ე. ი. პრობლემა გადაწყვიტოს. რა ვთქვათ წყალში ჩაშვებული ჯოხის გამო, – სწორია იგი თუ არა? ყოფნა-არყოფნა: აი, ესაა პრობლემის მთელი არსი. „ყოფნა-არყოფნა: საკითხავი, აი, ეს არის“.

ამ კითხვასაც, ასე ვთქვათ, ორი იარუსი აქვს. ის ფაქტი, რომ ჩვენ შევიცნობთ, აღვიქვამთ ობიექტს, უეჭველად შემდეგზე მეტყველებს: ეს ობიექტი (ჩვენს შემთხვევაში, მთა) ჩვენში „მდგომარეობს“. მაგრამ რა გზით უნდა შემოვიდეს ორიათასი მეტრის სიმაღლის მთა ცნობიერებაში, რომელიც სულაც არაა სივრცე? პირველი რიგის საკითხი იმის გაგებას გულისხმობს, თუ როგორაა შესაძლებელი ცნობიერებაში ობიექტთა არსებობა.

მეორე რიგის საკითხი ეხება ცნობიერებაში ობიექტთა შემოსვლის მექანიზმის, მიზეზებისა და პირობების ახსნას. პრობლემის ეს ორი მხარე უნდა გაიმიჯნოს. არც ძველი, არც ახალი მსოფლიო ამას არ აკეთებდა. ისინი ერთმანეთში ურევდ-

ნენ თავად ფენომენის აღწერას და მის ახსნას. ვინმემ რომ გვკითხოს: „რა კაცია ხუანი?“, ჩვენ, ვიდრე ვუპასუხებდეთ, შევეცდებით იმაში გარკვევას, თუ ვინ არიას ეს ხუანი. ვიდრე ესპანეთში მიმდინარე მოვლენების მიზეზთა შესახებ ვიმსჯელებთ, სასურველია იმის გამორკვევა, მაინც რა ხდება კონკრეტულად.

ძველი დროის ადამიანისთვის სუბიექტსა და მის მიერ აღქმულ ობიექტს შორის ურთიერთობა ანალოგურია ორ ფიზიკურ საგანს შორის ურთიერთობის, რომელთაგანაც ერთი, მეორესთან შეხების დროს, მასზე თავის დაღს ტოვებს. ცვილის ზედაპირზე თავისი სათუთი ანაბეჭდის დამამჩნეველი ბეჭდის მეტაფორა ღრმად გაჯდა ელინთა ცნობიერებაში და მრავალი საუკუნით განსაზღვრა ფილოსოფიურ იდეათა განვითარება. უკვე პლატონის „თეეტეტში“ საუბარია εκμαγειου (ეკმაგეიონ)-ის, ესე იგი გასანთლული დაფის შესახებ, რომელზეც დამწერი წვერიანი საგნით აღადგენს ასოების მოხაზულობას. ეს სახე, არისტოტელეს მიერ გამეორებული ტრაქტატში „სულის შესახებ“ (წიგნი III, თავი IV), თავს გვახსენებს მთელი შუა საუკუნეების მანძილზე. ჩვენ მას ვხვდებით პარიზშიც და ოქსფორდშიც, სალამანკაშიც და პადუაშიც; მრავალი საუკუნეა უკვე, მასწავლებლები მას ყმაწვილურ ტვინებში ნერგავენ.

ამ ინტერპრეტაციის თანახმად, სუბიექტი და ობიექტი ორი ფიზიკური საგანია. ისინი სამყაროში ერთმანეთისგან დამოუკიდებლად იმყოფებიან და მხოლოდ ხანდახან შედიან ერთმანეთთან შემთხვევით კონტაქტში. ობიექტი არსებობს მანამ, სანამ ჩვენ მას ვხედავთ; იგი არსებობას განაგრძობს მაშინაც კი, როცა ჩვენი მხედველობის არეს ტოვებს; ცნობიერება ცნობიერებადვე რჩება მაშინაც, როცა მასში აზრი არაა და როცა იგი არაფერს აღიქვამს. თუ ცნობიერება და ობიექტი ერთმანეთს ეხებიან, ეს უკანასკნელი მასზე თავის კვალს ტოვებს. გაცნობიერება – ესაა ანაბეჭდის აღება.

დახასიათებული მოძღვრების მიხედვით, სუბიექტსა და ობიექტს შორის არსებული ურთიერთობები რეალობის ფაქტს წარმოადგენს. ეს ურთიერთობები ისევე რეალურია, როგორც, მაგალითად, ორი ფიზიკური სხეულის შეჯახება. ამის გამო, ამ მოძღვრებას რეალიზმს უწოდებენ. ურთიერთობის ორივე ტერმინი ერთნაირად რეალურია – ობიექტიც და ცნობიერებაც, ასევე რეალურია თვით ეს ურთიერთობა. ერთი შეხედვით, ამ მოძღვრებაში, სუბიექტისა და ობიექტის სტატუსის განსაზღვრისას ვამჩნევთ, რომ სუბიექტის როლი მიჩქმალულია. აღიარება იმისა, რომ მატერიალურ ობიექტს თავისი კვალის დამჩნევა შეუძლია არამატერიალურზე, ნიშნავს მათი ბუნების გათანაბრებას ანუ ცვილისა და ბეჭდის ანალოგიის სერიოზულობის ცნობას.

ასეთია მარცვალი, რომლიდანაც ძველი დროის ადამიანის მსოფლმხედველობა ამოიზრდება. მისთვის „ყოფნა“ ნიშნავს იმ ნივთთა სიმრავლეში არსებობას, რომლებიც ერთმანეთზე არიან დახვავებული და სამყაროს გრანდიოზულ შენობას აგებენ. სუბიექტი სხვა არაფერია, თუ არა ერთ-ერთი ამ მრავალ საგანთაგანი; იგი, დანტეს თქმით, „ყოფიერების ზღვაშია“ ჩაძირული. მისი ცნობიერება პატარა სარკეა, რომელშიც არსებულის მოხაზულობანი აირეკლება. სამყაროს შესახებ ანტიკურ წარმოდგენაში „მე“ არ თამაშობს დიდ როლს. ბერძნები ამ სიტყვით საერთოდ არ სარგებლობდნენ თავიანთ ფილოსოფიურ თხზულებებში. პლატონს,

რომელიც თვლიდა, რომ ძალას ერთობა წარმოშობს, „ჩვენ“-ის თქმა ერჩივნა. ბერძნებიც და რომაელებიც ქცევის ნორმებს, ეთიკურ კანონს, კოსმოსთან ადამიანის შესაბამისობაში ეძებდნენ. სტოიკოსები, რომლებმაც კლასიკური ტრადიცია იმემკვიდრეს, ასწავლიდნენ „ბუნებასთან თანხმიერ ცხოვრებას“, მის მსგავსად, მთლიანად და აუმღვრევლად ყოფნას. „მე“, თვალდავსილის წინგაშვერილი ხელი (არისტოტელე პირდაპირ სულის შედარებას ახდენს ხელთან), სამყაროს გზებს მოსინჯავს და წინსვლისთვის აუცილებელ ბილიკს კვალავს.

აღორძინებამ, რომელიც არ წარმოადგენდა ანტიკურობასთან დაბრუნებას, როგორც მრავალი ამტკიცებს ყურმოკრულით, გადალახა ეს მოძღვრება. იგი სუბიექტსა და ობიექტს შორის ურთიერთობის ინვერტირებას ახდენდა.

ცვილით დაფარული დაფის სახე შეუთავსებელია ცნობიერებაზე აღორძინების ხანის წარმოდგენასთან. როცა ბეჭედი ცვილის ზედაპირზე თავის კვალს ტოვებს, ჩვენი მხედველობის არეში ერთდროულად ორი ობიექტია მოქცეული – ბეჭედი და ანაბეჭდი, და შეგვიძლია, ისინი ერთმანეთს შევადაროთ. გარდა ამისა, როცა გუადარამას მთის ჯაჭვს ვუმზერთ, მხოლოდ ის შთაბეჭდილება არსებობს, რომელსაც ის ჩვენში იწვევს, მაგრამ არა თვით საგანი. ამ თვალსაზრისით, ჰალუცინაცია არ განსხვავდება ნორმალური აღქმისგან. ამიტომ სარისკოა იმის მტკიცება, რომ ობიექტები ჩვენი ცნობიერების გარეშე და მისგან დამოუკიდებლად არსებობენ. მათი არსებობის შესახებ მხოლოდ მაშინ ვგებულობთ, როცა ისინი, ასე თუ ისე, ჩვენს ცნობიერებაში არსებობენ: როცა მათ ვხედავთ, წარმოვიდგენთ ან ვფიქრობთ მათ შესახებ. სხვა სიტყვებით: არ შეიძლება საკამათოდ იქცეს ის ფაქტი, რომ საგნები, რაღაც აზრით, ჩვენში იმყოფებიან; მაგრამ ყოველთვის საეჭვო და პრობლემატურია ჩვენს გარეშე მათი არსებობა. ამიტომ სიბრიყვეა უეჭველი ფაქტის გარკვევა საეჭვო დაშვებით. უთუო უტყუარობად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ იმის არსებობა, რაც ჩვენს ცნობიერებაში არსებობს. ნივთები, როგორც რეალობანი, კვდებიან, რათა აზრების სახით აღორძინდნენ. მაგრამ „აზრები“ სხვა არაფერია, თუ არა სუბიექტის მდგომარეობანი, „მე“-ს მდგომარეობანი, de moi méme, qui ne suis qu’une chose qui pense (ფრანგ. „თავად ჩემი, რომელიც მოაზროვნე ნივთია“).[3] ამ თვალსაზრისით, ცნობიერებამ ანტიკურის საპირისპირო ინტერპრეტაცია უნდა მიიღოს. ბეჭდისა და ცვილისზედაპირიანი დაფის მეტაფორის სანაცვლოდ მოდის ჭურჭლისა და მისი შიგთავსის მეტაფორა. ობიექტები ცნობიერებაში გარედან კი არ შემოდიან, არამედ ისინი თვით მასში იმყოფებიან; ესაა იდეები. ახალ მოძღვრებას იდეალიზმი ეწოდება.

მკაცრად რომ ვთქვათ, ცნობიერება ანუ გაცნობიერება გვარეობითი ცნებაა. არსებობს გაცნობიერების მრავალი სახე. მაგალითად, ხედვა ან მოსმენა, ანუ აღქმა, სულაც არაა იგივეობრივი წარმოსახვისა ან, უბრალოდ, რაღაცის შესახებ ფიქრისა. ანტიკური ფილოსოფია გაცილებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გრძნობად აღქმას, რომლის პროცესშიც ობიექტი, რომელიც სუბიექტს უახლოვდება, მასზე თავის კვალს ტოვებს. ახალი დრო, საპირისპიროდ ამისა, წარმოსახვაზეა ორიენტირებული. მის კონცეპციაში ობიექტები კი არ მოძრაობენ სუბიექტის მიმართულებით, არამედ სუბიექტი თავად აღაგზნებს მათ თავის თავში. საკმარისია, მხოლოდ მოგვინდეს, და არარაობიდან კენტავრს შევქმნით, რომელიც და-

ოთხილი, გაზაფხულის ქარით ფაფარ და კუდაშლილი, გაქროლდება და ზურმუხტის ველებზე თეთრ ნიმფათა მოუხელთებელ აჩრდილებს დაედევნება. წარმოსახვა ქმნის და სპობს ობიექტებს, დეტალებისგან ამთლიანებს და ნაწილებად განფანტავს. რაკი ცნობიერების შინაარსი მასში გარედან ვერ შევა – მართლაც, როგორ შეიძლება, ჩემში მთა შემოვიდეს? – იგი (ეს შინაარსი) თავად სუბიექტში უნდა ჩაისახოს. ამგვარად, შემეცნება ხელოვნებაა.

ახალი დროისთვის დამახასიათებელია სწორედ ადამიანის შემოქმედებითი შესაძლებლობებისადმი უპირატესობის მინიჭება. გოეთე პირველობას ანიჭებს „იუპიტერის მშფოთვარე და მარადიული სიყმაწვილით ნიშანდებულ ქალიშვილს – ფანტაზიას“. ლაიბნიცმა სინამდვილე დაიყვანა მონადამდე, რომელიც ერთადერთ თვისებას ფლობს – რეპრეზენტაციის შესაძლებლობას. კანტის მთელი სისტემა ბრუნავს ღერძის გარშემო, რომელიც იქმნება წარმოსახვისადმი (Einbildungskraft) ადამიანის წინასწარი განწყობით. შოპენჰაუერმა გვაუწყა, რომ სამყარო ისაა, რასაც ჩვენ წარმოვიდგენთ, – ფანტასმაგორიული ფარდა, მოქსოვილი იმ სახეებით, რომლებიც მას კოსმოსურმა სიღრმეებმა გამოუგზავნეს. ვერც ახალგაზრდა ნიცშემ ახსნა სამყარო სხვაგვარად, თუ არა როგორც მოწყენილი ქალღმერთის თამაში. „სამყარო – ესაა ძილი და კვამლი მარადდაუკმაყოფილებლის თვალებში“.

მაშ ასე, უეცრად ფორტუნა „მე“-სკენ საკუთარი სახით მობრუნდა. როგორც აღმოსავლურ ზღაპრებში ხდება, ღატაკმა პრინცის სახით გაიღვიძა. ლაიბნიცმა გაბედა და ადამიანს პატარა ღმერთი უწოდა. კანტმა „მე“ ბუნების უმაღლეს კანონმდებლად აქცია. ხოლო ფიხტემ, უკიდურესობებისადმი თავისი მიდრეკილებით, გამოაცხადა, რომ „მე ყველაფერია“.

შენიშვნები:

1. უნდა აღინიშნოს, რომ, როცა არისტოტელემ პლატონს ასეთი ბრალდება წაუყენა, იგი მეტაფორის წინააღმდეგი სულაც არ ყოფილა. მან ყურადღება მიაქცია მხოლოდ იმას, რომ ზოგიერთი პლატონისეული ცნება (ისეთი, როგორიც იყო, მაგალითად, participacion, „მონაწილეობა“), რომელსაც პლატონი მკაცრ საზრისს ანიჭებდა, სინამდვილეში სხვა არაფერი იყო, თუ არა მეტაფორა.

2. სილვა – სალექსო ფორმა.

3. გასეტს მოაქვს დეკარტის სიტყვები „მეტაფიზიკური განაზრებებიდან“: „მე – ესაა ნივთი მოაზროვნე, ანუ ეჭვქვეშ მყოფი, მამტკიცებელი, უარმყოფელი, ერთობ მცირედის მცოდნე და ბევრის არმცოდნე, მოყვარული, ზიზღის მქონი, მსურველი, არმსურველი, წარმომსახველი და მგრძნობიარე“.

თარგმნა **დავით ბარაბქაძემ.**
Ортега-и-Гассет. Две великие метафоры // Теория метафоры. М. 1990.
Jose Ortega y Gasset, Two Big Metaphors // Theory of Metaphor. Moscow, 1990.
Translated by **David Barabqadze.**

K 2119
1

რჩეულთა ბიბლიოთეკა • 1 •

ჯოზე ორტეგა ი გასეტი

ხელოვნების დეჰუმანიზაცია

ძ.ს. 2014-345

რჩეულთა ბიბლიოთეკა • 1

ჯულსი ვერნი

ოთხი გასეხი

•

ხელოვნების დეჰუმანიზაცია

K 2119

გამომცემლობა „ლომისი“
1992

701

87. 8 (4 ესპ)
გ231

ფილოსოფიური ესსე „ხელოვნების დეჰუმანიზაცია“, რომელსაც „ლომისი“ სთავაზობს მკითხველს, დიდი ესპანელი მოაზროვნის, თანამედროვე დასავლური ინტელექტუალიზმის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენლის ხოსე ორტეგა ი გასეტის (1883-1955) კალამს ეკუთვნის. ესსეში, რომელიც 1925 წელსაა დაწერილი, შთამბეჭდავი აზრობრივი სიღრმითა და ჭეშმარიტი მხატვრული ექსპრესულობით გაანალიზებულია თანამედროვე მოდერნისტული ხელოვნების ესთეტიკური არსი. ორტეგა ი გასეტის ესთეტიკური თეორია, ევროპელ ხელოვნებისმცოდნეთა ერთსულოვანი აღიარებით, XX საუკუნის მთელი მოდერნისტული მიმდინარეობის უნივერსალურ თეორიად გვევლინება.

ესპანურიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ
გივი ალხაზიშვილისა და როსტომ ჩხეიძის
რედაქციით

ხ47020117-200-261
მ 64(08) -92

© გამომცემლობა „ლომისი“

ხელოვნების დეჰუმანიზაცია

დე, ნუ ჰგონია დონა ბერტას ან სერ მარტინოს...

დანტე, ღვთაებრივი კომედია, -- სამოთხე, XIII, 139

ახალი ხელოვნების არაპოპულარობა

დიდი ფრანგი მოაზროვნის იუიოს მრავალ გენიალურ იდეას შორის, რომლებმაც, მართალია, სათანადო განვითარება ვერ ჰპოვეს, აღსანიშნავია მისი ცდა, სოციოლოგიური თვალსაზრისით შეესწავლა ხელოვნება. ერთის შეხედვით, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ამნაირი მცდელობა უნაყოფოა. განიხილო ხელოვნება მისი სოციალური ზემოქმედების თვალსაზრისით, თითქოსდა დროის ფუჭი ფლანგვაა, რაღაცნაირად მსგავსი იმისა, რომ მისი ლანდის მიხედვით შეისწავლო ადამიანი. ხელოვნების სოციალური ასპექტი, ზერელე აღქმით, იმდენად გარეგნული და შემთხვევითი, ესთეტიკური არსებისათვის იმდენად უცხო რამ გახლავთ, რომ გაუგებარია, რანაირად

შეიძლება ამით დაიწყო და სტილის არსს კი ჩასწვდე. იუიომ, რა თქმა უნდა, ვერ მოახერხა გამოეწურა თავისი გენიალური იდეიდან სანუკვარი წვენი. ხანმოკლე სიცოცხლემ და მოულოდნელმა ტრაგიკულმა აღსასრულმა საშუალება არ მისცა მის შთაგონებას დალვინებულიყო, რათა ყოველივე ტრივიალურისა და ხადაპირულისაგან განთავისუფლებულს თამამად გაებედა არსისა და სიღრმისეულ სფეროში შეჭრა. შეიძლება ითქვას, რომ მისი წიგნიდან ხელოვნება სოციოლოგიური თვალსაზრისით ჯერჯერობით რეალურია მხოლოდ სათაური, შინაარსი ჯერ კიდევ დასაწერია.

ხელოვნების სოციოლოგიის ქმედითი ძალა მე შევიგრძენი ანაზღეულად, როცა ამ რამდენიმე წლის წინათ უნდა დამეწერა გამოკვლევა ახალი მუსიკალური ეპოქის შესახებ, რომელსაც დასაბამი დაუდო დებიუსიმ. მე ვცდილობდი შეძლებისდაგვარი სიზუსტით განმესაზღვრა ახალი და ტრადიციული მუსიკის სტილისტური სხვადასხვაობა. ეს პირწმინდად ესთეტიკური პრობლემა იყო, და მაინც, მე მივხვდი, რომ მისი გადაჭრის უმოკლესი გზა არსებითად სოციოლოგიური ფენომენის,

სახელდობრ, ახალი მუსიკის არაპოპულარობის შესწავლა გახლდათ.

დღეს მე მინდა ზოგადად, თითქოს წინასწარ მოვნიშნო ჩემი სათქმელი და ვიგულისხმო ხელოვნების ყველა ის დარგი, რომლებიც ევროპაში ჯერ კიდევ ინარჩუნებენ გარკვეულ ცხოველმყოფელობას: ახალი მუსიკა იქნება ეს თუ ახალი ფერწერა, ახალი თეატრი თუ ახალი პოეზია. ჭეშმარიტად განსაცვიფრებელი და ენიგმურია ის ღრმა შინაგანი ერთობა, რომელსაც ყოველი ისტორიული ეპოქა ინარჩუნებს თავის ნებისმიერ გემოვნებაში. ერთნაირი შთაგონება, ერთი და იგივე სასიცოცხლო სტილი ფეთქავს ყველა ხელოვნებაში, ასე ძლიერ რომ განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ახალგაზრდა მუსიკოსი ანგარიშმიუცემლად ცდილობს ბგერებით მოახდინოს ზუსტად იმავე ესთეტიკურ ფასეულობათა რეპროდუცირება, რომელთა ხორცშესხმასაც მიელტვის მისივე თანამედროვე მხატვარიც, პოეტიც და დრამატურგიც. მხატვრული გრძნობის ეს საყოველთაო ერთობა ძალაუნებურად უნდა იწვევდეს ერთნაირ სოციალურ შედეგებს. და მართლაც, ახალი მუსიკის არაპოპულარობის შესატყვისია დანარჩენი მუზ-

ების არაპოპულარობაც. ყველა ახალი ხელოვნება არაპოპულარულია, მაგრამ შემთხვევით კი არა, თვით მისივე შინაგანი ბედისწერის ძალით.

შეიძლება შემომედავონ და მითხრან, რომ ყოველ ახლად მოვლენილ სტილს თავისი „კარანტინის პერიოდი“ აქვს, და შემახსენონ „ერნანის“ ირგვლივ ატეხილი ცხარე ბრძოლები, აგრეთვე სხვა განხეთქილებანი, რომანტიზმის გარიჟრაჟზე რომ იჩინეს თავი. მაგრამ არ გვაწყენს, ნაოლად გხედავდეთ განსხვავებას ორ ფენომენს -- არაპოპულარულსა და არახალხურს შორის.

სტილი, რომელიც რაღაც ახალსა ნერგავს, გარკვეული დროის მანძილზე საერთოდ ვერ ასწრებს მისაღები გახდეს ხალხისათვის; ის არა მარტო არაპოპულარულია, არამედ -- არახალხურიც. რომანტიზმის შემოჭრა, რაც შეიძლება ნიმუშად მოვიხმოთ, -- როგორც სოციოლოგიური ფენომენი ძირეულად უპირისპირდება იმას, რაღაც გვევლინება დღეს ხელოვნება. რომანტიზმმა ძალიან მალე შესძლო დაუფლებოდა ხალხს , რომელიც ძველ კლასიკურ ხელოვნებას არასდროს არ თვლიდა თავისად. მტერი, რომელთანაც რომანტიზმს მოუხდა შებმა, სწორედ

რჩეული უმცირესობა იყო, პოეზიის არქაულსა და ძველმოდურ ფორმებში ჩამყაყებული. მას შემდეგ, რაც წიგნის ბეჭდვა გამოიგონეს, რომანტიკოსთა ქმნილებები პირველად დაიბეჭდა დიდი ტირაჟით. რომანტიზმი ხალხური სტილი იყო Par excellence!

დემოკრატიის პირმშო ბრბოის ნებიერი გახლდათ.

ახალ ხელოვნებას, პირიქით, საქმე აქვს მისდამი მტრულად განწყობილ მასასთან, და ასე იქნება მუდამ. ის არახალხურია თვით თავისი არსით. მეტიც, ის ანტიხალხურია. მისი ნებისმიერი ქმნილება ავტომატურად იწვევს საზოგადოებაში კურიოზულ სოციოლოგიურ ეფექტს. პუბლიკა ორად იყოფა; ერთი ნაწილი, უფრო მცირე, კეთილმოსურნედაა განწყობილი; მეორე; გაცილებით უფრო დიდი, მტრული თვალით უყურებს მას. (ნუღარაფერს ვიტყვით სნობების ჟინიან ჯილაგზე). მაშასადამე, ხელოვნების ქმნილებები სოციალური

1 „უპირატესად“ (ფრანგ.) -- მთარგმნ.

ძალის მსგავსად მოქმედებენ, ძალისა, ორ ანტაგონისტურ ჯგუფს რომ ქმნის და ადამიანთა ორ მოქიშპე ბანაკად ჰყოფს ამორფულ მასას.

რა ნიშნით განირჩევა ერთმანეთისაგან ეს ორი კასტა? ხელოვნების ყოველი ქმნილება აზრთა სხვადასხვაობას იწვევს: ზოგს მოსწონს, ზოგს კი არა; ზოგისათვის უფრო მეტად მოსაწონია, ზოგისათვის -- უფრო ნაკლებად. ამნაირ გაყოფას არაორგანული ხასიათი აქვს, ის არაპრინციპულია. ჩვენი ინდივიდუალური გემოვნების ბრმა ჟინს შეუძლია აღგილი მიგვიჩინოს როგორც ერთთა, ისე მეორეთა შორის. მაგრამ ახალ ხელოვნებასთან მიმართებით ეს გამიჯვნა უფრო ღრმა დონეზე ხორციელდება, ვიდრე ინდივიდუალური გემოვნების თავნებობა გახლავთ. საქმე ის კი არაა, რომ საზოგადოების უმრავლესობას არ მოსწონს ახალი ქმნილება, ხოლო უმცირესობას -- მოსწონს. საქმე ისაა, რომ უმრავლესობას, მასას, საერთოდ არ ესმის იგი. ბებრუხუნებს, ერნანის წარმოდგენას რომ ესწრებოდნენ, მშვენივრად ესმოდათ ჰიუგოს დრამა, და სწორედ იმიტომ არ მოსწონდათ, რომ ესმოდათ იგი. ესთეტიკური აღქმის გარკვეული ტიპის ერთგულნი უჩვეულო ხიზლს განიცდიდნენ

ახალი მხატვრული ფასეულობების მიმართ, რომლებსაც მათ სთავაზობდა რომანტიკოსი.

„სოციოლოგიური თვალსაზრისით“ ახალი ხელოვნებისათვის, როგორც ვატყობ, ნიშნეულია სწორედ ის, რომ ადამიანთა ორ კლასად ყოფს საზოგადოებას: ზოგს ესმის, ზოგს კი არ ესმის იგი. შეიძლება იფიქრო, რომ არსებობს კაცთა მოდგმის ორი სხვადასხვა სახეობა, რომელთაგანაც ერთს თითქოს მოეძებნება აღქმის ერთგვარი საგანგებო უნარი, მეორე კი მოკლებულია მას. ახალი ხელოვნება, როგორც ჩანს, საყოველთაო ხელოვნება როდია, ვთქვათ, რომანტიკული ხელოვნების მსგავსად: ის თავისებური ნიჭით დაჯილდოებული უმცირესობისაკენაა ორიენტირებული. აქედან -- მასის გაღიზიანება. როცა ვიღაცას არ მოსწონს ხელოვნების ნაწარმოები, და არ მოსწონს სწორედ იმიტომ, რომ გასაგებია, მაშინ ეს კაცი თავის „უპირატესობას“ გრძნობს მის წინაშე და გაღიზიანებასაც აღარ განიცდის. მაგრამ როდესაც ნაწარმოები იმიტომ არ მოსწონს ვინმეს, რომ ბოლომდე გასაგები როდია, მაშინ ის თავს დამცირებულად გრძნობს, იღუმალი ეჭვის ჭია ღრღნის და მტკივნეულად განიცდის თავის უმწეობასა თუ

არასრულფასოვნებას, რის კომპენსირებასაც ნაწარმოების მიმართ თავისი აღშფოთებით, გამმაგებული თვითდამკვიდრების წყალობით ცდილობს. თავისი მოვლინებისთანავე ახალი ხელოვნება აიძულებს „კეთილ ბურჟუას“ სწორედ ამნაირად შეიგრძნოს თავი: „კეთილი ბურჟუა“, ხელოვნების იდუმალებათა წვდომა რომ არ ძალუძს, ბრმაა და ყრუა ნებისმიერი უანგარო მშვენიერების მიმართ. ამან კი არ შეიძლება უშედეგოდ ჩაიაროს ასეული წლების მანძილზე ბრბოის წინაშე ლაქუცისა და „ხალხის“ განდიდების შემდეგ. ერთპიროვნულ მბრძანებლობას ჩვეულმა მასამ ამ ახალი ხელოვნებით შეურაცხყოფილად იგრძნო თავი, და ის თავისი ადამიანური „უფლებების“ შელახვად მიიჩნია, რადგანაც ეს ხელოვნება პრივილეგირებულთა კუთვნილება, დახვეწილი ნერვული ორგანიზაციისა და არისტოკრატიული ინსტიქტის ხელოვნებაა. ყველგან, სადაც კი თავს იჩენენ ახალი მუზები, მასა გააფთრებით სდევნის მათ.

საუკუნენახევრის განმავლობაში „ხალხი“, მასა პრეტენზიას აცხადებდა იმაზე, რომ „მთელი საზოგადოება“ წარმოედგინა. სტრავინსკის მუსიკა და პირანდელოს დრამა იმნაირ სოციალურ ეფექტს ახდენენ, რაც გვაიძულებს დავუფიქრდეთ ამას და გცადოთ გავიგოთ, მაინც რა არის „ხალხი“, ხომ არ გვევლინება იგი სოციალური სტრუქტურის მარტოოდენ ერთ ელემენტად, ისტორიული პროცესის ინერტულ მასალად, ყოფიერების მეორეხარისხოვან კომპონენტად. თავის მხრივ, ახალი ხელოვნება ხელს უწყობს იმას, რომ „უკეთესებმა“ შეიცნონ თავიანთი თავი, მიეჩვიონ უსახო ბრბოში ერთმანეთის ცნობას და შეიგნონ თავიანთი დანიშნულება: წარმოადგენდნენ უმცირესობას და ებრძოდნენ უმრავლესობას.

ახლოვდება დრო, როცა საზოგადოება, პოლიტიკიდან ხელოვნებამდე, ხელახლა დაიწყებს ჩამოყალიბებას, როგორც ჯერ არს, ორ რანგად თუ ორ ორდენად: „ჩინებულთა“ და „უჩინოთა“ ორდენად. ამ ახალი, მხსნელად მოვლენილი გაყოფის მეოხებით ევროპის ყველა სატკივარი მოშუშდება, ყველა იარა განიკურნება. გაურკვეველი მთლიანობა, ამორფული, ქაოტური, შინაგან წესრიგს მოკლებული ერთიანობა ყოველგვარი წარმმართველი საწყისის გარეშე, -- ის, რაც ამ უკანასკნელი

საუკუნენახევრის განმავლობაში არსებობდა, -- აღარ შეიძლება კვლავაც არსებობდეს. თანამედროვე ცხოვრების ზედაპირქვეშ იმალება უღრმესი, აღმაშფოთებელი უსამართლობა: ადამიანთა რეალური თანასწორობის ყალბი პოსტულატი. ადამიანებთან ურთიერთობისას ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვრწმუნდებით საპირისპირო აზრის სისწორეში, ვინაიდან ყოველი ნაბიჯი სავალალო და სამწუხარო მარცხია.

როდესაც ადამიანთა უთანასწორობის საკითხს აყენებს პოლიტიკა, გამძვინვარებული ვნებების შემყურეს ძალაუნებურად აღგეძვრის აზრი, რომ ამ საკითხის დაყენებისათვის ხელსაყრელი დრო ჯერ კიდევ არ დამდგარა. საბედნიეროდ, ეპოქის სულის ერთობა, რაზედაც ზემოთ მოგახსენებდით, საშუალებას გვაძლევს ჩვენი დროის ახალ ხელოვნებაში მშვიდად, მთელი სიცხადით მოვახდინოთ იგივე სიმპტომების კონსტატაცია და ნაოლად განვჭვრიტოთ მორალური რეფორმის წინასწარ მაუწყებელი იგივე ნიშნეოლბიც პოლიტიკაში მდაბალი ვნებებითა თუ ქვენა გრძნობებითაა ამღვრეული.

ევანგელისტი წერს:"Nolite fieri sicut equus et mulus quibus non est intellectus"1 – „ნუ ემგვანებით უტვინო ჯორსა თუ ცხენს“. მასა ტლინკებს ყრის და არ ესმის. ვცადოთ პირიქით მოვიქცეთ. გამოვყოთ ახლად ფეხადგმული ხელოვნებიდან მისი არსებითი პრინციპი და ვნახოთ, რა სიღრმისეული აზრითაა იგი არაპოპულარული.

მხატვრული ხელოვნება

თუ ახალი ხელოვნება ყველასათვის გასაგები არ არის, ეს იმიტომ, რომ მისი საშუალებანი ზოგადადამიანურნი არ არიან. ხელოვნება ყველასათვის კი არა, მხოლოდ ადამიანთა ძალზე მცირ-

1 ავტორისეული ლაფსუსია: ეს სიტყვები ევანგელისტს კი არა, ფსალმისტს ეკუთვნის (ფსალმუნი XXXI, 9) -- მთარგმნ .

ერიცხოვანი კატეგორიისთვისაა განკუთვნილი. ეს ადამიანები, შესაძლოა, სხვებზე უფრო უმნიშვნელონიც არიან, მაგრამ აშკარად არ ჰგვანან დანარჩენებს.

უწინარეს ყოვლისა, არის ერთი რამ, რისი დაზუსტებაც ზედმეტი არ იქნებოდა. რას უწოდებს ადამიანთა უმრავლესობა ესთეტიკურ ტკბობას? რა ხდება ადამიანის სულში, როცა ხელოვნების ნაწარმოები, ვთქვათ, თეატრალური წარმოდგენა მოსწონს? პასუხი ეჭვს არ იწვევს: ადამიანებს მოსწონთ დრამა, თუკი ამ უკანასკნელმა შესძლო მოეხიბლა ისინი კაცთა ბედ-იღბლის ასახვით. ისინი გულშეძრულნი რჩებიან გმირთა სიყვარულით, სიძულვილით, სვეღავსილობითა თუ სიხარულით. მაყურებლები თვითონვე მონაწილეობენ მოვლენებში, თითქოს ეს მოვლენები ნამდვილნი იყვნენ და მართლაც ხდებოდნენ ცხოვრებაში. მაყურებლის აზრით, პიესა კარგია , თუ მან მოახერხა ცხოვრებისეული სიმართლის, წარმოსახულ გმირთა რეალურობის ილუზია გამოეწვია. ლირიკაში მკითხველი დაეძებს ადამიანურ სიყვარულს და სევდას, რომლებიც თითქოს პოეტის სტრიქონებში არიან ჩაწნულნი. ფერწერაში მაყურებელს

მხოლოდ ის სურათები იზიდავს, ქალებსა თუ კაცებს რომ გამოხატავენ, რომლებთან ურთიერთობაც, გარკვეული აზრით, საინტერესო იქნებოდა მისთვის. პეიზაჟი მას მომხიბლავი მოეჩვენება, თუ ის, საერთოდ, სასიამოვნოა, როგორც სასეირნო ადგილი.

ეს ნიშნავს, რომ ადამიანთა უმრავლესობისათვის ესთეტიკური ტკბობა, არსებითად, არ განსხვავდება იმ განცდებისგან, რომლებიც განუყრელად თან ახლავს მათ ყოველდღიურ ყოფას. განსხვავება მხოლოდ უმნიშვნელო, მეორეხარისხოვან წვრილმანებშია: ეს ესთეტიკური განცდა არც ისე უტილიტარისტულია, უფრო მეტად გაჯერებული გახლავთ და არავითარ მძიმე შეღებს არ იწვევს. მაგრამ, საბოლოო ანგარიშით, საგანი, ობიექტი, რომლისკენაც მიმართულია ხელოვნება და, ამასთან, მისი ღანარჩენი ატრიბუტებიც, -- ადამიანთა უმრავლესობისათვის იგივეა, რაც ყოველდღიურ ცხოვრებაში: ადამიანები და მათი ვნებები. ამიტომ ხელოვნებას ისინი უწოდებენ იმ საშუალებათა ერთობლიობას, რომელთა მეშვეობითაც მიიღწევა მათი კონტაქტი ყოველივე იმასთან, რაც საინტერესოა ჩვენს ცხოვრებაში. ამნაირ

მაყურებლებს შეუძლიათ მხოლოდ იმდენად დაუშვან წმინდა მხატვრული ფორმები, ირრეალურობა თუ ფანტასია, რამდენადაც ეს ფორმები არ არღვევენ ადამიანთა სახეებისა თუ კაცთა ბედ-იღბლის მათთვის ჩვეულ აღქმას. როგორც კი ეს პირწმინდად ესთეტიკური ელემენტები მოჭარბებას იწყებენ და პუბლიკა ველარა სცნობს ხუანისა თუ მარიამის მისთვის ჩვეულ თავგადასავალს, თავგზა ებნევა და აღარ იცის, რა უყოს პიესას, წიგნსა თუ სურათს. გასაგებია, რატომაც: მისთვის საერთოდ უცხოა საგნებისადმი ყველა სხვაგვარი დამოკიდებულება, პრაქტიკული, ესე იგი, იმნაირი დამოკიდებულების გარდა, რომელიც გვაიძულებს განვიცდიდეთ და აქტიურად ვერეოდეთ საგანთა სამყაროში. ნაწარმოები, რომელიც ამნაირი ჩარევისათვის არ აღგვძრავს, გულგრილსა გვტოვებს.

ამ საკითხში სრული სიცხადეა საჭირო. პირდაპირ ვიტყვი, რომ გახარებდეს ან გაღელვებდეს ადამიანთა ბედ-იღბალი, რაზედაც მოგვითხრობს ხელოვნების ქმნილება, -- ეს ჭეშმარიტად მხატვრული ტკბობისაგან რაღაც არსებითად განსხვავებული გახლავთ. მეტიც, ხელოვნების ნაწარმოებში მხოლოდ ადამიანური ყოფით დაინ-

ტერესება პრინციპულად შეუთავსებელია ნამდვილ ესთეტიკურ ტკბობასთან.

საქმე, არსებითად, ოპტიკურ პრობლემას ეხება. საგანი რომ დავინახოთ, საგანგებოდ უნდა მოვმართოთ ჩვენი მხედველობითი აპარატი. თუკი ჩვენი სამზერი მოწყობილობა არაადექვატურია საგნის მიმართ, მაშინ სეროზედ ვერ დავინახავთ, ან ბუნდოვნად თუ გავარჩევთ მას. დაე, მკითხველმა წარმოიდგინოს, რომ ახლა ჩვენ ფანჯრიდან გავცქერით ბაღს. ჩვენი თვალი იმდენად უნდა მიესადაგოს ამ აქტს, რომ მხედველობითმა სხივმა მინაში გააღწიოს, შიგ არ ჩარჩეს და ყვავილებსა თუ ფოთლებზე შეჩერდეს. რაკიღა ჩვენი საგანი ბაღია და მხედველობის სხივიც მისკენაა მიმართული, მზერით ისე განვწონით მინას, რომ ვერც კი ვამჩნევთ მას. მაგრამ თუ თავს ძალას დავატანთ, შეგვიძლია ბაღს მოვწყვიტოთ თვალი და მინაზე გადავიტანოთ მზერა. მხედველობის არიდან გაქრება ბაღი და, ბუნებრივია, რაც მისგან დარჩება, ეს იქნება ბუნდოვანი ფერადი ლაქა, რომელიც თითქოს მინას ამჩნევია. მაშასადამე, ხედავდე ბაღს და ხედავდე ფანჯრის მინას, ეს ორი უროიერთშეუთავსებელი აღქმა გახლავთ: ისინი ერთმანეთს გამ-

ორიცხავენ და მხედველობის სხვადასხვანაირ აკომოდაციას მოითხოვენ.

მაშასადამე, გისაც ხელოვნების ნაწარმოებში ხუანისა თუ მარიამის, ან ტრისტანისა თუ იზოლდას ბედი აღელვებს, და სწორედ ამას უსადაგებს თავის სულიერ აღქმას, გერასოდეს დაინახავს საკუთრივ მხატვრულ ნაწარმოებს. ტრისტანის მწუხარება მხოლოდ ტრისტანის მწუხარებაა და, მაშასადამე, მხოლოდ იმდენად შეიძლება გვაღელვებდეს, რამდენადაც რეალობად აღვიქვამთ მას. მაგრამ საქმე ისაა, რომ ხელოვნების ნაწარმოები მხოლოდ იმდენადაა ხელოვნების ნაწარმოები, რამდენადაც არარეალურია. მარტოოდენ ამ პირობით თუ შეიძლება დავტკბეთ კარლოს V-ის ტიციანისეული პორტრეტით, საღაც ის ცხენზე ამხედრებულია გამოსახული: ჩვენ არ უნდა ვუყურებდეთ კარლოს V-ს, როგორც ნამდვილ, ცოცხალ პიროვნებას, -- ნაცვლად ამისა, ჩვენ უნდა ვხედავდეთ მხოლოდ პორტრეტს, ირრეალურ სახეს, გამოგონებას. პორტრეტზე გამოსახული კაცი და თვით პორტრეტი ორი სრულიად სხვადასხვა რამ გახლავთ: ჩვენ ან ერთი უნდა გვაინტერესებდეს და ან მეორე. პირველ შემთხვევაში

ჩვენ კარლოს V-სთან ერთად ვცოცხლობთ; მეორეში საკუთრივ ხელოვნების ნაწარმოებს ვჭვრეტთ.

მაგრამ ადამიანთა უმრავლესობას არ შეუძლია იმნაირად მომართოს თავისი მზერა, რომ თვალწინ ბაღი ედგას და მინას, ესე იგი, იმ გამჭვირვალებას ხედავდეს, რომელიც ხელოვნების ნაწარმოების არსად გვევლინება: ნაცვლად ამისა, ადამიანები ისე ჩაიცქირებიან მის გვერდით, -- ან ისე გაივლიან თვით მასშივე, -- რომ წამითაც არ შეჩერდებიან, რადგანაც ამჯობინებენ მთელი თავიანთი ვნებით ჩაებღაუჭონ ხელოვნების ნაწარმოებში მთრთოლავ ადამიანურ რეალობას. თუ მათ ვურჩევთ, თავი ანებონ თავიანთ ნადავლს და ხელოვნების ნაწარმოებზე გადაიტანონ ყურადღება, პასუხად გვეტყვიან, რომ ვერაფერს ვერ ხედავენ იქ, და მართლაც ვერ ხედავენ მათთვის ესოდენ ჩვეულ ადამიანურ მასალას, რადგანაც მათ წინაშეა წმინდა მხატვრულობა, წმინდა ძალმოსილება.

XIX საუკუნის განმავლობაში მხატვრები ძალზე უსუფთაოდ მუშაობდნენ. მათ მინიმუმამდე დაჰყავდათ პირწმინდად ესთეტიკური ელემენტები და ცდილობდნენ თავიანთი ქმნილებები თითქმის

მთლიანად ადამიანური ყოფის ასახვაზე დაეფუძნებინათ. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ გასული საუკუნის ხელოვნება, ასე თუ ისე, რეალისტური იყო. რეალისტები იყვნენ ბეთჰოვენი და გაგნერი. შატობრიანი ისეთივე რეალისტია, როგორიც ზოლა. რომანტიზმი და ნატურალიზმი, თუ მათ ღღევანდელი ღღის სიმაღლიდან დავხედავთ, ერთმანეთს უახლოვდებიან და საერთო რეალისტურ ფესვებს ავლენენ.

ამნაირი ქმნილებები მხოლოდ ნაწილობრივ გვევლინებიან ხელოვნების ნაწარმოებებად, მხატვრულ საგნებად. მათი კითხვით, სმენითა თუ ჭვრეტით რომ დატკბე, სულაც არ არის აუცილებელი მგრძნობიარე იყო არაცხადისა და მჭვირვალის მიმართ, რასაც გულისხმობს მხატვრული აღქმა. საკმარისია გქონდეს ჩვეულებრივი ადამიანური აღქმის უნარი და საშუალება მისცე მოყვასის ტანჯვას თუ სიხარულს, გამოძახილი ჰპოვონ შენს სულში. აქედან გასაგებია, თუ რატომ იყო XIX საუკუნის ხელოვნება ესოდენ პოპულარული: მას იმნაირი პროპორციით გაზავებულს სთავაზობდნენ მასას, რომ უკვე ხელოვნება კი აღარ იყო, არამედ -- ცხოვრების ნაწილი. გავიხსენოთ, რომ ყველა

ეპოქაში, როცა არსებობდა ორი სხვადასხვა ტიპის ხელოვნება -- ერთი უმცირესობისათვის, მეორე კი უმრავლესობისათვის, ეს უკანასკნელი ყოველთვის რეალისტური იყო.1

მოდით, ნუ ვიდავებთ იმაზე, შესაძლებელია თუ არა წმინდა ხელოვნება. ალბათ, არა; მაგრამ აზრის მსვლელობა, რომელიც ამნაირ უარყოფამდე მიგვიყვანს, ძალზე გაჭიანურებული და რთული იქნება. ამიტომ უმჯობესია თავი ვანებოთ ამ თემას, მით უმეტეს, რომ ის, არსებითად, არც უკავშირდება ჩვენს სათქმელს. წმინდა ხელოვნება

1 როგორც მაგალითად, შუა საუკუნეებში. იმ საზოგადოების ბინარული სტრუქტურის შესაბამისად, ორ სოციალურ ფენად რომ იყოფოდა -- წარჩინებულებად და პლებეებად, არსებობდა კეთილშობილი ხელოვნება, რომელიც პირობითი, იდეალისტური, ესე იგი, მხატვრული იყო, მაშინ როდესაც ხალხური ხელოვნება რეალისტურ და სატირულ ხელოვნებად გვევლინებოდა.

შეუძლებელიც რომ იყოს, ეჭვს გარეშეა, რომ დიახაც შესაძლებელია მისი გაწმენდის ბუნებრივი ტენდენცია. ეს ტენდენცია ადამიანური, მეტისმეტად ადამიანურიელ ემენტების თანდათანობით გამოძევებამდე მიგვიყვანს, ელემენტებისა, რომლებიც ჭარბობდნენ რომანტიკულსა და ნატურალისტურ მხატვრულ პროდუქციაში. ამ პროცესის მსვლელობაში დადგება ისეთი მომენტი, როცა ნაწარმოების ადამიანური შინაარსი იმდენად მწირი გახდება, რომ შეიძლება ვეღარც კი შევნიშნოთ. მაშინ ჩვენს წინაშე იქნება საგანი, რომელიც შეიძლება აღქმულ იქნეს მხოლოდ მათ მიერ, ვინც მხატვრული აღმქმელობის განსაკუთრებული ნიჭითაა დაჯილდოებული. ეს იქნება ხელოვნება ხელოვანთათვის, და არა მასისათვის; ეს იქნება ხელოვნება კასტისა, და არა ღემოსისა.

აი, რატომ ყოფს ახალი ხელოვნება პუბლიკას ორ კლასად, რომელთაგანაც ერთს ესმის, მეორეს კი არ ესმის იგი; ერთის მხრივ -- მხატვრებად, მეორეს მხრივ კი -- არამხატვრებად. ახალი ხელოვნება პირწმინდად მხატვრული ხელოვნებაა.

მე არ გაპირებ ცაში ავიყვანო ქება-დიდებით ხელოვნების ეს ახალი მიმართულება და, მით

უმეტეს, დავგმო ის საშუალებები, რომლებსაც გასული საუკუნე იყენებდა. შემოვიფარგლები მხოლოდ იმით, რომ აღვნიშნავ მათ თავისებურებებს, როგორც იქცევა ზოლოგი ერთმანეთისაგან შორი-შორ მდგომი ფაუნის ორი სახეობის განსილვისას. ახალი ხელოვნება უნივერსალური ფაქტორია. აგერ უკვე ოცი წელი იქნება, რაც უკანასკნელი ორი თაობის ყველაზე ალღოიანმა ახალგაზრდა წარმომადგენლებმა პარიზსა თუ ბერლინში, ლონდონსა თუ ნიუ იორკში, რომსა თუ მადრიდში მოულოდნელად აღმოაჩინეს, რომ ოდნავადაც აღარ აინტერესებთ ტრადიციული ხელოვნება, მეტიც, ის აშკარა ზიზღსა ჰგვრის მათ. ამ ახალგაზრდებს შეიძლება ორნაირად მოექცე: ან უნდა დახვრიტო, ანდა ეცადო გაუგო მათ. მე უპოჟმანოდ ავირჩიე მეორე შესაძლებლობა, და სულ მალე შევნიშნე, რომ მათში ისახება ხელოვნების ახლებური გაგება, ახალი მხატვრული გრძნობა, რომლისთვისაც ნიშნეულია სრული სიწმინდე, სიმკაცრე და რაციონალურობა. ეს გრძნობა, რომელსაც ვერასდიდებით ვერ მიიჩნევ ახირებად, ხელოვნების მთელი უწინდელი განვითარების გარდუვალ და ნაყოფიერ შედეგად გვეჩვენება. რაღაც-

ნაირი ჟინიანობა, უსაფუძვლობა და, საბოლოო ანგარიშით, უაზრობა, პირიქით, სწორედ ისაა, რომ ცდილობდე წინ აღუდგე ამ ახალ სტილს და ჯიუტად ებღაუჭებოდე უკვე დრომოჭმულ, უმწეო და უნაყოფო ფორმებს. ხელოვნებაში, ისევე როგორც მორალში, ის, რაც ჯერ არს, ჩვენს თვითნებობაზე როდია დამოკიდებული; ისღა დაგვრჩენია, დავემორჩილოთ იმ იმპერატივს, რასაც თავს გვახვევს ეპოქა. დაემორჩილო დროის მბრძანებლურ კარნახს, -- ინდივიდს მხოლოდ ეს ერთადერთი საშუალება რჩება საამისოდ, რომ გასძლოს; მარცხი გარდუვალია, თუ ის თავისას არ მოიშლის და ჯიუტად ეცდება შექმნას კიდევ ერთი ვაგნერისებური ოპერა, ან ნატურალისტური რომანი.

ხელოვნებაში ყოველგვარი განმეორება უაზროა. ისტორიულად აღმოცენებულ ნებისმიერ სტილს შეუძლია შექმნას ნაირგვარ ფორმათა გარკვეული რაოდენობა ერთი ზოგადი ტიპის ფარგლებში. მაგრამ გადის დრო და ოდესღაც ცხოველმყოფელი წყარო იწრიტება. ასე დაემართა, მაგალითად, რომანტიკულ-ნატურალისტურ რომანს

და დრამას. მიამიტური შეცდომაა ვიფარაუდოთ, თითქოს ჩვენს დროში ორივე ამ ჟანრის უნაყოფობა ტალანტთა ნაკლებობით იყოს გამოწვეული. არა, შეიქმნა იმნაირი სიტუაცია, რომ ამ ჟანრების წიაღში ნებისმიერი შესაძლო კომბინაცია ამოიწურა. ამიტომ ღიდ წარმატებად უნდა მიგვაჩნდეს, რომ ამნაირი სიმწირის გვერდით თავს იჩენს სრულიად ახალი აღქმა, ახალგაზრდა ტალანტების გაფურჩქვნას რომ უწყობს ხელს.

ახალი სტილის ანალიზისას შეიძლება.შევნიშნოთ მასში ერთმანეთთან დაკავშირებული რამდენიმე ტენდენცია: 1. ხელოვნების დეჰუმანიზაციის ტენდენცია; 2. ცოცხალი ფორმებისაგან თავის დაღწევის ტენდენცია; 3. იმისკენ სწრაფვა, რომ ხელოვნების ნაწარმოები მხოლოდ და მხოლოდ ხელოვნების ნაწარმოები იყოს; 4. ხელოვნების, როგორც მარტოოდენ თამაშის გაგებისაკენ სწრაფვა; 5. მისწრაფება მძაფრი ირონიისკენ; 6. ყოველგვარი სიყალბის თავიდან აცილების ტენდენცია და, ამასთან დაკავშირებით, დახვეწილი საშემსრულებლო ოსტატობა; და ბოლოს, 7. ხელოვნები-

სათვის, ახალგაზრდა ხელოვანთა აზრით, აშკარად უცხოა ყოველგვარი ტრანსცენდენცია.

მოკლედ მოვხაზოთ ახალი ხელოვნების ყველა ეს ნიშან-თვისება.

ცოტაოდენი ფენომენოლოგია

კვდება სახელგანთქმული კაცი. სასოუმალთან ცოლი უზის. ექიმი მაჯას უსინჯავს სულთმობრძავს. ოთახის სიღრმეში მომაკვდავის ორი ნაცნობია -- ჟურნალისტი, რომელიც ამ სასიკვდილო სარეცელთან სამსახურებრივმა მოვალეობამ მოიყვანა, და მხატვარი, რომელიც შემთხვევით აღმოჩნდა აქ. ცოლი, ექიმი, ჟურნალისტი და მხატვარი ერთსა და იმავე მოვლენას ესწრებიან. მაგრამ ამ ერთსა და იმავე მოვლენას -- ადამიანის სულთმობრძაობას -- თვითოეული მათგანი თავისებური თვალთახედვით აღიქვამს. ხედვის ყველა ეს წერტილი იმდენად განსხვავდება ერთმანეთისგან, რომ ალბათ არც კი მოეძებნებათ რამე საერთო.

განსხვავება იმას შორის, თუ როგორ აღიქვამენ ამ ამბავს მწუხარებისაგან ცნობამიხდილი ქალი და მხატვარი, გულგრილად რომ აკვირდება ამ სცენას, იმდენად დიდია, რომ ისინი, შეიძლება ითქვას, ორი სხვადასხვა სცენის მოწმენი არიან.

მაშასადამე, როგორც ირკვევა, სხვადასხვა თვალსაზრისით განხილული ერთი და იგივე რეალობა შეიძლება ერთმანეთისაგან განსხვავებულ მრავალ რეალობად დაქუცმაცდეს. ძალაუნებურად უნდა ვიკითხოთ: ამ მრავალრიცხოვან რეალობათაგან მაინც რომელია ნამდვილი, ჭეშმარიტი? ნებისმიერგი ჩვენი მსჯელობა თვითნებური იქნება. უპირატესობა, რომელსაც ამა თუ იმ რეალობას მივანიჭებთ, შეიძლება მხოლოდ სუბიექტურ გემოვნებაზე იყოს დაფუძნებული. ყველა ეს რეალობა ერთმანეთის ტოლფასი გახლავთ, თვითეული მათგანი ჭეშმარიტია, შესაბამისი თვალსაზრისით. ჩვენ მხოლოდ ერთი რამ შეგვიძლია: მოვახდინოთ თვალსაზრისთა კლასიფიცირება და მათ შორის ამოვარჩიოთ ის, რომელიც უფრო ახლობელი გვეჩვენება. ამ გზით მივაღწევთ გაგებას, რომელიც. მართალია, აბსოლუტურ ჭეშმარიტებას არ აღგვითქვამს, მაგრამ

პრაქტიკულად მაინც ხელსაყრელია და სინამდვილის მომაწესრიგებელი.

ყველაზე სანდო საშუალება, რომლითაც შეიძლება ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ იმ ოთხი ადამიანის სხვადასხვა თვალსაზრისი, სიკვდილის სცენას რომ ესწრებიან, ის გახლავთ, რომ ერთმანეთს შევუპირისპიროთ ისინი ერთი და იმავე ნიშნის მიხედვით, სახელდობრ, გავიხილოთ ის სულიერი დისტანცია, რომელიც დევს თვითეულ მათგანსა და ოთხივესათვის საერთო მოვლენას -- მომაკვდავის სულთმობრძაობას შორის. მომაკვდავის მეულლისათვის ეს დისტანცია მინიმალურია, ის თითქმის არ არსებობს. სამწუხარო მოვლენას ისე დაუფლეთია ქალის გული, ისე მოუცავს მთელი მისი არსება, რომ ის მთლიანად ერწყმის ამ მოვლენას; ხატოვნად რომ ვთქვათ, ცოლი ერთვება სცენაში და მის ნაწილად იქცევა. მაყურებლის თვალით რომ აღვიქვათ ეს სცენა, აუცილებელია დავშორდეთ მას, აუცილებელია, რომ ის გულისშემძვრელად აღარ მოქმედებდეს ჩვენზე. ცოლი ამ სცენას მოწმესავით როდი ესწრება, ის

თვით მასშია, ის კი არა ჭვრეტს, რაც ხდება, არამედ მასშივე ცოცხლობს.

ექიმი უკვე ოდნავ შორსაა, მისთვის ეს პროფესიული შემთხვევა გახლავთ. ის არ განიცდის ამ სიტუაციას იმ მტანჯველი და ცნობისმიმხლელი მწუხარებით, რომელიც ავსებს საბრალო ქალის გულს. მაგრამ პროფესია ავალდებულებს, მთელი სერიოზულობით მოეკიდოს იმას, რაც ხდება. მას გარკვეული პასუხისმგებლობა აკისრია და, შესაძლოა, სწორედ ამ ვითარებაზეა დამოკიდებული მისი პრესტიჟიც.

ამიტომ, მართალია, უფრო ნაკლებ უანგაროდ და ინტიმურად, ისიც მონაწილეობს ამ სცენაში, რომელიც გარკვეულ ზემოქმედებაც ახდენს მასზე, თავის დრამატულ განვითარებაში ითრევს და ექიმის გულს თუ არა, ყოველ შემთხვევაში, მის პროფესიულ მხარეს მაინც ეხება. ისიც თავისებურად განიცდის ამ სამწუხარო ამბავს, თუმცაღა მისი განცდა თვით გულიდან კი არა, იმ გრძნობათა პერიფერიიდან იღებს დასაბამს, უშუალოდ რომ უკავშირდებიან მის პროფესიონალიზმს.

ახლა, თუ რეპორტიორის აღგილას დავდგებით, ჩვენ დავინახავთ, რომ უკვე ძალიან დავშ-

ორდით სამწუხარო სიტუაციას. დაიხ, ჩვენ იმდენად დავცილდით სიკვდილის სცენას, რომ ჩვენმა გრძნობებმა ყოველგვარი კონტაქტი დაკარგეს მასთან. ჟურნალისტი, ისევე, როგორც ექიმი, აქ სამსახურებრივმა მოვალეობამ მოიყვანა, და არა უშუალო თანაგრძნობამ, ან ჰუმანურმა ზრახვამ. მაგრამ თუ თავისი პროფესია აიძულებს ექიმს, უშუალოდ ერეოდეს იმაში, რაც ხდება, ჟურნალისტის პროფესია, პირიქით, ჩაურევლობას ავალებს რეპორტიორს: ის მარტოოდენ დაკვირვებით უნდა შემოიფარგლოს. რაც ხდება, ეს მისთვის, კაცმა რომ თქვას, მხოლოდ უბრალო სცენაა, განყენებული სანახაობა, რომელიც შემდეგ თავისი გაზეთის ფურცლებზე უნდა აღწეროს. მისი გრძნობები არ მონაწილეობენ იმაში, რაც ხდება სული შეძრული არ არის მწუხარე სცენით, ის აშკარად მის გარეთაა, მაგრამ მაინც აკვირდება და თან იმაზე ფიქრი აწუხებს, თუ როგორ აღუწეროს ყოველივე ეს თავის მკითხველებს; მხოლოდ ერთი სურვილი აქვს: რანაირად დააინტერესოს, ან ააღელვოს ისინი და შეძლებისდაგვარად მიაღწიოს იმას, რომ გული აუჩუყოს, აატრიალოს და ერთი წამით მაინც მომაკვდავის ნათესავებად აქციოს ხელისმომწერნი. მას

ახსოვს ჯერ კიდევ სკოლაში დაზეპირებული ჰორაციუსის რეცეპტი: "Si vis me flere, dolendum est primum ipsi tibi"[1]

ჰორაციუსის მიმდევარი რეპორტიორი ცდილობს თავის სულში გამოიწვიოს ამ მოვლენის შესაფერისი მწუხარება, რათა შემდეგ თავის სტატიაში ჩააქსოვოს იგი. ამრიგად, თუმცა ის არ ცოცხლობს სცენით, მაგრამ თავს ისე გვაჩვენებს, ვითომცდა მისით ცოცხლობდეს.

და ბოლოს, ყველაფრის მიმართ გულგრილ მხატვარს მხოლოდ ერთი საზრუნავი აქვს: როგორმე შეიჭყიტოს კულისებში; რაც სცენაზე ხდება, მას არ ეხება; როგორც იტყვიან სხვაგან ჰქრის მისი გონება. მხატვრის პოზიცია პირწმინდად კონტემპლაციურია, მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ის მთელი სავსებით არცა ჭვრეტს მოვლენის დრამატულ განვითარებას, მოვლენისა, რომლის

1 „თუ გსურს ცრემლი მომგვარო თვალზე, ჩემამდე შენგმა რთებს გლოვა“ (ლათ.), პოეზიის ხელოვნება, 102.-მთარგმნ.

შინაგანი აზრიც მისი აღქმის მიღმა რჩება. ის ყურადღებას აქცევს მხოლოდ გარეგნულ მხარეს -- შუქ-ჩრდილის თამაშს, ქრომატულ ნიუანსებს. მხატვრის სახით ჩვენ საქმე გვაქვს მოვლენისაგან მაქსიმალურ დაშორებასა და გრძნობების მინიმალურ მონაწილეობასთან ამავე მოვლენაში.

ესოდენ ვრცელი ანალიზი აუცილებელია და გამართლებული, თუ მოვახერხეთ გარკვეული სიცხადით დაგვედგინა სულიერ დისტანციათა სკალა ჩვენსა და რეალობას შორის. ამ სკალაზე რომელიმე მოვლენის ჩვენთან სიახლოვის ხარისხი ამავე მოვლენით ჩვენი გრძნობების აღძვრის ხარისხს შეესაბამება, ხოლო მისგან ჩვენი დაშორების ხარისხი, პირიქით, რეალური მოვლენისაგან ჩვენი დამოუკიდებლობის ხარისხზე მიგვანიშნებს; ამ ჩვენი თავისუფლების განმტკიცების წყალობით, რეალობის ობიექტივაციას ვახდენთ და წმინდა ჭვრეტის საგნად ვაქცევთ მას. სკალის ერთ ერთ უკიდურეს წერტილზე რომ ვდგავართ, რეალური სინამდვილის გარკვეულ მოვლენებთან -- ადამიანებთან, საგნებსა თუ სიტუაციებთანა გვაქვს საქმე; ისინი ცოცხალ რეალობად გვევლინებიან; და პირიქით, მეორე უკიდურეს წერტილზე დგომისას,

საშუალება გვეძლევა ისე აღვიქვამდეთ ყველაფერს, როგორც ჭვრეტით საწვდომ რეალობას.

აქ ჩვენ უნდა გავიზიაროთ ერთი შენიშვნა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ესთეტიკისთვის, და რომლის გარეშეც გაგვიჭირდება როგორც ძველი, ისე ახალი ხელოვნების არსში წვდომა. რეალობის სხვადასხვა ასპექტთა შორის, ხედვის სხვადასხვა წერტილს რომ შეესაბამებიან, არსებობს ერთი ასპექტი, რომელიც დასაბამს აძლევს ყველა დანარჩენს და თვითეულ მათგანში იგულისხმება. ესაა ფიცხალი რეალობის ასპექტი. რომ არ იყოს არავინ, ვინც ნამდვილად მოელის არსებით, მწუხარებისაგან შეშლილი, განიცდიდა მომაკვდავის აგონიას, ანდა, უარეს შემთხვევაში, ამ აგონიით შეცბუნებული არ იყოს თვითონ ექიმიც, მკითხველები ვერ აღიქვამდნენ ამ მოვლენის აღმწერი ჟურნალისტის პათეტიკურ ჟესტებს, ხოლო მაყურებლები -- სურათს, რომელზედაც მხატვარმა გამოხატა სასიკვდილო სარეცელზე მწოლარე და მგლოვიარე ფიგურებით გარშემორტყმული კაცი; ეს მოვლენა მათთვის საერთოდ გაუგებარი დარჩებოდა.

იგივე ითქმის ნებისმიერ სხვა ობიექტზეცაც, კაცი იქნება ეს თუ საგანი. ვაშლის პირველადი ფორმა ის ფორმაა, რომელიც ვაშლს აქვს იმ

მომენტში, როცა ჩაკბეჩას უპირებენ. ყველა დანარჩენ ფორმაში (სულერთია, რომელ ფორმას ვიგულისხმებთ: იმას, რომელიც 1600 წელს მიანიჭა მას მხატვარმა, ბაროკოს სტილით რომ შექმნა ვაშლისა და ორნამენტის კომბინაცია; იმას, რომელსაც ჩვენ ვხედავთ სეზანის ნატურმორტში, თუ მარტივ მეტაფორას, სადაც ვაშლი ქალწულის ღაწვთანაა შედარებული) მეტ-ნაკლები სისრულით ინახება ეს პირველადი ხატება. ცოცხალი ფორმებისაგან განძარცული ფერწერა თუ პოეზია სრულიად გაუგებარი იქნებოდა, ესე იგი, არარაობად იქცეოდა, ისევე როგორც ვერაფერს გვეტყოდა სტრიქონი, სადაც ყოველი სიტყვა მოკლებული იქნებოდა თავის ჩვეულ მნიშვნელობას.

ეს ნიშნავს, რომ რეალობათა სკალაზე თავისებური პირველობა მიეკუთვნება ცოცხალ რეალობას, რომელიც გვავალდებულებს ვაფასებდეთ მას, როგორც თვით რეალობას უპირატესად. მხატვრის საქციელი, გულგრილად როომ აკვირდება სიკვდილის სცენას, არა-ადამიანური ჩანს. ამიტომ ვოქვათ, რომ ხედვის ადამიანური წერტილი ის წერტილია, საიდანაც ჩვენ განვიცდით სიტუაციებს, ადამიანებსა და საგნებს. ცხადია, რომ ადამიანური, ჰუმანიზირებული გვეჩვენება ყველა რეალობა -- ქალი, პეიზაჟი, ბედი, -- როცა ისინი წარმოგვიდგებიან იმ პერსპექტივაში, რომელშიაც ისინი, ჩვეულებრივ, განიცდებიან .

აი, მაგალითი, რომლის მნიშვნელობასაც მკითხველი მოგვიანებით ჩასწვდება. გარდა საგნებისა, სამყარო ჩვენი იდეებისგანაც შედგება. ამ იდეებს ჩვენ ადამიანურად ვიყენებთ, როცა მათი მეშვეობით ვიაზრებთ საგნებს; ასე მაგალითად, ნაპოლეონზე ფიქრისას ჩვენ ვგულისხმობთ დიდ ადამიანს, რომელსაც ეს სახელი ერქვა; ესაა და ეს. პირიქით, თეორეტიკოსი ფსიქოლოგი, ხედვის არაბუნებრივ, არა-ადამიანურ წერტილს რომ ირჩევს, აზრით განეყენება, განერიდება ნაპოლეონს და, თავისი შინაგანი სამყაროს მიმართ მიქცეული, ცდილობს გააანალიზოს საკუთრივ ნაპოლეონის იდეა, რომელიც არის მასში. მაშასადამე, საქმე ეხება მზერის მიმართულებას, იმ მიმართულების საპირისპიროს, რომელსაც ავტომატურად ვესადაგებით ყოველდღიურ ცხოვრებაში. აქ იდეა ინსტრუმენტი კი აღარ არის, რომლის მეშვეობითაც ვიაზრებთ საგანს, არამედ

თვითონვე იქცევა ჩვენი აზროვნების საგნად და მიზნად. ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რა მოულოდნელად იყენებს ამ მიქცევას არა-ადამიანურისაკენ ახალი ხელოვნება.

ოფეშა ხელოვნების დეჰუმანიზაცია

ახალი ხელოვნება თავბრუდამხვევი სისწრაფით დაიყო სხვადასხვა მიმართულებათა თუ მიმდინარეობათა სიმრავლედ. არა არის რა იმაზე აღვილი, რომ შენიშნო სხვადასხვაობა ცალკეულ ქმნილებებს შორის. მაგრამ სხვაობისა და სპეციფიკის ამნაირი აქცენტრირება არაფერს არ მოგვცემს, თუ თავდაპირველად არ განვსაზღვრეთ ის ზოგადი, რასაც სხვადასხვანაირად, ზოგჯერ კი ურთიერთსაპირისპიროდაც ამტკიცებს თვითეული მათგანი. ჯერ კიდევ არისტოტელე გვასწავლიდა, რომ საგნები განსხვავდებიან იმით, რითაც ერთმანეთს ჰგვანან, იმით, რაც საერთოა მათთვის. რაკიღა ყველა

სხეულს აქვს ფერი, ჩვენ ვამჩნევთ, რომ ზოგიერთი მათგანი ფერით განსხვავდება დანარჩენთაგან. კაცმა რომ თქვას, სახეობები გვარის სპეციფიკაა, და ჩვენ მხოლოდ მაშინ ვასხვავებთ მათ, როცა შეგვიძლია ცვალებად ფორმათა მრავალფეროვნებაში ამოვიცნოთ მათი საეროო ფესვი.

ახალი ხელოვნების ცალკეული მიმართულებანი ნაკლებად მაინტერესებენ და, იშვიათ გამონაკლისთა გარდა, კიდევ უფრო ნაკლებად მაინტერესებს ცალკე აღებული ესა თუ ის ნაწარმოები. თუმცა სულაც არ არის სავალდებულო, ვინმეს აინტერესებდეს ახალი მხატვრული პროდუქციის ჩემეული შეფასება. ავტორები, რომელთა მთელი პათოსიც ამა თუ იმ ნაწარმოების მოწონებით ან დაწუნებით იფარგლება, საერთოდ არ უნდა იღებდნენ ხელში კალამს. როგორც ამბობდა კლარინი, ზოგიერთ დანავსულ დრამატურგზე, უმჯობესია, რაიმე სხვა საქმეს მოჰკიდონ ხელი, ან ოჯახს მაინც მოეკიდონო. -- აჰ, უკვე?.. მაშინ მეორეს მოეკიდონ.

აი, რა არის არსებითი: სამყაროში არსებობს ახალი ესთეტიკური გრძნობის უდავო ფაქტი.1 ღღევანდელი მიმართულებებისა და ინდივიდუალური ქმნილებების მთელი სიმრავლის მიუხედავად, ეს გრძნობა განასახიერებს იმ ზოგად, გვარეობით საწყისს, რომელიც მათი სათავეა. ინტერესს მოკლებული არ იქნება გავერკვეთ ამ მოვლენაში.

როცა ახალი ხელოვნების ზოგად-გვარეობითი და ყველაზე მეტად სპეციფიკური ნიშნის განსაზღვრას ვცდილობ, მე ვხელავ ხელოვნების ღეჰუმანიზაციის ტენდენციას. წინა ქვეთავი ხელს გვიწყობს ამ ფორმულის დაზუსტებაში.

ორი სურათის შეპირისპირებისას, რომელთაგანაც ერთი ახლებური მანერითაა შესრულებული, ხოლო მეორე 1860 წლით თარიღდება, ყველაზე ადვილია, როგორც ერთ, ისე მეორე სურათზე გამოხატული საგნების -- ვთქვათ, კაცის, შენობისა თუ მთის -- შედარებას მივმართოთ. სულ მალე ცხადი გახდება, რომ 1860 წელს მხატვრის უპირველესი საზრუნავი შემდეგი იყო: როგორმე მიეღწია იმისთვის, რომ საგნებს მის სურათზე იგივე სახე და იერი შეენარჩუნებინათ, რაც სურათის გარეთა აქვთ, სადაც ისინი ცოცხალი , ანუ აღამჟა ნური რეალობის ნაწილს შეადგენენ. შესაძლოა, 1860 წელს მხატვარი სხვა ესთეტიკური პრობლემების წინაშეც გაყენებდა; მაგრამ აქ არსებითია ერთი: ის ყოველთვის იწყებდა იმით, რომ ამნაირი მსგავსება უზრუნველეყო. ადამიანი, სახლი თუ მთა აქ ერთი შეხედვითვე იცნობა: ისინი ჩვენი ძველი ნაცნობები არიან. თანამედროვე სურათზე კი მათი ცნობა, პირიქით, გარკვეულ ძალისხმევას მოითხოვს; მაყურებელს ჰგონია, რომ მხატვარმა, როგორც ჩანს, ვერ შესძლო მიეღწია

1 ეს ახალი აღმქმელობა ნიშნეულია არა მარტო ხელოვნების შემოქმედთათვის, არამედ პუბლიკისთვისაც. თუ ზემოთ ითქვა, რომ ახალი ხელოვნება მხატვართა და მათთვისვე გასაგები ხელოვნებაა, ცხადია, საქმე მარტო იმათ კი არ ეხება, ვინც ამ ხელოვნებას ქმნის, არამედ იმათაც, ვისაც წვინდა მხატვრულ ფასეულობათა აღქმის უნარი შესწევს.

მსგავსებისათვის. ძველი სურათიც შეიძლება ცუდად დახატული იყოს, ესე იგი, მასზე გამოსახულ საგნებსა და სინამდვილეში არსებულ იმავე საგნებს შორის აშკარად იგრძნობოდეს მკვეთრი სხვაობა, და მაინც, რაგინდ დიდიც არ უნდა იყოს დისტანცია ობიექტსა და სურათს შორის, დისტანცია, რომელიც გვიდასტურებს ტრადიციონალისტი მხატვრის შეცდომებს, -- ეს შეცდომები რეალობისაკენ სწრაფვის გზაზე მაინც იმ შეცდომის ტოლფასნი არიან, რის გამოც სერვანტესის ორბანეხა იძულებული იყო ამ სიტყვებით მოეხდინა თავისი მაყურებლების ორიენტირება, ეს -- მამალიაო. ახალი სურათის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენ საპირისპირო მოვლენასთან გვაქვს საქმე: მხატვარი არც შეცდომას უშვებს და არც შემთხვევით გადაიხრება ნატურიდან, ცოცხალი, ანუ ადამიანური რეალობიდან და მისდამი მსგავსებიდან; არა, მისი გადახვევები მოწმობენ, რომ მან აირჩია იმ ორიენტაციის საპირისპირო მიმართულება, რომელსაც ობიექტის ჰუმანიზირებამდე მივყავართ.

ნაცვლად იმისა, რომ შეძლებისდაგვარად მიუახლოვდეს რეალობას, ხელოვანი, პირიქით, მის წინააღმდეგ ილაშქრებს: ცდილობს შემუსროს

რეალობის ადამიანური ასპექტი, მოახდინოს მისი დეჰუმანიზაცია. ჩვენ შეგვეძლო აზრით შევთვისებოდით და შევსისხლხორცებოდით იმას, რაც ტრადიციულ სურათებზეა გამოხატული. ვინ მოსთვლის, რამდენი ინგლისელი ეტრფოდა ჯოკონდას. მაგრამ თანამედროვე სურათებზე გამოსახული საგნების შეთვისება კი შეუძლებელია: ცოცხალი რეალობისაგან რომ განძარცვა ისინი, მხატვარმა ღაანგრია ყველა ხიდი, დაწვა ყველა ხომალდი, რომლებსაც შეეძლოთ ჩვენთვის ჩვეულ სამყაროში გადავეყვანეთ. ამიერიდან ის ცდილობს პირქუშსა და ჩვენთვის გაუგებარ სამყაროში გამოგვამწყვდიოს, გვაიძულებს საქმე გვქონდეს იმ საგნებთან, რომლებსაც შეუძლებელია ადამიანურად მოექცე. ამიტომ ისღა დაგვრჩენია, სახელდახელოდ გამოვჩხრიკოთ, ან იმპროვიზირებულად გამოვიგონოთ მათთან ურთიერთობის ახალი, საგანთა შორის ჩვენი ჩვეულებრივი ცხოვრებისაგან ძირეულად განსხვავებული ფორმა. ეს ახალი, გამოგონილი ცხოვრება უშუალო ცხოვრების გაუქმებას გულისხმობს, და სწორედ ესაა მხატვრული გაგება და მხატვრული ტკბობა. ის მოკლებული არ არის გრძნობებს და ვნებებს, მაგრამ ეს გრძნობები და

ვნებები, რა თქმა უნდა, სულ სხვა ფსიქიკურ ფლორას ეკუთვნის, და არა იმას, რომელიც ნიშნეულია ჩვენი პირველქმნილი ადამიანური ცხოვრების ლანდშაფტებისთვის. ესენი მეორეული ემოციებია: ულტრა-ობიექტები1 აღვიძებენ მათ მხატვარში, რომელიც ჩვენში ცხოვრობს. ყველა ეს გრძნობა სპეციფიკურად ესთეტიკური გრძნობაა.

ზოგი, ალბათ, იმასაც იტყვის, რომ ამნაირ შედეგს ყველაზე ადვილად შეიძლება მიაღწიო ყოველგვარი ადამიანური ფორმისაგან -- კაცის, სახლისა თუ მთისაგან -- სრული აბსტრაჰირებითა

1 ულტრაიზმი, ალბათ, ყველაზე შესაფერისი სახელია ალქმელობის ახალი ტიპის აღსანიშნავად. („ ულტრაიზმი“ ეწოდება ავანგარდისტულ მიმდინარეობას ესპანურ პოეზიაში, აღმოცენებულს პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. -- მთარგმნ.)

და იმნაირი გამოსახულების შექმნით, რომელიც არაფერს არა ჰგავს, არაფერს არ მოგვაგონებს. მაგრამ, ჯერ ერთი, ეს არარაციონალურია.1 ვინც იცის, იქნებ ორნამენტის ყველაზე აბსტრაქტულ ხაზში ფარულად ფეთქავს გარკვეულ ბუნებრივ ფორმათა ბუნდოვანი მოგონება. და მეორეც, რაც ყველაზე არსებითია, -- ხელოვნება, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, არა-ადამიანურია, არა მარტო იმიტომ, რომ ადამიანურ რეალიებს არ შეიცავს, არამედ იმიტომაც, რომ პრინციპულად დეჰუმანიზაციის მიმართაა ორიენტირებული. ადამიანურობას რომ გაურბის, მისთვის იმდენად მნიშვნელოვანი როდია ტერმინი "ad quem",2 რამდენადაც ტერმინი "a quo",3 ის ადამიანური ასპექტი,

1 ამ უკიდურესობის სულისკვეთებით ჩატარებულ იქნა ერთი ცდა: იგულისხმება პიკასოს ზოგიერთი ნამუშევარი; მაგრამ მათ წარუმატებლობა ხვდათ წილად.
2 ვისთვის (ლათ.) -- მთარგმნ.
3 რისგან, რითი (ლათ.)-მთარგმნ.

რომელსაც თვითონვე ანგრევს. საქმე ის კი არაა, რომ დახატო რაღაც ისეთი, რაც სრულებით არა ჰგავს ადამიანს, არამედ ის, რომ დახატო ადამიანი, რაც შეიძლება ნაკლებად რომ ემგვანებოდა ადამიანს; სახლი, რომელიც შეინარჩუნებდა მხოლოდ და მხოლოდ აუცილებელს საიმისოდ, რომ საშუალება გვქონოდა დავსწრებოდით მის მეტამორფოზს; კონუსი, რომელიც სასწაულებრივად მოგვეელინებოდა იქიდან, რაც უწინ მთის მწვერვალი იყო, ისევე, როგორც გველი ძვრება ძველი ტყავიდან. ახალი მხატვრისათვის ესთეტიკური სიხარული ადამიანურობის ამ ტრიუმფალური ძლევიდან იღებს დასაბამს; ამიტომაც მან უნდა შესძლოს გამარჯვების კონკრეტიზება და ყველა ცალკეულ შემთხვევაში წარმოგვიდგინოს მოგუდული მსხვერპლი.

ბრბოს ჰგონია, რომ აღვილია მოსწყდე რეალობას, მაშინ როდესაც სინამდვილეში ამაზე ძნელი არა არის რა. აღვილია იმის წარმოთქმა ან დახატვა, რაც სრულიად უაზროა, აბსურდული, არაფრის მთქმელი: საკმარისია ყოველგვარი

კავშირის გარეშე წავილულლულოთ ორიოდე სიტყვა,1 ან ალალბედზე გავავლოთ რამდენიმე ხაზი. მაგრამ შექმნა რაღაც ისეთი, რასაც ნატურის ასლად ვერ მივიჩნევდით, მაგრამ გარკვეული შინაარსის შემცველი კი იქნებოდა, -- ეს ნიჭიერების უფრო მაღალ დონეს გულისხმობს.

„რეალობა“ ჩასაფრებულია და გამუდმებით უთვალთვალებს მხატვარს, რომ გაქცევის საშუალება არ მისცეს. მაინც რამდენი ცბიერება სჭირდება გენიალურ გაქცევას! უნდა იყო ოდისევსი პირუკუ -- ოდისევსი, რომელიც თავს აღწევს თავის განუყრელ პენელოპეს და საჩიფათო რიფებს შორის გამალებით მიცურავს, რათა კირკეს ჯადოქრული

1 დადაისტთა ექსპერიმენტები. ახალი ხელოვნების ამწაირი ექსტრავაგანტური და წარუმატებელი ცდები, გარკვეული ლოგიკის ძალით, თვით მისივე ბუნებიდან გამომდინარეობენ. ეს გვიჩვენებს exabundantia რომ საქმე ეხება ერთიანსა და გაცნობიერებულ პროცესს.-exabundantia-ჯეჯვის, სიჭარბის გამო (ლათ.)-მთარგმნ.

ხიბლის ტყვედ იქცეს. თუ მხატვარმა ღრო იხელთა და, ბოლოს და ბოლოს, მოახერხა დასხლტომოდა მულმივ მეთვალყურეს, -- ღე, ნუ შეურაცხვგყოფს მისი ამაყი პოზა, წმიდა გიორგის ძუნწი ყურსტი მის ფერხთით განრთხმული გველეშაპის თავზე!

მოწოდება გაგებისაკენ

ძველი ხელოვნების ქმნილებებში, გასულ საუკუნეში რომ ანიჭებდნენ უპირატესობას, ყოველთვის მოცემულია ცოცხალი რეალობის ბირთვი. და სწორედ ის გვევლინება ესთეტიკური საგნის სუბსტანციად. მხოლოდ ეს რეალობა აინტერესებს ხელოვნებას, რომლის მთელი ქმედითობაც ცოცხალი სინამდვილის მიმართ ზოგჯერ იმით ამოიწურება, რომ დახვეწოს ეს ადამიანური ბირთვი, გარეგნული პენწი თუ ბრწყინვალება შემატოს, მოკლედ რომ ვთქვათ, შეამკოს იგი. ადამიანთა უმრავლესობას ხელოვნების ნაწარმოების ამნაირი წყობა ყველაზე უფრო ბუნებრივ და ერთადერთ შესაძლო წყობად მიაჩნია. ხელოვნება ცხოვრების ასახვაა, ინდივიდუალურობის პრიზმიდან დანახული ნატურა-ადამიანურობის განსახიერება და ა. შ. და ა. შ. მაგრამ სიტუაცია იმნაირია, რომ ახალგაზრდა მხატვრები არანაკლები თავდაჯერებით იცავენ საპირისპირო შეხედულებას. რატომ უნდა იყვნენ დღეს ბებრები უცილობლად უფრო მართალნი, თუკი ხვალინდელი დღე უმალ ახალგაზრდების სიმართლეს დაამტკიცებს, გიდრე ბებრებისას? უწინარეს ყოვლისა, არც ყვირილი მოგვცემს რასმე და არც აღშფოთება. "Dove si grida, non e vera scienza",1 -- ამბობდა ლეონარდო და ვინჩი. "Neque lugere, neque indignari sed intelligere"2 -- გვირჩევდა სპინოზა. ჩვენში ყველაზე ღრმად ფესვგადგმული და თითქოს ეჭვშეუვალი შეხედულებანი ყველაზე საეჭვონი არიან. ისინი გვბოჭავენ, გასაქანს არ გვაძლევენ და თავიანთ ვიწრო ჩარჩოში გვამწყვდევენ ჩვენ. უბადრუკია სიცოცხლე, რომელშიაც არ ბობოქრობენ და თავი-

1 სადაც ყვირიან, იქ არ არის ნამდვილი მეცნიერება (იტალ.) -- მთარგმნ.

2 არა გლოვა, არა აღშფოთება, არამედ გაგება (ლათ.) -- მთარგმნ.

ანთი საზღვრების გაფართოებას არ მიელტვიან მძაფრი ვნებები. სიცოცხლე არსებობს იმდენად, რამდენადაც არსებობს სიცოცხლის სარბი წყურვილი. ჯიუტი სწრაფვა იმისაკენ, რომ ჩვეულებრივსა და ყოველდღიურის სულისშემხუთველ სივიწროვეში გამოვიმწყვდიოთ თავი, ყოველთვის სისუსტეა, სასიცოცხლო ძალთა დაწრეტა. ეს საზღვრები, ეს ჰორიზონტი ბიოლოგიური ზღვარია, ჩვენი არსებობის ცოცხალი ნაწილი; ვიღრე იმის უნარი შეგვწევს, რომ სიუხვით და სისავსით დავტკბეთ, ჰორიზონტი გადაადგილდება, თანდათანობით ფართოვდება და ლამის ჩვენი სუნთქვის ტაქტზე ირწევა. პირიქით, როცა ჰორიზონტი ხევდება, ეს იმის მომასწავებელია, რომ ჩვენს ცხოვრებას ხავსი მოედო და სიბერემ კარზე მოგვიკაკუნა.

თავისთავად სულაც არ იგულისხმება, რომ ხელოვნების ნაწარმოები, როგორც ჰგონიათ აკადემისტებს, აუცილებლად უნდა შეიცავდეს ადამიანურ ბიროვს. უწინარეს ყოვლისა, ამას ხელოვნება მხოლოდ კოსმეტიკაზე დაჰყავს. ზემოთ უკვე ითქვა, რომ ცოცხალი რეალობის აღქმა და მხატვრული ფორმის აღქმა ერთმანეთთან პრინციპულად შეუთავსებელნი არიან, რადგანაც აღქმის ჩვენეული აპარატის სხვადასხვანაირ მომართვას მოითხოვენ. ხელოვნება, რომელიც თავს მოგვახვევდა ამნაირ ორმაგ ხედვას, ყველას თვალებს დაგვიელმებდა. XIX საუკუნე მეტისმეტად ელამი გახდა; ამიტომაც მისი მხატვრული შემოქმედება, რომელიც ძალზე შორსაა იმისაგან, რომ ხელოვნების ნორმალური ტიპი წარმოგვიდგინოს, გემოვნების ისტორიაში, ალბათ, უდიდეს ანომალიად გვევლინება. ხელოვნების ყველა დიდი ეპოქა გაურბოდა იმას, რომ ადამიანური ნაწარმოების სიმძიმის ცენტრად ექცია, და ის იმპერატივი განსაკუთრებული რეალიზმისა, გასულ საუკუნეში რომ მართავდა აღქმას, ესთეტიკის ისტორიაში უმაგალითო სიმახინჯედ წარმოგვიჩნდება. გარეგნულად ესოლენ ექსტრავაგანტური ახალი შთაგონება ხელახლა ცდილობს მოსინჯოს, ყოველ შემთხვევაში, ერთ პუნქტში მაინც, ხელოვნების რეალური გზა, რომელსაც სტილისაკენ ნებელობისმიერი სწრაფვა ეწოდება. ამრიგად, სტილიზება რეალურობის დეფორმაციას, დერეალიზებას ნიშნავს. სტილი-

ზაცია დეჰუმანიზაციას გულისხმობს. და პირიქით, არ არსებობს დეჰუმანიზაციის სხვა საშუალება, სტილიზაციის გარდა. მაშინ როდესაც რეალიზმი მოუწოდებს ხელოვანს, მორჩილად მისდევდეს საგანთა ფორმას და, ამრიგად, არ ჰქონდეს სტილი. ამიტომ სურბარანის თაყვანისმცემელი, რომელმაც არ იცის, რა თქვას, გაიძახის, მის სურათებში ხასიათი იგრძნობაო; ზუსტად ასევე, სტილი კი არა, ხასიათია ნიშნეული ლუკასა თუ სოროლიასთვის, დიკენსისა თუ გალდოსისათვის. სამაგიეროდ XVIII საუკუნეს, რომელსაც ესოდენ ნაკლებად მოეძებნებოდა ხასიათი, მთლიანად განწონის სტილი.

ხელოვნების დეჰუმანიზაცია გრძელდება

ახალგაზრდა მხატვრებმა „ტაბუ“ დაადეს ყოველგვარ მცდელობას, რომელიც მიზნად ისახავდა ადამიანურობა დაემყნო ხელოვნების ძირზე.

ადამიანურობა, ელემენტთა კომპლექსი, რომელთაგანაც შედგება ჩვენთვის ჩვეული სამყარო, სამი სხვადასხვა დონის ჰიერარქიას გულისხმობს. უმაღლესი დონე -- პიროვნებათა რანგია, შემდეგ -- ცოცხალი არსებებისა და, ბოლოს -- არაორგანული საგნებისა. ამისდა კვალად, ახალი ხელოვნების ვექტო იმ ენერგიით ხორციელდება, რომელიც პროპორციულია საგნის ჰიერარქიული დონისა. პიროვნული, როგორც ყველაზე ადამიანური, ყველაზე უფრო გადაჭრით უარიყოფა ახალი ხელოვნების მიერ. ამას განსაკუთრებით ნათლად გვიმოწმებს მუსიკა და პოეზია.

ბეთჰოვენიდან ვაგნერამდე მუსიკის ძირითადი თემა პირადი გრძნობების გამოხატვა გახლდათ. ლირიკოსი ხელოვანი მუსიკის ცადაზიდულ კოშკებს აგებდა იმ მიზნით, რომ ისინი თავისი ცხოვრების აღწერილობით დაესახლებინა. მუსიკა, მეტად თუ ნაკლებად, აღსარება იყო. ამიტომ ესთეტიკურ ტკბობას დაწმენდილობა აკლდა. ჯერ კიდევ ნიცშე ამბობდა, რომ მუსიკაში ვნებები თავიანთივე თავით ტკბებიან. ვაგნერს ტრისტანში გა ღააქვს თავისი რომანი ვეზენდოკთან, და თუ ჩვენ გვინდა მისი ქმნილებით დავტკბეთ, სხვა საშუალე-

ბა არა გვაქვს, გარდა იმისა, რომ ცოტა ხნით მაინც ადულტერის მონაწილეებად წარმოვიდგინოთ თავი. ეს მუსიკა მომნუსხველად მოქმედებს ჩვენზე, და მისი ხიბლით ტკბობა რომ შევძლოთ, უნდა ვიტიროთ, ან ჭმუნვას მივეცეთ, ვნების სახმილით მოთენთილნი თუ მიბნედილნი. მთელი მუსიკა ბეთჰოვენიდან ვაგნერამდე წმინდა წყლის მელოდრამაა.

ეს უპატიოსნო საქციელია, იტყოდა ღღევანდელი ხელოვანი. ეს ნიშნავს ბოროტად ისარგებლო კეთილშობილური ადამიანური სისუსტით, რისი წყალობითაც მთელ ჩვენს არსებას განწირის მოყვასის ჭმუნვა თუ სიხარული. მაგრამ განწირის ეს უნარი სულიერების ნიშნით როდია აღბეჭდილი; არა, ეს მექანიკური გამოძახილია, მსგავსად იმისა, როგორც დანის წვერით მინის კაწვრა მექანიკურად იწვევს ჩვენში გულისგამაწვრილებლად უსიამოვნო, კონვულსიურ შეგრძნებას. ეს მხოლოდ ავტომატური ეფექტია, მეტი არაფერი. უნდა ვიცოდეთ, რომ ღიტინით გამოწვეული სიცილი სხვაა და ნამდვილი მხიარულება -- სხვა. რომანტიკოსი ფეტვის მარცვლებით ნადირობს, -- ის ბოროტად სარგებლობს ჩიტის გულმოდგინებით,

რათა თავისი ბგერების საფანტი მიაყაროს. ხელოვნება არ შეიძლება ფსიქიკურ განწყობაზე იყოს დაფუძნებული, -- ეს ინსტინქტური, არაცნობიერი ელემენტია, ხელოვნება კი სრული სიცხადე, გონიერების შუაღღე უნდა იყოს. სიცილი და ცრემლები, ესთეტიკური თვალსაზრისით, სიცრუეა, თითლიბაზობა. მშვენიერების გამოხატულებამ ღიმილისა თუ სევდის საზღვარი არ უნდა გადალახოს; მაგრამ აჯობებს, თუ ამ საზღვრამდე საერთოდ არ მივა. "Toute maitrise jette froid".1 (მალარმე).

ახალგაზრდა ხელოვანის ამნაირი მსჯელობა საკმაოდ საფუძვლიანი მეჩვენება. ესთეტიკური ტკბობა რაციონალური უნდა იყოს. ბრმა ტკბობა ისევე არსებობს, როგორც თვალხილული. ლოთის სიხარული ბრმაა; მართალია, როგორც ყველაფერს, მის სიხარულსაც თავისი მიზეზი აქვს, კერძოდ, ალკოჰოლი, მაგრამ

1 ყოველგვარი ოსტატობა სიცივეს აფრქვევს (ფრანგ.) მთარგმნ.

სიხარულის საბაბი კი არ გააჩნია. ხარობს ისიც, ვინც ლატარია მოიგო, მაგრამ სხვანაირად ხარობს, -- რაღაც გარკვეულს შეჰხარის. ლოთის სიხარული თავდაცობილია, თავის თავშივე ჩაკეტილი, ესაა სიხარული, ღმერთმა იცის, საიდან და რა გზით მოთრეული; ის, როგორც იტყვიან, უსაფუძვლოა. ლატარიის მომგები კი, პირიქით, სწორედ იმიტომ ხარობს, რომ შეგნებული აქვს, რას უნდა უმადლოდეს თავის სიხარულს: მისი სიხარული გამართლებულია; მან იცის, რა ახარებს, -- ეს თვალხილული სიხარულია, ის თავისი მოტივირებით ცოცხლობს. ასე გგონია, რომ ის საგნიდან ეფინება ადამიანს.1

1 მაშასადამე, ზნეობრიობა და მოტივაცია ორი სრულიად სხვადასხვა რამ გახლავთ. ჩვენი ცნობიერების მდგომარეობათა მიზეზებს ამ მსჯელობის საგანთან კავშირი არა აქვთ: მათ შეცნიერება იკვლევს პირიქით, გრძნობების, ნებელობისმიერი აქტებისა და რწმენის მოტივები უშუალოდ უკავშირდებიან ესთეტიკურ სიამოვნებას: ეს ცნობიერების სფეროა.

ყველაფერი, რაც იმისკენ მიიღტვის, რომ მექანისტური კი არა, სულიერი იყოს, გონიერულსა და მკაფიოდ გამოკვეთილ ხასიათს უნდა ფლობდეს რომანტიკული ქმნილება ჩვენში იწვევს სიამოვნებას, რომელსაც, შესაძლოა, კავშირი არც ჰქონდეს მის არსთან. რაა საერთო მუსიკალურ მშვენიერებასა, რომელიც თითქოს ჩემს გარეთ უნდა იყოს, იქ, სადაც იბადებიან ბგერები, და იმ მსუბუქ სევდასა თუ სალმობას შორის, რაც მან, შესაძლოა, ჩემში გამოიწვიოს, და რითაც იბნიდება რომანტიკულად განწყობილი პუბლიკა? ხომ არ არის აქ იდეალური quid pro quo?1 ნაცვლად იმისა, რომ მუსიკით დატკბეს, სუბიექტი თავისი თავითა ტკბება. ხელოვნების ნაწარმოები მხოლოდ აღმგზნები საშუალება იყო, ის ალკოჰოლი, რომელმაც სიამოვნების გრძნობა გამოიწვია. და ასე იქნება ყოველთვის, ვიდრე ხელოვნება უპირატესად ცხოვრებისეულ

1 რა რისთვის (ლათ.) -- მთარგმნ.

რეალობათა დემონსტრირებაზე დაიყვანება. ეს რეალობები გარღუვალად გვეხვევიან თავს და თანაგრძნობის პროვოცირებას იწვევენ, რაც ხელს გვიშლის ობიექტური სიწმინდით აღვიქვამდეთ მათ.

ხედვა სიშორესთან, დისტანციასთან დაკავშირებული აქტია. ყოველ ხელოვნებას თავისი საპროექციო აპარატი აქვს, რომელიც გვაშორებს და გარდაქმნის საგანს. მაგიურ ეკრანზე ჩვენ მათ აღვიქვამთ როგორც უსასრულობაში დანთქმულ და ჩვენთვის მიუწვდომელ ვარსკვლავიერ სამყაროთა წარმომადგენლებს. ხოლო როცა ამნაირი დერეალიზაცია საკმარისი არ არის, რაღაც საბედისწერო ძალით გვეუფლება ორჭოფობა და გაურკვევლობა; ჩვენ აღარ ვიცით, რანაირად უნდა აღვიქვამდეთ საგნებს: განვიცდიდეთ თუ ვჭვრეტდეთ მათ.

ცვილის ფიგურებს რომ ვუყურებთ, რაღაცნაირი შინაგანი მოუსვენრობა გვიპყრობს. ამის მიზეზია ის მტანჯველი ორაზროვნება, რომელიც მათგანვე იღებს დასაბამს და ხელს გვიშლის იმაში, რომ ამ ფიგურების თანდასწრებით მშვიდად და აუმღვრევლად ვიყოთ. როდესაც ვცდილობთ ცოცხალ არსებებად აღვიქვამდეთ მათ, ისინი მანეკენის მკვდრული იერით გვაშტერდებიან და დაგვცინიან, ხოლო თუ მათ ვუყურებთ როგორც ფიგურებს, ისინი თითქოს რისხვას გვაფრქვევენ, აღშფოთებისაგან სუნთქვაშეკრულნი. შეუძლებელია რეალურ საგნებამდე დავიყვანოთ ისინი. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ზიზღი გვიპყრობს დაქირავებული გვამების ამ ერთგვარ სახესხვაობათა მიმართ. ცვილის ფიგურები წმინდა წყლის მელოდრამაა.

მე მგონია, ახალ მხატვრულ აღქმასაც ზიზღის გრძნობა ამოძრავებს ხელოვნებაში ადამიანური გამოვლენის მიმართ, გრძნობა, რომელიც ძალიანა ჰგავს იმას, რასაც ადამიანი განიცდის ცვილის ფიგურების წინაშე. ამნაირი აღქმის საპირისპიროდ, ცვილის ფიგურების პირქუში იუმორი ყოველთვის აღაფრთოვანებდა ბრბოს. ამასთან დაკავშირებით გვებადება ერთი თავხედური კითხვა, თუმცა იმედი კი არა გვაქვს, რომ მას ახლავე გავცემთ პასუხს: რას ნიშნავს ეს ზიზღი ხელოვნებაშია დამიანურის გამოვლენის მიმართ? ესაა ზიზღი ადამიანურის მიმართ ცხოვრებაში, ზიზღი თვით სინამდვილისადმი, თუ პირიქით: პატივისცემა ცხოვრების მიმართ და გაღიზიანება იმის გამო,

რომ მას ხელოვნებაში ურევენ, ღიას, ისეთ მეორეხარისხოვან რაღაცაში, როგორიც ხელოვნება გახლავთ. მაგრამ რას ნიშნავს, მეორეხარისხოვანი რომ მივაწეროთ ხელოვნებას, -- ღვთაებრივ ხელოვნებას, ცივილიზაციის დიდებას, კულტურის სიამაყეს და ა. შ.? აკი მოგახსენებთ, მკითხველო, რომ ეს მეტისმეტად თავხედური კითხვაა, და ჯერჯერობით უპასუხოდ უნდა დავტოვოთ იგი.

ვაგნერის მუსიკაში მელოდრამა უსაზღვრო ეგზალტაციას აღწევს. და როგორც ყოველთვის, ფორმა, განვითარების უმაღლეს წერტილს რომ მიაღწევს, თავის საპირისპიროში გადაღის. თვით ვაგნერის ქმნილებებში ადამიანის ხმა უკვე აღარ არის ყურადღების ცენტრი და კოსმიურობაში ინთქმება. მაგრამ ამ გზაზე გარდუვალი იყო კიდევ უფრო რადიკალური რეფორმა; აუცილებელი იყო მუსიკიდან პიროვნული განცდების განდევნა, მისი გაწმენდა და ობიექტურობის ნიმუშად ქცევა. ამ მისიის აღსრულება დებიუსის ხვდა წილად. მხოლოდ მას შემდეგ გახდა შესაძლებელი აუმღვრევლად, ნეტარებით თრობისა თუ ქვითინის გარეშე

გვესმინა მუსიკა. ყველა პროგრამული ცვლილება, რაც განიცადა მუსიკამ უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე, დებიუსის გენიალური ძალისხმევით დაჰკრობილი ამ ზესამყაროული სამყაროდან ამოიზარდა. ეს გარდაქმნა სუბიექტურისა ობიექტურად იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მის წინაშე ხუნდება და ფერმკრთალდება ყველა შემდგომი დიფერენციაცია.1 დებიუსიმ მოახდინა მუსიკის დეჰუმანიზაცია, და ამიტომ მისი სახელით იწყება მუსიკალური ხელოვნების ახალი ერა.

იგივე მოხდა ლირიკაშიც. საჭირო იყო პოეზიის განთავისუფლება, რომელიც, ადამიანური მასალის სიმძიმის ქვეშ მოკაკვული და დაკუნტებული, ძლივსღა დალასლასებდა ლედამიწაზე, ან ხეებსა თუ სახურავებს ეხლებოდა, როგორც დაზი-

1 უფრო დეტალურ ანალიზს იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს დებიუსი რომანტიკული მუსიკის ფონზე, შეიძლება გაეცნოთ ჩემს ესსეში „Musicalia“ გაზეთ-ჟურნალიდან „ElEspectador“, T. 3.

ანებული საჰაერო ბურთი. აქ განმათავისუფლებლად მოგვეელინა მალარმე, რომელმაც პოეზიას ღაუბრუნა ფრენის უნარი და ზეაღმტაცი ძალა. შესაძლოა, თვითონ მალარმემ ვერც შესძლო იმის განხორციელება, რასაც მიელტვოდა, მაგრამ ის იყო ახალი საცდელი გაფრენებისა და ეთერულ ძიებათა პილოტო, რომელმაც გასცა გადამწყვეტი მანევრისათვის მზადყოფნის ბრძანება: გაღმოეყარათ ბალასტი.

გავიხსენოთ, როგორი იყო რომანტიკული საუკუნის თემა. პოეტი შეძლებისდაგვარი ღახვეწილობით გვიზიარებდა თავის პირად გრძნობებს, კეთილი ბურჟუას გრძნობებს რომ მოგაგონებდათ, თავის საშინელ გასაჭირს თუ მცირეოდენ სიმძიმილს, გვიმხელდა თავისი ჭმუნვის მიზეზს, თავის პოლიტიკურსა თუ სარწმუნოებრივ სიმპათიებს, ხოლო თუ ის ინგლისელი იყო -- თავის ოცნებებსაც ჩიბუხის პლაკუნისას. პოეტი ძალ-ღონის დაუზოგავად ცდილობდა გული აეჩუყებინა ჩვენთვის თავისი ყოველდღიური არსებობით. მართალია, ღრო და ღრო მოვლენილი გენიოსი შესაძლებელს ხდიდა, რომ ადამიანუ

რი ბირთვის ირგვლივ გაბრწყინვებულიყო უფრო ნატიფად ორგანიზებული მატერიისაგან შემდგარი ფოტოსფერო, -- ასეთი იყო, მაგალითად, ბოღლერი. მაგრამ ამნაირი შარავანდედი შემთხვევით თუ იჩენდა თავს. პოეტს არასდიდებით არ ეთმობოდა ადამიანი.

-- მერედა, ეს ახალგაზრდობას საძრახისად მიაჩნია? -- აღშფოთებით იკითხავს, ალბათ, მაგანი, ახალგაზრდა რომ აღარ ეთქმის, -- კი მაგრამ, მაინც რა ნებავს? იქნებ ის, რომ პოეტი ღლაპი, იხთიოზავრი ან დოდეკაედრი იყოს?

არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით; მაგრამ, ჩემის აზრით, ახალი თაობის პოეტი, როცა ის ლექსს წერს, ცდილობს მხოლოდ პოეტი იყოს. ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რანაირად ახდენს მთელი ახალი ხელოვნება, ახალ მეცნიერებასთან, პოლიტიკასა და ახალ ცხოვრებასთან ერთად, მკაფიოდ დაუდგენელი საზღვრების ლიკვიდირებას. იმისკენ სწრაფვა, რომ საზღვრები საგანთა შორის მკაცრად განსაზღვრული იყოს, აზრობრივი სიფაქიზის ნიშანი გახლავთ. ცხოვრება -- ერთია, პოეზია კი -- მეორე, -- ასე

ფიქრობენ ამჟამად, ან, ყოველ შემთხვევაში, გრძნობენ. ერთმანეთში ნუ აგურევთ ამ ორ სხვადასხვა რამეს. პოეტი იწყება იქ, სადაც მთავრდება ადამიანი. ერთის ბედი თავისი ადამიანური გზით სიარულია, მეორის მისია -- არარსებულის შექმნა. ესაა მელექსის ხელობის გამართლება. იმ რეალობას, რომელიც უკვე არსებობს თავისთავად, პოეტი ახალ, ირრეალურ კონტინენტს უმატებს და ამრიგად ამდიდრებს და აფართოებს სამყაროს. სიტყვა ავტორი წარმოსდგება „auctor“-ისაგან, რაც ნიშნავს გამფართოებელს. ასე უწოდებდნენ რომაელები მხედართმთავარს, ახალ სამფლობელოებს რომ ჰმატებდა თავის სამშობლოს.

გასულ საუკუნეში მალარმე იყო პირველი კაცი, რომელმაც მოისურვა პოეტი ყოფილიყო; მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, მან უარყო ბუნებრივი მასალა და პატარ-პატარა ლირიკულ ლექსებსა თხზავდა, ადამიანური ფლორისა და ფაუნისაგან განსხვავებულს. ეს პოეზია არ საჭიროებს იმას, რომ ნაგრძნობი იქნეს, რადგანაც მასში არა არის რა ადამიანური და, მაშასადამე, არც გულისშემძვრე

ლი. თუ საქმე ეხება ქალს, მარტოოდენ არანაირს, ხოლო თუ ის ამბობს, საათმას დაჰკარაო, ამ საათს თქვენ ვერ იპოვით ციფერბლატზე. ამ უარყოფათა შედეგად მალარმე ლექსებიდან აძევებს ყველაფერს, რაც ცხოვრების თანახმიერია, და იმდენად არამიწიერ მხატვრულ სახეებს გვთავაზობს, რომ მათი უბრალო ჭვრეტაც კი თავისთავადაა უდიდესი ნეტარება. ამ სახეებს შორის რა ქნას თავისი საბრალო ადამიანური სახით იმან, ვინც პოეტის მოვალეობა იტვირთა? მხოლოდ ერთი, ერთადერთი რამ: აიძულოს ეს სახე, გაქრეს, განქარდეს, წმინდა და უსახელო ხმად იქცეს, მსუბუქად რომ არწევს და უნანავებს ჰაერში მორიალე სიტყვებს, ლირიკული ჩანაფიქრის ამ ნამდვილ პერსონაჟებს. ეს წმინდა, უსახელო ხმა, ლექსის ჭეშმარიტი აკუსტიკური სუბსტრატი, იმ პოეტის ხმაა, რომელსაც უნარი შესწევს თავისი ადამიანური მასალისაგან განთავისუფლდეს.

ყოველი მხრიდან ჩვენ ვუახლოვდებით ერთსა და იმავეს -- ადამიანისაგან გაქცევას. არსებობს დეჰუმანიზაციის მრავალი საშუალება.

შესაძლოა, დღეს სულ სხვა საშუალებები ჭარბობდნენ, იმათაგან განსხვავებულნი, რომელთაც იყენებდა მალარმე, და მე არც კი ვსუჭავ თვალს იმაზე, რომ მალარმეს ქმნილებებში მაინც გვხვდება რომანტიკული გადასრები თუ რეციდივები, მაგრამ ისევე, როგორც მთელი თანადროული მუსიკა დებიუსით დაიწყო, მთელი ახალი პოეზიაც მალარმეს მიერ ნაჩვენები მიმართულებით ვითარდება. ორივე სახელი, ჩემის აზრით, ნამდვილი ნიშანსვეტია, თუ ყურადღებას არ მივაქცევთ კერძო წვრილმანებს და ვეცდებით ახალი სტილის მთავარი ხაზი განვსაზღვროთ.

ჩვენი თანამედროვე, რომელიც ოცდაათისა არ გამხდარა, ძალზე ძნელია დააინტერესო წიგნებით, სადაც ხელოვნების სახით გადმოცემულია იდეები და მოთხრობილია ვიღაც ქალისა თუ კაცის ყოფა-ცხოვრება. ყოველივე ამას სოციოლოგიისა თუ ფსიქოლოგიის სუნი უდის, და ვინ იცის, იქნებ კიდევაც მოეხიბლათ ყმაწვილი კაცი, ავტორები არავითარ პრეტენზიას რომ არ აცხადებდნენ ხელოვნებაზე და სოციოლოგიისა თუ ფსიქოლოგიის სახელით ლაპარაკობდნენ. მაგრამ ხელოვნება ყმაწვილი კაცისათვის სულ სხვა რამეა.

დღევანდელი პოეზია მეტაფორების უმაღლესი ალგებრაა.

„ტაბუ“ და მეტაფორა

მეტაფორა, ალბათ, ყველაზე მდიდარია ადამიანის განკარგულებაში არსებულ ვირტუალურ შესაძლებლობათა შორის. მისი ქმედითობა ჯადოქრობას უახლოვდება და შესაქმის დროინდელ იარაღს მოგვაგონებს, რომელიც ღმერთს თავის ერთ-ერთი ქმნილების შიგანში ჩარჩა, როგორც დაბნეული ქირურგი ტოვებს ხოლმე თავის ინსტრუმენტს პაციენტის სხეულში.

ყველა დანარჩენი შესაძლებლობა რეალობის, ანუ იმის შიგნით გვამყოფებს, რაც უკვე არის. ჩვენ სხვა არა შეგვიძლია რა, გარდა იმისა, რომ ერთიმეორეს მივუმატოთ ან გამოვაკლოთ ისინი. მხოლოდ მეტაფორა გვიაღვილებს ამ ღახშული წრიდან გამოსვლას და წარმოსახული რიფებითა

თუ ფეერიული კუნძულებით ერთმანეთისაგან ჰყოფს რეალობის სხვადასხვა სფეროს.

ჭეშმარიტად განსაცვიფრებელია ადამიანში ერთი საგნის მეორით შეცვლის ეს აზრობრივი მოთხოვნილება, რაც იმდენად საგნის დაუფლებას კი არ ისახავს მიზნად, რამდენადაც მის მიჩქმალვას. მეტაფორა სხვა საგნით ნიღბავს და მოხერხებულად მალავს საგანს. მას საერთოდ არ ექნებოდა აზრი, უკან რომ არ ედგეს ინსტინქტი, რომელიც აქეზებს ადამიანს, გაურბოლეს ყოველივე რეალურს.1

როცა ამას წინათ ერთმა ფსიქოლოგმა მოინდომა იმის გარკვევა, თუ საიდან იღებს დასაბამს მეტფორა, თავისდა გასაოცრად აღმოაჩინა, რომ ის თურმე ნაწილობრივ ტაბუს არსშია ფესვ გადგმული.2 იყო დრო, როცა შიში ადამიანის

1 უფრო დაწვრილებით მეტაფორის შესახებ იხ. ჩემი

2 ესსე „ორი დიადი მეტაფორა“, გამოქვეყნებული ჟურნალში „El Espectador“, T. V, 1925 იხ. Werner H., Die Ursprunge der Metapher, 1919.

შთაგონების წყარო და მისი მოქმედების მთავარი სტიმული გახლდათ. იმხანად ადამიანი გაურბოდა გარკვეულ რეალობებთან კონტაქტს, თუმცა ეს გარღუვალი იყო. ამა თუ იმ ადგილას ყველაზე მეტად გავრცელებული ცხოველი, რომლითაც ადამიანი ირჩენდა თავს, საკრალურ სტატუსს იძენდა. აქედან დასაბამს იღებდა წარმოდგენა, რომლის თანახმადაც არ შეიძლებოდა ხელით შეხებოდა მას. საკითხავია, რა გზას ირჩევდა ამ შემთხვევაში ინდიელი ლილუოტი შიმშილის მოსაკლავად? ჩაცუცქებოდა და ხულებს მუხლებქვეშ ამოიდებდა. ამრიგად, ჭამა ნებადართული იყო, რადგანაც მუხლებქვეშ ამოდებული ხელები -- მეტაფორულად -- იგივე ფეხებია. აი, სხეულებრივი პოზის ერთგვარი ტროპი, პირველადი მეტაფორა, სიტყვიერი ხატების წინამორბედი, რომელსაც საფუძვლად უდევს იმისკენ სწრაფვა, რომ ფაქტიურ რეალობას გაექცეს.

და რაკი სიტყვა პირველყოფილი ადამიანისათვის იგივეა, რაც საგანი, მხოლოდ სახელდებული, ამიტომ აუცილებელია თავი აარიდონ იმ საგნის დასახელებას, რომელსაც ტაბუ ადევს. აი, რატომაა, რომ ამ საგანს სხვა საგნის სახელს არქმევენ და, ამრიგად, პირველს შენიღბული და ირიბი ფორმით იხსენიებენ. ასე მაგალითად,

პოლინეზიელს, რომელსაც ეკრძალება სახელით მოიხსენიოს რაღაც ისეთი, რაც მეფეს ეკუთვნის, ან ეხება, თავისი მბრძანებლის ჩირაღდნებით გაჩახჩახებული ქოხ-სასახლის დანახვისას, მხოლოდ ამის თქმის უფლება აქვს: სინათლე ბრწყინავს ღრუბლებში . აი, მეტაფორული გადახვევის ნიმუში.

მეტაფორული საშუალებები, რომლებიც თავიანთი ბუნებით ტიბუისტურნი არიან, შეიძლება სულ სხვადასხვა მიზნით იქნენ გამოყენებულნი. ერთი ამ საშუალებათაგანი, რომელსაც უწინ ხშირად მიმართავდა პოეზია, რეალური საგნის გასაკეთილშობილებლად იხმარებოდა. მხატვრულ სახეს დეკორაციული მიზნით იყენებდნენ, რათა ოქროთი მოევარაყებინათ ნებისმიერი საგანი. საინტერესო იქნებოდა გამოგვეკვლია შემდეგი ფენომენი: ახალ პოეტურ შემოქმედებაში, სადაც მეტაფორა მისი სუბსტანციაა, და არა ორნამენტი, შეინიშნება უცნაური სიჭარბე გამაბიაბრუებელი სახეებისა, რომლებიც, იმის ნაცვლად, რომ ამაღლებდნენ და აკეთილშობილებდნენ მწირ რეალობას, პირიქით, ამდაბლებენ და აბუჩად იგდებენ მას. ამას წინათ ერთი ახალგაზრდა პოეტის ლექსში წავიკითხე, რომ ელვა ღურგლის ადლია, და რომ გაზაფხულმა ცოცხად აქცია ხეები, რათა ნაგვით ავსე ზეცა დაგავოს. ლირიკული იარაღი ბუნებრივი საგნების წინააღმდეგ იწყებს შემობრუნებას, რათა მოწყლას და შემუსროს ისინი.

სუპრარეალიზმი და ინფრარეალიზმი

მეტაფორა, შესაძლოა, დეჰუმანიზაციის ყველაზე რადიკალური საშუალებაც იყოს, მაგრამ ის ერთადერთი როდია. ვინ მოსთვლის, რამდენი ასეთი საშუალება არსებობს, და ისინი თავიანთი ეფექტით განსხვავდებიან.

ერთი ამნაირი ელემენტარული საშუალება ჩვეულებრივი პერსპექტივის მარტივ შეცვლაში მდგომარეობს. ადამიანური თვალსაზრისით, საგნებისათვის ნიშნეულია გარკვეული წესრიგი და ჰიერარქია. ზოგიერთი საგანი უფრო მნიშვნელოვანი გვგონია, ზოგიერთი -- ნაკლებ მნიშვნელოვანი, ზოგი კი -- ყოვლად უბადრუკი. დეჰუმანიზაციის მძაფრი სურვილის დასაკმაყოფილებლად სულაც არაა აუცილებელი საგანთა საწყისი ფორმის დამახინჯება. საკმარისია შევაბრუნოთ ჰიერარქიუ-

ლი წესრიგი და იმნაირი ხელოვნება შეექმნათ, სადაც წინა პლანზე გადმოინაცვლებენ უწვრილმანესი ყოფითი დეტალები, რომლებსაც მონუმენტურობა მიენიჭებათ.

ესაა კვანძი, რომელიც ერთმანეთთან აერთებს ახალი ხელოვნების გარეგნულად ესოდენ განსხვავებულ მიმართულებებს. რეალობისაგან გაქცევისა და გასხლტომის იმავე პრინციპს მეტაფორის სუპრარეალიზმთან ერთად ისიც აკმაყოფილებს, რასაც შეიძლება ინფრარეალიზმი ეწოდოს. პოეტური ამაღლება შეიძლება ბუნებრივი პერსპექტივის დონეზე დაბლა დაწევით იქნეს შეცვლილი. რეალიზმის დაძლევა ყველაზე უკეთ იმით შეიძლება, რომ უკიდურესობამდე მივიყვანოთ იგი, მაგალითად, ავიღოთ ლუპა და იქიდან გავხედოთ ცხოვრებას მიკროსკოპულ პლანში, როგორც იქცეოდნენ პრუსტი, რამონ დე ლა სერნა, ჯოისი. რამონს შეუძლია მთელი წიგნი მიუძღვნას ქალის მკერდს (ვიღაცამ მას უწოდა ახალი კოლუმბი, ერთი ნახევარსფეროდან მეორისაკენ რომ მიცურავს), ცირკს, განთიადს, ან რასტროსა თუ პუერტა დელ სოლს. ახლებური მიდგომა მხოლოდ ისაა, რომ ეკზისტენციალისტური დრამის პერსონაჟებად აქციო ჩვენი ცნობიერების პერიფერიული სფეროები. ამ თვალსაზრისით, ჟიროდუ, მორანი

და სხვანი და სხვანი ერთი და იმავე ლირიკული ხერხების სხვადასხვა ვარიაციებს იყენებენ.

სწორედ ამიტომ ორივე მათგანი პრუსტის გულმხურვალე თაყვანისმცემელი იყო, და ამავე მიზეზით აიხსნება ისიც, რომ ახალ თაობას ესოდენ დიდ სიამოვნებას ანიჭებს პრუსტის კითხვა, თუმცა ეს მწერალი სულ სხვა ეპოქას ეკუთვნის. შეიძლება ყველაზე მთავარი, რაც მისი წიგნების მრავალხმიანობას აღქმის ახალ ტიპთან აახლოებს, პერსპექტივის შეცვლა, ხედვის წერტილის გადანაცვლებაა, წერტილისა, საიდანაც ვაკვირდებით ფსიქოლოგიურ გამოსახულებათა ძველ მონუმენტურ ფორმებს, რომლებიც შეადგენდნენ რომანის შინაარსს, -- ისევე, როგორც არაადამიანურად გამახვილებული ყურადღება გრძნობების, სოციალური ურთიერთობებისა და ხასიათების მიმართ

180 გრადუსით შემობრუნება

მეტაფორა, მისი განუბსტანციურების კვალდაკვალ, პოეტური ქმნილების გმირად იქცევა. არსებითად, ეს ნიშნავს, რომ

ესთეტიკური გრძნობა ძირეულად შეიცვალა: ის 180 გრადუსით შემოტრიალდა. უწინ მეტაფორა ფარავდარეალობას, როგორც მაქმანი თუ მოსასხამი. ახლა, პირიქით, მეტაფორა ცდილობს განთავისუფლდეს თავისი არაპოეტური, ანუ რეალური . საბურველისაგან: საქმე ეხება მეტაფორის რეალიზებას, ანუ res poetica[1]დ მის ქცევას: მაგრამ ესთეტიკური პროცესის ეს ინვერსია მარტოოდენ მეტაფორასრია დაკავშირებული; ის თავს იჩენს ყველა მიმართულებასა და ყველა გამომსახველობით საშუალებაში, ასე რომ, შეიძლება ვამტკიცოთ: როგორც ტენდენცია, ის ახლა მთელი თანადროული ხელოვნების გენერალურ ხაზად გვევლინება.2

1 პოეტური საგანი (ლათ.) - მთარგმნ.

2 სამწუხარო იქნებოდა, თუ ყოველი გვერდის ბოლოს დაგვჭირდებოდა იმის გამეორება, რომ ახალი ხელოვნების ნებისმიერი ნიშანი, რომელსაც მე გამოვყოფ როგორც არსებითს, კი არ უნდა აბსოლუტირდებოდეს, არამედ განიხილებოდეს როგორც ტენდენცია .

ჩვენი ცნობიერების კავშირი საგნებთან იმაში მდგომარეობს, რომ ვიაზრებთ ამ უკანასკნელთა გარკვეულ წარმოდგენას ვიქმნით მათზე. ზუსტად რომ ვთქვათ, ჩვენ რეალობას კი არა ვფლობთ, არამედ მხოლოდ იდეებს ამ რეალობის შესახებ, რომელთა ჩამოყალიბებაც ასე თუ ისე შეგვძლია. ჩვენი იდეები თითქოს სათვალთვალო პუნქტია, საიდანაც ვაკვირდებით მთელ სამყაროს. გოეთემ მოსწრებულად შენიშნა, ყოველი ახალი ცნება თითქოს ჩვენს მიერ შეძენილი ახალი ორგანოა. ჩვენ საგნის იდეის მეშვეობით ვხედავთ ამ საგანს, თუმცა აზრობრივი ქმედითობის ბუნებრივ პროცესში ვერც ვამჩნევთ ამას, ზუსტად ისევე, როგორც ხედვის პროცესში თვალი ვერ ხედავს თავის თავს. სხვა სიტყვებით, აზროვნება იმისკენ სწრაფვას ნიშნავს, რომ იდეების მეშვეობით მოიცვა რეალობა; აზრის სტიქიური მოძრაობა ცნებიდან გარე სამყაროსკენაა მიმართული.

მაგრამ იდეასა და საგანს შორის ყოველთვის გადაულახავი უფსკრული ძევს. რეალობა ყოველთვის გაცილებით უფრო ჭარბია ცნებასთან შედარებით, რომელიც ცდილობს თავისი ვიწრო ჩარჩოთი შემოზღუდოს იგი. საგანი ყოველთვის მეტია ცნებაზე და სულაც არ ჰგავს მას. ეს უკანასკნელი მხოლოდ უბადრუკი სქემაა, ხარაჩო, რომლის

მეშვეობითაც რეალურობის მიწვდომას ვცდილობთ. და მაინც, ჩვენთვის ბუნებით ნიშნეულია გვწამდეს, რომ რეალობა სწორედ ისაა, რასაც ჩვენ მასზე ვფიქრობთ. ამიტომაც რეალურ საგანსა და მის შესაბამის ცნებას ერთმანეთში ვურევთ და მიამიტურად გვგონია, რომ ცნება იგივე საგანია. მოკლედ რეალიზმის ჩვენს ცხოვრებისეულ ინსტინქტს რეალობის იდეალიზაციისაკენ მივყავართ. ესაა თანდაყოლილი მიდრეკილება ადამიანურობისაკენ .

და, აი, თუ ჩვენ, ნაცვლად იმისა, რომ ამ მიმართულებით ვიაროთ, ზურგს შევაქცევთ სავარაუდო რეალობას, იმად მივიჩნევთ იდეებს, რანიც სინამდვილეში არიან, ესე იგი, უბრალო სუბიექტურ სქემებად, და თავიანთ ნამდვილ რაობას -- მოუქნელობას და სიმყიფეს, მაგრამ, ამასთანავე, წმინდა და გამჭვირვალე კონტურებსაც შევუნარჩუნებთ მათ, მოკლედ, თუ მიზნად დავისახავთ გულდასმით მოვახდინოთ იდეების სუბსტანტიზირება, და საგნებად დავსახოთ ისინი, ამით ჩვენ განვახორციელებთ მათ დეჰუმანიზაციას და საგანთა მიმართ იგივეობისაგან გავათავისუფლებთ, რადგანაც იდეები, არსებითად, ირრეალურნი არიან. რეალურ საგნებად მათი მიჩნევა მათსავე იდეალიზირებას , გამდიდრებასა და მიამიტურ ფალსიფიცირებას ნიშნავს. აქ ჩვენ ცნობიერებიდან სამყაროსაკენ კი არ მივდივართ, უმალ, პირიქით; ჩვენ ვცდილობთ სიცოცხლე შთავბეროთ სქემებს, გავაობიექტუროთ ეს შინაგანი და სუბიექტური კონსტრუქციები.

ტრადიციონალისტი მხატვარი, პორტრეტის ხატვისას, იმის პრეტენზიას აცხადებს, რომ ტილოზე გადასატანი სახის რეალობაშია დანთქმული, მაშინ როდესაც სინამდვილეში აღბეჭდავს მხოლოდ ცალკეული ნაკვთების სქემატურ ერთობლიობას, ნაკვთებისა, რომლებსაც მისი ცნობიერება თვითნებურად ირჩევს იმ უსასრულობიდან, რადაც გვევლინება რეალური ადამიანი. კი მაგრამ, მხატვარს რომ ეცადა, ადამიანის დახატვის ნაცვლად, დაეხატა თავისი წარმოდგენა ამ ადამიანზე, თავისი იდეა, თავისი სქემა? მაშინ სურათი თვით სიმართლე იქნებოდა, და მხატვარი თავიდან აიცილებდა გარდაუვალ მარცხს. სურათი, რომელიც უარს იტყოდა რეალობასთან შეჯიბრზე, იმად იქცეოდა, რაც არის სინამდვილეში, ესე იგი, ირრეალობად.

ექსპრესიონალიზმი, კუბიზმი და ა. შ. სხვადასხვა მასშტაბურობით ცდილობდნენ გადაეჭრათ ეს ამოცანა და ამრიგად ქმნიდნენ ხელოვნებაში რადიკალურ მიმართულებას. საგნების გამოხატულებიდან იდეების გამოხატვაზე გადა-

ვიღნენ. მხატვარი დააბრმავა გარე სამყაროს და მან შიგნით ჩაიბრუნა გუგა, სუბიექტური ლანდშაფტის ჭვრეტად.

თავისი მასალის სიმყიფისა და სიფხვიერის, დაუმუშავებლობისა და გაურანდავობის მიუხედავად, პირანდელოს პიესა ექვსი პერსონაჟი ავტორის ძიებაში , შესაძლოა, ერთადერთი წარმოდგენა იყო ამ უკანასკნელ ხანს, რომელიც ჩააფიქრა დრამატურგიის ესთეტიკის ყოველი თაყვანისმცემელი. ეს პიესა ბრწყინვალე მაგალითია ესთეტიკური გრძნობის იმ ინვერსიისა, რის აღწერასაც აქ ვცდილობ. ტრადიციული თეატრი გვთავაზობს, პიროვნებებს ვხედავდეთ მის პერსონაჟებში, ხოლო მათ გრძნობებს ადამიანური დრამის გამოხატულებად აღვიქვამდეთ. პირანდელო კი, პირიქით, ახერხებს დაგვაინტერესოს საკუთრივ თავისი პერსონაჟებით, როგორც იდეებითა თუ წმინდა სქემებით.

შეიძლება ისიც კი გამტკიცოთ, რომ ესაა იდეების პირველი დრამა, ამ სიტყვის ზუსტი გაგებით. პიესები, რომლებსაც უწინ ეს სახელი ერქვათ, იდეების კი არა, ფსევდო-პიროვნებების დრამებად

გვევლინებოდნენ. ექვს პერსონაჟში ყოფითი დრამა, მოქმედ პირებს შორის რომ თამაშდება, მხოლოდ საბაბია, ამიტომაც აღიქმება არადამაჯერებლად. სამაგიეროდ ჩვენს წინაშეა საკუთრივ იდეების ჭეშმარიტი დრამა, დრამა სუბიექტური არსებისა, ავტორის ცნობიერებაში რომ ცოცხლობენ. აქ უკიდურესად ნათელია დეჰუმანიზაციის მცდელობა, და მისი განხორციელების შესაძლებლობა ეჭვშეუვალადაა დამტკიცებული. ამასთანავე, აშკარა ხდება, რომ პუბლიკას ძალიან უჭირს თავისი მზერა მიუსადაგოს ამ შეცვლილ პერსპექტივას. პუბლიკა ცდილობს მიაკვლიოს აღამიანურ დრამას, რომელსაც მხატვრული ნაწარმოები გამუდმებით აუფასურებს, უკანა პლანზე სწევს, ირონიული თვალთახედვით აბიაბრუებს, და რომლის ადგილზეც, ესე იგი, პირველ პლანზე, თვით თეატრალურ ფიქციას აყენებს. საზოგადოება აღშფოთებულია, ჰგონია, რომ ატყუებენ, მას არ შეუძლია დატკბეს ხელოვნების ამ მომხიბლავი თვალთმაქცობით, რომელიც მით უფრო

საოცარია, რაც უფრო ნათლად ვლინდება მისი თვალთმაქცური ქსოვილი.

ხატთმბრძოლობა

ალბათ, გადაჭარბებული არ იქნება იმის მტკიცება, რომ ახალი სტილის პლასტიკურმა ხელოვნებამ იმთავითვე გამოავლინა აშკარა ზიზღი ცოცხალი ფორმებისა თუ ცოცხალ არსებათა ფორმების მიმართ. ეს საკმაოდ ცხადი გახდება, თუ ერთმანეთს შევუდარებთ ჩვენი დროისა და იმ ეპოქის ხელოვნებას, როცა გოთიკურ კანონს ისე გაურბოდნენ, როგორც კოშმარს, და მისგან თავის დაღწევას ცდილობდნენ ფერწერა და სკულპტურა, რომლებმაც რენესანსული საერო ხელოვნების ესოდენ უხვი მოსავალი მოგვცეს. უსაზღვროა იმდროინდელი ფუნჯისა და საჭრეთელის ნეტარება და ეგზალტაცია, კვალდაკვალ რომ მიჰყვებიან ცხოველურსა და მცენარეულ ნიმუშებს, მათი ჩვილი და უნაზესი ხორცის სისავსეს, რომელშიაც ძალუმად ფეთქავს სიცოცხლე. სულერთია, რომელ ცოცხალ არსებებთან ექნებათ საქმე, მთავარია, მათში

იგრძნობოდეს სიცოცხლის პულსაცია. სურათიდან თუ სკულპტურიდან ორგანული ფორმა ორნამენტზედაც ვრცელდება. ესაა დრო სიუხვის რქისა, სისხლსავსე ცხოვრების ბობოქარ ნაკადთა ეპოქა, თავის წვნიან და მწიფე ნაყოფთა სიუხვით წალეკვას რომ უქადის ქვეყნიერებას.

ფენომენი გართულდება, თუ გავიხსენებთ, რომ ისტორიას ახსოვს სახვითი გეომეტრიზმის ამნაირი მძვინვარება. უკვე პრეისტორიული ხელოვნების ევოლუციაში ჩვენ გამჩნევთ, რომ მხატვრული აღქმა ცოცხალ ფორმათა ძიებით იწყება და იმით მთავრდება, რომ ლამის შიშითა და ზიზღით აღვსილი გაურბის მათ, რათა თავშესაფარს შეეფაროს. გველი სტილიზირდება როგორც მეანდროსი, მზე -- როგორც სვასტიკა. ღროდაღრო ზიზღი ცოცხალი ფორმებისადმი მძაფრ სიძულვილად იქცევა და საზოგადოებრივ კონფლიქტებს იწვევს. ასე მოხდა აღმოსავლეთ ქრისტიანულ ხატთმბრძოლობის ამბოხებისას ხატების წინააღმდეგ, თუ სემიტური აკრძალვისას, რომელმაც ყაღაღა დააღო ცხოველთა გამოსახვას. ამ ინსტინქტს, ძირეულად რომ უპირისპირდება ალტამირას მღვიმის მომხატველი ხალხის ინსტინქტს, არა მარტო მის რელიგიურ საფუძველში, არამედ იმნაირ ესთეტიკურ ცნობიერებაშიცა აქვს ფესვი გაღგ-

მული, რომელმაც შემდგომ აშკარა გავლენა მოახდინა ბიზანტიურ ხელოვნებაზე.

ძალზე საინტერესო იქნებოდა გულდასმით გამოგვეკვლია ხატთმბრძოლობის მოულოდნელი ფეთქებადი გამოვლინებანი, ერთიმეორის მიყოლებით რომ იჩენენ თავს რელიგიასა თუ ხელოვნებაში. ახალ ხელოვნებაში აშკარად მოქმედებს ეს უცნაური ხატთმბრძოლური ცნობიერება. მის ფორმულად შეიძლება მიჩნეულ იქნეს პორფირიოსის მცნება, რომელიც გაიზიარა მანიქეველობამ და რომლის წინააღმდეგაც გაღაჭრით ილაშქრებდა წმიდა ავგუსტინე: "Omne corpus fugiendum est".1 ცხადია, რომ აქ ცოცხალი ხორცი იგულისხმება. სასეირო ინვერსია ბერძნული კულტურისა, რომელიც თავისი გაფურჩქვნის მწვერვალზე ესოდენ კეთილმოწყალე იყო „ცოცხალი“ ფორმების მიმართ!

1 ხორცისაგან გაქცევა გმართებს (ლათ.) -- მთარგმნ.

ხარისხის შარჟოვითი გავლენა

წინამდებარე ესსეს მიზანი, როგორც უკვე მოგახსენეთ, ის გახლავთ, რომ აღწეროს ახალი ხელოვნება მისი ზოგიერთი განმასხვავებელი ნიშნის მიხედვით. მაგრამ თვით ეს მიზანი მკითხველის უფრო სერიოზულ ცნობისმოყვარეობას გულისხმობს, რომლის დაკმაყოფილებაც აქ, ალბათ, შეუძლებელია, -- ეს ფურცლები მას მარტო დატოვებენ თავის საკუთარ ფიქრებთან. მე მხედველობაში მაქვს შემდეგი:

სადღაც აღვნიშნე,1 რომ ხელოვნება და წმინდა მეცნიერება (სწორედ იმიტომ, რომ ისინი სულიერი მოღვაწეობის ყველაზე უფრო თავისუფალ სფეროებად გვევლინებიან და ყველაზე ნაკლებ სწორხაზოვნად ექვემდებარებიან ნებისმიერი ეპოქის სოციალურ პირობებს) თავიანთი არსით იმაირნი არიან, რომ მათი მიხედვით ყველაზე უკეთ შეიძლება ვიმსჯელოთ ადამის კოლექტიური ტიპის

1 იგულისხმება ორტეგა ი გასეტის ნაშრომი „ ზვნი დროის თემა“ . -- მთარგმნ. .

ცვლილებათა შესახებ. როდესაც იცვლება ცხოვრების ძირითადი მიმართულება, ადამიანი მხატვრულ შემოქმედებაში, შემოქმედებით ემანაციაში, დაუყოვნებლივ იწყებს თავისი ახალი განწყობილების გამოხატვას. მოღვაწეობის ორივე სფეროს -- ხელოვნებისა და მეცნიერების -- სინატიფე ერთსაც და მეორესაც უკიდურესად მგრძნობიარეს ხდის სიოს ყოველი ახალი დაბერვის მიმართ. მსგავსად იმისა, როგორც სოფელში, ღილაობით პარმაღზე გამოსულნი შევცქერით საკვამურებიდან ამოსულ კვამლს, რათა განვსაზღვროთ, საით ქრის ქარი, ახალი თაობების ხელოვნებასა და მეცნიერებასაც შეიძლება იმავე მეტეოროლოგიური ცნობისმოყვარეობით ვუყუროთ.

მაგრამ საამისოდ აუცილებელია წინასწარ განვსაზღვროთ ახალი მოვლენა და მხოლოდ შემდეგ დავსვათ კითხვა: რის სიმპტომად და წინასწარმაუწყებლად გვევლინება მსოფლაღქმის ახალი უნივერსალური სტილი? პასუხი მოითხოვდა გულდასმით გამოგვეკვლია იმ განსაცვიფრებელი შემობრუნების მიზეზები, რასაც ღღეს ვხედავთ ხელოვნებაში, მაგრამ ეს მეტისმეტად ძნელი ამოცანაა, და აქ მისი გადაჭრის აღგილი არ არის. საიდან იღებს დასაბამს დეჰუმანიზაციის ეს მძაფრი წყურვილი, რას ნიშნავს ეს უჩვეულო ზიზღი

ცოცხალი ფორმების მიმართ? ალბათ, ეს ისტორიული მოვლენა, ყველა სხვა მოვლენის მსგავსად, უსასრულოდ განტოტილი ფესვების მთელი წნული იღანაა ამოზრდილი, ფესვებისა, რომელთა კვლევასაც უფრო დახვეწილი საშუალებები დასჭირდებოდა.

მაგრამ რანაირიც არ უნდა იყოს დანარჩენი მიზეზი, ეჭვშეუვალი ფაქტია ერთი, უკიდურესად ცხადი და მკაფიოდ გამოკვეთილი მიზეზის არსებობა, თუმცა ეს უკანასკნელი არც პირველობას იჩემებს და არც უზენაესობას.

ხელოვნებაში ძნელია გადაჭარბებით შეაფასო წარსულის გავლენა მომავალზე. ხელოვანის სულში ყოველთვის ხდება გარკვეული აღრევა, ანუ ეროგვარი ქიმიური რეაქცია მისი საკუთარი აღქმის თავისებურებასა და უკვე არსებული ხელოვნების სპეციფიკურ ხასიათს შორის. ხელოვანი არასოღეს არ რჩება მარტო სამყაროს პირისპირ. მხატვრული ტრადიცია -- შუამავლის სახით -- ყოველთვის ერევა სამყაროსთან მის უროიერთობაში. კი მაგრამ, როგორი იქნება რეაქცია უშუალო გრძნობასა და წარსულის მშვენიერ ფორმებს შორის? ის შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი. ხელოვანმა შეიძლება იგრძნოს თავისი სიახლოვე წარსულთან და მის ნაშიერად, მის

მემკვიდრედ, მის სრულმყოფელად წარმოიღგინოს თავი, ან, ასე თუ ისე, უნებური, გაურკვეველი ზიზღი აღეძრას ტრადიციონალისტი, საყოველთაოდ აღიარებული და ტონის მიმცემი მხატვრების მიმართ. და თუ პირველ შემთხვევაში მას დიდ სიამოვნებას განაცდევინებს ძველ პირობითობათა ჩარჩოში ჩაკეტვა და ამავე პირობითობათა მიერ საკრალიზებული ზოგიერთი ჟესტის გამეორება, მეორე შემთხვევაში ის შექმნის უკვე აღიარებულ ქმნილებათაგან ხკვეთრად განსხვავებულ ნაწარმოებებს, და თანაც, თავის თანამოძმეზე არანაკლებ სიამოვნებას მიიღებს, თავის ქმნილებას აგრესიულ, გაბატონებული ნომრების წინააღმდეგ მიმართულ ხასიათს რომ მიანიჭებს.

ამ გარემოებას რატომღაც ივიწყებენ ხოლმე, როცა საქმე ეხება წარსულის გავლენას დღევანდელ დღეზე. ჩვეულებრივ, ერთი რომელიმე ეპოქის ნაწარმოებში აღვილად შეიძლება შევნიშნოთ იმისკენ სწრაფვა, რომ, ასე თუ ისე, წინა ეპოქის ქმნილებას ჰგავდეს. პირიქით, გაცილებით უფრო ძნელია შევნიშნოთ წარსულის უარყოფითი გავლენა და მივხვდეთ, რომ ახალი სტილის ფორმირება მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ხალოვანის მიერ ტრადიციულ სტილთა უარყოფით, რაც დიდ სიამოვნებას ანიჭებს თვითონ ხელოვანს.

ხელოვნების ტრაექტორია რომანტიზმიდან ჩვენს დრომდე გაუგებარი დარჩება, თუ ანგარიშს არ გაუწევთ -- როგორც ესთეტიკური ტკბობის ფაქტორს -- ამ ნეგატიურ განწყობილებას, ამ აგრესიულობას ძველი ხელოვნების მიმართ და მის აბუჩად აგდებას. ბოდლერს მოსწონდა შავი ვენერა, სწორედ იმიტომ, რომ კლასიკური ვენერა თეთრია. მას შემდეგ ყველა ის სტილი, თანმიმდევრულად რომ ენაცვლებოდა ერთიმეორეს, განუწყვეტლივ ზრდიდა უარყოფით და მკრეხკლურ ინგრედიენტთა დოზას; ამ ავხორცულ ზრდაშიც მოინიშნება ერთგვარი ტრადიცია, და, აი, ახლა ახალი ხელოვნების პროფილი თითქმის მთლიანად ჩამოყალიბდა ძველის უარყოფის საფუძველზე. გასაგებია, როგორ ხდება ეს. ყოველთვის, როცა ხელოვნება მრავალსაუკუნოვან უწყვეტ მეოლუციას განიცდის, თავისი განვითარების გზაზე ყოველგვარი წყვეტილობისა თუ ისტორიული კატასტროფების გარეშე, მისი ნაყოფიერება უსასრულოდ ხვავრიელი ხდება და მასიური ტრადიცია ძირშივე ახშობს ახალ შთაგონებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ახლად მოვლენილ ხელოვანსა და სამყაროს შორის სულ უფრო მეტი ტრადიციული სტილი გროვდება, რაც არღვევს უშუალო და ცოცხალ კომუნიკაციას მათ შორის. მაშასადამე, ორში ერთია: ან ტრადიცია,

ბოლოს და ბოლოს, მოაშთობს ცოცხალ შემოქმედებით პოტენციას, ანდა აწმყოზე წარსულის დამთრგუნველი ზემოქმედება უნდა შეწყდეს, და მაშინ დადგება ხანგძლივი პერიოდი, რომლის განმავლობაშიაც ახალი ხელოვნება ნელ-ნელა განიკურნება წარსულის დამღუპველი გავლენისაგან. ასე დაემართა ევროპულ სულს, სადაც მერმისისაკენ იმპულსულმა ლტოლვამ იმძლავრა უკურნებელ აღმოსავლურ ტრადიციონალიზმსა და პასეიზმზე.1

უმეტესი ნაწილი იმისა, რასაც აქ ლეჰუმანიზაცია და ცოცხალი ფორმებისაღმი ხიზღი ეწოდება, რეალურ საგანთა ტრადიციული ინტერპრეტაციის მიმართ სწორედ ამ უარყოფითი დამოკიდებულებისაგან იღებს დასაბამს. იერიშის სიმძაფრე უშუალოდ დამოკიდებულია ისტორიულ დისტანციაზე. ამიტომ თანამედროვე ხელოვანთათვის ყველაზე მეტად მიუღებელია სწორედ გასული საუკუნის სტილი, ოუმცაღა ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, გარკვეულად უპირისპირდება უფრო ადრეულ ეპოქათა სტილს. და პირიქით, ახალი აღმქმელობა საეჭვო სიმპათიას იჩენს დროსა და სივრცეში გაცილებით უფრო შორეული ხელოვნების - პირველყოფილი ხელოვნებისა და ბარბაროსული ეგზოტიკის მიმართ. არსებითად, ახალ ესთეტიკურ ცნობიერებას იმდენად ამ ხელოვნების ქმნილებები კი არ ანიჭებენ სიამოვნებას, რამდენადაც მათი მიამიტობა, ესე იგი, ტრადიციის უქონლობა, ტრადიციისა, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა.

ახლა თუ ჩვენ მივუბრუნდებით კითხვას, ცხოვრებისაღმი რანაირი დამოკიდებულების ნიშნად უნდა მიგვაჩნდეს ეს თავდასხმები წარსულზე, მოულოდნელად აღმოცჩნდებით ძალზე დრამატული პრობლემის წინაშე. რადგანაც წარსულის ხელოვნებაზე თავდასხმა თვით ხელოვნების წინააღმდეგ ამბოხსა ნიშნავს: რადგანაც, აბა, რა არის ხელოვნება ყოველივე იმის გარეშე, რაც კი აქამდე შექმნილა?

კი მაგრამ, ნუთუ წმინდა ხელოვნებისაღმი სიყვარულის ნიღაბქვეშ იმალება ხელოვნებით გულმოყირჭება, სიძულვილი ხელოვნების მიმართ?

1 პასეიზმი (ფრანგული სიტყვიდან „passe„წარსული“)--ნამყოსკენ სწრაფვა, ჭმუნვა წარსულის გამო. — მთარგმნ.

როგორ დავიჯეროთ ეს? ხელოვნებისადმი სიძულვილმა შეიძლება თავი იჩინოს მხოლოდ იქ, სადაც იბადება სიძულვილი მეცნიერების, სახელმწიფოს, საერთოდ, მთელი კულტურის მიმართ. ხომ არ აღიძვრის ევროპელთა გულში გონებამიუწვდომელი გაბოროტება თავიანთი საკუთარი ისტორიული არსისადმი, ერთგვარი odium professionis[1] რომელიც ეუფლება ბერ-მონაზონს, ხანგძლივი სამონასტრო ცხოვრებით გულმოყირჭებული უჩვეულო ზიზღს რომ განიცდის დისციპლინის, სწორედ იმ წესის მიმართ, რაც მისი ცხოვრების აზრს შეადგენდა?

აი, სათანადო მომენტი საიმისოდ, რომ კალამმა კეთილგონივრულად შეწყვიტოს თავისი ეული სრიალი და წეროების ყარყარა ყელივით მორკალული კითხვის ნიშნების მწკრივს შეუერთდეს.

1 პროფესიის, ხელობის სიძულვილი (ლათ.) — მთარგმნ.

ირონიული ბედი

როგორც ზემოთ ითქვა, ახალი სტილისათვის, მისი უზოგადესი სახით, ნიშნეულია აღამიანური, მეტისმეტად აღამიანური ელემენტების გაძევება და მარტოოდენ პირწმინდად მხატვრული მასალის შენარჩუნება. ეს თითქოს თავისთავად გულისხმობს უჩვეულო ენთუზიაზმს ხელოვნების მიმართ. მაგრამ თუ ამ ფაქტს მეორე მხრიდან შევხედავთ და სხვა რაკურსით განვიხილავთ, განცვიფრებულნი დავრჩებით სწორედ საპირისპირო მოვლენით: ესაა ზიზღი ხელოვნების მიმართ, ან მისი უგულებელყოფა. წინააღმდეგობა აშკარაა და ძალზე არსებითია ყურადღება გავამახვილოთ მასზე. ბოლოს და ბოლოს, იძულებულნი ვხდებით ვაღიაროთ, რომ ახალი ხელოვნება ფრიად ორაზროვანი მოვლენაა, და ეს, კაცმა რომ თქვას, სულაც არ არის საოცარი, რადგანაც ორაზროვანია უკანასკნელი წლების თითქმის ყველა მშინველოვანი მოვლენა. საკმარისია გავაანალიზოთ ევ-

როპული პოლიტიკური რეალიები, რათა მათშიაც იგივე ორაზროვნება აღმოვაჩინოთ.

მაგრამ წინააღმდეგობა ერთი და იმავე საგნის მიმართ სიყვარულსა და სიძულვილს შორის, ცოტა არ იყოს, მცირდება თანამედროვე მხატვრული პროდუქციის უფრო გულდასმით განხილვისას.

პირველი შედეგი, რასაც იწვევს ხელოვნების მიქცევა საკუთარი თავის მიმართ, მის მიერ ყოველგვარი პათეტიკის უარყოფაა. აღამიანურობით დახუნძლულ ხელოვნებაში ასახვა ჰპოვა ცხოვრებისადმი სპეციფიკურად სერიოზულმა დამოკიდებულებამ. ხელოვნება სერიოზული, თითქმის წმიდათა-წმიდა რამ გახლდათ. ზოგჯერ ის, შოპენჰაუერისა და გაგნერის სახელით, მეტის თუ არა, ყოველ შემთხვევაში, იმის პრეტენზიას მაინც აცხადებდა, რომ კაცთა მოდგმის მხსნელად დაესახა თავი! შეუძლებელია არ განგვაცვიფროს იმ ფაქტმა, რომ ახალი შთაგონება თავისი ხასიათით თითქმის ყოველთვის უცილობლად კომიკურია. ის სწორედ ამ სიმზე უკრავს, სწორედ ამ ტონალობით ჟღერს. დღევანდელ ხელოვნებას მთლიანად განწონის კომიზმი, რომელიც თითქოს უსასრულოდ ვრცელდება აშკარა კლოუნადიდან თვალის ოდნავ შესამჩნევ ირონიულ ჩაპაჭუნებამდე, მაგრამ გაქრობით კი არასოდეს არ ქრება. არა, აქ

ნაწარმოების შინაარსი როდია კომიკური, - მაშინ ჩვენ კვლავ მივუბრუნდებოდით ადამიანური სტილის ფორმებსა და კატეგორიებს, - საქმე ისაა, რომ, შინაარსისაგან დამოუკიდებლად, თვით ხელოვნება იქცევა თამაშად. ხოლო საკუთრივ თამაშისა თუ ფიქციისაკენ სწრაფვა, როგორც მოგახსენეთ, შესაძლოა მხოლოდ მხიარული გუნებაგანწყობილებისას აღიძრას სულში. ხელოვნებისაკენ სწორედ იმიტომ მიისწრაფიან, რომ ის განიხილება როგორც ფარსი. სერიოზულ ხალხს, რომელსაც ნაკლებად შესწევს თანადროული აღმქმელობის უნარი, სწორედ ეს გარემოება უძნელებს ახალი ნაწარმოებების გაგებას; ამ ხალხს ჰგონია, რომ ახალი ფერწერა და მუსიკა წმინდა ფარსია, ამ სიტყვის უარესი გაგებით, და ამიტომაც ვერ წარმოუდგენია, რომ ვიღაცა შეიძლება სწორედ ფარსში ხედავდეს ხელოვნების მთავარ მისიას და მის კეთილშობილურ დანიშნულებას. ხელოვნება მართლაც ფარსი იქნებოდა, ამ სიტყვის უარესი გაგებით, თანამედროვე მხატვარი წარსულის სერიოზულ ხელოვნებასთან მეტოქეობას რომ მიელტვოდეს, და კუბისტური ტილო მიზნად ისახავდეს ისეთივე, თითქმის რელიგიური და პათეტიკური აღფრთოვანება გამოიწვიოს, როგორსაც მიქელანჯელოს ქანდაკება

იწვევს. მაგრამ თანამედროვე მხატვარი გვთავაზობს, ხელოვნებას აღვიქვამდეთ როგორც თამაშს და, არსებითად, როგორც თვითდაცინვას. სწორედ აქაა ახალი შთაგონების კომიზმის წყარო. ნაცვლად იმისა, რომ ვიღაცას აბიაბრუებდეს კომედია არ არსებობს მსხვერპლის გარეშე ახალი ხელოვნება საცინად იგდებს თვით ხელოვნებას.

თუ ღმერთი გწამთ, ნუ გაცხარდებით ამის წაკითხვისას, თუკი გსურს რაღაცაში კიდევ გაერკვეთ. არსად ხელოვნება ისე აშკარად არ ავლენს თავის მაგიურ ნიჭს, როგორც ამ თვითდაცინვაში. რადგანაც სწორედ ამ თვითდამცირების ჟესტით ინარჩუნებს იგი თავის რაობას და, რაღაც განსაცვიფრებელი დიალექტიკის ძალით, მისი უარყოფა, იმავდროულად, მის თვითშენახვად და მისსავ ტრიუმფად გვევლინება.

ძალიან მეეჭვება, რომ თანამედროვე ყმაწვილი კაცი შეიძლება დააინტერესოს ლექსმა, ფუნჯის მოსმამ თუ ბგერამ, რომლებიც ამ ირონიულ რეფლექსიას არ შეიცავენ.

რა თქმა უნდა, ეს იდეა თუ თეორია არც ისე ახალია. XIX საუკუნის დამდეგს გერმანელ რომანტიკოსთა ჯგუფმა, შლეგელების მეთაურობით, ირონია უმაღლეს ესთეტიკურ კატეგორიად გამოაცხადა, სწორედ იმ მიზეზის ძალით, ხელოვნების ახალ მიმართულებას რომ თანხვდება. რეალობის რეპროდუცირებით შემოფარგვლას, მის განუსჯელ გაორმაგებას არავითარი აზრი არა აქვს. ხელოვნების მისია ირრეალურ ჰორიზონტთა შექმნაა. ამის მისაღწევად კი მხოლოდ ერთი საშუალება არსებობს: ჩვენი რეალობის უარყოფა, მისი დაძლევა, მასზე ამაღლება. იყო მხატვარი, იმისა ნიშნავს, რომ სერიოზულად არ აღიქვამდე სერიოზულ ხალხს, როგორიცა ვართ ჩვენ, როცა მხატვრები არა ვართ.

როგორც ჩანს, ახალი ხელოვნების ეს დანიშნულება, იყოს უცილობლად ირონიული, გულისგამაწვრილებლად ერთფეროვან იერს ანიჭებს მას, რასაც შეუძლია სასოწარკვეთილებაში ჩააგდოს თვით ყოვლისმთმენი დამფასებელიც. მაგრამ იგივე იერი გარკვეულწილად არბილებს იმ სხვაობას სიყვარულსა და სიძულვილს შორის, რაზედაც ზემოთ მოგახსენებდით. რადგან თუ სიძულვილი ხელოვნებაში ცოცხლობს როგორც სერიოზულობა, სიყვარული ხელოვნებაში, რომელმაც თავის ტრიუმფს მიაღწია, ფარსად გვევლინება, ფარსად, რომელიც ზეიმობს ყველაფერზე, მათ შორის, თავის თავზედაც, მსგავსად იმისა, როგორც სარკეთა სისტემაში, უსასრულოდ რომ ირეკლავენ ერთიმეორეს, არაფერი არ არის

საბოლოო და დასრულებული, -- ყველაფერი კრთის, ციმციმებს და წმინდა მოჩვენებითობის ეფექტსა ქმნის.

ხელოვნების არატრანსცენდენტურობა

ყოველივე ეს ახალი ხელოვნების ყველაზე რელიეფურ, ყველაზე არსებით ნიშანში, ახალი ესთეტიკური აღქმის უცნაურ თვისებაში კონცენტრირდება, თვისებაში, რომელიც გულდასმით გააზრებას მოითხოვს. ეს საკითხი ფრიად საჭოჭმანო საკითხი გახლავთ, რადგანაც, ყველაფერს რომ თავი ვანებოთ, ძალზე ძნელია მისი ზუსტი ფორმულირება.

ახალი თაობისათვის ხელოვნება ყოველგვარ ტრანსცენდენტურობას მოკლებული ფენომენია. ეს ფრაზაც დავწერე და შიშმა ამიტანა იმ ურიცხვი მნიშვნელობის გამო, რასაც შეიცავს იგი. რადგანაც საქმე იმას კი არ ეხება, რომ თანამედროვე ადამიანს ხელოვნება არას მაქნისად და ნაკლებ არსებითად ეჩვენება, ვიდრე მის წინაპარს, არამედ იმას, რომ თვითონ მხატვარი აღიქვამს თავის ხელოვნებას

როგორც ყოველგვარი ტრანსცენდენტური აზრისაგან განძარცულ ფენომენს. ნურც იმას ვიფიქრებთ, თითქოს მხატვარს ნაკლებად აინტერესებდეს თავისი საქმე და თავისი ქმნილება: არა, ისინი აინტერესებენ მას, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც სერიოზული აზრი არ გააჩნიათ, და აინტერესებენ იმ ზომით, რა ზომითაც მოკლებულნი არიან ამნაირ აზრს. გაგვიჭირდება ამის გაგება, თუ ერთმანეთს არ შევუპირისპირებთ ხელოვნების ახლანდელსა და ოცდაათი წლის წინანდელ, ისევე როგორც მთელი გასული საუკუნის მანძილზე არსებულ მდგომარეობას. პოეზიას და მუსიკას იმხანად ჯაზარმაზარი ავტორიტეტი ჰქონდათ: მათგან მოელოდნენ, სულ მცირე, კაცთა მოდგმის ხსნასა და აღორძინებას რელიგიის ნანგრევებზე და მეცნიერების ულმობელი რელატივიზმის ფონზე. ხელოვნება ტრანსცენდენტური იყო ორმაგი აზრით: თავისი თემით, რომელიც, ჩვეულებრივ, მოიცავდა / ადამიანური ცხოვრების ყველაზე სერიოზულ პრობლემებს, და თავისთავადაც, როგორც ნიჭი, როგორც უნარი, ღირსებას რომ ჰმატებდა და ამართლებდა კიდეც კაცთა მოდგმას. უნდა გენახათ საზეიმო პოზა, რომელსაც იღებდა ბრბოის წინაშე დიდი პოეტი თუ გენიალური მუსიკოსი, -- ეს იყო წინასწარმეტყველის, რელიგიის და-

მაარსებლის პოზა თუ სამყაროს ბედისათვის პასუხისმგებელი სახელმწიფო მოღვაწის გოროზი იერი!

ჩემის აზრით, თანამედროვე ხელოვანს აძრწუნებს პერსპექტივა, ესოდენ მაღალი მისიისთვის იყოს ცხებული, და აქედან გამომდინარე აუცილებლობა, თავის შემოქმედებაში ესებოდეს იმას, რამაც შეიძლება ამნაირი აზრები გამოიწვიოს. პირიქით, მისთვის რაღაც საკუთრივ მხატვრული იწყება მაშინ, როცა ამჩნევს, რომ ჰაერში სერიოზულობის სუნი აღარ ტრიალებს და საგნები ქარაფშუტური სიმსუბუქით ებმებიან ფერხულში. ეს საყოველთაო პირუეტი მისთვის ნამდვილი ნიშანია იმისა, რომ მუზები არსებობენ. თუკი საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ ხელოვნება ადამიანის მხსნელად გვევლინება, მხოლოდ იმ აზრით, რომ ხელოვნება ცხოვრების სერიოზულობისაგან იხსნის და ბალღური სიანცისათვის აღვიძებს მას. ხელოვნების სიმბოლოდ კვლავ იქცევა პანის ფლეიტა, ტყის პირას, მწვანე მდელოზე რომ აცეკვებს ციკნებს.

მთელი ახალი ხელოვნება გასაგები გახდება და გარკვეულ მნიშვნელობას შეიძენს, თუ მას განვმარტავთ როგორც მცდელობას, ყმაწვილური სიხალისის სულისკვეთება აღადგინოს ამ

მიხრწნილ სამყაროში. ყველა სხვა სტილი ხელაღებით აცხადებდა იმის პრეტენზიას, რომ უშუალოდ უკავშირდებოდა ბობოქარ სოციალურსა თუ პოლიტიკურ მოძრაობებს და ღრმა ფილოსოფიურსა თუ რელიგიურ მიმდინარეობებს . ახალი სტილი კი, პირიქით, იმეღოვნებს, რომ მას სპორტულ თამაშობათა თუ გასართობ სანახაობათა საღღეგასწაულო ატმოსფეროს დაუახლოვებენ. ესენი მონათესავე მოვლენები არიან, თავიანთი არსით ერთმანეთთან ახლოს მდგარნი.

ამ მოკლე ხანში ჩვენ ვნახეთ, როგორ აზავთდა გაზეთების ფურცლებზე სპორტულ სანახაობათა ტალღა, რომელმაც ჩაძირა სერიოზულობის თითქმის ყველა ხომალდი. მოწინავე სტატიები საცაა დაინთქმებიან თავიანთი სათაურების ღრმაასოვნებაში, ზედაპირზე კი ლაღად დაქრიან რეგატის იახტები. სხეულის კულტი ყოველთვის ახალგაზრდობის ნიშანია, რადგანაც სხეული მოქნილი და მშვენიერია მხოლოდ სიჭაბუკეში, მაშინ როდესაც სულის კულტი სიბერისაკენ მიდრეკილ ნებას გვიმჟღავნებს, რადგანაც სული თავისი განვითარების მწვერვალს აღწევს მაშინ, როცა სხეული დასუსტებასა და დაძაბუნებას იწყებს. სპორტის ტრიუმფი თვალნათლივ მოწმობს სიჭაბუკის ფასეულობათა გამარჯვებას სიბერის ფასეულობებზე. რაღაც ამგვ-

არი ხდება კინემატოგრაფშიც, ამ სხეულებრივ ხელოვნებაში par excellence.

ჩემს ყმაწვილკაცობაში ხანში შესულთა სოლიდური მანერები ჯერ კიდევ დიდი პრესტიჟით სარგებლობდნენ. ჭაბუკს უნდოდა რაც შეიძლება ჩქარა მოეტოვებინა უკან სიჭაბუკე და ყოველნაირად ჰბაძავდა მიხრწნილი ბერიკაცის დუნე სიარულს თუ უნიათო მიხრა-მოხრას. დღეს პატარა გოგო-ბიჭების საზრუნავი ისაა, რომ გაიხანგრძლივონ თავიანთი ბავშვობა, ჭაბუკები კი ცდილობენ დიდხანს შეინარჩუნონ სიჭაბუკე და ხაზგასმით წარმოაჩინონ იგი. ერთი რამ მაინც უეჭველია: ევროპა ბავშვობის ეპოქაში შედის.

ამნაირმა პროცესმა არ უნდა გაგვაკვირვოს. ისტორია დიად ცხოვრებისეულ რიტმთა თანახმიერად შრძრაობს. ყველაზე მნიშვნელოვან ცვლილებებს მასში მეორეხარისხოვან და კერძო მიზეზთა მოქმედება კი არ იწვევს, არამედ სტიქიურ ფაქტორთა, კოსმიური წესრიგის დასაბამიერ ძალთა გავლენა. მეტიც, ცოცხალ არსებათათვის ნიშნეული ძირითადი და თითქოს პოლარული სხვაობანი, სქესი და ასაკი, თავიანთი მძლავრი ზემოქმედების ნიშნით აღბეჭდავენ დროთა პროფილს. მართლაც, აღვილი შესამჩნევია, რომ ისტორია, ქანქარის მსგავსად, რიტმულად ქანაობს

ორ პოლუსს შორის, ერთ პერიოდში მამაკაცური საწყისი ჭარბობს, მეორეში კი -- ქალური, დროდადრო ჩვენ ვხედავთ ჭაბუკური სულის ზეობას, დროდადრო კი მძლავრობს სიმწიფის და სიბერის სული.

ევროპული ყოფიერების ყოველი სფეროს ღრევანდელი განვითარება თითქოს წინასწარ გვაუწყებს, რომ იწყება მამაკაცური საწყისისა და სიჭაბუკის ზეობის ერა. ქალმა და ბერიკაცმა ავანსცენა დროებით უნდა დაუთმონ ჭაბუკს, და საკვირველი არა არის რა იმაში, რომ დასავლური სამყარო დროთა ვითარებაში თითქოს სიდარბაისლეს კარგავს.

ახალი ხელოვნების ყველა თავისებურება მის არატრანსცენდენტურობაზე დაიყვანება, ხოლო ეს უკანასკნელი სხვა რამით კი არა, ხელოვნებისათვის იმ აუცილებელი პირობითაა განსაზღვრული, რომ ადგილი შეიცვალოს ადამიანურ საზრუნავთა თუ ინტერესთა ჰიერარქიაში. ეს ინტერესები წარმოვიდგინოთ კონცენტრული წრეების სახით, რომელთა რადიუსებითაც იზომება დისტანცია ჩვენი ცხოვრების ცენტრამდე, სადაც თავმოყრილნი არიან ჩვენი უზენაესი მისწრაფებანი. ნებისმიერი რანგის -- სასიცოცხლო თუ კულტურული -- ფასეულობანი თავიანთ ორბიტებზე ბრუნავენ და მეტ-

ნაკლებად მიიზიდებიან სისტემის გრავიტაციული ცენტრით. მე ვიტყოდი, რომ ხელოვნებამ, რომელიც უწინ -- ისევე, როგორც მეცნიერება და პოლიტიკა -- ჩვენი პიროვნების ცენტრის უშუალო სიახლოვეს მდებარეობდა, ახლა პერიფერიისაკენ გადაინაცვლა. მას არ დაუკარგავს არცერთი გარეგნული ნიშანთაგანი, მაგრამ საგრძნობლად დაშორდა ცენტრს, მეორეული და გაცილებით უფრო მსუბუქი გახდა.

წმინდა ხელოვნებისაკენ სწრაფვა სულაც არ გვევლინება, როგორც ჩვეულებრივ ფიქრობენ, ქედმაღლობად; პირიქით, ესაა უღიდესი მოკრძალება. ადამიანური პათეტიკისაგან განთავისუფლებული ხელოვნება ყოველგვარი ტრანსცენდენტურობისაგან განიძარცვა, დარჩა მხოლოდ და მხოლოდ ხელოვნებად, ყოველგვარი სხვა პრეტენზიის გარეშე.

ღასკვნა

ო, ათასნაირად სახელდებულო ისიდა, ო, ისიდა, ათი ათას სახელზე ღებულო! -- შეჰლა ღაღებდნენ ეგვიპტელები თავიანთ ქალღმერთს.

ყოველგვარი რეალობა, გარკვეული აზრით, ამნაირია. ურიცხვია მისი კომპონენტები, მისი ნიშნები. მეტისმეტი სითამამე ხომ არ არის, სახელთა ურიცხვი სიმრავლიდან ამოვარჩიოთ ზოგიერთი და მხოლოდ მათი მიხედვით განვსაზღვროთ თუნდაც ყველაზე მარტივი საგანი? ბედნიერი შემთხვევითობა იქნებოდა, ჩვენს მიერ ამორჩეული ზოგიერთი ნიშანი მართლაც არსებითი რომ გამომდგარიყო. ამის ალბათობა განსაკუთრებით მცირეა, როცა საქმე ეხება ახლად მოვლენილ რეალობას, რომელიც ეს-ესაა იწყებს თავის გზას.

მეც არ იყოს, ადვილი შესაძლებელია, რომ ჩემი ცდა ახალი ხელოვნების არსებით ნიშანთა აღწერისა თავიდან ბოლომდე მცდარი აღმოჩნდეს. ახლა, როცა ვამთავრებ ამ ესსეს, ჩემში კვლავ იღვიძებს ინტერესი საკითხის მიმართ და იმის იმედიც, რომ პირველ ცდას უთუოდ მოჰყვება სხვა, უფრო საფუძვლიანი ცდები.

მაგრამ მე მხოლოდ გავაღრმავებდი შეცდომას, თუ ვეცდებოდი მის გამოსწორებას და ამ მიზნით გადაჭარბებულ მნიშვნელობას მივანიჭებდი ამა თუ იმ კერძო მომენტს სურათის საერთო ფონზე. მხატვრები ხშირად უშვებენ ამნაირ შეცდომას; თავიანთ ხელოვნებაზე მსჯელობისას, ისინი საკმაოდ შორდებიან საკითხს, რათა

უფრო ხალვათად და თავისუფლად აღიქვან საგნები. მაგრამ ერთი რამ მაინც უეჭველია: ჭეშმარიტებასთან ყველაზე ახლოსაა ის ფორმულა, რომელიც თავისი უზოგადესი და დასრულებული სახით, მართებულია მრავალი კერძო შემთხვევისათვის, და, როგორც საქსოვი დაზგა, ერთი მოძრაობით აერთებს ათას ძაფს.

მრისხანება და ენთუზიაზმი კი არ მამოძრავებდა, არამედ მხოლოდ გაგების სიხარული. მე ცვდილობდი ჩავწვდომოდი ახალ მხატვრულ ტენდენციათა აზრს, ხოლო ეს, რა თქმა უნდა, აპრიორულად გულისხმობს სულის კეთილმოსურნე განწყობილებას. თუმცა განა შეიძლება სხვანაირი განწყობით მიადგე თემას და უსულო ფიტულად არ აქციო იგი?

შეიძლება მითხრან: ახალ ხელოვნებას ღლემდე არ შეუქმნია რამე ისეთი, მისი გაგება თავის მტკრევად რომ ღირდესო. კეთილი და პატიოსანი; დაახლოებით მეც ასე ვფიქრობ. ახალი ნაწარმოებებიდან მე ვცდილობდი გამომეცალკევებინა მათი ინტენცია, როგორც ყველაზე ფასეული, რაც არის მათში, და, მართალი გითხრათ, ნაკლებად მაინტერესებდა მისი რეალიზაცია. ვინ იცის, რა შეიძლება ამოიზარდოს ამ ახლად მოვლენილი სტილიდან! სასწაულია თვით ისიც, რასაც ახლა

ასე გაშმაგებით მიჰყვეს ხელი: რაღაცის შექმნა არაფრისაგან! იმედია, მომავალში უფრო ნაკლები პრეტენზია ექნებათ და გაცილებით მეტს მიაღწევენ.

მაგრამ რანაირიც არ უნდა იყოს ახალი პოზიციის უკიდურესობანი, ის, ჩემი აზრით, ერთ რამეს მაინც ეჭვშეუვალად მოწმობს: წარსულისაკენ მიბრუნების შეუძლებლობას. ახალი მხატვრების შემოქმედების მისამართით გამოთქმული ყველა შენიშვნა შეიძლება სამართლიანი იყოს, მაგრამ ეს საკმარისი არ არის ახალი ხელოვნების საგმობად. შენიშვნებისათვის შეიძლებოდა რაღაც დაერთოთ: კეთილ-ენებებინათ და ხელოვნებისათვის ეჩვენებინათ ახალი გზა, რომელზედაც ის აღარ გააგრძელებდა დეჰუმანიზაციის ტენდენციას, მაგრამ, ამასთანავე, აღარც გატკეპნილი ბილიკებით ივლიდა.

აღვილია ამტკიცო, ხელოვნება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა ტრადიციული კალაპოტით მიედინებაო. მაგრამ ეს გაცვეთილი ფრაზა არაფერს არ აძლევს ხელოვანს, რომელიც ხელში ჩაბღუჯული ფუნჯით თუ კალმით კონკრეტულ შთამაგონებელ იმპულსს ელის.

გამომცემლობის რედაქტორი მ. ფურცელაძე

წიგნი საბეჭდად მომზადდა კომპიუტერზე.

შეკვ. № ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „ლომისი"
რუსთაველის პრ. №42. 1992 წ.

ქ. თბილისი, საქპურპროდუქტმომარაგების ოპერატიული
სტამბა ქიზიყის ქ. №21.

გამომცემლობა „ლომისი" „რჩეულთა ბიბლიოთეკის"
სერიით უახლოეს ხანში დაბეჭდავს შემდეგ წიგნებს:

ჟან-პოლ სარტრი - სარკის მეორე მხარე
ართურ შოპენჰაუერი - ცხოვრებისეული სიბრძნის
აფორიზმები
მარსელ პრუსტი - წიგნის კითხვა
პლოტინი - მშვენიერებისათვის
ფრანც კაფკა - წერილი მამას
პოლ ვალერი - სულის კრიზისი
მარკუს ავრელიუსი - ფიქრები
ერეკლე ტატიშვილი - ეკლიანი გზით ვარსკვლავებისაკენ



iBooks© 2017 ყველა უფლება დაცულია.

მოცემული პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება იქნას რეპროდუცირებული, გავრცელებული ან გადაცემული ნებისმიერი ფორმითა და ნებისმიერი საშუალებით, მათ შორის ელექტრონული, მექანიკური, კოპირების, სკანირების, ჩაწერის ან რაიმე სხვა გზით გამომცემლის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. გამოქვეყნების უფლების შესახებ გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: info@ibooks.ge

პირველი ნაწილი

I

თავშეყრილი მასების ბედი

ვინ იცის, კარგია ეს თუ ცუდი, მაგრამ ამჟამად ევროპის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩვენ ვხედავთ უაღრესად დიდმნიშვნელოვან მოვლენას, კერძოდ, საზოგადოებაში მასების შეუზღუდავი ძალაუფლების დამყარებას. რაკიღა მასებს, თვით თავიანთი ბუნებით, არ შეუძლიათ და ამიტომ არც უნდა მართავდნენ საკუთარ არსებობას და, მით უმეტეს, საზოგადოებას, ეს მოვლენა იმის მომასწავებელია, რომ დღეს ევროპა ყველაზე მძიმე კრიზისს განიცდის, რამაც შეიძლება მოიცვას ხალხები, ერები და კულტურები, ისტორიისათვის უცხო როდია ამნაირი კრიზისები. ცნობილია მათი ბუნება და შედეგები; ცნობილია მათი სახელიც: ეს სახელია „მასების ამბოხი“.

ამ მოვლენის არსში საწვდომად ამთავითვე უნდა დავაზუსტოთ, რომ ჩვენ მარტოოდენ პოლიტიკურ მნიშვნელობას როდი ვანიჭებთ სიტყვებს - „ამბოხი“, „მასები“, „საზოგადოებრივი ძალა“. საზოგადოებრივი ცხოვრება მარტო პოლიტიკა კი არა, იმავდროულად, ან - უფრო ზუსტად, - უწინარეს ყოვლისა, ინტელექტუალური, მორალური, ეკონომიკური და რელიგიური ცხოვრებაცაა. ის მოიცავს ადამიანთა თანაცხოვრების ყველა თავისებურებას, მათ შორის, ჩაცმულობის მანერასაც.

უფრო სწორად რომ გავიგოთ ამ ისტორიული მოვლენის არსი, მხედველობით ცდას მივუბრუნდეთ და ჩვენი დროის ერთ-ერთ იმნაირ თავისებურებაზე გავამახვილოთ ყურადღება, რაც შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს.

ამ მოვლენის შემჩნევა ადვილია, მაგრამ ასევე ადვილი როდია მისი გაანალიზება. მე მას „ხალხის თავმოყრას“ ვუწოდებ. ქალაქები სავსეა ხალხით. სახლები - ბინადრებით, სასტუმროები - მდგმურებით, მატარებლები - მგზავრებით, კაფეები - სტუმრებით, ბულვარები - მოსეირნეებით, სახელგანთქმულ ექიმთა მისაღები ოთახები - ავადმყოფებით, თეატრები, თუ იქ თანამედროვე თემებზე დადგმულ სპექტაკლებს უჩვენებენ, - მაყურებლებით, პლიაჟები - მზის გულზე გასარუჯად გაშხლართული დამსვენებლებით, რაც გუშინ არავითარ პრობლემას არ წარმოადგენდა, დღეს თითქმის მუდმივი პრობლემაა: თავისუფალი ადგილები არ არის.

ჩვენს ცხოვრებაში ალბათ არც მოიძებნება რაიმე უფრო მარტივი, უფრო ნიშანდობლივი და ესოდენ ხშირი. მოდით, ახლა ყოველდღიურობის ფარდა ავხადოთ ამ მოვლენას, და ჩვენ გაგვაოგნებს მოულოდნელად მოვარდნილი ნაკადი, რომელშიაც, ისევე, როგორც შადრევნის ჭავლში მოციმციმე ცისარტყელას ფერები, ერთბაშად აკიაფდება დღევანდელი დღის მთელი სპექტრი, თანადროულობის ყველა ნიშანი.

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

მაინც რა დავინახეთ, ან რატომ გაგვაოგნა ასე ნანახმა? ჩვენ ვხედავთ ბრბოს, ხარბად რომ მიელტვის ცივილიზაციის მიერ შექმნილ ყველა სიკეთეს. საკმარისია ცოტა დავფიქრდეთ, და ჩვენ განგვაცვიფრებს ჩვენივე განცვიფრება. კი მაგრამ, განა ეს იდეალი არ არის? აკი თეატრის დანიშნულებაც სწორედ ისაა, რომ არც ერთი ადგილი ცარიელი არ დარჩეს, ანუ, სხვა სიტყვებით, ის, რომ დარბაზი გაჭედილი იყოს. იგივე ითქმის რკინიგზასა, თუ სასტუმროებზედაც, რასაკვირველია. მაგრამ საქმე ისაა, რომ, უწინ არც ერთი ეს დაწესებულება თუ მიმოსვლის საშუალება არ ყოფილა ასე გაჭედილი, ახლა კი ადგილები აშკარად არ არის საკმარისი და სალაროებთან უზარმაზარი რიგები დგას. მართალია, ეს მოვლენა, თავისი წარმომავლობით, სავსებით ბუნებრივია და ლოგიკური, მაგრამ შეუძლებელია არ ვაღიაროთ, რომ უწინ ასე არ იყო საქმე. მაშასადამე, რაღაც შეიცვალა, რაღაც ახალი გაჩნდა; სწორედ ამით აიხსნება, პირველ მომენტში მაინც, ჩვენი განცვიფრება.

განცვიფრება, გაოცება გაგების დასაწყისია. ესაა ერთგვარი სპორტი თუ ფუფუნება, რისი ნებაც, სხვებისაგან განსხვავებით, შეიძლება თავის თავს მისცეს ინტელექტუალმა, განცვიფრებით სავსე თვალებით რომ მისჩერებია სამყაროს. განცვიფრებით სავსე და ფართოდ გახელილი თვალებისათვის მთელი სამყარო უჩვეულოა და დიდებული. ამ სიამოვნებას მოკლებულია ფეხბურთელი, მაშინ როდესაც სამყაროთი მონუსხული ინტელექტუალი გამუდმებით პროვიდენციულ ექსტაზშია დანთქმული.

მისი ცნობა შეიძლება ფართოდ გახელილი და განცვიფრებით სავსე თვალებით. სწორედ ამიტომ ძველ ბერძნებს ათენას ატრიბუტად მიაჩნდათ ბუ, თვალებბრიალა ფრინველი.

უწინ ბრბოს ყოველი ფეხის ნაბიჯზე როდი შეხვდებოდა კაცი. ახლა კი მაინც რა მოხდა? ბრბოს შემადგენელი ადამიანები არაფრისაგან როდი წარმოშობილან. ეს დაახლოებით ადამიანთა იგივე რაოდენობაა, რომელიც არსებობდა ამ თხუთმეტიოდე წლის წინათაც. ბუნებრივი იქნებოდა, თუ ომი კიდევაც შეამცირებდა მათ რაოდენობას. და, აი, სწორედ აქ ჩნდება პირველი სერიოზული შენიშვნა. ამ ბრბოის შემადგენელი ადამიანები უწინაც იბადებოდნენ, მაგრამ ისინი ბრბოს როდი ქმნიდნენ. თვითეული მათგანი თავისთვის იყო, ადამიანთა მცირერიცხოვან ჯგუფებს უერთდებოდა; ყველა თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა, სხვებისაგან განკერძოებით და მათგან დამოუკიდებლად. ყოველ მათგანს - ინდივიდუუმსა თუ პატარა ჯგუფს - თავისი ადგილი ჰქონდა მინდორში, სოფელში, პატარა დაბაში თუ დიდი ქალაქის უბანში.

ახლა კი ისინი ბრბოებად გვევლინებიან. საითაც არ გაიხედავ, ყველგან ბრბო მოგვხვდება თვალში. ყველგან? არა, ყველგან კი არა, ყველაზე უკეთეს ადგილას, იქ, სადაც თავმოყრილია ადამიანური კულტურის უთვალსაჩინოესი მიღწევები, რომლებიც უწინ მცირერიცხოვანი ჯგუფებისათვის, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უმცირესობისათვის იყო განკუთვნილი.

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

ბრბო ყველგან თვალში საცემი გახდა; ბრბომ აავსო და წალეკა ყველაფერი. უწინ, თუ კიდევაც არსებობდა, მისი არსებობა შეუმჩნეველი იყო; ის ჩრდილში იდგა, საზოგადოებრივი სცენის უკანა მხარეს; ახლა კი რამპის შუქზე გადმოინაცვლა, - მთავარი მოქმედი პირი გახდა. უკვე აღარ არიან სოლისტები, სცენაზე ქოროღა დარჩა.

„ბრბოის“ ცნება ვიზუალური და თვისებრივი ცნებაა. მოდით, არსის შეუცვლელად, სოციოლოგიის ენაზე გადავიტანოთ იგი. და მაშინ მივადგებით საზოგადოებრივი მასის ცნებას. საზოგადოება ყოველთვის ორი ფაქტორის - უმცირესობისა და მასების - დინამიური ერთობაა. უმცირესობა ინდივიდუუმთა ჯგუფია, თვისებრივად რომ განსხვავდება ბრბოსაგან, მასა კი ადამიანების ბრბოა, ადამიანებისა, რომლებსაც არავითარი სპეციფიკურად განსხვავებული თვისებები არ გააჩნიათ. მაგრამ ტერმინში „მასები“ მარტოოდენ „მუშათა მასები“ არ უნდა ვიგულისხმოთ. მასა „საშუალო ადამიანია“. ამრიგად, პირწმინდად რაოდენობრივი განსაზღვრიდან - „მასა ადამიანთა თავმოყრაა“ - შეიძლება მასის თვისებრივ განსაზღვრებაზე გადავიდეთ. ბრბოის ზოგადი თვისება მასა, სიმძიმე, ანუ ტვირთია, დაბლა რომ ექაჩება საზოგადოებას; ესაა ადამიანი იმდენად, რამდენადაც დანარჩენებისაგან არ განსხვავდება და ადამიანთა სახეობრივ ტიპში იმეორებს თავის თავს. რას მოვიგებთ ამ შემთხვევაში, თვისებად რომ გარდავქმენით რაოდენობა? პასუხი მარტივია: თვისების ცნების შემოტანით ჩვენ გავიგებთ, საიდან იღებს დასაბამს რაოდენობა. ყველას კარგად მოეხსენება, რომ ბრბოები, ჩვეულებრივ, ადამიანებისაგან ყალიბდებიან, რომლებსაც საწყისი სურვილები, იდეები და ცხოვრების საერთო წესი აქვთ. შეიძლება ითქვას, რომ ეს მოვლენა საერთოა ნებისმიერი საზოგადოებრივი ჯგუფისათვის, რანაირი გულმოდგინებითაც არ უნდა ხდებოდეს მისი წევრების შერჩევა. ეს კი ასეა, მაგრამ არსებობს ერთი არსებითი სხვაობა, რჩეული უმცირესობისაგან რომ განასხვავებს ბრბოს.

იმ ჯგუფებში, რომლებიც ბრბოდ თუ მასად არ გვევლინებიან, მათი წევრების მამოძრავებელი სურვილები, იდეები, იდეალები ერთმანეთს თანხვდებიან, რაც თავისთავად გამორიცხავს ადამიანთა დიდ სიმრავლეს. ვიდრე მცირერიცხოვანი ჯგუფი ჩამოყალიბდებოდეს, რანაირიც არ უნდა იყოს მისი საქმიანობა, აუცილებელია, რომ ამ ჯგუფის თვითეული წევრი ამა თუ იმ თავისებური, საკმაოდ ინდივიდუალური ხასიათის მიზეზით გამოეყოს ბრბოს. მისი და ჯგუფის დანარჩენი წევრების იდეალებისა თუ მისწრაფებების თანხვდომა, არსებითად, მეორეულია, რადგანაც თვითეულ მათგანს საამისოდ თავისი საკუთარი მიზეზი მოეძებნება. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ეს, გარკვეული აზრით, არათანხვდომათა თანხვდომაა. ზოგიერთ შემთხვევაში ჯგუფის ინდივიდუალისტური ხასიათი თავისთავადაც აშკარაა: ასეთია, მაგალითად ინგლისელების ჯგუფები, „არაკონფორმისტებს“ რომ უწოდებენ თავიანთ თავს და მხოლოდ იმიტომ რომ ერთიანდებიან, რომ ბრბოს

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

დაუპირისპირდნენ. ნებისმიერი მინორიტარული ჯგუფი იმ მიზნით ყალიბდება, რომ უმრავლესობას გამოეყოს. ერთი დახვეწილი მუსიკოსის მოსასმენად თავშეყრილ მსმენელთა ვიწრო წრეს რომ გულისხმობდა, მალარმემ მახვილგონივრულად შენიშნა: ეს ხალხი თავისი დასწრებით ხაზს უსვამს ბრბოის დაუსწრებლობასო.

„მასა“ შეიძლება დახასიათებულ იქნეს როგორც ფსიქოლოგიური რიგის მოვლენაც. ის ყოველთვის ადამიანთა სიმრავლე როდია. ერთი, ერთადერთი ადამიანის შეხედვისას ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, არის თუ არა იგი „ადამიანი-მასა“. არა ერთი და ორი მიზეზის ძალით, ადამიანი-მასა ისაა, ვისაც არ შეუძლია როგორც კარგი, ისე ცუდი მხრითაც შეაფასოს თავისი თავი; ვინც თავის თავს აღიქვამს „ისეთად, როგორიცაა ყველა“ და სულაც არ განიცდის ამას. მას მოსწონს ისეთი იყოს, როგორიცაა ყველა. წარმოიდგინეთ უბრალო ადამიანი, რომელიც ცდილობს ამა თუ იმ მიზეზის გამო შეაფასოს თავისი თავი, ვთქვათ, იმის გასაგებად, აქვს თუ არა რაიმე ნიჭი, ან რაღაცით მაინც თუ განსხვავდება სხვებისაგან. და, აი, ის რწმუნდება, რომ არავითარი განსაკუთრებული თვისება არ გააჩნია. ეს ადამიანი შეიძლება თავს გრძნობდეს უნიჭოდ, უგერგილოდ, მაგრამ არა „ადამიან-მასად“.

როდესაც საქმე ეხება „რჩეულ უმცირესობას“, ყოველდღიურ ყოფაში, ჩვეულებრივ, მახინჯდება ამ გამოთქმის აზრი: ამბობენ, რომ „რჩეული უმცირესობის“ წარმომადგენელი ქედმაღალია, კადნიერი, ამპარტავანი და ყველაზე მაღლა აყენებს თავს, მაგრამ ეს ასე არ არის. „რჩეული“ ყველაზე მეტს მოითხოვს, თუმცა ვერ ახერხებს ცხოვრებაში განახორციელოს ეს მაღალი მოთხოვნები. ეჭვს გარეშეა, რომ კაცობრიობა რადიკალურად იყოფა ორ ნაწილად: ერთის მხრივ, ისინი, უამრავ მოთხოვნას რომ უყენებენ თავიანთ თავს, რითაც ირთულებენ ცხოვრებას და ყოველნაირად ცდილობენ მოიხადონ თავიანთი ვალი, მეორეს მხრივ კი ისინი, ვინც არავითარ ძალისხმევას არ მოითხოვს საკუთარი თავისაგან. ამნაირი ადამიანი ტივტივასავით მიჰყვება დინებას.

ახლა კი მინდა შეგახსენოთ, რომ ორთოდოქსული ბუდიზმი ორი სხვადასხვა მიმდინარეობისაგან შედგება: ერთია მაჰაიანა, „დიდი ეტლი“, ანუ „ფართო გზა“, გაცილებით მეტ ძალისხმევას რომ მოითხოვს ადამიანისაგან, ვიდრე მეორე, „ვიწრო გზა“, „პატარა ეტლი“ - ჰინაიანა. რომელ გზას ავირჩევთ, რანაირ მოთხოვნებს წავუყენებთ ჩვენსავე თავს - მაქსიმალურს თუ მინიმალურს, საბოლოო ანგარიშით, სწორედ ეს განსაზღვრავს ჩვენს ცხოვრებას.

ამრიგად, საზოგადოების დაყოფა მასად და საკუთრივ უმცირესობად, კლასებად დაყოფას როდი ნიშნავს. ესაა დაყოფა ადამიანთა ტიპებად; ის შეიძლება არ დაემთხვეს მაღალ და დაბალ კლასებად დანაწევრებას. ცხადია მაღალი კლასების წარმომადგენელთა შორის, თუკი ისინი მართლაც მაღალნი არიან, უფრო მეტად სავარაუდოა იმნაირი ადამიანების არსებობა, „ფართო გზას“ რომ ირჩევენ, მაშინ, როდესაც დაბალი კლასები უმეტესწილად საშუალო ადამიანებისაგან შედგებიან.

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

მიუხედავად ამისა, ყოველი კლასის წარმომადგენლებში მასაცაა და რჩეული უმცირესობაც. დღეს თვით რჩეულ ჯგუფებშიაც კი „ადამიანი-მასები“ ჭარბობენ. ასე მაგალითად, ინტელექტუალთა წრეში, რომელნიც თავიანთი არსით მოწოდებულნი არიან მაღალი ინტელექტუალური დონის ადამიანებად გვევლინებოდნენ, ჩვენ სულ უფრო და უფრო მეტ ფსევდო-ინტელექტუალს - არაპროფესიონალებსა და არაკომპეტენტურ ხალხს ვხედავთ, რომლებსაც ინტელექტუალებისათვის ნიშნეული არც ერთი თვისება არ გააჩნიათ. იგივე მოვლენა შეინიშნება დღემდე შემორჩენილი არისტოკრატიის წრეშიაც. მეორეს მხრივ, დღევანდელ მუშათა შორის ცოტა როდია სულის მაღალი დისციპლინის მქონე ხალხი. არადა, უწინ ხომ სწორედ მუშები შეადგენდნენ ბრბოს.

საზოგადოებაში საქმიანობის არაერთი სახე არსებობს. ზოგიერთი, თავისი არსით, სპეციფიკური ბუნებისაა, და, მაშასადამე, მათ თავს ვერ გაართმევს ის ხალხი, რომელსაც საამისოდ სპეციალური მიდრეკილება არ გააჩნია; ასეთია, მაგალითად, ხელოვნების ზოგიერთი დარგი, ან მართვისა და საზოგადოებრივ საქმეებზე პოლიტიკური მსჯელობის სფერო. უწინ ამ ფუნქციებს ეგრეთ წოდებული „კეთილშობილნი და წარჩინებულნი“ ასრულებდნენ, ყოველ შემთხვევაში, თავი ისე ეჭირათ, თითქოს მართლაც „კეთილშობილნი“ იყვნენ. მასები თავს არიდებდნენ ამნაირ საქმიანობას. ისინი გუმანით გრძნობდნენ, რომ, თუ ხელს მიჰყოფდნენ ამ საქმეს, აუცილებლად უნდა შეეძინათ სპეციალური ცოდნა და სათანადო მიდრეკილებებიც ჰქონოდათ, მაგრამ მაშინ ხომ მასებიც აღარ იქნებოდნენ. უწინ მასამ ზეპირად იცოდა თავისი როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ახლა, თუ გავიხსენებთ, რას ვამბობდით ჩვენი მსჯელობის დასაწყისში, ყველა ეს მოვლენა ჩვენ წარმოგვიდგება იმის საბუთად, თუ როგორ შეიცვალა მასების ადგილი საზოგადოებრივ ძალთა განლაგებაში. ყველაფერი იმას გვიმოწმებს, რომ მასებმა მტკიცედ გადაწყვიტეს, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, წინა პლანზე გადმოინაცვლონ და დაეუფლონ ყოველივე იმას, რაც უწინ უმცირესობის კუთვნილება იყო. ცხადია, ზოგიერთი საზოგადოებრივი ადგილი აშკარად არ იყო გამიზნული ხალხის ამნაირი სიმრავლისათვის, და თანაც მათი მასშტაბები არც ისე განუზომლად დიდია, ასე რომ, ბრბოს მოზღვავებამ ლამის დახეთქოს ყველაფერი, რაც თვალნათლივ გვიმოწმებს ახალი მოვლენის სპეციფიკას: მასა, რომელიც კვლავ მასად რჩება, დაუნდობლად აძევებს უმცირესობას.

მე მგონია, არავინ არ ნანობს იმას, რომ დღეს სულ უფრო და უფრო მეტი ხალხი ცდილობს რაც შეიძლება მეტი სიამოვნება მიიღოს ცხოვრებისაგან; მადლობა ღმერთს, საამისოდ სურვილიცა აქვთ და სახსრებიც. უბედურება ისაა, რომ მასების გადაწყვეტილება, ხელი მიჰყონ იმნაირ საქმიანობას, რაც უწინ უმცირესობის პრივილეგიად ითვლებოდა, მარტოოდენ დროსტარებითა თუ განცხრომის სფეროთი როდი იფარგლება და არც შეიძლება იფარგლებოდეს. სადღეისოდ ეს სნეულება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

სფეროზე გავრცელდა. ამთავითვე ვიტყვი, რომ სულ ბოლოდროინდელი პოლიტიკური მოვლენები სხვას არაფერს ნიშნავს, გარდა იმისა, რომ პოლიტიკური ძალაუფლება მასების ხელში გადადის. ძველ დემოკრატიას შეეძლო ეარსება ლიბერალიზმის მნიშვნელოვანი წილისა და კანონისადმი ეგზალტირებული რწმენის ხარჯზე. იმისათვის, რომ ამ პრინციპებით ეხელმძღვანელა, პიროვნება იძულებული იყო სულის მტკიცე დისციპლინით აღეზარდა თავისი თავი. ლიბერალიზმისა და იურიდიული ნორმის მფარველობა შესაძლებელს ხდიდა მინორიტარული ჯგუფების არსებობასა და მოღვაწეობას. დემოკრატია და კანონი, თანაარსებობის ეს იურიდიული გარანტიები, ერთმანეთის სინონიმებად გვევლინებიან. დღეს კი ჩვენ მოწმენი ვართ ზედემოკრატიის ტრიუმფისა, როცა მასები გვერდს უვლიან კანონს, ყოველი ფეხის ნაბიჯზე იყენებენ უხეშ ძალას და საზოგადოებას თავზე ახვევენ თავიანთ გემოვნებასა და სურვილებს. სწორი არ იქნებოდა შექმნილი ვითარება იმით აგვეხსნა, თითქოს მასები დაიღალნენ პოლიტიკით და პოლიტიკური მოღვაწეობის სფერო საამისოდ შესაფერის პიროვნებებს გადააბარეს. საქმე სწორედ პირიქითაა. ასე ხდებოდა უწინ; ასეთი იყო საქმის ვითარება ლიბერალური დემოკრატიის პირობებში. მასებს მაშინ შეგნებული ჰქონდათ, რომ პოლიტიკურ ასპარეზზე მოღვაწე უმცირესობა, მთელი მისი ნაკლოვანებების მიუხედავად, საბოლოო ანგარიშით მაინც უკეთ ერკვეოდა საზოგადოებრივ პრობლემებში, ვიდრე ისინი. ახლა კი, პირიქით, მასებს ჰგონიათ, რომ სრული უფლება აქვთ მთელ საზოგადოებას მოახვიონ თავზე ის ბანალური აზრები, რომლებსაც ისინი კაფეებში უზიარებენ ერთმანეთს, და კანონის ძალა მიანიჭონ მათ. ძალზე მეეჭვება, რომ ისტორიაში ოდესმე ყოფილიყო ისეთი პერიოდი, როცა ბრბოს შეეძლო ასე აშკარად და შეუფარავად ეკარნახებინა თავისი ნება საზოგადოებისათვის, როგორც ეს დღეს ხდება.

ასეთივე სურათია ცხოვრების სხვა სფეროებშიაც, განსაკუთრებით ინტელექტუალურ სფეროში. იქნება კიდევაც ვცდები, მაგრამ კაცი კალამს რომ ჰკიდებს ხელს, რათა გაგვიზიაროს ის, რის შესწავლასაც, ვინ იცის, რამდენი დრო შეალია, იძულებულია ჩაუფიქრდეს იმას, რომ საშუალო მკითხველი, რომელსაც არასოდეს არ აინტერესებდა, რას წერს ავტორი, თუკი საერთოდ ინებებს მისი წიგნის წაკითხვას, ყოველ შემთხვევაში, იმიტომ კი არა, რომ რაღაცა ისწავლოს, არამედ იმიტომ, რომ განაჩენი გამოუტანოს მას, მით უმეტეს, თუ წიგნის შინაარსი არ ემთხვევა იმ უთვალავ სისულელეს, რითაც გამოტენილია მკითხველის თავი. ადამიანებს, რომელთაგანაც შედგება მასა, მაღალნიჭიერების განსახიერებად რომ მოჰქონდეთ თავი, მაშინ საქმე გვექნებოდა საერთო წესიდან მხოლოდ ცალკეულ გადახვევებთან და არა საზოგადოებრივ ცხოვრებაში უკვე ჩამოყალიბებული წესრიგის დამხობის ცდასთან. დღევანდელობის თავისებურება ისაა, რომ უფერულობას, რომელმაც იცის თავისი უფერულობა, თავხედობა ჰყოფნის, ძალით დაამკვიდროს და ყველას თავზე

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

მოახვიოს თავისი ნება - მბრძანებლობდეს როგოც უფერულობა. ამერიკელების თქმისა არ იყოს, უხამსობაა სხვებისაგან გამორჩეული იყო. ვინც ისეთი არ არის, როგორც ყველა, ვინც ისე არ ფიქრობს, როგორც ყველა, განადგურების საფრთხე ემუქრება. რა თქმა უნდა, ეს „ყველა“ სინამდვილეში „ყველა“ როდია. უწინ „ყველა“ მასისა და მისგან განსხვავებული უმცირესობის ჯამს ერქვა. დღეს კი „ყველა“ - მხოლოდ მასაა.

II

ისტორიული დონის ზრდა

მე აღვწერ ჩვენი დროის ამ უცნაურ ნაშიერს და სულაც არ ვცდილობ შევალამაზო მისი მხეცური, ბარბაროსული სახე. მეორეს მხრივ, ეს ჩვენი ცივილიზაციის ისტორიაში დღემდე არნახული მოვლენა გახლავთ. არასდროს, მთელი ჩვენი ცივილიზაციის მანძილზე, არავითარი ამდაგვარი არ მომხდარა. თუ მოვინდომებთ ერთგვარი ისტორიული პარალელი მოვუძებნოთ მას, იძულებულნი ვიქნებით, სრულიად სხვა, ჩვენი ყოფისაგან ძირეულად განსხვავებულ ცხოვრებაში გადავინაცვლოთ და წარმოვიდგინოთ რომის იმპერიის დაცემისდროინდელი დიდი ქალაქი. რომის იმპერიის დაცემის ისტორია, იმავდროულად, მასების იმპერიის ტრიუმფის ისტორიაცაა, მასებისა, რომლებმაც შთანთქეს და გაანადგურეს მმართველი უმცირესობა, რათა თვითონ დაეკავებინათ მისი ადგილი. მაშინაც ასევე შეინიშნებოდა მასების თავმოყრა და ყველგან ფუთფუთებდნენ ბრბოები. ამიტომ, როგორც მართებულად შენიშნა შპენგლერმა, მაშინაც, ზუსტად ისევე, როგორც დღეს, იძულებულნი იყვნენ აეგოთ უზარმაზარი ნაგებობანი. მასების ტრიუმფის ეპოქა ყოველივე კოლოსალურის ეპოქაა[1].

ჩვენ მასების ბარბაროსული კირთების ქვეშ ვცხოვრობთ. ამრიგად, ჩვენ უკვე ორჯერ დავახასიათეთ ეს მოვლენა, როგორც „ბარბაროსული“, ჩვენ უკვე გადავუხადეთ ხარკი ბანალურობის ღმერთს, და ახლა, შესასვლელი ბილეთით ხელში, შეგვიძლია მხიარულად შევიდეთ დარბაზში, სადაც ჩვენთვის საინტერესო თემაზე დადგმულ სპექტაკლს უჩვენებენ. ან, იქნებ გეგონათ, რომ მე დავჯერდებოდი ამ აღწერას, შესაძლოა, სავსებით მართალს, მაგრამ ზერელეს, რომელიც მხოლოდ ნიადაგის ზედა ფენად გვევლინება, მთის ციცაბო ფერდად. მთისა, რომელიც მთელი თავისი თვალშეუდგამი სიმაღლით წარმოგვიჩნდება, თუ მას წარსულის სიღრმიდან ავხედავთ? აქ რომ დამემთავრებინა ჩემი აზრი და უმწეო ჩვილივით აკვანშივე მომეშთო ეს ჩემი შრომა, მკითხველს ეგონებოდა (და სავსებით სამართლიანადაც), რომ ისტორიის ავანსცენაზე მასების ამ არნახულმა წამოწევამ, ზიზღისა და ამაზრზენი განცდის გრიმასა რომ გამოიწვია, რამდენიმე კრიტიკული შენიშვნისა თუ ორიოდე აგდებული სიტყვის მეტი ვერაფერი შთამაგონა. ხომ ცნობილია, რომ მე ისტორიის რადიკალურ-არისტოკრატიული გაგების მომხრე ვარ[2]. დიახ,

ის რადიკალურია არა მარტო იმიტომ, რომ, ჩემი მტკიცებით, ადამიანური საზოგადოება არისტოკრატიული უნდა იყოს; მეტიც, მე ყოველთვის ვამბობდი და ახლაც, ერთხელ კიდევ, ხაზგასმით აღვნიშნავ (რადგანაც დღითი დღე სულ უფრო მეტად ვრწმუნდები ჩემს სიმართლეში), რომ ადამიანური საზოგადოება, გვინდა თუ არა ჩვენ ეს, თავისი არსით ყოველთვის არისტოკრატიული იყო. საზოგადოება არსებობს მანამ, სანამდის არისტოკრატიულობას კარგავს. მე აქ საზოგადოებაზე ვლაპარაკობ და არა სახელმწიფოზე. არავინ არ დამიჯერებს, თუ მასების ამ არნახული მძვინვარების წინაშე მე მოვუწოდებ მკითხველს, ვერსალელი არისტოკრატივით მარტოოდენ ზიზღნარევი გრიმასით შემოიფარგლონ. ვერსალი - საქმე ეხება გრიმასების ვერსალს - არისტოკრატია კი არაა, არამედ პირიქით, ოდესღაც ბრწყინვალე არისტოკრატიული გახრწნილება და გადაგვარება. სწორედ ამიტომ ვერსალელებში არისტოკრატული იყო მხოლოდ კეთილშობილური დახვეწილობა და მომხიბლავი ჟესტი, რომლითაც ისინი თავიანთ კისერს უშვერდნენ გილიოტინას. დიახ, ისინი ისევე ურიგდებოდნენ გილიოტინას, როგორც ურიგდებიან ძირმაგარას გასაკვეთად მომარჯვებული ქირურგის სკალპელს. იმას, ვისაც სწამს ჭეშმარიტი არისტოკრატიის დიადი დანიშნულება, აბობოქრებული ბრბოის დანახვა მხოლოდ აღაგზნებს და აანთებს. ისევე, როგორც მარმარილოს ხელუხლებელი ლოდი აღაგზნებს და აღანთებს სკულპტორს. ჭეშმარიტ არისტოკრატიას არაფერი აქვს საერთო ადამიანთა იმ სასაცილო პატარა ჯგუფთან, რომელიც ცდილობს „საზოგადოების“ სახელი მიითვისოს, რომელმაც თვითონვე დაირქვა „საზოგადოება“ და სადღესასწაულო ვიზიტებით სულდგმულობს. რაკი ამქვეყნად ყველაფერს თავისი ღირებულება და დანიშნულება აქვს, „მაღალი საზოგადოების“ ვერც ამ პაწაწინა სამყაროზე ვიტყვით, თითქოს თავისი ღირებულება და დანიშნულება არ გააჩნდეს. მაგრამ ეს დანიშნულება მეორეულია და ახლოსაც ვერ მივა იმ გრანდიოზულ ამოცანასთან, რომელიც ჭეშმარიტი არისტოკრატიის წინაშე დგას. მე შემეძლო კვლავაც განმევითარებინა ეს თემა და დაწვრილებით განმეხილა, რა აზრი აქვს „მაღალი საზოგადოების“ ცხოვრებას, ერთის შეხედვით ესოდენ უაზრო რომ ჩანს; მაგრამ ჩვენ სხვა, გაცილებით უფრო რთული თემა ავირჩიეთ საანალიზოდ.

ერთხელ მე ვესაუბრებოდი ფრიად მომხიბლავ ქალბატონს, პირველი სიდიდის ვარსკვლავს მადრიდის „მაღალი საზოგადოების“ ცარგვალზე. ახალგაზრდა ქალმა, რომელიც ცდილობდა ერთი ნაბიჯითაც არ ჩამორჩენოდა დროს, წაიტიტინა: აბა, ის მეჯლისი რა მეჯლისია, რომელსაც რვაასი სტუმარი მაინც არ ესწრებაო. ამ ფრაზამ ჩამაფიქრა, და მე მივხვდი, რომ მასების მიერ თავსმოხვეული სტილი დღეს ცხოვრების ყველა სფეროში ბატონობს, თვით იმ უკანასკნელ თავშესაფრებშიაც კი, რომლებიც თითქოს მარტოოდენ happy few[3] -სთვის არიან განკუთვნილნი. მე არ ვეთანხმები არც ერთ მსჯელობას ჩვენი დროის თავისებურებათა შესახებ, რომელსაც

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

არ შეუძლია გვიჩვენოს თანამედროვეობის პოზიტიური აზრი, რასაც თვალისთვის უხილავს ხდის მოზეიმე მასების ამაზრზენი სანახაობა. მე არ ვეთანხმები არავის, ვინც მორჩილად, შინაგანი ძრწოლის გარეშე აღიარებს ამ მოვლენას. [ნებისმიერი ბედი დრამატულია და ტრაგიკული. და ასე იქნება ყოველთვის. ვისაც არ უგრძვნია, როგორ ფეთქავს მის ხელში ჩვენი დროის თავზარდამცემი საფრთხის პულსი, ვინც მხოლოდ ოდნავ შეხებია ფორტუნას უნაზეს ღაწვს, მისთვის სამუდამოდ დაფარული დარჩება ბედისწერის უღრმესი აზრი.] მასების მორალური ამბოხი, თავისი საზარელი ძალმოსილებით ყოვლისმმუსვრელი და დამანგრეველი, წინააღუდგომელი და მრავალმნიშვნელოვანი, როგორც ბედისწერის ყველა სხვა გამოვლენა, დღეს საშინელი განსაცდელის სათავედ გვევლინება. რა არის ეს: აბსოლუტური ბოროტება თუ შესაძლო სიკეთე? აი, ჩვენი დროის დილემა, უზარმაზარი, ჭეშმარიტად კოსმიური და მრავალმნიშვნელოვანი ფორმის მქონე კითხვის ნიშნით რომ მთავრდება: ვერ იტყვით, გილიოტინას ჰგავს თუ სახრჩობელას, თვითონ კი ძალიან უნდა ტრიუმფალურ თაღს დაემგვანოს!

მოვლენა, რომელსაც ჩვენ დღეს ანატომიურ გამოცდას ვუწყობთ, შეიძლება ორი სხვადასხვა მხრით განიხილო. ჯერ ერთი, მასები დღეს ასრულებენ საზოგადოებრივ ფუნქციებს, რომლებსაც უწინ მხოლოდ უმცირესობის წარმომადგნელები ასრულებდნენ; მეორეც, მასებს უკვე აღარ სურთ დაემორჩილონ და აღარც ემორჩილებიან უმცირესობას; აღარც მისი რიდი აქვთ და აღარც მისი პატივისცემა; პირიქით, მასები ყოველნაირად ავიწროებენ უმცირესობას, რათა თვითონ დაიკავონ მისი ადგილი.

მოდით, გავაანალიზოთ ამ მოვლენის პირველი ასპექტი. ამრიგად, მასები სარგებლობენ ცივილიზაციის ყველა იმ მიღწევითა თუ სიკეთით, რაც რჩეული უმცირესობისათვის შეიქმნა და რითაც უწინ მხოლოდ ეს უკანასკნელი სარგებლობდა. დღეს კი მასებს ახალი, გაცილებით უფრო დახვეწილი სურვილები და მოთხოვნილებები გაუჩნდათ, რომელთა დაკმაყოფილების ნებაც უწინ ცოტად თუ შეეძლო მიეცა თავისი თავისათვის. აი, თუ გნებავთ, ბანალური მაგალითი: comtesse[4] დე ბუანი თავის „მემუარებში“ გვაუწყებს, რომ 1820 წელს მთელ პარიზში ათიოდე აბაზანა თუ მოიძებნებოდა. დღეს კი მასები საკმაოდ კარგად იცნობენ თვით იმნაირ ტექნიკასაც, რომლითაც უწინ მხოლოდ სპეციალისტები სარგებლობდნენ.

საქმე მარტო მატერიალურ ტექნიკას კი არ ეხება, არამედ იურიდიულ თუ პოლიტიკურ საქმეთა წარმოების ტექნიკასაც. XVIII საუკუნეში იურისტთა მცირერიცხოვანი ჯგუფი შემდეგ დასკვნამდე მივიდა: ნებისმიერი ადამიანი, თვით იმ მარტივი ფაქტის ძალით, რომ ის ადამიანად იბადება, თავისი წარმომავლობის მიუხედავად, ძირითად პოლიტიკურ უფლებებს, ასე ვთქვათ, ადამიანისა და მოქალაქის უფლებებს ფლობს, და მხოლოდ ეს ყველასათვის საერთო უფლებები გვევლინებიან ერთადერთ ჭეშმარიტად არსებულ უფლებებად.

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

შეძენილია ელ. წიგნების ონლაინ მაღაზიაში iBooks.ge

ნებისმიერი სხვა უფლება, რომლითაც შეეძლო ესარგებლა განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანს, დაგმობილ იქნა, როგორც პრივილეგია. თავდაპირველად ეს იყო მხოლოდ იდეა, რომელსაც ძალზე ცოტანი თუ უჭერდნენ მხარს, მაგრამ მალე შეუდგნენ ამ იდეის განხორციელებას ცხოვრებაში, მის პროპაგანდას და პოპულარიზაციას. ეს პოპულარიზატორები შესანიშნავი ადამიანები იყვნენ, უმცირესობის წარმომადგენელნი. მიუხედავად ამისა, მთელი XIX საუკუნის განმავლობაში, მასებმა, რომლებიც სულ უფრო და უფრო მეტი ენთუზიაზმით აღიქვამდნენ ამ უფლებების იდეას, რაც თავის იდეალად აქციეს, ჯერ კიდევ მთლიანად ვერ შეიგნეს მისი არსი, ამიტომ არც უცდიათ ცხოვრებაში განეხორციელებინათ და გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭებინათ მისთვის. პირიქით, დემოკრატიული კანონმდებლობით დაცულნი კვლავ უწინდებურად განაგრძობდნენ ცხოვრებას. „ხალხმა“, როგორც მაშინ უწოდებდნენ მასას, უკვე იცოდა, რომ სუვერენული იყო, მაგრამ ჯერ კიდევ არ სჯეროდა ეს. დღეს კი თანასწორუფლებიანობის იდეალი სინამდვილედ იქცა, და თანაც არა მარტო იურისპრუდენციაში, რომელიც ყოველთვის ძალზე სქემატურად ასახავს იმას, რაც საზოგადოებრივი ცხოვრების ზედაპირზე ხდება.

ეს იდეალი ძვალ-რბილში გაუჯდა და შეესისხლხორცა ყველა ადამიანს, მიუხედავად იმისა, თუ როგორია მისი მრწამსი, თვით იმ შემთხვევაშიაც კი, როცა ეს მრწამსი რეაქციულია, - სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თვით მაშინაც კი, როცა ადამიანი ჰგმობს და აკრიტიკებს იმ ინსტიტუტებს, რომლებიც მის უფლებებს იცავენ. მე მგონია, ვისაც არ ესმის ეს უცნაური მორალი, რომლითაც ხელმძღვანელობენ მასები, ვერც იმას გაიგებს, რაც უკვე ხდება დღევანდელ მსოფლიოში. ნებისმიერი პიროვნებისა და, საერთოდ, ადამიანის, როგორც სახეობის, სუვერენობა იდეიდან და იურიდიული იდეალიდან (რადაც ის გვევლინებოდა) სწორედ ამ სახით იქცა რეალობად და საშუალო ადამიანის ფსიქიკის განუყოფელი ნაწილი გახდა. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ: [ყოველთვის, როცა იდეალური რეალურდება, ის აუცილებლად კარგავს თავის იდეალურობას. ქრება იდეალის ხიბლი, სიდიადე და მიმზიდველობა, ის უკვე აღარ ახდენს ზეგავლენას ადამიანზე] თანასწორუფლებიანობის კეთილშობილური დემოკრატიული იდეა უკვე აღარ არის შორეული იდეალი, და ის გაუცნობიერებელ, დაუოკებელ, აუხდენელ სურვილად იქცა.

ამ უფლებების მიზანი ის იყო, რომ შინაგანი მონობიდან დაეხსნა ადამიანის სული და ღირსებისა და საკუთარი თავისადმი პატივისცემის გრძნობა ჩაენერგა მისთვის. განა სწორედ ეს არ უნდოდათ? განა სწორედ იმას არ ესწრაფოდნენ, რომ საშუალო ადამიანს თავისი თავისა და თავისი ცხოვრების ბატონ-პატრონად, მბრძანებლად და გამგებლად ეგრძნო თავი? რაც უნდოდათ, კიდევაც მიაღწიეს. მაშ, რატომაა, რომ აგერ უკვე ოცდაათი წელი იქნება, რაც პროგრესის მომხრეები, ლიბერალები და დემოკრატები, გაუთავებლად დრტვინავენ და

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

შეძენილია ელ. წიგნების ონლაინ მაღაზიაში iBooks.ge

ბუზღუნებენ? იქნებ მათ პატარა ბავშვებივით უნდათ მიიღონ რაღაცა, მაგრამ იმისი ცოდნა კი აღარ სურთ, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამ „რაღაცას?“ რაკიღა გნებავთ, რომ საშუალო ადამიანი მბრძანებელი იყოს, მაშ, რაღად გიკვირთ, რომ ის თავის ინტერესებს იცავს, რომ თამამად მოითხოვს ყოველნაირ სიამოვნებას, გადაჭრით გკარნახობთ თავის ნებას, არავის არ ეპუება, არავის არ ემორჩილება, თავის თავს ელოლიავება. როგორც მოეპრიანება, ისე იყენებს თავის მოცალეობას და თავისი ჟინის დაცხრომას ცდილობს, მოკლედ, ისე იქცევა და იმას სჩადის, რაც უწინ მხოლოდ „უმაღლესი საზოგადოების“ წარმომადგენელთა პრივილეგია იყო? ახლა ამ პრივილეგიას საშუალო ადამიანი, „ადამიანი-მასა“ ითვისებს.

ამრიგად, დღეს საშუალო ადამიანს აქვს ყველაფერი, რაც ოდესღაც განსაზღვრავდა საზოგადოების უმაღლესი, მცირერიცხოვანი ფენის ცხოვრებას. საშუალო ადამიანი ის ღერძია, რომლის ირგვლივაც ტრიალებს ისტორია. ისტორიაში მაჩვენებლები, საშუალო ადამიანს რომ ახასიათებენ, იგივეა, რაც ზღვის დონე გეოგრაფიაში. თუ საშუალო დონე დღეს იქაა, სადაც უწინ მბრძანებლობდა არისტოკრატია, მაშინ ეს თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ისტორიულმა დონემ მაღლა აიწია. ამ ვულკანურ ამოფრქვევას, რაც სულ ერთი თაობის თვალწინ მოხდა, წინ უძღოდა ხანგრძლივი მუშაობა მიწისქვეშეთში. ადამიანური ცხოვრების დონე საერთოდ ამაღლდა. დღევანდელი ჯარისკაცი კაპიტანსა ჰგავს; ადამიანთა მთელი ლაშქარი ახლა მხოლოდ კაპიტნებისაგან შედგება. საკმარისია ყურადღება მივაქციოთ ენერგიას, სიმტკიცეს, სითამამეს და უტიფრობას, რომლითაც ცხოვრებაში მიაბიჯებს ყველა, ცდილობს თავისი აზრი თავს მოახვიოს სხვებს და რაც შეიძლება მეტი წაჰგლიჯოს ცხოვრებას.

დღევანდელობისა თუ უახლოესი მომავლის მთელი ბოროტება ისტორიული დონის სწორედ ამ ამაღლებით აიხსნება.

ახლა კი მინდა, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი შენიშვნა გაგიზიაროთ. ის გარემოება, რომ ცხოვრების საშუალო დონე დღეს იქაა, სადაც უწინ უმცირესობის ცხოვრების დონე იყო, - ახალი ფაქტია ევროპისათვის, მაგრამ არა ამერიკისათვის, სადაც ეს აღიქმება როგორც სავსებით ბუნებრივი და ჩვეულებრივი მოვლენა. ჩემი აზრის გასაგებად, დაუფიქრდი, მკითხველო, კანონის წინაშე თანასწორობის გაცნობიერების ფაქტს. ის ფსიქიკური მდგომარეობა, როცა თვითოეული ადამიანი თავისი თავის ბატონ-პატრონად და ნებისმიერი სხვა პიროვნების თანასწორად გრძნობს თავს, რისი უფლებაც ევროპაში მხოლოდ უმცირესობამ თუ მოიპოვა, ამერიკაში თითქმის XVIII საუკუნიდან ცხოვრების ნორმად იქცა. ახლა კი ინებეთ ახალი, კიდევ უფრო საინტერესო და საგულისხმო დამთხვევა მას შემდეგ, რაც არსებობისა და, საერთოდ, ევროპული სინამდვილის ყველა სფეროში საგრძნობლად ამაღლდა დონე. ბევრმა დაიწყო იმის მტკიცება, რომ ევროპამ ამერიკანიზაცია განიცადა. ვინც ამას ამტკიცებდა, მაინცდამაინც დიდ მნიშვნელობას როდი ანიჭებდა ამ მოვლენას, რადგანაც ეგონა,

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

რომ საქმე ეხებოდა მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებებს ჩვეულებებისა თუ მოდის სფეროსი, და ამ გარეგნული მსგავსებით შეცბუნებული გაიძახოდა, ამერიკა ზეგავლენას ახდენს ევროპაზეო. ამრიგად, ჩემის აზრით, ეს საკითხი სოციოლოგიის სფეროდან საყოფაცხოვრებო სფეროში იქნა გადატანილი. სინამდვილეში კი მისი ბუნება გაცილებით უფრო ნატიფია, უფრო ღრმა და მოულოდნელი.

თავაზიანობის წესები მაიძულებენ ვაღიარო, რომ ამერიკული ზემოქმედების შედეგად ევროპა უკვე ამერიკანიზირებულია. სინამდვილეში კი ეს ასე არ არის, და აქ ჭეშმარიტება აშკარად უპირისპირდება თავაზიანობის წესებს, ჭეშმარიტებამ კი უნდა გაიმარჯვოს: ევროპა ამერიკანიზირებული არ გახლავთ, ის არ დაქვემდებარებია ამერიკის არავითარ მძლავრ ზეგავლენას. ადვილი შესაძლებელია, რომ ეს პროცესი სწორედ ახლა იწყება, მაგრამ უახლოეს წარსულზე, საიდანაც დასაბამს იღებს აწმყო, ამის თქმა არ შეიძლება. ეს საკითხი იმდენად ბუნდოვანია, აწეწილ-დაწეწილი და დახლართული, მან იმდენი უაზრო მითქმა-მოთქმა გამოიწვია, რომ დღემდე თვალში ნაცარს აყრის ამერიკელებსაც და ევროპელებსაც. მასების აღზევებაც და შემდგომ ცხოვრების დონის არნახული ამაღლებაც ევროპაში შინაგანმა მიზეზებმა განაპირობა. ამას დაახლოებით ორი საუკუნე დასჭირდა, რომლებისთვისაც ნიშნეულია, ერთის მხრივ, მასების გაცილებით უფრო ფართო და მრავალმხრივი განათლება, მეორეს მხრივ კი საზოგადოებრივი კეთილდღეობის განუხრელი ზრდა. მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ პროცესთა შედეგები ემთხვევა იმას, რაც „ცხოვრების ამერიკულ წესს“ ახასიათებს. სწორედ იმიტომ, რომ საშუალო ევროპელი და საშუალო ამერიკელი ერთი და იმავე მორალური პრინციპებით ხელმძღვანელობენ, ევროპელისათვის ბოლოს და ბოლოს გასაგები ხდება ამერიკული ცხოვრება, რომელიც უწინ ესოდენ აუხსნელი და იდუმალებით მოცული ეგონა. მაშასადამე, საქმე გავლენას კი არ ეხება, რაც, ცოტა არ იყოს, უცნაური იქნებოდა, რადგან აქ, უმალ, პირუკუ გავლენაზე უნდა გველაპარაკა, არამედ მოვლენას, რომელზედაც მანამდე წარმოდგენაც არ ჰქონდათ: იგულისხმება გათანასწორება, გათანაბრება. ევროპელები დიდი ხნის წინათ მიხვდნენ, რომ ცხოვრების დონე ამერიკაში უფრო მაღალია, ვიდრე „ძველ სამყაროში“. ამ მოვლენის ბუნდოვანმა შეგნებამ, მიუხედავად იმისა, რომ ის შეუძლებელია ანალიტიკური ყოფილიყო და, ცხადია, არც იყო ანალიტიკური, დასაბამი მისცა ფართოდ გავრცელებულ შეხედულებას, რომელიც არავის გაუხდია სადაოდ, თითქოს მომავალი ამერიკას ეკუთვნის. ადვილი მისახვედრია, რომ ესოდენ პოპულარული შეხედულება შეუძლებელია ევროპაში ქარს შემოეტანა, ან ორქიდეასავით უფესვოდ აღმოცენებულიყო. მას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ ამერიკაში „საშუალო ადამიანის“ ცხოვრების დონე უფრო მაღალი იყო, რაც მკვეთრად განსხვავდებოდა ამერიკელი საზოგადოების „უმაღლესი“ ფენის ცხოვრების დონისაგან, რომელიც, თავის მხრივ, ევროპული მოსახლეობის

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

იმავე ნაწილის ცხოვრების დონეს ჩამოუვარდებოდა. მაგრამ ისტორიას, ისევე, როგორც სოფლის მეურნეობას, მთები კი არა, დაბლობები ასაზრდოებენ; ისტორიის ორიენტირი მიუწვდომელი მწვერვალების დონე კი არაა, არამედ საშუალო სოციალური დონე.

დღეს ყველაფერი თანასწორდება: ქონებრივი მდგომარეობანი, სხვადასხვა საზოგადოებრივი კლასის კულტურული დონეები, სქესთან შორის უფლებრივი სხვაობანი; და რაც მთავარია, თანაბრდება მთელ კონტინენტთა ცხოვრების პირობები. და რაკი ევროპელთა ცხოვრების დონე უწინ უფრო დაბალი იყო, ამ გათანაბრებით ჩვენ მხოლოდ მოვიგეთ. იმიტომ, თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ მასების ამბობს, დავინახავთ, რომ მას შედეგად მოჰყვა ადამიანის შესაძლებლობათა და, საერთოდ, მისი სიცოცხლისუნარიანობის მთელი სპექტრის არნახული ზრდა. ყოველივე ეს აშკარად არა ჰგავს ყბადაღებულ „ევროპის დაისს“, რომელზე ლაპარაკითაც ყურები გამოგვიჭედეს. „ევროპის დაისისა“ თუ „ევროპის მწუხრის“ წარმოდგენა იმდენად ბუნდოვანია და გაურკვეველი, რომ კაცმა არ იცის, რას ეხება საქმე: ევროპის სახელმწიფოებს, ევროპულ კულტურას, თუ იმას, რაც თვალისთვის უხილავია, მაგრამ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ორივეს ერთად, - ევროპელთა სიცოცხლისუნარიანობას. ევროპულ სახელმწიფოებსა და კულტურაზე ქვემოთ ვილაპარაკებთ, და ადვილი შესაძლებელია, „ევროპის დაისის“ ცნება სწორედ მათ გულისხმობდეს. რაც შეეხება სიცოცხლისუნარიანობას, აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ ასე არ არის საქმე. ანდა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ (იქნებ ჩემი მსჯელობა ამ შემთხვევაში უფრო საფუძვლიანი და ნაკლებ დაუჯერებელი მოგეჩვენოთ), დღეს თავისი სასიცოცხლო ტონუსით საშუალო იტალიელი, საშუალო ესპანელი თუ საშუალო გერმანელი გაცილებით უფრო ნაკლებ განსხვავდება ამერიკელისა თუ არგენტინელისაგან, ვიდრე ოცდაათი წლის წინათ და ამერიკელებს ეს უნდა ახსოვდეთ.

III

დროული დონეები

მასების აღზევების ფაქტს, როგორც ჩანს, ცხოვრების ყველა სფეროში პოზიტიური მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, რადგანაც ის მოასწავებს მთელი ისტორიული დონის ზრდას და გვიჩვენებს, რომ ცხოვრების საშუალო დონე დღეს უფრო მაღალია, ვიდრე გუშინ. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ცხოვრებას შეიძლება სხვადასხვა დონე ჰქონდეს. მაშინ ისეთი ბანალური გამოთქმა, როგორიცაა „ჩვენი დროის სიმაღლიდან“, ღრმა შინაარსით ივსება. ცოტა უფრო დაწვრილებით უნდა შევჩერდეთ ამ გამოთქმაზე, რადგანაც მისი მეშვეობით ჩვენ შეგვიძლია გავაანალიზოთ თანადროულობის ერთი ყველაზე საოცარი თავისებურება.

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

ასე მაგალითად, ჩვენ ვამბობთ, რომ ესა თუ ის ფაქტი, ან ესა თუ ის მოვლენა არ შეესაბამება „დროის საერთო სულისკვეთებას“, აქ საქმე აბსტრაქტულ, ქრონოლოგიურ დროს კი არ ეხება, რომელიც თითქოს ერთ დონეზე მიედინება, არამედ ეგზისტენციალურ დროს, რომელსაც ყველა თაობა „ჩვენს დროს“ უწოდებს და რომელსაც ყოველთვის გარკვეული დონე აქვს. დღეს ეს დონე შეიძლება ისეთივე იყოს, როგორც გუშინ, ან უფრო მაღალი, ვიდრე გუშინ, ანდა შეიძლება დაეცეს. დაცემის ცნებას, რომელიც ისახება სიტყვაში „დაცემულობა“, სწორედ ეს წინათგრძნობა უდევს საფუძვლად. ზუსტად ასევე თვითეული ჩვენგანი მეტ-ნაკლები სიცხადით გრძნობს, რანაირად მიემართება მისი საკუთარი ცხოვრება დროების დონეს. ზოგიერთი ისე იძირება დღევანდელი ცხოვრების ზღვაში, როგორც ხომალდის დაღუპვისას. საქმოსნური ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ტემპი, გერგილიანობა და ენერგია დამთრგუნველად მოქმედებს რეტროგრადზე, და მისი ჭმუნვა, მისი შიში თუ მღელვარება მისივე პირადი დროისა და ჩვენი საერთო დროის დონეთა სხვაობას შეესაბამება. მეორეს მხრივ, ვისაც შეუძლია მთელის არსებით დატკბეს ახლანდელი მომენტის განცდით, იმასაც შესძლებს, რომ შეიცნოს ჩვენი დროის დონესა და წარსულის სხვადასხვა ეპოქათა დონეებს შორის არსებული კავშირი. მაინც რა არის ამ კავშირის არსი?

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს წარსულის სხვადასხვა ეპოქას ადამიანი ყოველთვის განიცდიდეს, როგორც დონის მიხედვით უფრო დაბალს, მხოლოდ იმიტომ, რომ ყველა ეს ეპოქა აწ უკვე წარსულს ეკუთვნის. საკმარისია გავიხსენოთ რომ ხორხე მანრიკემ ერთხელ შენიშნა: „ყოველი ნამყო აწმყოზე უკეთესია“.

მაგრამ არც ესაა ასე. ადამიანები ყოველთვის როდი ფიქრობდნენ, თითქოს უწინ ყველაფერი უფრო უკეთ, ან უფრო ცუდად იყო. ყოველი ისტორიული ეპოქა თავისებურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს იმ უცნაური მოვლენის მიმართ, რასაც მე ცხოვრების დონეს ვუწოდებ. ღმერთმანი, მიკვირს, რომ ფილოსოფოსებსა და ისტორიკოსებს არასოდეს მიუქცევიათ ყურადღება ამ მოვლენისადმი, რომელიც ესოდენ ცხადია, და ამავდროულად, ესოდენ არსებითიც ნებისმიერი ისტორიული ეპოქის არსში საწვდომად.

თუმცა ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ადამიანებს თავიანთ დროზე უმეტესწილად იმნაირი შთაბეჭდილება ექნებათ, როგორიც ხორხე მანრიკეს, ყოველ შემთხვევაში, grosso modo[5] სხვადასხვა ისტორიული ეპოქის ადამიანებს თავიანთი დრო სულაც არ ეჩვენებათ უკეთესად, ვიდრე წარსული დრონი. უკეთეს დროდ, ჩვეულებრივ, მიიჩნევენ ბედნიერ წარსულს, „ოქროს ხანას“, როგორც ამ დროებას ვუწოდებთ ჩვენ, ბერძნულ-რომაულ კულტურაზე აღზრდილნი, ანუ „ალგერინგას“, როგორც მას უწოდებენ ავსტრალიელი ველურები. „ოქროს ხანის“ წარსულში გადატანის ფაქტი იმას გვიჩვენებს, რომ ადამიანები გრძნობდნენ, როგორ იშრიტებოდა მათი საკუთარი ცხოვრების პულსი და რარიგად აკლდათ სისხლსავსე არსებობის შეგრძნება. ამიტომაც აღმერთებდნენ წარსულს,

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

ვთქვათ, „მაღალი“ ანტიკური კლასიკის პერიოდს. შორეული წარსულის ადამიანთა ცხოვრება მათ უფრო სავსე, უფრო მრავალფეროვანი, უფრო რთული და სრულყოფილი ეჩვენებოდათ, ვიდრე თანამედროვეთა ყოფა. მათ წარმოსახვაში ცოცხლდებოდა დიადი წარსული და ასე ეგონათ, თითქოს მათი საკუთარი ცხოვრების დონე გაცილებით უფრო დაბალი იყო. ვიდრე დონე „ოქროს ხანისა“. ტემპერატურის რომელიმე გრადუსს განსჯის უნარი რომ ჰქონოდა, ალბათ ასევე იტყოდა; მე უფრო ნაკლებ სითბოს შევიცავ, ვიდრე ჩემზე მაღალი გრადუსიო. ახალი ერის 150 წლიდან მოყოლებული, რომის იმპერიაში საყოველთაო მოვლენად იქცა ცხოვრების სიმწირისა და არასრულფასოვნების შეგრძნება, სასიცოცხლო პულსის თანდათანობით შესუსტება და გადაგვარების წინათგრძნობა. უკვე ჰორაციუსი თავის „ოდებში“ ამბობდა:

Aetas parentum prior avis tulit
nos nequiores, mox daturos
progenium vitiosiorem[6].

ორი საუკუნის შემდეგ მთელს რომის იმპერიაში აღარ მოიძებნებოდა იტალიელთა საკმარისი რაოდენობა ცენტურიონების ფუნქციის შესასრულებლად, და იძულებულნი იყვნენ, ამ მიზნით დალმაციელები, შემდეგ კი დუნაისა თუ რაინისპირელი ბარბაროსები დაექირავებინათ. ამ ხნის განმავლობაში ქალები უნაყოფონი გახდნენ და იტალია გაუკაცურდა.

მოდით, ახლა სხვა ეპოქაში გადავინაცვლოთ, რომელიც ცხოვრების აღქმის სრულიად საპირისპირო სურათს გვთავაზობს. საქმე ეხება ფრიად საგულისხმო მოვლენას, რომელიც უფრო დაწვრილებით უნდა განვსაზღვროთ. როცა ამ ოცდაათიოდე წლის წინათ პოლიტიკოსები გაუთავებლად ყბედობდნენ ბრბოების წინაშე, ისინი უმეტესწილად მთავრობის მიერ გადადგმულ ზოგიერთ ნაბიჯსა და ამა თუ იმ უფლების ბოროტად გამოყენებას აკრიტიკებდნენ, იმ საბაბით, თითქოს ეს არ შეესაბამებოდა დროის საერთო სულისკვეთებას. აღსანიშნავია, რომ ამავე გამოთქმას იყენებს პლინიუსიც თავის ცნობილ წერილში ტრაიანესადმი, სადაც ის ურჩევს იმპერატორს, ხელი აიღოს ქრისტიანების დევნაზე, რომლებსაც ანონიმურად ასმენდნენ ხელისუფლების წინაშე: რადგანაც, პლინიუსის აზრით, „Nec nostri saecull est[7]“. ისტორიას ახსოვს ისეთი ეპოქები, როცა ადამიანები თითქოს მთის მწვერვალზე გრძნობდნენ თავს; მათ ეგონათ, რომ უკვე მიაღწიეს მიზანს და, ამრიგად, ყველა მათ სურვილსა თუ ოცნებას ხორცი შეესხა. სწორე არსებობის „სისავსის“ ეს შეგრძნება ახასიათებს ისტორიული „სიმწიფის“ დროს. ოცდაათი წლის წინათ ევროპელებს ეგონათ, რომ მათი ცხოვრება, როგორც იქნა, ნამდვილ ცხოვრებად იქცა, რაზედაც ოცნებობდნენ წინა თაობები და რასაც ნატრობდა უკლებლივ ყველა ეპოქა. დრო, რომლისთვისაც ნიშნეულია არსებობის „სისავსე“, ყოველთვის აღიქმებოდა როგორც კაცობრიობის არა ერთი და ორი მოსამზადებელი პერიოდის შედეგი. ეს „სავსე“ დრო სხვა,

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

„მწირსა“ და „ნაკლულ“ დროებს ენაცვლება, რომელთა დონეც უფრო დაბალია, ვიდრე „სიუხვის“ დროისა. ამ უკანასკნელის სიმაღლიდან წინა - მოსამზადებელი - ეპოქები „ჯერ კიდევ არა იმ“ დროდ გვეჩვენება, მგზნებარე წინასწარმეტყველებათა და აუხსნელ ოცნებათა ხსნად, რომელშიაც გარკვევით იგრძნობა მკვეთრი კონტრასტი სურვილებსა და მათი განხორციელებისათვის აშკარად არახელსაყრელ სინამდვილეს შორის. XIX საუკუნეში ამნაირ ხანად ჩანდა შუა საუკუნეები. მაგრამ აი, თენდება დღე, როცა ყველას ჰგონია, რომ ასრულდა ყველა ძველი სურვილი, რომელთაგანაც ზოგიერთის ასაკი საუკუნეებს ითვლის, და ოცნება სინამდვილედ იქცა. ჩვენ თავზე მოვექეცით დროის მწვერვალს, სასურველ სიმაღლეზე ავედით, როგორც იქნა, მივაღწიეთ დასახულ მიზანს! „ჯერ კიდევ არა ის“ დრო „ბოლოს და ბოლოს იმ“ დრომ შეცვალა.

ამნაირად აღიქვამდნენ თავიანთ ცხოვრებას ჩვენი წინაპრები და, მათთან ერთად, საერთოდ, XIX საუკუნის ადამიანებიც. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენმა დრომ „სიუხვის“ დროება შეცვალა. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ თუ კაცი ჩვენი დროის წინამორბედის - სიუხვის ეპოქის ნაპირას დგას და იქიდან აკვირდება დღევანდელობას, - დიახ, სავსებით ბუნებრივია, რომ ამ კაცმა შეცდომით წარმოიდგინოს, თითქოს დღევანდელი ცხოვრების დონე მკვეთრად დაეცა წინა ეპოქის დონესთან შედარებით.

მაგრამ ჭეშმარიტმა ისტორიკოსმა, გამოცდილი ექიმის მიუკერძოებლობით რომ უსინჯავს მაჯას დღევანდელობას, თავი არ უნდა მოატყუებინოს მოარულ წარმოდგენებს ეგრეთწოდებულ „სიუხვის“ ეპოქათა შესახებ.

როგორც უკვე აღვნიშნე, იმისათვის, რომ ადამიანები თავიანთი ცხოვრების „სიხლსავსეობას“ გრძნობდნენ, აუცილებელია იმ სურვილების დაკმაყოფილება, რომლებიც განუყრელად თან ახლავს ადამიანს ათასწლეულების მანძილზე. ამჟამად უკვე ყველა ყველაფრით დაკმაყოფილებულია, ზოგჯერ კი, როგორც, მაგალითად, XIX საუკუნეში, ზედაკმაყოფილებულიც[8]. მაგრამ ჩვენ უკვე ვამჩნევთ, რომ იმ ეპოქის ადამიანებს, სადაც ყველა კმაყოფილია ცხოვრებით, რადგანაც, ერთის შეხედვით, ისე ჩანს, თითქოს მათ უკვე ყველაფერს მიაღწიეს, - სინამდვილეში, დიდი ხანია, შიგნიდან შეეპარათ ლპობა. ცხოვრების „სისავსის“ ნამდვილ შეგრძნებას ყველა ამქვეყნიური სიკეთის მიღწევით გამოწვეული კმაყოფილება როდი განაპირობებს: არა, ეს გრძნობა ვერ შეედრება განვლილი გზის დასასრულს, სანეტარო შესვენებას. ჯერ კიდევ სერვანტესი ამბობდა: „მოძრაობა ყოველთვის უმჯობესია დასვენებაზეო“. იმ ეპოქაში, სადაც ადამიანები გრძნობენ, რომ ყველა მათი სურვილი - დაკმაყოფილებული, ხოლო მათი იდეალი ხორცშესხმულია, უკვე აღარაფერი რჩება სასურველი, რაც იმას ნიშნავს, რომ დაიწრიტა თვით სურვილთა წყარო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „სიუხვის“ სანუკვარი დრო სინამდვილეში სხვა არა არის რა, თუ არა ჩიხი გზის დასასრულს. არის დრო, როცა საზოგადოება დეკადანსს განიცდის მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანებმა აღარ იციან,

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

როგორ განიახლონ სურვილები, და კმაყოფილებით გულმოყირჭებულნი იხოცებიან, ზუსტად ისევე, როგორც ბედნიერი მამა ფუტკრები საქორწინო გაფრენის შემდეგ[9].

ამიტომ, რაგინდ უცნაურიც არ უნდა იყოს, ადამიანები სწორედ ეგრეთწოდებულ „სიუხვის“ ეპოქაში გრძნობენ თავიანთი არსებობის განსაკუთრებულ სიმწირეს და სიცარიელეს.

სურვილებმა, რომლებსაც დიდხანს ელოლიავებოდნენ, ვიდრე XIX საუკუნეში საბოლოოდ შეისხამდნენ ხორცს, თავიანთი გამოხატულება იმაში ჰპოვეს, რასაც დღეს „თანამედროვე კულტურას“ ვუწოდებთ. თვით ეს სახელწოდებაც კი აცბუნებს ადამიანს. განა უცნაური არ არის, რომ ესა თუ ის ისტორიული ეპოქა თავის თავს თვითონვე უწოდებს „თანამედროვეს“, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საბოლოოს, უკანასკნელს? „თანამედროვეობის“ წინაშე ნებისმიერი სხვა დრო მხოლოდ მის მოსამზადებელ და მასზე ოცნების პერიოდად წარმოგვიჩნდება; ყველა სხვა დრო წარსული იქნება; ყველა შეიძლება უგერგილოდ ნატყორცნ ისარს შევადაროთ, რომელმაც მიზანს ვერ უწია[10].

თუ გრძნობთ აქ არსებით სხვაობას ჩვენს დროსა და უახლოეს წარსულს შორის? დღეს ჩვენ უკვე აღარ გვგონია, თითქოს ყველა პრობლემის გადაჭრის უნარი შეგვწევს; უმალ, პირიქით, ქვეშეცნეულად ვხვდებით, რომ ისტორიაში არ მოიძებნება ისეთი პერიოდი, როცა ყველა პრობლემა შეიძლება გადაჭრილ იქნეს. მეტიც, პრეტენზია იმისა, რომ საბოლოოდ მიგვაჩნდეს ცხოვრების გარკვეული წესი, კერძოდ ის, რასაც „თანამედროვე კულტურის ქმნადობას“ ვუწოდებთ, წარმოუდგენელ სიბეცედ გვეჩვენება, რომელიც ზღუდავს ისტორიული თვალთახედვის არეს. როგორც კი ამას მივხვდებით, მაშინვე გვეუფლება რაღაც კურთხეული გრძნობა, მსგავსი იმისა, რასაც განიცდის კაცი, რომელმაც შესძლო თავი დაეღწია ვიწრო და დახუთული სენაკისათვის, რათა კვლავ შეეგრძნო ვარსკვლავებით მოჭედილი ცის სიდიადე, გონებამიუწვდომელი, უცნაური და საშინელი სამყაროს იდუმალება, სამყაროსი, სადაც შესაძლებელია ყველაფერი: კარგიც და ცუდიც.

„თანამედროვე კულტურის“ რწმენა სევდიანი რწმენა იყო; ის ნიშნავდა რომ ხვალინდელი დღე, არსებითად, დღევანდელის მსგავსი იქნება, და რომ პროგრესი სხვა არა არის რა, თუ არა მარადიული სასჯელი - განწირული იყო საიმისოდ, რომ ყოველთვის ერთი და იმავე გზით იარო. ეს გზა კი საპყრობილეს უფრო ჰგავს, რომლის კედლებიც ჩვენი ყოველი ფეხის ნაბიჯზე თანდათანობით, სულ უფრო და უფრო შორს გადაადგილდებიან, მაგრამ გარეთ კი არ გვიშვებენ.

როცა რომის იმპერიის ისტორიის დასაწყისში დახვეწილი გრძნობელობის ნიჭით დაჯილდოებული ესა თუ ის პროვინციელი, ვთქვათ, სენეკა ან ლუკანუსი, რომში ჩადიოდა და გრანდიოზულ საიმპერიო ნაგებობებს, რომის ურყევი ძლიერების ამ სიმბოლოებს ხედავდა, გრძნობდა, როგორ ეხუთებოდა სული. სამყაროში შეუძლებელი იყო რაიმე სიახლე.

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

რომი ხომ მარადიულია! და თუ წარსული დიდების ნგრეულ ნაშთთა ჭვრეტისას ჩვენ გვეუფლება მელანქოლია, ჭაობიდან წამოშლილი ნისლივით რომ გარემოგვიცავს, იმდროინდელ მგრძნობიარე პროვინციელსაც იგივე განცდა ეუფლებოდა, თუმცა ის ჩვენი განცდის საპირისპირო იყო: მელანქოლიურ განწყობილებას რომის გოროზად აღმართულ ნაგებობათა ჭვრეტა იწვევდა.

ხომ აშკარაა, რომ ამ ემოციებთან შედარებით თანამედროვე ადამიანის განცდა გაკვეთილებიდან გამოპარული ონავრების სიხარულსა და ზარ-ზეიმს უფრო მოგვაგონებს. ჩვენ დღეს უკვე ვიცით, რა მოხდება ხვალ მსოფლიოში, მაგრამ გულის სიღრმეში ვხაროობთ, რადგანაც ჩვენი არსებობის ეს თვალსაწიერი, რომელიც გახსნილია ყველა შესაძლებლობისათვის, ჩვენს ნამდვილ ცხოვრებად გვევლინება, ჭეშმარიტ სისავსეს რომ ანიჭებს დღევანდელ ყოფას.

ეს დიაგნოზი, რომელსაც ჯერ კიდევ აკლია მეორე ნაწილი, მკვეთრად უპირისპირდება იმ საწყალობელ მოთქმა-გოდებას, წყაროსავით რომ მოწანწკარებს ჩემი თანამედროვეების კალმით აჭრელებული ფურცლებიდან. სინამდვილეში აქ საქმე გვაქვს მხედველობის აბერაციასთან, რასაც მრავალი მიზეზი განაპირობებს. მოდით, სამერმისოდ გადავდოთ ზოგიერთის განხილვა, ახლა კი მინდა ერთ, ყველაზე ცხად მიზეზზე შევაჩერო თქვენი ყურადღება. მე თუ მკითხავთ, ბევრი თანამედროვე მწერალი განუსჯელად რომ იზიარებს ისტორიის მცდარ გაგებას, მის მხოლოდ ერთ ნაწილს აანალიზებს: ან პოლიტიკას, ან კულტურას, და ვერ კი ამჩნევს, რომ ყოველივე ეს ისტორიული ეპოქის ზედაპირზე ტივტივებს, და რომ ისტორიული სინამდვილე, უწინარეს ყოვლისა, სხვა არა არის რა, თუ არა არსებობის მძაფრი წყურვილი, ბობოქარი, კოსმიური ძალებივით შმაგად მბორგავი ძალა, ბუნების ძალთა მონათესავე, რომელთა ქმედითობაც ამოძრავებს ზღვებს, ანაყოფიერებს ცხოველებს, ყვავილებით პენტავს ხეებს და ცის თაღზე ჯადოქრული ხიბლით აციმციმებს ვარსკვლავებს.

მათთან დავისას, ვინც დღევანდელობას განსაზღვრავს, როგორც „დაცემის“ პერიოდს, მე ვურჩევ ყველას, შემდეგ არგუმენტებს მიმართონ.

დაცემა შედარებითი ცნებაა; ის დონეთა სხვადასხვაობას გულისხმობს: უფრო მაღალი დონიდან შეიძლება „დაეცე“ უფრო დაბალზე. ეს შედარება შეიძლება ცხოვრების სრულიად სხვადასხვა სფეროებს მიესადაგოს. ფაბრიკანტს, რომელიც ქარვის მუნდშტუკებს ამზადებს, ჰგონია, ცუდი დრო დადგაო, ვინაიდან მწეველთა შორის ცოტა თუღა იყენებს მუნდშტუკს. შეიძლებოდა სხვა, უფრო სერიოზული მაგალითებიც მოგვეხმო, მაგრამ ყველა წარმოგვიჩენს სინამდვილის მხოლოდ ერთ რომელიმე წახნაგს, ყველა თვითნებური და გარეგანი იქნება ცხოვრების იმ საგანძურის მიმართ, რომლის შეფასებასაც ჩვენ ვცდილობთ. დაკვირვებისათვის არსებობს ხედვის მხოლოდ ერთი, სწორად შერჩეული წერტილი: უნდა შევიდეთ ამ ცხოვრებაში და შიგნიდან შევხედოთ მას, რათა დავრწმუნდეთ, იგრძნობა თუ არა მისი დონის დაცემა, ანუ, სხვა სიტყვებით

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

რომ ვთქვათ, იგრძნობა თუ არა მისი არასრულფასოვნება, მისი სიბილწე, მისი უმწეობა თუ უწმინდურება.

მაგრამ შიგნიდანაც რომ შევხედოთ, როგორ გავარკვევთ, გაფურჩქვნის პერიოდი უდგას თუ დაცემისა? ჩემთვის ცხოვრების დონის დაცემის უტყუარი ნიშანი იმნაირი ცხოვრება გახლავთ, როცა ადამიანებს ჰგონიათ, ჩვენს ყოფას ვერანაირი სხვა ყოფა ვერ შეედრებაო. სწორედ ამ თვალსაზრისით, ჩვენი დროისათვის ნიშნეულია ერთი ფრიად უცნაური შეგრძნება, რისი მსგავსიც, თუ არ ვცდები, ადამიანებს აქამდე არასოდეს არ განუცდიათ.

გასული საუკუნის სალონებში აუცილებლად დგებოდა ისეთი მომენტი, როცა მომხიბლავი ქალბატონები და მათ მიერ მოშინაურებული პოეტები ერთი და იმავე კითხვით მიმართავდნენ ერთიმეორეს: რომელ დროში ისურვებდით ცხოვრებასო? და მაშინ თვითოეული მათგანი ივიწყებდა თავის საკუთარ ცხოვრებასაც, მთელ თანამედროვეობასაც და დაუყოვნებლივ იწყებდა წარმოსახულ ისტორიულ გზებზე ბორიალს, იმ დროის ძიებაში, რომელშიაც ისურვებდა ცხოვრებას. საქმე ისაა, რომ, მართალია, მაშინ დიახაც გრძნობდნენ არსებობის მთელ სისავსეს, ან, იქნებ, სწორედ ამიტომაც, XIX საუკუნე სინამდვილეში მრავალი უხილავი ძაფით იყო გადაბმული წარსულზე, მიუხედავად იმისა, რომ იმდროინდელ ადამიანებს დაწყვეტილი ეგონათ ისინი, რადგანაც გრძნობდნენ, რომ მათი ეპოქით მთავრდებოდა ისტორიული გზის გარკვეული მონაკვეთი. ამიტომაც მათთვის იდეალი იყო ეგრეთწოდებული კლასიკური ეპოქები, როცა ყალიბდებოდა თანამედროვე ფასეულობანი, ვთქვათ, პერიკლეს მმართველობის პერიოდი, ან აღორძინება. ეს სავსებით საკმარისია, რათა ეჭვი შეგვეპაროს „სიუხვის“ დროის გულწრფელობაში: მისი სახე მიქცეულია წარსულისაკენ, რომლის სურვილებიც ახლა სრულდება.

კი მაგრამ, რას იტყოდა ჩვენი თანამედროვე, იგივე კითხვით რომ მიგვემართა მისთვის? მე მგონია, ზუსტად შეგვიძლია გამოვიცნოთ მისი პასუხი: ნებისმიერი წარსული ეპოქა მას მოეჩვენებოდა დარაბებდახურულ ოთახად, სადაც შეუძლებელია სუნთქვა. თანამედროვე ადამიანი გრძნობს, რომ დღევანდელი ცხოვრება უფრო შეესაბამება ნამდვილი ადამიანური ცხოვრების ცნებას, ვიდრე მთელი წარსული ყოფა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წარსულის ყველა მოვლენა, ერთად აღებული, მას უფრო უმნიშვნელო ეჩვენება, ვიდრე ჩვენი დღევანდელობა.

აწმყოს ამნაირი გაგება მთელი სიცხადით აქარწყლებს ნებისმიერ წინდაუხედავ მსჯელობას ჩვენი დროის დეკადენტურ ხასიათზე. ჩვენ ვგრძნობთ, რომ დღევანდელ ცხოვრებას მეტი წონა აქვს არსებობის აქამდე ცნობილ ყველა სხვა საშუალებასთან შედარებით. მაშ, რა შუაშია აქ მისი დეკადენტური ბუნება? უმალ, პირიქით. და რაკი თანამედროვე ადამიანი უფრო მეტად დანთქმულია დღევანდელი დღის მოვლენებში, ამიტომ მას აღარ იზიდავს წარსული, რომელმაც ყოველგვარი ინტერესი დაკარგა მის თვალში. აი, რატომაა, რომ

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

ჩვენთვის დღეს აღარ არსებობს არავითარი კლასიციზმი, და აზრადაც არ მოგვივა, მისაბაძ ნორმად თუ ნიმუშად დავსახოთ ნამყო. როგორც ჩანს, ამდენი ხნის უწყვეტი განვითარების შემდეგ ჩვენ მაინც გზის დასაწყისში აღმოვჩნდით, ახალ შესაძლებლობათა ზღურბლზე, ახალი ცხოვრების გარიჟრაჟზე. ჩვენ მზერას მივაპყრობთ წარსულს და სახელგანთქმული რენესანსის ეპოქა მაღალფარდოვანი. პრეტენზიული, პროვინციული და, რა დასამალია, უგემოვნოც კი გვეჩვენება.

ამას წინათ მე შემდეგნაირად განვსაზღვრე შექმნილი სიტუაცია. „წარსულისა და აწმყოს მკვეთრი გამიჯვნა ჩვენი დროის დამახასიათებელი ნიშანია, რითაც აიხსნება ჩვენი თანამედროვის სულიერი ბორგვა და მღელვარება. ჩვენ ვგრძნობთ, რომ უცებ მარტონი დავრჩით დედამიწაზე, რომ მკვდრები ხუმრობით კი არა, მართლა მოკვდნენ, და რომ მათ უკვე აღარაფრით აღარ შეუძლიათ დაგვეხმარონ.

გაქრა ტრადიციულობის სული; ჩვენ უკვე აღარ გვჭირდება ნორმები, წესები და ნიმუშები. წარსული ვეღარაფრით დაგვეხმარება. და სწორედ ახლა ჩვენ თვითონ უნდა გადავწყვიტოთ ჩვენი პრობლემები, გნებავთ, ხელოვნების, გნებავთ, მეცნიერებისა თუ პოლიტიკისა.

ევროპელი მარტოკა დარჩა, ცოცხალმა მკვდრებმა სამუდამოდ მიატოვეს. პეტერ შლემილისა არ იყოს, მან დაკარგა თავისი ლანდი. შუადღისას ყოველთვის ასე ხდება[11].

მაშ, როგორიღაა ჩვენი დროის დონე?

დღევანდელობას ვერ ვუწოდებთ „სიუხვის“ დროს, და მაინც, ჩვენ გვგონია, რომ მისი დონე უფრო მაღალია, ვიდრე „სიუხვის“ ყველა წინარე ეპოქისა, არც ისე ადვილი საქმეა დღევანდელი დღის განსაზღვრა: ერთის მხრივ, ის, ყველა სხვა დროზე მაღლა გრძნობს თავს, მეორეს მხრივ კი რაღაცა ახლის დასაწყისს მოასწავებს, იქნებ დასასრულის დასაწყისს. მაშინ როგორ შეიძლება განვსაზღვროთ იგი? ალბათ ასე: ჩვენი დროის დონე მისი შესაძლებლობების დონეზე დაბალი და იმავდროულად, ყველა სხვა დროის დონეზე მაღალიც. მთელი ჩვენი თავდაჯერებულობის მიუხედავად, იმასაც ვგრძნობთ, რომ ჩვენივე დანიშნულებისა აღარ გვჯერა. ჩვენი ძლიერებით ვამაყობთ და, ამავდროულად, შიშით ვბრწით ჩვენივე ძლიერების წინაშე.

IV

არსებობის სამყაროს გაფართოება

მასების აღზევება და მის კვალდაკვალ დროული დონის ზრდა, თავის მხრივ, სხვა, უფრო ზოგადი და ყოვლისმომცველი მოვლენის ნიშნად გვევლინება, მოვლენისა, რომელიც თავისი სიცხადით გროტესკული და წარმოუდგენელი ჩანს; არადა, საქმე მხოლოდ ისაა, რომ გაფართოვდა როგორც მსოფლიოს, ისე ცხოვრების საზღვრებიც: საშუალო ადამიანის ცხოვრება დღეს მთელ მსოფლიოს მოიცავს. მე იმის თქმა მინდა, რომ

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

ნებისმიერი ადამიანი დღეს იმით ცხოვრობს, რაც მთელ მსოფლიოში ხდება. ამ ერთი წლის წინათ სევილიელებს საშუალება ჰქონდათ, გაზეთების მეშვეობით თვალი ედევნებინათ პოლუსზე ადამიანთა ცხოვრებისათვის. წარმოიდგინეთ, როგორ მიცურავენ თაკარა მზით გადახრუკულ ანდალუსიურ მიწაზე მოდრეიფე აისბერგები? მიწის არც ერთი უბადრუკი ნაგლეჯი დღეს უკვე აღარ არის ჩაკეტილი თავის საზღვრებში: რაც იქ ხდება, თვით პლანეტის მეორე მხარესაც პოულობს გამოძახილს. ფიზიკის კანონის თანახმად, რომელიც ამტკიცებს, რომ საგნები მდებარეობენ იქ, სადაც ისინი ზემოქმედებას ახდენენ ერთმანეთზე, დღეს ჩვენ შეგვიძლია ვაღიაროთ, რომ ის, რაც დედამიწის ერთ წერტილში ხდება, იმავდროულად, მთელი დედამიწის ზურგზედაც ხდება, შორეულის სიახლოვემ და სხვაგან მყოფის აქ ყოფნამ უკიდურესად განავრცო თვითეული ადამიანის თვალსაწიერი.

გაფართოვდა ჩვენი სამყაროს დროული საზღვრებიც. ძველი სამყაროს ისტორიამ და არქეოლოგიამ ისტორიული დროის ისეთი სიღრმეები აღმოაჩინეს, რასაც უწინ ოცნებითაც ვერ წარმოიდგენდა კაცი. აღმოჩნდა ცივილიზაციებისა და მთელი იმპერიების კონტინენტები, რომელთა არსებობაზე წარმოდგენაც არავის ჰქონდა. ილუსტრირებულ ჟურნალებსა და კინემატოგრაფს შეუძლიათ პლანეტის ნებისმიერ შორეულ კუთხეში გადაიყვანონ ბრბოის კაცი.

მაგრამ სამყაროს სივრცულ-დროული გაფართოება თავისთავად არაფერსაც არ ნიშნავს. ფიზიკური დრო და სივრცე ყველაზე სულელური რამაა, რაც კი სამყაროში არსებობს. ამიტომ წმინდა სიჩქარის კულტს, რასაც ასე ფართო პროპაგანდას უწევენ ჩვენი თანამედროვენი, გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ჩვეულებრივ ჰგონიათ. სიჩქარე, რომელიც თვითონ შედგება დროისა და სივრცისაგან, არანაკლებ სულელური ცნებაა, ვიდრე დრო და სივრცე, მაგრამ ის მათ დათრგუნვას ემსახურება. ერთი სისულელე მხოლოდ მეორით თუ შეიძლება ალაგმო. ადამიანისათვის ყოველთვის ღირსების საქმე იყო კოსმიური დროისა და სივრცის დაძლევა[12], რომლებსაც თავისთავად არავითარი აზრი არა აქვთ, და ამიტომ არ უნდა გვიკვირდეს ჩვენი ბავშვური განცვიფრება, როცა სიჩქარის მეშვეობით ვძლევთ სივრცეს და დროზე გამარჯვებას ვზეიმობთ. მათი დაძლევით მათსავე გამოცოცხლებას ვუწყობთ ხელს და შესაძლებელს ვხდით სასიცოცხლო ინტერესებისათვის მათ გამოყენებას. ჩვენ შეგვიძლია უფრო მეტგან ვიყოთ, ვიდრე უწინ, უფრო ხშირად გამოგზაუროთ. ასე, სასიცოცხლო დროის პატარა მონაკვეთში ჩვენ კოსმიური დროის უფრო დიდ მონაკვეთს ვიტევთ.

თუმცა სამყაროს არსებითი გაფართოება, საბოლოო ანგარიშით, მისი საზღვრების განვრცობით კი არა, იმით განისაზღვრება, რომ მასში გაცილებით უფრო იმატა საგნების რიცხვმა. ყოველი საგანი - ამ სიტყვას აქ მისი უზოგადესი მნიშვნელობით ვხმარობთ, - არსებითად, ისაა, რაც შეიძლება გსურდეს, რითაც შეიძლება საზრდოობდე, რასაც შეიძლება აკეთებდე ან იღებდე, ანგრევდე ან პოულობდე, იყენებდე ან

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

უარყოფდე; როგორც ვხედავთ, ყველა ეს ზმნა ადამიანის საქმიანობას აღნიშნავს.

მაგალითისათვის ავიღოთ ამ საქმიანობის ერთი რომელიმე სახე, ვთქვათ, ყიდვა-გაყიდვისა თუ აღებ-მიცემობის აქტი. წარმოიდგინეთ ორი კაცი: ერთი - ჩვენი თანამედროვე, მეორე კი - XVIII საუკუნის ადამიანი. დავუშვათ, რომ ორივე ერთნაირი შეძლების პატრონია, და, მაშასადამე, ერთნაირი მყიდველობითი უნარის მქონეც. ახლა წარმოიდგინეთ იმ საგნების ასორტიმენტი, რომლებიც შეიძლება შესთავაზონ ერთსაც და მეორესაც. სხვაობა შთამბეჭდავია. შესაძლებლობა, რომელსაც მყიდველს სთავაზობს დღევანდელი ბაზარი, თითქმის უსაზღვროა. ერთის მხრივ, ძნელია წარმოვიდგინო რაიმე საგანი, ბაზრობაზე რომ არ იყოს, მეორეს მხრივ კი შეუძლებელია ყოველივე იმის წარმოდგენა, რაც შეიძლება გაიყიდოს. ალბათ მეტყვიან, თუ ისეთივე შეძლების პატრონია, როგორისაც XVIII საუკუნის ადამიანი, ჩვენი თანამედროვე ვერ შეძლებს მეტის ყიდვას, ვიდრე XVIII საუკუნის ადამიანიო. მაგრამ ეს ასე არ არის: დღეს შეიძლება იყიდო გაცილებით მეტი, რადგანაც მრეწველობის განვითარებამ ფასების დაწევა გამოიწვია; მაგრამ მეტის ყიდვაც რომ არ შეიძლებოდეს, ამას არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა, არამედ ერთხელ კიდევ ხაზს გადაუსვამდა ჩემს სიტყვებს. ყიდვის აქტი იმის სურვილსაც შეიცავს, რომ რაღაცა იყიდო, მაგრამ ვიდრე იყიდიდე, საჭიროა მისი არჩევა. არჩევანი კი იმ მომენტიდან იწყება, როცა ადამიანი ბაზრის შესაძლებლობებს ითვალისწინებს. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ საქმიანობის ისეთი სახე, როგორიცაა აღებ-მიცემობის პროცესი, უწინარეს ყოვლისა, რეალიზაციის პროცესს გულისხმობს. როცა საქმე ჩვენი დროის თავისებურებებს ეხება, ჩვეულებრივ, ივიწყებენ იმას, რასაც, ჩემის აზრით, არსებითი მნიშვნელობა აქვს, სახელდობრ, შემდეგს: ადამიანისათვის ნიშნეულია თავისი შესაძლებლობების ანგარიშს აძლევდეს საკუთარ თავს. ჩვენი არსებობის ნებისმიერ მომენტში მხოლოდ ერთი, ერთადერთი შესაძლებლობა რომ გვქონდეს, მაშინ თვით სიტყვა „შესაძლებლობა“ ყოველგვარ აზრს დაკარგავდა: ეს, უმალ, წმინდა მოთხოვნილება იქნებოდა. ჩვენი არსებობის უცნაური თავისებურება შექმნილი სიტუაციიდან გამოსავლის მუდმივი ძიებაა, და რაკი გამოსავალი ბევრია, ყოველი მათგანი ამა თუ იმ შესაძლებლობად იქცევა, რომელსაც ჩვენ ვირჩევთ[13]. თქმა იმისა, „ჩვენ ვარსებობთ“, იგივეა რაც „ჩვენ გარკვეულ შესაძლებლობათა სფეროში ვართ“. ამ სფეროს, ჩვეულებრივ, შესაძლებლობათა სფეროს უწოდებენ. ნებისმიერი ყოფიერება გარემოებებით, ანუ სამყაროთი განპირობებულობაა[14], გარემოებები კი სამყაროს ცნების დასაბამიერ მნიშვნელობად გვევლინებიან. სამყარო ჩვენი სასიცოცხლო შესაძლებლობების ნუსხაა; სამყარო ჩვენი ყოფიერების მიმართ რაღაც გარეგანი და უცხო როდია; ის შემადგენელი ნაწილის სახით შემოდის ჩვენს ცხოვრებაში, და, მის პერიფერიაზე მყოფი, ის არის, რაც შეიძლება ჩვენ ვიყოთ; მაშასადამე, სამყარო ჩვენი სასიცოცხლო პოტენციალია, რომელიც, თავის სარეალიზაციოდ,

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

აუცილებლად უნდა დაკონკრეტდეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ ვახერხებთ ჩვენივე შესაძლებლობების მხოლოდ მინიმალური ნაწილის რეალიზებას. ამიტომაცაა, რომ სამყარო ესოდენ გრანდიოზული გვეჩვენება, ჩვენს თავს კი ქრთილის მარცვლის ოდენად თუ აღვიქვამთ მასში. სამყარო, ანუ ჩვენივე შესაძლო არსებობა, ყოველთვის რაღაც უფრო მეტია, ვიდრე ჩვენი ბედი ან ცხოვრებაა, რომლითაც ვცხოვრობთ.

ახლა კი მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო იმას, თუ რარიგად გაიზარდა დღეს ადამიანის შესაძლებლობათა დიაპაზონი გუშინდელ დღესთან შედარებით. ინტელექტუალური მოღვაწეობის ასპარეზი დღეს გაცილებით უფრო ვრცელია, ვიდრე უწინ: დღეს მეტი პრობლემებია, მეტი სხვადასხვა მეცნიერება, მეტი სხვადასხვა აზრი. პირველყოფილ საზოგადოებაში ადამიანთა საქმიანობა შეიძლებოდა ხელის თითებზე ჩამოგეთვალათ: მწყემსი, მონადირე, მეომარი, ქურუმი. დღეს შესაძლო პროფესიათა ნუსხა გაცილებით უფრო ვრცელია. რაც შეეხება გართობას, აქ შესაძლებლობათა არჩევანი არც ისე მრავალფეროვანია, როგორც ცხოვრების სხვა სფეროებში. მიუხედავად ამისა, ქალაქში მცხოვრები ადამიანისათვის - ხოლო დღეს სწორედ ქალაქური ცხოვრება განსაზღვრავს თანადროული არსებობის თავისებურებას - გართობის შესაძლებლობა ფანტასტიკურად გაიზარდა თვით გასულ საუკუნესთან შედარებით.

თუმცა სასიცოცხლო შესაძლებლობათა ზრდა ამით როდი ამოიწურება. მათი რაოდენობა სხვა მხრივაც გაიზარდა. უთუოდ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სპორტში ჩვენ დღეს გვაქვს performances[15], რომლებიც მნიშვნელოვნად აღემატებიან წარსულის ყველა მიღწევას. საკმარისი არ არის თვალყური ადევნო მათ და აღიარო, რომ ამ რეკორდების რიცხვი უსაზღვროა; უნდა კარგად დავუკვირდეთ იმ შთაბეჭდილებას, რასაც ისინი ტოვებენ სულში, და ჩვენ დავრწმუნდებით, რომ დღეს ადამიანის ორგანიზმს აღმოაჩნდა გაცილებით მეტი უნარი, ვიდრე ოდესმე. ანალოგიურ სურათს ვხედავთ მეცნიერებაშიც. ჩვენი საუკუნე სამ ათეულ წელს თუ ითვლის, მაგრამ უკვე წარმოუდგენლად გაფართოვდა კოსმიური თვალსაწიერი. აინშტაინის ფიზიკის კანონთა მოქმედება ისეთ უზარმაზარ სივრცეებზე ვრცელდება, რომ მველ, ნიუტონისეულ ფიზიკას მხოლოდ პატარა კუთხეღა რჩება[16]. ეს ექსტენსიური ზრდა თავის წარმომავლობას მეცნიერული წინასწარხედვის ინტენსიურ ზრდას უნდა უმადლოდეს. აინშტაინის ფიზიკა ითვალისწინებს უმცირეს დიფერენციალებსაც, რომლებსაც უწინ უგულებელყოფდნენ, რადგანაც მნიშვნელობის არმქონედ მიაჩნდათ ისინი. ჯერ კიდევ გუშინ ატომი იყო უმცირესი განუყოფელი ნაწილაკი, დღეს კი ისე გაიზარდა, რომ თავისებურ პლანეტარულ სისტემად იქცა. ამას ის კი არ მალაპარაკებს, რომ ყურადღება მიგაქცევინოთ, თუ როგორ დავწინაურდით კულტურული განვითარების მხრივ, - ამჯერად ეს როდი მაინტერესებს, - არამედ მინდა ხაზი გავუსვა ადამიანის სუბიექტური პოტენციალის ზრდას, რაც ყველა ამ პროცესის შედეგად

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

გვევლინება. მე შორსა ვარ იმ აზრისაგან, თითქოს აინშტაინის ფიზიკა ნიუტონის ფიზიკაზე უფრო ზუსტი იყოს; მე მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ აინშტაინის ეპოქის ადამიანს უფრო მეტი სიზუსტისა და სულის მეტი თავისუფლების გამოვლენის უნარი შესწევს[17], ვიდრე ნიუტონის ეპოქის ადამიანს. რაღა ის და რაღა ჩემპიონი კრივში, ისეთ ზუსტ დარტყმებს რომ აყენებს მოწინააღმდეგეს, რანაირიც გუშინ თვითონ მას არც კი დაესიზმრებოდა.

კინემატოგრაფი და ილუსტრირებული ჟურნალები საშუალო ადამიანს შინვე აწვდიან ცნობებს იმის შესახებ, რაც პლანეტის ყველაზე შორეულ კუთხეებში ხდება. გაზეთებისა და საუბრების მეშვეობით ის გებულობს ინტელექტუალურ performances, მაღაზიების ვიტრინებში კი ამის ნივთიერ დასტურს - ახალ ტექნიკას ხედავს. ყოველივე ეს აღიბეჭდება მის ტვინში, და იმნაირი შთაბეჭდილება ექმნება, თითქოს ის ყოვლისშემძლე იყოს.

ამით იმის თქმა კი არ მსურს, თითქოს ადამიანის ცხოვრება დღეს უკეთესია, ვიდრე ოდესმე. მე ჯერ კიდევ არაფერი მითქვამს დღევანდელი ცხოვრების თვისებაზე; აქამდე საქმე ეხებოდა მხოლოდ მის ზრდას, მის რაოდენობრივსა თუ პოტენციალურ პროგრესს. იმედია, ასე თუ ისე, მოვახერხე, ნათლად აღმეწერა თანამედროვე ადამიანის ცნობიერება და მისი სასიცოცხლო ტონუსი, რომლის არსიც ისაა, რასაც თვითონვე გრძნობს: დღეს მის წინაშე ისახება გაცილებით მეტი შესაძლებლობა, ვიდრე გუშინ, და ამიტომაცაა, რომ ყველა წინარე ეპოქა ესოდენ უბადრუკი ეჩვენება დღევანდელობასთან შედარებით.

ეს გადახვევა იმისთვის დამჭირდა, რომ გამომევლინა მთელი უსაფუძვლობა ამ ბოლო დროს ესოდენ მომრავლებული მსჯელობებისა დღევანდელი ცხოვრების, მეტადრე, დასავლური ცხოვრების დეკადანსის შესახებ. გაიხსენეთ ჩემი არგუმენტები, რომლებიც ესოდენ მარტივი და, იმავდროულად, ესოდენ ცხადი მეჩვენება. ჯერ უნდა დავაზუსტოთ, მაინც რა „ეცემა“, და მხოლოდ შემდეგ ვილაპარაკოთ დაცემაზე. იქნებ ეს პესიმისტური სიტყვა კულტურას მიემართება? ნუთუ ევროპული კულტურა მართლა დეკადანსს განიცდის? ან იქნებ ევროპის ნაციონალურ ინსტიტუტებს უდგას დაცემის პერიოდი? დავუშვათ, რომ ასეა. განა ეს საკმარისია, რომ მთელი ევროპული ცხოვრების დეკადანსზე ვილაპარაკოთ? არამც და არამც. დაცემა, შესაძლოა, შეეხო კულტურას, ერებს, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ევროპული ცხოვრების სხვადასხვა მხარეს; შეეხო მხოლოდ ისტორიული ყოფის მეორეულ ელემენტებს. მთელი ევროპული ცხოვრების დეკადანსზე კი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგვიძლია ვილაპარაკოთ, თუ ხელთა გვაქვს ევროპელთა სიცოცხლისუნარიანობის შესუსტების ეჭვშეუვალი ფაქტი. ამიტომაც შევჩერდი იმ მოვლენის ანალიზზე, რომელსაც, ჩვეულებრივ, უყურადღებოდ ტოვებენ: სახელდობრ, გარკვეული ისტორიული ეპოქის ადამიანთა მიერ ცხოვრების დონის შეგრძნებისა თუ გაცნობიერების ფაქტზე.

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

სწორედ ამიტომ ჩამოვარდა სიტყვა „არსებობის სისავსეზე“, რასაც განიცდიან ერთი ეპოქის ადამიანები მეორე ეპოქის ადამიანებთან შედარებით; თავიანთი არსებობის „სიმწირის“ შემგრძნობთ ისეთი განცდა აქვთ, თითქოს თვალშეუდგამი სიმაღლიდან ჩამოვარდნენ და უკან მოიტოვეს თვალისმომჭრელად მოელვარე „ოქროს საუკუნე“. ჩემი მსჯელობა იმით დავასრულე, რომ ყურადღება გავამახვილე ჩვენი ეპოქის ერთ თვალში საცემ ნიშანზე, ეპოქისა, რომელიც იმის პრეტენზიასაც აცხადებს, რომ თვითონ უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე მთელი ისტორიული წარსული; მეტიც, ის ხელაღებით წყვეტს ძაფებს, რომლებიც ნამყოსთან აკავშირებენ და არა სცნობს არავითარი ნორმატიული თუ კლასიკური ეპოქის არსებობას. დღეს ყველა გრძნობს, რომ ჩვენი ცხოვრება ახალი ცხოვრებაა, რომ ის არსებობის ყველა უწინდელ მოდუსზე მაღლა დგას და მათზე არ დაიყვანება.

ამ თავისებურებათა გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია მართებულად დაახასიათო ჩვენი დროება. ისეთი განცდა რომ გვქონდეს, თითქოს დეკადანსის ეპოქაში ვცხოვრობთ, მაშინ ჩვენ გვეგონებოდა, რომ წარსულის დონე აწმყოზე მაღალი იყო, რაც ნამყოთი ჩვენს აღტაცებას, მის გაღმერთებას გამოიწვევდა და სახელმძღვანელოდ გაგვიხდიდა იმ პრინციპებს, რომლებსაც ძველად მისდევდნენ; მაშინ დღემდე შემოგვრჩებოდა ნათელი და წარუვალი იდეალები, თუნდაც მათი განხორციელების არავითარი საშუალება არა გვქონოდა. მაგრამ ჭეშმარიტება დიამეტრულად უპირისპირდება ამნაირ განცდას; ჩვენ ვცხოვრობთ სისხლსავსე ეპოქაში, როცა ადამიანი გრძნობს თავის ზღაპრულ შესაძლებლობებს, ხარბად მიელტვის მოქმედებასა თუ მოღვაწეობას, მაგრამ არ იცის, რას მოახმაროს თავისი ძალა. მან დაიმორჩილა არა ერთი და ორი მოვლენა, მაგრამ თავისი თავის ბატონ-პატრონი მაინც ვერ გახდა. ამიტომაც ისეთი შეგრძნება აქვს, თითქოს სამყაროში დაკარგულია და თავისი უსაზღვრო შესაძლებლობებით დათრგუნვილი. მიუხედავად იმისა, რომ დღეს გაცილებით მეტი საშუალებები, მეტი ცოდნა, მეტი ტექნიკური მიღწევები გვაქვს წარსულთან შედარებით, ადამიანები მაინც უფრო უბედურად გრძნობენ თავს, ვიდრე ოდესმე: წყალწაღებულთ ნაფოტივით მიატივტივებს ცხოვრების მდინარება.

აქედან - ქედმაღლობისა და დათრგუნვილობის ეს უცნაური ნაზავი, ჩვენი თანამედროვის მუდმივი ტანჯვა-წამების, სულიერი სალმობის წყარო. თანამედროვე ადამიანზე შეიძლება იგივე ითქვას, რასაც ამბობდნენ რეგენტზე ლუი XV-ის ბავშვობისას: მას აქვს მრავალმხრივი ნიჭი გარდა ერთისა: არ იცის, როგორ მოიხმაროს თავისი ნიჭიო. XIX საუკუნის ადამიანებს ურყევად სწამდათ პროგრესი და დარწმუნებულნი იყვნენ იმაში, რომ ბევრი რამ უკვე აღარ შეიძლებოდა მომხდარიყო. ჩვენ კი, სწორედ იმიტომ, რომ ყველაფერი შესაძლოდ მიგვაჩნია, ისეთი წინათგრძნობა გვაქვს, რომ შეიძლება ყველაზე უარესიც მოხდეს: წარსულისაკენ მიქცევა, ბარბაროსული მდგომარეობისაკენ მიბრუნება, დაცემა[18]. ასე

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

გვეკარგება თვითრწმენა თუ თავდაჯერებულობა, ასე იქცევა დათრგუნვილობა ნებისმიერი სიცოცხლის არსად, ხალისიან განწყობილებას ჩვენს სულში მეყვსეულად ენაცვლება პირქუში სევდა, და ჩვენ ვცდილობთ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, მთელი სავსებით განვიცადოთ ყოველი დღე, ჩვენი არსებობის ყოველი პაწაწინა, უმწეო და უკუნის ზღვარზე მოცახცახე სხივივით მთრთოლავი წამი. ჩვენ ყოველნაირად თავს ვარიდებთ ეპოქის საშინელ პულსს, მის მფეთქავ მაჯასთან შეხებას, მტაცებლის კლანჭებში გათანგული მსხვერპლის გულივით რომ კანკალებს. ძალიან გვინდა როგორმე გამოვიმუშავოთ იმუნიტეტი ჩვენი სასტიკი, უკიდურესად დრამატული ბედის მიმართ, და ვცდილობთ ათასნაირი ჩვეულების, ადათ-წესებისა თუ ბანალობის ქლოროფორმით გავყინოთ და, შეძლებისდაგვარად, დავამუხრუჭოთ მისი ტრიალი. უკანასკნელი სამი საუკუნის მანძილზე პირველად გვანცვიფრებს ის გარემოება, რომ არ შეგვიძლია ვიცოდეთ, რას გვიმზადებს ხვალინდელი დღე. ეს განცვიფრება მე კეთილისმყოფელი გრძნობა მგონია. როგორც ჩანს, ნებისმიერი ადამიანისათვის, სერიოზულად და პასუხისმგებლობის გრძნობით რომ ეკიდება თავისი არსებობის ფაქტს, ნიშნეულია თვითრწმენის ეს უქონლობა, რაც აიძულებს, თვალი მუდამ ფხიზლად ეჭიროს. გუშაგს რომ თვლემა არ მორეოდა და ფხიზლად ყოფილიყო, რომაელ ლეგიონერთა მეთაური აიძულებდა, ბაგესთან მიტანილი სჭეროდა საჩვენებელი თითი. მე მომწონს ეს ჟესტი: ესაა ღამეული, მდუმარებისადმი მიმართული ვედრება, უფრო მეტი სიჩუმე იყოსო, რათა კაცს შესაძლებლობა ჰქონოდა სმენით აღექვა დიადი იდუმალება: როგორ ისახება მერმისი.

„სიუხვის“ ეპოქის, მაგალითად, XIX საუკუნის ადამიანისათვის ნიშნეული თვითრწმენა ოპტიკური ილუზიაა, რაც აიძულებს მას არ იფიქროს მომავალზე და სამყაროულ მექანიკას მიანდოს იგი. როგორც პროგრესულ ლიბერალიზმს, ისე მარქსის სოციალიზმსაც ჰგონია, რომ დედამიწაზე, ასტრონომიული მოვლენის გარდაუვალობით, აუცილებლად დადგება ნათელი მომავალი. რაკიღა ადამიანებმა საშუალება მისცეს ამ იდეას, გონება დაებნელებინა მათთვის, ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ მათ ხელიდან გაუშვეს ისტორიის სადავე, მთლიანად დაკარგეს სიფხიზლის გრძნობა, აღარც ძალა შერჩათ და აღარც უნარი, ასე რომ, ცხოვრება ხელიდან დაუსხლტათ და უარი განაცხადა მათ მორჩილებაზე. და, ახლა, უსაქმოდ დაეხეტება თავისუფალი, და აღარ იცის, რა გზას დაადგეს. კეთილშობილი წინასწარმხედველის ნიღაბს ამოფარებული პროგრესის მომხრე საერთოდ არ ფიქრობს მომავალზე, რადგანაც დარწმუნებულია, რომ მერმისისაგან არც რაიმე იდუმალი მოვლენაა მოსალოდნელი, არც რაიმე სიურპრიზი, არც არსებითი სიახლე, არც ბედის მკვეთრი ცვალებადობა. დიახ, ის დარწმუნებულია, რომ პროგრესი სწორხაზოვნად მიგელავს, რომ მისთვის სრულიად უცხოა მიხვეულ-მოხვეული გზით სიარულიც და უკან შემობრუნებაც. ამიტომაც გულში იხშობს ყოველგვარ მღელვარებას მომავლის გამო და მტკიცედ

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

მკვიდრდება აწმყოში. არ უნდა გვიკვირდეს, რომ დღევანდელ მსოფლიოში ესოდენ ცოტაა პროექტები, ვარაუდები და იდეალები: ვინღა იტკივებს თავს მათზე ფიქრით? მმართველი უმცირესობა დეზერტირივით გამოიპარა ბრძოლის ველიდან, როგორც ეს ხდება ყოველთვის, მასების ამბოხებისას.

ახლა კი დროა კვლავ მივუბრუნდეთ „მასების ამბოხის“ თემას. მას შემდეგ, რაც მასების ამბოხების სასიკეთო შედეგებზე შევაჩერეთ ყურადღება, და პრობლემის ციცაბო ფერდზე ავბობღდით, მოდით, ახლა მეორე, უფრო სახიფათო ფერდიდან ვცადოთ დაშვება.

V

სტატისტიკის ერთი ფაქტი

ამ ესსეში ჩვენ ვცდილობთ დიაგნოზი დავუსვათ ჩვენს დროს, ჩვენს ახლანდელ ცხოვრებას. ამ დიაგნოზის პირველი ნაწილი შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: ჩვენი ცხოვრება ჩვენივე შესაძლებლობების კატალოგია და ამიტომაცაა ესოდენ გასაოცარი და მრავალსახოვანი. ის ისტორიაში ცნობილ ყველა სხვა ცხოვრებაზე უმჯობესია. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ დღეს ცხოვრების მდინარე უფრო წყალუხვია, ვიდრე ოდესმე, ის ყველა ტრადიციული პრინციპის, ნორმისა თუ იდეალის კალაპოტიდან გადმოვიდა, საერთოდ აღარ შეესაბამება ჭეშმარიტი ცხოვრების ჩვენეულ წარმოდგენას და ამიტომაც გვაყენებს ამდენი ახალი ამოცანის წინაშე. ჩვენი ცხოვრება უკვე აღარ შეიძლება ორიენტირებული იყოს წარსულის მიმართ[19], მას თავისი საკუთარი ბედი უნდა ჰქონდეს.

ახლა კი, მოდით, ჩვენი დიაგნოზი შევავსოთ. ყოფიერება, უწინარეს ყოვლისა, ყოფიერების შესაძლებლობაა, და ამიტომაც გულისხმობს შესაძლებლობათა არჩევანს. გარემოებანი და გადაწყვეტილების ძიებანი, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენი შესაძლებლობანი, - აი, რისი რეალიზება გვმართებს ცხოვრებაში. ისინი შეადგენდნენ იმას, რასაც სამყაროს ვეძახით. ადამიანი თვითონვე როდი ირჩევს მას. ცხოვრობდე, ნიშნავს იმყოფებოდე ამა თუ იმ მოცემულ სამყაროში: სწორედ იმნაირ სამყაროში, რანაირადაც ის გვევლინება დღეს. ჩვენი სამყარო აუცილებლობაზეა დამოკიდებული, რომელიც განსაზღვრავს ჩვენს ცხოვრებას, მაგრამ ეს სასიცოცხლო აუცილებლობა არაფრით არ ჰგავს მექანიკის კანონზომიერებას; ამიტომაც ჩვენი ცხოვრების გზას ვერ გავუიგივებთ თოფიდან გასროლილი ტყვიის ტრაექტორიას. ამ სამყაროში ჩვენი აუცილებლობა და გარდაუვალობა, რაც იმაში ვლინდება, რომ ჩვენ ვიმყოფებით სწორედ ამ სამყაროში და დროის სწორედ ამ მომენტში, - ის გახლავთ, რომ ერთი კი არა, რამდენიმე გზა გვეძლევა. ჩვენ იძულებულნი ვართ... ამოვირჩიოთ. განსაცვიფრებელი პირობა, რომელსაც ცხოვრება გვკარნახობს! დიახ, ცხოვრება გვაიძულებს გარდუვალად თავისუფალნი ვიყოთ, ესე იგი, გამუდმებით ვირჩევდეთ ამქვეყნად ჩვენი ქმნადობის გზებს. ამ გზების ძიება

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

არ შეიძლება თუნდ ერთი წამით შეწყდეს. თვით მაშინაც კი, როცა სასოწარკვეთილთ აღმოგვხდება: „რაც იქნება, იქნებაო“, ჩვენ არჩევანის უარყოფის გზას ვირჩევთ.

ამიტომაც სწორი არ იქნება იმის თქმა, რომ „ცხოვრებაში ყველაფერს გარემოებები წყვეტენ“; პირიქით, გარემოებები ის დილემაა, რომელიც გამუდმებით დგება ჩვენს წინაშე, და ჩვენ იძულებულნი ვართ ასევე გამუდმებით ვეძებდეთ მისი გადაჭრის გზებს. საბოლოო ანგარიშით, ყველაფერი ადამიანზე და მის ხასიათზეა დამოკიდებული.

იგივე შეიძლება ითქვას საზოგადოების ცხოვრებაზედაც. აქაც ასევე არსებობს შესაძლებლობათა ჰორიზონტიც და გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობაც, რაც განსაზღვრავს კოლექტიური არსებობის მოდუსს. ეს გადაწყვეტილება საზოგადოების ხასიათზეა დამოკიდებული, ანუ, იმ ადამიანთა ტიპზე, რომლებიც მასში ჭარბობენ. დღეს ჭარბობს „ადამიანი-მასა“, ამიტომ გადაწყვეტილებასაც სწორედ ის იღებს. ნუ ეცდებით დამარწმუნოთ იმაში, რომ ამას უკვე ჰქონდა ადგილი ეგრეთწოდებულ საყოველთაო არჩევნების დემოკრატიულ ეპოქაში. მაშინ მასები კი არ წყვეტდნენ საზოგადოების ბედს, პირიქით, ამა თუ იმ უმცირესობის აზრს უერთდებოდნენ, უმცირესობისა, რომელიც წამოაყენებდა წინასაარჩევნო „პროგრამებს“ - რა დიდებული სიტყვაა! - იმავდროულად, საზოგადოების პრობლემებადაც რომ გვევლინებოდნენ. ეს პროგრამები მასას მოუწოდებდნენ, მიეღო ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრის პროექტი.

დღეს სრულიად სხვა პროცესის მოწმენი ვართ. თუ დავუკვირდებით ხმელთაშუა ზღვისპირეთის ქვეყნების საზოგადოებრივ ცხოვრებას, ქვეყნებისა, რომლებიც ცხოვრების ყველა სფეროში მასების მძლავრობის თვალსაჩინო ნიმუშად გვევლინებიან, განცვიფრებულნი დავინახავთ, რომ ისინი, პოლიტიკური თვალსაზრისით, დღევანდელი დღით ცხოვრობენ. მართლაც რომ განსაცვიფრებელი მოვლენაა! საზოგადოებრივი ძალაუფლება მასების წარმომადგენელთა ხელშია, და თანაც, ეს ძალაუფლება იმდენად ძლიერია, რომ ჩანასახშივე აშთობს ოპოზიციის ყოველნაირ შესაძლებლობას. სწორედ ისინი არიან საზოგადოებრივი ძალაუფლების ბატონ-პატრონნი, და ეს ბატონობა იმდენად ერთპიროვნულია, რომ ისტორიაში ალბათ არც მოიძებნება ესოდენ ძლიერი ხელისუფლების სხვა მაგალითი. და მაინც მთავრობაც და საზოგადოებრივი ხელისუფლების ყველა ინსტიტუტიც მხოლოდ დღევანდელი დღით ცხოვრობენ; მათ არ გააჩნიათ მომავლის ნათელი პროგრამა, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რას მოიმოქმედებენ ისინი ხვალ. მოკლედ, ისე ცხოვრობენ, რომ არავითარ გეგმებს არ აწყობენ, და არც არავითარი მკაფიოდ ჩამოყალიბებული სამოქმედო პროგრამა არ გააჩნიათ. არ ვიცით, სად მიგვიყვანენ ძალები, რომელთა ხელშიცაა პოლიტიკური ძალაუფლება, რადგანაც ისინი არსადაც არ მიდიან; ჩვენ წინაშე არ არის არავითარი გზა, რომლის წინასწარ განსაზღვრაც, ასე თუ ისე, შესაძლებელი იყოს. როცა პოლიტიკური ძალაუფლების წარმომადგენელნი თავიანთი მოღვაწეობის გამართლებას

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

შეძენილია ელ. წიგნების ონლაინ მაღაზიაში iBooks.ge

ცდილობენ, ისინი გასაოცარი გულახდილობით ამტკიცებენ: „ვაღიარებთ, რომ ჩვენი მმართველობა ძალზე შორსაა იდეალისგან, მაგრამ რას ვიზამთ, ასე მოიტანა გარემოებამ; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხელისუფლების სათავეში მათი მოსვლა შეიძლება შორს გამიზნული გეგმებით კი არა, მომენტის მოთხოვნებით იქნას ახსნილი. ამიტომ მათი მოღვაწეობაც მხოლოდ იმით შემოიფარგლება, რომ საერთოდ არ აპირებენ გადაჭრან ის პრობლემები, რომლებსაც მათ წინაშე გამუდმებით აყენებს ყოველდღიური ცხოვრება, არამედ ცდილობენ ნებისმიერი საშუალებით თავი აარიდონ მათ გადაწყვეტას, თუმცა ყველაფრის სამერმისოდ გადადებისა და მედღეხვალიობის წყალობით, მხოლოდ ერთმანეთზე ახვავებენ ამ გადაუჭრელ პრობლემებს. პოლიტიკური ძალაუფლება ყოველთვის ასეთი იყო, როცა ის მასების ხელში გადადიოდა: ყოვლისმომცველი და ეფემერული. „ადამიანი-მასა“ იმით გამოირჩევა, რომ ნაფოტივით მიჰყვება დინებას და მომავლის გეგმებს არ აწყობს. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ უზარმაზარი ძალისა და შესაძლებლობის პატრონია, ცხოვრების არც ერთ სფეროში შემოქმედებითი საქმიანობის უნარი არ შესწევს.

და დღეს ეს ადამიანი წყვეტს ყველაფერს. მოდით, დავუკვირდეთ მისი ხასიათის თავისებურებებს.

ამ ამოცანის გადასაწყვეტად ჩვენი მსჯელობის დასაწყისს უნდა მივუბრუნდეთ და პასუხი გავცეთ კითხვას: საიდან მოვიდნენ ეს ბრბოები, ისტორიის არენას რომ მიაშურეს და ისეთნაირად გაჭედეს იგი, რომ ნემსის ჩასავარდნი ადგილიც აღარსადაა?

რამდენიმე წლის წინათ დიდმა ეკონომისტმა ვერნერ ზომბერტმა ყურადღება მიაქცია ერთ ძალზე უბრალო ფაქტს, რომელიც უნდა ახსოვდეს ყველას, ვინც თანამედროვე ცხოვრების პრობლემებს იკვლევს. თავისთავად ეს მარტივი ფაქტიც საკმარისია, რათა ჩვენთვის აშკარა გახდეს, რამ გამოიწვია დღევანდელ ევროპაში ამნაირი სიტუაცია; თუმცა საკმარისიც რომ არ იყოს, იმ გზაზე მაინც დაგვაყენებს, რომელსაც ამ პრობლემის გაგებისაკენ მივყავართ. აი, ეს ფაქტიც: ევროპის ისტორიის დასაწყისიდან, ესე იგი, VI საუკუნიდან მოყოლებული, 1800 წლამდე, ანუ მთელი თორმეტი საუკუნის მანძილზე, ჩვენი კონტინენტის მოსახლეობის რაოდენობა 180 მილიონს არ აღემატებოდა. 1800-დან 1914 წლამდე კი, ესე იგი, საუკუნეზე ცოტა მეტი ხნის განმავლობაში, ამ რიცხვმა 400 მილიონს მიაღწია! როგორც ხედავთ, განსხვავება ამ რიცხვებს შორის სრულიად უეჭველსა ხდის XIX საუკუნეში გამრავლების უნარის უჩვეულო ზრდას. სამი თაობის მანძილზე ქვეყნიერებას მოევლინა უზარმაზარი ბრბო, რომელმაც ლამის ყველაფერი წალეკა თავის გზაზე და ზვავივით გადათქერა მთელი ისტორიული სივრცე. ვიმეორებ, მარტო ეს ფაქტიც საკმარისია, რომ ჩვენთვის გასაგები შეიქნეს მასების აღზევების მიზეზი და ამ მოვლენის ყველა რეზულტატი. მეორეს მხრივ, იგივე ფაქტი კიდევ ერთი და თანაც ყველაზე კონკრეტული შესაკრების

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

სახით უნდა მივუმატოთ იმ მოვლენების ჯამს, რომლებიც ასახავენ ზემოხსენებულ ცხოვრების დონის მატებას.

იმავდროულად, ამ სტატისტიკური მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რაოდენ უსაფუძვლოა ჩვენი განცვიფრება, რომელიც გვეუფლება ახალგაზრდა ქვეყნების მოსახლეობის უჩვეულო ზრდის კონსტატაციისას, ჩვენს განცვიფრებას იწვევს ის გარემოება, რომ, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში სულ რაღაც ასი წლის მანძილზე მოსახლეობის რიცხვმა ას მილიონს მიაღწია, მაშინ როდესაც გაცილებით უფრო განსაცვიფრებელია მოსახლეობის ზრდა ევროპაში. აი, კიდევ ერთი საბუთი, რომელიც თვალნათლივ გვიჩვენებს იმ მტკიცების უსაფუძვლობას, თითქოს ევროპა ამერიკანიზაციას განიცდიდეს. არა, ეს ასე არ არის. გასული საუკუნის მანძილზე მოსახლეობის რაოდენობა ევროპაში გაცილებით უფრო გაიზარდა, ვიდრე ამერიკაში. თანაც ეს ზრდა ამერიკაში ევროპელ მიგრანტთა ხარჯზე მოხდა.

მართალია, ვერნერ ზომბარტის მიერ მოტანილ რიცხვებს უფრო ნაკლები ყურადღება ექცევა, ვიდრე ისინი იმსახურებენ, შეცდომა იქნებოდა ევროპაში მოსახლეობის მათემატიკური ზრდით აგვეხსნა ყველაფერი, რაც ახლა ხდება. ეს ცნობები მხოლოდ იმდენად მაინტერესებს, რამდენადაც თვალნათლივ გვიჩვენებენ მოსახლეობის მატების ფაქტსა და, უწინარეს ყოვლისა, ამ მატების თავბრუდამხვევ ტემპს. ისტორიის არენაზე ხალხთა მასების ეს ვულკანური ამოფრქვევა ისეთი გამაოგნებელი სიჩქარით მოხდა, რომ დრო აღარ დარჩა ტრადიციული კულტურის ფასეულობებს გვეზიარებინა ისინი.

დღევანდელი საშუალო ევროპელი, ერთის მხრივ, მეტი სულიერი სიჯანსაღით გამოირჩევა, მეორეს მხრივ კი - უფრო პრიმიტიული სულიერი ორგანიზაციით. ამიტომაც ხანდახან პირველყოფილი ველურის შთაბეჭდილებას ახდენს ჩვენზე, მოულოდნელად რომ გამოტყვრა სადღაც ჯუნგლებში კი არა, ერთ-ერთი უძველესი ცივილიზაციის წიაღში. სწორედ იმ სკოლაში, რომლითაც ასე ამაყობდა გასული საუკუნე, შეგირდების სულს კი არ წვრთნიდნენ, არამედ თანამედროვე არსებობისათვის აუცილებელ საშუალებათა ფლობის ჩვევებს უნერგავდნენ მათ. ბავშვებს ასწავლიდნენ, როგორ გაეტარებინათ უფრო ინტენსიურად მთელი თავიანთი სიცოცხლე, მაგრამ არ ამზადებდნენ დიად ისტორიულ ამოცანათა გადასაჭრელად. მათ აიძულებდნენ ეამაყათ ცივილიზაციის მიღწევებით და დაუფლებოდნენ თანამედროვე ტექნიკას, მაგრამ არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ სულის აღზრდას. ამიტომ ჩვენს თანამედროვეს საერთოდ აღარ აინტერესებს სულიერი ფასეულობანი. ახალი თაობის წარმომადგენლები მზად არიან დღესვე შეუდგნენ ქვეყნის მართვას, თითქოს ის პირველქმნილი ედემის ბაღი იყოს, სადაც ადამიანს ჯერ კიდევ არ დაუდგამს ფეხი, და არა დიდი ხნის წინათ მომწიფებული და ძნელად გადასაჭრელი პრობლემებით სავსე შამბნარი.

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

ამრიგად, სწორედ XIX საუკუნეს ეკუთვნის ეს პატივი. სწორედ მას ეკისრება პასუხისმგებლობა ისტორიის ზედაპირზე უზარმაზარი ბრბოების ვულკანური გამოფრქვევისათვის. მაშასადამე, თუ გვინდა სწორად განვიხილოთ გასული საუკუნის მნიშვნელობა კაცობრიობის ისტორიაში, სწორედ ამ მოვლენის პრიზმიდან უნდა განვიხილოთ იგი. როგორც ჩანს, რაღაც უჩვეულო, რაღაც უნიკალური იყო თვით იმ დროის ატმოსფეროში, რაკიღა მან შესძლო მოეცა ადამიანთა ესოდენ უხვი მოსავალი. სასაცილო და მიუტევებელი თავქარიანობა იქნებოდა, უპირატესობა მიგვენიჭებინა ამა თუ იმ ეპოქის სახელმძღვანელო პრინციპებისთვის, ვიდრე არ შევძლებდით დაგვემტკიცებინა, რომ მაშინაც ესმოდათ ამ მოვლენის აზრი და მნიშვნელობა. კაცობრიობის მთელი ისტორია გიგანტურ ლაბორატორიად წარმოგვიდგება, სადაც ტარდება ათასნაირი ექსპერიმენტი საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმულის მისაღებად, რომელიც ხელს შეუწყობდა იმ მცენარის ზრდას, „ადამიანი“ რომ ჰქვია სახელად. ნებისმიერი სხვა განმარტების თავიდან ასაცილებლად, სახელდახელოდ შემოგთავაზებთ ამ ექსპერიმენტთა მნიშვნელობის ჩვენეულ გაგებას: „ადამიანის“ ჩითილებს ორნაირი სასუქით - ლიბერალური დემოკრატიითა და ტექნიკის გაფეტიშებით რომ გავანაყოფიერებთ, სულ რაღაც ერთი საუკუნის მანძილზე შეიძლება სამმაგად გავზარდოთ „ადამიანეულის[20]“ მოსავალი ევროპაში.

თუ ჯერ კიდევ შეგვრჩენია საღი აზრი, მოსახლეობის ესოდენ სწრაფი ზრდის ფაქტმა შემდეგ დასკვნამდე უნდა მიგვიყვანოს: ჯერ ერთი, ტექნიკის გაფეტიშებამდე დაფუძნებული ლიბერალური დემოკრატია საზოგადოებრივი ცხოვრების უკეთესი ვარიანტია, რაც კი საერთოდ ცნობილია ისტორიაში: მეორეც, ის, რა თქმა უნდა, არ გვევლინება ადამიანთა თანაარსებობის ყველაზე სრულყოფილ ფორმად, მაგრამ თუ მოვინდომებთ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე უკეთესი ვარიანტი წარმოვიდგინოთ, მასში რაღაც არსებითი მაინც უნდა დარჩეს ამ ორი პრინციპიდან; მესამეც, კოლექტიური თვითმკვლელობა იქნებოდა ნებისმიერი მიბრუნება ცხოვრების იმ ფორმების მიმართ, რომლებიც წინ უსწრებდნენ XIX საუკუნეს. თუ ვაღიარებთ, რომ ყველა ეს არგუმენტი თავისთავადაც ცხადია, ზუსტად ისევე, როგორც ზემოხსენებული მოვლენის სიცხადე ვაღიარეთ, მე მოგიწოდებთ აღვიძრათ XIX საუკუნის წინააღმდეგ. ეჭვს გარეშეა, მასში იყო რაღაც უჩვეულო და უნიკალური, მაგრამ არანაკლებ უეჭველია ისც, რომ მისთვის ნიშნეული იყო ერთგვარი დასაბამიერი ბიწიერება, რაღაც უკურნებელი და თანდაყოლილი დეფექტები, რაკიღა შესძლო კაცთა სრულიად ახალი ჯიში - ადამიანური მასა გამოეყვანა, განადგურებას რომ უქადის თვით იმ პრინციპებს, რომლებმაც არსებობისათვის გამოიწვიეს იგი. რაკიღა სწორედ ადამიანთა ამ ტიპს უწევს საბოლოო გადაწყვეტილების მიღება (რა თქმა უნდა, თუ ის კვლავაც იმბრძანებლებს ევროპაში), როგორც ჩანს, საკმარისი იქნება უახლოესი ოცდაათი წელი, რათა ჩვენ კვლავ დავუბრუნდეთ ბარბაროსობის მდგომარეობას. ტექნიკის

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

უკანასკნელი სიახლენი და იურისპრუდენციის უახლესი მიღწევები ისევე სწრაფად გაქრებიან, როგორც ქრებოდნენ და კვლავაც ქრებიან წარმოების საიდუმლოებანი[21]. შესაძლებლობათა დღევანდელი ფართო არჩევანი მკვეთრად შეიზღუდება, მათი რაოდენობა შემცირდება, უწინდელი ძალმოსილება უბადრუკ უმწეობად იქცევა, ცხოვრება საბოლოოდ დაქვეითდება, დაილევა და დაიწრიტება. მასების ამბოხი იმ მოვლენის ანალოგია, რომელსაც რატნომ „ბარბაროსების დაუოკებელი შემოსევა“ უწოდა, ამიტომაცაა ესოდენ არსებითი „ადამიანი-მასის“ ყოველმხრივი, ამომწურავი დახასიათება; ამ არსებას ხომ უნარი შესწევს როგორც ყველაზე დიდი სიკეთის ქმნის, ისე ყველაზე დიდი ბოროტებისაც.

VI

ადამიანი-მასა: ანატომიური ჭრილი

მაინც რა განასხვავებს ადამიან-მასას, რომელიც დღეს განაგებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველგვარ გამოვლენას, როგორც პოლიტიკური, ისე არაპოლიტიკური ხასიათისას? რატომაა ისეთი, როგორიც არის? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორ წარმოიშვა იგი? უმჯობესია ერთბაშად ვუპასუხოთ ორივე კითხვას, ვინაიდან ისინი ურთიერთდაკავშირებულნი არიან. ადამიანი, რომელიც დღეს ცდილობს სათავეში ჩაუდგეს ევროპულ ცხოვრებას, ბევრი რამით განსხვავდება ადამიანთა იმ ტიპისაგან, რომელიც მბრძანებლობდა XIX საუკუნეში, თუმცა მის მოვლინებას ამ ქვეყნად გასულმა საუკუნემ მოუმზადა ნიადაგი. 1820-შიც, 1850-შიც და 1880-შიაც ნებისმიერ შორსმჭვრეტელ კაცს, უმარტივეს აპრიორულ მსჯელობაზე დაყრდნობით, შეეძლო ეწინასწარმეტყველებინა ახლანდელი კრიზისული სიტუაცია. დღეს არაფერი ისეთი არა ხდება, ასი წლის წინათ რომ არ იყოს ნაწინასწარმეტყველები. „მასები შეტევაზე გადმოდიან“ - აპოკალიპტური ტონით გვაფრთხილებდა ჰეგელი. „თუ ჩვენი რევოლუციური ეპოქა დასაბამს არ დაუდებს ახალ სულიერ ძალას, კატასტროფა გარდაუვალია“, - წინასწარმეტყველებდა ოგიუსტ კონტი. „ვხედავ ნიჰილიზმის მოქცევას“ - გაიძახოდა ულვაშა ნიცშე, ენგადინის ქარაფზე მდგარი. სწორი არ იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ისტორიის წინასწარმეტყველება შეუძლებელია; აკი მისი მსვლელობა რამდენჯერ იქნა ნაწინასწარმეტყველები. წინასწარმეტყველება მყოფადში რომ არ იხედებოდეს, შეუძლებელი იქნებოდა მისი გაგება, როცა ის აწმყოში გადადის და ნამყოდ იქცევა. აზრი, რომლის თანახმადაც ისტორია წარსულისკენ მიმართავს თავის წინასწარმეტყველებას, ისტორიის მთელი ფილოსოფიის შემცველია. რა თქმა უნდა, მომავლის მხოლოდ ზოგადი კონტურები თუ შეიძლება ვიწინასწარმეტყველოთ. მაგრამ განა ამასვე არ ვხედავთ აწმყოშიც და წარსულშიაც? ამიტომ, თუ გინდათ სწორად გაიგოთ მთელი ეპოქა, გარკვეული დისტანციიდან უნდა

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

შეხედოთ მას. მაინც რანაირი დისტანციიდან? იმნაირიდან, რომ დაინახოთ კლეოპატრა, მაგრამ ვერ გაარჩიოთ მისი ცხვირი.

რა განასხვავებს ბრბოის ადამიანის ცხოვრებას, ბრბოისა, XIX საუკუნეში რომ წარმოიშვა და მას შემდეგ სულ უფრო და უფრო იზრდება? ჯერ ერთი, ის, თუ რა ადვილად წყვეტს ბრბოის კაცი ყველა მატერიალურ პრობლემას. ადრე საშუალო ადამიანს ნამდვილად არ შეეძლო ასე ადვილად გადაეჭრა თავისი ეკონომიკური პრობლემები. იმისდა კვალად, რაც უფრო მეტად მცირდებოდა მდიდრების ქონება, ხოლო წარმოებაში დასაქმებული მუშის ცხოვრება სულ უფრო და უფრო მძიმე ხდებოდა, ბრბოის ადამიანის კეთილდღეობა, მიუხედავად იმისა, თუ რომელ საზოგადოებრივ კლასს ეკუთვნოდა იგი, განუხრელად იზრდებოდა. ყოველი დღე ახალ ზედმეტობას ჰმატებდა იმ სიკეთეთა სიას, რასაც ბრბოის კაცს სთავაზობდა მისი ცხოვრების დონე. დღითი-დღე ის სულ უფრო აშკარად გრძნობდა თავს მდგომარეობის ბატონ-პატრონად, სულ უფრო და უფრო ნაკლებ დამოკიდებული ხდებოდა სხვების აზრზე. რაც უწინ ბედის წყალობად ითვლებოდა და რისთვისაც მუხლმოდრეკით მადლობას უთვლიდნენ ზეცას, დღეს უკვე უფლებად იქცა, რასაც მადლიერების გრძნობით კი არ იღებენ, არამედ მოითხოვენ.

1900 წლიდან მოყოლებული, მუშაც იწყებს თავისი მატერიალური მდგომარეობის თანდათან გაუმჯობესებას. მაგრამ ამისათვის მას ბრძოლა სჭირდება. სახელმწიფო და საზოგადოება, ორგანიზაციის ეს სასწაულნი, მას მაინც არ აძლევენ იმნაირი უზრუნველი არსებობის საშუალებას, რითაც თავისუფლად სარგებლობს ბრბოის კაცი, არსებობის ამ ეკონომიკურ უზრუნველყოფას დაუმატეთ საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების გარანტიებიც. და, აი, ცხოვრება უკვე გატკეპნილი გზით მიგორავს. ასე რომ, მასში, ალბათ, გამორიცხულია რაიმე სახიფათო და მოულოდნელი. ესოდენ იოლი და თავისუფალი არსებობის შედეგად მასაში თანდათანობით იზრდება შეგრძნება, რომელიც შეიძლება გამოხატულ იქნეს ჩვენი ძველი ხალხის ფრთიანი სიტყვით: „ვრცელია ჩვენი კასტილია“, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ცხოვრება, თავის ყველა გამოვლენაში, ადამიან-მასას წარმოუდგება როგორც ყოველგვარი აკრძალვისა თუ აღკვეთისაგან თავისუფალი. ამ მოვლენის მნიშვნელობა გასაგები გახდება ჩვენთვის, თუ გავიხსენებთ, რომ წარსულის ჩვეულებრივი „საშუალო“ ადამიანისათვის სრულიად უცხო იყო არსებობის ამნაირი სიიოლის შეგრძნება, პირიქით, ცხოვრება მისთვის სვედავსილობის სინონიმი იყო, როგორც ეკონომიკური, ისე ფიზიკური თვალსაზრისითაც. A nalivitale[22] ის განიცდიდა თავის არსებობას როგორც ათასნაირი აკრძალვის მძიმე ტვირთს, რომელიც თვითონ უნდა ეტარებინა, და მისთვის არ არსებობდა სხვა არჩევანი, გარდა იმისა, რომ შეჰგუებოდა ამ სიმძიმეს და უფრო მარჯვედ მოეგდო ზურგზე.

კონტრასტი კიდევ უფრო გამაოგნებელი მოგვეჩვენება, თუ მატერიალური სფეროდან სამოქალაქო და მორალურ სფეროში გადავინაცვლებთ. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

მოყოლებული, ადამიანი-მასის წინაშე ერთიმეორის მიყოლებით იხსნება ყველა დაბრკოლება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საშუალო ადამიანისათვის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აღარ არსებობს არავითარი აკრძალვა, არფერი არ აიძულებს მას, ლაგამი ამოსდოს თავის პრეტენზიებს, და სწორედ აქ იშლება მის წინაშე ეს „ჩვენი ვრცელი კასტილია“. აღარ არსებობენ არავითარი პრივილეგირებული ჯგუფები: „არც „კასტები“, არც წოდებები. საშუალო ადამიანს ესმის, რომ კანონის წინაშე ყველა თანაბარია.

მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ადამიანს არასოდეს უცხოვრია ამნაირი ცხოვრებით, ამნაირ ვითარებაში. მაშასადამე, საქმე ეხება თვისებრივად ახალ მოვლენას, რომელიც გადამწყვეტ ზემოქმედებას ახდენს მთელი კაცობრიობის ბედზე, და რომელმაც XIX საუკუნის წიაღში იჩინა თავი. სამმა პრინციპმა შეუწყო ხელი ამ ახალი სამყაროს შექმნას: ლიბერალურმა დემოკრატიამ, მეცნიერულმა ექსპერიმენტირებამ და ინდუსტრიალიზაციამ; ეს ორი უკანასკნელი ერთ პრინციპზე დაიყვანება, რასაც ტექნიციზმი ჰქვია სახელად. ეს პრინციპები გასულ ასწლეულში კი არა, ორი საუკუნით ადრე აღმოცენდნენ, XIX საუკუნის დამსახურება მათი გამოგონება კი არა, ცხოვრებაში მათი დანერგვაა, რაც ყველას კარგად მოეხსენება, მაგრამ საკმარისი არ არის ამ ფაქტის მარტოოდენ აღიარება, უნდა სცადო და პასუხიმგებლობაც იტვირთო მისი გარდაუვალი შედეგებისთვის.

XIX საუკუნე რევოლუციური საუკუნე იყო. რევოლუციურ გადატრიალებად იმას კი არ უნდა ვთვლიდეთ, რომ ის ამბოხებაა საგანთა არსებული წესრიგის წინააღმდეგ, არამედ იმას, რომ ის ამყარებს ტრადიციულის საპირისპირო ახალ წესრიგს. ამიტომ გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ადამიანი-მასა, რომელსაც დასაბამი დაუდო XIX საუკუნემ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში სულ სხვანაირად ავლენს თავს, ვიდრე წინარე ეპოქათა ადამიანები. რა თქმა უნდა, XVIII საუკუნის „საზოგადოებრივი“ ადამიანი განსხვავდება ადამიანთა იმ ტიპისაგან, რომელიც ჭარბობს XVII თუ XVI საუკუნეების საზოგადოებრივ ცხოვრებაში. და მაინც, თუ მათ შევადარებთ ადამიანთა ახალ ტიპს, ყველანი ძმები გეგონებათ, იმდენად მსგავსნი და არსობრივად იდენტურნი არიან ისინი. ყოველი ისტორიული ეპოქის „პლებსისათვის“ „ცხოვრება“, უწინარეს ყოვლისა, სხვა არა არის რა, თუ არა შეზღუდვები, მოვალეობანი, დამოკიდებულებანი, ერთის სიტყვით, - ზემოქმედება, ან თუ გნებავთ, - კირთება, იმ პირობით, თუ არ დაივიწყებთ, რომ აქ იგულისხმება არა მარტო იურიდიული ან სოციალური, არამედ კოსმიური ცხოვრებაც. ეს უკანასკნელი კი ყოველთვის არსებობდა და მხოლოდ ამ ასი წლის წინათ დაიწყო კვდომა. სწორედ ამ დროიდან იწყება ეგრეთწოდებულ სამეცნიერო-ტექნიკური მეთოდის აბსოლუტურად შეუზღუდავი გავრცელება როგორც ფიზიკურ, ისე ადმინისტრაციულ სფეროშიც. უწინ თვით ძლიერთაც კი ამა ქვეყნისა წუთისოფელი ათასგვარი უბედურების,

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

სვედავსილობისა და საზარელ ქარტეხილთა სათარეშოდ მიაჩნდათ[23].

ადამიანი-მასისათვის, მისი დაბადების დღიდანვე, გარემომცველ სამყაროში აღარ არსებობს არავითარი დაბრკოლება, არავითარი შეზღუდვა, არავითარი აკრძალვა. პირიქით, მთელი გარემომცველი სინამდვილე კიდევ უფრო უმძაფრებს მადას, რომელიც დღითიდღე იზრდება. XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დამდეგს ცხოვრება არა მარტო უკეთაა აღჭურვილი ტექნიკური თვალსაზრისით, არა მარტო მეტ შესაძლებლობას ანიჭებს ადამიანს, არამედ იმის ურყევ რწმენასაც უნერგავს, რომ ხვალინდელი დღე უფრო მდიდარი, უფრო უკეთესი და მრავალფეროვანი იქნება, ვიდრე დღევანდელი. და ადამიანს ჰგონია, რომ არსებობის სამყარო უსასრულოდ ფართოვდება. თვით დღესაც კი, როცა ხვალინდელი დღის ურყევ რწმენას პირველი ბზარი გაუჩნდა, ძალზე ცოტას თუ ეპარება ეჭვი იმაში, რომ ავტომობილი ხუთი წლის შემდეგ უფრო იაფი ეღირება და უფრო კომფორტულიც იქნება, ვიდრე დღეს. პროგრესის გარდუვალობა ისევე სწამთ, როგორც მზის ჩასვლა თუ ამოსვლა. მაგრამ ეს მსგავსება პირწმინდად ფორმალურია. როგორც ტექნიკური, ისე სოციალური თვალსაზრისითაც ესოდენ სრულყოფილ სამყაროში რომ აღმოჩნდა, ადამიან-მასას ჰგონია, თითქოს ეს სამყაროც ბუნების მიერაა შექმნილი, და ერთხელაც არ დაუფიქრდება იმას, თუ რა დაუჯდა ეს პროგრესი გენიალურ მარტოსულებს. მისთვის კიდევ უფრო ნაკლებად დასაშვებია აზრი იმის შესახებ, რომ ყველა ეს გამოგონება თუ გაუმჯობესება, ყველა სიახლე თუ მიღწევა, მოკლედ, მთელი ის სიკეთე, რაც უზრუნველყოფს მის კეთილდღეობას, - მაღალი ადამიანური ფასეულობების ცხოვრებაში განხორციელების შედეგია, და რომ საკმარისია მცირეოდენი შეცდომა თუ შეცოდება, რათა ტექნიკური პროგრესის მთელი ეს დიდებული შენობა ჰაერში აფრინდეს და ნამსხვრევებად მიმოიფანტოს.

აქედან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია თანამედროვე ადამიან-მასის ფსიქოლოგიურ დიაგრამაზე ორი პირველი წერტილი აღვნიშნოთ: ჯერ ერთი, მისი სასიცოცხლო მისწრაფებების თავისუფალი გავრცელება. ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი პიროვნების რეალიზაცია, და, მეორეც, სრული უმადურობა ყოველივე იმის მიმართ, რამაც შესაძლებელი გახადა მისი არსებობა. ერთიცა და მეორეც დამახასიათებელია განებივრებული ბავშვისათვის; ეს ბავშვი თანამედროვე ადამიანია. არ შეცდება, ვინც ამ დიაგრამას იმისთვის გამოიყენებს, რომ უკეთ ჩასწვდეს ადამიანი-მასის სულს. ხანგრძლივი და, შთაგონებითა თუ ძალთა დაძაბულობით, გენიალური წარსულის მემკვიდრე დღევანდელი ბრბო განებივრებულია თავისი გარემომცველი სამყაროს მიერ. ვისიმე განებივრება იმას ნიშნავს, რომ არაფრით არ ზღუდავდე მის სურვილებს, ყველაფრის საშუალებას აძლევდე და არაფერს ავალდებულებდე. ამნაირი აღზრდის შედეგია ის, რომ ადამიანი თავისი საკუთარი ძალის შეფასების უნარს კარგავს. რაკი არც ვინ რას აიძულებს და არც

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

სერიოზულად უპირისპირდება ვინმე, ადამიანი თანდათანობით უკიდურესად თავდაჯერებული ხდება, როგორც იტყვიან, ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად, არავითარ ანგარიშს აღარ უწევს სხვებს და ყველაზე უკეთესი ჰგონია თავი. თანამედროვე ადამიანი მხოლოდ მაშინ აღიარებს ვისიმე უპირატესობას, თუ ეს უკანასკნელი იმდენის შემძლე გამოდგა, რომ აიძულოს იგი, ამა თუ იმ სურვილზე აიღოს ხელი, ლაგამი ამოსდოს თავის მისწრაფებებს და სხვის ნებას დაემორჩილოს. განებივრებული ადამიანი მხოლოდ მაშინ შეიგნებს უმნიშვნელოვანეს ჭეშმარიტებას: „აქ მთავრდება ჩემი „მე“, და იწყება ვიღაც სხვა. ეს „სხვა“, ეტყობა, ჩემზე მაღლა დგას“. წარსულის ყველა ეპოქაში ყოველდღიური არსებობის გამოცდილება ადამიანს აიძულებდა, დაეზეპირებინა ეს მარტივი ჭეშმარიტება. წარსული სამყარო ისე ტლანქად შეკოწიწებული გახლდათ, რომ იქ ხშირად ხდებოდა კატასტროფები, მისთვის უცხო იყო არსებობის ყოველგვარი უზრუნველყოფა, სიუხვე და სტაბილურობა. დღეს კი ადამიანი-მასა თავის წინაშე უსაზღვრო შესაძლებლობათა კრიალა ჰორიზონტს ხედავს. რაღაცის მიღწევას არავითარი ძალისხმევა არ სჭირდება, ყველაფერი გარანტირებულია და ადამიანის განკარგულებაში გადაცემული; ასე მზე ყოველდღე თავისით ამოდის ცის თავანზე, ჩვენ როდი გვჭირდება მისი ამოყვანა. არცერთი კაცი მადლობას არ უხდის მეორეს ჰაერის გამო, რომლითაც სუნთქავს, რადგანაც ჰაერს არსად არ ამზადებენ; ჰაერი ისაა, „რაც ყოველთვის არის“, ან „რაც ბუნებით არსებობს“. განებივრებული მასები, ეტყობა, ძალიან ბრიყვები არიან, რახან ჰგონიათ, რომ საზოგადოების მთელი ეს ურთულესი მატერიალური და სოციალური ორგანიზაცია ისეთივე ბუნებრივი წარმომავლობისაა, როგორც ჰაერი, რაკიღა ყოველთვის არსებობს, ისეთივე მუდმივი და თითქმის ისევე სრულქმნილი.

ჩემი თეზისი ასეთია: XIX საუკუნემ შესძლო სრულყოფილებამდე მიეყვანა საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგიერთი ინსტიტუტი, რაც იმისი მიზეზი გახდა, რომ მასები, რომლებმაც მხოლოდ მოიგეს ამით, ხელოვნურ წარმონაქმნად კი არ მიიჩნევენ, არამედ ბუნებით არსებულად სახავენ მათ. ახლა კი შეგვიძლია ავხსნათ მასების სულის სულელური მდგომარეობა: ერთის მხრივ, მათ აღელვებთ მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობა, მეორეს მხრივ კი სულ სხვადასხვანაირ ახსნას უძებნიან მას. მასები ცივილიზაციის სიკეთეს არ აღიქვამენ როგორც დიად აღმოჩენათა თუ გამოგონებათა ნაყოფს და ხანგრძლივი აღმშენებლობითი საქმიანობის რეზულტატს, მათ აზრადაც არ მოსდით, რომ ცივილიზაციის შენობა წარმოუდგენელ ძალისხმევასა და საგანგებო გულმოდგინებას ემყარება. მასების წარმოდგენით, მათი საკუთარი ისტორიული როლი იმაზე დაიყვანება, რომ გამუდმებით მოითხოვდნენ სულ უფრო და უფრო მეტ კეთილდღეობას, თითქოს ეს მათი ბუნებით თანდაყოლილი უფლება იყოს. შიმშილობისას სახალხო ამბოხება იწყება, და მაშინ, პურის ძიებისას, გაშმაგებული ბრბო სამეპუროებს

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

შეძენილია ელ. წიგნების ონლაინ მაღაზიაში iBooks.ge

ანადგურებს, ამნაირი ამბოხებანი იმ ტაქტიკის ნიმუშებად გვევლინებიან, რასაც მიმართავენ თანამედროვე მასები, მაგრამ უკვე გაცილებით უფრო მეტი დახვეწილობითა და განუზომლად უფრო დიდი მასშტაბით, რათა ძირი გამოუთხარონ იმ ცივილიზაციას, რომლის მიღწევებითაც თვითონ საზრდოობენ[24].

VII

რჩეული უმცირესობის ცხოვრება, ანუ მოძრაობა. ბრბოის ცხოვრება, ანუ ინერცია

ჩვენ იმნაირები ვართ, რანაირებადაც გვაქცევს სამყარო. თუ ჩვენს სულს დეტალს შევადარებთ, მაშინ სამყარო ყალიბი იქნება, რომელშიაც სული ჩამოისხმება და რომლის ფორმასაც იგი ინახავს. ეჭვს გარეშეა, რომ არსებობის პროცესი სამყაროსთან ურთიერთობის პროცესია. როგორიცაა საქმის ვითარება ამ ქვეყნად, ისეთივე ვითარება იქნება ჩვენს ცხოვრებაშიც. ასე საგანგებოდაც სწორედ იმიტომ გამოვყოფ ამ ფაქტს, რომ სამყარო, რომელმაც დასაბამი მისცა თანამედროვე ადამიან-მასას, სრულიად სხვა, ისტორიაში დღემდე უცნობი სამყაროა. წინა საუკუნეებში „საშუალო“ ადამიანისათვის „ცხოვრება“ ათასნაირი სიძნელის, საფრთხის, გაჭირვების, ბედის უკუღმართობისა თუ დამოკიდებულების დაძლევასა და გადალახვას ნიშნავდა. დღეს კი სამყარო წარმოგვიდგება როგორც პრაქტიკულად შეუზღუდავ შესაძლებლობათა სფერო, სადაც შეუძლებელია მოხდეს რაღაც საშინელება და სადაც არავინ არავიზე არ არის დამოკიდებული. ესაა ჩვენი თანამედროვის მიერ მიღებული პირველი შთაბეჭდილება, რომელიც შემდეგ მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვება და ისევე აყალიბებს მის სულს, როგორც მისი წინაპრების სულს აყალიბებდა სრულიად საპირისპირო მსოფლაღქმა. ასეთია ადამიანის ძირითადი ცხოვრებისეული შთაბეჭდილება, რომელიც მისი არსების ინტიმურ სიღრმეში მოჩურჩულე შინაგან ხმად იქცევა, დაჟინებით რომ ჩასჩიჩინებს ცხოვრების მისეულ გაგებას, რაც, იმავდროულად, სიცოცხლის იმპერატივად გვევლინება. მაგრამ თუ უწინ ეს ხმა ჩურჩულებდა: „ცხოვრობდე, ნიშნავს ყოველი ფეხის ნაჯიბზე გრძნობდე, რარიგად შეზღუდული ხარ, და ამიტომ ყოველთვის ითვალისწინებდე ამ შეზღუდულობასო“, ახლა ის კი არ ჩასჩურჩულებს, არამედ ჩაჰბღავის: „ცხოვრობდე, ნიშნავს არ განიცდიდე არავითარ შეზღუდულობას“. ის გვაბრუებს თავისი ყალბი რჩევით, სიფხიზლეს გვიდუნებს და გვაკარგვინებს: „ცხოვრება არ შეიცავს არავითარ საფრთხეს, პრაქტიკულად ყველაფერი შესაძლებელია, მოიქეცით ისე, როგორც მოგეპრიანებათ; ამ ქვეყნად არავინაა და არც შეიძლება იყოს თქვენზე უკეთესი“.

ეს ცხოვრებისეული გამოცდილება, როგორც ჩანს, ძირეულად ცვლის ადამიან-მასის მარადიულ, ტრადიციულად ჩამოყალიბებულ კონსტიტუციას. უწინ მას შეგნებული ჰქონდა,

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

რომ ბედი იმთავითვე უმზადებდა ათასნაირ მატერიალურ გაჭირვებას, ის გრძნობდა თავის დამოკიდებულებას ადამიანებზე, რომლებსაც ცხოვრებაში უფრო მაღალი თანამდებობები ეჭირათ. ცხოვრება მისთვის სწორედ ეს იყო, თუ როგორმე გაიუმჯობესებდა მდგომარეობას და საზოგადოებრივი იერარქიის კიბეზე ორიოდე საფეხურით ამაღლებას მოახერხებდა. თავისი წარმატება ბედის წყალობად მიაჩნდა. ანდა ყველაფერს ნების არნახული ძალისხმევით აღწევდა, და მხოლოდ მან ერთმა იცოდა, რა დაუჯდა ეს. ორივე შემთხვევა გარემოებათა უჩვეულო დამთხვევის წყალობით განპირობებული გამონაკლისი გახლდათ.

დღეს კი ადამიან-მასას ყოვლის ნებადართულობა ბუნებრივ, თუმცა, იმავდროულად, კანონით დადგენილ მდგომარეობადაც მიაჩნია. აქ უკვე ლაპარაკიც კი ზედმეტია გარემოებათა უჩვეულო დამთხვევაზე. აღარაფერი აღარ აიძულებს ადამიან-მასას აღიაროს რაიმე შეზღუდვის არსებობა და ანგარიში გაუწიოს სხვების, უწინარეს ყოვლისა კი, იმ ხალხის აზრს, ვისაც საზოგადოებაში, მასთან შედარებით, უფრო დიდი გავლენა აქვს. ჩინელ გლეხს ამ უკანასკნელ დრომდე სჯეროდა, რომ მისი კეთილდღეობა იმპერატორის პირად სიქველეზე იყო დამოკიდებული. ამიტომაც მთელი მისი სიცოცხლე მიმართული იყო უზენაესი ძალისაკენ, რომელიც განსაზღვრავდა მის ცხოვრებას. მაგრამ ადამიანს, რომელსაც ჩვენ ვაანალიზებთ, უკვე აღარ სჩვევია, ვისიმე ავტორიტეტს მიეკროს, გარდა თავისი საკუთარი ავტორიტეტისა. ადამიანი-მასა ისედაც კმაყოფილია თავისი თავით; მას მოსწონს იყოს ისეთი, როგორიც არის. და, აი, რაკი არ ეშინია, ვაითი უგუნური და უბადრუკი გამოვჩნდეო, ის თავდაჯერებული იერით დაუწყებს ქებას ყველაფერს, რაც კი რამ არის ამ ქვეყნად: აზრებს, სურვილებს, მიდრეკილებებს, გემოვნებებს. რატომაც არა? აკი არავინ და არაფერი არ ცდილობს შეაგნებინოს, რომ ის გონებაშეზღუდული კაცია, მეორეხარისხოვანი ადამიანი, ვისაც ამ საზოგადოებრივი ორგანიზაციის არც შექმნა შეუძლია და არც შენარჩუნება, რომელმაც დასაბამი მისცა ამ თავდაჯერებულობას და რომელიც ესოდენ მრავალფეროვანსა და სასიამოვნოს ხდის მის სიცოცხლეს.

გარემოებები რომ არ აიძულებდნენ, ადამიანი-მასა არასოდეს მიმართავდა ვინმეს, გარდა საკუთარი თავისა. და რაკი ამჟამად გარემოებები არ აიძულებენ ასე მოიქცეს, მარადიული და წარუვალი ადამიანი-მასა, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი ბუნების სიმტკიცე, საერთოდ აღარ მოუხმობს ვინმეს და საკუთარი ცხოვრების სრულ ბატონ-პატრონად მიაჩნია თავისი თავი. ადამიანი-მასისაგან განსხვავებით, კაცი, რომელიც რჩეულ უმცირესობას ეკუთვნის, გამუდმებით გრძნობს შინაგან მოთხოვნილებას, მაღალ ეთიკურ ფასეულობებს მიუსადაგოს თავისი სიცოცხლე და ნებაყოფლობით ემსახუროს მათ. თუ გახსოვთ, ჩვენი მსჯელობის დასაწყისში უკვე დავადგინეთ განსხვავება რჩეული უმცირესობის ადამიანსა და ადამიან-მასას შორის, როცა ვლაპარაკობდით იმაზე, რომ ადამიანი, რომელიც რჩეულ

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

უმცირესობას ეკუთვნის, ძალიან ბევრს მოითხოვს თავისი თავისაგან, მაშინ როდესაც ადამიანი-მასა არავითარ მოთხოვნებს არ უყენებს თავს და სავსებით კმაყოფილია თავისი თავით[25]. თავს ნებას მივცემ ერთი აზრი გაგიზიაროთ, რომელიც აშკარად უპირისპირდება საყოველთაოდ გავრცელებულ შეხედულებას: მონობა მასისთვის კი არაა ყოფიერების არსი, არამედ „რჩეულთათვის“, რომელთაც ფუჭი ეჩვენებათ მთელი თავიანთი ცხოვრება, თუკი ვერ შესძლეს მაღალი მოთხოვნებისათვის დაექვემდებარებინათ იგი; ამიტომ კეთილშობილი კაცი კირთებად როდი აღიქვამს მაღალი იდეალებისადმი სამსახურის მოთხოვნილებას. როცა ის ვერ პოულობს საკმარის პრინციპებს, რომლებისთვისაც შეეძლო თავისი სიცოცხლე მიეძღვნა, მანამდე ვერ მოისვენებს, სანამ ახალ, კიდევ უფრო მნელად განსახორციელებელ მოთხოვნებს არ გამოუგონებს საკუთარ თავს და მათ სამსახურში არ ჩააყენებს მთელ თავის უნარსა და შესაძლებლობას. ჭეშმარიტი არისტოკრატიისთვის ცხოვრება, უწინარეს ყოვლისა, სულის დისციპლინაა. არისტოკრატიას მისი უფლებები კი არ განასხვავებს დანარჩენთაგან, არამედ საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობა, ანუ, რაც იგივეა, მოვალეობა: noblesse oblige[26]. „განცხრომისათვის ცხოვრება პლებსსა სჩვევია, კეთილშობილი კაცი ცდილობს მაღალ მოთხოვნებსა და კანონებს დაუმორჩილოს თავისი სიცოცხლე“ (გოეთე). არისტოკრატიამ თვითონვე მოიპოვა თავისი პრივილეგიები; არც ერთი პრივილეგია ნაჩუქარი თუ ნაწყალობევი არ ყოფილა. პრივილეგიები, არსებითად, იმასა ნიშნავს, რომ პრივილეგირებულ კაცს შეუძლია იბრძოლოს მათი გულისთვის, თუ ვინმე სადაოდ გახდის მის უფლებას, ან იმას, რომ ამ კაცს უნარი შესწევს, თუ საქმე საქმეზე მიდგა, ყოველ წამს უკანვე დაიბრუნოს თავისი პრივილეგიები[27]. კერძო უფლებები და პრივილეგიები ბედის წყალობა კი არ ყოფილა, არამედ - განსაკუთრებით მნიშვნელოვან დამსახურებათა საზღაური. საერთო უფლებები - ვთქვათ უფლებები „ადამიანისა და მოქალაქისა“, - უძრავი ქონება, წმინდა მოგება და შემოსავალი, ბედის უშურველი წყალობა, რაც ყოველ ადამიანს წილად ხვდება ცხოვრების გზაზე. ამ უფლებების მოსაპოვებლად საჭირო არ არის არავითარი ძალისხმევა, მათი გამოყენება ნორმალური ადამიანისათვის ისეთივე ბუნებრივია, როგორც სუნთქვა, ან სრულ ჭკუაზე ყოფნა. ამრიგად, მე ვიტყოდი, რომ უპიროვნო უფლება თავისთავად არსებობს, პიროვნული უფლება კი მუდმივ დამკვიდრებას მოითხოვს.

ისეთი მშვენიერი გამოთქმა, როგორიცაა „კეთილშობილური წარმომავლობა“, სრულიად დისკრედიტირებულია საყოფაცხოვრებო ლექსიკაში. სამწუხაროდ, ასეა. იმის გამო, რომ ბევრს ეს გამოთქმა „წმინდა სისხლის“ სინონიმად მიაჩნია, „წმინდა სისხლისა“, რომელიც მემკვიდრეობით გადაეცემა თაობებიდან თაობებს, „კეთილშობილური წარმომავლობის“ ცნება „ზოგად უფლებებთან“ იქნა გაიგივებული, რის შედეგადაც ინერტულ და პასიურ თვისებად იქცა, სათამაშოსავით რომ გადადის

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

ხელიდან ხელში. მაგრამ გამოთქმაში „კეთილშობილური წარმომავლობა“ ეტიმოლოგიურად მოცემულია ერთგვარი დინამიკა, „კეთილშობილი“ იგივეა, რაც „ცნობილი“, დიახ, ყველასათვის ცნობილი, სახელოვანი, სახელგანთქმული, იმდენად სახელგანთქმული, რომ შესძლო გამორჩეულიყო უსახელო და უსახო ბრბოდან. ამრიგად, „კეთილშობილი“ – „ძლიერია“ და „გამბედავი“. შვილის კეთილშობილება თუ დიდება კი უკვე წყალობაა. შვილის სახელი მამის სახელის ანარეკლია, და მართლაც, კეთილშობილური წარმომავლობა სარკეში არეკლილ სინათლესა ჰგავს; ესაა წინაპართა ძვლებზე აღმონაცენი სახელი, მინავლული ღირსება, რომელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გახდეს ცოცხალი, ჭეშმარიტი და დინამიური, თუ შესძლებს მემკვიდრეობაში გააგრძელოს წინაპართა სახელოვანი სულისკვეთება, და მაინც, თვით მაშინაც კი noblesse oblige. კეთილშობილი საგვარეულოს ფუძემდებელი თვითონვე იღებს ვალდებულებას, მის მემკვიდრეს კი წარმომავლობა უწესებს ვალად კეთილშობილურ ქცევას და მაინც არის გარკვეული არათანმიმდევრულობა იმაში, რომ „კეთილშობილება“ მემკვიდრეობით გადაიცემა. ამ თვალსაზრისით, ჩინელები უფრო ლოგიკურნი არიან, რადგანაც, მათი ტრადიციით, კეთილშობილება მამიდან შვილს კი არა, პირიქით, შთამომავლებიდან წინაპრებს გადაეცემა. შვილი, რომელმაც ასახელა მამის გვარი, მთელ საგვარეულოს აკეთილშობილებს. ერთი ღირსეული ადამიანის შარავანდედი წინაპართა აჩრდილებსაც ანათებს. ამიტომ კეთილშობილების ხარისხი ჩინეთში იმ თაობათა რაოდენობით განისაზღვრება, რომელნიც გააკეთილშობილა ღირსეულმა შთამომავალმა: ზოგი მხოლოდ მშობელ მამას აკეთილშობილებს, ზოგიერთის დიდება კი წინაპართა მეხუთე და, ასე განსაჯეთ, თვით მეათე თაობაზეც კი ვრცელდება. ჩინელთა წინაპრები ჩვენი თანამედროვის ხარჯზე განაგრძობენ არსებობას, ამნაირ კეთილშობილებას მეტი აზრი აქვს, ის ქმედითია, რადგანაც წარსულის ფაქტი კი არ არის არამედ აწმყოსი[28].

„კეთილშობილება“, ამ სიტყვის ჩვენეული გაგებით, მხოლოდ რომის იმპერიის დაცემის ხანაში იჩენს თავს, - სწორედ იმ მიზნით, რომ დაუპირისპირდეს „წმინდა სისხლის“ არისტოკრატიის ცნებას, არისტოკრატიისა, რომელიც უკვე გადაგვარების გზას ადგას.

ჩემთვის „კეთილშობილება“ ჭეშმარიტად სისხლსავსე არსებობის სინონიმია. მოვალეობის მისეული გაგებით რომ ხელმძღვანელობს, კეთილშობილი კაცი ცდილობს თავის „მე“-ზე ამაღლდეს და პიროვნული არსებობის ფარგლებსაც გასცდეს. ამრიგად, კეთილშობილი ადამიანის ცხოვრება ძირეულად უპირისპირდება ჩვეულებრივი „საშუალო“ ადამიანის ყოფას, ადამიანისა, რომელიც თვითონვე უსჯის თავის თავს საკუთარი არსებობის იმანენტურ დილეგში გამომწყვდევას, და ვერავითარი ძალა ვერ აიძულებს, დაუფიქრდეს თავის მდგომარეობას და ამ დილეგიდან გაქცევა სცადოს. ამიტომ, როცა არსებობის მოდუსს ჩვენ ვუწოდებთ „მასიურს“, ცნების

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

შეძენილია ელ. წიგნების ონლაინ მაღაზიაში iBooks.ge

რაოდენობრივ ხასიათს კი არ ვგულისხმობთ, არამედ მხოლოდ მის იმნაირ თვისებას, როგორიცაა „ინერტულობა“.

რაც უფრო დიდხანს ცოცხლობ და უკვირდები სხვის ცხოვრებას, მით უფრო ხშირად ამჩნევ, რომ ადამიანთა უმრავლესობას ნებელობისმიერი ძალისხმევის არავითარი უნარი არ გააჩნია, გარდა იმისა, რაც გარეგანი აუცილებლობის უშუალო საპასუხო რეაქციად გვევლინება. სწორედ ამიტომაა ესოდენ შთამბეჭდავი და მეხსიერებიდან ამოუშლელი ნებისმიერი ამაღლებული სწრაფვა თუ კეთილშობილური საქციელი; ასე იქცევიან მხოლოდ რჩეულნი, ჭეშმარიტად კეთილშობილი ადამიანები. მათთვის „ცხოვრება“ აქტიურ მოქმედებას ნიშნავს და არა იმას, რომ უკუქმედებით პასუხობდნენ ზემოქმედებას. მათი ცხოვრება მუდმივი დამაბულობაა და საკუთარი თავის განუწყვეტელი სრულყოფა. საკუთარი თვის სრულყოფა იგივეა, რაც ასკესისი. ეს ადამიანები ასკეტები არიან[29].

თუ შეიძლება, ნუ გაგაცვიფრებთ ეს მოულოდნელი გადახვევა თემიდან. იმისათვის, რომ მოვხაზოთ თანამედროვე ადამიანი-მასის ესკიზი (ადამიანისა, რომელიც თავისი ტიპის ხალხის ყველა უწინდელ ნიშან-თვისებას რომ ინარჩუნებს, დღეს ცდილობს რჩეულთა შორის დაიმკვიდროს ადგილი), ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე, რაც მას განსხვავებს ადამიანთა ორი „წმინდა“ ტიპისაგან, რომელთა შერწყმაც დასაბამს აძლევს ესოდენ „მღვრიე“ არსებას ჩვეულებრივი, ისტორიაში უწინაც კარგად ცნობილი ადამიანი-მასისგან და ჭეშმარიტად კეთილშობილი, სულით ძლიერი ადამიანისაგან.

ახლა კი შეგვიძლია ავაჩქაროთ ჩვენი მსჯელობის ტემპი, რაკიღა უკვე ხელთა გვაქვს ის, რაც, ჩემის აზრით, ფსიქოლოგიურ ფორმულად, იმ სახესხვაობის ერთგვარ გასაღებად გვევლინება, რომელიც ჭარბობს დღევანდელ ცხოვრებაში. ჩვენმა სამყარომ, იმ სახით, როგორითაც ის ჩამოყალიბდა XIX საუკუნეში, დასაბამი მისცა ადამიანის ახალ ტიპს, ურიცხვი სურვილი თუ მოთხოვნილება ჩაუნერგა მას და იმავდროულად, შექმნა მათი დაკმაყოფილების ათასგვარი საშუალება. ეს ეხება როგორც ეკონომიკურ, ისე ფიზიკურ უზრუნველყოფას: სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვა, სამედიცინო მომსახურების გაცილებით უფრო მაღალი დონე და საზოგადოებრივი მმართველობის საშუალებანი, ესე იგი, უზარმაზარი ზერელე ცოდნა და სამყაროში ორიენტირების უნარი, - ყოველივე ამას მოკლებულნი იყვნენ ადამიანი-მასის წინაპრები, ასეთია ჩვენი დროის რენტგენის სურათი; ყოველივე დანარჩენი მხოლოდ და მხოლოდ დასკვნა იქნება, რომელიც შეიძლება გამოვიტანოთ ამ სურათის გაშიფვრის შემდეგ. XIX საუკუნემ ადამიანს თვალწინ გადაუშალა ურიცხვი შესაძლებლობანი და თავისი თავის ამარა მიატოვა იგი. და მაშინ, საშუალო ადამიანი, თავისი ბუნებრივი მიდრეკილებისამებრ, საკუთარ თავში ჩაიკეტა. დღეს მასა გაცილებით უფრო დიდი ძალაა, ვიდრე ოდესმე. ტრადიციული ბრბოისაგან განსხვავებით, ის იმდენად კმაყოფილია თავისი

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

თავით, რომ საერთოდ აღარ შერჩა უნარი, ყური ათხოვოს სხვის აზრს, ჰერმეტულად ჩაიკეტა თავის თავში და არავის აღარ ემორჩილება[30]. თუ ასე გაგრძელდა, ევროპაში და, მაშასადამე, მთელ მსოფლიოშიც, მასები საერთოდ უარს იტყვიან ყოველნაირ მორჩილებაზე. თუმცა ამ რთულ ვითარებაში, რომელშიაც დღეს იმყოფება მთელი ევროპა, ისინი შეიძლება ერთხანს მაინც დაემორჩილონ რჩეულ უმცირესობას, განსაკუთრებით, ზოგიერთი უმწვავესი საკითხის გადასაჭრელად.

მაგრამ ეს მორჩილება დიდხანს არ გასტანს, რადგან მასების საკუთარი ბუნების არსი ურჩობა და თვითკმაყოფილებაა, და ისინი დაბადებითვე მოკლებულნი არიან იმის უნარს, რომ ყურადღება მიაქციონ სხვა რამეს - გნებავთ, ადამიანებსა და, გნებავთ, მოვლენებს, - გარდა იმისა, რაც უშუალოდ მათ ეხება. ისინი მოინდომებენ უკან მისდიონ თავიანთ ბელადს, მაგრამ ვერ შესძლებენ ამას; მოინდომებენ ყურად იღონ რჩევა, მაგრამ დარწმუნდებიან, რომ დაყრუებულან.

ილუზია იქნებოდა გვეფიქრა, რომ რაკი თანამედროვე ადამიანი-მასის ცხოვრების დონე წარსულთან შედარებით განუზომლად უფრო მაღალი გახდა, - ეს ადამიანი თვითონვე შესძლებს ცივილიზაციის პროცესის წარმართვას. აქ საქმე შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ პროცესს და არა პროგრესს. ცივილიზაციის დღევანდელი დონის შესანარჩუნებლად აუცილებელია ეყრდნობოდე მრავალმხრივსა და ყოვლისმომცველ ცოდნას. ადამიანი-მასა ვერ წარმართავს ამ პროცესს, რადგანაც, მართალია, მან შეითვისა უახლესი ტექნიკის მართვის ჩვევა, მაგრამ ვერ შეძლო ჩასწვდომოდა იმ პრინციპებს, რომლებსაც ემყარება ცივილიზაცია.

მე მინდა გავაფრთხილო მკითხველი, რომელიც აქამდე სანაქებო მოთმინებით მისდევდა ჩემი აზრის განვითარებას, რომ არცერთ ამ პოსტულატს არ უნდა მიენიჭოს პოლიტიკური მნიშვნელობა. მართალია, პოლიტიკური მოღვაწეობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე უშუალო და აქტიური ასპექტია, მაგრამ ის მაინც მეორეული გახლავთ და მოღვაწეობის სხვა, თვალისათვის უხილავ ასპექტთა შედეგად გვევლინება. მეამბოხური სულისკვეთება, რაც პოლიტიკურ ცხოვრებაში შეაქვთ მასებს, არც ისე საშიში და საგანგაშო იქნებოდა, მის მიღმა რომ არ იმალებოდეს სხვა, გაცილებით უფრო სერიოზული მოვლენა: საზოგადოების ინტელექტუალურ და მორალურ საწყისთა წინააღმდეგ ამბოხება. ამიტომ, სანამ ამ ორ სიმპტომს არ გავაანალიზებთ, ჩვენი დიაგნოზი კვლავაც არასრული დარჩება.

VIII

რატომ ერევიან მასები ყველაფერში და თანაც, მაინცდამაინც მოძალადურად?

ჩვენ ვლაპარაკობდით იმაზე, რომ მოხდა რაღაც უაღრესად პარადოქსული, მაგრამ, იმავდროულად, რაღაც სრულიად ბუნებრივიც: მხოლოდ იმიტომ, რომ საშუალო

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

ადამიანს გაეხსნა ცხოვრება და სამყარო, დაიხურა მისი სული. ჰოდა, მე ვამტკიცებ, საშუალო ადამიანის სულის სწორედ ამ ჰერმეტულ შეუღწევადობაში მდგომარეობს მასების ამბოხი, რაც, თავის მხრივ, საგანგებო მნიშვნელობის პრობლემა გახლავთ, თანამედროვეობა რომ აყენებს კაცობრიობის წინაშე.

ვიცი, ბევრი მკითხველი არ დამეთანხმება. ეს სავსებით ბუნებრივია და მხოლოდ ამტკიცებს ჩემს აზრს. შესაძლოა, საბოლოო ანგარიშით, ვცდებოდე კიდეც, მაგრამ მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ იმათ უმრავლესობას, ვინც არ მეთანხმება, ხუთი წუთიც არ უფიქრია ამ რთულ პრობლემაზე. მაშ, რანაირადღა მივლენ ანალოგიურ დასკვნამდე? რაკიღა ჰგონიათ, რომ უფლება აქვთ მსჯელობდნენ ამა თუ იმ საკითხზე, მაგრამ თავს კი არ იტკივებენ მსჯელობის საგნის შესწავლით, ამით თვალნათლივ გვიჩვენებენ, რომ „ამბოხებული მასის“ არსებობის იმ აბსურდული მოდუსის თანაზიარნი არიან, რომლის ნიშნადაც სწორედ სულის ჰერმეტული შეუღწევადობა გვევლინება. ამ შემთხვევაში - ინტელექტუალური ჰერმეტულობა. ადამიანი გრძნობს, რომ მასში ჩადებულია იდეათა გარკვეული რაოდენობა, და ამით კმაყოფილდება, რადგანაც ფიქრობს, რომ, ინტელექტუალური თვალსაზრისით, არაფრისკენ სწრაფვა აღარ არის საჭირო. რაკიღა ვერ გრძნობს რაღაცა ახლის შეცნობის მოთხოვნილებას, რაც უშუალოდ არ ეხება მას, ამის შედეგად საკუთარ თავში იკეტება და იძულებულია გამუდმებით ერთი და იმავე იდეების დახშულ წრეში იწრიალოს, - აი, თუ გნებავთ, სულის ჰერმეტიზაციის მთელი მექანიზმი.

ადამიან-მასას ყოველმხრივ სრულყოფილი ჰგონია თავი. რჩეული უმცირესობის ადამიანი კი იმისათვის, რომ სრულყოფილად მიაჩნდეს თავი, ძალიან პატივმოყვარე უნდა იყოს. საკუთარი სრულყოფილების ურყევი რწმენა მისი არსი როდია, როგორც ადამიან-მასისათვის. რჩეული ადამიანის ამნაირ რწმენას მხოლოდ მისი პატივმოყვარეობა უდევს საფუძვლად, და მაშინაც კი მას ეჩვენება, რომ ეს რწმენა რაღაც საეჭვოა, ყალბი და არაბუნებრივი. ამიტომ პატივმოყვარე კაცს ახლობლები სჭირდება, და მათში ეძებს იმ წარმოდგენის დასტურს, რაც თვითონვე შეიქმნა საკუთარ თავზე. ასე რომ, თვით პატივმოყვარეობით ავადმყოფური „თვალდავსილობის“ შემთხვევაშიც კი კეთილშობილ ადამიანს არ შეიძლება სრულყოფილად მიაჩნდეს თავი, მაშინ როდესაც ახალ ადამს – ჩვენი დროის ამ უღიმღამობას, აზრადაც არ მოუვა, ეჭვი შეიტანოს თავის ძალებში. ბიბლიური ადამისა არ იყოს, ისიც თავის საკუთარ სრულყოფილებას ელოლიავება და სანეტარო თვითტკბობაშია დანთქმული. მისი სულის თანდაყოლილი ჰერმეტულობა საშუალებას არ აძლევს ისე მოიქცეს, რაც საკუთარი ნაკლოვანების აღმოჩენის უპირველესი პირობა იქნებოდა - ადგეს და სხვებს შეადაროს თავი. შედარება იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ ცოტა ხნით მაინც უნდა გამოეშვა სული თავისი სხეულიდან და სხვის სხეულში გადაესახლებინა იგი. მაგრამ საშუალო ადამიანის სულს

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

შეძენილია ელ. წიგნების ონლაინ მაღაზიაში iBooks.ge

გადასახლების უნარი არ შესწევს: ეს მისთვის მიუღწეველია, რაც ძალაუნებურად გვახსენებს იმ განსხვავებას, ოდითგანვე რომ არსებობს ჭკუამოკლესა და გონებაგამჭრიახს შორის. გამჭრიახ კაცს ესმის, რომ არც ისე დიდი მანძილი აშორებს ჭკუამოკლისგან, და ძალ-ღონის დაუზოგავად ცდილობს თავი დააღწიოს საფრთხეს, რომელიც მას ემუქრება, კერძოდ, სიბრიყვეს: სწორედ ეს მცდელობაა გონივრული ქცევა. ჭკუამოკლეს კი, პირიქით, აზრადაც არ მოსდის, ვინ არის, რის მაქნისია, თავისი თავი ჭკუის კოლოფი ჰგონია; აქედან - ის შესაშური სიმშვიდე, რომლითაც ბრიყვი ამაყად თავაწეული მიაბიჯებს ცხოვრებაში და დროშასავით მიაფრიალებს თვის სიბრიყვეს. არიან მწერები, რომლებსაც ვერასდიდებით ვერ გამოდევნი მათი თავშესაფრიდან; ასევე ბრიყვსაც ვერ გამოათრევ მისი სიბრიყვის ბაკნიდან. სულ ტყუილად ეცდებით, თუნდ ერთის წუთით აუხილოთ თვალი და გადააჩვიოთ იმ უაზრო მზერას, რომლითაც ის აღიქვამს გარემომცველ სინამდვილეს, აიძულოთ, უფრო გულდასმით დაუკვირდეს სამყაროს, უფრო დანაწევრებულად შეიგრძნოს იგი, - ბრიყვი უტეხია და სქელკანიანი. ამიტომ, ანატოლ ფრანსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ბრიყვი გაცილებით უფრო საშიშია, ვიდრე ბოროტმოქმედი, ვინაიდან ბოროტმოქმედი ხანდახან მაინც იღლება და ისვენებს, ბრიყვი კი მოუღლელია და დაუცხრომელი[31].

საქმე ის კი არაა, რომ ადამიანი-მასა ბრიყვია. პირიქით, თანამედროვე ადამიანი-მასა უფრო ჭკვიანია და უფრო ინტელექტუალური, ვიდრე გარდასულ ეპოქათა ადამიანი-მასა. მაგრამ ის არ იყენებს თავის ინტელექტს. აქაოდა, ინტელექტი მაქვსო, ამის ბუნდოვან შეგნებას საშუალო ადამიანი თანდათანობით იქამდე მიყავს, რომ სულ უფრო და უფრო მეტად იკეტება თავის თავში, და ბოლოს, საერთოდ უარს ამბობს გონების გამოყენებაზე. ადამიანმა-მასამ ერთხელ და სამუდამოდ მოახდინა ათასგვარი ბანალობის, ცრურწმენის, იდეათა უბადრუკი ნაფლეთებისა თუ უაზრო ფრაზების იმ წყაროს საკრალიზება, რადაც ბედის ტრიალმა აქცია მისი სული, და გამაოგნებელი თავხედობით, რასაც მხოლოდ უშუალო სიწრფელე თუ შეიძლება ედოს საფუძვლად, ცდილობს ყველას ასხუროს თავისი „ნაკურთხი წყალი“. ჩემი წიგნის პირველ თავში სწორედ ამას აღვნიშნავდი, როგორც ჩვენი დროის დამახასიათებელ თვისებას. მთავარი ის კი არაა, თითქოს ბრბოს რაღაც საქმეში გამორჩეულად და არაორდინალურად მოჰქონდეს თავი, არამედ ის, რომ ყველას თავს ახვევს თავის ნებას: მე უფლება მაქვს ვულგარული ვიყოო, და საყოველთაო უფლებამოსილებად აცხადებს ვულგარულობას.

ძალა, რომელსაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმოადგენს ინტელექტუალური ბრბო, როგორც ჩანს, უახლესი ფაქტორია, რაც დღეს სრულიად განსხვავებულს ხდის საქმის ვითარებას ამ სფეროში. უწინ არაფერი ამის მსგავსი არ ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, ევროპის მთელი ისტორიის მანძილზე, ვიდრე დღევანდელ დღემდე, ბრბო ვერ ბედავდა საკუთარი „აზრი“ ჰქონოდა. მას ჰქონდა თავისი სარწმუნოება,

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

თავისი ტრადიციები, გამოცდილება, ანდაზები, აზროვნების ჩამოყალიბებული თავისებურებანი, მაგრამ არასდროს არ ჰქონია იმის პრეტენზია, თითქოს შეეძლო თეორიულად დაესაბუთებინა, რას წარმოადგენს, ან რა უნდა იყოს ესა თუ ის მოვლენა, ვთქვათ, პოლიტიკისა თუ ლიტერატურის სფეროში. ის თავისებურად აფასებდა პოლიტიკოსთა გეგმებსა თუ მოქმედებებს. მხარს უჭერდა ან უარყოფდა მათ, მაგრამ მისი ქმედითობა ყოველთვის სხვების შემოქმედებითი იმპულსის ასახვით (დადებითი თუ უარყოფითი ასახვით) ამოიწურებოდა. არასოდეს სიზმრადაც არ მოლანდებია, პოლიტიკოსების „აზრისათვის“ თავისი საკუთარი აზრი დაეპირისპირებინა; ვერც კი ბედავდა, პოლიტიკოსების „აზრი“ თავისი საკუთარი იდეოლოგიის თვალსაზრისით განესაჯა, იდეოლოგიისა, რომელიც მისი წარმოდგენით, თითქოსდა ჰქონდა. იგივე შეიძლება ითქვას ხელოვნებისა თუ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სხვა გამოვლენის სფეროზეც. თავისი შეზღუდულობის თანდაყოლილი შეგნება, შეგნება იმისა, რომ თეორეტიზირებისათვის საკმარისი მომზადება არ გააჩნია[32], ბრბოს თავს აკავებინებდა საკუთარი აზრის გამოთქმისაგან ამა თუ იმ მოვლენის შესახებ. ყოველივე ამას ავტომატურად მოსდევდა ის, რომ ბრბოს წამითაც არასოდეს განუზრახავს საკუთარი გადაწყვეტილება მიეღო საზოგადოებრივი საქმიანობის ამა თუ იმ სფეროში, საქმიანობისა, რომელთაც, ასე თუ ისე, თეორიული ხასიათი ჰქონდა.

დღეს კი სრულიად საპირისპირო სურათს ვხედავთ. საშუალო ადამიანს თავისი საკუთარი, და თანაც, სავსებით გარკვეული აზრი გაუჩნდა იმის თაობაზე, რაც ხდება ან უნდა მოხდეს მსოფლიოში. ამიტომაც მისი სმენის ორგანომ ატროფირება განიცადა. რაღად უნდა უსმინოს სხვებს, თუკი თვითონაც ყველაფერი იცის? ახლა სმენის დრო როდია, ბოლოს და ბოლოს, დადგა განსჯის, საკუთარი აზრის გამოთქმის, გადაწყვეტილების მიღების დრო. და სადღეისოდ არ არსებობს საზოგადოებრივი ცხოვრების არცერთი საკითხი, რომლის გადაწყვეტაშიაც ეს ბრმა და ყრუ თავისი წვლილის შეტანას არ ცდილობდეს, და თავის აზრს თავზე არ ახვევდეს სხვებს.

კი მაგრამ, განა ეს მიღწევა არ არის? განა უზარმაზარი პროგრესის მაუწყებლად არ გვევლინება ის ფაქტი, რომ მასებს თავისი „აზრი“ გაუჩნდათ, ანუ, სხვა სიტყვებით, რომ ისინი კულტურულები გახდნენ? არამც და არამც, საშუალო ადამიანის „აზრი“ მართლა აზრი როდია, ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით; აზრის ქონას კულტურის მიზნად ვერ მივიჩნევთ. აზრის ქონა საიმისოდ მზადებას ნიშნავს, რომ ქიში გამოუცხადო ჭეშმარიტებას. ვისაც სურს საკუთარი აზრი ჰქონდეს, უწინარეს ყოვლისა, ჭეშმარიტება უნდა უყვარდეს და აღიარებდეს თამაშის იმ წესებს, რომლებსაც გვკარნახობს ჭეშმარიტება. აბსურდია, იდეებსა თუ აზრებზე ილაპარაკო იქ, სადაც არ სცნობენ მათ მარეგულირებელ უზენაეს ავტორიტეტს, სადაც დაუშვებლად მიაჩნიათ წესები და კანონები, რომლებისთვისაც შეგვეძლო სადაო შემთხვევებში მიგვემართა. ეს წესები და

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

კანონები კულტურის პრინციპებია. ჩემთვის ამჯერად არსებითი მნიშვნელობა არა აქვს ამ პრინციპების რაობას, მე მინდა მხოლოდ ხაზი გავუსვა შემდეგს: შეუძლებელია კულტურა არსებობდეს იქ, სადაც არც წესებია და არც კანონები, რომლებისთვისაც შეიძლებოდა მიემართათ ჩვენს მოყვასთ. შეუძლებელია კულტურა არსებობდეს იქ, სადაც არ არსებობს სამოქალაქო სამართლიანობის პრინციპთა მიმართ აპელირების შესაძლებლობა. შეუძლებელია კულტურის არსებობა იქაც, სადაც პატივს არ სცემენ ინტელექტუალური ავტორიტეტის მქონე პოზიციას, რომლისთვისაც შეიძლებოდა მიგვემართა დავისას, როგორც უკანასკნელი უეჭველი არგუმენტისთვის[33]. შეუძლებელია კულტურის არსებობა იქაც, სადაც ეკონომიკური ურთიერთობანი არ ემორჩილებიან თავისუფალი გადაადგილების წესებს, რაც თავისუფლების გარანტად გვევლინება. შეუძლებელია კულტურა არსებობდეს იქაც, სადაც პოლიტიკას ესთეტიკის სფეროში არ მივყავართ იმის აღიარებამდე, რომ აუცილებელია ხელოვნების ნაწარმოებების არსებობა.

როცა არაფერი ეს არ არის, არც კულტურაა; არის მხოლოდ ის, რასაც შეიძლება ვუწოდოთ ბარბაროსობა, ამ სიტყვის ყველაზე ზუსტი გაგებით. სწორედ ეს მდგომარეობა ხდება ნიშნეული ევროპისათვის (და, თუ ღმერთი გწამთ, ნუღარ შევიქმნით ნურავითარ ილუზიას ამ საკითხთან დაკავშირებით), იმისდა კვალად, რაც უფრო მეტად იზრდება და ფართოვდება მასების ამბოხი. მოგზაურმა, ბარბაროსულ ქვეყანაში ჩასვლისას, იცის, რომ მის ტერიტორიაზე არ მოქმედებს არავითარი კანონი, რომლისთვისაც შეეძლო მიემართა უკიდურეს შემთხვევაში. ბარბაროსული კანონების არსებობა პრინციპულად შეუძლებელია; ბარბაროსობა სწორედ კანონების უქონლობაა და იმის შეუძლებლობა, რომ მათ მიმართო.

კულტურის დონე მეტ-ნაკლები კანონიერებით განიზომება. იქ, სადაც ეს დონე დაბალია, კანონები მხოლოდ grosso modo არეგულირებენ ცხოვრებას, ხოლო სადაც ეს დონე მაღალია, მათი ქმედითობა ცხოვრების ყველა სფეროში ვლინდება. ესპანური ინტელექტუალური კულტურის, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინტელექტის დისციპლინირებული ქმედითობის დაბალი დონე იმაში კი არ ვლინდება, თითქოს სხვებზე ნაკლები გულმოდგინებით ვეუფლებოდეთ ემპირიულ ცოდნას, არამედ იმაში, რომ არავითარი მოთხოვნილება არ გაგვაჩნია, ვესადაგებოდეთ ჭეშმარიტების მოთხოვნებს, რაც ესოდენ დამახასიათებელია ჩვენი ორატორებისა და მწერლებისათვის. ჩვენ შეიძლება უწინდებურად გვადრიდნენ და გვადარებდნენ იმ უკვდავ სოფლელ მღვდელს, რაღაც უჩვეულო აღტკინებით ცხვირ-პირს რომ ულილავებს მანიქეველს, მაგრამ არავითარი სურვილი არა აქვს გაიგოს და გაიაზროს ამ საცოდავის არგუმენტები.

ცხადია, რომ ევროპაში ამ ბოლო ხანს „რაღაც უცნაური“ რამ ხდება. ამ უცნაური მოვლენების კონკრეტულ მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ზოგიერთი პოლიტიკური, ვთქვათ, ფაშისტური თუ პროფკავშირული მოძრაობა. ისინი უცნაურნი

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

ჩანან არა მარტო იმიტომ, რომ ორივე ახალი მოძრაობაა: ენთუზიაზმი ყოველივე ახლის მიმართ იმდენად ნიშნეულია ევროპელისთვის, რომ მისი ისტორია მთელს მსოფლიოში ჭეშმარიტად ყველაზე მშფოთვარე ისტორიაა. არა, ამ მოვლენების უცნაურობა და უჩვეულობა სიახლით როდი აიხსნება: პროფკავშირული მოძრაობისა და ფაშიზმის აღმოცენებით, ევროპაში პირველად ეძლევა დასაბამი ადამიანის ახალ ტიპს, რომელსაც არც სხვისი სიმართლის აღიარება სურს და არც ის, რომ თვითონ იყოს მართალი. ეს ადამიანი, არც მეტი და არც ნაკლები, მხოლოდ იმას ცდილობს, რომ თავისი აზრი ძალით მოახვიოს თავზე სხვებს. აქ ახალია სიმართლის უქონლობის, უსიმართლობის უფლება. ამაში მე ვხედავ მასების არსებობის ახალი მოდუსის ყველაზე თვალსაჩინო გამოვლინებას, მასებისა, რომლებმაც გადაწყვიტეს სათავეში ჩაუდგნენ საზოგადოებრივ ცხოვრებას, ისე, რომ საამისოდ არავითარ უნარი არ გააჩნიათ. პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი ქცევა ცხადად და აშკარად ავლენს მათ სულიერ არსს, მაგრამ ამ არსში საწვდომად აუცილებელია ვითვალისწინებდეთ მის ინტელექტუალურ შეუღწევადობას: საშუალო ადამიანში იღვიძებს აზრი, მაგრამ მისი ორგანიზმი ნაკლებად ესადაგება აზროვნების ფუნქციას. საშუალო ადამიანმა არც კი იცის, ჩვენი სხეულის რომელ ნაწილშია აზრის სათავე, მაგრამ მას სურს გამოთქვას თავისი აზრი. სწორედ ამიტომ, მისი „იდეები“ საკუთრივ აზრები კი არ არიან, არამედ სიტყვებით გამოხატული სურვილები, ისინი ლიბრეტოებსა ჰგვანან.

ამა თუ იმ აზრის ქონა იმის შეგნებას ნიშნავს, რომ მოიძებნება მისი არსებობის რაციონალური საფუძველი, და, მაშასადამე, იმის რწმენასაც, რომ არსებობს გონიერება, - უზარმაზარი ქალაქი, სადაც სახლობენ ჭეშმარიტებანი, რომელნიც მზად არიან გამოგვეცხადონ. საკუთარი აზრის განვითარება და შეხედულების გამოთქმა ერთი და იგივეა სხვა „მე“-ს წინაშე; ეს ნიშნავს სხვისი „მე“-სადმი მორჩილებას, სხვისი კანონისა და სხვისი განაჩენის ნებაყოფლობით აღიარებას, იმის რწმენას, რომ არსებობის უმაღლეს ფორმად დიალოგი გვევლინება, რომლის პროცესშიაც განიხილება ჩვენი იდეების რაციონალური საფუძველი. მაგრამ ადამიანი-მასის შეცბუნება მაშინ გენახათ, თუ აიძულებდნენ დისკუსიაში ჩაბმულიყო; აი, რატომაა, რომ ის ინსტინქტურად უარყოფს მის მიმართ ამ გარეგან ავტორიტეტს. „ახალი“ ევროპაში იმისკენ სწრაფვაა, რომ „წერტილი დაესვას ყოველგვარ დისკუსიას“, ამიტომაც ასე აშკარად საგრძნობია მტრული დამოკიდებულება თანაარსებობის ნებისმიერი ფორმის მიმართ, რაც გულისხმობს ობიექტური მოთხოვნების დაცვას, დიალოგით დაწყებული და პარლამენტით დამთავრებული, თუმცა თვით მეცნიერებაშიც დღეს იმავე სურათს ვხედავთ. ყოველივე ეს მოწმობს, რომ ევროპელები თანდათან უარს ამბობენ კულტურულ თანაარსებობაზე, ანუ, სხვა სიტყვებით, იმნაირ თანაარსებობაზე, კანონებს რომ ექვემდებარება, - და ბარბაროსული თანაარსებობის გზას ირჩევენ. რაკიღა უშუალოდ ითხოვენ იმას, რაც მათთვის სასურველია, ჩვენი

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

თანამედროვე ნორმალური ქცევის ყოველგვარ წესებს ივიწყებენ. როგორც ზემოთ აღვნიშნე, სულის ჰერმეტული შეუღწევადობა, საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ გამოვლინებაში მონაწილეობისათვის რომ აქეზებს ბრბოს, ბოლოს და ბოლოს, გარდუვალად მიიყვანს მასებს ცხოვრების ყველა სფეროში მათი აუცილებელი ჩარევის ერთადერთ შესაძლებლობამდე, და ეს შესაძლებლობა პირდაპირი მოქმედებაა.

იმ დღეს, როცა დადგენილ იქნება მიზეზები, რომლებმაც განაპირობეს ჩვენი დროის თავისებურება, აუცილებლად აღნიშნავენ, რომ დღევანდელობის მელოდიის პირველი ნოტები დაახლოებით 1900 წელს აჟღერდა ფრანგ პროფკავშირულ მოღვაწეთა ორკესტრის მიერ; ეს მოღვაწენი რეალისტები იყვნენ; „პირდაპირი მოქმედება“, როგორც საშუალება და როგორც ტერმინი, სწორედ მათი გამოგონილი გახლავთ. ადამიანი ყოველთვის იძულებული იყო ძალადობისათვის მიემართა; ძალადობის ზოგიერთი სახე შეიძლება დანაშაულადაც ჩაითვალოს, მაგრამ ამჯერად ეს როდი გვაინტერესებს. ისტორიას ახსოვს ისეთი შემთხვევებიც, როცა ძალადობას იძულებით მიმართავდა ის, ვინც ამოწურა ყველა არგუმენტი და ჭეშმარიტების აღსადგენად სხვა საშუალებას ვეღარ ხედავდა. ძალზე სამწუხაროა, რომ ადამიანისათვის ნიშნეული სისუსტე აიძულებდა მას, არცთუ იშვიათად მიემართა ამნაირი მოქმედებისთვის, თუმცა ისიც უეჭველია, რომ ამ შემთხვევაში ძალადობა ხელს უწყობდა გონებისა და სამართლიანობის პრინციპების უფრო ფართო გავრცელებას, მათ დამკვიდრებას. შეიძლება ითქვას, რომ გონების აღშფოთება ძალადობის სწორედ ამნაირ ფორმას იღებს; უწინ ძალა მართლაც ultima ratio[34] იყო.

ჩვენთვის ეს ახლა უფრო ცხადი ხდება, ვიდრე ოდესმე, რადგანაც „პირდაპირი მოქმედება“ საპირისპირო ქცევას გულისხმობს: ძალადობა prima ratio[35] ცხადდება, სინამდვილეში კი ერთადერთ ratio-დაც. „პირდაპირი მოქმედების“ კანონი გულისხმობს ყველა იმ კანონის გაუქმებას, ყველა მოქმედების აღკვეთას, რომლებიც აშუალებენ ჩვენს ქმედითობას მიზნის დასახვის მომენტიდან მის მიღწევამდე. ეს კანონი ბარბაროსების დაცვის სიგელია.

მე მინდა შეგახსენოთ, რომ ყოველთვის, როცა მასა, ამა თუ იმ მიზეზის გამო, იძულებული ხდებოდა, მონაწილეობა მიეღო საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მისი მონაწილეობა „პირდაპირი მოქმედების“ სახეს იღებდა. სწორედ ასე იქცეოდა იგი. ჩემი ესსეს ამ თეზისის თვალსაჩინო ნიმუშად გვევლინება ის უდაო ფაქტი, რომ სწორედ ახლა, როცა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მასების უშუალო ჩარევა შემთხვევითი და გაუთვალისწინებელი კი არა, უკვე სავსებით კანონზომიერი მოვლენაა, - „პირდაპირმა მოქმედებამ“ ოფიციალური კანონის სახე მიიღო.

დღეს ადამიანთა თანაარსებობის ყოველი სფერო ქცევის ამ ახალ წესებს, ან, უფრო სწორად, წესების უქონლობას, უწესობას ემორჩილება, დღევანდელ საზოგადოებაში უკვე

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

აღარავინ აღარ მოითხოვს „კარგი ტონის“ წესების დაცვას. ლიტერატურა, რომელიც „პირდაპირი მოქმედების“ მოთხოვნებს დაემორჩილა, თანდათანობით გადაგვარებას განიცდის და პასკვილად იქცევა. სქესთა შორის ურთიერთობა თავის რომანტიკულ ორეულს კარგავს.

ოჰ, თავაზიანობის ეს გულისგამაწვრილებელი წესები, ცერემონიული ჩვეულებები, სამართლიანობა და გონიერება! ვის რაში დასჭირდა მათი გამოგონება, ვითომ რა საჭირო იყო ასე გაერთულებინათ ცხოვრება? მაგრამ ყოველივე ამას ხომ ერთი სახელი აქვს - „ცივილიზაცია“, რაც, თავის მხრივ civis-გან („მოქალაქე“) იღებს დასაბამს. ყველა ეს „სირთულე“ ხელს უწყობს ქალაქის შექმნას, საზოგადოების დაფუძნებას, შესაძლებელს ხდის თანაარსებობას. ამიტომ, თუ კარგად დავუკვირდებით ცივილიზაციის მიერ გამოგონებულ ყველა ამ უმნიშვნელო წვრილმანს, დავინახავთ, რომ თვითეულ მათგანს ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც უშუალოდ შეესატყვისება ადამიანის ინტიმურსა და თანდათანობით მზარდ სურვილს, - ანგარიში გაუწიოს სხვის აზრს. ცივილიზაცია, უწინარეს ყოვლისა, თანაარსებობისკენ ნებაყოფლობითი სწრაფვაა. ადამიანი ცივილიზებული არსება კი აღარ არის, ბარბაროსად იქცევა, იმისდა კვალად, რაც უფრო ნაკლებ ანგარიშს უწევს მოყვასთა აზრს. ბარბაროსობა განცალკევების ტენდენციაა; ბარბაროსული ეპოქა ადამიანთა გათიშულობის ხანაა, როცა ისინი ერთურთის მიმართ გაუცხოებულ და მტრულად განწყობილ პატარა-პატარა ჯგუფებად იყოფიან.

პოლიტიკაში თანაარსებობისკენ ყველაზე ამაღლებული სწრაფვის ნიმუშად ლიბერალური დემოკრატია გვევლინება. როგორც „პირდაპირი მოქმედების“ პროტოტიპი, ის უკიდურესობამდე ავითარებს მოყვასის აზრისათვის ანგარიშის გაწევის მოთხოვნას. ლიბერალიზმი პოლიტიკური სამართლის პრინციპია, რომლის თანახმადაც, საზოგადოებრივი ძალაუფლება, მისი ყოვლისმომცველობის მიუხედავად, ცდილობს თვითონვე შეზღუდოს თავისი გავლენის არე და, რადაც არ უნდა დაუჯდეს, სახელმწიფოებრივ ასპარეზზე მოღვაწეობის საშუალება მისცეს მათ, ვინც ისე როდი ფიქრობს ანდა აზროვნებს, როგორც ლიბერალიზმის მომხრეები, ესე იგი, თავისი აზროვნებით განსხვავდება იმათგან, ვისაც ზურგს უმაგრებს ძალა, განსხვავდება უმრავლესობისაგან. ლიბერალიზმი - დღეს უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, უნდა გვახსოვდეს ეს, - დიდსულოვნების უზენაესი განსახიერებაა; ლიბერალიზმი ის უფლებაა, რასაც უმრავლესობა ანიჭებს უმცირესობას. ლიბერალიზმისკენ მოწოდება ცივილიზაციის ყველაზე კეთილშობილი მოწოდებაა, რაც კი ოდესმე გახმიანებულა ჩვენს პლანეტაზე. ის ნიშნავს მტერთან მშვიდობიან თანაარსებობას, მეტიც, ის სუსტ მტერთან თანაარსებობას ნიშნავს. წარმოუდგენელიც კი გვეჩვენება, რომ კაცთა მოდგმამ შესძლო თავისი განვითარების გზაზე ესოდენ მშვენიერი, პარადოქსული, დახვეწილი, ესოდენ სარისკო,

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

სახიფათო და არაბუნებრივი პრინციპი წამოეყენებინა. ამიტომ საკვირველი არა არის რა იმაში, რომ იმავე ხალხს, ვინც ეს პრინციპი გამოიგონა, ერთი სული ჰქონდა, რაც შეიძლება სწრაფად დაევიწყებინა იგი, - იმდენად ძნელი და რთული აღმოჩნდა მისი განხორციელება ცხოვრებაში.

მტერთან მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპის წამოყენება! პოლიტიკური ოპოზიციის დაშვება! გულზე ხელი დაიდეთ და ისე გვითხარით, აუხსნელი ხომ არ გეჩვენებათ მტრის მიმართ ამნაირი ლმობიერება? არაფერი ისე ნათლად არ გვიმჟღავნებს ჩვენი დროის თავისებურებას, როგორც ის ფაქტი, რომ დღეს ძალზე ცოტა ქვეყანაში თუღა დარჩა ხელსუფლების საპირისპიროდ მოქმედი რეალური ოპოზიცია. თითქმის ყველა ქვეყანაში უპიროვნო და უსახო მასა დღემდე არნახულ ზემოქმედებას ახდენს ხელისუფლების წარმომადგენლებზე და ჩანასახშივე სპობს ოპოზიციის არსებობის ნებისმიერ შესაძლებლობას. მასა (ვინ, მისი ათასხმიანი ერთსულოვნების რომელი შემყურე იტყოდა ამას?) გადაჭრით უარყოფს თანაარსებობას ვისთანაც გნებავთ, გარდა საკუთარი თავისა, - ის უღრმესი ზიზღითაა გამსჭვალული ყველას მიმართ, ვინც არ ეკუთვნის თვითონ მას.

მე სულაც არ ვესწრაფი იმას, რომ ისტორიის მეტაფიზიკური გაგების ბალასტით გადავტვირთო ეს ჩემი ესსე, თუმცა ისიც აშკარაა, რომ ცარიელ ადგილას როდი ვაგებ მას: ჩემი ნაგებობის საძირკველი ჩემივე ფილოსოფიური მრწამსია, რომელსაც არაერთხელ ვემყარები ჩემს სხვა შრომებშიც. მე არა მწამს ისტორიის აბსოლუტური დეტერმინაცია. პირიქით, ჩემის აზრით, ნებისმიერი ცხოვრება, მათ შორის, ისტორიულიც, ურიცხვი წამისაგან შედგება, რომელთაგანაც თითოეული საკმაოდ დამოუკიდებელია წინა წამისგან, ამიტომაც ჩვენი არსებობის ნებისმიერ მომენტში აუცილებელი ხდება ამოვირჩიოთ ესა თუ ის შესაძლებლობა, ასე რომ, ცხოვრება, შეიძლება ითქვას, pietine sur place[36]. ეს მეტაფიზიკური რხევითი მოძრაობა, ვიბრაციისა და თრთოლის ესოდენ დამახასიათებელ თვისებას რომ ანიჭებს ნებისმიერ ცოცხალ არსებას.

მასების ამბოხს შეუძლია ხელი შეუწყოს კაცობრიობის საზოგადოებრივი განვითარების ახალსა და დღემდე არნახულ ეტაპზე გადასვლას, მაგრამ მასვე შეუძლია კატასტროფამდე მიიყვანოს იგი. უაზრობაა, უარვყოთ პროგრესის არსებობა, მაგრამ აუცილებელია ერთგვარად დავაზუსტოთ მისი გარდუვალობის გაგება. ჩვენი აზრის განვითარება სინამდვილის მიმართ უფრო ადექვატური იქნება, თუ ვიტყვით, რომ პროგრესს ვერ მივიჩნევთ აუცილებელ მოვლენად; წარმოუდგენელია ნებისმიერი პროგრესი, ნებისმიერი ევოლუცია, რომელსაც წარსულისაკენ მიბრუნების საფრთხე არ ემუქრება. ისტორიაში აბსოლუტურად ყველაფერი შესაძლებელია: როგორც ხანგრძლივი ტრიუმფალური პროგრესი, ისე პერიოდული რეგრესიაც. ეს იმით აიხსნება, რომ ნებისმიერი ყოფიერება, ინდივიდუალურიც და კოლექტიურიც, პიროვნულიც და ისტორიულიც, სამყაროს ერთადერთი

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

შეძენილია ელ. წიგნების ონლაინ მაღაზიაში iBooks.ge

ელემენტია, რომლის არსადაც საშიშროება გვევლინება. ცხოვრებისათვის ნიშნეულია აღმაფრენა და დაცემა; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ცხოვრება დრამაა[37].

ეს პოსტულატი, საყოველთაო ჭეშმარიტებად რომ გვევლინება, კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ისტორიის ისეთ „კრიტიკულ მომენტებში“, როგორიცაა, ვთქვათ, ჩვენი დროება. ამრიგად, ქცევის მთელი ეს ახალი წესები, ჩვენს ეპოქაში - მასების ტრიუმფის ეპოქაში რომ იჩენს თავს და ჩვენს მიერ განისაზღვრებიან როგორც „პირდაპირი მოქმედება“, შეიძლება საზოგადოებრივი წესრიგის სრულყოფის შესაძლებლობას შეიცავდნენ. რა თქმა უნდა, ნებისმიერი ძველი კულტურა, რომელიც დღესაც განაგრძობს არსებობას, თან მოათრევს გახევებული მასალის, უსიცოცხლო, მკვდარი ქსოვილის საკმაოდ მძიმე ტვირთს და თავის გზაზე მიხრწნილების მოწამლულ კვალსა ტოვებს, რაც ხელს უშლის სიახლის ყლორტებს მზის სინათლეზე ამოიწვერონ. აქაა ყოვლად უაზრო და უსარგებლო ინსტიტუტებიც, დახავსებული ტრადიციების თაყვანისცემაც, მარტივ საკითხთა მიუტევებლად რთული გადაჭრის ცდებიცა და, ბოლოს, კანონებიც, რომლებსაც ქმედითობის არავითარი უნარი აღარ შერჩათ. ცივილიზაციის, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არაპირდაპირი მოქმედების მთელი ეს ელემენტები მოუთმენლად მოელიან თანამედროვეობის ბობოქარი, ყოვლის განმწმენდი და გამმარტივებელი ქარის დაბერვას. რომანტიკული სერთუკები და გულისპირები ნაცვლისგებას მოითხოვენ და, აი, მათ ნაცვლად მოდაში შემოდის მოშილიფებული ხალათები და დაკაპიწებული სახელოები. ამ შემთხვევაში, გამარტივება ჰიგიენისა და კარგი გემოვნების მოთხოვნებს პასუხობს, ამიტომ ის, წარსულთან შედარებით, უფრო მართებულად წყვეტს საკითხს, ისევე როგორც ყოველთვის, როცა ნაკლები საშუალებებით მეტს აღწევენ. რომანტიკული სიყვარულის ახოვან ხესაც სჭირდებოდა სასხლავის გაკვრა-გამოკვრა, რათა ტოტებისათვის შეეკვეცათ ყალბი მაგნოლიები, ხუჭუჭა ხვიარები თუ ლიანების წნულები, მზის სხივებს რომ არ ატარებდნენ და ხელს უშლიდნენ სინათლით ტკბობას.

მოკლედ, მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებას, განსაკუთრებით კი პოლიტიკას, სასწრაფოდ სჭირდება გამარტივება, მისი ჭეშმარიტი დანიშნულებისათვის მისადაგება. ოპტიმისტები ევროპული საზოგადოებისაგან ამაოდ მოელიან გიგანტურ ნახტომს; მათი მოლოდინი მოლოდინადვე დარჩება, სანამ ევროპა შიშველი სახით არ შეიცნობს თავის ნამდვილ არსს, სანამ არ გაიძრობს დრომოჭმული წარმოდგენების, ჩვეულებებისა თუ ინსტიტუტების დაძონძილ სამოსს და, ამრიგად, არ გაიცხადებს თავის ჭეშმარიტ „მე“-ს. მე ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ ასეც მოხდება, და რაკი შეგნებული მაქვს, რარიგად აუცილებელია გზა გავუთავისუფლოთ ჩვენი კონტინენტის ღირსეულ მომავალს, სწორედ ამიტომ ვითხოვ უფლებას, როგორც მინდა, ისე განვმარტო წარსულის ესა თუ ის ეპოქა; მხოლოდ მყოფადი თუ სძლევს ნამყოს, და ამიტომ სწორედ

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

შეძენილია ელ. წიგნების ონლაინ მაღაზიაში iBooks.ge

მომავალი უნდა გვკარნახობდეს, რანაირი დამოკიდებულება გვმართებს წარსულის მიმართ[38].

მგრამ ყოველნაირად უნდა ვცდილობდეთ, თავი დავაღწიოთ იმ საცდურს, რომელმაც XIX საუკუნეში აცდუნა ძლიერნი ამა ქვეყნისანი: საკუთარი უპასუხისმგებლობის შეგნებას, რამაც ყოველგვარი სიფრთხილისა და წინდახედულების გრძნობა დააკარგვინა მათ. აღარა გქონდეს საკუთარი პასუხისმგებლობის შეგნება, იმას ნიშნავს, რომ გულარხეინად მიცურავდე მოვლენების დამრეც ფერდობზე, გულში იხშობდე უბედურების წინათგრძნობას და განზრახ ხუჭავდე თვალს, რათა არ დაინახო საფრთხე, ნებისმიერი, თვით ყველაზე ბედნიერი დროის წიაღში რომ იმალება. ამჟამად აუცილებელია პასუხისმგებლობის გამძაფრებული გრძნობა აღვზარდოთ მათში, ვის სულშიაც ჯერ კიდევ შეიძლება მისი აღზრდა, და დაჟინებით შევახსენოთ საბედისწერო მუქარა - მომავალ მოვლენათა ავისმაუწყებელი სიმპტომები.

კონკრეტულ შესაძლებლობათა ზრდას, რაც ნიშნეულია თანამედროვე ცხოვრებისათვის, გაცამტვერებას უქადის ყველაზე საშინელ პრობლემასთან შეჯახება, გარდუვალად რომ ისახება ევროპული საზოგადოების განვითარების გზაზე. თავს ნებას მივცემ, ერთხელ კიდევ ჩამოვაყალიბო ეს პრობლემა: საზოგადოებრივი მმართველობის სადავე ხელთ იგდეს ადამიანებმა, რომლებსაც წარმოდგენაც არა აქვთ ცივილიზაციის განვითარების პრინციპებზე. როგორც ეს უკვე დღესაც შეიძლება შევნიშნოთ, საქმე ამა თუ იმ ცივილიზაციის პრინციპს კი არ ეხება, არამედ საერთოდ ცივილიზაციის პრინციპებს. ამ ადამიანებს, რა თქმა უნდა, აინტერესებთ ავტომანქანები, ტკივილის გამაყუჩებელი საშუალებები და ბევრი სხვა რამეც. მაგრამ ეს ინტერესი მხოლოდ ადასტურებს მათ გულგრილობას საკუთრივ ცივილიზაციის მიმართ. ავტომანქანები, მედიკამენტები და სხვა მისთანანი მხოლოდ ცივილიზაციის პროდუქტებია, და ის სიხარბე, რითაც ადამიანი-მასა აცხრება მათ, კიდევ უფრო მკაფიოდ წარმოგვიჩენს მის გულგრილობას იმ პრინციპების მიმართ, რამაც შესაძლებელი გახადა ყველა ამ საგნის არსებობა. საკმარისია დავუკვირდეთ შემდეგ ფაქტს: მას აქეთ, რაც დასაბამი მიეცა nuove scienze[39]-ს ესე იგი, აღორძინების შემდეგ, სულ უფრო მეტი გატაცებით ეუფლებიან მათ. საქმე ასე წარმოგვიდგება: იმ სწავლულთა რიცხვი, რომელნიც ახალ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგში მოღვაწეობდნენ, პროპორციული თვალსაზრისით, განუხრელად იზრდებოდა თაობებიდან თაობებამდე, და მხოლოდ დღეს მათმა რაოდენობამ პროპორციული, დიახ, კვლავ ვიმეორებ, პროპორციული თვალსაზრისით, პირველად იკლო იმ თაობაში, რომლის ასაკიც ოცი-ოცდაათი წლით განისაზღვრება. გაძნელდა სტუდენტობის მიზიდვა წმინდა მეცნიერებათა ლაბორატორიებში, და ეს ხდება სწორედ მაშინ, როცა მრეწველობამ არნახულ წარმატებებს მიაღწია, და როცა სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება მეცნიერების მიერ შექმნილი წამლებისა თუ პრეპარატების გამოყენება.

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

მეშინია, მკითხველი არ გადავღალო, თორემ აქვე დაგიმტკიცებდით, რომ ასეთივე სიტუაცია შეიქმნა პოლიტიკისა თუ ხელოვნების, მორალისა თუ რელიგიის სფეროშიც, და ანალოგიური მდოგმარეობაა ჩვენს ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ცხოვრებაშიც.

მაინც რას ნიშნავს ეს სიტუაცია? იმედი მაქვს, ჩემს ესსეში მოცემულია პასუხი; ეს ნიშნავს, რომ თანამედროვე საზოგადოებაში ადამიანის დომინანტური ტიპი გახდა ველური, Naturmensch[40], მოულოდნელად რომ გამოტყვრა ცივილიზებული სამყაროს წიაღში. ცივილიზებულია სამყარო, მაგრამ არა მასში მცხოვრები ადამიანი; ის ვერც კი ამჩნევს, რომ ცივილიზებულ სამყაროში ცხოვრობს, და ისე სარგებლობს ცივილიზაციის ყველა სიკეთით, როგორც ბუნების ნაყოფით. „ახალ“ ადამიანს ერთი სული აქვს, როდის ჩაიგდებს ხელში მანქანას, და თუ სურვილი აისრულა, სიხარულით ცას ეწევა; მას ჰგონია, რომ მანქანა, ციური მანანასავით, ციდან ჩამოვარდა, რადგანაც, კაცმა რომ თქვას, აზრადაც არ მოსდის ცივილიზაციის ხელოვნური, თითქმის დაუჯერებელი წარმომავლობა. ცოტა ზემოთ, როცა რატნოს სიტყვებით ვამტკიცებდი, რომ ჩვენ „ბარბაროსთა დაუოკებელი შემოსევის“ მოწმენი ვართ, შეიძლებოდა გვეფიქრა (რაც საკმაოდ ხშირად ხდება), რომ ეს მხოლოდ „ლამაზი ფრაზაა“. ახლა კი თვალნათლივ ვხედავთ, რომ ეს განსაზღვრა, რომელიც შეიძლება ჭეშმარიტადაც მიიჩნიონ და მცდარადაც, არამც და არამც არ შეიძლება დახასიათებულ იქნეს, როგორც „ლამაზი ფრაზა“. სინამდვილეში რატნოს ფრაზა ფორმალური განსაზღვრებაა, ზღვრული ლაკონიურობით რომ შეიცავს რთული ანალიზის შედეგებს. სწორედ ადამიანი-მასაა ის ველური, რომელიც მარჯვედ ჩამოცოცდა თოკზე და ანაზდეულად ისკუპა ცივილიზაციის ძველ სცენაზე.

დღეს გამუდმებით ყბედობენ არნახულ ტექნიკურ პროგრესზე, მაგრამ ჯერ კიდევ არ გამიგონია არც ერთი ხმა, თუნდაც ყოველგვარი წინასწარზრახვის გარეშე, გაკვრით მაინც რომ აღნიშნავდეს, რაოდენ აუცილებელია ვაცნობიერებდეთ იმ უაღრესად დრამატულ მომავალს, რომელიც ელის ამ პროგრესს. თვით შპენგლერიც კი, ესოდენ დახვეწილი და თავისთავადი მოაზროვნე (თუმცა მას ბევრი აკვიატებული იდეა ჰქონდა), ამ თვალსაზრისით, ძალზე ოპტიმისტურად განწყობილი მეჩვენება. ასე მაგალითად, მისი აზრით, „კულტურის“ პერიოდს მოჰყვება „ცივილიზაციის“ პერიოდი, რომელიც მისთვის, უწინარეს ყოვლისა, ტექნიკურ პროგრესს ნიშნავს. შპენგლერის წარმოდგენა „კულტურასა“ და ისტორიაზე იმდენად განსხვავდება ანალოგიური წარმოდგენებისაგან, რომლებიც საფუძვლად უდევს ჩვენს ესსეს, რომ, ალბათ, ძნელი იქნება მისი დასკვნების კომენტირება, ან თუნდაც მათი გადმოცემა გარკვეული თანმიმდევრობით. თუ ჩემი და მისი შეხედულებების გაერთმნიშვნელიანებას მოვიწადინებთ, ისე, რომ უგულებელვყოთ ცალკეულ განსხვავებები, და თავს ავარიდებთ დაზუსტებებს, მე შემდეგნაირად ჩამოვაყალიბებდი ჩვენი კონცეფციების არსებით სხვაობას - შპენგლერის აზრით,

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

ტექნიკა მაშინაც კი განაგრძობს არსებობას, თუ გაქრება ყოველგვარი ინტერესი უზოგადეს პრინციპთა მიმართ, რომელნიც წარმართავენ კულტურის განვითარებას. მე ვერ გავიზიარებ ამნაირ რწმენას. ტექნიკა, თავისი არსით, მეცნიერების განვითარების შედეგად გვევლინება, მეცნიერება კი ვერ იარსებებს, თუ მან შეწყვიტა არსებობა, როგორც წმინდა მეცნიერებამ. ის ნურც იმ შემთხვევაში გააგრძელებს არსებობას, თუ ადამიანთა გულში ჩაქრა ყოველგვარი მოწიწება კულტურის განვითარების უზოგადეს პრინციპთა მიმართ. თუ მიინავლა ამ აღტაცების ცეცხლი, რაც, ჩემის აზრით, დღეს უკვე ხდება, მაშინ ტექნიკა იარსებებს დროის მხოლოდ იმ შუალედში, ვიდრე გრძელდება კულტურული იმპულსის ინერცია, იმპულსისა, დასაბამი რომ მისცა თვითონ კულტურას. შესაძლებელია ადამიანებისა და ტექნიკის თანაარსებობა, მაგრამ შეუძლებელია ადამიანის არსებობა ტექნიკის ხარჯზე. ტექნიკა ვერც თავის თავს ასაზრდოებს და ვერც სიცოცხლეს შთაბერავს თავს; მას არ შეუძლია იყოს causa sui[41]. ტექნიკა სხვა არა არის რა, თუ არა უსარგებლო, არაპრაქტიკული ამოცანების პრაქტიკულად სასარგებლო და ძალზე ნაჩქარევი გადაჭრა[42].

ამრიგად ჩემის აზრით, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ დღევანდელი ინტერესი ტექნიკის მიმართ სულაც არ გვევლინება მისი მომავალი განვითარების გარანტიად. მე სრულ სოლიდარობას ვუცხადებ იმათ, ვინც ტექნიციზმში „თანამედროვე კულტურის“ ერთ-ერთ სპეციფიკურ ნიშანს ხედავს, კულტურისა, რომელიც გულისხმობს მატერიალურ სფეროში ტექნიკის გამოყენებას. ამიტომაც იყო, XIX საუკუნის წიაღში ჩასახული არსებობის ახალი მოდუსის თავისებურებათა ანალიზისას, მე საგანგებოდ გავამახვილე ყურადღება ორ მათგანზე: ლიბერალურ დემოკრატიასა და ტექნიკურ პროგრესზე[43]. მაგრამ ჩემს განცვიფრებას იწვევს ის გარემოება, რომ ყოველთვის, როცა ამ უკანასკნელზე ჩამოვარდება სიტყვა, რატომღაც იქვე ივიწყებენ, რომ მას მხოლოდ წმინდა მეცნიერება ასულდგმულებს, და ტექნიკის განვითარებისათვის აუცილებელი პირობები თავისთავად გულისხმობენ წმინდა მეცნიერების საარსებო პირობების შექმნას. ეთანხმებით თუ არა იმ აზრს, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში აუცილებლად უნდა მივსდევდეთ გარკვეულ პრინციპებს, რათა მეცნიერებმა კვლავაც შესძლონ „მეცნიერების მსახურებად“ დარჩენა? ნუთუ ვინმეს მართლა ჰგონია, რომ სანამ იქნება დოლარები, იარსებებს მეცნიერებაც? არადა, რამდენი ინუგეშებს თავს ამ აზრით. სინამდვილეში კი ამნაირი რწმენა სხვა არა არის რა, თუ არა ბარბაროსობის კიდევ ერთი დასტური.

რა ცოტა, მაგრამ ამასთანავე, ერთმანეთისაგან რარიგად განსხვავებული ინგრედიენტები სჭირდება იმას, რომ შევაზავოთ და ვანჯღრიოთ ისინი იმ კოქტეილის მისაღებად, რომელსაც ფიზიკური ქიმია ჰქვია სახელად! ზერელე აღქმაც, თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია, რათა ნათელი შეიქნეს, რომ უსასრულო გეოგრაფიული თუ ისტორიული სივრციდან ამ მეცნიერებამ შემთხვევით როდი ამოირჩია თავისი განვითარების ადგილად პატარა სამკუთხედი, რომლის

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

წვეროებიც სამ წერტილში - ლონდონში, ბერლინსა და პარიზში მდგომარეობს, და თვით ამ პირობების დაცვითაც კი მან მხოლოდ XIX საუკუნეში შესაძლო აღმოცენება. ეს ერთხელ კიდევ გვიმოწმებს, რომ ექსპერიმენტული მეცნიერება ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე გამაოგნებელ პროდუქტად გვევლინება. როგორც ჩანს, საიმისოდ, რომ დასაბამი მიეცეს ადამიანის ახალ ტიპს - მეცნიერ-ექსპერიმენტატორს - საჭიროა გაცილებით უფრო ფანტასტიკური პირობები, ვიდრე მარტორქის შექმნას სჭირდება. ამ ფაქტის სიცხადე და სიმარტივე გვაიძულებს დავუფიქრდეთ მეცნიერული შემოქმედების უკიდურესად ჟინიან ბუნებას[44]. განა ბრმა არ არის, ვინც ფიქრობს, რომ თუ გაქრება ევროპა, ამერიკელები შესძლებენ კვლავაც გააგრძელონ მეცნიერული კვლევა-ძიება?

ურიგო არ იქნებოდა ჩავღრმავებოდით ამ საკითხს და დაგვეზუსტებინა, მაინც რას წარმოადგენენ ის ისტორიული და ცხოვრებისეული წანამძღვრები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ექსპერიმენტული მეცნიერების განვითარებას და, მაშასადამე, ტექნიკურ პროგრესსაც. მაგრამ იმედი ნუ გექნებათ, რომ თვით იმ შემთხვევაშიაც კი, თუ შესაძლებელი შეიქნა ამის დადგენა, ადამიან-მასას რაიმეს შეაგნებინებთ; არა, ის არ ენდობა გონების არგუმენტებს, მან ყველაფერი თავის თავზე უნდა გამოსცადოს, თვითონვე უნდა იწვნიოს.

მე მოვახდინე ერთი დაკვირვება, რამაც ყოველგვარი ილუზია გამიფანტა იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ რა სარგებლობას შეიძლება მოველოდეთ გონების არგუმენტებზე დაფუძნებული, და, მაშასადამე, საკმაოდ დახვეწილი მსჯელობისაგან. განა აბსურდი არ არის, რომ საშუალო ადამიანი დღევანდელ ვითარებაში, აბსოლუტურად თავისი ნებით და ამ თემაზე ყოველგვარი ქადაგების გარეშე, უცებ აღენთო უჩვეულო სიყვარულით ზუსტი მეცნიერებებისა და მათი მონათესავე ბიოლოგიის მიმართ? თუ შეიძლება, ყურადღება მიაქციეთ დღევანდელი სიტუაციის ერთ თავისებურებას: მაშინ, როდესაც კულტურის სხვა მოვლენები აშკარად პრობლემატური გახდნენ (მე ვგულისხმობ პოლიტიკას, ხელოვნებას, საზოგადოებრივი ქცევის ნორმებს და თვით მორალსაც), მათგან გამოიყო ერთი მოვლენა, რომელიც ესოდენ დიდ ეფექტს ახდენს ბრბოზე, სახელდობრ, ემპირიული მეცნიერება. დღითი დღე სულ უფრო მეტად ვრწმუნდებით, რაოდენ ეჭვშეუვალია ეს მტკიცება: ქიმიკოსები და მედიკოსები ყოველდღე იგონებენ ტკივილის გამაყუჩებელ რაიმე ახალ საშუალებას, ან ვაქცინას, საშუალო ადამიანის ჯანმრთელობის განსამტკიცებლად; ინჟინრები ყოველდღე გვთავაზობენ კიდევ ერთ ახალ გამოგონებას, როლითაც დაუყოვნებლივ სარგებლობს საშუალო ადამიანი. ყველამ იცის, რომ თუ მეცნიერები შემოქმედებითი ძალების ასეთივე დაძაბვით გააგრძელებენ მუშაობას, და თუ სამეცნიერო ლაბორატორიების რაოდენობა სამჯერ ან ათჯერ გაიზრდება, ავტომატურად ამაღლდება საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და ჯანმრთელობის დაცვის დონე. სულ უფრო და უფრო მეტი ახალი ტექნიკური გამოგონების მოწმენი გავხდებით. განა

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

შეიძლება წარმოვიდგინოთ გარკვეული სასიცოცხლო პრინციპის რაიმე სხვა, უფრო დამაჯერებელი რეკლამა? კი მაგრამ, რატომ ვერ ვხედავთ ვერავითარ ნიშნას იმისას, რომ მასებმა უცებ, შეგნებულად, ქველმოქმედების იმპულსის ძალით ხელი მიჰყვეს მეცნიერების დაფინანსებას? ის კი არადა, ომის შემდგომ პერიოდში სწავლული ჩვენი საზოგადოების კიდევ ერთ ჩაგრულ წევრად, ზედმეტ ადამიანად იქცა. მე ვგულისხმობ მხოლოდ ფიზიკოსებს, ქიმიკოსებსა თუ ბიოლოგებს, და არა ფილოსოფოსებს, - ფილოსოფიას არ სჭირდება არც მფარველობა, არც ქველმოქმედება, არც მასების სიმპათია. ფილოსოფია ამაყობს თვისი აბსოლუტური პრაქტიკული უსარგებლობით, რისი წყალობითაც ის თავს აღწევს საშუალო ადამიანის ყოველნაირ მეურვეობას; ფილოსოფიას შეგნებული აქვს თავისი პრობლემატური არსი და, ცის ფრინველებივით, სიხარულით ეგებება ბედის განაჩენს, არც მფარველობას ითხოვს, არც ყურადღებას და არც თავისი პრინციპების პროპაგანდას. თუ ვინმე, თავისდა სასიკეთოდ, ნებაყოფლობით ისარგებლებს ფილოსოფოსის რჩევით, ეს უკანასკნელი გახარებული დარჩება მისი გულისხმიერებითა და გონიერებით, მაგრამ არაფერს არ გამოელის აქედან, თუმცა არც ესწრაფის გამორჩენას, აზრადაც არ მოსდის ეს. როგორ უნდა მოსთხოვოს სხვებს, რომ სერიოზულად მიიღონ და აღიარონ, თუკი თვითონვე ეპარება ეჭვი საკუთარ არსებობაში, თუ მხოლოდ იმის ხარჯზე ცოცხლობს, რომ გამუდმებით ეპაექრება თავისსავე თავს, და თუ განუწყვეტლივ ცვლის თავისი განვითარების კანონებს? მაშ, მოვეშვათ ფილოსოფიას, - ის სულ სხვა რიგის მოვლენა გახლავთ.

მაგრამ ექსპერიმენტულ მეცნიერებას სჭირდება მასა, ისევე, როგორც მასას სჭირდება იგი; ისინი უერთმანეთოთ ვერ იარსებებენ: ფიზიკური ქიმიის განვითარების გარეშე უკვე შეუძლებელია დედამიწაზე შევინარჩუნოთ მის მკვიდრთა დღევანდელი რაოდენობა.

გონების რანაირი დასკვნებით შეიძლება იმის მიღწევა, რასაც ვერ მივაღწევთ ავტომანქანების მეშვეობით, რომლებითაც დაჰქრიან ეს ადამიანები, და ვერც პანტოპონის წყალობით, სასწაულებრივი ძალით რომ კურნავს ყოველგვარ ტკივილს? და, აი, უკვე ყალიბდება არნახული დისპროპორცია, ერთის მხრივ, მეცნიერების მიერ ჩვენთვის ბოძებულ აშკარა და დღითი დღე სულ უფრო მზარდ სიკეთესა და, მეორეს მხრივ, იმ ინტერესს შორის, რომელსაც მეცნიერება იწვევს. ასე რომ, ნუ მოვიტყუებთ თავს, ნუ გვექნება იმის იმედი, რომ ადამიანი-მასა ცივილიზებულ არსებასავით მოიქცევა, და არა ბარბაროსივით. მით უმეტეს, რომ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, მეცნიერებისაგან ეს განდგომა ყველაზე მეტად დამახასიათებელია ექიმების, ინჟინრებისა და, საერთოდ, ტექნიკური სპეციალისტებისათვის. დღეს ისინი ისეთივე განწყობით ასრულებენ თავიანთ საქმეს, როგორითაც ჩვენ დავაქროლებთ მანქანებს, ან ასპირინს ვყიდულობთ, ისე, რომ სულაც არ გვადარდებს მეცნიერებისა და ცივილიზაციის ბედი.

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

შესაძლოა, ზოგიერთი ჩემი მკითხველი შეაძრწუნოს მომავალი ბარბარიზაციის სხვა ნიშნებმა, რომლებსაც პოზიტიური ელფერი დაჰკრავთ, ესე იგი, უმოქმედობად კი არა, მოქმედებად გვევლინებიან, და ამიტომ უფრო თვალში საცემნი არიან, რაკიღა ამა თუ იმ საქმიანობის განსახიერებად წარმოგვიდგებიან. ჩემთვის კი ყველაზე საზარელი ნიშანი ეს დისპროპორციაა, ერთის მხრივ, იმ სიკეთესა, რასაც მეცნიერება სთავაზობს საშუალო ადამიანს, და, მეორეს მხრივ, იმ მადლიერებას, ან, უფრო სწორად, უმადურობას შორის, რასაც საშუალო ადამიანი იჩენს მეცნიერების მიმართ[45]. მე მხოლოდ მაშინ შემიძლია შევეგუო იმ აზრს, რომ მასები არავითარ პატივს აღარ სცემენ მეცნიერებას, როცა მახსენდება, რომ აფრიკის სავანეში ზანგებიც დაჰქრიან მანქანებით და ასპირინსაც ყლაპავენ. ამრიგად, მე მინდა ვივარაუდო: ადამიანის ტიპი, რომელიც უკვე ჭარბობს ჩვენს კონტინენტზე, პირველყოფილი ადამიანის ტიპია, მით უმეტეს, იმ ურთულეს ცივილიზაციასთან მიმართებით, რომელმაც დასაბამი მისცა მას, „ახალი ადამიანები“ ბარბაროსები არიან, თავხედურად რომ შემოიჭრნენ ისტორიის სცენაზე და თავიანთი გააფთრებული შემოსევით აავსეს მთელი ისტორიული სივრცე.

პირველყოფილი ადამიანი და ისტორია

ბუნება ჩასაფრებულია და გვითვალთვალებს. ის ყოველთვის ცდილობს დაგვჯაბნოს. იქ, პირველყოფილ ტყეში, ჩვენ შეგვიძლია ისე ვგრძნობდეთ თავს ველურებად, რომ სასჯელის შიში არ გვქონდეს. ჩვენ ისიც კი შეგვიძლია, რომ სამუდამოდ ველურებად დავრჩეთ და მაშინ მხოლოდ ერთი საფრთხე თუ შეიძლება გვემუქრებოდეს - ცივილიზებულ ადამიანთან შეჯახება. რა თქმა უნდა, შეიძლება დავუშვათ არსებობა ხალხებისა, რომლებიც არასოდეს გამოსულან პირველყოფილი მდგომარეობიდან. ამნაირი ხალხები მართლაც არსებობენ; ბრეისიგი „მარადიული ცისკრის ტომებს“ უწოდებს მათ. ისინი ჭვრეტენ მხოლოდ მზის ამოსვლის მკრთალ ციმციმს, მათ მხარეში არასოდეს დგება შუადღე.

ეს ხდება სამყაროში, სადაც მბრძანებლობს ბუნება, მაგრამ ეს არ შეიძლება მოხდეს ცივილიზებულ სამყაროში, როგორიც ჩვენი სამყარო გახლავთ. ცივილიზაცია არც ჩასაფრებულია და არც გვითვალთვალებს. თავისთავად, სხვისი დახმარების გარეშე, მას არ შეუძლია თავისი თავის რეპროდუცირება. ის ხელოვნური წარმომავლობისაა და ამიტომ, თავისი არსებობის შესანარჩუნებლად, ხელოვანი და ხელოსანი სჭირდება. თუ თქვენ გსურთ ისარგებლოთ ცივილიზაციის სიკეთით, მაგრამ თითს თითზედაც არ აკარებთ მის შესანარჩუნებლად, რაც მოგივათ, თქვენსავე თავს დააბრალეთ, - ცივილიზაცია თვალსა და ხელს შუა გაგიქრებათ. საკმარისია, ერთი წამით მოსწყდეთ საქმეს, სხვა რამეზე გადაიტანოთ ყურადღება, და ცივილიზაციის ასავალ-დასავალსაც ვეღარ გაიგებთ: თითქოს ვიღაცამ ჩამოჰგლიჯა საბურველი და გააშიშვლა პირველყოფილი ტყის დასაბამიერი არსი, ამ საბურველის ქვეშ

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

შეძენილია ელ. წიგნების ონლაინ მაღაზიაში iBooks.ge

რომ იმალებოდა. უღრან ტყეში ყოველთვის არის რაღაც პირველყოფილი, და პირიქით, ყოველივე პირველყოფილი უღრანი ტყიდან შემოდის ჩვენში.

ყველა დროისა და ყველა ხალხის რომანტიკოსებს ოდითგანვე იზიდავდა ძალადობის სცენები, - აქ ხომ ბუნებრივი, მხეცური საწყისი კვლავ და კვლავ იძლევა ადამიანის სუსტ ქალურ საწყისს. ამიტომაც გამოიგონეს ისეთი სიუჟეტები, როგორიცაა, ვთქვათ, ლედა და ვნებით მოცახცახე გედი, კურო და პასიფაე, ანტიოპე და მისი დაუფლების სურვილით ატროვებული ბოტი. შემთხვევით როდი იპყრობდა რომანტიკოსების ყურადღებას, მათი თვალსაზრისით, ნანგრევების უხამსი სანახაობა, სადაც ადამიანის ხელით დათლილი ლოდები თითქოს იხრჩობოდნენ ველური ბუნების ხვევნაში. საკმარისი იყო რომანტიკოს მხატვარს ამა თუ იმ შენობისათვის მიეპყრო თვალი და სახურავიდან საძირკვლამდე შეეთვალიერებინა იგი, რომ მყისვე იწყებდა მზერით მოყვითალო-მომწვანო ხავსის ძებნას, ნიშნად იმისა, რომ, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი ბუნებას უბრუნდება, და რომ ბუნება მძლავრობს ყველგან და ყველაფერზე.

სიბრიყვე იქნებოდა, საცინად აგვეგდო ჩვენი რომანტიკოსი. ის მართალია, - თავისებურად, ამ მიამიტურსა და ბიწიერ სახეებს უზარმაზარ დასაბამიერ პრობლემასთან მივყავართ: ეს გახლავთ ცივილიზაციისა და მის ზურგს უკან მდგარი ბუნების, რაციონალურ და კოსმიურ საწყისთა თანაფარდობის პრობლემა: ნება მიბოძეთ, სხვა დროს და სხვა ადგილას კვლავ მივუბრუნდე ამ საკითხს (და თანაც, სავსებით რომანტიკული განწყობილებით).

ახლა კი ჩვენ წინაშე დგას ამოცანა, მოვიგერიოთ ველური ბუნების შემოტევა. „შეგნებულმა“ ევროპელმა თავისი თავი უნდა მიუძღვნას იმას, რამაც დღეს, როგორც მოგეხსენებათ, ამდენი საფიქრალი და თავსამტვრევი გაუჩინა ავსტრალიელებს, რომლებსაც ნამდვილი ბრძოლა სჭირდებათ იმისთვის, რომ საშუალება არ მისცენ ველურ კაქტუსებს, მთელ კონტინენტს მოედონ, რადგანაც მათ შეიძლება ფეხის მოსაკიდებელი ადგილიც აღარ დაუტოვონ ადამიანებს და ზღვაში გადაუძახონ ისინი. გასული საუკუნის ორმოციან წლებში, ხმელთაშუა ზღვისპირეთის ერთ-ერთმა მკვიდრმა, ნოსტალგიურად განწყობილმა ემიგრანტმა, არ ვიცი, მალაგელმა თუ სევილიელმა, ავსტრალიაში ჩაიტანა კაქტუსის ნერგი. დღეს კი ავსტრალიელები იძულებულნი არიან თავიანთი ბიუჯეტის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი გაიღონ კაქტუსთან საბრძოლველად. კაქტუსები ყოველწლიურად თითო კვადრატული კილომეტრით მაინც ზრდიან თავიანთი გავრცელების არეს, და ისინი თითქმის უკვე მთელ კონტინენტს მოედვნენ.

ადამიან-მასას ჰგონია, რომ ცივილიზაცია, რომელმაც ძუძუ აწოვა მას და რომლის მიღწევებითაც ის სარგებლობს, ისეთივე ბუნებრივი და წარღვნამდელი წარმომავლობისაა, როგორც თვით ბუნება, ამიტომ თვითონაც ipso facto[46] წინარეისტორიულ ადამიანად იქცევა. ცივილიზაცია მისთვის

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

იგივეა, რაც გაუვალი შამბნარი. ეს ზემოთ უკვე მოგახსენეთ, ახლა კი მინდა ცოტათი მაინც დავაზუსტო, რას ვგულისხმობდი.

პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უდევს თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროს, და რომელთა შენარჩუნებაც მუდმივ ძალისხმევას მოითხოვს, უკვე აღარაფერს აღარ ნიშნავენ საშუალო ადამიანისათვის. მას აღარ აინტერესებს კულტურის მიერ შექმნილი უმთავრესი ფასეულობანი, ის არ ეთანხმება მათ, აღარ სურს მათ ემსახუროს. რამ გამოიწვია ეს? მიზეზი ბევრია, მაგრამ ახლა მე მინდა მხოლოდ ერთ მათგანზე შევაჩერო თქვენი ყურადღება.

ცივილიზაცია, თავისი განვითარების კვალდაკვალ, სულ უფრო და უფრო რთულდება, და ჩვენ წინაშეც უფრო რთულსა და უფრო დახლართულ პრობლემებს აყენებს. დღითი დღე მცირდება იმათი რიცხვი, ვისაც მათი გადაჭრა ძალუძს. ის, რაც ომის შემდგომდროინდელ ევროპაში ხდება, თვალნათლივ გვიმოწმებს ჩემი შენიშვნის სისწორეს. ასე მაგალითად, ევროპული ეკონომიკის აღდგენა ომის შემდეგ უაღრესად ძნელი ამოცანაა, და უბრალო ევროპელი მას ვერ გადაწყვეტს. უბედურება საშუალებების კი არა, ჭკუის ნაკლებობაა. უფრო სწორედ, ჭკუა, მართალია, ცოტა, მაგრამ მაინც მოიძებნება: ვაი რომ, საშუალო ევროპელთა ბრიყვი და მცონარა სხეულები გასაქანს არ აძლევენ მას.

ეს დისპროპორცია, ერთის მხრივ, ამოცანების უკიდურეს სირთულესა და დახლართულობას, ხოლო მეორეს მხრივ, მათი გადაჭრის უნარს შორის, თანდათანობით იზრდება და კვლავაც გაიზრდება მანამ, სანამ ამ ზრდის შეჩერების საშუალებას არ მიაკვლევენ. სწორედ ეს დისპროპორციაა ცივილიზაციის უმთავრესი ტრაგედია. პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უდევს ჩვენს ცივილიზაციას, იმდენად მნიშვნელოვანნი და ნაყოფიერნი გამოდგნენ, იმდენად უხვი და მრავალფეროვანი მოსავალი მოგვაწევინეს, რომ მათი ნაყოფით გამაძღარმა და გულმოყირჭებულმა „ნორმალურმა“ ადამიანმა ყოველგვარი ინტერესი დაკარგა თვით ამ პრინციპების მიმართ. არა მგონია, წარსულში რაიმე ამგვარი მომხდარიყოს. ყველა ძველი ცივილიზაცია იმიტომ იღუპებოდა, რომ მათ პრინციპებს დაფუძნება და დასაბუთება აკლდა. როგორც ჩანს, ევროპულ ცივილიზაციას სრულიად საპირისპირო ხასიათის საფრთხე ემუქრება. რომის იმპერია იმან დააქცია, რომ ვერ შესძლო ტექნიკის განვითარება. მხოლოდ ტექნიკას შეეძლო დაეკმაყოფილებინა იმდენი ხალხის საარსებო მოთხოვნილებანი, რამდენ მცხოვრებსაც ითვლიდა რომის იმპერია მისი დაცემის ჟამს. სწორედ ამიტომაც შეანელა ძველმა სამყარომ თავისი განვითარება, თანდათანობით რღვევა იწყო და ბოლოს, სრული კრახი განიცადა.

მაგრამ დღეს სულ სხვა სიტუაციაა. ახლა უკვე თვით ადამიანი ველარ ასწრებს ფეხდაფეხ მისდიოს პროგრესს, რომლის გზასაც განუხრელად მიჰყვება ცივილიზაცია. თმები ყალყზე გიდგება, როდესაც ისმენ, რანაირად მსჯელობენ საკმაოდ განათლებული ადამიანები ყველაზე ელემენტარულ

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

შეძენილია ელ. წიგნების ონლაინ მაღაზიაში iBooks.ge

ცხოვრებისეულ მოვლენებზე. ისინი გლეხებს მაგონებენ, თავიანთი მოუქნელი, კოტიტა თითებით ამაოდ რომ ცდილობენ მაგიდიდან ნემსის აღებას. ეს ადამიანები პოლიტიკასა და საზოგადოებას იმ დრომოჭმული წარმოდგენების მიხედვით აფასებენ, რომლებიც ორასი წლის წინათ ჩამოყალიბდნენ და გამიზნულნი იყვნენ ორასჯერ უფრო მარტივი პრობლემების გადასაჭრელად.

რაც უფრო რთულია ცივილიზაცია, მით უფრო ძნელად გადასაჭრელ პრობლემებს აყენებს ჩვენ წინაშე. ამიტომ პროგრესს გარდუვალად თანა სდევს საფრთხე: ცხოვრება უკეთესი ხდება, მაგრამ, ამასთანავე, უფრო რთულიც, ცხადია, რაც უფრო რთულდება პრობლემები, მით უფრო იხვეწება მათი გადაჭრის საშუალებებიც, მაგრამ ყოველი ახალი თაობა თვითონვე უნდა ეძებდეს მათ. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ერთი იმ საშუალებათაგანი, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ცივილიზაციის პროგრესს. ესაა ისტორიული ცოდნა, რომელსაც საფუძვლად უდევს, უწინარეს ყოვლისა, კაცობრიობის განვითარების მთელი წინარე პერიოდის მანძილზე შეძენილი გამოცდილება. ისტორიული ცოდნის დაუფლება ცივილიზაციის განვითარებისა და მისი განუხრელი პროგრესის უპირველეს გარანტიად უნდა მიგვაჩნდეს, მაგრამ იმიტომ კი არა, თითქოს მას შეუძლია გადაგვაჭრევინოს ახალი ცხოვრებისეული კონფლიქტები, არამედ იმიტომ, რომ წარსული გამოცდილების ცოდნამ შეიძლება თავიდან აგვაცილებინოს გარდასულ ეპოქათა შეცდომების გამეორება. მაგრამ თუ თქვენ ისედაც ხანდაზმული ბრძანდებით (რაც თავისთავად ძალზე აძნელებს ცხოვრებას), ამასთან, სკლეროზიც დაგეწყოთ და წარსულიც დაგავიწყდათ, ასე რომ, ვეღარც ისარგებლებთ მისი გამოცდილებით, თქვენი ღირსება ნაკლოვანებად იქცევა. სწორედ ეს ხდება დღევანდელ ევროპაში, სადაც თვით ყველაზე „კულტურულ“ ადამიანებსაც კი მიუტევებელი ისტორიული „სკლეროზი“ სჭირთ. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ლიდერები, რომლებზედაც დამოკიდებულია ევროპული საზოგადოების ბედი, გაცილებით უფრო ცუდად იცნობენ ისტორიას, ვიდრე XVIII, ან თუნდაც XVII საუკუნის ადამიანები. სწორედ იმ ისტორიულმა ცოდნამ, რომელსაც ფლობდა მმართველი უმცირესობა (მმართველი - sensu latu[47]), შესაძლებელი გახადა არნახული პროგრესი XIX საუკუნეში. იმ მიზნით, რომ თავიდან აეცილებინათ გარდასულ ეპოქათა შეცდომები, XVIII საუკუნის პოლიტიკოსები წინასწარ გეგმავდნენ თავიანთ მოღვაწეობას და შეძლებისდაგვარად ითვალისწინებდნენ მთელ ისტორიულ გამოცდილებას. მაგრამ უკვე XIX საუკუნეში „ისტორიული კულტურა“ კვდომას იწყებს, მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელმა სწავლულებმა განვითარების ისეთ მაღალ საფეხურზე აიყვანეს ისტორიული მეცნიერება, რისთვისაც მას არასოდეს მიუღწევია[48]. შეცდომებმა, რომლებიც ჩვენი საზოგადოების განვითარებას ამუხრუჭებენ, სწორედ მაშინ იჩინეს თავი, მაგრამ არა მარტო ამ მიზეზის გამო. ის უჩინარი მუშაობა, რამაც დღევანდელ რეგრესსა თუ ბარბაროსულ მდგომარეობისაკენ

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

შეძენილია ელ. წიგნების ონლაინ მაღაზიაში iBooks.ge

შემობრუნებამდე, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმ ადამიანის მიამიტურ მდგომარეობამდე მიგვიყვანა, რომელსაც წარსული არც ახსოვს და არც გააჩნია, - XIX საუკუნის უკანასკნელ მესამედში დაიწყო.

ამ აშკარა რეგრესიის ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშად ევროპაში და მის განაპირას აღმოცენებული ბოლშევიზმი და ფაშიზმი, „ახალი“ პოლიტიკის ეს ორი ნაშიერი გვევლინება. ჩვენ შეგვიძლია ამნაირი რეგრესიის ნიმუშებად მიგვაჩნდეს ისინი, მაგრამ არა იმ დადებითი მუხტის გამო, რომელსაც შეიცავენ ეს მოძღვრებები, რა თქმა უნდა, ნაწილობრივ მაინც რომ ასახავენ ჭეშმარიტებას (სამყაროში ყველაფერს, თუნდაც სულ უმნიშვნელო, მაგრამ მაინც თავისი საკუთარი აზრი აქვს), არამედ იმ ანტიისტორიული, ანაქრონიული მიდგომის გამო, რაც ახასიათებს ყველა მათეულ მცდელობას, ცხოვრებაში განახორციელონ თავიანთი ნაწილობრივი ჭეშმარიტება. ისინი გვევლინებიან იმ ჭეშმარიტად მასობრივ მოძრაობათა ტიპიურ მაგალითებად, რომელთაც, როგორც მოსალოდნელი იყო, უსახო, უღიმღამო და უფერული, მეხსიერებამოშლილი ადამიანები ხელმძღვანელობენ, რომლებსაც არ შეუძლიათ ჩასწვდნენ ისტორიული მომენტის სპეციფიკას, რადგანაც საერთოდ არ გააჩნიათ ისტორიული ცნობიერება. მათი ქცევა, არსებითად, უკვე შეიძლება წარსულში იქნეს გადატანილი. მიუხედავად იმისა, რომ მათი მოღვაწეობა აწმყოში მიმდინარეობს, ის წყლის ორი წვეთივითა ჰგავს იმას, რისი მოწმეც უკვე ყოფილა ისტორია.

საქმე კომუნისტური თუ ბოლშევიკური პარტიის წევრობას როდი ეხება. მე არ ვაპირებ აქ იმის განსჯას, თუ რამდენად აუცილებელია იზიარებდე ამა თუ იმ პოლიტიკურ კრედოს, მაგრამ შეუძლებელია არ აღვნიშნოთ კომუნისტის მოქმედების აუხსნელი ანაქრონიზმი 1917 წელს, კომუნისტისა, თავდაუზოგავად რომ ცდილობდა მოეხდინა იმნაირი რევოლუცია, რომელიც თავისი ფორმით ყველა სხვა, მასზე უწინარესი რევოლუციის მსგავსი იქნებოდა და ზუსტად გაიმეორებდა მათ ყველა ნაკლოვანებას. ამიტომ, ისტორიული თვალსაზრისით, რუსული რევოლუცია არ შეიძლება რაიმე ინტერესის საგანი იყოს, არ შეიძლება ნამდვილი ადამიანური ცხოვრების დასაწყისად იქნეს მიჩნეული; პირიქით, თავისი არსით, ის რაღაც სრულიად საპირისპირო მოვლენა გახლავთ. ახალი რევოლუცია სხვა არა არის რა, თუ არა ერთი და იმავე რევოლუციის გულისგამაწვრილებელი გამეორება. რუსული რევოლუცია ჩვეულებრივი რევოლუციის იმდენად ტიპიური მაგალითია, რომ ძნელია წარმოვიდგინოთ რაიმე ბანალური გამონათქვამი ყველა იმ რევოლუციის შესახებ, რაც კი საერთოდ ახსოვს ისტორიას, რომ ამ ბანალურობის დასტურად არ გვევლინებოდეს რუსული რევოლუცია. „რევოლუცია თავის საკუთარ შვილებსა ნთქავს“, „რევოლუციას იწყებენ ზომიერი პარტიები, შემდეგ კი რევოლუციის პროცესს ექსტრემისტები წარმართავენ, ძალადობის გზით რომ ექცევიან რევოლუციური მოძრაობის სათავეში, მაგრამ მალე ისინი უკან იხევენ და იწყება წინანდელი რეჟიმის რესტავრაციის პერიოდი“, და ა. შ. და ა. შ.

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

ამ ღირსშესანიშნავ გაცვეთილ ფრაზებს უნდა დაემატოს თავიანთი ბანალურობით არც ისე აშკარად თვალში საცემი, მაგრამ არანაკლებ მართებული გამონათქვამები, როგორიცაა, მაგალითად, შემდეგი: რევოლუცია არ შეიძლება გაგრძელდეს თხუთმეტ წელზე, ესე იგი, დროის იმ შუალედზე უფრო დიდი ხნის განმავლობაში, რომლითაც განისაზღვრება ერთი თაობის აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრების პერიოდი[49]!

ვინც ჭეშმარიტად ახალი სოციალური თუ პოლიტიკური რეალობის შექმნაზე ოცნებობს, უწინარეს ყოვლისა, იმას უნდა ისწრაფოდეს, რომ ისტორიული გამოცდილების განზოგადების შემდეგ ჩამოყალიბებული ეს ბანალური ჭეშმარიტებანი ჭეშმარიტებებად აღარ გვევლინებოდნენ იმ სამყაროში, რომლის შექმნასაც ის ცდილობს. მე კი, ჩემის მხრივ, გენიალურს ვუწოდებდი იმ პოლიტიკოსს, ვინც თავისი კარიერის საწყის ეტაპზე შესძლებდა დაემტკიცებინა, რომ ვერც ერთმა ისტორიულმა „კანონმა“ ვერ გაუძლო დროის გამოცდას, არავითარი ქმედითუნარიანობა აღარ შერჩა და მტვრად და ნაცრად იქცა, რაც მაშინვე საშინელ სასოწარკვეთილებაში ჩააგდებდა მთელი მსოფლიოს სასწავლო დაწესებულებათა ისტორიის მასწავლებლებს.

თუ საპირისპირო ნიშნით შევცვლით იმ ნიშანს, რომლითაც აღბეჭდილია ბოლშევიკური მოძრაობა, იგივე შეიძლება ითქვას ფაშიზმზედაც. არც ერთი და არც მეორე არა დგას „თავისი დროის სიმაღლეზე“, არც ერთი არ შეიცავს წარსულის კონცენტრირებულ გამოცდილებას, რაც წარსულისავე დაძლევის აუცილებელი პირობა იქნებოდა. შეუძლებელია ხელჩართულ ბრძოლაში გამოიწვიო წარსული; მომავალი ნთქავს და ასე ამარცხებს მას. თუ მერმისს მოუნელებელი დარჩა წარსულის თუნდაც ერთი ლუკმა, მისი ცდა მარცხისთვისაა განწირული.

ერთიცა და მეორეც (ბოლშევიზმიცა და ფაშიზმიც) სხვა არა არის რა, თუ არა კაცობრიობის ჰორიზონტზე ყალბი მზის ამოსვლა, რომელსაც არ მოჰყვება მომავალი დღის განთიადი, არამედ კლავ და კვლავ დაადგება ისევ ის გუშინდელი დღე, რომელიც, ვინ მოსთვლის, უკვე რამდენჯერ დამდგარა. ბოლშევიზმიცა და ფაშიზმიც პირველყოფილი ბარბაროსობის მდგომარეობაში გვაბრუნებს, და ასეთივე იქნება ნებისმიერი პოლიტიკური მოძრაობის ბედი, რომლის ლიდერებიც ბრიყვულად წამოეგებიან მიამიტური ცდუნების ანკესს, მუშტიკრივი გაუმართონ წარსულის ამა თუ იმ აჩრდილს, ნაცვლად იმისა, რომ აითვისონ ან შეითვისონ იგი.

ეჭვს გარეშეა, რომ XIX საუკუნის ლიბერალიზმი გადალახული უნდა იქნეს. მაგრამ სწორედ ამას ვერასდიდებით ვერ შესძლებს ის, ვინც, ფაშისტებივით, ანტილიბერალად აცხადებს თავს. არჩევანი ლიბერალიზმსა და ანტილიბერალიზმს შორის დამახასიათებელი იყო იმ ეპოქის ადამიანისათვის, რომელიც ლიბერალიზმის ეპოქას უსწრებდა წინ და რაკი ლიბერალიზმმა სძლია ანტილიბერალიზმი, ის კვლავაც მძლეველად მოგვევლინება. თორემ ყველაფერს გაქრობა უწერია - ლიბერალიზმსაც და ანტილიბერალიზმსაც -

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

იმ საბედისწერო წამს, როცა დაიღუპება ევროპა. არსებობს ცხოვრების ულმობელი ქრონოლოგია, რომლის თანახმადაც, ლიბერალიზმი ანტილიბერალიზმის შემდეგ უნდა მოევლინოს ქვეყნიერებას, რადგანაც პირველი უფრო მეტად შეესაბამება ჩვენს წარმოდგენას ჭეშმარიტ ცხოვრებაზე, ვიდრე მეორე, მსგავსად იმისა, როგორც ზარბაზანი უფრო მეტად შეესაბამება ჩვენს წარმოდგენას ნამდვილ იარაღზე, ვიდრე შუბი.

ერთის შეხედვით, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ „ანტი-რაღაც“ სწორედ ამ „რაღაცას“ მოსდევს, რადგანაც მის საწინააღმდეგოდ მიმართულ რეაქციას ნიშნავს და გულისხმობს, რომ ეს „რაღაც“ „ანტი-რაღაცამდე“ არსებობს. მაგრამ ის სიახლე რაც ამ „ანტი“-ს მოაქვს, მყისვე იფანტება ჰაერში და მხოლოდ მოგონების მკრთალ კვალს ტოვებს. ვინც ანტიპედროდ აცხადებს თავს, მხოლოდ იმ სამყაროს მხარდამჭერად მოაქვს თავი, რომელშიაც პედრო არ არსებობს. მაგრამ სწორედ ამნაირი იყო სამყაროს მდგომარეობა პედროს დაბადებამდე. „ანტიპედრისტი“ პედროს შემდეგ კი არა, მანამდე ჩნდება. ცხოვრების მთელ ფილმს თითქოს უკუღმა უჩვენებენ, ვიდრე კინოლენტის დასაწყისში არ გამოჩნდება პედრო. ასე რომ, ყველა ამ „ანტი“-ს შემთხვევაში იგივე ხდება, რაც, ერთი ლეგენდის თანახმად, დაემართა კონფუცის, რომელიც, რა თქმა უნდა, მამამისის შემდეგ დაიბადა, მაგრამ - დალახვროს ეშმაკმა! - დაბადებისას თვითონ უკვე ოთხმოცი წლისა იყო, მამამისი კი - ოცდაათის. ნებისმიერი „ანტი“ სხვა არა არის რა, თუ არა „არა“-ს გამარტივებული და ნაკლებად კატეგორიული ვარიანტი.

ძალიან ადვილი იქნებოდა, „არა“ გვეთქვა და ამით გადაგვეხაზა მთელი ჩვენი წარსული. დროის არსი ის გახლავთ, რომ ეს მარადმედინი რეალობა ყოველთვის revenant[50]-ია; მისთვის ნიშნეულია შემობრუნება. ჩვენ შეგვიძლია გადავხაზოთ ჩვენი წარსული, მაგრამ ის აუცილებლად შემობრუნდება; ამიტომაც წარსულისაგან თავის დაღწევის ერთადერთი საშუალება ისაა, რომ მას ანგარიში გავუწიოთ, ანგარიშში მივითვალოთ, და არა ის, რომ მოვიკვეთოთ ან გადავაგდოთ. დიახ, წარსულს ანგარიში უნდა გავუწიოთ, თუ გვინდა თავიდან ავიცილოთ მისი გამეორება და მის შურისძიებას დავაღწიოთ თავი. მოკლედ, „დროის სიმაღლეზე“ უნდა ვიდგეთ და მძაფრად ვგრძნობდეთ ისტორიული მომენტის სპეციფიკას.

წარსული ყოველთვის მართალია, - თავისებურად. თუ მის სიმართლეს არა ვცნობთ, ის არა მარტო აღიარებას მოგვთხოვს, არამედ თავის სიმართლესაც მოგვახვევს თავზე. ლიბერალიზმიც თავისებურად მართალი იყო, უნდა ვაღიაროთ მისი სიმართლე per saecula saeculorum[51]. მაგრამ ის ყველაფერში მართალი როდი იყო, და ეს კარგად უნდა გვახსოვდეს, თუ გვინდა სრულვყოთ იგი. ევროპას უნდა შეენარჩუნებინა თავისი ლიბერალიზმი. ეს მისი დაძლევის აუცილებელი პირობა იყო.

მე აქ ვლაპარაკობდი ფაშიზმსა და ბოლშევიზმზე, ისე, რომ არ ჩავღრმავებივარ საკითხს, და მხოლოდ ამ მოვლენების

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

ანაქრონიულ მხარეს შევეხე. ჩემის აზრით, ეს ჩვენი დრო ყოველივე იმის ტრიუმფის დროა, რაც შეიძლება, ასე თუ ისე, ანაქრონულად იქნეს ცნობილი. დღეს გამარჯვებას ზეიმობს ადამიანი-მასა, და, ამისდა კვალად, ნებისმიერი საქმიანობა, რაც მისი პირველყოფილი ბუნების ნიშნით იქნება აღბეჭდილი, აუცილებლად წარმატებით დაგვირგვინდება. ჩემს თხზულებაში მე სულაც არ ვცდილობდი გამომევლინა ფაშიზმისა და ბოლშევიზმის არსი. არც იმას ვაპირებ, რომ აქ გადავჭრა ოდინდელი დავა რევოლუციასა და ევოლუციას შორის. მე მხოლოდ იმის განსაზღვრა მსურდა, თუ როგორია რევოლუციის ან ევოლუციის ბუნება; ისტორიული თუ ანაქრონული.

საკითხები, რომელთა გადაჭრასაც ამ ჩემს ესსეში ვცდილობდი, პოლიტიკური თვალსაზრისით, ნეიტრალური საკითხებია, რამდენადაც კულტურის უფრო ღრმა შრეებს ეხებიან, ვიდრე ის შრეებია, სადაც პოლიტიკური კინკლაობა მიმდინარეობს. კონსერვატორიც ისევე გვევლინება ადამიანი-მასის ტიპად, როგორც რადიკალი. განსხვავება მხოლოდ მათ პოლიტიკურ შეხედულებებშია (ეს სხვაობა კი ყოველთვის როდი იყო მნიშვნელოვანი), რაც მათ სრულიადაც არ უშლის ხელს, ერთი და იმავე ადამიანის, ამბოხებული ბრბოის ადამიანის ტიპს განასახიერებდნენ.

ევროპა თავისუფლად ვერ ამოისუნთქავს მანამ, სანამ მისი ბედი არ გადავა ჭეშმარიტად თანამედროვე ადამიანების ხელში, რომლებიც შეძლებდნენ ახლანდელი მომენტის მაჯისცემაში ამოეცნოთ წარსულის მაჯისცემა; რომლებიც „დღევანდელი არსებობის სიმაღლეზე იქნებოდნენ“ და მთლიანად უარყოფდნენ არქაიკისა თუ ველურობის ყოველნაირ გამოვლინებას. ჩვენი ვალია საფუძვლიანად შევითვისოთ კაცობრიობის ისტორიული გამოცდილების გაკვეთილები, რათა თავი დავაღწიოთ წარსულის შეცდომებს, და კვლავ არ დავბრუნდეთ ნამყოში.

XI

განებივრებული ბავშვის დრო

ამრიგად, ჩვენ აქ ვაანალიზებთ საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ ფაქტს, კერძოდ იმას, რომ კაცობრიობის ისტორიაში მის ბედს პირველად განაგებს ჩვეულებრივი, საშუალო ადამიანი. თუ ამ წინადადებას ვნებითიდან მოქმედებით გვარში გადავიტანთ, მაშინ ის ამნაირ სახეს მიიღებს: საშუალო ადამიანმა, რომელსაც უწინ ყველა განაგებდა, ყველა მართავდა, ახლა გადაწყვიტა, თვითონ განაგოს მსოფლიო გადაწყვეტილება. გადაყწყვეტილება, საზოგადოებრივი ცხოვრების ავანსცენაზე გამოსულიყო, სწორედ იმ მომენტში აღეძრა, როცა მის არსებაში მომწიფდა ახალი ტიპის ადამიანის ნიშან-თვისებები. თუ ამოსავალ წერტილად საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროში მისი საქმიანობის თავისებურებებს მივიჩნევთ და შევეცდებით

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

განვსაზღვროთ ადამიანი-მასის ფსიქოლოგიური ტიპი, მაშინ წინა პლანზე წამოიწევენ მისი ისეთი თვისებები, როგორიცაა: 1) მისთვის ოდითგანვე ნიშნეული არსებობის სიიოლისა და მისი ფორმების მრავალფეროვნების არსებითი ხასიათის შეგრძნება, ყოველგვარი შეზღუდვის უქონლობის შედეგად რომ იჩენს თავს, შეზღუდვისა, რომელსაც შეეძლო ტრაგიკული ელფერი მიენიჭებინა ამ შეგრძნებისთვის. ამიტომ ნებისმიერი საშუალო ადამიანი სავსეა ზარ-ზეიმისა და თავდაჯერებულობის გრძნობით, რომელიც 2) ხელს უწყობს მისი უცვლელი „მე“-ს თვითდამკვიდრებას და იმასაც, რომ თავის ნებისმიერ მოღვაწეობას ის აფასებს, როგორც დადებითს და სრულფასოვანს, არა მარტო მორალური, არამედ ინტელექტუალური თვალსაზრისითაც. ამ სრულ თვითკმაყოფილებას შედეგად მოსდევს ის, რომ ადამიან-მასას ცა ქუდად აღარ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად, განსახილველად აღარ გამოაქვს თავისი აზრი, ყურს აღარ უგდებს სხვის რჩევას და ანგარიშს აღარ უწევს არავითარ ავტორიტეტს, გარდა საკუთარი თავისა. თვითკმაყოფილების გრძნობა აიძულებს გამუდმებით მიელტვოდეს მბრძანებლობას ცხოვრების ყველა სფეროში. და ის ჯიქურ, ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე მოქმედებს, თითქოს ამქვეყნად მასა და მისსავე მსგავსთა გარდა არავინ იყოს: ამიტომ 3) მისთვის ჩვეული მოურიდებლობით ერევა აბსოლუტურად ყველაფერში, ხელაღებით უარყოფს სხვის აზრს, არას დაგიდევს, რას იტყვიან მისი მოყვასნი, და ხალხს ძალისძალად ახვევს თავს თავის ბანალურ აზრებს, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისე იქცევა, როგორც „პირდაპირი მოქმედების“ წესები კარნახობენ. საშუალო ადამიანის ქცევის ზემოთ ჩამოთვლილი თავისებურებანი მოწმობენ, რომ ჩვენ საქმე გვაქვს უმწიფარსა და უნდილ არსებასთან, ეგრეთწოდებულ „განებივრებულ ბავშვთან“ თუ „ამბოხებულ ველურთან“, ესე იგი, ბარბაროსთან (ჩვეულებრივი ველური ყოველთვის, და თანაც, ცივილიზებულ ადამიანზე გაცილებით უფრო თვინიერად, უსიტყვოდ და უყოყმანოდ ემორჩილება მის მიმართ ყველა უზენაეს ავტორიტეტს: რელიგიას, ტაბუს, თავისი ტომის ჩვეულებებს თუ ადათ-წესებს). ნუ გაგიკვირდებათ, თუ ჩემს ესსეში ესოდენ უხვად დახვავებულს ხედავთ ამ ტიპის ადამიანის დასახასიათებლად მოხმობილ უარყოფით ეპითეტებს: ჩემი შრომა ხომ გამარჯვებით გალაღებულ ადამიან-მასაზე შეტევის პირველი ცდაა, და მე იმედი მაქვს, რომ ის რამდენიმე ევროპელს მაინც გამოაფხიზლებს, რათა უფრო ენერგიულად აღუდგნენ წინ საშუალო ადამიანის თავხედურ ზრახვას - ყველგან თავისი მსოფლწესრიგი დაამკვიდროს. ჯერჯერობით საქმე ეხება მხოლოდ პირველ შეტევას; უფრო მძაფრ იერიშს მომავალში უნდა ველოდეთ, მაგრამ არა სოციოლოგიური გამოკვლევის სახით. ეს მძაფრი იერიში იმნაირად უნდა განხორციელდეს, რომ ადამიან-მასას მის მოსაგერიებლად მომზადების დრო აღარ დარჩეს; ეჭვიც კი ვერ უნდა აიღოს, რომ თავდასხმას უპირებენ.

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

ეს დღევანდელი „გმირი“, რომელმაც ლამის მთელი დედამიწა წალეკოს და რომელიც ყველგან ამკვიდრებს, ყველას თავს ახვევს თავის ბარბაროსულ არსს, სხვა არა არის რა, თუ არა კაცობრიობის ისტორიის „განებივრებული ბავშვი“. განებივრებული ბავშვი იგივეა, რაც მდიდარი მემკვიდრე, და ზუსტად მასავით იქცევა. მხოლოდ მისი მემკვიდრეობა დღეს ცივილიზაციის ყველა მონაპოვარია: უშფოთველი არსებობა, კომფორტი, ხვალინდელი დღის რწმენა. როგორც აღვნიშნე, ადამიანს, ქცევის ზემოხსენებული თავისებურებებითა და განებივრებული ბავშვის ხასიათით, შეიძლებოდა მხოლოდ იმ თავისუფალ სასიცოცხლო სივრცეში მისცემოდა დასაბამი, რომლის შექმნაც ცივილიზაციამ მოახერხა. აი, ადამიანის ქცევისა და ბუნების რანაირი დეფორმაცია შეიძლება გამოიწვიოს მატერიალური სიკეთით სარგებლობის ჩვევამ. სასტიკად სცდება, ვისაც ჰგონია, რომ სიუხვის ეპოქაში დაბადებული ადამიანი უფრო სრულფასოვანი, უფრო სისხლსავსე და მრავალფეროვანი ცხოვრებით ცხოვრობს, ვიდრე ის, ვინც მთელი სიცოცხლის განმავლობაში იძულებულია ებრძოლოს სიღარიბესა და გაჭირვებას. აქ არც დრო გვაქვს და არც ადგილი იმ სარწმუნო და საფუძვლიანი არგუმენტების ჩამოსათვლელად, რომლებიც შეიძლებოდა ჩემი მტკიცების სასარგებლოდ მომეხმო. ამის მაგივრად შეგახსენებთ იმ ოდინდელ ტრაგიკულ სიტუაციას, რომელშიაც აუცილებლად აღმოჩნდება ნებისმიერი მემკვიდრეობითი არისტოკრატია. არისტოკრატს მემკვიდრეობით გადაეცემა, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დაბადებითვე ექმნება იმნაირი საყოფაცხოვრებო პირობები, რომლებსაც თვითონ ვერ შექმნიდა და რომლებიც არასდიდებით არ შეიძლება ორგანულად უკავშირდებოდნენ მის პირად ცხოვრებას. ის, ღმერთმა იცის, რატომ, მოულოდნელად ექცევა მდიდარი ადამიანების წრეში, აქედან გამომდინარე ყველა პრივილეგიითურთ. ყოველივე ეს უცხოა მისი ადამიანური არსისათვის, რადგანაც თვითონ როდი მოუპოვებია, რაც მემკვიდრეობით მიიღო. ამ მხრივ მას არავითარი საერთო არა აქვს თავის პრივილეგიებთან. ის იძულებულია მთელი სიცოცხლის განმავლობაში ათრიოს სხვა ადამიანის, სხვა არსების - თავისი წინაპრის ოდინდელ დამსახურებათა ტვირთი. დიახ, ის იძულებულია ცხოვრობდეს როგორც მემკვიდრე, ესე იგი, მთელი სიცოცხლის მანძილზე ატარებდეს თავისი წინაპრების გაცვეთილ სამოსს. კი მაგრამ, ესაა სრულფასოვანი არსებობა? რანაირი ცხოვრებით შეიძლება ცხოვრობდეს მემკვიდრეობითი „არისტოკრატი“ - თავისი საკუთარი თუ თავისი შორეული წინაპრის ცხოვრებით? არც ერთით და არც მეორეთი. ის იძულებულია მთელი სიცოცხლის განმავლობაში ვიღაც სხვას წარმოადგენდეს და სწორედ ამიტომ ვერც ერთი იქნება და ვერც მეორე. შეუძლებელია მემკვიდრეს ეკუთვნოდეს მისი საკუთარი ცხოვრება, რომელიც სხვისი ცხოვრების ერთგვარ ასლად, სხვისი არსებობის მუდმივ წარმოდგენად იქცევა. სიმდიდრე, რომელიც ძალაუნებურად მის განკარგულებაშია, უწყალოდ ფიტავს მის არსებობას და საშუალებას არ აძლევს მას თავისი ცხოვრებით იცხოვროს,

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

ნებისმიერი ცხოვრებით იცხოვროს. ნებისმიერი ცხოვრება არსებობისათვის ბრძოლაა, ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ. ცხოვრების გზაზე სიძნელეებს რომ ვაწყდებით, ჩვენ უფრო აქტიურნი, უფრო ქმედითი ვხდებით, უკეთ ვავითარებთ ჩვენს უნარს. მე რომ წონა არ მქონდეს, სიარულსაც ვერ შევძლებდი, ატმოსფერული წნევის მუდმივ ზემოქმედებას რომ არ განვიცდიდე, ჩემი სხეული ლანდად, მირაჟად, უნიათო და უფორმო მასად იქცეოდა. იგივე ითქმის მემკვიდრეობით არისტოკრატზედაც, რომელსაც არავითარი ძალისხმევა არ სჭირდება თავისი არსებობის შესანარჩუნებლად. ამიტომაცაა, რომ მასში თანდათანობით ჭკნება ყოველივე პიროვნული, რადგანაც სრულიად უსარგებლო და ზედმეტი ხდება, რის შედეგადაც იწყება ყოვლად უაზრო და უმიზნო არსებობა, რომლისთვისაც განწირულნი არიან ძველ არისტოკრატიულ საგვარეულოთა წარმომადგენელნი. ეს არსებობა უნიკალურია, ის არაფერს არა ჰგავს, არადა, დღემდე არავის უცდია გამოევლინა მისი უღრმესი შინაგანი მიზეზები, რომლებსაც ნებისმიერი მემკვიდრეობითი არისტოკრატია ჭეშმარიტად ტრაგიკულ შედეგამდე მიჰყავთ: ესაა გარდუვალი გადაგვარება.

მე მხოლოდ იმისთვის მოვიტანე ეს მაგალითი, რომ მეჩვენებინა, რარიგად ვცდებით, როცა გვგონია, თითქოს არსებობის საშუალებათა სიუხვე განაპირობებს ცხოვრების სრულფასოვნებას. პირიქით, უსასრულო შესაძლებლობათა სამყაროში არსებობა[52] ავტომატურად იწვევს ადამიანის ბუნების სხვადასხვაგვარ დეფორმაციას, ცხოვრების ყოვლად უკუღმართი წესის დამკვიდრებას, რის განსახიერებადაც გვევლინება ეგრეთწოდებული „მემკვიდრის“ ყოფა. „მემკვიდრის“ კონკრეტული ნიმუშებია - „არისტოკრატი“, „განებივრებული ბავშვი“ და, ბოლო, ესოდენ ზოგადი და არსობრივად მრავალფეროვანი „ადამიანი-მასა“. (შეიძლებოდა უფრო დაწვრილებით შეგვედარებინა ადამიანი-მასა არისტოკრატისათვის და გვეჩვენებინა, რაოდენ ხშირად ვლინდება ყველა დროისა და ყველა ხალხის არისტოკრატიის სპეციფიკური თვისებები ადამიან-მასაში: იმისკენ სწრაფვა, რომ თავისი ცხოვრების ძირითად საქმედ აქციოს სპორტი და თამაშობანი; საგანგებო ყურადღება თავისი სხეულისადმი - ჰიგიენა, კვების რეჟიმი ახალი მოდის მოხდენილი ტანსაცმელი; არავითარი რომანტიულობა ქალთან დამოკიდებულებაში. არისტოკრატისა არ იყოს, ადამიან-მასასაც მოსწონს ინტელექტუალებთან ურთიერთობა, მაგრამ გულის სიღრმეში სძულს და ეზიზღება ისინი, აიძულებს ლაქიებს და მის მონა-მორჩილ მუქთახორებს, აბუჩად იგდებდნენ მათ. არისტოკრატივით ისიც ავტორიტარულ რეჟიმს ამჯობინებს სახელმწიფოებრივი მმართველობის ყველა სხვა რეჟიმს, სადაც შეიძლება აზრის თავისუფლად გამოთქმა[53] და ა. შ. და ა. შ.).

ამრიგად მთელი ჩემი გულისტკივილის მიუხედავად, იძულებული ვარ ვაღიარო, რომ ეს გაუთლელი ველური, ჩვენი დროის ეს ბარბაროსი თანამედროვე ცივილიზაციის, კერძოდ, მისი იმ ეტაპის ბუნებრივ ნაყოფად გვევლინება, რომელიც XIX საუკუნეში იღებს დასაბამს. ეს ადამიანი სადღაც გარედან კი არ

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

მოსულა, როგორც მოვიდნენ V საუკუნეში „ახოვანი, ჟღალწვერა ბარბაროსები“, და არც ამქვეყნად მისი მოვლინება ყოფილა ისეთი იდუმალი და ანაზდეული, როგორიც იყო, არისტოტელეს აზრით, თავკომბალების გაჩენა წყალში. არამც და არამც. ეს ბარბაროსი ცივილიზაციის ბუნებრივი პროდუქტია. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია ჩამოვაყალიბოთ კანონი, რომელსაც საფუძვლად უდევს პალეონტოლოგიისა და ბიოგეოგრაფიის მონაცემები: ადამიანური ცხოვრების ფორმირება და განვითარება მხოლოდ მაშინ შეიქნა შესაძლებელი, როცა ადამიანის ხელთ არსებული საშულებები იმდენად სრულყოფილნი გახდნენ, რომ შეაძლებინეს ადამიანს გადაეჭრა მის წინაშე მდგარი პრობლემები, ეს ეხება როგორც ფიზიკურ, ისე სულიერ სფეროსაც. ახლა კი მინდა შეგახსენოთ, რომ ადამიანი, როგორც homo sapiens[54]-ი, პირველად ჩვენი პლანეტის სწორედ იმ რეგიონებში მოგვევლინა, სადაც არსებობდა წელიწადის დროთა მონაცვლეობა. ტროპიკებში ადამიანი, ბიოლოგიური თვალსაზრისით, დეგრადირდება. ასე მაგალითად, პიგმეები, რომლებმაც საწყის სტადიაზევე შეწყვიტეს განვითარება, ტროპიკულ ტყეებში შერეკეს იმ ხალხებმა, რომლებიც, მართალია, პიგმეებზე უფრო გვიან მოევლინნენ ქვეყნიერებას, მაგრამ მათზე სწრაფად შესძლეს განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე ასვლა.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ XIX საუკუნის ცივილიზაციამ, თავისი ბუნებით, საშუალება მისცა ადამიან-მასას, ასე თუ ისე, უზრუნველად ეარსება: დღეს იგი ცხოვრებისგან უხვად იღებს ყველა სიკეთეს, მაგრამ მისი სატკივრის გაგონებაც კი არ უნდა. ადამიან-მასას გარს არტყია ტექნიკის უკანასკნელი სიახლენი, ხელი მიუწვდება ყოველნაირ სამკურნალო საშუალებაზე, გარემოცულია სახელმწიფოს ზრუნვით და სარგებლობს მისთვის ესოდენ ხელსაყრელი კანონებით, თვითონ კი წარმოდგენაც არა აქვს, რა ძნელია გამოიგონო ახალ-ახალი მანქანები თუ სამკურნალო საშუალებანი და უზრუნველყო მათი წარმოება მომავალში. ის ვერც კი ამჩნევს, რაოდენ არამყარია საზოგადოებრივი ორგანიზაცია და თავს სულაც არ გრძნობს ვისგანმე დავალებულად. ყოველივე ამის შედეგად მისი ცხოვრება თანდათანობით უაზრო ხდება, თავის ჭეშმარიტ რაობას კარგავს, და საშუალო ადამიანს აღარც კი ესმის, მაინც რა უნდა მიაჩნდეს მის ნამდვილ არსად. მისი არსი კი სხვა არა არის რა, თუ არა პრობლემატურობა და უცვლელი საშიშროება, გამუდმებით რომ გვემუქრება. „განებივრებული ბავშვი“ ადამიანის ის ტიპია, ყველაზე დიდი შინაგანი წინააღმდეგობებით რომ არის სავსე, ვისი მსგავსიც არასოდეს მოვლენია ქვეყნიერებას. ამიტომ როცა საზოგადოებაში ამნაირი ადამიანების აშკარა სიჭარბე შეინიშნება, დაუყოვნებლივ განგაშის ატეხა გვმართებს, რათა, ყველას ვაუწყოთ, რომ ადამიანურ ყოფას გადაგვარების, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თანდათანობით კვდომის საფრთხე ემუქრება. ერთის მხრივ, საშუალო ადამიანის ცხოვრების დონე დღეს უფრო

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

მაღალია, ვიდრე ოდესმე, მეორეს მხრივ კი სწორედ ეს სიტუაცია შიშის გრძნობას გვინერგავს გულში: სამერმისოდ შეიძლება ისედაც მოხდეს, რომ ცხოვრების დონემ არამცთუ უფრო მაღალა იწიოს, იმავე ნიშნულზეც ვერ დარჩეს და თანდათანობით დაბლა დაწევა იწყოს.

იმედი მაქვს, თქვენთვის უკვე საკმაოდ ნათელი გახდა, რომ „განებივრებული ბავშვის“ მოვლინება საზოგადოებაში შექმნილი ძალზე არანორმალური სიტუაციის შედეგია. ეს ადამიანი ხომ იმისთვის მოვიდა ქვეყნად, რომ აკეთოს ყველაფერი, რაც კი მოეპრიანება. სწორედ ეს სურვილი ნიშნეულია მდიდარი მემკვიდრისათვის. ვიცით, რატომაც: ოჯახში ყველა დანაშაული, ბოლოს და ბოლოს, დაუსჯელი რჩება. ოჯახური ცხოვრება საკმაოდ ხელოვნურია: დახშულ ატმოსფეროში იმალება დანაშაული, რომელსაც საზოგადოებაში, ღია ცის ქვეშ, სათანადო სასჯელი არ ასცდებოდა. მაგრამ განებივრებულ ბავშვს ჰგონია, რომ ქუჩაშიც შეიძლება ისე იქცეოდეს, როგორც შინ, საკუთარ სახლში, და რომ ამქვეყნად არაფერია გარდუვალი, გამოუსწორებელი და შეუქცევადი. ამიტომაც ყოველთვის ისე იქცევა, როგორც მოეპრიანება[55]. აი, სავალალო შეცდომა! თქვენი მოწყალება იქ მიბრძანდება, სადაც მას მიაბრძანებენ, როგორც ეუბნება პორტუგალიელი თავის თუთიყუშს ერთ ანეკდოტში. ჩვენ იმას კი არ ვამტკიცებთ, რომ ადამიანს უფლება არა აქვს აკეთოს ის, რაც სურს, არამედ იმას, რომ თვითეულმა ჩვენგანმა უნდა აკეთოს ის, რისი ქმნაც მართებს და იყოს ის, რაც უნდა იყოს. ერთადერთი, რისი ნებაც შეიძლება ჩვენს თავს მივცეთ, ის გახლავთ, რომ უარი ვთქვათ იმის კეთებაზე, რასაც ჩვენგან მოითხოვენ; მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ უფლებამოსილნი ვართ ვაკეთოთ ყველაფერი, რაც მოგვეპრიანება. ამ თვალსაზრისით, ჩვენ გვეძლევა ნების მხოლოდ ერთი თავისუფლება - ჩვენივე ჟინიანობის დათრგუნვის ნება. რა თქმა უნდა, ჩვენ შეგვიძლია ვუღალატოთ ჩვენს ჭეშმარიტ დანიშნულებას, მაგრამ ეს მხოლოდ იმის ნიშანი იქნება, რომ ჩვენივე ქვენა გრძნობების სათამაშონი გავხდით. მე გამიჭირდებოდა გამომეცნო თვითეული მკითხველის ბედი, თუნდაც იმიტომ, რომ ყველას არ ვიცნობ, მაგრამ მე შემეძლო ეს საზოგადოებრივი ცხოვრების იმ სფეროში, სადაც ერთის ბედი ყველა დანარჩენის ბედს ეწვნის. ასე მაგალითად, ნებისმიერი ჩვენი თანამედროვე დარწმუნებულია (და თანაც, გაცილებით უფრო ღრმად, ვიდრე მაშინ, როცა ხმამაღლა გვიმჟღავნებს თავის იდეებსა თუ აზრებს, რომლებიც, არცთუ იშვიათად, სხვებისგანა აქვს ჩაგონებული), რომ ევროპელი აუცილებლად ლიბერალი უნდა იყოს. აქ აზრი არა აქვს იმის გამოძიებას, თუ რამდენად უნდა იყოს ლიბერალი. მე მინდა მხოლოდ ხაზი გავუსვა შემდეგს: თვით ყველაზე დიდ რეაქციონერსაც კი გულის სიღრმეში სწამს. რომ ის ხვითო, რომელიც XIX საუკუნეში მოევლინა ევროპას და „ლიბერალიზმის“ სახელით გახდა ცნობილი, საბოლოო ანგარიშით, რაღაც აუცილებელი და გარდუვალი იყო; მას ესმის, რომ დასავლელი ადამიანი დღეს ლიბერალია, მიუხედავად იმისა, უნდა თუ არა ეს. ვინმეს

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

კიდევაც რომ მოეხერხებინა და დაემტკიცებინა იმ დებულების ეჭვშეუვალი ჭეშმარიტება, რომ ყველა კონკრეტული საშუალება, რომელთა მეშვეობითაც დღემდე ცდილობდნენ ცხოვრებაში განეხორციელებინათ ევროპის ბედის წიგნში ჩაწერილი პოლიტიკურად არსებობის ეს მიუტევებელი იმპერატივი, - სინამდვილეში ყალბი და დამღუპველი ბუნებისაა, სულერთია, მტკიცება, რომლის თანახმადაც, გასულ საუკუნეში ლიბერალიზმი არსებითად აუცილებელი იყო, სამუდამოდ ძალაში რჩება. ამ ჭეშმარიტების თავისთავადი სიცხადე დღემდე ცოცხლობს ევროპელის ცნობიერებაში (გინდ ფაშისტი იყოს, გინდ კომუნისტი და გინდ კათოლიკე, მოწიწებით რომ მისდევს თავის syllabus[56]-ს, მიუხედავად იმისა, სურს თუ არა, სწამს თუ არა ეს[57]). საქმე მართლაც ასეა. როგორც არ უნდა ცდილობდეს იგი, საპირისპირო მოსაზრების სიმართლეში დაგვარწმუნოს. ყველას კარგად მოეხსენება, რომ იმ სამართლიანი კრიტიკის მიუხედავად, რომლითაც თავს ატყდებოდნენ ლიბერალიზმის ცალკეულ გამოვლინებებს, ეჭვშეუვალი სიმართლე მაინც ლიბერალიზმის მხარესაა, და არა მარტო თეორიული, მეცნიერული თუ ინტელექტუალური, არამედ დიამეტრალურად მათი საპირისპირო და გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი სიმართლე, რადგანაც ის ბედის სიმართლეა. თეორიული ჭეშმარიტებანი შეიძლება არა მარტო განიხილო, მთელი მათი აზრი, მთელი მათი ძალა ისაა, რომ განხილულ უნდა იქნენ. ისინი პაექრობისას იბადებიან და ზუსტად იმდენ ხანს არსებობენ, რამდენ ხანსაც გრძელდება მათი განხილვა. ისინი განხილვისთვის არიან განკუთვნილნი, ბედი კი (ესე იგი, ის, რაც ცხოვრებაში უნდა მოხდეს, ან არ უნდა მოხდეს) არ განიხილება. მას ან იღებ, ან არ იღებ. თუ ჩვენ ვიღებთ საკუთარ ბედს, მაშინ ჩვენს არსებობას შეიძლება ჭეშმარიტი ეწოდოს; თუ უარვყოფთ, ამით ჩვენს ჭეშმარიტ „მე“-საც უარვყოფთ[58]. ბედის მორჩილება სულაც არ ნიშნავს, რომ შეგვიძლია ვაკეთოთ ყველაფერი, რაც კი მოგვეპრიანება. საკუთარი ბედის მიღება, მისი ულმობელი ბუნების აღიარება იმის შეცნობას ნიშნავს, რომ აუცილებელია აკეთო ის, რისი გაკეთებაც არ გინდა.

„განებივრებულმა ბავშვმა“ იცის, რომ არსებობს ბევრი რამ, რისი ჩადენაც დაუშვებელია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თავს იკატუნებს (რაც მის სიტყვებშიც და ქცევაშიაც ერთნაირად ვლინდება), თითქოს დარწმუნებული იყოს საპირისპირო აზრის სისწორეში. ფაშისტები სწორედ იმიტომ ებრძვიან პოლიტიკურ თავისებურებას, რომ მშვენივრად ესმით: თავისუფლებას ვერსად გაექცევი, ვერსად წაუხვალ, მთელი ევროპული ატმოსფერო გაჟღენთილია თავისუფლების სულით, და მისი ტრიუმფი გარდუვალია, აუცილებლად დადგება თავისუფლების დიადი წამი, როცა შეუძლებელი გახდება სიმართლის გარეშე ცხოვრება. განებივრებული ბავშვისა არ იყოს, თავს რომ ევლებიან შინაურები, ფაშისტებიც ყველაფრის ნებას აძლევენ თავს, რადგანაც იციან, რომ პასუხს ვერავინ მოსთხოვთ. შეხედეთ მათ მედიდურ, გროტესკულად გაბღენძილ პოზებს: მათ სჯერათ, რომ ეს თამაშია; ისინი ტრაგედიას თამაშობენ სწორედ იმიტომ, რომ დარწმუნებულნი

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

არიან: ცივილიზებულ სამყაროში არ შეიძლება მოხდეს რაიმე ტრაგიკული.

რას ემგვანებოდა ჩვენი საქციელი, თუ გვაიძულებდნენ გველიარებინა, რომ ადამიანის არსი სწორედ იმნაირია, რანაირადაც თვითონვე ცდილობს თავი მოგვაჩვენოს? თუ ვინმე ჭკუათამყოფელი თავგამოდებით ცდილობს დაგვიმტკიცოს, რომ ორჯერ ორი ხუთია, ჩვენ იძულებულნი ვიქნებით ვაღიაროთ, რომ თვითონაც არ სჯერა ეს, თუნდაც ნემსის ყუნწში ძვრებოდეს, რათა დაგვიმტკიცოს თავისი სიმართლე.

რაღაცნაირი მოარული სენი მოედო მთელ ევროპას: თითქმის ყველა მტკიცებისა თუ მრწამსის საფუძველი ყალბია. ადამიანები კისრისტეხით გაურბიან თავიანთ საკუთარ ბედს, გაურბიან თვალდახუჭულნი, რომ არ დაინახონ მისი სახე, ყურებდაცობილნი, რომ არ ჩაესმათ მისი დაჟინებული მოწოდება, დაფეთებულნი, რათა თავი აარიდონ იმას, რაც გარდუვალია. რაც უფრო ტრაგიკულია ჩვენი ნიღაბი, მით უფრო მწარედ დავცინით მას. როცა ადამიანს აღარ შეუძლია მთელი არსებით მიეცეს რასმე, გატაცებით ჩაუჯდეს საქმეს, მთლიანად დაინთქას მასში, სწორედ მაშინ იჩენს თავს ირონიული დამოკიდებულება სინამდვილისადმი. ადამიანი-მასა იმიტომაც ირყევა და აქეთ-იქით ირხევა ლერწამივით, რომ არ შეუძლია მტკიცე ნაბიჯით გაუყვეს საკუთარი ბედის მიერ მონიშნულ გზას; ნებისმიერი, თვით ყველაზე სუსტი დინებაც კი ნაფოტივით მიაქანებს თავისივე ბედისაგან ამ deracine[59]-ს, ამ უღიმღამო და უსხეულო ლანდს. ჩვენი ეპოქა „დინებათა“ დასაბამის ეპოქაა, და ადამიანთა უმრავლესობა „თავქვე მიჰყვება“ დინებას. არავის არ სურს წინააღმდეგობა გაუწიოს იმ ზერელე მიმდინარეობათა მიმზიდველ ძალას, რომლებიც დღეს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, აგრეთვე ხელოვნებაში, პოლიტიკასა და იდეოლოგიაში იჩენენ თავს. ამიტომ დღეს, როგორც არასდროს, წინა პლანზე ინაცვლებს რიტორიკა. სიურრეალისტს ჰგონია, რომ საკმარისია დაწეროს სიტყვა (რომლის ციტირებასაც აქ აზრი არა აქვს) იმ ადგილას, სადაც სხვები წერდნენ - „ბაღები, გედები და ტყის ფერიები“, - და ამ ერთი სიტყვის წყალობით უკან მოიტოვებს ყველაფერს, რაც კი დღემდე შეუქმნია მხატვრულ ლიტერატურას. სინამდვილეში კი მას მზის სინათლეზე გამოაქვს სხვა რიტორიკა, აქამდე ნეხვში რომ ეგდო.

მთელი მისი სპეციფიკურობის მიუხედავად, ჩვენ შეგვიძლია გამოვავლინოთ დღევანდელი სიტუაციის ცალკეული თავისებურებანი. თუ მას შევადარებთ იმ სიტუაციას, რაც უკვე იყო წარსულში, III საკუნეში ჩვენს ერამდე, ხმელთაშუა ზღვისპირული ცივილიზაციის გაფურჩქვნის ჟამს, საზოგადოებრივ სცენაზე გამოდის ცინიკოსი. და, აი, დიოგენე უკვე არისტიპეს ხალიჩებზე დააფრატუნებს თავის ჭუჭყიან ხამლებს. ცინიკოსების რიცხვი დღეობით კი არა, საათობით იზრდებოდა. ცინიკოსი იჭყიტებოდა ყველა კუთხიდან, საზოგადოებრივი ნაგებობის ყველა სართულიდან. ელინურ ცივილიზაციას რომ უარყოფდა, ის ძირს უთხრიდა მის საფუძვლებს. ცინიკოსს არასოდეს

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

შეძენილია ელ. წიგნების ონლაინ მაღაზიაში iBooks.ge

არაფერი არ შეუქმნია, არც არაფრის შექმნა შეეძლო. მისი როლი სრულიად საპირისპირო გახლდათ: ნგრევა, ან, უფრო სწორად, ნგრევის მცდელობა, რადგან მას ნგრევის თავიც არ ჰქონდა. ცინიკოსი ცივილიზაციის სხეულს ჩაფრენილი პარაზიტია, ის მისი უარყოფის ხარჯზე ცხოვრობს, დარწმუნებული იმაში, რომ მისი ისრები ყოველთვის უწევენ მიზანს. მაგრამ რა დაემართებოდა ცინიკოსს ველურებს შორის, რომლებიც, თავიანთი ბუნებრივი მიდრეკილებებისამებრ, სავსებით სერიოზულად სჩადიან იმას, რის ჩადენასაც ამაოდ ცდილობს ცინიკოსი თავისი ტაკიმასხრული გამოხდომებით? რაღა დარჩება ფაშისტისაგან, თუკი ხელს აიღებს თავისუფლების ლანძღვა-გინებაზე, ან სიურრეალისტისაგან, თუკი ჩირქს აღარ მოსცხებს ხელოვნების მთელ ადრინდელ ისტორიას?

ამ ადამიანს არ შეუძლია სხვაგვარად მოიქცეს. ის დაიბადა შესანიშნავად მოწყობილსა და მოწესრიგებულ საზოგადოებაში, სადაც მას ყოველი ფეხის ნაბიჯზე კი არ ემუქრება საფრთხე, არამედ ცხოვრების საამო ნაყოფი ელის. ყველაფერი, რაც გარს არტყია, მის გასანებივრებლად არის შექმნილი, რადგანაც მას გარს არტყია „ცივილიზაცია“, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის შინაა, საკუთარ სახლში; არაფერი არ აიძულებს ხელი აიღოს თავის ჟინიანობაზე. არაფერი არ აიძულებს ანგარიში გაუწიოს ავტორიტეტის აზრს, და არავითარ შემთხვევაში არ ემუქრება იმისი საფრთხე, რომ პირისპირ შეეჯახოს თავისი ბედის ტრადიციულ გარდუვალობას.

XII

სპეციალიზაციის ბარბაროსული სახე

ჩვენი თეზისის თანახმად, ცივილიზაციამ ისე შორს შესტოპა თავისი განვითარების მხრივ, რომ XIX საუკუნეში უკვე გარდუვალი შეიქნა ადამიანი-მასის დაბადება. ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენი მსჯელობა დასრულებულად ჩავთვალოთ, სანამ არ განვიხილავთ ამქვეყნად მისი მოვლინების კონკრეტულ მექანიზმს. ეს კონკრეტულობა მეტ დამაჯერებლობას შესძენს ჩვენს თეზისს.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ცივილიზაციის იმ ეტაპის სპეციფიკურ ნიშნებად, რასაც მან მიაღწია XIX საუკუნეში, ლიბერალური დემოკრატია და ტექნიკური პროგრესი უნდა მიგვაჩნდეს. ტექნიკური პროგრესი იმ მჭიდრო კავშირის ბუნებრივი ნაყოფია, რაც დამყარდა კაპიტალიზმსა და ექსპერიმენტულ მეცნიერებას შორის. ტექნიკის განვითარება ყოველთვის მეცნიერების განვითარების შედეგი როდი გახლდათ. ჰოლოცენური ეპოქის ადამიანმა, რომელმაც პირველად გააკეთა კაჟის ცული, საერთოდ არ იცოდა, რა იყო მეცნიერება, მაგრამ თავისი ტექნიკა მაინც ჰქონდა. ტექნიკამ განვითარების მაღალ დონეს მიაღწია ჩინეთში, თუმცა ჩინელებს წარმოდგენაც არ ჰქონდათ ფიზიკის კანონებზე. მეცნიერება განსაზღვრავს ევროპული ცივილიზაციის სახეს, სწორედ ის გვევლინება ტექნიკური პროგრესის გარანტიად.

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

შეძენილია ელ. წიგნების ონლაინ მაღაზიაში iBooks.ge

ტექნიკური პროგრესის ყველა სხვა სახეობამ, რაც კი საერთოდ ცნობილია ისტორიაში, - შუამდინარულმა, ეგვიპტურმა, ბერძნულმა რომაულმა, შორეულ აღმოსავლურმა, - გარკვეულ მომენტში მიაღწია განვითარების ისეთ საფეხურს, რომელსაც ვეღარ გადააბიჯა და იძულებული შეიქნა უკან დაეხია.

დასავლეთ ევროპის უჩვეულო ტექნიკურ პროგრესს შედეგად მოჰყვა ევროპელ ინდივიდთა დღემდე არნახული ნაყოფიერება. გაიხსენეთ სტატისტიკის ის ფაქტი, რომელიც საფუძვლად დაედო ჩემს მსჯელობას და რომელშიაც, როგორც ფოკუსში, თავს იყრის ამ საკითხზე მსჯელობის ყველა სხივი. V საუკუნიდან მოყოლებული 1800 წლამდე, ევროპული მოსახელობის რაოდენობა 180 მილიონს არ აღემატებოდა, 1800-დან 1914 წლამდე კი ევროპელთა რიცხვმა 480 მილიონს მიაღწია. ისტორიისათვის უცნობია ამნაირი დემოგრაფიული ნახტომი. ეჭვს გარეშეა, რომ ტექნიკურმა პროგრესმა და, ამასთან ერთად, ლიბერალურმა დემოკრატიამ ყველაზე მეტად შეუწყვეს ხელი ადამიანი-მასის რაოდენობრივ ზრდას, მაგრამ, ჩემის აზრით მათვე ეკისრებათ პასუხისმგებლობაც ადამიანი-მასის ყველა უარყოფითი თავისებურების თვისებრივი გამოხატულებისთვისაც.

ჩემთვის სიტყვა „მასა“ (როგორც უკვე აღვნიშნე ჩემი შრომის დასაწყისში) „მუშათა კლასის“ სინონიმი როდია. „მასის“ ცნება არაფრით არ უკავშირდება „საზოგადოებრივი კლასის“ ცნებას. „მასა“ ადამიანის ახალი ტიპია, ადამიანისა, რომლის ცხოვრების მოდუსიც „მასობრივი“ არსებობის სრულიად თავისებურ ნიმუშად გვევლინება, რაც ნიშნეულია ნებისმიერი საზოგადოებრივი კლასისათვის. სწორედ ამიტომ ყველგან, ცხოვრების ყველა სფეროში გამარჯვებით გალაღებული ადამიანი-მასა ჩვენი დროის სიმბოლოდ იქცა. ახლა კი, მოდით, გავაანალიზოთ ამ მოვლენის ერთი ყველაზე აშკარა და ცხადი ასპექტი.

ვის ხელთაა დღეს საზოგადოებრივი ძალაუფლება? რომელი კლასი აყალიბებს საზოგადოების სულიერ ატმოსფეროს? რა თქმა უნდა, ბურჟუაზია. მერედა, იმ ბურჟუებს შორის, ამ კლასის უმაღლეს ფენას რომ ეკუთვნიან, ვინ ითვლება დღეს არისტოკრატად? რა თქმა უნდა, ტექნიკური სპეციალისტი: ინჟინერი, ექიმი, ფინანსისტი, მასწავლებელი და ა. შ. და ა. შ. კი მაგრამ, ტექნიკურ სპეციალისტთა ამ ჯგუფში ვინ იქნება ყველაზე „სუფთა“, ვინ შესძლებს ყველაზე ღირსეულად წარმოადგინოს ადამიანის ეს ტიპი? ცხადია, სწავლული, მეცნიერი. ევროპას მოულოდნელად რომ სწვეოდნენ დედამიწის მიღმური ცივილიზაციის წარმომადგენლები, იმ მიზნით, რომ გარკვეული წარმოდგენა შეჰქმნოდათ ჩვენს კონტინენტზე, და ეკითხათ, ევროპელთა შორის ადამიანის რომელ ტიპს შეეძლო ყველაზე ღირსეულად წარმოედგინა თავისი კონტინენტის სახე, ეჭვს გარეშეა, ევროპის ყველა ქვეყანა მეცნიერს დაასახელებდა ადამიანის იმ ტიპად, ღრმად დარწმუნებული იმაში, რომ სწორედ მეცნიერი მოახდენდა ყველაზე კეთილსასურველ შთაბეჭდილებას უცხოპლანეტელთა ელჩებზე. რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელნი არ მოითხოვდნენ

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

შეძენილია ელ. წიგნების ონლაინ მაღაზიაში iBooks.ge

განსაკუთრებით გამორჩეული პიროვნებები წარედგინათ მათთვის; პირიქით, მათი ინტერესის საგანი იქნებოდა მეცნიერების ჩვეულებრივი, რიგითი მსახური, ინტელექტუალურ ევროპეიდთა ყველაზე ტიპიური წარმომადგენელი.

მაგრამ საქმეც სწორედ ისაა, რომ მეცნიერების დღევანდელი მსახური ადამიან-მასის ტიპიურ ნიმუშად გვევლინება. ეს შემთხვევითი დამთხვევის, ან ამა თუ იმ თანდაყოლილი დეფექტის შედეგი როდია, რაც ნიშნეულია მხოლოდ მეცნიერების მსახურთათვის. არამც და არამც. მეცნიერება, რომელმაც შესაძლებელი გახადა ჩვენი ცივილიზაციის პროგრესი, თვითონ აქცევს მეცნიერს ადამიან-მასად, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პირველყოფილ ადამიანად, თანამედროვე ბარბაროსად.

ეს საკამოდ კარგად ცნობილი მოვლენაა, მასზე არაერთხელ გაუმახვილებიათ ყურადღება, მაგრამ მე ვიმედოვნებ, რომ ჩემს შრომაში ეს მოვლენა იმდენად სერიოზულად და მრავალმხრივაა გაანალიზებული, რომ მისი არაორდინარული ხასიათი მთელი სიცხადით წარმოგვიჩნდება.

ექსპერიმენტული მეცნიერება XVI საუკუნის დამლევიდან იღებს დასაბამს (გალილეი), XVII საუკუნის დასასრულს თანდათანობით ყალიბდება დამოუკიდებელ დისციპლინად (ნიუტონი), და განსაკუთრებული ინტენსივობით ვითარდება XVIII საუკუნის შუა წლებიდან მოყოლებული. რაღაცის ბუნებრივი განვითარება ძირეულად განსხვავდება ერთ მთლიანობად მისი კონსტიტუირებისაგან. როგორც ერთის, ისე მეორის რეალიზაცია განსაკუთრებულ პირობებს მოითხოვს. ასე მაგალითად, ფიზიკას მეცნიერების სახე რომ მისცემოდა, საჭირო შეიქნა საგანგებო ძალისხმევა ბუნებისმცოდნეობის არა ერთი და ორი დარგის ექსპერიმენტულ მონაცემთა გასაერთიანებლად. ამ მხრივ, განსაკუთრებით დიდია ნიუტონისა და მისი დროის სხვა მეცნიერთა დამსახურება. მიუხედავად ამისა, ფიზიკის შემდგომი განვითარება მეცნიერთაგან სულ უფრო და უფრო მეტ სპეციალიზაციას მოითხოვდა. მეცნიერთაგან და არა მეცნიერებისაგან. მეცნიერების სპეციალიზაცია შეუძლებელია. Ipso facto, მაშინ ის აღარ იქნება ნამდვილი მეცნიერება. თვით ემპირიული მეცნიერებაც კი აღარ იქნება მეცნიერება, თუ ჩამოვაშორებთ ყველაფერს, რაც მათემატიკისგან, ლოგიკისა და ფილოსოფიისაგან აქვს ნასესხები. მაგრამ დღეს სამეცნიერო მოღვაწეობა შეუძლებელია სპეციალიზაციის გარეშე.

ძალიან საინტერესო იქნებოდა და უფრო სასარგებლო, ვიდრე ერთის მიხედვით ჩანს, დაგვეწერა ბუნებისმცოდნეობის ისტორია, რომელშიაც აისახებოდა მეცნიერული კვლევა-ძიების თანდათანობით მზარდი სპეციალიზაცია; ჩვენ დავინახავდით, როგორ შორდებოდა, თაობებიდან თაობებამდე, მეცნიერების მსახურები რეალურ ბუნებას, და თავს იმწყვდევდა ინტელექტუალური მოღვაწეობის ვიწრო წრეში, რომლის რადიუსიც სულ უფრო და უფრო მცირებოდა. მაგრამ ძირითადი დასკვნა ეს კი არ იქნებოდა, არამედ სრულიად

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

საპირისპირო, კერძოდ, ის, რომ, თაობებიდან თაობებამდე სწორედ ამ თანდათანობით მზარდი სპეციალიზაციის შედეგად, სწავლული სულ უფრო და უფრო მეტად კარგავდა კონტაქტს მეცნიერების სხვა დარგებთან და სამყაროული მოვლენების ინტეგრალური ინტერპრეტაციის უნარსაც. არადა, მეცნიერება, კულტურა და ცივილიზაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ შესძლებენ კვლავაც ღირსეულად ატარონ თავიანთი წოდება, როცა ინტეგრალური თვალსაზრისით უდგებიან ჩვენი სამყაროს შესწავლას.

სპეციალიზაცია მაშინ იწყება, როცა ცივილიზებულად ითვლება ენციკლოპედიური განათლების მქონე ადამიანი. XIX საუკუნის დასაწყისში ევროპას სწორედ ენციკლოპედიურად განსწავლული ადამიანები განაგებდნენ, თუმცა თვით ისინიც კი უკვე თავ-თავიანთ სფეროში იწყებდნენ მოღვაწეობას. მომდევნო თაობაში ეს წონასწორობა ირღვევა: სპეციალიზაცია უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ზოგადი კულტურა. 1890 წლისათვის, როცა ხელისუფლების სათავეში ექცევა მესამე თაობა, ევროპას მისი ისტორიის მანძილზე პირველად ევლინება სწავლულის სრულიად ახალი ტიპი. ნაცვლად იმ მრავალფეროვანი ცოდნისა, რომლის დაუფლებაც აუცილებელია საიმისოდ, რომ, ასე თუ ისე, განათლებული კაცი გერქვას, მას მხოლოდ ერთ მეცნიერებაზე, ან, უფრო სწორად, მის ერთ პატარა ნაწილზე თუ მიუწვდება ხელი: მე ვგულისხმობ ჩვენი სწავლულის უშუალო მოღვაწეობის სფეროს. მეცნიერების ამ მაშვრალს თავისი ყურადღების ღირსად არ მიაჩნია არაფერი, რაც მისი პატარა ბოსტნის გარეთაა, ბოსტნისა, სადაც ის თავისი მეცნიერული კვლევა-ძიების ნაყოფს იწევს, და ამიტომაც დილეტანტს ეძახის ყველას, ვისი ინტერესის საგნადაც მრავალი სხვადასხვა მეცნიერება გვევლინება.

მაგრამ, აი, ნამდვილი პარადოქსი: თავისი სპეციალობის ვიწრო სენაკის ჭუჭრუტანიდან რომ ჭვრეტს სამყაროს, ჩვენი სწავლული მაინც ახერხებს, რაღაც ახალი აღმოაჩინოს, და, ამრიგად, წინ წასწიოს მეცნიერება, რომელსაც ის, კაცმა რომ თქვას, თითქმის არც იცნობს; ასე სწერს იგი ახალ ფურცელს აზრის სწორედ იმ ენციკლოპედიაში, რომელსაც ასე ჯიუტად არა სცნობს. რამ განაპირობა ამნაირი სიტუაცია და რატომაა იგი უცვლელი დღევანდელ დღემდე? საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ ის წარმოუდგენელი, მაგრამ მაინც ეჭვშეუვალი ფაქტი, რომ ექსპერიმენტულ მეცნიერებათა განვითარებას თავისი ძალისხმევით განსაზღვრავდა, არსებითად, საშუალო ნიჭის ხალხი. თანამედროვე მეცნიერება, რომელიც ჩვენი ცივილიზაციის არა მარტო საფუძველია, არამედ სიმბოლოც, საშუალო ნიჭის ადამიანის ნამდვილ მეურვედ და მფარველად გვევლინება, ადამიანისა, ვის წინაშეც ფართო ასპარეზს შლის სამოღვაწეოდ. ამნაირი ვითარების უმთავრესი მიზეზია მექანიზაცია - ყველაზე დიდი მიღწევა და, იმავდროულად, ყველაზე დიდი საშიშროებაც, რაც გარდუვალად თან ახლავს მეცნიერებას და მისი წყალობით განვითარების ახალ საფეხურზე ასულ ცივილიზაციას. ბევრი რამ, რასაც ფიზიკასა თუ ბიოლოგიაში შეიძლება მიაღწიო, გონების პირწმინდად

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

მექანიკურ ძალისხმევას მოითხოვს, რისი უნარიც ყველას შესწევს. კვლევა-ძიების გასაიოლებლად მეცნიერება შეიძლება პატარა-პატარა ქვედანაყოფებად დაანაწევრო და ისე შეისწავლო თითოეული მათგანი, რომ ვერც კი ამჩნევდე დანარჩენებს. პრაქტიკული მოსაზრებებიდან გამომდინარე, კვლევის მეთოდთა სიზუსტისა და საიმედოობის წყალობით, შეიძლება დაუშვა ერთიანი და მთლიანი ცოდნის დროებითი დაქუცმაცება. ეს მეთოდები შეუფერხებლად მუშაობენ, თანაც, ახალ-ახალი მნიშვნელოვანი შედეგების მისაღწევად სულაც არ არის საჭირო, გამოწვლილვით იკვლევდე ამ მეთოდთა საფუძველს, ან მკაფიოდ ჩამოყალიბებული წარმოდგენა გქონდეს მათ არსზე. ასე, მეცნიერთა უმრავლესობა თავისი ლაბორატორიის ვიწრო საკანში ჩაკეტილი ავითარებს მეცნიერებას, საკანში, სადაც ისევეა შემალული, როგორც ფუტკარი - სკაში, და ისევე მყარად ზის, როგორც ტაფა - ღუმელში.

ყოველივე ეს აყალიბებს ადამიანის ფრიად უცნაურ ტიპს. სწავლული, რომელმაც საბუნებისმეტყველო დარგში ახალი რაღაც აღმოაჩინა, უთუოდ დიდ კმაყოფილებას უნდა გრძნობდეს და საკმაოდ თავდაჯერებულიც იყოს. ერთის შეხედვით, ის სავსებით სამართლიანად შეიძლება მივიჩნიოთ „მცოდნე ადამიანად“, და მასში მართლაც არის ცოდნის ორიოდე მისხალი, რომელიც ცოდნის სხვა სახეებთან ერთად შეიძლებოდა ჭეშმარიტ ცოდნად ქცეულიყო. ამრიგად, სპეციალისტის შინაგანი არსი, განსაკუთრებით მკაფიოდ რომ იკვეთება ჩვენი საუკუნის პირველ წლებში, ასეთია: სპეციალისტმა კარგად „იცის“ სამყაროს მხოლოდ ის კუნჭული, რომელიც „თავისად“ მიაჩნია, და წარმოდგენაც არა აქვს მთელ დანარჩენ სივრცეზე.

თანამედროვე მეცნიერი ახალი ადამიანის იმ უცნაური ტიპის მშვენიერი ნიმუშია, რომლის დასახასიათებლადაც მე ვცდილობდი სხვადასხვა თვალსაზრისით განმეხილა იგი. როგორც უკვე აღვნიშნე, ისტორიას საერთოდ არ ახსოვს ამნაირი ადამიანი. სპეციალისტის მაგალითი სწორედ საიმისოდაა ზედგამოჭრილი, რომ უფრო კონკრეტულად დაგვახასიათებინოს ადამიანი-მასა, დაგვანახოს მისი რადიკალური სიახლე. უწინ ადამიანები შეიძლებოდა დაგვეყო სწავლულებად და უსწავლელებად, მცოდნეებად და უვიცებად, მაგრამ სპეციალისტს ვერც ერთ ამ კატეგორიას ვერ მიაკუთვნებ. ჩვენ არ შეგვიძლია სწავლულად მიგვაჩნდეს იგი, რადგანაც, ფორმალური თვალსაზრისით, არაფერი არ იცის გარდა იმისა, რაც უშუალოდ მის სპეციალობას ეხება, მაგრამ, მეორეს მხრივ, ვერც უსწავლელს ვუწოდებთ, რაკიღა მეცნიერების მსახურია და მშვენივრად ერკვევა თავის სპეციალობაში. უსწავლელი სწავლული, - აი, რა შეიძლება ეწოდოს მას. ჩვენს წინაშეა ძალიან სერიოზული მოვლენა, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ადამიანი ისე როდი დაიჭერს თავს იმის მიმართ, რაც არ იცის, როგორც იქცევა უვიცი, არამედ იმ კაცის თავდაჯერებით, რომელსაც თავისი საგნის ზედმიწევნით მცოდნე ჰგონია თავი.

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

აი, ასე იქცევა სპეციალისტი. პოლიტიკისა თუ ხელოვნების, ისევე როგორც სამეცნიერო თუ საზოგადოებრივი ცხოვრების პრობლემების გადაწყვეტისას ის ყველაზე პრიმიტიული, ყველაზე უბირი კაცის პოზიციას აირჩევს, მაგრამ ისეთი თავდაჯერებით, ისე ენერგიულად კი დაიცავს თავის თვალსაზრისს, რომ არ დაუშვებს - სწორედ ესაა პარადოქსი, - კომპეტენტურ ხალხს მიანდონ მათი გადაჭრა. სპეციალიზაციამ, რასაც დასაბამი მისცა ცივილიზაციის განვითარებამ, ის შედეგი გამოიღო, რომ ადამიანი მეცნიერების ერთი რომელიღაც ვიწრო დარგის შესწავლით შემოიფარგლა და პრაქტიკულად ჩაიკეტა თავისი პროფესიის ჩარჩოში. მაგრამ პატივმოყვარეობისა და თვითკმაყოფილების გრძნობით აღსავსე, ცდილობს თავისი აზრი თავს მოახვიოს ხალხს, ვისაც არავითარი კავშირი არა აქვს მის სპეციალობასთან. ამრიგად, თვით მაქსიმალურად კომპეტენტური პროფესიონალი სპეციალისტის სახითაც კი, რომელიც თითქოს დიამეტრალურად უნდა უპირისპირდებოდეს ადამიან-მასას, ჩვენ იმავე ადამიან-მასას ვხედავთ, ყველგან და ყველაფერში თავის არაკომპეტენტურ აზრს რომ გვკარნახობს.

ეს შენიშვნა საფუძველს მოკლებული როდია. შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს ის ბრიყვული უშუალობა, რომლითაც მოქმედებენ მეცნიერების მსახურნი, პოლიტიკის, ხელოვნებისა თუ რელიგიის, აგრეთვე ადამიანური თუ სამყაროული არსებობის სრულიად სხვადასხვა საკითხებზე დაუფიქრებლად რომ გამოთქვამენ თავიანთ აზრებს. რა თქმა უნდა, ასევე მსჯელობენ და მოქმედებენ ყველანი, ვინც მათ ზურგს უკან დგანან, - ექიმები, ინჟინრები, ფინანსისტები, მასწავლებლები და ა. შ. ეს აქტიური სურვილი, ყური არ ათხოვონ არავის და არ დაემორჩილონ არავითარ უზენაეს ავტორიტეტს, რაც არაერთხელ აღმინიშნავს, როცა ადამიანი-მასის პორტრეტს ვხატავდი, განსაკუთრებით ცხადად ვლინდება ამ პროფესიონალების ქცევაში, რომლებიც მხოლოდ თავიანთი სპეციალობის ვიწრო სფეროში არიან კომპეტენტურნი. თანამედროვე მასები უპირატესად სწორედ მათგან ყალიბდებიან. ამნაირი „ინტელექტუალის“ სახე სხვა არა არის რა, თუ არ გამარჯვებით გალაღებული ადამიანი-მასის სიმბოლო. მეცნიერების მსახურის ბარბაროსული ქცევა, - აი, ევროპის დემორალიზაციის უშუალო მიზეზი.

ყოველივე ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს ჩემს აზრს იმის შესახებ, რომ თავისი თავის ანაბარა მიტოვებული XX საუკუნის ცივილიზაცია გარდუვალად გამოიწვევს საკუთარი თავისადმი პირველყოფილ-ბარბაროსული დამოკიდებულების ფეთქებად ტალღას.

სწორედ ამიტომ დღეს, როცა ქვეყნიერებას მოევლინა მეცნიერების ურიცხვი მსახური, გაცილებით უფრო ნაკლებია ჭეშმარიტად განათლებულ ადამიანთა რიცხვი, ვიდრე, მაგალითად, 1750 წელს. ყველაზე სამწუხარო კი ისაა, რომ მეცნიერების ღუმელში მოშიშხინე ამ ტაფებს არ შეუძლიათ უზრუნველყონ მეცნიერების არავითარი, თვით ყველაზე უმნიშვნელო პროგრესიც კი. იმისათვის, რომ თავისი საკუთარი

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

შეძენილია ელ. წიგნების ონლაინ მაღაზიაში iBooks.ge

ზრდის რეგულირება მოახდინოს, მეცნიერებას დროდადრო სჭირდება აღდგენითი სამუშაოები, რათა კვლავ მიაღწიოს ოდინდელ ერთიანობას, ეს კი, როგორც უკვე შეგახსენეთ, დღითი დღე სულ უფრო და უფრო ძნელი ხდება, რადგანაც მეცნიერების ურიცხვი დარგის საფუძვლიან ცოდნას მოითხოვს. ნიუტონმა ისე შექმნა თავისი ფიზიკა, რომ მაინცდამაინც კარგად ვერ ერკვეოდა ფილოსოფიაში. მაგრამ აინშტაინს უკვე კანტისა და მასის საფუძვლიანი ცოდნა დასჭირდა იმისათვის, თავისი დიადი სინთეტიკური თეორია შეექმნა. კანტი და მახი სიმბოლურად განასახიერებენ იმ უზარმაზარ ფილოსოფიურსა და ფსიქოლოგიურ ცოდნას, რის გადამუშავებაც დასჭირდა აინშტაინს, რათა თავისი აზრისათვის თავისუფალი გასაქანი მიეცა და ახალი ჰორიზონტი გადაეშალა მეცნიერული კვლევა-ძიების წინაშე. მაგრამ აინშტაინის მოძღვრება დღეს უკვე აღარ გვაკმაყოფილებს. თანამედროვე ფიზიკა ამჟამად უფრო მძიმე კრიზისს განიცდის, ვიდრე ოდესმე განუცდია მთელი თავისი ისტორიის მანძილზე და მისი გადარჩენა მხოლოდ უფრო ახალსა და უფრო სისტემატიზებულ ენციკლოპედიას თუ ძალუძს.

სპეციალიზაცია, რამაც შესაძლებელი გახადა ექსპერიმენტული მეცნიერების პროგრესი, ამ უკანასკნელ ხანს თავისი განვითარების იმნაირ პერიოდს უახლოვდება, როცა მისი შემდგომი წინსვლა შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ პირობით, თუ მოვა სწავლულთა ახალი თაობა, რომელიც შესძლებს ახალ, უფრო მოდერნიზებულ „ღუმელში“ „გამოაცხოს“ იგი.

მაგრამ თუ სპეციალისტი არ იცნობს თავისი მეცნიერების „შინაგან“ ფიზიოლოგიას, მით უმეტეს, არ ეცოდინება, რანაირი ისტორიული პირობების შექმნაა საჭირო მის გადასარჩენად, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რანაირად უნდა იყოს ორგანიზებული საზოგადოება და თვით ადამიანის სული, რომ სპეციალისტმა შესძლოს მათი კვლევა. მეცნიერული კვლევა-ძიების მიმართ ინტერესის ამ შენელებამ, რაც ამ ბოლო დროს შეინიშნება და რისთვისაც ჩემს შრომაში უკვე მიგაქცევინეთ ყურადღება, შეუძლებელია არ გამოიწვიოს იმათი შეშფოთება, ვისაც ნათლად აქვს წარმოდგენილი, მაინც რა არის ეს ჩვენი ცივილიზაცია. მაგრამ სწორედ ამ წარმოდგენას მთლიანად მოკლებულია მეცნიერების მსახური, ჩვენი ცივილიზაციის ყველაზე „ღირსეული“ წარმომადგენელი. ნებისმიერი სხვა ადამიანი-მასისა არ იყოს, მასაც ჰგონია, რომ ცივილიზაცია ყოველთვის ჩვენთან იქნება, ისევე როგორც ჩვენი დედამიწა, დედამიწაზე კი - პირველყოფილი, უღრანი ტყე.

XIII

ყველაზე დიდი საფრთხე სახელმწიფოს ძლიერების ზრდაა

თუ საზოგადოება წესიერადაა ორგანიზებული, მასა არასოდეს არ მოქმედებს თვისთავად. მისი როლი ჩვენს საზოგადოებაში პასიური უნდა იყოს. მას უნდა მართავდნენ,

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

მას უნდა წარმოადგენდნენ, მის ორგანიზებას უნდა ახდენდნენ, ის კი მხოლოდ უნდა ემორჩილებოდეს უზენაეს ავტორიტეტს. იქნებ მაშინ მაინც შესძლოს იმდენი, რომ მასა აღარ იყოს, ან, ყოველ შემთხვევაში, სცადოს მაინც ეს. რადგანაც მასა იმისთვის როდი მოევლინა ქვეყნიერებას, რომ თავისი ნება-სურვილით აკეთოს ყველაფერი; არა, თავის ცხოვრებას ის ყოველთვის უნდა უფარდებდეს უზენაეს ავტორიტეტთა, ანუ, რაც იგივეა, რჩეული უმცირესობის აზრს. შეიძლება რამდენიც გნებავთ, იმდენი იდაოთ იმის თაობაზე, თუ ვინ უნდა მიგვაჩნდეს რჩეულ უმცირესობად, მაგრამ ვინც არ უნდა იყვნენ ეს ადამიანები, მათ გარეშე კაცობრიობა დაჰკარგავდა ყველაზე უმთავრესს - თავის ადამიანურ არსს, და ამაში შეუძლებელია რაიმე ეჭვის შეტანა. მაგრამ აგერ უკვე საუკუნეზე მეტი იქნება, რაც ევროპელები სირაქლემასავით ფრთის ქვეშ მალავენ თავს და ცდილობენ არ დაინახონ ესოდენ აშკარა ფაქტი. თუმცა ეს მარტო ჩემი პირადი აზრი როდია ან მეტ-ნაკლებად შემთხვევითსა თუ პოტენციურად შესაძლო მოვლენებზე დაკვირვების შედეგი. აქ საქმე შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ „სოციალური ფიზიკის“ კანონს, გაცილებით უფრო გარდუვალს, ვიდრე ნიუტონის ფიზიკის ყველა კანონია ერთად აღებული. იმ დღეს, როცა ევროპაში, ბოლოს და ბოლოს, გაიმარჯვებს ჭეშმარიტად ფილოსოფიური აზრი[60], რომელსაც ერთადერთს შეუძლია გვიხსნას, ჩვენ კლავ ვაღიარებთ, რომ ადამიანი, მისი ჟინიანობისა და სურვილების მიუხედავად, ის არსებაა, რომელიც იძულებულია ოდითგანვე უხმობდეს უზენაეს ავტორიტეტს. თუ თვითონვე მიაკვლია ამნაირ ავტორიტეტს, მაშინ ის რჩეული ადამიანია, თუ არა და - ადამიანი-მასა, და ამიტომ მოვალეა აღიარებდეს იმ ავტორიტეტთა არსებობას, რომელთაც რჩეული სთავაზობს მას. როცა მასა თავისი საკუთარი რისკით მოქმედებს, ამით ის თავისი ბედის წინააღმდეგ ილაშქრებს, და რაკი ამჟამად სწორედ ეს ხდება, საჭიროდ მიმაჩნია მასების ამბოხზე ვილაპარაკო. საბოლოო ანგარიშით, ამბოხებას (თუკი ამ ცნების ჭეშმარიტად არსობრივ განსაზღვრას ეხება საქმე) ჩვენ ვუწოდებთ ადამიანის ურჩობას თავისი ბედის მიმართ. ასე, მთავარანგელოზ ლუსბელის[61] ჯანყი არანაკლებ ცნობილი იქნებოდა, თუკი ნაცვლად იმისკენ სწრაფვისა, რომ ღმერთისთვის გაეტოლებინა თავი, ესე იგი, საკუთარი ბედის წინააღმდეგ გაელაშქრა, - ის ეცდებოდა ყველაზე თვინიერი გამხდარიყო ანგელოზთა შორის (ლუსბელი რომ რუსი ყოფილიყო, მაშინ ის, ტოლსტოის მსგავსად, ალბათ ღვთის ნების წინააღმდეგ ამბოხის მეორე სახეს არჩევდა, რაც, არსებითად, არაფრით არ განსხვავდება პირველისაგან).

როცა მასა თავისით იწყებს მოქმედებას, ეს მოქმედება ყოველთვის ერთ ფორმას - ლინჩის ფორმას იღებს. შემთხვევითი როდია ის გარემოება, რომ ლინჩის სამშობლო ამერიკაა; ამერიკას ხომ, გარკვეული თვალსაზრისით, შეიძლება მასების სამოთხე ეწოდოს. და ამიტომ არავითარ გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს ის ფაქტი, რომ დღეს, მასების ტრიუმფის დროს, გამარჯვებას ზეიმობს ერთადერთ ratio[62]-ად და კანონად ქცეული ძალმომრეობა. მე უკვე დიდი ხნის წინათ

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

გეუბნებოდით, ყურადღება მიგექციათ იმ ფაქტისათვის, რომ ძალადობის ზრდა დღეს უკვე ნორმად იქცა[63]. ამჟამად მან თავის პიკს მიაღწია. და ეს სასიკეთო ნიშანია: მაშასადამე, მალე დაიწყება მისი ავტომატური კლება. ძალადობის თემა მტკიცედ დამკვიდრდა დღევანდელ რიტორიკაში: ახლა ფუჭად მოლაყბე ორატორებიც კი თავიანთ ვალად თვლიან მასზე ყბედობას. როცა ამა თუ იმ ადამიანურ ჭეშმარიტებას თავისი ყავლი გასდის, თანდათანობით ჭკნება და კვდება, და მაშინ ტალღები ნაპირზე გამორიყავენ ლეშად ქცეულს, სადაც ის დიდხანს განაგრძობს ხრწნას. რიტორიკა ოდესღაც ეჭვშეუვალ ჭეშმარიტებათა სასაფლაოა, ან ინვალიდთა თავშესაფარი. ჭეშმარიებისაგან რჩება მხოლოდ მისი სახელი, რომელიც სხვა არა არის რა, თუ არა სიტყვა, და ამიტომ, ბოლოს და ბოლოს, სახელად გვევლინება, რაშიაც ყოველთვისაა ერთგვარი ჯადოქრული ძალის ნაწილი.

მაგრამ მაშინაც კი, როცა უკვე აღარ იზრდება ძალადობის, როგორც ცინიკურად დადგენილი ნორმის პრესტიჟი, ჩვენ კვლავაც ძალმომრეობის რეჟიმში ვცხოვრობთ; განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ძალმომრეობა სულ სხვა ფორმით ვლინდება.

მე ვგულისხმობ ყველაზე საშინელ საფრთხეს, რომელიც დღეს ემუქრება ევროპული ცივილიზაციის არსებობას, ყველა სხვა საფრთხის მსგავსად, განადგურებას რომ უქადის მას. ესეც თვით ცივილიზაციის განვითარების ნაყოფია; მეტიც, ის ცივილიზაციის სიამაყედ და სიქადულად გვევლინება. ეს საფრთხე - თანამედროვე სახელმწიფოა. სახელმწიფოზე შეიძლება იგივე ითქვას, რასაც წინა თავში მეცნიერებაზე ვამბობდით: მისი პრინციპების უჩვეულო ნაყოფიერება საფუძვლად უდევს მისსავე არნახულ პროგრესს, რასაც თავისი განვითარების გარკვეულ საფეხურზე სპეციალიზაციამდე მივყავართ, სპეციალიზაცია კი, ბოლოს და ბოლოს, მოშთობით ემუქრება თვით მეცნიერებას.

იგივე ემართება სახელმწიფოსაც.

გაიხსენეთ, რას წარმოადგენდა სახელმწიფო XVIII საუკუნის დამლევს ნებისმიერ ევროპულ ქვეყანაში; ღმერთმა იცის, რას. კაპიტალიზმის წარმოშობამ და, მასთან ერთად, მრეწველობის ორგანიზაციის ფორმირებამაც, რის შედეგადაც ტექნიკა ისტორიაში პირველად იწყებს უმთავრესი როლის შესრულებას (საქმე ეხება რაციონალისტურად დაფუძნებულ ტექნიკას), - სულ მალე გამოიწვია პირველი დიდი ცვლილებები საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში. ჩამოყალიბდა ბურჟუაზია, - ახალი, გაცილებით უფრო ძლიერი და მრავალრიცხოვანი კლასი, ვიდრე ყველა ის კლასი იყო, რაც კი მანამდე არსებობდა ისტორიაში. ამ თავგასულსა და კადნიერ ბურჟუაზიას ულევი ჰქონდა ერთი სიმდიდრე - ფხიანობა და გერგილიანობა; მას შეეძლო მოეხდინა საზოგადოების ორგანიზება, დაემყარებინა დისციპლინა; და ის შემაკავშირებელი რგოლი ყოფილიყო, რომელიც თავს უყრის და ამთლიანებს ცალკეულ ადამიანთა ძალისხმევის ურიცხვ სიმრავლეს. ამ გერგილიანი ბურჟუების ოკეანეში ლაღად

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

მისრიალებდა და ტალღებს მიაპობდა სახელმწიფოს ხომალდი. სახელმწიფოს ხომალდი ბურჟუაზიის მიერ დამკვიდრებული მეტაფორაა, ბურჟუაზიისა, რომელსაც ოკეანესავით მბორგავ სტიქიად და ყოვლისშემძლედ მიაჩნდა თავი. სინამდვილეში კი ეს ხომალდი ერთი უბადრუკი ორჩხომელი იყო, ასეთივე უბადრუკი ეკიპაჟითურთ, რომელსაც თითქმის არ ჰქონდა ფული; მთელ ეკიპაჟს რამდენიმე ჯარისკაცი და ორიოდე მოხელე თუ შეადგენდა, და თანაც, ეს ორჩხომელი ბურჟუაზიისაგან ძირეულად განსხვავებული, სულ სხვა ჯიშისა და ჯილაგის ადამიანთა ნახელავი იყო: ესენი იყვნენ არისტოკრატები, კეთილშობილი, მამაცი და გამბედავი ადამიანები. დღემდე აღტაცებას იწვევს ხალხის წინამძღოლობის მათეული, ჭეშმარიტად უებრო უნარი და უდიდესი პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა. მათ გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ევროპულ სახელმწიფოთა წარმოშობა. ეს კეთილშობილი, სულის ამდენი საუცხოო სიქველით შემკული ხალხი, სამწუხაროდ, უბრად იყო საღ აზრთან. არისტოკრატები თავის კი არა, სხეულის რომელიღაც სხვა ასოებით ცხოვრობდნენ. ისინი უგუნური, სენტიმენტალური, ინტუიტური და ინსტინქტური, მოკლედ, ირაციონალური არსებები იყვნენ. ამიტომაც ვერ გამოიგონეს ვერავითარი ტექნიკა, რომლის შექმნაც რაციონალურ აზროვნებას მოითხოვს, ვერ შესძლეს დაემზადებინათ თოფის წამალი, - დაიღალნენ. რაკი ახალი იარაღის გამოგონება ვერ შესძლო, არისტოკრატიამ საშუალება მისცა ბურჟუებს, გამოეყენებინათ შორეული აღმოსავლეთიდან თუ ღმერთმა იცის, საიდან ჩამოტანილი თოფის წამალი. ამიტომ, როგორც მოსალოდნელი იყო, ბურჟუებმა დაამარცხეს ეს კეთილშობილი, რკინის აბჯარში ბრიყვულად მჯდარი რაინდი, რომელიც ძლივს დაბობღავდა ბრძოლის ველზე და არასოდეს აზრადაც არ მოსვლია თავში, რომ გამარჯვების საწინდარი თავდაცვა კი არ არის, არამედ - შეტევა, იერიში. ნაპოლეონის მთელი სამხედრო კარიერა ამ ჭეშმარიტების დასტურად გვევლინება[64].

რაკიღა სახელმწიფო სხვა არა არის რა, თუ არა ტექნიკა, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის გულისხმობს საზოგადოებრივი თუ ადმინისტრაციული წესრიგის დამყარების ჩვევას, ძველი რეჟიმი, რომელიც ცუდად ფლობდა ამ ტექნიკას, ძალზე უღიმღამოდ ხვდება XVIII საუკუნის დასასრულს, თუმცა მის განკარგულებაშია ჯერ კიდევ ცოცხალი სახელმწიფო, თავგანწირვით რომ ცდილობს მოიგერიოს ის დარტყმები, რომლებსაც ზედიზედ აყრიან საზოგადოების სრულიად სხვადასხვა ფენების წარმომადგენლები. ამ დროისათვის შეუსაბამობა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ძალაუფლებას შორის იმნაირ მასშტაბებს აღწევს, რომ, მაგალითად, კარლოს დიდის დროინდელი სახელმწიფოს ჯანსაღ იერიშთან შედარებით, XVIII საუკუნის სახელმწიფო სასიკვდილოდ გადადებულ სნეულსა ჰგავს. კაროლინგების სახელმწიფო, რა თქმა უნდა, ისე ძლიერი როდი იყო, როგორც ლუი XVI-ის სამეფო, მაგრამ კაროლინგების დინასტიის მმართველობისას საზოგადოებრივი აზრი ჯერ კიდევ

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

ჩანასახოვან მდგომარეობაში იმყოფებოდა[65]. საზოგადოებრივ ძალებსა და საზოგადოებრივ ძალაუფლებას შორის სწორედ ამ მკვეთრმა შეუსაბამობამ გამოიწვია რევოლუცია, მეტიც, ყველა რევოლუცია (1848 წლამდე).

ბურჟუაზია ქეჩოში ჩააფრინდა რევოლუციის ტალღას და ასე მოექცა ხელისუფლების სათავეში; მთელი თავისი უეჭველი ღირსება და უნარი მან სახელმწიფოებრივი მანქანის დახვეწისა და სრულყოფის სამსახურში ჩააყენა და ერთი თაობის სიცოცხლის მანძილზე იმდენად ძლიერი სახელმწიფო შექმნა, რომ ამ უკანასკნელმა შესძლო ბოლო მოეღო ყოველგვარი რევოლუციისათვის. 1848 წლიდან, ესე იგი, იმ დროიდან მოყოლებული, რომელიც შეესაბამება ბურჟუაზიის წარმომადგენელთა მეორე თაობის მმართველობის ეპოქას, ევროპაში არავითარი რევოლუცია აღარ ხდება, ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით. საქმე ის კი არაა, რომ უცებ გაქრა რევოლუციების გამომწვევი ყველა მიზეზი, არამედ ის, რომ ამოიწურა მათ მოსახდენად საჭირო საშუალებები. სახელმწიფოებრივ ძალაუფლებასა და საზოგადოებრივ ძალაუფლებას შორის შესაბამისობა დამყარდა. რევოლუციებო, სამუდამოდ გემშვიდობებით! დღეს ევროპაში შეიძლება მოხდეს რევოლუცია კი არა, არამედ, გარკვეული თვალსაზრისით, მისი საპირისპირო მოვლენა, სახელდობრ, სახელმწიფო გადატრიალება. ყოველივე ის, რაც 1848 წლის შემდეგ ცდილობდა რევოლუციად გაესაღებინა თავი, სინამდვილეში სხვა არა იყო, თუ არა შენიღბული სახელმწიფო გადატრიალება.

სადღეისოდ სახელმწიფოს მანქანა ისე სრულყოფილი გახდა, რომ აბსოლუტურად უზადოდ მუშაობს და გამაოგნებელი სიზუსტითა და ეფექტურობით იყენებს მის ხელთ არსებულ საშუალებებს.

სახელმწიფო მანქანა თავისი საცეცებით შემოეჭდო საზოგადოების გიგანტურ სხეულს; საკმარისია თითი დააჭირო ნებისმიერ ღილაკს, და მაშინვე ამუშავდებიან უზარმაზარი ბერკეტები, რათა დაფშვნან და მტვრად აქციონ საზოგადოების ნებისმიერი ორგანო. თანამედროვე სახელმწიფო ცივილიზაციის განვითარების უკანასკნელი და ყველაზე მნიშვნელოვანი ნაყოფია. ძალზე საინტერესო და საგულისხმოა იმ პოზიციაზე მსჯელობა, რაც ადამიან-მასას უჭირავს სახელმწიფოსთან მიმართებით. საშუალო ადამიანი გრძნობს, რომ სახელმწიფო ყოველთვის მასთანაა, მის გვერდითაა, და აღტაცებულია ამით. მან იცის, რომ სახელმწიფო იცავს მის სიმშვიდეს, და ისიც ესმის, რომ სახელმწიფო ადამიანის მიერაა შექმნილი, რომ ის ეფუძნება გარკვეულ პრინციპებს და დაშვებებს, რომლებსაც გუშინ იზიარებდნენ ადამიანები, მაგრამ ხვალ შეიძლება უკვალოდ გაქრნენ. (მეორეს მხრივ, ადამიანი-მასისათვის სახელმწიფო განასახიერებს იდუმალ ძალას, და რაკი ამ იდუმალ ძალას თავის თავშიც გრძნობს - ის ხომ „უბრალო ხალხის“ წარმომადგენელი გახლავთ, - ამიტომ დარწმუნებულია, რომ სახელმწიფო მას ეკუთვნის. ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში გარკვეული პრობლემები ან კონფლიქტური სიტუაციები იჩენენ თავს,

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

საშუალო ადამიანი დაუყოვნებლივ მოითხოვს სახელმწიფოსაგან, რომ მან, ყველა იმ ურიცხვი და ქმედითი საშუალებით, რაზედაც ხელი მიუწვდება, თვითონვე იკისროს ამ კონფლიქტის მოწესრიგება.

ყველაზე დიდი საფრთხე, რაც დღეს ემუქრება ცივილიზაციას, ცხოვრების გასახელმწიფოებრიობა, საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში სახელმწიფოს ყოველმხრივი ჩარევა გახლავთ. სადღეისოდ სახელმწიფო ნთქავს ისტორიული ცხოვრების ნებისმიერ გამოვლენას, ანუ იმას, რაც, საბოლოო ანგარიშით, ხელს უწყობს კეთილსასურველ განვითარებას, მაცოცხლებელ ცვარ-ნამს აპკურებს ცხოვრების ხეს და სიმართლის გზით წარმართავს ადამიანს.

როდესაც მასა გრძნობს, რომ საფრთხე ემუქრება, ან ესა თუ ის მორიგი სურვილი მოსვენებას არ აძლევს, შეუძლებელია ცდუნებას არ აჰყვეს და სახელმწიფოს არ მიმართოს დახმარებისთვის, რომელიც საშუალებას აძლევს თავისთავად მიაღწიოს ყველაფერს, რაც ნებავს, თანაც, ყოველგვარი ძალისხმევის, ბრძოლის, იჭვნეულობისა და რისკის გარეშე. მასას ჰგონია, სახელმწიფო მე ვარო, მაგრამ სასტიკად ცდება. სახელმწიფო იმ გაგებითაა მასა, რა გაგებითაც შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ერთი კაცი იგივეა, რაც მეორე, მხოლოდ იმიტომ, რომ არც ერთს ხუანი არ ჰქვია. თანამედროვე სახელმწიფო და ადამიანი-მასა მხოლოდ ერთი რამით ჰგვანან ერთმანეთს: არც ერთმა არ იცის თავისი ძალა. მაგრამ პარადოქსი ისაა, რომ ადამიან-მასას მართლა ჰგონია, სახელმწიფო მე ვარო, და ყოველთვის ნებისმიერი საბაბით ცდილობს, გვერდში ამოიყენოს სახელმწიფოს მექანიზმი, რათა მისი მეშვეობით გასრისოს იმ უმცირესობის შემოქმედებითი ენერგია, რომელიც ხელს უშლის იმაში, რომ თავი გამოიჩინოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, პოლიტიკა იქნება ეს, იდეოლოგია თუ მრეწველობა.

ეს ტენდენცია, მისი შემდგომი განვითარების შემთხვევაში, სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანს. თუ კვლავაც ასე გამუდმებით ჩაერევა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სახელმწიფო, თავისი დამთრგუნველი ზემოქმედებით, გასაქანს აღარ მისცემს არავითარ უშუალო შემოქმედებით იმპულსს, ვიდრე ჩანასახშივე არ ჩაახშობს ახალი იდეების აღმოცენების ყოველნაირ შესაძლებლობას. საზოგადოება იძულებული იქნება სახელმწიფოსათვის იცხოვროს, ადამიანი კი სახელმწიფო მანქანის ყურმოჭრილ მონად იქცევა და რაკი სახელმწიფო, ბოლოს და ბოლოს, სხვა არა არის რა, თუ არა მანქანა, რომლის შეუფერხებელი მუშაობაც გამუდმებულ ტექნიკურ დათვალიერებასა და მის ირგვლივ მოფუთფუთე ადამიანების სასიცოცხლო ძალთა სათბობით უწყვეტ მომარაგებას მოითხოვს - მთელ ენერგიას რომ გამოსწურავს მათ, თვითონაც ჭლექი შეეყრება, ზეზეულად ჩამოხმება და, ბოლოს, მანქანის ჟანგიანი სიკვდილით მოკვდება. მანქანის გვამი კი გაცილებით უფრო ამაზრზენია, ვიდრე ცოცხალი არსებისა. ასეთი იყო ძველი ცივილიზაციების ბედი.

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

ეჭვს გარეშეა, რომ იულიუსებისა და კვლავდიუსების მიერ დაარსებულ იმპერიას საუცხოოდ გამართული სახელმწიფოებრივი მანქანა ჰქონდა, გაცილებით უკეთ მომუშავე, ვიდრე პატრიციუსთა ოჯახური კლანების მმართველობის ეპოქაში რესპუბლიკური სახელმწიფო მანქანა იყო. მაგრამ - აი, საინტერესო დამთხვევა - როგორც კი საზოგადოებრივი ორგანიზაციის განვითარება თავის აპოგეას აღწევს, დაუყოვნებლივ იწყება მისი რღვევა. ანტონინუსთა ეპოქაში (II საუკუნე) სახელმწიფო უკვე იწყებს საზოგადოების დათრგუნვას და მისგან მთელი სასიცოცხლო ენერგიის გამოწურვას. სახელმწიფო იმონებს საზოგადოებას, რომელსაც ახლა მხოლოდ იმის წყალობით თუ შეუძლია იარსებოს, რომ სახელმწიფოს სამსახურში ჩადგეს. იწყება ცხოვრების ბიუროკრატიზაცია. მერედა, რა შედეგი მოჰყვება ამას? ცხოვრების ბიუროკრატიზაციას ის შედეგი მოსდევს, რომ საზოგადოების არსებობა სათუო ხდება: სიმდიდრე თვალ და ხელშუა ილევა, შობადობა მცირდება. და მაშინ, თავისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, სახელმწიფო კიდევ უფრო დამთრგუნველ ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებაზე, რაც აჩქარებს მისი თანდათანობით მზარდი ბიუროკრატიზაციის პროცესს. ეს მეორეული ბიუროკრატიზაცია სხვა არა არის რა, თუ არა საზოგადოების მილიტარიზაცია. თავის უპირველეს ფუნქციას სახელმწიფო შეიარაღებული ძალების, არმიის მეშვეობით ახორციელებს, რადგანაც სახელმწიფოს არსებობის ძირითადი მიზანი უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა გახლავთ (გახსოვდეთ: სწორედ ამ ნიადაგზე აღმოცენდა ადამიანი-მასა). წარმომავლობით აფრიკელი სევერუსები მიზნად ისახავენ მთელი საზოგადოების მილიტარიზაციას. მაგრამ ეს მიზანი მიუღწეველი რჩება. სიღატაკე მატულობს, შობადობა მცირდება, სახელმწიფო ჯარისკაცების ნაკლებობას განიცდის. სევერუსების მმართველობის მომდევნო პერიოდში იძულებულნი არიან ჯარისკაცებად დაიქირავონ უცხოელები.

ხომ ხედავთ, რაოდენ პარადოქსული და ტრაგიკულია იმ საზოგადოების ბედი, რომელსაც მის მიერვე შექმნილი სახელმწიფო უპირებს ჩაყლაპვას? საზოგადოება თავისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად სახელმწიფოებრივ მექანიზმს ქმნის. შემდეგ სახელმწიფო თანდათანობით იზრდება, ძლიერდება და, აი, ახლავე უკვე საზოგადოება სახელმწიფოსათვის არსებობს[66]. თუმცა საზოგადოებრივი ძალაუფლება კვლავ რომაელთა ხელშია. მაგრამ მალე თანამემამულენი საკმარისნი აღარ არიან, რომ ამ უზარმაზარი აპარატის მოქმედება უზრუნველყონ, და იძულებულნი ხდებიან უცხოელებს მოუხმონ დასახმარებლად: ჯერ დალმაციელებს, შემდეგ კი გერმანელებს. უცხოელები ხელთ იგდებენ სახელმწიფოებრივ ძალაუფლებას და ადგილობრივი მკვიდრნი გადამთიელთა მონები ხდებიან, რომლებთანაც მათ არაფერი აქვთ საერთო. აი, რა შედეგი მოსდევს საზოგადოებრივ ცხოვრებაში სახელმწიფოს მუდმივ ჩარევას: ხალხი იმ პურად და ხორცად იქცევა, რომლითაც უნდა კვებო ყველაფრის

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

გამაცამტვერებელი სახელმწიფო მანქანა, ოდესღაც თვითონ ამავე ხალხმა რომ შექმნა. ჩონჩხი თავისი საკუთარი სხეულის ხორცსა ჭამს; ტყვე ბინით სარგებლობის უფლებას ყიდულობს და მისი მესაკუთრე ხდება.

როცა ყველაფერი ეს იცი, უცნაურზე უცნაურია, როგორ გაჰყვირის პირზე დუჟმორეული მუსოლინი, თითქოს იტალიაში ახლახან აღმოჩენილ ჭეშმარიტებას გვამცნობდეს, ისტორიაში დიდი ხანია კარგად ცნობილ ლოზუნგს: „ყველაფერი, სახელმწიფოსათვის! არაფერი, სახელმწიფოს გარდა, არაფერი სახელმწიფოს წინააღმდეგ!“ საკმარისია მოისმინოთ ეს ფრაზა, რომ ფაშიზმის იდეოლოგიაში მასების ტიპიური იდეოლოგია შეიცნოთ. სახელმწიფო ძალაუფლების სათავეში რომ მოექცა, მუსოლინიმ თავის ნებაზე აამუშავა მშვენივრად გამართული სახელმწიფოებრივი მანქანა. ეს მანქანა მან კი არა, სულ სხვა ხალხმა ააგო, იმ პრინციპებით რომ ხელმძღვანელობდა, რომლებსაც ახლა ასე თავგამოდებით ებრძვის: მე ვგულისხმობ ლიბერალური დემოკრატიის პრინციპებს. მუსოლინი მხოლოდ შეუზღუდავად სარგებლობს ძალაუფლებით, რომელიც ამ მანქანის ფლობის უფლებას ანიჭებს. მაგრამ ისიც უეჭველია, რომ თვით დღევანდელ დღემდე, მისი მმართველობისას მიღწეული შედეგები ახლოსაც ვერ მივლენ იმ შედეგებთან, რომლებისათვის შეეძლო მიეღწია ლიბერალურ დემოკრატიას როგორც პოლიტიკურ, ისე ადმინისტრაციულ სფეროში. თუ მუსოლინიმ საერთოდ მიაღწია რამეს, ყოველ შემთხვევაში, ეს მიღწევა სრულიად უმნიშვნელოა, უბადრუკი და არაარსებითი იმ შეუზღუდავ ძალაუფლებასთან შედარებით, რომელიც ხელთ იგდო და რომელიც საშუალებას აძლევს ესოდენ თვითნებურად გამოიყენოს სახელმწიფოებრივი მანქანა.

სახელმწიფოს დიქტატურა - აი, ის უზენაესი ფორმა, რომელსაც იღებენ ძალმომრეობა და პირდაპირი მოქმედება, როდესაც ქცევის კანონად გვევლინებიან. მასები, რომლებიც კონტროლს აღარ ექვემდებარებიან, უსახელო სახელმწიფოებრივი მანქანის შემწეობითა და მისი მეშვეობით მოქმედებენ.

ევროპული ერების საზოგადოებრივ ცხოვრებაში დაიწყო ძალიან მძიმე პერიოდი; მათ წინაშე დგას უკიდურესად რთული ეკონომიური, იურიდიული და სოციალური პრობლემები. ყოველივე ამის შემდეგ როგორ არ უნდა გვეშინოდეს, რომ მასებმა, თავიანთი მმართველობის პერიოდში, შეიძლება ინდივიდუუმისა თუ ინდივიდუუმთა ჯგუფების დამოუკიდებლობის დათრგუნვის გზით წარმართონ სახელმწიფო მანქანის მოქმედება და, ამრიგად, საბოლოოდ დაღუპონ ჩვენი მომავალი.

ცხოვრების გასახელმწიფოებრიობის კონკრეტული მაგალითია ერთი ყველაზე შემაშფოთებელი მოვლენა, რამაც პირველად ამ ოცდაათიოდე წლის წინათ იჩინა თავი; პოლიციური ძალების არნახული ზრდა ყველა ევროპულ ქვეყანაში. ეჭვს გარეშეა, რომ ეს გამოიწვია საზოგადოების სოციალურ შემადგენლობაში მომხდარმა ცვლილებამ. რაგინდ

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

ჩვეულებრივიც არ უნდა ჩანდეს ეს ფაქტი, მე მაინც მონსტრუოზულად პარადოქსული მეჩვენება შემდეგი გარემოება: იმისათვის, რომ დიდი თანამედროვე ქალაქის მცხოვრებლებს შეეძლოთ მშვიდად მიეშურებოდნენ თავიანთი საქმეების მოსაგვარებლად, ან დინჯად დასეირნობდნენ, აუცილებელია ქუჩებში პოლიციელების მორიგეობა. წესრიგის მოყვარე მოქალაქის მხრივ მიამიტობა იქნებოდა იმაზე ფიქრი, რომ საზოგადოებრივი უშიშროების ეს ძალები, რომლებიც წესრიგის დასაცავად შეიქმნენ, ყოველთვის უზრუნველყოფენ ამ წესრიგს, ესე იგი, ყოველთვის შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას. აუცილებლად დადგება მომენტი, როცა ისინი გადაწყვეტენ თავიანთი წესრიგი დაამყარონ, დიახ, ისეთი წესრიგი, რომელიც ხელსაყრელია მათთვის.

რაკი ამ თემაზე ჩამოვარდა სიტყვა, მე მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო იმ ფაქტს, რომ სხვადასხვა ტიპის საზოგადოებაში ერთი და იგივე სოციალური მოთხოვნილება სხვადასხვანაირ რეაქციას იწვევს. როცა დაახლოებით 1500 წელს, ახალი ტიპის მრეწველობის შექმნასთან ერთად დასაბამი ეძლევა ადამიანის ახალ ტიპსაც - მრეწველობაში დასაქმებულ მუშას, რომელსაც დანაშაულებრივი მოქმედებისადმი უფრო მეტი მიდრეკილება აქვს, ვიდრე მის წინამორბედს ჰქონდა, - საფრანგეთში სასწრაფოდ ყალიბდება პოლიციის გაძლიერებული კორპუსი. იმავე მიზეზების გამოისობით, 1810 წლისათვის ინგლისშიც შეიმჩნევა დამნაშავეობის ზრდა, - და ინგლისელები ახლაღა ამჩნევენ, რომ თითქმის არა ჰყავთ პოლიციელები. ამ დროს ხელისუფლების სათავეში კონსერვატორები დგანან, მერედა, რა ღონისძიებას მიმართავენ ისინი? პოლიციას ქმნიან? თქვენ წარმოიდგინეთ, არა. „ჩვენ შესაძლებლად ვთვლით უწესრიგობის დაშვებას, რადგანაც ეს მიგვაჩნია თავისუფლების გულისათვის ჩვენს მიერ გაღებულ საზღაურად“. „პარიზში, - წერს ჯონ უორდი, - შესანიშნავი პოლიციაა, მაგრამ მისი სამსახური ძალიან ძვირი ჯდება. მე ვამჯობინებდი ყოველ ორ-სამ წელიწადში რატკლიფ-როუდზე თავი დაგვეგდებინებინა ხუთი თუ ექვსი დამნაშავისთვის, ვიდრე აგვეტეხა ჩხრეკა, შპიონაჟი და სხვა მისთანა მაქინაციები, რასაც არ თაკილობს ფუშეს ხალხი“. აი, ორი სხვადასხვანაირი წარმოდგენა სახელმწიფოს მიზნებსა და ფუნქციებზე. ინგლისელებს სურთ, რომ სახელმწიფოებრიობას საზღვარი ჰქონდეს.

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

შეძენილია ელ. წიგნების ონლაინ მაღაზიაში iBooks.ge

მეორე ნაწილი

XIV

ვინ მართავს მსოფლიოს?

ევროპული ცივილიზაციის განვითარებამ (რისთვისაც არაერთხელ მიმიქცევია ყურადღება) გარდუვალად გამოიწვია მასების ამბოხი. ერთის მხრივ, მასების ამბოხი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც უაღრესად პოზიტიური მოვლენა (არც ეს დამიტოვებია უყურადღებოდ), რადგანაც ის განაპირობა შესაძლებლობათა არნახულმა ზრდამ, რის წინაშეც ჩვენმა ეპოქამ დააყენა თანამედროვე ადამიანი. მეორეს მხრივ, იგივე მოვლენა შეუძლებელია დიდ შეშფოთებას არ იწვევდეს, რამდენადაც მასების ამბოხი ზნეობის არნახული დაცემის ნიშანია. მოდით, უფრო ღრმად გავაანალიზოთ ამ მოვლენის მიზეზები.

1

ახალი ისტორიული ეპოქის გარეგანი სახე და თვით მისი არსი განსაზღვრავენ როგორც შინაგან ცვლილებებს - ადამიანისა და მისი სულიერი ცხოვრების ფერისცვალებას, ისე ფორმალური და მექანიკური ხასიათის მქონე გარეგან ცვლილებებსაც. ამ უკანასკნელთა შორის უცილობლად უმთავრესი იქნება ძალაუფლების სტრუქტურული ცვლილება, რაც განაპირობებს საზოგადოების სულიერი ატმოსფეროს შეცვლას.

ამიტომ, თუ გვინდა გავიგოთ იმის მიზეზები, რაც ამა თუ იმ ისტორიულ ეპოქაში ხდება, თავდაპირველად უნდა ვიკითხოთ: „ვინ მართავს ამ დროს მსოფლიოს?“ არის დრო, როცა კაცობრიობა პატარ-პატარა განმხოლოებულ ჯგუფებადაა დაყოფილი, რომლებსაც არავითარი ურთიერთობა არა აქვთ ერთმანეთთან. ასე მაგალითად, მილტიადეს დროს ხმელთაშუა ზღვისპირეთის მცხოვრებლებს წარმოდგენაც არა ჰქონდათ შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებზე. ამ შემთხვევაში, თუ გვინდა, რომ ჩვენს კითხვას ვუპასუხოთ, აუცილებლად უნდა გავაანალიზოთ ყველა ამ განმხოლოებულ სამყაროში არსებობის თავისებურებანი. XVI საუკუნიდან კაცობრიობა განვითარების ახალ ფაზაში შედის: იწყება საყოველთაო გაერთიანების გრანდიოზული პროცესი, რომელიც ჩვენს დროში არნახულ მასშტაბურობას იძენს. მთელ მსოფლიოში აღარ რჩება ისეთი კუთხე, თავისი განკერძოებული, სხვებისაგან იზოლირებული ცხოვრებით რომ ცხოვრობდეს; არა, დღეს ამნაირი კუნძული აღარსად არის, ამიტომ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ XVI საუკუნიდან მოყოლებული, ის, ვინც განაგებს მსოფლიოს, მის ერთ რომელიღაც ნაწილს კი არ განაგებს, არამედ მთელ მსოფლიოს. უკანასკნელი სამი საუკუნის მანძილზე ევროპა სწორედ ასე განაგებდა მსოფლიოს, და მისი გამგებლობისას

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

დამკვიდრებულ იქნა, ყოველ შემთხვევაში, თანდათანობით მაინც მკვიდრდებოდა ცხოვრების ერთიანი სტილი.

ეს ცხოვრებისეული სტილი ნიშნეულია იმ პერიოდისთვის, რომელსაც, ჩვეულებრივ, უღიმღამო და უფერულ სახელს - „ჩვენი დროის ისტორიას“ ვუწოდებთ. მაგრამ ეს სახელი ღრმა შინაარსის შემცველია. ჩვენი დროის ისტორია ევროპული ქვეყნების ჰეგემონიის პერიოდს მოიცავს.

როდესაც „მმართველობასა“ თუ „გამგებლობაზე“ ვლაპარაკობ, მე ვგულისხმობ მატერიალური ძალაუფლების განხორციელებას. მე ვცდილობ არ გავიმეორო აქ ბრიყვული და გაცვეთილი ფრაზები. ყოველ შემთხვევაში, ისინი მაინც, რომელთა სიბრიყვეც აშკარაა, მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს თემას: ადამიანებს შორის სტაბილური და ნორმალური ურთიერთობა, რასაც მმართველობას ვუწოდებთ, არასოდეს არაა დამყარებული ძალის გამოყენებაზე, უმალ, პირიქით, სწორედ იმიტომ, რომ ადამიანი თუ ადამიანთა ჯგუფი ახორციელებს მმართველობას, მათ განკარგულებაში გადადის ის სოციალური მექანიზმი, რომელსაც ძალა ჰქვია. ის შემთხვევები, რომლებიც, ერთის შეხედვით, თითქოს ამტკიცებენ დებულებას იმის შესახებ, რომ მმართველობა ძალის გამოყენებაზეა დაფუძნებული, სინამდვილეში, უფრო გულმოდგინე ანალიზისას, მხოლოდ ადასტურებენ ჩვენი თეზისის სისწორეს. ნაპოლეონი თავს დაესხა ესპანეთს და დაიმორჩილა იგი, მაგრამ ერთ დღესაც არ ყოფილა მისი მმართველი. ეს მოხდა მხოლოდ იმიტომ, რომ მის ზურგს უკან იდგა ძალა, - მარტოოდენ ძალა და სხვა არაფერი. ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ „აგრესიის, თავდასხმისა“ და „მმართველობის“ ცნებები. მმართველობა სხვა არა არის რა, თუ არა ძალაუფლების ნორმალური განხორციელება. მტკიცე იქნება მხოლოდ ის ძალაუფლება, რომელიც საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერას ემყარება. ასე იყო ყოველთვის: ათი ათასი წლის წინათაც და დღესაც. თანაც, ეს შენიშვნა სამართლიანია ყველასათვის. როგორც ინგლისელების, ისე ბოტოკუდების ტომისთვისაც. საზოგადოების მართვა ყველგან და ყოველთვის მხოლოდ საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერაზე იყო დაფუძნებული.

ან, იქნებ, მართლა გგონიათ, რომ საზოგადოებრივი აზრის სუვერენობა ადვოკატმა დანტონმა მოიგონა 1789 წელს, ან წმინდა თომა აქვინელმა XIII საუკუნეში? სუვერენობის ცნება შეიძლებოდა ამა თუ იმ ქვეყანაში, დროის ამა თუ იმ პერიოდში ჩამოყალიბებულიყო, მაგრამ ის ფაქტი, რომ ადამიანურ საზოგადოებაში ძირითადი მმართველი ძალა ყოველთვის იყო, არის და იქნება საზოგადოებრივი აზრი, უხსოვარი დროიდან, იმ მომენტიდანვე არის ცნობილი, როცა წარმოიშვა ადამიანი როგორც გონიერი არსება. ნიუტონის ფიზიკაში მიზიდულობის ძალა მოძრაობას იწვევს. საზოგადოებრივი აზრის ძალა საყოველთაო პოლიტიკური მიზიდულობის ძალაა, რომელიც ყოველთვის არსებობდა. მის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა თვით ისტორია, როგორც მეცნიერება. იუმი მახვილგონივრულად შენიშნავს ამასთან დაკავშირებით:

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

ისტორიკოსის ამოცანაა გვიჩვენოს, თუ რა განაპირობებს იმას, რომ საზოგადოებრივი აზრი, რომელიც ყოველთვის უფრო მეტი იყო, ვიდრე უტოპიური იდეალი, ყველა ეპოქაში უდიდეს ზემოქმედებას ახდენდა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა საზოგადოებას იანიჩარების მეშვეობით მართავენ, მმართველები მარტო მათ აზრზე კი არ არიან დამოკიდებულნი, არამედ იმაზეც, თუ რა აზრისანი არიან ამ იანიჩარებზე მათი ქვეშევრდომნი.

სინამდვილეში, იანიჩარების მეშვეობით ვერავის და ვერაფერს ვერ მართავ. ამიტომაც იყო, რომ თავის დროზე ტალეირანმა გაბედა და ნაპოლეონს უთხრა: „ხიშტების მეშვეობით, მოწყალეო ხელმწიფევ, შეიძლება ყველაფერს მიაღწიო, გარდა ერთისა, - მათზე ვერ ჩამოჯდები“. მმართველობა ძალაუფლების ხელში ჩაგდებას როდი ნიშნავს. იმის საპირისპიროდ, რაც ასე მიამიტურად სურთ ჩაგვაგონონ პრესის ფურცლებიდან, მე ვამტკიცებ: ძალაუფლების შენარჩუნება მუშტების გამოყენებაზე კი არაა დამოკიდებული, არამედ იმაზე, გაქვს თუ არა სავარძლები. სახელმწიფო, ბოლოს და ბოლოს, სხვა არა არის რა, თუ არა საზოგადოებრივი აზრის მდგომარეობა: ამიტომაცაა იგი წონასწორობის სტატიკურ მდგომაროებაში.

მაგრამ ზოგჯერ საზოგადოებრივი აზრი საერთოდ არ არსებობს. ერთურთის მიმართ მტრულად განწყობილ ჯგუფებად დანაწევრებულ საზოგადოებაში არ შეიძლება არსებობდეს საზოგადოებრივი აზრი; მაშასადამე, შეუძლებელია ამ საზოგადოების მართვაც. და რაკი ბუნება ვერ ითმენს ვერავითარ ვაკუუმს, არარსებული საზოგადოებრივი აზრის ადგილს უხეში ძალა იკავებს. უკეთეს შემთხვევაში, უხეში ძალა თავის თავზე იღებს იმ ფუნქციებს, რომლებსაც საზოგადოებრივი აზრი უნდა ასრულებდეს.

ამიტომ, თუ ჩვენ გვინდა მთელი სიზუსტით გამოვხატოთ საზოგადოებრივი აზრის (როგორც ისტორიული მიზიდულობის) კანონი, უნდა ვითვალისწინებდეთ ამ შემთხვევებსაც. მაშინ ჩვენ მივალთ დასკვნამდე, რომელიც უკვე დიდი ხანია ყბადაღებულ, მოარულ ჭეშმარიტებად იქცა: მმართველობა შესაძლებელია საზოგადოებრივი აზრის მიუხედავად, მის წინააღმდეგ.

ყოველივე ეს გვაფიქრებინებს: მმართველობა ნიშნავს იმისკენ სწრაფვას, რომ შენს მოქმედებას უფარდებდე საზოგადოების უმრავლესობის აზრს, ესე იგი, ერთსულოვან განწყობილებასა თუ ერთ სულიერ მიმართულებას, და მაშინ მმართველობა სხვა არა არის რა თუ არა სულიერი ძალაუფლება. ისტორიული ფაქტები მთელი სიცხადით გვიმოწმებენ ჩვენი შენიშვნების სისწორეს. თავდაპირველად ნებისმიერ საზოგადოებრივ ძალაუფლებას საკრალური ხასიათი აქვს, რამდენადაც რელიგიურ მოთხოვნებზეა დაფუძნებული; ვინაიდან ჯერ სწორედ რელიგიური ფორმით ვლინდება ის, რაც შემდეგ სულიერი მისწრაფებების, იდეებისა თუ შეხედულებების, ესე იგი, არამატერიალური, ზებუნებრივი საწყისის გამოხატულებად უნდა იქცეს. სწორედ ეს ხდება შუა

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

საუკუნეებში, მხოლოდ უფრო დიდი მასშტაბით: ევროპაში პირველად აღმოცენებულ სახელმწიფოებრიობასა თუ სახელმწიფო ძალაუფლებას რელიგიური ფორმა ჰქონდა, სპეციფიკურ ხასიათს რომ ანიჭებდა მას, რამაც გამოხატულება ჰპოვა სიტყვებში - „სასულიერო ძალაუფლება“. პოლიტიკოსები საეკლესიო გამოცდილებიდან სესხულობენ წარმოდგენას იმის შესახებ, რომ ნებისმიერი ძალაუფლება, როგორც იდეოლოგია მოქმედებისას, სულიერი უნდა იყოს. ასე იქმნება „რომის საღვთო იმპერია“. მას აქეთ მიმდინარეობს ბრძოლა ძალაუფლების ამ ორ ფორმას შორის, რომლებსაც თანაბრად სულიერი ხასიათი აქვთ. რაკიღა შეუძლებელი შეიქნა მათი დიფერენცირება იმაში, რაც ორივეს არსს ეხება, - ერთიცა და მეორეც ხომ სულის გამოვლენაა, - ისინი ორმხრივ შეთანხმებამდე მივიდნენ, რომლის თანახმადაც, თითოეულ მათგანს თავისი დრო განეკუთვნება: ერთს - ადამიანური, საერო, წარმავალი; მეორეს - ღვთიური დრო, მარადისობა; როგორც საერო, ისე სასულიერო ძალაუფლება ერთნაირად სულიერია, მაგრამ ერთი მათგანი დროის სულით ცოცხლობს: ესაა ცვალებადი, ამქვეყნიური, საზოგადოებრივი აზრი; მეორე კი სხვა არა არის რა, თუ არა მარადისობის სულის გამოხატულება, რომელიც გვიმჟღავნებს ღმერთის აზრს, მის წარმოდგენებს ადამიანებსა და მათ ბედ-იღბალზე.

ამრიგად, გინდ ის გითქვამს, რომ მსოფლიოს ამა და ამ დროს ესა თუ ის კაცი, ესა თუ ის ხალხი, ან ხალხების ერთობლიობა მართავს, და გინდაც ის, რომ ამა და ამ დროს მსოფლიოში წარმოდგენებისა და შეხედულებების ესა თუ ის სისტემა დომინანტობს: იდეები, სიმპათიები, მისწრაფებები, ზრახვები.

რას ნიშნავს ეს დომინანტობა? ადამიანთა უმრავლესობას არავითარი წარმოდგენა, არავითარი აზრი არა აქვს; მათ ძალის ზემოქმედებით უნდა ჩაუნერგო ეს აზრები ისევე, როგორც წნევის ზემოქმედებით შეჰყავთ მანქანაში საცხი. ამიტომ აუცილებელია, რომ სულიერ საწყისს - რანაირი ფორმითაც არ უნდა ვლინდებოდეს იგი, - რეალური ძალა ჰქონდეს და ის ამ ძალის რეალიზაციას ახდენდეს. მაშინ ისინი, ვისაც არაფერზე არავითარი აზრი არა აქვს, - ხოლო ისინი უმრავლესობას შეადგენენ, - ალბათ, შეიძენდნენ ამ აზრს. საპირისპირო აზრთა ჭიდილის გარეშე ადამიანური არსებობა ერთ მთლიან ქაოსად, ისტორიული თვალსაზრისით, არარაობად იქცეოდა. ამიტომ, თუ ადამიანთა გულებზე არ ვრცელდება არავითარი სულიერი ძალაუფლება, არ იქნება არავითარი მმართველობა, და ვიდრე ის არ იქნება, მსოფლიოს შეიძლება მართავდეს მხოლოდ ქაოსი. ამისდა კვალად, ძალაუფლებისა თუ მმართველი ძალების შეცვლა სხვა არა არის რა, თუ არა წარმოდგენებისა და შეხედულებების, ანუ, სხვა სიტყვებით, ისტორიულ ძალთა მიზიდულობის შეცვლა.

მოდით, დავუბრუნდეთ ჩვენი მსჯელობის დასაწყისს. ევროპა - სულიერი თვალსაზრისით, მონათესავე ქვეყნების ერთობლიობა, - დიდი ხნის განმავლობაში მართავდა მსოფლიოს. შუა საუკუნეებში მსოფლიოს მმართველი არა

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

ჰყოლია. ასეთსავე სურათს გვთავაზობს ნებისმიერი ცივილიზაციის „შუა საუკუნეები“. ამიტომაცაა, რომ ყველა ამ ეპოქაში ევროპული ქვეყნები ქაოტურსა და ბარბაროსულ მდგომარეობაში იმყოფებიან, აშკარად იგრძნობა საზოგადოებრივი აზრის დეფიციტი. ამ დროს ხალხს უყვარს, სძულს, ხარბად მიელტვის, ან გადაჭრით უარყოფს გარკვეულ საგნებსა თუ მოვლენებს, თანაც, ყოველივე ამას უზარმაზარი ენერგია ეწირება, თუმცა, იმავდროულად, არავინ არ გამოთქვამს საკუთარ აზრს. ყველა ამ დროებას თან ახლავს თავისებური ხიბლი. მაგრამ კაცობრიობის ისტორიის დიად ეპოქებში ცხოვრება საზოგადოებრივი აზრით სულდგმულობს, და სწორედ ამის წყალობით მყარდება წესრიგი. თუ შუა საუკუნეების წინამორბედ ეპოქას მივაპყრობთ მზერას, დავინახავთ, რომ იმ დროს, ისევე, როგორც დღეს, მსოფლიოს ვიღაც მართავდა, მთლიანად თუ არა, მის ერთ პატარა ნაწილს მაინც. ეს „ვიღაცა“ რომი იყო, ძალაუფლების დიდი ტრფიალი. სწორედ მან დაამყარა წესრიგი ხმელთაშუა ზღვისპირეთსა და მის მომიჯნავე ქვეყნებში.

ომისშემდგომ პერიოდში დაიწყო ლაპარაკი იმაზე, რომ ევროპა უკვე ვეღარ მართავს მსოფლიოს. თუ გესმით, რაოდენ სერიოზულია ეს დიაგნოზი? ეს ხომ ძალაუფლების შეცვლას მოასწავებს. ვის ხელში გადავა იგი? ვინ იქნება, ევროპის შემდეგ, მსოფლიოს მმართველი? ან შეიძლება თუ არა, დარწმუნებული ვიყოთ იმაში, რომ ევროპას, ამ თავლსაზრისით, გამოუჩნდებიან მიმდევრები? კი მაგრამ, რომ არ გამოუჩდნენ? რას გვიქადის ეს?

2

არავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ ამქვეყნად ჩვენი არსებობის ყოველ მომენტში და, მაშასადამე, ამჟამადაც, უთვალავი რამ ხდება. თუმცა, ძნელია სერიოზულად, ირონიის გარეშე ამტკიცო, რომ ყველაფერს, რაც ხდება, თავისი ახსნა უნდა ჰქონდეს. მაგრამ, რაკი არ შეგვიძლია უშუალოდ ვიცოდეთ ყველაფერი, რაც ამქვეყნად ხდება, სხვა რა დაგვრჩენია, გარდა იმისა, რომ თვითნებურად ავაგოთ ერთგვარი სამყარო, გარკვეული რეალობა, და ვივარაუდოთ, რომ საგნებს რაღაც სხვანაირი კი არა, სწორედ ამნაირი ბუნება აქვთ. ამის შედეგად ჩვენ მივიღებთ სინამდვილის სქემატურ ასახვას, ცნებით თუ ცნებების ერთობლიობით რომ გამოიხატება. ეს ცნებები თითქოს ერთგვარი მინაა, რომლის წიაღაც ჩვენ ვჭვრეტთ გარემომცველ სამყაროს და მიახლოებითი წარმოდგენა გვექმნება მასზე. სწორედ ესაა მეცნიერულ მეთოდთა სპეციფიკა, მეტიც, სწორედ ასე ხორციელდება გონების ქმედითობა. როცა ბაღიდან ვხედავთ, როგორ გვიახლოვდება ჩვენი მეგობარი პედრო, გულში ვამბობთ: პედრო მოდისო. მაგრამ ამის თქმისას შეგნებულად ვუშვებთ შეცდომას: პედრო ჩვენთვის მხოლოდ გარკვეული სქემაა, ფიზიკური თუ მორალური ქცევის ერთგვარი საშუალება, რასაც ჩვენ „ხასიათს“ ვეძახით. ჭეშმარიტება კი ის გახლავთ, რომ ჩვენი მეგობარი პედრო ზოგჯერ არა ჰგავს „ჩვენი მეგობარი პედროს“ იდეას.

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

ნებისმიერი ცნება თუ წარმოდგენა, გინდ მოარული იყოს და გინდ საგანგებო, სპეციალური, საკუთარი თავისადმი ირონიულ დამოკიდებულებაზეა დაფუძნებული; ესაა თითქოს რეალური ბაგის არამატერიალური ღიმილი, როგორც ოქროს ბუდეში ჩასმული ნატიფი ლალი. ცნება სავსებით სერიოზულად გვარწმუნებს: „ის არის A,ეს კი - B“, მაგრამ ეს სერიოზულობა pincesans-rire[67]-სა ჰგავს; ესაა მოჩვენებითი, ნაძალადევი სერიოზულობა იმისა, ვინც სიცილით იგუდებოდა, თუმცაღა გამწარებული ცდილობდა თავის შეკავებას, მაგრამ ვერ მოასწრო მაგრად მოეკუმა პირი და ხარხარი აუტყდა. ჩვენ მშვენივრად გვესმის, რომ არც ერთი საგანია A, და არც მეორე შეესაბამება B-ს ცნებას. საქმე ისაა, რომ ცნება ერთს გვეუბნება და სხვას კი გულისხმობს, და სწორედ ეს გაორება გვევლინება ირონიის სათავედ. აი, რას გულისხმობს ცნება სინამდვილეში: მე ხომ ვიცი, - ფიქრობს თავისთვის ცნება, - რომ, თუ გულახდილნი ვიქნებით, ეს საგანი სულაც არ არის A და არც მეორე საგანია B. მაგრამ, როდესაც ვუშვებ, რომ ერთი A-ა, ხოლო მეორე - B, ჩემსავე თავთან ვდებ გარიგებას, რადგანაც ასე უფრო მეადვილება გარკვეული ცხოვრებისეული პოზიცია მეჭიროს A-ს და B-ს მიმართ.

ეს თეორია, რაციონალისტური შემეცნების არსს რომ გვიხსნის, ალბათ, აღაშფოთებდა ძველ ბერძენ მოაზროვნეებს, რომლებსაც ეგონათ, რომ სინამდვილის ახსნის რაციონალური საფუძვლები და ცნებები იგივეა, რაც თვით სინამდვილე. ჩვენ კი, პირიქით, ვფიქრობთ, რომ რაციონალისტური, ცნებებისმიერი აზროვნება ადამიანის საშინაო ხელსაწყოა, რომელსაც იგი იყენებს, რათა გაიცხადოს, თუ როგორია მისი მდგომაროება ამ უსასრულო და ზეპრობლემატურ სინამდვილეში, რასაც მისი ცხოვრება ჰქვია. ცხოვრება გარემომცველ სამყაროსთან ბრძოლაა, ამ ბრძოლის მიზანი კი - თვითშენახვა, გადარჩენა. ცნება ის სტრატეგიული გეგმაა, რომელსაც ჩვენ ვადგენთ, ცხოვრების იერიში რომ მოვიგერიოთ. ამიტომ, თუ შევეცდებით, რომელიმე ცნების სიღრმისეულ აზრს ჩავწვდეთ, დავინახავთ, რომ ის არაფერს არ გვეუბნება იმის თაობაზე, თუ რას წარმოადგენს მოცემული საგანი, ანდა მოვლენა. პირიქით, ცნება შეიცავს წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რანაირად შეუძლია ადამიანს, ისარგებლოს ამ საგნითა თუ მოვლენით, ან რანაირ საფრთხეს უქმნიან ისინი მას. რამდენადაც ვიცი, იმნაირი წარმოდგენა, რომლის მიხედვითაც, ცნება ადამიანისათვის ყოველთვის ცხოვრებისეული შინაარსითაა სავსე და ყოველთვის გულისხმობს მისთვის შესაძლო მოქმედებასა თუ შესაძლო საფრთხეს, დღემდე არავის გაუზიარებია. მაგრამ, ჩემის აზრით, ის გვევლინება ღირსეულ დაგვირგვინებად იმ ფილოსოფიური მიმართულებისა, რომელიც კანტისაგან იღებს დასაბამს. ამიტომ, თუ თვალს გავადევნებთ ფილოსოფიური აზრის განვითარებას კანტამდე, დავინახავთ, რომ ყველა ფილოსოფოსი, არსებითად, ერთსა და იმავეს იმეორებდა. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ფილოსოფიაში რაიმე ახლის აღმოჩენა იმის მიკვლევას და გამოვლენას ნიშნავს, რაც მანამდე სიღრმეში იმალებოდა.

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

მაგრამ მე ძალიან დავცილდი ჩემი გამოკვლევის თემას, რომელიც ასე შორსაა ფილოსოფიური პრობლემატიკისაგან. მე კი მხოლოდ ის მინდოდა მეთქვა, რომ დღევანდელ მსოფლიოში შემდეგი მოვლენის მოწმენი ვართ: უკანასკნელი სამი საუკუნის მანძილზე ევროპა მართავდა მსოფლიოს, დღეს კი თვითონვე ეჭვი ეპარება მმართველობის მისეულ უნარში და აღარ იცის, კვლავაც შესძლებს თუ არა თავისი როლის შესრულებას. ესოდენ მარტივ ფორმულირებაზე რომ დაგვყავს მთელი მრავალფეროვნება იმისა, რაც ისტორიულ სინამდვილეში ხდება, შესაძლოა, გადაჭარბებულ მნიშვნელობასაც ვანიჭებთ ახლანდელი მდგომარეობის სერიოზულობას. მიუხედავად ამისა მე მინდოდა ერთხელაც შემეხსენებინა თქვენთვის, რომ აზროვნების პროცესი, გვინდა თუ არა ეს, ყოველთვის გულისხმობს გადაჭარბებას. ვისაც გადაჭარბება არა სურს, იძულებულია და დუმს, დუმილი კი გონების დამბლასა და, საბოლოო ანგარიშით, გამოთაყვანებას იწვევს.

მე მგონია, სწორედ ეს ხდება დღეს მსოფლიოში, ყოველივე დანარჩენი კი ამ მოვლენის შედეგი, პირობა, ნიშანი თუ დასტური გახლავთ.

მე არ მითქვამს, რომ ევროპა აღარ მართავს მსოფლიოს; მე მხოლოდ ყურადღება გაგამახვილებინეთ იმ ფაქტზე, რომ დღეს ევროპელებს თვითონვე ეპარებათ ეჭვი იმაში, კვლავაც მართავენ თუ არა მსოფლიოს, და შესძლებენ თუ არა მომავალშიც მართავდნენ მას. ევროპელების ამ შეგრძნებას შეესაბამება სხვა ხალხების ანალოგიური სულიერი მდგომარეობა: ვეღარც ისინი ამბობენ დაბეჯითებით, მართავს თუ არა დღეს ვინმე მათ.

ამ ბოლო დროს ბევრს ლაპარაკობენ ევროპის დაისზე. დაბეჯითებით გთხოვთ, ნუ დაუშვებთ მიამიტურ შეცდომას და ნუ დაიწყებთ შპენგლერზე ფიქრს, როცა ევროპული თუ საერთოდ, დასავლური ცივილიზაციის დაისზე ჩამოვარდება სიტყვა, - ჯერ კიდევ მანამ, სანამ მისი წიგნი გამოქვეყნდებოდა, ყველას პირზე ეკერა ეს. შპენგლერის წიგნმა სწორედ იმის წყალობით მოიხვეჭა პოპულარობა, რომ ადამიანები გუმანით უკვე გრძნობდნენ მასში აღძრული პრობლემის მტკივნეულობას, სულ სხვადასხვა მიზეზის გამო და სხვადასხვანაირი აზრით რომ აწუხებდა და აფორიაქებდა მათ.

ევროპული ცივილიზაციის დაცემაზე იმდენს ლაპარაკობდნენ, რომ ადამიანებმა გადაწყვიტეს, ეს დაცემა უკვე მოხდაო. საქმე ის კი არაა, რომ დღეს ღრმად და სერიოზულად სწამთ, თითქოს მართლაც შესაძლებელი იყოს ევროპული ცივილიზაციის ჩასვენება: არა, ხალხს ჩვევად ექცა, განუსჯელად სჯეროდეს ეს დებულება, თუმცა ჯერ კიდევ ვერავინ შესძლო, არგუმენტირებულად დავერწმუნებინეთ მის სისწორეში. ამას წინათ გამოვიდა ჟოლდო ფრანკის წიგნი - „ამერიკის ახალი აღმოჩენა“, მთლიანად დაფუძნებული იმ ვარაუდზე, რომ ევროპა უკვე სულს ღაფავს. ფრანკი არც კი აანალიზებს, სადაოდ არ ხდის და განხილვის ღირსადაც არ მიიჩნევს ესოდენ რთულ პრობლემას, რომელიც მთელი მისი მსჯელობის ძირითად წანამძღვრად გვევლინება; ეს

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

პოსტულატი მისთვის ეჭვშეუვალი ჭეშმარიტება გახლავთ. საკუთარი მსჯელობის წანამძღვართა შერჩევისადმი ესოდენ მიამიტური დამოკიდებულება ძალაუნებურად მაფიქრებინებს, რომ ფრანკი სრულიადაც არ არის დარწმუნებული, მართლა ევროპული ცივილიზაციის დაცემის ხანაში ვცხოვრობთ თუ არა. როგორც ჩანს, თავისი თავისთვის არც დაუსვამს ასეთი კითხვა: მან განუსჯელად ირწმუნა ამ დებულების სისწორე, ზედ მოახტა და ისე გაისეირნა, თითქოს ტრამვაი ყოფილიყო: მოარული წარმოდგენები ხომ სხვა არა არის რა, თუ არა ტრამვაი ინტელექტის სატრანსპორტო საშუალებათა შორის.

ბევრი სწორედ უოლდო ფრანკივით იქცევა. მეტიც, დღეს ასე იქცევიან მთელი ხალხები.

მთელი მსოფლიო თითქოს გაბავშვდა: ყველა თამაშობს. სკოლაში, როგორც კი დაინახავენ, მასწავლებელი გავიდაო, პატარა ონავრები ყიჟინით იკლებენ იქაურობას, ხტიან, დარბიან, ყირამალა გადადიან; სიხარულით ფეხზე აღარა დგანან, რაკიღა თავისუფლად დაიგულეს თავი და გამოიქცნენ იმ საპყრობილედან, რომელშიაც იტანჯებოდნენ, ვიდრე მასწავლებელი კლასში იყო. რა ბედნიერებაა, ბორკილივით შემოიმსხვრიო ქცევის შემზღუდველი წესები, ერთიმეორის მიყოლებით გაანადგურო ყველაფერი, საკუთარი ბედ-იღბლის ბატონ-პატრონად იგრძნო თავი! გაშმაგებულ ონავრებს ვერაფერი ვეღარ აოკებს, აღარავინ უნაწილებს მოვალეობებს, არავინა სვამს მათ წინაშე სერიოზულ ამოცანებს, რომელთა გადაწყვეტაც დროსა და აზროვნებას მოითხოვს. ბავშვებს საქმე აღარა აქვთ, და სხვა რა დარჩენიათ, გარდა იმისა, რომ კისრისტეხით დარბოდნენ?

არანაკლებ სამწუხარო სურათს გვთავაზობს პატარა ხალხების თავქარიანობა, მათი ფუქსავატური ქცევა. რაკიღა ყური მოჰკრეს, ევროპული ცივილიზაციის მზე ჩაესვენაო, და, მაშასადამე, მიხვდნენ, რომ ევროპას უკვე აღარ შეუძლია მსოფლიოს მართვა, ყოველი ერი თუ ეროვნება სიხარულით ცას ეწია, გამარჯვების ყიჟინი დასცა, ცალ ფეხზე ხტომასა და ხელების ქნევას მოჰყვა; გალაღებული და ამაყად თავაღერილი თითის წვერებზე იწევა, ბაქი-ბუქობს, მედიდურად იფხორება, თითქოს გვანიშნებს, რომ უკვე დიდი გახდა და შეუძლია თვითონვე განაგოს თავისი თავი. აი, რატომაა, რომ დღეს, საითაც არ გაიხედავ, ყველგან ფუთფუთებს ათასნაირი „ნაციონალიზმი“.

ზემოთ მე ვცდილობდი დამეხატა ადამიანის ახალი ტიპის პორტრეტი, ადამიანისა, რომელიც დღეს აშკარად ჭარბობს მთელ მსოფლიოში. მე მას ადამიანი-მასა ვუწოდე და საგანგებოდ გავამახვილე ყურადღება ერთ მომენტზე: ადამიანი-მასის ქცევის ძირითადი თავისებურება ის გახლავთ, რომ, რაკი თავის უფერულობას და უღიმღამობას გრძნობს, გადაჭრით აცხადებს, რომ სრული უფლება აქვს უღიმღამობა იყოს, და ხელაღებით უარყოფს ყოველგვარ უზენაეს ავტორიტეტს. ბუნებრივი იქნებოდა გვევარაუდა, რომ, თუ ადამიანის ამნაირი ტიპი ჭარბობს ყველა ქვეყანაში, მაშასადამე, ანალოგიური მოვლენის მოწმენი უნდა გავხდეთ მაშინაც, როცა მთელი

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

ერებისა და ეროვნებების ქცევის ანალიზს ვახდენთ. და მართლაც, საერთაშორისო ასპარეზზეც გვხვდებიან ეროვნება-მასები, რომლებიც მზად არიან აღიძრან ისტორიის შემოქმედი დიდი ერების, კაცთა მოდგმის ამ რჩეული უმცირესობის წინააღმდეგ. რაოდენ სასაცილოა, როდესაც ხედავ, როგორ ყელყელაობს ესა თუ ის ერთი ციცქნა, რუკაზე ძლივს შესამჩნევი რესპუბლიკა, თითქმის წვერებზე დგება, ხმას იმაღლებს თავისი მიყრუებული კუნჭულიდან, ლანძღვა-გინებით იკლებს ევროპას და თან თავს იწონებს თავისი ისტორიის სიძველით.

რა გვეთქმის? ევროპამ შექმნა კანონები, რომლებმაც შეძლეს წარმატებით და ნაყოფიერად ემოქმედათ საუკუნეების განმავლობაში. საქმე ის კი არაა, რომ ისინი უკეთესი კანონებია ყველა შესაძლო კანონთა შორის, არამედ ის, რომ მათ აუცილებლად ბოლომდე უნდა იარსებონ, ვიდრე არ შექმნიან, ან არ გამოიგონებენ ახალ კანონებს. ძველს მხოლოდ ახალი თუ აღემატება. დღეს ეროვნება-მასებმა გადაწყვიტეს, რომ კანონთა ის კოდექსი, რასაც ევროპული ცივილიზაცია ჰქვია სახელად, უკვე მოძველდა, მაგრამ რაკიღა ახლის შექმნის თავი არა აქვთ, გაცოფებულნი თავდაყირა დადიან, როგორც ბავშვები.

ამრიგად, ის ფაქტი, რომ ესა თუ ის ერი ან ერების ერთობლიობა უკვე აღარ მართავს მსოფლიოს, გარდუვალად იწვევს იმას, რომ სხვა ერები, იმ ერისა თუ ერების წინააღმდეგ აღძრულნი, მათ რომ მართავდნენ, - უქმად რჩებიან, თავიანთ საარსებო პროგრამას მოკლებულნი.

3

„ბოშამ გადაწყვიტა აღსარება ეთქვა ცოდვების მოსანანიებლად. პადრემ სასხვათაშორისოდ ჰკითხა, სახარებისეულ მცნებებს თუ იცნობო, რაზედაც ბოშამ მიუგო: ღმერთმანი, მინდოდა ზეპირად მესწავლა, პადრე, მაგრამ როგოც კი მათი დაზუთხვა დავაპირე, ასე მითხრეს, მალე სუყველას გააუქმებენო“.

განა დღეს მსოფლიოში იგივე არ ხდება? ხმა დაირხა, ევროპული კანონები უკვე ველარ მართავენ მსოფლიოსო, და ამიტომაც უკლებლივ ყველამ (ცალკეულმა პიროვნებებმაც და მთელმა ხალხებმაც) გადაწყვიტა, სასწრაფოდ ისარგებლოს ამ მომენტით და თავის ნებაზე იცხოვროს, ისე, რომ არავითარ იმპერატივს აღარა სცნობდეს. იმპერატივები კი ჩვენი დროის მთელი ისტორიის მანძილზე მხოლოდ ევროპული იყო. საქმე ის კი არაა, რომ ახალი ნორმების დღემდე არნახულმა განვითარებამ დაჩრდილა ძველი ნორმები და, ბოლოს, სულაც შთანთქა ისინი. ჩვეულებრივ, ასე ხდებოდა უწინ, როცა სიძველის მინავლულ კერაზე ანაზდეულად იფეთქებდა ახალი ენთუზიაზმის ალი. მე თუ მკითხავთ, ძველი გვეჩვენება იმის შედეგად, რომ მის გარშემო დუღს და გადმოდის ახალი სიცოცხლე, რომელიც მხოლოდ თავისი სიახლით აღემატება ძველს. შვილები რომ არასოდეს გვყოლოდა, ალბათ, არც დავბერდებოდით. ყოველ შემთხვევაში, უფრო დიდხანს შევინარჩუნებდით ახალგაზრდობას. იგივე შეიძლება ითქვას

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

ტექნიკაზეც: თუ ერთმანეთს შევადარებთ ოცი წლის წინანდელ ავტომანქანას და ორთქლმავალს, მანქანა უფრო მოძველებული მოგვეჩვენება, რადგანაც მანქანათმშენებლობა უფრო სწრაფი ტემპით ვითარდება. ახალგაზრდა ბობოქარი სიცოცხლით გარშემორტყმული სიბერე საზოგადოების სიჯანსაღის ნიშანია.

მაგრამ დღეს მსოფლიოში რაღაც ავადმყოფურად უცნაური რამ ხდება. ევროპულმა კანონებმა ძალა დაკარგეს, მათი შემცვლელი კი არსადა ჩანს. ამბობენ, ევროპა ველარ მართავს მსოფლიოსო, და ჯერჯერობით არავინ იცის, ვინ იქნება მისი მემკვიდრე. როდესაც ვამბობთ „ევროპაო“, უწინარეს ყოვლისა, საფრანგეთს, ინგლისსა და გერმანიას უნდა ვგულისხმობდეთ. დედამიწის იმ ნაწილში, სადაც ისინი მდებარეობენ, შეიქმნა არსებობის იმნაირი მოდუსი, რომლის მიხედვითაც ჩამოყალიბდა მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა. თუ, როგორც დღეს ამტკიცებენ, ეს სამი ერი ძალას კარგავს, ხოლო მათი სასიცოცხლო პროგრამა ძველებურ მნიშვნელობას ველარ ინარჩუნებს, მაშინ აღარ უნდა გვიკვირდეს, რომ მთელი კაცობრიობა ზნეობრივ დეგრადაციას განიცდის.

ხოლო ეს მართლაც ასეა. მსოფლიო საზოგადოებრიობა - მთელი ერებიცა და ცალკეული ინდივიდუუმებიც - დემორალიზებულია. ერთხანს ისინი კიდევაც ერთობიან ამ დემორალიზაციით და გარკვეული ილუზიაც კი უჩნდებათ ამასთან დაკავშირებით: ვინც ქვემოთაა, ასე ჰგონიათ, დიდი ტვირთი მოეხსნა მხრებიდანაო. ევროპულ კანონებში კვლავინდებურად საგრძნობია იმ მშფოთვარე დროების სული, როცა მათ ქვასა თუ ბრინჯაოზე კვეთდნენ. სიტყვა „ბრძანება“ წარმოსდგება ზმნიდან „ვტვირთავ, მოვალეობას ვაკისრებ“. ვინც „ბრძანებას“ იძლევა, ახალ-ახალ მოვალეობათა მძიმე ტვირთს გვკიდებს ზურგზე. საზოგადოების ქვედა ფენები, ამ სიმძიმით ქანცგაწყვეტილნი, მიამიტურად შეჰხარიან გულისგამაწვრილებელი იმპერატივებისაგან განთავისუფლებას. მაგრამ ზეიმი ხანმოკლეა: რაკი კანონები აღარა გვაქვს, რომლებიც გვაიძულებდნენ ცხოვრების გარკვეული წესით გვეცხოვრა, თვითონვე გავხდით საკუთარი ცხოვრების სრულუფლებიანი ბატონ-პატრონნი. სწორედ ასეთია ჩვენი ახალი თაობის უკეთეს წარმომადგენელთა სულიერი განწყობილება: როგორც კი თავისუფლად დაიგულეს თავი, როგორც კი დაწყვიტეს მოვალეობის არტახები, დაუყოვნებლივ იჩინა თავი სიცარიელის განცდამ. თუ შენს განკარგულებაშია მთელი სიცოცხლე, ეს უფრო სრული უარყოფაა სიცოცხლისა, ვიდრე თვით სიკვდილი. რადგანაც სიცოცხლე რაღაცის კეთებას, შენი საკუთარი მისიის შესრულებას ნიშნავს. ცოტაც და მთელ პლანეტას შესძრავს ადამიანის გულშემზარავი ყვირილი: ეს იქნება ყვირილი ადამიანის, შემწეობას რომ ითხოვს, საწყალობელი ვედრება, იქნებ ვინმე მოგვევლინოს ხელისამპყრობლად და გამრიგედ, რათა კვლავ ჩაგვინერგოს სერიოზული ზრახვები და ნამდვილი საქმე მოგვანდოს.

დაე, მომავლის ეს საზარელი სურათი კიდევ ერთი გაფრთხილება იყოს ყველასთვის, ვინც ბავშვური

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

დაუდევრობით აცხადებს, ევროპამ ხელიდან გაუშვა მმართველობის სადავეო. ადამიანების მართვა იმას ნიშნავს, რომ კეთილგონიერება ჩაუნერგო მათ, სერიოზული ამოცანების წინაშე დააყენო ისინი და ხელი შეუწყო იმაში, რომ თავიანთ ჭეშმარიტ დანიშნულებას მიაგნონ. ამასთანავე, მმართველობა იმასაც ნიშნავს, რომ აღკვეთო ადამიანთა ქცევის სხვადასხვაგვარი ექსტრავაგანტულობა, ვინაიდან ექსტრავაგანტულობა, ჩვეულებრივ, უსაქმურობის, უმიზნო ცხოვრების, სასოწარკვეთის შედეგია.

მსოფლიოს ბედ-იღბლის გამგებლის პოსტიდან ევროპის გადადგომის ფაქტს ესოდენ დიდი მნიშვნელობა არ ექნებოდა, მას რომ თავისი მემკვიდრე გამოსჩენოდა. მაგრამ ჯერჯერობით იმის წარმოდგენაც კი შეუძლებელია, თუ ვის შეუძლია დაიკავოს მისი ადგილი. ვერ ვიტყვით, რომ ნიუ-იორკი და მოსკოვი თავიანთი სიახლით ძირეულად განსხვავდებოდნენ ევროპისაგან. ერთიცა და მეორეც ევროპის კანონმდებლობიდან ამოვარდნილი ორი ფურცელია, რომლებსაც ამ კონტექსტის გარეშე არავითარი აზრი არა აქვთ. და მართლაც, სევდის მომგვრელია საუბარი მოსკოვსა და ნიუ-იორკზე. ჩვენ ხომ ჯერჯერობით არც ვიცით, რანი არიან ისინი სინამდვილეში. ცნობილია მხოლოდ ის, რომ არც ერთსა და არც მეორეზე ჯერ კიდევ არავის უთქვამს გადამწყვეტი სიტყვა, არ გამოუტანია საბოლოო განაჩენი. და თუმცა ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვიტყვით დაბეჯითებით, რას წარმოადგენენ ისინი, ჩვენი ცოდნა იმისათვის მაინც საკმარისია, რომ მივხვდეთ: ისინი სახეობრივი რიგის მოვლენებია. ერთიცა და მეორეც სავსებით შეესატყვისება იმას, რასაც მე „ისტორიული კამუფლაჟის“ მოვლენას ვუწოდებ. კამუფლაჟი ისაა, რაც სულ სხვა რამედ გვეჩვენება, ვიდრე სინამდვილეშია. ამ მოვლენის გარეგნული თვისებები, ნაცვლად იმისა, რომ გვიმჟღავნებდნენ, პირიქით, მალავენ მის ნამდვილ არსს, და ამიტომაცაა, რომ შეცდომაში შეჰყავთ ამდენი ხალხი. კამუფლაჟის მოვლენა თავგზას ვერ აუბნევს მხოლოდ იმას, ვინც წინასწარვე პრინციპულად დარწმუნებულია მის არსებობაში. ასე, როცა წინასწარ ვიცით, რომ ჩვენ წინაშე მირაჟია, უკვე აღარ ვენდობით ჩვენსავე თვალს.

ისტორიული კამუფლაჟის ნებისმიერი მოვლენა ორი რეალობის არსებობას გულისხმობს, რომელთაგანაც ერთი სიღრმისეულია, ჭეშმარიტი და არსობრივი, მეორე კი - ზედაპირული, შემთხვევითი, მოჩვენებითი. ასე მაგალითად, დღეს მოსკოვის განკარგულებაშია ევროპული იდეების კომპლექსი, კერძოდ, მარქსიზმი, იდეებისა, რომლებიც ჩამოყალიბებულ იქნენ ევროპაში, ევროპული სინამდვილის ანალიზის საფუძველზე და პირწმინდად ევროპული პრობლემების გადასაჭრელად. ამ იდეების ნიღაბქვეშ კი იმალება ხალხი, რომელიც ევროპელებისგან განსხვავდება არა მატო ეთნიკურად, არამედ - რასაც გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, - ასაკითაც. რუსი ხალხი ახალგაზრდა ხალხია; ის ჯერ კიდევ არ დადუღებულა. მარქსიზმს რომ გაემარჯვა რუსეთში, რომელსაც არა აქვს მრეწველობა, არაფერი ასე არ დაუპირისპირდებოდა მარქსის მოძღვრებას. მაგრამ

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

ამნაირი დაპირისპირება არ არსებობს, ვინაიდან არ არსებობს ამნაირი გამარჯვებაც. რუსეთს მხოლოდ ძალზე პირობითად თუ შეიძლება ეწოდოს მარქსისტული ქვეყანა, ზუსტად ისევე, როგორც პირობითად თუ მივიჩნევდით რომაელებად „რომის საღვთო იმპერიის“ ტერიტორიაზე მცხოვრებ გერმანულ ტომებს. ახალგაზრდა ერებს თავიანთი იდეები არ გააჩნიათ. როცა ისინი იმ რეგიონში ვითარდებიან, სადაც არსებობს ან არსებობდა ძველი კულტურა, მაშინ ამ კულტურის იდეას სამოსივით ირგებენ ტანზე. აი, ესეც თქვენი კამუფლაჟი და მისი არსებობის მიზეზიც. როგორც არაერთხელ შემინიშნავს, რატომღაც ყოველთვის ივიწყებენ, რომ ხალხს ისტორიული განვითარების ორი გზა აქვს. ზოგჯერ ხალხი თავის საკუთარ კულტურას ქმნის იმ გარემოში, სადაც საერთოდ არ არსებობს არავითარი ცივილიზაცია. ასეთი იყო ისტორიული პირობები, რომლებმაც დასაბამი მისცეს ძველ ეგვიპტურსა თუ ძველ ჩინურ ცივილიზაციას. ამნაირი ხალხის ნებისმიერ ქმედითობას ნამდვილი ეთქმის, ხოლო მოქმედებას - უშუალო და პირდაპირი. მაგრამ არიან ხალხები, რომლებიც იმნაირ სასიცოცხლო სივრცეში ქმნიან თავიანთ კულტურას, სადაც ადრევე დაირწა ისტორიულად გაცილებით უფრო ძველი ცივილიზაციის აკვანი. სწორედ ასე ვითარდებოდა რომის იმპერია ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, სადაც თითქოს თვით ჰაერიც კი გაჟღენთილი იყო აღმოსავლეთ ბერძნული ცივილიზაციის სულით. ამ მიზეზის გამო, სულ მცირე, ნახევარი მაინც იმისა, რასაც რომაელებმა მიაღწიეს, მათი საკუთარი ნამოღვაწარი როდი იყო; ეს კარგად ათვისებული ძველის გადამღერება გახლდათ. ხოლო ის, რაც ათვისებულია და დასწავლილი, ყოველთვის ორმაგი ბუნებისაა; მისი ნამდვილი მნიშვნელობა არ შეიძლება უშუალო და პირდაპირი იყოს, ის ყოველთვის ორაზროვანია. ვინც დასწავლილ მოძრაობას ასრულებს, ვთქვათ, უცხო სიტყვის წარმოსათქმელად მომართავს თავის საარტიკულაციო აპარატს, ყოველთვის ნამდვილსა და უშუალო მოქმედებას იშველიებს მიზნის მისაღწევად: თავის მშობლიურ ენაზე თარგმნის მისთვის უცხო სიტყვას. ამიტომ, თუ გვინდა გავიაზროთ კამუფლაჟის მნიშვნელობა, მთარგმნელის ადგილას უნდა დავდგეთ, ლექსიკონის დახმარებით რომ თარგმნის ტექსტს. იმედი მაქვს, ოდესმე გამოვა წიგნი, რომელშიაც მარქსიზმის სტალინური ვარიანტი თავის ახსნას ჰპოვებს რუსეთის ისტორიის კონტექსტში. ამ რეჟიმის რუსული ხასიათი იმაში ვლინდება, რომ ის მკაცრი რეჟიმია, და არა იმაში, რომ ის კომუნისტურია. ვინ იცის, რად იქცევა ის მომავალში! დღესდღეობით კი მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია დაბეჯითებით, რომ ჯერ კიდევ ბევრი საუკუნე გაივლის, ვიდრე რუსეთი შესძლებს პრეტენზია განაცხადოს მსოფლიო ბატონობაზე. რამდენადაც მას თავისი „აღთქმები“ არ გააჩნია, ამიტომ ისე დაიჭირა თავი, ვითომ მარქსის ევროპულ პრინციპებს მიემხრო. და რაკი ნამდვილად არ აკლია ახალგაზრდული ძალა, ამ ფუნქციით დაკმაყოფილდა.

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

ახალგაზრდა კაცს არ სჭირდება ყოფიერების მიზეზთა ჩხრეკა, მისთვის სავსებით საკმარისია არსებობის საბაბი.

იგივე შეიძლება ითქვას ნიუ-იორკზედაც. არანაკლები შეცდომა იქნებოდა, ამერიკის დღევანდელი ძლიერება იმ „აღთქმებისთვის“ მიგვეწერა, რომლებსაც ემორჩილებიან ამერიკელები.

ბოლოს და ბოლოს, ყველა ეს „აღთქმა“ ერთ რამეზე, სახელდობრ, ტექნიკაზე დაიყვანება. აი, კიდევ ერთი ევროპული, და არა ამერიკული გამოგონება. ტექნიკა XVIII-XIX საუკუნეების ევროპაში გამოიგონეს. რა საგულისხმო დამთხვევაა. სწორედ ამ დროს იბადება ამერიკა. დღეს კი მთელი სერიოზულობით ცდილობენ დაგვარწმუნონ, რომ ცხოვრების ამერიკული წესის თავისებურება ტექნიციზმსა და პრაქტიციზმში ვლინდება. ნაცვლად ამისა, აი, რა უნდა ვთქვათ: ეთნიკური თვალსაზრისით, ამერიკა (ისევე როგორც ნებისმიერი სხვა კოლონია) ძველი, უწინარეს ყოვლისა კი ევროპელი ხალხების აღორძინებისა და გაახალგაზრდავების შედეგია. ამერიკელები, ზუსტად ისევე, როგორც რუსები (თუმცაღა სულ სხვა მიზეზების გამოისობით) იმ სპეციფიკური ისტორიული რეალობის ნიმუშად გვევლინებიან, რასაც ჩვენ ახალგაზრდა ხალხს ვუწოდებთ. „ახალგაზრდა ხალხის“ ცნება მეტაფორა კი არა, ისეთივე რეალობაა, როგორც ნებისმიერი ადამიანის ახალგაზრდობა. ამერიკა ძლიერია თავისი ახალგაზრდობით, რომელიც მან თანადროულობის კანონის - ტექნიკის სამსახურში ჩააყენა, ზუსტად ისევე, როგორც შეეძლო ბუდიზმისთვის მიეძღვნა თავი, დღის წესრიგში ტექნიკა კი არა, ბუდიზმი რომ მდგარიყო. მაგრამ ამერიკა მხოლოდ ახლა იწყებს თავისი ისტორიის წერას, მხოლოდ ახლა იწყება მისი ძნელბედობა! თავს იჩენენ შინაგანი წინააღმდეგობანი, შეხლა-შემოხლა, შუღლი, ურთიერთმტრობა. ამერიკას ყველაფერი წინა აქვს. ის ჯერ კიდევ ბევრ რამეს მისცემს მსოფლიოს, მათ შორის, რაღაც ისეთსაც, რაც ძირეულად უპირისპირდება ტექნიკურ პროგრესსა და პრაქტიციზმს. ამერიკა რუსეთზე ახალგაზრდაა. მიუხედავად ჩემი შიშისა, ვაითუ მეტისმეტობა დამწამონ-მეთქი, ყოველთვის ვამტკიცებდი, რომ ამერიკაში ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების ნიღაბქვეშ იმალება პირველყოფილი ხალხი. დღეს კი უოლდო ფრანკი თავის წიგნში „ამერიკის ახალი აღმოჩენა“ ხმამაღლა ამტკიცებს ამას. ამერიკას ჯერ კიდევ არ გამოუვლია დიდ განსაცდელთა ქარცეცხლში, მან ჯერ კიდევ არ იცის, რა არის ნამდვილი ტანჯვა, და ამიტომ ილუზია იქნებოდა იმაზე ფიქრი, რომ მას აღმოაჩნდება საკმარისი ღირსებები, რათა ხელიდან არ გაუშვას მსოფლიო ბატონობის სადავე.

ვინც უკვე მზადაა პესიმისტურად დაასკვნას, რომ მსოფლიოს უკვე აღარ ეყოლება მმართველი, რის შედეგადაც მთელ მზისქვეშეთს უთუოდ ქაოსი მოიცავს, დაე, ჩვენი მსჯელობის ამოსავალ წერტილს მიუბრუნდეს და მთელი სერიოზულობით დაეკითხოს საკუთარ თავს: „ნუთუ საქმე მართლა ისეა, როგორც გამუდმებით ჩაგვჩიჩინებენ ყოველი მხრიდან? ნუთუ ევროპა მართლა ისე დაძაბუნდა და დაეცა, რომ

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

უარი თქვა ძალაუფლებაზე და ტახტიდან გადადგა? იქნებ ეს მოჩვენებითი დაცემა სხვა არა არის რა, თუ არა სასიკეთო კრიზისი, რის შემდეგაც ევროპა შესძლებს კვლავაც ევროპად იქცეს, ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით? ან იქნებ ევროპული ერების ის დაცემა, რაც ჩვენ თვალწინ ხდება, აპრიორულად იქცეს იმის საწინდრად, რომ ერთ მშვენიერ დღეს შეიქმნება „ევროპის შეერთებული შტატები“ და ევროპულ მრავალფეროვნებას ევროპული ქვეყნების ფორმალური ერთიანობა შეცვლის?“

4

ვერც ერთი საზოგადოება ვერ შესძლებს ნორმალურ ფუნქციონირებას, თუკი მას არავინ მართავს და არც არავინ ემორჩილება ამ მმართველობას. როგორც კი მმართველობის საკითხში თავს იჩენს თუნდაც სულ მცირე ბუნდოვანება, მთელი საზოგადოებრივი ცხოვრება მახინჯდება და მრუდდება; დაუყოვნებლივ ირღვევა და ფალსიფიცირდება ნებისმიერი პიროვნების უღრმესი შინაგანი ცხოვრება, თუკი ზოგადი წესიდან გენიალურ გამონაკლისებს არ ეხება საქმე. ადამიანი რომ თავისი არსით ეული და მარტოდმყოფი არსება იყოს, მას რომ მხოლოდ ხანდახან სჭირდებოდეს სხვა ადამიანებთან ურთიერთობა, იქნებ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს არც ეგზომ დიდი გავლენა მოეხდინა მასზე, ხოლო მისი პირადი ცხოვრება არც ასე დამოკიდებული ყოფილიყო ძალაუფლების შეცვლასა თუ საზოგადოებრივი მმართველობის სფეროში ყველა შესაძლო კრიზისზე. მაგრამ, რაკი ადამიანი საზოგადოებრივი არსებაა, თვით ის ცვლილებებიც, რომლებიც პირადად მას კი არა, მთელ საზოგადოებას ეხება, უშუალო გამოძახილს პოულობს მის სულში. ამიტომ, თუ გვინდა გავაანალიზოთ ამა თუ იმ ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქის არსებობის მოდუსი, თავდაპირველად უნდა გავარკვიოთ, როგორ დგას მის სამშობლოში მმართველობისა თუ მორჩილების საკითხი.

საინტერესო და გარკვეული თვალსაზრისით, სასარგებლოც იქნებოდა, ამნაირი ანალიზისათვის დაგვექვემდებარებინა საშუალო ესპანელის ინდივიდუალური ხასიათი. მაგრამ, თუმცა ეს ოპერაცია ბევრ რამეში წაგვადგებოდა, მაინც სევდიან ფიქრებს აღგვიძრავდა და შეიძლება ჩვენი აღშფოთებაც კი გამოეწვია, ამიტომ თავს ავარიდებ მას. და მაინც, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ მორალურ დეგრადაციას, რასაც განიცდის დღეს საშუალო ესპანელი: ყოველივე ეს იმის შედეგი გახლავთ, რომ ესპანელები, აგერ უკვე რამდენიმე საუკუნეა, თითქოს განუჭვრეტელ ნისლსა თუ ბურუსში ცხოვრობენ, რადგანაც საერთოდ აღარ აქვთ იმის გაგება, თუ ვინ მართავს მათ, ან ვის მორჩილებენ. მორალური დაცემა სხვა არა არის რა, თუ არა ჩვეულება, არანორმალურ მდგომარეობას რომ გვაჩვენებს: მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვაღიარებთ რაღაცას, ის მაინც, ასე თუ ისე, აკრძალული გვეჩვენება, და რაკი ადამიანს არ შეუძლია

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

ნორმალურად და ჯანსაღად აქციოს ის, რაც თავისი არსით არანორმალური და დანაშაულებრივია, ამიტომ ცდილობს თვითონვე მიესადაგოს მას, ნორმალურად დასახოს არანორმალური სიტუაცია, და ამრიგად, დანაშაულებრივ არსებობას გაუიგივოს თავისი საკუთარი არსებობა. ყოველი ხალხის ისტორიაში ყოფილა ისეთი მომენტი, როცა მას მართავდა ის, ვინც ამისი ღირსი არ იყო, მაგრამ ჯანსაღი ინსტინქტი ყოველთვის აიძულებდა ხალხს ერთ მუშტად შეეკრა მთელი თავისი ენერგია და თავიდან მოეშორებინა უღირსი მმართველი. ასე ხდებოდა დროებითი უზურპაციის გამოსწორება და საზოგადოებრივი მორალის აღდგენა. მაგრამ ესპანელები ყოველთვის პირიქით იქცეოდნენ: ნაცვლად იმისა, რომ აშკარად დაპირისპირებოდნენ მათთვის საძულველ მთავრობას, რომელსაც გულის სიღრმეში უარყოფდნენ, ისინი ამჯობინებდნენ გაეყალბებინათ და გაემრუდებინათ პირადი თუ საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერი გამოვლინება, რათა ხელისუფლების სათავეში მდგარი გაიძვერების მოთხოვნებისათვის მიესადაგებინათ მთელი თავიანთი ყოფა.

ამიტომ გასაოცარი არა არის რა იმაში, რომ საკმარისი იყო ოდნავი უნდობლობა მაინც აღგვძვროდა ჩვენი მმართველობის მიმართ, ან თუნდაც სულ მცირე ეჭვი შეგვპარვოდა მათ ღირსებაში, რომ მაშინვე დაწყებულიყო როგორც საზოგადოებრივი, ისე პირადი ცხოვრების ზნეობრივი დეგრადაცია.

ადამიანის ბუნებაში დვრიტადაა ჩადებული იმისკენ სწრაფვა, რომ რაღაცას მიუძღვნას თავი; სულერთია, დიდსა თუ პატარა, სასახელო თუ სავსებით ჩვეულებრივ საქმეს მოახმაროს მთელი თავისი სიცოცხლე. ასეთია ჩვენი არსებობის, ცოტა არ იყოს, უცნაური, მაგრამ აუცილებელი პირობა. ერთის მხრივ, ყველა თავისით და თავისი თავისთვის ცოცხლობს, მეორეს მხრივ კი, თუ მე რაღაცას არ ვწირავ მთელ სიცოცხლეს, რაღაცას ისეთს, რასაც, საბოლოო ანგარიშით, მხოლოდ ჩემთვის აქვს მნიშვნელობა, მაშინ ჩემი არსებობაც მიინავლება, სასიცოცხლო ძალა ჩაქრება და მოქმედების უნარიც დამიჩლუნგდება. დღეს ჩვენ შთამბეჭდავი სანახაობის მოწმენი ვართ, როცა ადამიანთა ურიცხვი ბრბოები ბრმებივით დაბორიალობენ თავიანთი ცხოვრების ბნელ ლაბირინთში, სწორედ იმიტომ, რომ არ იციან, რას მოახმარონ სიცოცხლე. სათუო ხდება ყოველგვარი იმპერატივის, ყოველგვარი კანონის არსებობა. ერთის მიხედვით, მდომარეობა თითქოს იდეალური უნდა იყოს, რადგანაც ყველას შეუძლია, რასაც უნდა, იმას მოახმაროს მთელი თავისი სიცოცხლე, გინდ სხვა რამ საქმეს და გინდა საკუთარ თავს. იგივე ითქმის მთელ ხალხებსა და ერებზედაც: ევროპა ძველებურ ზემოქმედებას ვეღარ ახდენს მსოფლიოზე, მაგრამ შედეგი კი სრულიად საპირისპიროა იმისა, რასაც მოელოდნენ: თავისი თავის ამარა მიტოვებულ ადამიანს სიცარიელის აუტანელი განცდა ეუფლება და აღარ იცის, რა ქნას, რა იღონოს, რა გზას დაადგეს. და რაკი სიცოცხლე რაღაცით მაინც უნდა შეავსო, ის მიამიტურად იტყუებს თავს,

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

ცდილობს საქმეს მოჰკიდოს ხელი, მაგრამ მხოლოდ იმნაირ საქმეს, დიდ წვალებას, ოფლისღვრას და ჭაპანწყვეტას რომ არ მოითხოვს; დღეს ერთს წაეპოტინება, ხვალ კი მეორეს. თავისი თავის ანაბარა შთენილი სიცოცხლე თანდათანობით იწრიტება, აღარ იცის, რა მიზანს მისდიოს. ეგოიზმის გზას ყოველთვის ლაბირინთში შევყავართ, და ეს სავსებით გასაგებია. ყოფიერება მიზანში ნატყორცნ ისარსა ჰგავს; ესაა გზა, რომლითაც ჩვენ მიერ დასახულ მიზანს მიველტვით. თვით გზა შეუძლებელია მიზანი იყოს, ისევე, როგორც შეუძლებელია მიზანი იყოს სიცოცხლე. მიზანი ისაა, რასაც ჩემს სიცოცხლეს ვწირავ; ამიტომ მიზანი უფრო მაღალია, ვიდრე სიცოცხლე. ეგოისტივით მარტოკა რომ მივუყვები ცხოვრების გზას, მე ერთ ნაბიჯსაც ვერ გადავდგამ მასზე; მთელი ჩემი „სიარული“ ერთი და იმავე ადგილის ტკეპნა იქნება. სწორედ ესაა ლაბირინთი, - გზა, რომელსაც არსაითკენ არ მივყავართ; ლაბირინთში ყველა გზა იხლართება და იკარგება, სწორედ იმიტომ, რომ არსაითაც არ მიგვიძღვის.

***

ომისშემდგომ პერიოდში[68] ევროპელი თავის თავში გამარტივდა, საკუთარი არსებობის დილეგში ჩაიკეტა, და ამის შედეგად არა მარტო თვითონ დარჩა უსაქმოდ, არამედ სხვებსაც მოუსპო საქმის კეთების საშუალება. დღეს, ისტორიული თვალსაზრისით, მდგომარეობა ოდნავადაც არ შეცვლილა: ყველაფერი ისევე დარჩა, როგორც ამ ათი წლის წინათ იყო.

ნებისმიერი მმართველობა გარკვეულ მოვალეობებს გვაკისრებს; ძალაუფლება ზემოქმედებაა, მაგრამ მარტოოდენ ამით როდი ამოიწურება. ძალაუფლება რომ მხოლოდ იძულება და ზემოქმედება იყოს, მაშინ ძალადობად გადაიქცეოდა. გახსოვდეთ, რომ ყოველნაირ მმართველობას ორმაგი მიმართულება აქვს; მმართველი ბრძანებას იძლევა და, თავის მხრივ, განაწესს იღებს იმათგან, ვისაც თვითონვე მართავს. ეს განაწესი, საბოლოო ანგარიშით, სხვა არა არის რა, თუ არა გრანდიოზულ შთანაფიქრთა და დიად ისტორიულ მიზანდასახულობათა განხორციელების სურვილი. ამიტომაც შეუძლებელია ნებისმიერი მმართველობა სასიცოცხლო პროგრამის, ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, იმ გეგმის გარეშე, რომლითაც უნდა მართო ქვეყანა. შილერის თქმისა არ იყოს, „როდესაც მეფეები მშენებლობას იწყებენ, მეეტლეებმა ოფლი უნდა ღვარონ“.

ამიტომაც არ უნდა ვენდობოდეთ მოარულ წარმოდგენებს, რომელთა თანახმადაც, დიდი ხალხებისა თუ დიდი ადამიანების მოქმედებას მხოლოდ და მხოლოდ მათი ეგოისტური ინტერესები განაპირობებს. არც ისე ადვილია აბსოლუტური ეგოისტი იყო, - ამნაირი ადამიანები ყოველთვის წაგებულნი რჩებოდნენ. დიდი ხალხებისა და დიდი ადამიანების მოჩვენებითი ეგოიზმი სხვა არა არის რა, თუ არა სულის სიმტკიცე, რაც აუცილებლად სჭირდება ყველას, ვინც დიად მიზანს მიუძღვნის თავის სიცოცხლეს. როცა მართლაც მნიშვნელოვან საქმეს ვაკეთებთ და მტკიცე გადაწყვეტილებას

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

ვიღებთ, მთელი სიცოცხლე შევწიროთ მას, სიბრიყვე იქნებოდა, ქუჩაში დავმდგარიყავით, რათა გზა მიგვესწავლებინა გამვლელთათვის, ან თვალთმაქცური ქველმოქმედებისთვის მიგვეყო ხელი. ერთი ყველაზე წარუშლელი შთაბეჭდილება, რაც ესპანეთში მოგზაურობისას რჩება უცხოელს, ის გახლავთ, რომ, თუ ქუჩაში შეაჩერებს ვინმეს და სთხოვს, ესა და ეს სახლი, ან ესა და ეს მოედანი მიმასწავლეთო, ესპანელი აუცილებლად გადაუხვევს თავისი გზიდან, განსაცვიფრებელი დიდსულოვნების წყალობით, მაშინვე შესთავაზებს სამსახურს და იმ ადგილამდე მიაცილებს მთხოვნელს, რომელსაც იგი ეძებდა. ჩემდათავად, მეც ვაღიარებ, რომ ამნაირ საქციელში შეიძლება მართლაც ვლინდებოდა ღირსეული კელტ-იბერის დიდსულოვნება, და, მართალი გითხრათ, ძალიანაც მსიამოვნებს, როცა უცხოელები სწორედ ასე განმარტავენ მის ქცევას. მაგრამ ყოველთვის, როცა ამნაირი შემთხვევის ამბავს ვისმენ, ანდა ვკითხულობ, ვერასდიდებით ვერ ვიხშობ გულში, ცოტა არ იყოს, იჭვნეულ გრძნობას: კი მაგრამ, მართლა თავის საქმეზე მიეშურებოდა თუ არა ჩემი ძვირფასი თანამემამულე? ადვილი შესაძლებელია, რომ ის არსადაც არ მიდიოდა, რადგანაც ესპანელის წინაშე საერთოდ არა დგას არავითარი მიზანი, არავითარი ამოცანა, რომელიც უნდა გადაწყვიტოს. ის მხოლოდ თავისთვის მისეირნობს ცხოვრების გზაზე, და იმედი აქვს, რომ სხვები მაინც შეავსებენ მისი უმიზნო არსებობის სიცარიელეს. მენდეთ, ჩემი თანამემამულეების უმრავლესობა ხშირად სწორედ იმ მიზნით გამოდის ქუჩაში, რომ იქნებ უცხოელს გადაეყაროს და ამა თუ იმ ადგილამდე მიაცილოს.

არანაკლებ სავალალოა ის ფაქტი, რომ ევროპული ქვეყნების ეჭვი, მგონი, მართლა აღარ შეგვიძლია მსოფლიოს მართვაო, სხვა ხალხების დემორალიზაციას იწვევს. რა თქმა უნდა, მათი გამოკლებით, ვინც თავისი ახალგაზრდობის გამო ჯერ კიდევ არ გასცილებია განვითარების პრეისტორიულ ეტაპს. მაგრამ კიდევ უფრო დამთრგუნველია იმის შეგნება, რომ ეს pietinement sur place[69] აუცილებლად გამოიწვევს ევროპელთა სრულ მორალურ დეგრადაციას. თუ ღმერთი გწამთ, ნუ იფიქრებთ, თითქოს, რაკი ევროპელი ვარ (ხოლო ევროპა დიდხანს ვეღარ შესძლებს მსოფლიოს მართვას), აღარ მაინტერესებდეს დანარჩენი ხალხების ბედი. ევროპელების მიერ მსოფლიო ბატონობის დაკარგვის ფაქტს არც ისე დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ჩემთვის, სადმე რომ მეგულებოდეს სხვა ხალხების ერთიანობა, რომელიც შესძლებდა შეეცვალა ევროპა და თვითონ დამდგარიყო მსოფლიო საზოგადოებრიობის მართვის საჭესთან. მე იმაზედაც თანახმა ვიქნებოდი, სულაც არავის ემართა მსოფლიო, თუკი ეს გარდუვალად არ გამოიწვევდა ყველა იმ სიქველისა და შემოქმედებითი უნარის იავარყოფას, რაც ოდითგანვე ნიშნეულია ევროპელისთვის.

სამწუხაროდ, ეს გარდაუვალია. თუ ევროპელები საბოლოოდ შეეგუენ იმას, რომ მსოფლიოს ვეღარ მართავენ, უახლოეს ოც-ოცდაათ წელიწადში ჩვენი ბებერი კონტინენტიცა

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

და, მასთან ერთად, მთელი დანარჩენი მსოფლიოც კომაში ჩაცვივდებიან; ეს იქნება მორალური ინერციის მდგომარეობა, სადაც ყველას და ყველაფერს ემუქრება ინტელექტუალური უნაყოფობა, საყოველთაო ბარბარიზაცია. თუნდაც ილუზორული რწმენა იმისა, რომ ევროპა კვლავინდებურად მართავს მსოფლიოს, რწმენა, რომელიც განამტკიცებს პასუხისმგებლობის გრძნობას - არის ერთადერთი ფაქტორი, რომელსაც შეუძლია სასიცოცხლო დაძაბულობა, სიმხნევე და შემართება შეუნარჩუნოს დასავლელი ადამიანის სულს. მეცნიერებას, ხელოვნებას, ტექნიკას შეუძლიათ კვლავაც იარსებონ ჯანსაღ ატმოსფეროში, რასაც ბადებს იმის შეგნება, რომ მსოფლიო შენგან მოელის შველას. არადა, ევროპელის სიცოცხლეს ყოველგვარი აზრი დაეკარგება, გონებას აღარ შერჩება თავისი ძლევამოსილების ცხოველმყოფელი რწმენა, დიადი იდეების ენერგიული, თამამი ძიებისა და ახალი აღმოჩენებისთვის რომ აქეზებს მას; ევროპელების არსებობა შემოქმედებითი სფეროდან მთლიანად გადაინაცვლებს პირწმინდად ყოფით სფეროში. რაკი დიადი შემოქმედებითი მოღვაწეობის უნარი აღარ შერჩება, ევროპელი გუშინდელი დღით, დრომოჭმული ჩვეულებებით, ყოველდღიური საფიქრალ-საზრუნავით დაიწყებს ცხოვრებას. ბიზანტიელებისა თუ ელინური ცივილიზაციის დაცემის დროინდელი ბერძნებისა არ იყოს, ისიც ფუქსავატ, უბადრუკ და ბიწიერ არსებად იქცევა.

შემოქმედებითი ცხოვრება საგანგებოდ მოითხოვს ჯანსაღ რეჟიმს; ის ღირსებითაა სავსე, მაგრამ გამუდმებით სჭირდება სტიმული, რათა შეინარჩუნოს საკუთარი ღირსების გრძნობა. შემოქმედებითი ცხოვრება აქტიური ცხოვრებაა, აქტიური ცხოვრება კი მხოლოდ ორი პირობის დაცვითაა შესაძლებელი: ან ჩვენ თვითონ უნდა ვმართავდეთ სხვებს, ან იმ სამყაროში ვცხოვრობდეთ, რომელსაც სხვები მართავენ, და ვაღიარებდეთ მათ უფლებას, მართავდნენ და განაგებდნენ ჩვენს სიცოცხლეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: ან მე ვახორციელებ ძალაუფლებას, ან სხვის ძალაუფლებას ვემორჩილები. მაგრამ მორჩილება პასიური თმენა როდია: თმენა თავის დამცირებაა. პირიქით, მორჩილება ნიშნავს პატივსა სცემდე იმას, ვინც გმართავს, განუხრელად მიჰყვებოდე კვალდაკვალ, მხარს უჭერდე მის პრინციპებს და შეგნებულად გეჭიროს ადგილი იმათ რიგებში, ვინც მისი მმართველობის ლაღად მოშრიალე დროშის ქვეშ დადგა.

5

ახლა კი კვლავ მივუბრუნდეთ ჩვენი მსჯელობის ამოსავალ წერტილს, კერძოდ, იმ დავას ევროპული ცივილიზაციის დაცემის თაობაზე, რომელიც აგარ უკვე რამდენი წელია არ ცხრება. თავისთავად უცნაურია ის ფაქტი, რომ ეს დაცემა პირველად სხვა ხალხებმა კი არა, თვითონ ევროპელებმა შენიშნეს: მაშინ როდესაც სხვა კონტინენტების

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

მკვიდრთ აზრადაც არასოდეს მოსვლიათ ეს, მავანსა და მავან გერმანელს, ინგლისელსა და ფრანგს ანაზდეულად გაუელვა თავში: კი მაგრამ, ვაითუ უკვე ჩვენი ცივილიზაციის დაცემის ხანაში შევედითო. ეს იდეა ისე ფართოდ იქნა რეკლამირებული პრესაში, რომ დღეს უკლებლივ ყველას ევროპის დაისი აკერია პირზე, თითქოს საქმე ეხებოდეს რაღაც ეჭვშეუვალ ჭეშმარიტებას.

მაგრამ, აბა, ერთი წამით შეაჩერეთ ადამიანი, რომელიც ამას ამტკიცებს, და ჰკითხეთ, რა კონკრეტულსა და უდაო ფაქტებს ემყარება მისი დიაგნოზი. თქვენ დაინახავთ, როგორ დაიბნევა ნირწამხდარი და წყალწაღებულივით დაიწყებს ხელების ქნევას, წყალწაღებულივით, რომელიც ცდილობს ხავსს მოეჭიდოს. მაგრამ საქმეც ისაა, რომ ვერაფერს მოსჭიდებს ხელს. ერთადერთი, რასაც შეიძლება ჩაებღაუჭოს, როცა თავგამოდებით ცდილობს ზოგადად მაინც განსაზღვროს თანამედროვე ევროპული ცივილიზაციის დაცემის მიზეზები, - ის რთული ეკონომიკური პრობლემებია, დღეს რომ დგას ნებისმიერი ევროპული ქვეყნის წინაშე. მაგრამ, თუ ვეცდებით შეძლებისდაგვარად მაინც გავერკვეთ ამ პრობლემების არსში, დავინახავთ, რომ არც ერთი მათგანი სერიოზულად არ ეხება სიმდიდრის კვლავწარმოების უნარს, და რომ, ამ მხრივ, ევროპულ ქვეყნებს თავის დროზე გაცილებით უფრო მძიმე კრიზისიც განუცდიათ.

ან იქნებ, გერმანელი თუ ინგლისელი დღეს უკვე ვეღარა გრძნობს თავის თავში იმდენ ძალას, რომ კიდევ უფრო გაზარდოს და უფრო სრულყოფილი გახადოს წარმოება? არა, ნამდვილად ვერ ვიტყვით ამას. მოდით, ეკონომიკის რეალურ მდგომარეობას შევუწონოთ ამ გერმანელისა თუ ინგლისელის სულიერი მდგომარეობა. აი, რა განაპირობებს მოვლენის უჩვეულო ხასიათს: ევროპელის აშკარა სულიერი დათრგუნვილების მიზეზი ის კი არაა, თითქოს ეჭვი ეპარებოდეს, კვლავაც შერჩა თუ არა მოქმედების უწინდელი უნარი; პირიქით, დღეს უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ის თავის თავში გრძნობს პოტენციურ ძალთა უზარმაზარ მარაგს. ევროპელი იმიტომ ჭმუნავს, რომ ყოველთვის, როცა აპირებს სრული დატვირთვით იმოქმედოს, აუცილებლად აწყდება ათასნაირ დაბრკოლებას, რაც ხელს უშლის თავისი ჩანაფიქრის განხორციელებაში. ეს გადაულახავი დაბრკოლება, რასაც გარდუვალად აწყდება მეწარმე, რომელიც ცდილობს ეკონომიკურ საქმიანობას მიჰყოს ხელი გერმანიაში, ინგლისსა თუ საფრანგეთში, - სხვა არა არის რა, თუ არა ამ სახელმწიფოების პოლიტიკური საზღვრები. ამრიგად, ძირითადი სიძნელე ესა თუ ის ეკონომიკური პრობლემა კი არა, ის ფაქტია, რომ ეკონომიკური ცხოვრება უკვე ვეღარ ეტევა საზოგადოებრივი ცხოვრების ვიწრო ჩარჩოში. უმწეობისა და მიუსაფრობის განცდას, რაც ამ ბოლო დროს ეუფლება ევროპელებს, ჩემის აზრით, განაპირობებს აშკარა დისპროპორცია, ერთის მხრივ, ჩვენი თანამედროვეობის უზარმაზარ შესაძლებლობებსა და, მეორეს მხრივ, სახელმწიფოების პოლიტიკური ორგანიზაციის

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

სულისშემხუთველად ვიწრო ჩარჩოებს შორის. თანამედროვეობის ურთულეს პრობლემათა გადაჭრის სურვილი დღეს ჩვენში უფრო ძლიერია, ვიდრე ოდესმე, მაგრამ, როგორც კი ჩვენი საქმიანობა უფრო მასშტაბური ხდება და გასაქანს ეძებს, დაუყოვნებლივ აწყდება იმ გადაულახავ ზღუდეს, რასაც პატარა ევროპული ქვეყნების სახელმწიფო საზღვრები ჰქვია. ევროპელის დათრგუნვილობა, მისი პესიმისტური სულიერი განწყობილება დატყვევებული ფრინველის განცდებს გვაგონებს, რომელიც ცდილობს ლაღად გაშალოს ფრთები, მაგრამ ამაოდ ეხეთქება თავისი ვიწრო გალიის კედლებს.

ასეთსავე სიტუაციას ვხედავთ სინამდვილის სულ სხვა სფეროებშიაც, რომლებსაც თითქოს საერთო არაფერი აქვთ ეკონომიკასთან. კერძოდ, ინტელექტუალური ცხოვრების სფეროშიც. ნებისმიერი გერმანელი, ინგლისელი თუ ფრანგი მოაზროვნე ინტელექტუალი გრძნობს, როგორ ეხუთება სული თავისი ნაციონალობის ჩარჩოებში, და სრულ თვითშეზღუდვად მიაჩნია ის, რომ მხოლოდ ამ ვიწრო ასპარეზითაა შემოფარგლული. ასე მაგალითად, გერმანელ პროფესორს უკვე აღარ აკმაყოფილებს თავისი ბუნდოვანი სტილის მაღალფარდოვნება, მიუხედავად იმისა, რომ ამ ბუნდოვანებას ასე მიჩვეულნი არიან მისი მკითხველები - გერმანელი პროფესორები, და ის შურის თვალით უყურებს საკუთარი აზრების გამოხატვის იმ უსაზღვრო თავისუფლებას, რაც, მისი აზრით, ნიშნეულია ფრანგი მწერლისა თუ ინგლისელი ესსეისტისთვის. და პირიქით, ესა თუ ის პარიზელი კალმოსანი უკვე აშკარად გრძნობს, რომ ლიტერატურული მაამებლობისა და სიტყვიერი ფორმალიზმის პირწმინდად ფრანგული ტრადიცია ჩიხში მოექცა, ამიტომ ისიც ამჯობინებდა, შეენარჩუნებინა ყოველივე საუკეთესო, რითაც ასე მდიდარია ეს ტრადიცია, და, იმავდროულად, გერმანელი პროფესორის სტილის ზოგიერთი ღირსებითაც შეევსო იგი.

დაახლოებით ასეთივე სურათია საშიაო პოლიტიკის სფეროშიც. დღემდე არავის უცდია სერიოზულად გაეანალიზებინა ერთი საინტერესო საკითხი: რატომაა, რომ დიდი ქვეყნების საშინაო პოლიტიკური ცხოვრება დღეს თითქოს ჩამკვდარი გვეჩვენება? როგორც ამბობენ, დემოკრატიული ინსტიტუტები დეკადანსს განიცდიან, - სწორედ ეს მინდოდა ამეხსნა უფრო დაწვრილებით. საქმე ისაა, რომ ეს, ცოტა არ იყოს, უცნაური დეკადანსია: ამჟამად უკლებლივ ყველა აკრიტიკებს პარლამენტს, მაგრამ ჯერჯერობით არავის გაუგონია, რომ სადმე დაარსებულიყოს ესა თუ ის ინსტიტუტი, რომელიც შესძლებდა პარლამენტის შეცვლას. მეტიც, ჯერ კიდევ არსად წამოუყენებიათ არც ერთი, თუნდაც უტოპიური პროექტი სახელმწიფოებრიობის სხვა ფორმებისა, რომლებიც პრაქტიკულად თუ არა, ყოველ შემთხვევაში, იდეალურ ნიმუშთა სახით, შეიძლებოდა პარლამენტზე უმჯობესად მიგვეჩნია. ამიტომ მაინცდამაინც დიდ ნდობას არ იმსახურებენ ისინი, ვისი მტკიცებითაც, ზემოხსენებული დეკადანსი მოჩვენებითი მოვლენა კი არა,

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

უკვე რეალური ფაქტია. ევროპაში საზოგადოებრივი ცხოვრების ინსტრუმენტთა, ანუ საზოგადოებრივ ინსტიტუტთა საქმე როდია ცუდად; არა, პრობლემა ისაა, რომ ჩვენ არ გაგვაჩნია მათი ოპტიმალური გამოყენების საკმარისი საშუალება. ცოტაა მოქმედების ისეთი გეგმა, რომელიც შეიძლება მივუსადაგოთ ევროპელთა თანდათანობით მზარდ სასიცოცხლო შესაძლებლობებს.

აქ ჩვენ საქმე გვაქვს მხედველობის ცდომილებასთან, და უკვე დროა, ხმამაღლა განვაცხადოთ ეს. გული გეტკინება, როდესაც ხედავ, რა აბსურდულ დასკვნამდე მიდის ყველა, ვინც, ვთქვათ, პარლამენტზე მსჯელობს: ერთმანეთზე ახვავებენ საკმაოდ საქმიან შენიშვნებს იმის თაობაზე, თუ რა გზით შეიძლება დავხვეწოთ ტრადიციული პარლამენტის საქმიანობა, მაგრამ, თუ დაწვრილებით განვიხილავთ თვითოეულ მათგანს, დავრწმუნედებით, რომ, არსებითად, ვერც ერთი ვერ გვისაბუთებს პარლამენტის გაუქმების აუცილებლობას. პირიქით, ყველა თვალნათლივ გვიმოწმებს, რაოდენ საჭიროა საპარლამენტო რეფორმა. ამრიგად, ჩემი თეზისი ასეთია: დღეს ყველაზე უმჯობესი, რაც შეიძლება ითქვას ამაზე, მისი რეფორმა და, მაშასადამე, მისი განახლების სასიცოცხლო აუცილებლობა გახლავთ. დღევანდელი ავტომობილი იმ კრიტიკული შენიშვნების შედეგია, რომლებიც გამოთქმულ იქნა ავტომობილის 1910 წლის მოდელის მიმართ. მაგრამ, თუ ბრბოს არავითარი პატივისცემა აღარ შერჩა პარლამენტისადმი, ეს იმის ბრალი როდია, რომ პარლამენტის მისამართით ხშირად გაისმის კრიტიკა. ასე მაგალითად, პარლამენტს არაეფექტურობას აყვედრიან; მაშინ ნება გვიბოძეთ, ვიკითხოთ: „რაში მდგომარეობს ეს არაეფექტურობა?“ ეფექტურობა არის თვისება, რომელიც გვიჩვენებს, რამდენად შეესაბამება ესა თუ ის საგანი თავის დანიშნულებას. პარლამენტის დანიშნულება კონკრეტულ ქვეყანაში სოციალური პრობლემების გადაჭრაა; ამიტომ კაცს, რომელიც პარლამენტს არაეფექტურობას საყვედურობს, ჩვენ ვთხოვთ, ზუსტად ჩამოაყალიბოს, როგორ ესახება თანამედროვე საზოგადოების წინაშე მდგარი პრობლემების მართებული გადაჭრა. თუ თვითონაც არ იცის ეს, თუ ვერც ერთ ევროპულ ქვეყანაში დღემდე თეორიულადაც კი ვერ გაურკვევიათ, თუ რომელი პრობლემების გადაჭრა გვმართებს უწინარეს ყოვლისა, აბსურდია, არაეფექტურობას ვდებდეთ ბრალად საზოგადოებრივი მმართველობის ინსტიტუტებს. ერთხელაც უნდა შეგახსენოთ, რომ ისტორიას არ ახსოვს მმართველობის უფრო ქმედითი და უფრო სრულყოფილად ორგანიზებული ფორმები, ვიდრე XIX საუკუნის საპარლამენტო სისტემა იყო. ეს ეჭშეუვალი ჭეშმარიტებაა და სიბრიყვე იქნებოდა მისი დავიწყება. ერთმანეთში ნუ ავურევთ, ერთის მხრივ, საკანონმდებლო საკრებულოთა სერიოზული რეფორმების შესაძლებლობასა და საარსებო საჭიროებას, ხოლო მეორეს მხრივ, მათი საქმიანობის გაუმჯობესების აუცილებლობას.

იმ გარემოებას, რომ პარლამენტმა თავისი უწინდელი პრესტიჟი დაკარგა, არაფერი აქვს საერთო მმართველობის იმ

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

ფორმის მანკიერ მხარეებთან, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პარლამენტის, როგორც პოლიტიკური ძალაუფლების ინსტრუმენტის, ქმედითობის პრობლემასთან. ამ დეკადანსის მიზეზი სულ სხვა რამეა: საქმე ისაა, რომ დღევანდელმა ევროპელმა აღარ იცის, როგორ მოახმაროს, ან რას მოახმაროს პოლიტიკური ძალაუფლების ეს ინსტრუმენტი; რომ ის პატივს აღარ სცემს თავისი საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების ტრადიციულ გამოვლინებებს, და არავითარი ილუზიები აღარ შერჩა სახელმწიფოს შესაძლებლობებთან დაკავშირებით, სახელმწიფოსი, რომელიც მისი საცხოვრებელი ადგილია და, იმავდროულად, მისი საპყრობილეც. თუ ვეცდებით უფრო გულდასმით გავერკვეთ პოლიტიკურ ინსტიტუტთა პრესტიჟის ყბადაღებული დეკადანსის მიზეზებში, დავინახავთ, რომ თითქმის არცერთი ევროპელი არავითარ პატივს აღარა სცემს მათ, და სრულიად ზედმეტი იქნებოდა მცდელობა იმისა, რომ ზოგიერთი დეტალი შეგვეცვალა მმართველობით ინსტიტუტთა მანქანაში, რადგანაც ეს უპატივცემულობა ძირითადად მათ მიმართ კი არა, თვით სახელმწიფოსადმი დამოკიდებულებაში ვლინდება, სახელმწიფოსადმი, რომლის ფარგლებიც მეტისმეტად ვიწრო გახდა მისი მოქალაქეებისათვის.

როცა თვის ეკონომიკურ, პოლიტიკურსა თუ ინტელექტუალურ მოღვაწეობაში ევროპელი პირველად შეეჯახა იმ დაბრკოლებებს, რომლებსაც უქმნის ის ფაქტი, რომ ამა თუ იმ ერს ეკუთვნის, მან იგრძნო, რომ მოღვაწეობის ყველა ეს ასპექტი, ანუ, სხვა სიტყვებით, მისი ცხოვრებისეული სტილის ყველა ეს ინგრედიენტი, მთელი მისი სასიცოცხლო შესაძლებლობა გაცილებით უფრო მასშტაბურია, ვიდრე მისი ერის კოლექტიური ცხოვრების ვიწრო ასპარეზი და მაშინ ის მიხვდა, რომ - იყო ინგლისელი, ფრანგი, ან გერმანელი, ნიშნავს იყო პროვინციელი. ახლა მან აღმოაჩინა, რომ უფრო „პატარა“ გახდა, ვიდრე უწინ იყო, ვინაიდან ფრანგს, ინგლისელსა თუ გერმანელს ოდესღაც მთელი სამყარო ეგონა თავისი სამშობლო. მე თუ მკითხავთ, სწორედ ესაა ჭეშმარიტი მიზეზი ჩვენი ცხოვრების დეკადანსის იმ მტკივნეული განცდისა, რაც ასე დამთრგუნველად მოქმედებს ევროპელზე. ამ მოვლენის საწყისი ძალზე ღრმაა და პარადოქსული, რადგანაც იმის შეგნებას, თუ რარიგად დავიწროვდა ნაციონალური სახელმწიფოს საზღვრებით შემოფარგლული სასიცოცხლო სივრცე, საფუძვლად უდევს კონფლიქტი, რამაც აშკარად იჩინა თავი ადამიანის გაზრდილ შესაძლებლობებსა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის მოძველებულ სტრუქტურას შორის, რომლის ფარგლებშიაც ეს შესაძლებლობანი უკვე ვეღარ პოულობენ გასაქანს.

ჩვენი აზრის განსამარტავად, მოდით, მაგალითისათვის განვიხილოთ ნებისმიერი კონკრეტული საქმიანობა, ვთქვათ, მანქანათმშენებლობა. ავტომობილი პირწმინდად ევროპული გამოგონებაა. მაგრამ დღეს ამერიკელები აშკარად ჩვენზე წინ არიან ამ დარგში. დასკვნა ერთია: ევროპული მანქანათმშენებლობის დონე დაეცა. თუმცა ევროპელ მანქანათმშენებლებს - მრეწველებსაც და ტექნიკურ

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

სპეციალისტებსაც - მშვენივრად ესმით, რომ ამერიკული პროდუქციის უპირატესობას ოკეანისგაღმელ ავტოკონსტრუქტორთა რაღაც უჩვეულო ღირსებები კი არ განაპირობებს, არამედ ის, რომ ამერიკულ საავტომობილო ქარხანას სულ თავისუფლად შეუძლია თავისი პროდუქცია შესთავაზოს ას ოც მილიონ მომხმარებელს ისე, რომ არავითარი შეზღუდვის შიში არ ჰქონდეს. ახლა წარმოიდგინეთ, რომ ევროპელ მანქანათმშენებელს შესაძლებლობა აქვს თავისი საქონელი გაიტანოს ბაზარზე, რომელიც ყველა ევროპულ ქვეყანას, აგრეთვე მათ კოლონიებსა და პროტექტორატებსაც მოიცავს. მაშინ უკვე აღარავის შეეპარება ეჭვი იმაში, რომ ხუთასი თუ ექვსასი მილიონი მომხმარებლისათვის განკუთვნილი ავტომობილის ეს მოდელი ფორდის მოდელებზე უფრო კომფორტული და უფრო იაფი იქნება. ამერიკული ტექნიკის ყველა საგანგებო ღირსება, ჩვეულებრივ, გასაღების ამერიკული ბაზრის მასშტაბურობისა და ერთგვაროვნების მიზეზად კი არა, მის შედეგად გვევლინება. მრეწველობის „რაციონალიზაცია“ სხვა არა არის რა, თუ არა მისი მასშტაბურობის ლოგიკური შედეგი.

ამრიგად, საქმის ვითარება ევროპაში დღეს ასეთია: ერთის მხრივ, მისმა სასახელო და ხანგრძლივმა ისტორიულმა განვითარებამ სასიცოცხლო შესაძლებლობათა არნახულ ზრდას მიაღწია; მეორეს მხრივ კი, წარსულიდან მემკვიდრეობით მიღებული საზოგადოებრივი ძალაუფლების სტრუქტურები ევროპისათვის თანდათან ვიწრო შეიქნა, და მხოლოდ ხელს უშლის საზოგადოებრივი ცხოვრების შემდგომ განვითარებას. ევროპამ სწორედ მის შემადგენლობაში შემავალი პატარა ერების ინდივიდუალური განვითარების შედეგად შესძლო ერთ ორგანულ მთლიანობად ჩამოყალიბებულიყო. შეიძლება ითქვას, რომ ნაციონალიზმის გრძნობა და ნაციონალიზმის იდეა ევროპის ყველაზე სპეციფიკური გამოგონებაა. დღეს კი ევროპა თავის თავს უნდა აღემატოს. ასეთია, ძალზე ზოგადად, იმ რთული და დიადი დრამის სქემა, რომელიც, ალბათ, ახლო მომავალში გათამაშდება ევროპულ სცენაზე. შესძლებს თუ არა ევროპა განთავისუფლდეს თავისი ისტორიული მემკვიდრეობისაგან, თუ სამუდამოდ მის ტყვეობაში დარჩება? ჩვენ ხომ ისტორიული გამოცდილებით ვიცით, რომ ერთი გრანდიოზული ცივილიზაცია უკვე დაიღუპა იმის გამო, რომ ვერაფერი შეუნაცვლა სახელმწიფოს დანიშნულების ტრადიციულ გაგებას.

6

ერთ ჩემს შრომაში მე უკვე ვლაპარაკობდი ბერძნულ-რომაული სამყაროს სულთმობრძაობასა და დამხობაზე. თუ ვინმეს წვრილმანები აინტერესებს, მე გირჩევთ ისტორიას მიმართოთ[70]. ახლა კი მე მსურს სხვა თვალსაზრისით განვიხილოთ იგივე პრობლემა.

უკვე პირველი ისტორიული ცნობები ძველი ბერძნებისა და რომაელების შესახებ მოწმობენ, რომ ისინი, როგორც

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

შეძენილია ელ. წიგნების ონლაინ მაღაზიაში iBooks.ge

ფუტკრები - სკაში, დიდ ქალაქებში - პოლისებში ცხოვრობდნენ. ნუ შევჩერდებით ამ ქალაქების იდუმალებით მოცულ წარმოშობაზე, აბსოლუტურ ჭეშმარიტებად ვაღიაროთ ეს ფაქტი და, როგორც უშუალო მოცემულობა, ამოსავალ წერტილად დავსახოთ იგი, ისევე, როგორც ზოოლოგი, თავისი კვლევა-ძიებისას, ამოსავალ წერტილად იღებს იმ მარტივსა და აუხსნელ ფაქტს, რომ მარად მოუსვენარი, მაწანწალა და ეულად მცხოვრები sphex-ისაგან განსხვავებით, ყვითელი ფუტკრები ფიჭას ამზადებენ და გუნდ-გუნდად ცხოვრობენ[71]. არქეოლოგიური გათხრები საშუალებას გვაძლევენ გავეცნოთ იმ ტომების კუთვნილ საგნებს, რომლებიც ძველი ათენისა და ძველი რომის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, ვიდრე იქ დასაბამი მიეცემოდა ძველ ბერძნულსა თუ ძველ რომაულ ცივილიზაციებს. მაგრამ მათ არ შეუძლიათ ნათელი მოჰფინონ სრულიად ახალი ტიპის მოვლენის ენიგმურ წარმომავლობას, არ შეუძლიათ აგვიხსნან, რამ აიძულა ორივე ნახევარკუნძულის მკვიდრნი ჩვეულებრივი, სამიწათმოქმედო ყოფიდან, პრეისტორიული არსებობიდან აბსოლუტურად ახალი ტიპის არსებობაზე გადასულიყვნენ. ჩვენ ისიც კი არ ვიცით, რა ეთნიკური კავშირი არსებობს ამ პრეისტორიულ ტომებსა და ადამიანთა იმ უცნაურ გაერთიანებებს შორის, რომლებიც არსებითად ახალი გამოგონებით ამდიდრებენ კაცთა მოდგმის შემოქმედებითი მიღწევების ნუსხას: მე ვგულისხმობ საქალაქო მოედნისა და მის ირგვლივ თვით ქალაქის მშენებლობას, ქალაქისა, რომელსაც გარს შემოვლებული გალავანი გამოყოფს და აცალკევებს ველ-მინდვრებისაგან. თუ მოვინდომებთ ყველაზე ზუსტად განვსაზღვროთ, მაინც რა არის ქალაქი, ანუ პოლისი, უნდა გავიხსენოთ, რანაირად განმარტავენ იუმორისტები ზარბაზანს: აიღეთ ნახვრეტი, გარს შემოახვიეთ მავთული, და, აი, ესეც თქვენი ზარბაზანიო. ზუსტად ასევე, დიდი ქალაქი, ანუ პოლისი ცარიელი სივრცით - ფორმითა თუ აგორათი იწყება, ყოველივე დანარჩენი კი მხოლოდ საბაბია ამ სივრცის არსებობის უზრუნველსაყოფად, მისი საზღვრების დასადგენად. პოლისი მარტოოდენ საცხოვრებელი სახლების ერთობლიობა როდია; უწინარეს ყოვლისა, ესაა მოქალაქეთა თავშეყრის ადგილი, საზოგადოების წინაშე მდგარი ამოცანების გადასაწყვეტად განკუთვნილი სივრცე. ქოხის, ანუ insrus[72]-ისაგან განსხვავებით, ქალაქის დანიშნულება არც ისაა, რომ ავდარში შეიფაროს ადამიანი, და არც ის, რომ გამრავლების საშუალება მისცეს კაცთა მოდგმას; არა, მისი დანიშნულება სულ სხვა რამ გახლავთ. და არა კერძო, პირადი, თუ საოჯახო პრობლემის გადაჭრა: ის საზოგადოებრივ საკითხთა განსახილველად არის შექმნილი. კარგად დაუკვირდით: ეს სხვა არა არის რა, თუ არ ახალი სასიცოცხლო სივრცის გამოგონება, უფრო რევოლუციური აღმოჩენა, ვიდრე აინშტაინის მიერ გამოვლენილი სივრცეა. ქალაქის წარმოშობამდე არსებობდა მხოლოდ ერთი სივრცე - ველ-მინდორი, სადაც ცხოვრობდნენ კიდეც; იმხანად სწორედ ველ-მინდორი განაპირობებდა კაცთა ყოფის ყველა თავისებურებას. გლეხი ის არსებაა, რომელიც მცენარეული ცხოვრებით ცხოვრობს. მთელი მისი აზრი,

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

შეძენილია ელ. წიგნების ონლაინ მაღაზიაში iBooks.ge

გრძნობა თუ სწრაფვა, მოკლედ, მთელი მისი არსებობა, ნახევრად არაცნობიერი თვლემაა. ის ცხოვრობს ისე, როგორც იზრდება ბალახი. ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ დიდი აზიური თუ აფრიკული ცივილიზაციები ერთგვარი უზარმაზარი ანთროპომორფულ-მცენარეული წარმონაქმნები იყვნენ. მაგრამ ძველმა ბერძნებმა და ძველმა რომაელებმა გადაწყვიტეს გამოყოფოდნენ ველ-მინდორს, ბუნებას, გამოცალკევებულიყვნენ გეობოტანიკური კოსმოსიდან. რატომ ან რანაირად შეიქნა ეს შესაძლებელი?.. როგორ მოახერხებს ადამიანი ველ-მინდორში დამალვას? სად წავა, თუ მთელი დედამიწა ერთი ვეება ველ-მინდორია, უსასრულო და უკიდეგანო? გამოსავალი მარტივია: ველ-მინდვრის ამა თუ იმ ნაწილს გალავანი უნდა შემოვავლოთ, რომელიც უსასრულო და ამორფული სივრცისგან გამოჰყოფს ამ საზღვრულსა და სასრულ სივრცეს: ასე იქმნება მოედანი. სახლისაგან განსხვავებით, რომელიც ჭერით გადახურულ ინტერიერად გვევლინება, და ამ გაგებით მღვიმეს მოგვაგონებს, ტყეში რომ გვხვდება, მოედანი ტყისა და ველ-მინდვრის სრული და აბსოლუტური უარყოფაა. გალავნით შემოფარგლული მოედანი ველ-მინდვრისეული სივრცის ნაწილია; მთელ ველ-მინდორს რომ დაუპირისპირდა, მოედანი გამოეყო და ზურგი აქცია მას. ეს პატარა, ამბოხებული ველ-მინდორი, რომელმაც ბოლო მოუღო უსასრულობას, ეს ნაწილი, მკვეთრად რომ დაუპირისპირდა მთელს, სპობს და აუქმებს ველ-მინდორს, რომელმაც დასაბამი მისცა მას. ამიტომ, აბსოლუტურად ახალი თვისება რომ შეიძინა, მოედანმა შესძლო sui generis[73] სივრცედ ქცეულიყო, რომელშიაც ადამიანმა, ბოლოს და ბოლოს, თავი დააღწია ცხოველურსა და მცენარეულ სამყაროსთან ნათესაობას, და გალავნის გარეთ რომ დატოვა ისინი, სპეციფიკური, პირწმინდად ადამიანური სივრცე შექმნა თავის საცხოვრისად, - ეგრეთ წოდებული კულტურული სივრცე. სოკრატემ, ნებისმიერ, სხვა ბერძენზე უკეთ რომ გამოხატა ანტიკური პოლისის მკვიდრის სპეციფიკური ფსიქოლოგია, ერთხელ შენიშნა: რა მესაქმება ტყეში მოშრიალე ხეებთან, მე მხოლოდ მოქალაქეებთან თუ შემიძლია ურთიერთობა მქონდესო. განა შეეძლო ეს ეთქვა ძველ ინდოელს, სპარსს, ჩინელსა თუ ეგვიპტელს?

თვით ალექსანდრე მაკედონელისა და იულიუს კეისრის ეპოქამდე ძველი საბერძნეთისა და ძველი რომის ისტორია ფაქტიურად იყო დაუნდობელი ბრძოლა ორ სასიცოცხლო სივრცეს - ქალაქის რაციონალურ სივრცესა და ველ-მინდვრის ვეგეტატიურ სივრცეს შორის. იმავდროულად, ეს იყო ბრძოლა იურისტსა და მიწათმოქმედს, ins-სა და rus-ს შორის[74].

ნუ იფიქრებთ, თითქოს ქალაქის წარმოშობის ამნაირი ახსნა ჩემი პირადი მიხვედრა იყოს, მხოლოდ სიმბოლურად რომ შეესაბამება სინამდვილეს. ძველი ბერძნები თუ რომაული ქალაქის მკვიდრნი განსაცვიფრებელი დაჟინებით ცდილობენ თავიანთი მეხსიერების ყველაზე ღრმა და დასაბამიერი ფენებიდან გამოიხმონ მოგონება Synoikismos[75]-ის შესახებ. ჩემი შენიშვნის სისწორეში რომ დარწმუნდეთ, სულაც არაა აუცილებელი პირველწყაროთა ჩხრეკა, საკმარისია თვით ეს

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

სიტყვა ითარგმნოს. Synoikismos ხელშეკრულებაა ერთად ცხოვრების შესახებ, ამ სიტყვის როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული გაგებით. დაუმუშავებელ, ველურ სივრცეზე ვეგეტატიური არსებობის ხანას ენაცვლება ქალაქურ გარემოში კულტურული კონცენტრაციის დრო. ქალაქი თითქოს ზესახლია: ის კულტურის უფრო მაღალ დონეზე დგას, ვიდრე სახლი, რადგანაც სახლი იგივე ბუდეა, რომელსაც - ყველას კარგად მოეხსენება - მარტო ადამიანები კი არ აკეთებენ, არამედ ფრინველებიც. ქალაქი უფრო აბსტრაქტული და უფრო რთული წარმონაქმნია, ვიდრე ოჯახური oikos[76]. ქალაქი უკვე რესპუბლიკაა, politeia[77], რომელიც ქალებისა და კაცებისაგან კი არ შედგება, არამედ მოქალაქეებისაგან. ქალაქის წარმოშობასთან ერთად ადამიანური არსებობა ახალ განზომილებაში გადადის, რომელიც არანაირად არ დაიყვანება პირველყოფილ, ცხოველურ მდგომარეობაზე. იმათ, ვინც გუშინ მხოლოდ ადამიანები იყვნენ, ხოლო დღეს უკვე მოქალაქეები გახდნენ, მოუწევთ მთელი თავიანთი ძალ-ღონე მოახმარონ იმას, რომ უფრო მეტად აამაღლონ ამ ახალი არსებობის დონე. სწორედ ასე იქმნება ქალაქი, და თანაც, ის მაშინვე იქცევა ქალაქ-სახელმწიფოდ.

ხმელთაშუა ზღვისპირეთის მკვიდრთათვის ყოველთვის ნიშნეული იყო მიდრეკილება სახელმწიფოს სწორედ ამ ტიპის მიმართ. ზოგადი წესიდან ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, ეს მოვლენა დამახასიათებელია აფრიკის ჩრდილო სანაპიროსთვისაც (ქალაქი კართაგენი). XIX საუკუნემდე იტალია ქალაქ-სახელმწიფოდ რჩებოდა, და ჩვენს ლევანტესაც დროდადრო შვეიცარიის კანტონი ჰგონია თავი. მერედა, რა არის ეს, თუ არა ათასწლოვანი ისტორიის მქონე პრინციპის დრომოჭმული გამოვლინება[78]?

თავისი ინსტიტუტების არასაკმარისი განვითარების გამო ქალაქ-სახელმწიფოს მაგალითი საშუალებას გვაძლევს თავიდან ბოლომდე გავადევნოთ თვალი სახელმწიფოებრიობის პრინციპების თავისებურებებს. ერთის მხრივ, სიტყვა „სახელმწიფო“ იმას ნიშნავს, რომ ისტორიულ ძალთა შორის სიმშვიდე და წონასწორობა დამყარდა[79]. ამ გაგებით, სახელმწიფოებრიობის პრინციპი უპირისპირდება ისტორიული მოძრაობის პრინციპს; სახელმწიფო მისი მოქალაქეების სტაბილური, სტატიკური და ერთ მთლიანობად კონსტიტუირებული არსებობაა. მაგრამ როგორც ყოველთვის, წონასწორობის მდგომარეობისას, ეს უძრავი, მშვიდი და ნათელი ფორმა თავის სიღრმეში დინამიურ ძალებს იმარხავს, რომლებმაც დასაბამი მისცეს სახელმწიფოს და დღემდე უზრუნველყოფენ მის არსებობას. დინამიურ ძალთა ფარული ხასიათი გვაიძულებს დავივიწყოთ, რომ სახელმწიფო ძალაუფლების ჩამოყალიბებული ფორმა ამ ძალების შეუპოვარი ჭიდილის შედეგია, რომლებიც ამ ძალაუფლების დამყარებას ცდილობდნენ. სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებულ ფორმებს წინ უსწრებს მათი კონსტიტუირების პროცესი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სტატიკის პრინციპს წინ უსწრებს დინამიკის პრინციპი.

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

ყოველივე ზემოთქმულს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ სახელმწიფო ზეგარდმო ბოძებული საჩუქარი, ზეცის წყალობა როდია; პირიქით, სახელმწიფო საზოგადოებრივი ცხოვრების იმნაირი ფორმაა, რომელიც, დიდი შრომისა და ოფლისღვრის ფასად, ჩვენივე ხელით უნდა გამოვჭედოთ. სახელმწიფოს არაფერი აქვს საერთო ურდოსთან, ტომთან თუ სხვა სოციალურ წარმონაქმნებთან, სისხლხორცეული ნათესაობა რომ უდევთ საფუძვლად, ნათესაობა, რომლის ბუნებრივი წარმომავლობაც ადამიანის არავითარ ჩარევას არ საჭიროებს. სახელმწიფო სწორედ მაშინ იღებს დასაბამს, როცა ადამიანი ძალ-ღონის დაუზოგავად ცდილობს თავი დააღწიოს საზოგადოების იმ გვაროვნულ ტიპს, რომელთანაც სისხლხორცეული ნათესაობა აკავშირებს. „სისხლხორცეულობის“ ცნება უშუალოდ იწვევს ბუნებრივი წარმომავლობის სხვა ცნებებსაც. მაგალითად, ენის ცნებას. თავისი არსებობის პირველი მომენტიდანვე სახელმწიფო ნაირ-ნაირი სისხლისა და ენის ნაზავით ხასიათდება; სახელმწიფო ბუნებრივი, ზოოლოგიური ნიშნის მიხედვით წარმოქმნილი ნებისმიერი ტიპის საზოგადოებაზე უფრო მაღლა დგას. სახელმწიფო მეტისურია და მრავალენოვანი.

ასე, ქალაქი სხვადასხვა ხალხის გაერთიანებისაგან იღებს დასაბამს; ზოოლოგიურად ნაირგვარი მასალისაგან ის აგებს აბსტრაქტულსა და ერთგვაროვან ერთიანობას[80]. რა თქმა უნდა, იურიდიულ ერთიანობას არ შეუძლია იმ ძალად იქცეს, სახელმწიფოს შექმნამდე რომ მიგვიყვანდა. რეალიზაციისაკენ სწრაფვა ყოველთვის გაცილებით უფრო ქმედითია, ვიდრე ნებისმიერი სამართალი. სახელმწიფოებრიობის ნებისმიერი ფორმის სათავესთან ჩვენ ხან ბუნდოვნად, ხან უფრო ცხადად, მაგრამ მაინც ყოველთვის ვამჩნევთ დიდი ორგანიზატორის ნიშან-თვისებებს.

თუ ხელს მივყოფთ იმ ისტორიული პერიოდის შესწავლას, რომელიც წინ უსწრებდა სახელმწიფოს წარმოშობას, თითქმის ყველგან დავინახავთ ერთსა და იმავე სურათს: ადამიანთა პატარ-პატარა, ერთმანეთისაგან გათიშულ და განცალკევებულ ჯგუფებს, რომელთა სოციალური სტრუქტურაც ხელს უწყობს ამა თუ იმ ჯგუფის საშინაო ცხოვრების განმტკიცებას და დამკვიდრებას. ამ პატარა კოლექტივების სოციალური ფორმა საიმისოდაა გამიზნული, რომ უზრუნველყოს ადამიანთა არსებობა მხოლოდ მოცემული კოლექტივის შიგნით. ეს მოწმობს, რომ უწინ ადამიანთა ყოველი პატარა გაერთიანება სხვებისაგან იზოლირებულად, თავისით და თავისთვის ცხოვრობდა. ნებისმიერ კონტაქტს, რასაც ის ხანდახან მაინც ამყარებდა მეზობლებთან, ჩვეულებრივ, იშვიათი გამონაკლისის სახე ჰქონდა. მაგრამ ადამიანთა პატარ-პატარა ჯგუფების ამ იზოლირებულ არსებობას თანდათანობით სხვა ჯგუფებთან გარეგანი კონტაქტები და მათთან თანაარსებობა ცვლის, რაც განსაკუთრებით აქტიურად ვლინდება ეკონომიურ სფეროში, - და ახლა ადამიანი მარტოოდენ თვისტომთა ცხოვრებით როდიღა ცხოვრობს. ამიერიდან მისი არსებობა სხვა ტომობრივი გაერთიანების

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

წევრთა არსებობაზეა დამოკიდებული, რამდენადაც ის არამარტო მერკანტილური, არამედ ინტელექტუალური ხასიათის ურთიერთობასაც ამყარებს მათთან. წონასწორობა თანაარსებობის ორ - შინაგან და გარეგან ფორმას შორის ირღვევა, უკვე ჩამოყალიბებული და დამკვიდრებული სოციალური ფორმა - სამართალი, „ადათი“, რელიგია - ხელს უწყობს შინაგან თანაარსებობას და დაბრკოლებად ეღობება გარეგანს, უფრო ფართოდ გახსნილს და ახალს. ამ სიტუაციაში სახელმწიფო იქცევა იმ ძალად, რომელსაც შეუძლია მიწის პირისაგან აღგავოს შინაგანი თანაარსებობის დრომოჭმული სოციალური ფორმები და მათ ადგილას დაამკვიდროს სულ სხვა ფორმა, რომელიც ყველაზე სრულად შეესაბამება გარეგანი თანაარსებობის ახალ მოთხოვნებს. საკმარისია ევროპის დღევანდელ სიტუაციას მივუსადაგოთ ზემოთქმული, და თქვენ დაინახავთ, რომ ეს აბსტრაქტული დასკვნები რეალური სინამდვილის ფორმებსა და ფერებს შეიძენენ.

სახელმწიფოებრიობის ახალი ფორმების შექმნა შეუძლებელია, თუ ხალხი ფსიქოლოგიურად მომზადებული არ არის საიმისოდ, რომ ხელი აიღოს თანაარსებობის მისეული ფორმის ტრადიციულ სტრუქტურებზე, და ახალი, მისთვის ჯერ კიდევ უცნობი სტრუქტურები წარმოიდგინოს. ამიტომ სახელმწიფოს შექმნა შემოქმედებითი პროცესია: სახელმწიფოს წარმოშობა სხვა არა არის რა, თუ არა წარმოსახვის ქმედითობის აბსოლუტური ნაყოფი. წარმოსახვის აღმაფრენა თავისუფლებას ანიჭებს ადამიანს. სახელმწიფოს იდეა შეიძლება დაებადოს მხოლოდ იმ ხალხს, რომელსაც შეუძლია იოცნებოს. ამიტომაც იყო, რომ ყოველი ხალხი თავისი განვითარების ამა თუ იმ მომენტში მიადგებოდა გარკვეულ ზღვარს, რომლის იქითაც შეუძლებელი ხდებოდა სახელმწიფოებრიობის ფორმების შემდგომი სრულყოფა, - ეს იყო მათი ფანტაზიის ზღვარი, თვით ბუნების მიერ დადგენილი და დაწესებული.

ძველი ბერძნები და რომაელები, რომლებმაც შეძლეს გამოეგონებინათ ქალაქი, რათა მისი მეშვეობით დაეძლიათ უზარმაზარ ველურ სივრცეზე მიმოფანტული დაბები, - ამ ზღვართან შედგნენ და ვეღარ მოახერხეს ქალაქის ვიწრო გალავნიდან გამოსვლა. ვერ ვიტყვით, რომ მათ შორის არ იყვნენ გმირები, რომლებიც ცდილობდნენ გადაელახათ ძველი ბერძნებისა თუ რომაელების კარჩაკეტილობა და მათი ქალაქების გალავნებიდან გამოეყვანათ ისინი, მაგრამ ყველა ეს ცდა ფუჭი აღმოჩნდა. ბრუტუსის სახით, ვინც თავს იდო ანტიკურობის ყველაზე დიდი მეოცნების - კეისრის მოკვლა, გაიმარჯვეს ბნელმა ძალებმა, რომლებიც ჰბოჭავდნენ და გასაქანს არ აძლევდნენ ძველი რომაელების წარმოსახვას. მე შემხვევით როდი ჩამოვაგდე სიტყვა ამაზე: საქმე ისაა, რომ ევროპის ისტორიის წიგნი დღეს კვლავ იმავე თავზე გადაიშალა.

7

მთელს ძველ სამყაროში, როგორც ჩანს, მხოლოდ ორი ნათელი გონება თუ მოიძებნება - თემისტოკლე და კეისარი,

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

თანაც, ორივე პოლიტიკოსია. სწორედ ესაა საოცარი, რადგანაც პოლიტიკოსებად, მათ შორის, სახელგანთქმულ პოლიტიკოსებადაც, ჩვეულებრივ, ისინი გვევლინებიან, ვისი გონებრივი თვალსაწიერიც საკმაოდ შეზღუდული გახლავთ[81]. რა თქმა უნდა, ძველ საბერძნეთშიც და რომშიაც იყვნენ ადამიანები, რომლებსაც ნათელი წარმოდგენა ჰქონდათ ფილოსოფიის, მათემატიკისა თუ ბუნებისმეტყველების პრობლემებზე, მაგრამ ეს სინათლე და სიცხადე ნებისმიერი მეცნიერების აუცილებელი ატრიბუტია. ეს აბსტრაქტული მეცნიერული სიცხადე გახლავთ. ყოველივე ის, რაზედაც მსჯელობს მეცნიერება, აბსტრაქტული ბუნებისაა. მეცნიერება ოპერირებას ახდენს აბსტრაქტული ცნებებით, ხოლო ყველა აბსტრაქტული ცნება ნათელი ცნებაა. მეცნიერების ენა ნათელია, მაგრამ არა იმიტომ, რომ მეცნიერებს შეუძლიათ ნათლად გადმოგვცენ თავიანთი აზრები, არამედ იმიტომ, რომ თვით მეცნიერების საგანია მკაფიოდ გამოკვეთილი. ცხოვრებისეული, კონკრეტული რეალობა ყოველთვის უნიკალურია. მეცნიერებისაგან განსხვავებით, ის არსობრივად რთულია, ბუნდოვანი, გაუგებარი. ვისაც ამ სირთულესა და სიბნელეში სწორი ორიენტირების უნარი შესწევს, ვისაც შეუძლია ნებისმიერი ცხოვრებისეული სიტუაციის ქაოსში გამოიცნოს მისი არსის იდუმალი მექანიზმი, მოკლედ, ვინც არ იბნევა ცხოვრების ორომტრიალში, მართლაც რომ ნათელი გონების პატრონია. დაუკვირდით თქვენს ნაცნობებს და დაინახავთ, რა დაღვრემილ-დაძმარებული, ყურებჩამოყრილი და დაბნეულნი მილასლასებენ ცხოვრების გზაზე, მთვარეულებივით უაზროდ მისდევენ თავიანთ ბედნიერებას თუ სვედავსილობას, და წარმოდგენაც არა აქვთ, რა ამბავია მათ თავს. როცა მათსავე საკუთარსა თუ მოყვასთა ცხოვრებაზე გამოთქვამენ თავიანთ ბანალურ აზრებს, კაცმა შეიძლება იფიქროს, რომ აზრის ნატამალი მაინც მოეძებნებათ, მაგრამ საკმარისია ზერელედ მაინც გაანალიზოთ ეს აზრები და დაინახავთ, რომ ისინი არანაირად არ შეესაბამებიან იმ სინამდვილეს, რომელთან დაკავშირებითაც მათ გამოთქვამენ. ხოლო თუ დააპირებთ უფრო ღრმა ანალიზს დაუქვემდებაროთ ისინი, დარწმუნდებით, რომ ეს ადამიანები სულაც არ ცდილობენ თავიანთი აზრებით რაღაცნაირად მაინც გამოხატავდნენ სინამდვილეს; პირიქით, ამნაირი აზრები და წარმოდგენები მხოლოდ ამღვრევენ რეალობას, აბუნდოვანებენ ცხოვრების საზრისს. საბოლოო ანგარიშით, ცხოვრება ქაოსია, რომელშიაც ინთქმები და იკარგები. ჩვენ გუმანით ვგრძნობთ ამას, მაგრამ გვეშინია პირისპირ შევეჯახოთ საზარელ სინამდვილეს; ძალიან გვინდა, რომ ყველაფერი ნათელი და გასაგები იყოს ჩვენთვის, და ამიტომაც გამაოგნებელი წარმოდგენების ნიღაბს ვაფარებთ სინამდვილეს. „ადამიანი-მასა“ არას დაგიდევს ამ წარმოდგენების ჭეშმარიტებას თუ მცდარობას. ოღონდაც ცხოვრების შეტევა მოიგერიოს და ისევე იმალება ამ წარმოდგენებში, როგორც სიამედო სანგარში. ასე ჰგონია, წარბს თუ შეიკრავს და თვალებიდან ცეცხლს დააკვესებს, სინამდვილის დაფრთხობას და დაშინებას შესძლებს.

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

ნათელი გონების პატრონია ის, ვისაც შეუძლია გათავისუფლდეს ამ ქაოსური წარმოდგენებისგან და თამამად გაუსწოროს თვალი თავის ცხოვრებას. მაშინ მისთვის ცხადი გახდება ამ წარმოდგენების პრობლემატური ხასიათი და მთელ მის არსებას მოიცავს მიუსაფრობის გრძნობა. ყველაფერი ეს მართლაც ასეა: ცხოვრობდე, ნიშნავს აშკარად გრძნობდე შენს მიუსაფრობას ამქვეყნიური არსებობის ქაოსში, და ვინც ცხოვრებას აღიქვამს ისე, როგორც ისაა სინამდვილეში, ამით უკვე პოულობს გამოსავალს ყოფიერების ლაბირინთიდან, რადგანაც თავისი ნამდვილი სახით რომ ჭვრეტს რეალობას, ფეხქვეშ ჭანჭრობს კი აღარა გრძნობს, არამედ მყარ ნიადაგს. წყალწაღებულისა არ იყოს, მის არსებაში აღიძვრის გადარჩენის შმაგი სურვილი და ხარბად დაიწყებს იმის ძებნას, რასაც შეიძლება ჩაებღაუჭოს, და მაშინ მის მიერ შეძენილი ახალი, ბასრი, ტრაგიკული და აბსოლუტურად მართალი მზერა, რომლითაც ის აღიქვამს სამყაროს, დაეხმარება, რომ შეძლებისდაგვარად მოაწესრიგოს თავისი არსებობის ქაოსი. ამქვეყნად ჭეშმარიტია მხოლოდი ის აზრი, წყალწაღებულს რომ გაუელვებს თავში, წყალწაღებულს, რომელიც თავის გადარჩენას ცდილობს, ყოველივე დანარჩენი კი რიტორიკაა, პოზა და, არსებითად, ფარსი. ვინც ამქვეყნად თავის მიუსაფრობას და დაკარგულობას არ გრძნობს, სამუდამოდ დაკარგულია: ის ვერასოდეს იხილავს, ვერასოდეს მისწვდება რეალურ სინამდვილეს.

ზემოთქმული სამართლიანია ცხოვრების ყველა გამოვლენისთვის, მათ შორის, მეცნიერებისთვისაც, მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერება ცხოვრებისგან თავისებური გაქცევაა (ადამიანთა უმრავლესობა მხოლოდ იმიტომ უღრმავდება მეცნიერებას, რომ ეშინია პირისპირ შეეჯახოს ცხოვრებას. ნათელი წარმოდგენა რომ არა აქვთ იმის თაობაზე, რაც მათ ირგვლივ ხდება, ნებისმიერ კონკრეტულ სიტუაციაში თავგზა ებნევათ). ჩვენი მეცნიერული წარმოდგენები ფასეულნი ხდებიან მაშინ, როცა ამა თუ იმ მოვლენის კვლევისას ხელმოცარულნი ვხედავთ მის პრობლემატურობას და ისიც გვესმის, რომ ჩვენ უკვე აღარ შეიძლება გვაკმაყოფილებდნენ ძველი წარმოდგენები, მითითებები, ლოზუნგები და სიტყვები. იმისათვის, რომ მეცნიერებაში რაღაც ახალი აღმოაჩინო, ბევრი ოფლის ღვრა და ყოველივე იმის მონელება მოგიწევს, რაც ადრე შეგისწავლია. ახალ ჭეშმარიტებას მხოლოდ ბანალური აზრებისა და წარმოდგენების უკიდეგანო ტრამალზე ხეტიალისაგან დასისხლიანებული ფეხებით თუ მიადგები.

პოლიტიკა უფრო ახლოა რეალურ ცხოვრებასთან, ვიდრე მეცნიერება, რამდენადაც პოლიტიკური სიტუაცია ყოველთვის უნიკალურია, და ადამიანი ძალაუნებურად ჩათრეულია მასში. ამიტომ, იმის განსაზღვრის მიზნით, თუ ვის შეიძლება ვთვლიდეთ გამჭრიახ კაცად და ვის - რეტროგრადად, მოდით, პოლიტიკას მივმართოთ.

კეისრის მოღვაწეობა ყველაზე ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება განჭვრიტო არსობრივი სინამდვილის

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

კონტურები იმ კრიტიკულ მომენტში, როცა შეცბუნებულმა გონებამ აღარ იცის, რა გზას დაადგეს, და ერთ-ერთ ყველაზე ქაოტურ ეპოქაში, რომელშიაც ოდესმე უცხოვრია კაცობრიობას. და თითქოს კეისრის გამჭრიახობის უკეთ წარმოჩენის მიზნით, ბედმა ისე ინება, რომ მის გვერდით შესადარებლად დაეყენებინა ციცერონი თავისი უებრო ინტელექტით, რომელსაც დიდი ორატორი მთელი სიცოცხლის მანძილზე მხოლოდ იმას ახმარდა, რაც შეიძლება უფრო მეტად დაეხლართა ყველაზე ცხადი ჭეშმარიტებანი.

მუდმივმა წარმატებებმა თავბრუ დაასხა რომაელ პოლიტიკოსებს. ტიბერისის პირას მდებარე ქალაქი, რომელსაც ეკუთვნოდა იტალია, ესპანეთი, აფრიკის ნაწილი, აგრეთვე კლასიკური და ელინისტური აღმოსავლეთი, თიხის ფეხებზე შემდგარი კოლოსი იყო. მისი საზოგადოებრივი ინსტიტუტები მხოლოდ საშინაო პოლიტიკის პრობლემების გადასაჭრელად იყვნენ ვარგისნი, მათ ვერ მოსწყვეტდით ქალაქს ისე, რომ ყველანი არ დაღუპულიყვნენ, როგორც იღუპებიან დრიადები, თუკი იმ ფუღუროდან ამოიყვანენ, რომელშიც ცხოვრობენ.

ნებისმიერი დემოკრატიის სიცოცხლისუნარიანობა (მისი განვითარების საფეხურს ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს) ერთ პატარა ტექნიკურ დეტალზეა დამოკიდებული: ეს გახლავთ არჩევნების სისტემა. ყოველივე დანარჩენი მეორეხარისხოვანია. თუ არჩევნების ჩატარების წესი გონივრულადაა მოფიქრებული, თუ ის პოლიტიკურ რეალობას ესადაგება, მაშასადამე, საქმე კარგადაა, თუ არა და, ყველაფერი წყალში ჩაიყრება, თვით იმ შემთხვევაშიაც კი, დანარჩენი დემოკრატიული ინსტიტუტები უნაკლოდაც რომ ფუნქციონირებდნენ. ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნის დამდეგს რომის იმპერიის ძლევამოსილება ჯერ კიდევ უსაზღვროა, ის მდიდარია, ლაღი, ამაყი, და საშიშიც თითქოს არაფერია. მაგრამ მისი აღსასრული ცხრა მთას იქით როდია, და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მას არასდიდებით არ სურს ხელი აიღოს არჩევნების ყოვლად აბსურდულ სისტემაზე. არჩევნების სისტემა აბსურდული ხდება მაშინ, როცა ის მოუფიქრებელია. ხმის მიცემის უფლება მხოლოდ მოქალაქეებს ჰქონდათ, სოფლელებს არ შეეძლოთ მონაწილეობა მიეღოთ საარჩევნო კამპანიაში, ხოლო პერიფერიის მოსახლეობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. რაკი ნამდვილი არჩევნების ჩატარება შეუძლებელი გახლდათ, იძულებულნი იყვნენ მისი ფალსიფიცირება მოეხდინათ. ამომრჩევლებს შოლტით მიერეკებოდნენ ხმის მისაცემად. კანდიდატები ვეტერან ჯარისკაცებს და ცირკის ათლეტებს ქირაობდნენ საარჩევნო ურნების დასამსხვრევად.

ჭეშმარიტად საყოველთაო არჩევნების, მისი შემწეობის გარეშე დემოკრატიული ინსტიტუტები ჰაერში გამოკიდებულნი რჩებიან, ჰაერში გამოკიდებულნი რჩებიან, ჰაერში, სადაც დღემდე რიალებენ კეისრის სიტყვები: „რესპუბლიკისაგან მხოლოდ მისი სახელიღა დარჩა“. არცერთი თანამდებობა არ სარგებლობს პატივისცემით. როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე გენერლები - მარიუსიც და სულაც -

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

ხალხს თავზე ახვევენ თავიანთ უაზრო და სისხლიან დიქტატურებს, რომლებიც ჩიხში აქცევენ ქვეყანას.

კეისარს არასოდეს აუხსნია თავისი პოლიტიკის არსი: ახსნას მის განხორციელებას არჩევდა. განხორციელებით კი თვითონვე ახორციელებდა თავის პოლიტიკას, ისე, რომ ანგარიშს არ უწევდა კეისარიზმის სახელმძღვანელოებს, კეისარიზმისა, რომელმაც სულ მალე იჩინა თავი. თუ ამ პოლიტიკის გაგება გვინდა, სხვა გზა არა გვაქვს, გარდა იმისა, რომ გავაანალიზოთ კეისრის მოქმედება და თავისი სახელი ვუწოდოთ მას. მაშინ ჩვენ მოგვიწევს გავშიფროთ მისი ყველაზე გრანდიოზული საქმის საიდუმლო: ეს გახლავთ გალიის მხარეთა დაპყრობა. იმისათვის, რომ გალიაზე გაელაშქრა, კეისარი იძულებული იყო დაპირისპირებოდა მმართველობის არსებულ ფორმას. რამ განაპირობა ეს?

იმ ხანად ხელისუფლების სათავეში რესპუბლიკები, ესე იგი, ქალაქ-სახელმწიფოს პრინციპთა ერთგული კონსერვატორები იდგნენ. მათი პოლიტიკური ხაზი შეიძლება ორი ძირითადი მომენტით განისაზღვროს: ჯერ ერთი, მათი აზრით, საზოგადოებრივი ცხოვრების მთელი უბედურება რომის იმპერიის უკიდურესი გეოგრაფიული ექსპანსიის შედეგი იყო. ერთ ქალაქს, ამბობდნენ ისინი, არ შეუძლია ამდენი ხალხის მართვა; ამიტომ ყოველი ახალი მიწა-წყლის შემომტკიცება რესპუბლიკის წინააღდეგ მიმართულ დანაშაულად უნდა იქნეს შერაცხილიო. მეორეც, მათი მტკიცებით, იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინათ საზოგადოებრივ ინსტიტუტთა კრახი, სახელმწიფოს სათავეში უნდა დაეყენებინათ ერთპიროვნული მმართველი.

ჩვენთვის სიტყვას „მმართველი“ იმის სრულიად საპირისპირო მნიშვნელობა აქვს, რასაც მას ანიჭებდნენ ძველი რომაელები. მათთვის „მმართველი“ ისეთივე მოქალაქეა, როგორც ყველა დანარჩენი. მაგრამ ამ უკანასკნელთაგან განსხვავებით, ის უზენაესი უფლებამოსილებითაა აღჭურვილი, რათა უზრუნველყოს რესპუბლიკის საზოგადოებრივი ძალაუფლების ინსტიტუტთა საქმიანობის რეგულირება. ციცერონი თავის წიგნში „რესპუბლიკისათვის“ და სალუსტიუსი თავის მოგონებებში კეისარზე აჯამებენ რომაელ პუბლიცისტთა მსჯელობას ამ საკითხზე და მოითხოვენ, რომ აუცილებელია არჩეულ იქნეს princeps civitalis, rector rerum publicarum moderator[82].

კეისარი სულ სხვანაირ გამოსავალს სთავაზობს თავის თანამოქალაქეებს, ვიდრე კონსერვატორები. მთლიანად რომ იღებს და აღიარებს თავისი ქალაქის ესოდენ ქმედით პოლიტიკას, კეისარს ესმის: საიმისოდ, რომ შენარჩუნებულ იქნეს ოდინდელ ლაშქრობათა შედეგი, რომაელებმა მომავალშიაც უნდა განაგრძონ იგივე პოლიტიკის განხორციელება. უწინარეს ყოვლისა, საჭიროა დასავლეთის ახალი ხალხების დამორჩილება, რომლებიც, მისი აზრით, სულ მალე გაცილებით უფრო დიდ საფრთხეს შეუქმნიან რომს, ვიდრე აღმოსავლეთის გაახიზებული ხალხები. ამიტომაც ის გამუდმებით შეახსენებს თავის თანამოქალაქეებს, რაოდენ

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

აუცილებელია დასავლეთის ბარბაროსული ტომების რომანიზაცია.

ამბობენ (შპენგლერი და სხვ.), რომ ძველ ბერძნებს და რომაელებს არ გააჩნდათ დროის შეგრძნების უნარი, ისინი თითქოს ვერ გრძნობდნენ მათი სიცოცხლის განფენილობას დროში. ამიტომაც იყო, რომ მხოლოდ აწმყოში არსებობდნენ. ამნაირი განსაზღვრა მე არასწორი მგონია, ყოველ შემთხვევაში, ის ერთმანეთში ურევს ორ მოვლენას. ძველი ბერძენი თუ რომაელი გამაოგნებლად ბრმაა მომავლის მმართ. ის ვერც კი ამჩნევს მას, ისევე, როგორც დალტონიკოსი ვერ არჩევს წითელ ფერს. ანტიკური ეპოქის ადამიანი წარსულით ცოცხლობს. ვიდრე რაიმეს აღასრულებდეს, ის უკან იხევს ხვლიკივით, თავდასხმას რომ უპირებს მსხვერპლს. წარსულში ის ეძებს მისაბაძ ნიმუშს და წარსულის პრიზმიდანვე ჭვრეტს მთელ სამყაროს, პრიზმიდან, რომელიც ყველაფრის დეფორმაციას ახდენს. ამიტომ მისი ცხოვრება წარსულის განცდაა და გადამღერება. ეს კი ნიშნავს, რომ ძველი ბერძნები და რომაელები არქაისტები იყვნენ, თუმცა ყველა ძველი ხალხი არქაისტია. მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს მათ არ შეეძლოთ დროის აღქმა. დროის მათეული აღქმა არასრულფასოვანია. მისთვის ნიშნეულია მომავლისადმი ინტერესის უქონლობა და ჰიპერტროფირებული ყურადღება წარსულის მიმართ. ძველი ხალხებისაგან განსხვავებით, ჩვენ, ევროპელები, ყოველთვის მომავალზე ვართ ორიენტირებულნი, რადგანაც გვესმის, რომ სწორედ მომავალია დროის არსებითი განზომილება. ასე რომ, ჩვენთვის დრო თანდებულით - „მდე“ კი არ იწყება. არამედ ზმნიზედით - „შემდეგ[83]“, ამიტომაც გეჩვენება, რომ ძველი ბერძნების და რომაელების ცხოვრებას დროისმიღმური ხასიათი ჰქონდა.

თავის პედანტურ ჩვეულებას, ნიმუშად აიღოს წარსული და მას მიუსადაგოს აწმყო, თანამედროვე ფილოსოფოსი მემკვიდრეობით იღებს ძველი დროის ადამიანისაგან. ფილოლოგიც ასევე ბრმაა მომავლის მიმართ. ისიც ისეთივე რეტროგრადია, როგორც ანტიკური ეპოქის ადამიანი; ისიც წარსულში ეძებს აწმყოს პრეცედენტებს და ქედმაღლურად ამტკიცებს, რომ სწორედ ამ ცოდნაშია მოქცეული მისი „ძალის“ უჩვეულო ბუკოლიკური მომხიბვლელობა. მე უფლება მაქვს ამის თქმისა, ვინაიდან ჯერ კიდევ კეისრის ძველ ბიოგრაფებს გადაჭრით არ უნდოდათ მისი გრანდიოზული მოღვაწეობის ჭეშმარიტი მნიშვნელობის გაგება და ვარაუდობდნენ, თითქოს თავისი მოქმედებით ის ალექსანდრე მაკედონელს ბაძავდა. თუკი ალექსანდრეს ძილს უფრთხობდა და მოსვენებას არ აძლევდა მილტიადეს დიდება, მაშასადამე, ალექსანდრეს დიდების ხსოვნას კეისარიც ასევე უნდა გაეტანჯა უძილობით, და ასე შემდეგ, და სხვა მისთანანი. იგივე ნაბიჯი უკან, და თანაც ისე, რომ აწმყო ფეხდაფეხ მიედევნებინათ წარსულისათვის. თანამედროვე ფილოლოგი, ამ თვალსაზრისით, კლასიკური ეპოქის ბიოგრაფის ნაკვალევს მისდევს.

გინდ თითქმის ყველა ისტორიკოსივით გიმტკიცებია, რომ კეისარი შთაგონებული იყო ალექსანდრე მაკედონელის

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

მაგალითით, და გინდ კატეგორიულად უარგიყვია ყოველგვარი მცდელობა იმისა, რომ კეისრის მოღვაწეობის თავისებურებებს ჩასწვდე. ამ მოღვაწეობის ტენდენცია კი სრულიად სხვაა, ვიდრე ალექსანდრე მაკედონელის პოლიტიკური კურსისა. ერთადერთი, რაც მათ ერთმანეთთან აახლოებს, ის გახლავთ, რომ ორივეს მოქმედება მსოფლიო ბატონობის იდეითაა მოტივირებული. მაგრამ ეს იდეა ალექსანდრეს როდი ეკუთვნის, მას დიდი მაკედონელის დაბადებამდეც ელოლიავებოდა სპარსეთი. კეისარი რომ ალექსანდრეს მაგალითით ყოფილიყო შთაგონებული, მაშინ ის, წარსულის კვალდაკვალ, აღმოსავლური სამეფოების დაპყრობას დააპირებდა. მაგრამ რაკი გულის სიღრმეში ურყევად სწამდა, რარიგად აუცილებელი იყო დასავლეთის დამორჩილება, ეს ერთხელ კიდევ გვიდასტურებს იმ ფაქტს, რომ მისი პოლიტიკური მრწამსი ძირეულად განსხვავდებოდა ალექსანდრე მაკედონელის მრწამსისაგან. ეგეც არ იყოს, კეისარი სულაც არ ესწრაფოდა იმას, რომ აღმოსავლური ტიპის მსოფლიო იმპერია შეექმნა. არა, მისი მიზანი გაცილებით უფრო მასშტაბური იყო. კეისარს უნდოდა დაეარსებინა რომის იმნაირი იმპერია, რომელიც რომის კი არა, პროვინციებისა და პერიფერიების ხარჯზე იარსებებდა. ეს კი გულისხმობდა სახელმწიფოებრიობის ახალი, უფრო მაღალი დონის მიღწევას, ვიდრე ქალაქი-სახელმწიფოს განვითარების მაშინდელი დონე იყო. ახალი სახელმწიფო, კეისრის ოცნებით, სხვადასხვა ხალხის თანამშრომლობისა და ურთიერთშეწევნის პრინციპებზე უნდა ყოფილიყო დაფუძნებული. აქ უკვე აღარ იქნებოდა ცენტრი, რომელიც ბრძანებას იძლევა, და პერიფერია, რომელიც მის ბრძანებას ემორჩილება. დიდ მხედართმთავარს სურდა შეექმნა უზარმაზარი საზოგადოებრივი ორგანიზმი, რომლის თითოეული წევრის მთელი საქმიანობა სახელმწიფოს საკეთილდღეოდ იქნებოდა მიმართული, ზუსტად ისევე, როგორც თანამედროვე სახელმწიფოში. სწორედ ამ სწრაფვაში ვლინდება იულიუს კეისრის გენიის პროვიდენციული შორსმჭვრეტელობა. მაგრამ მაშინ ამნაირი სახელმწიფოს არსებობის შესანარჩუნებლად საჭირო იყო ანტიარისტოკრატიული საზოგადოებრივი ძალაუფლება, რომლის ინსტიტუტებიც რომის გარეთ უნდა ყოფილიყვნენ განლაგებულნი და გაცილებით უფრო დიდი ძალა ჰქონოდათ, ვიდრე რესპუბლიკურ ოლიგარქიას, ვიდრე თვით მმართველს, რომელიც ამ შემთხვევაში მხოლოდ primus interpares[84] იქნებოდა. ამნაირი აღმასრულებელი ძალაუფლება, მსოფლიო დემოკრატიის ინტერესთა გამომხატველი, შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ მონარქია ქალაქ რომის ტერიტორიის გარეთ მდებარე სატახტო ქალაქით.

რესპუბლიკა და მონარქია! აი, ორი სიტყვა, რომლებიც მთელი ისტორიის მანძილზე გამუდმებით იცვლიდნენ თავიანთ ჭეშმარიტ მნიშვნელობას. სწორედ ამიტომ აუცილებელია ყველა ცალკეულ შემთხვევაში გულდასმით ვიხილავდეთ ნებისმიერ კონკრეტულ სიტუაციას, თუ გვინდა მათ ჭეშმარიტ აზრს მივაკვლიოთ.

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

კეისრის დაახლოებული პირები, რომლებსაც ის ენდობოდა, თავიანთი ქალაქის არქაისტი პატრიოტები როდი იყვნენ. პირიქით, მათ შორის ვხედავთ ახლად დაწინაურებულ, ენერგიულსა და საქმიან ადამიანებს, თვით პროვინციელებსაც კი. კეისრის მინისტრი იყო კორნელიუს ბალბუსი, ენერგიული და ფხიანი კაცი, ატლანტის ოკეანის სანაპიროზე მდებარე „კოლონიის“ - კადისის მკვიდრი.

მაგრამ ჯერ კიდევ არ მოეწია დროს, როცა შეიძლებოდა ცხოვრებაში განხორციელებულიყო ოცნება ახალი სახელმწიფოს შესახებ: ლაციუმელ გონებაჩლუნგთა გამბედაობა საკმარისი არ იყო ესოდენ გადამწყვეტი ნაბიჯის გადასადგმელად. ქალაქის ხატება, მთელი თავისი გრძნობადი მატერიალურობით, თვალებზე ლიბრს აკრავდა მათ, და ამიტომ რომაელებმა ვერ შესძლეს „დაენახათ“ რაიმე არსებითი სიახლე იმ ტიპის საზოგადოებრივ ძალაუფლებაში, რომლის დამყარებაც უნდოდა კეისარს. სად გაგონილა, რომ საზოგადოების მართვაში მარტო რომის მოქალაქეები კი არა, პროვინციელებიც მონაწილეობდნენ? ან რას შეიძლება ემყარებოდეს ამნაირი მმართველობა, ერთის შეხედვით, ესოდენ მყიფე და მისტიური?

ამასთან დაკავშირებით ერთხელაც უნდა შეგახსენოთ, რომ ის რეალობა, რასაც ჩვენ სახელმწიფოს ვუწოდებთ, არ შეიძლება სისხლისმიერი ნათესაობით გაერთიანებულ ადამიანთა სტიქიური თანაარსებობა იყოს. სახელმწიფოს დასაბამი ეძლევა მაშინ, როდესაც ადამიანები, რომლებსაც ერთმანეთთან სისხლისმიერი ნათესაობა არ აკავშირებთ, იძულებულნი არიან თანაარსებობის პრინციპს დაემორჩილონ. ეს იძულებითი თანაარსებობა აღვირახსნილი ძალმომრეობის შედეგი როდია. პირიქით, ესაა ადამიანთა გათიშულ-განცალკევებული ჯგუფების ნებაყოფლობითი გაერთიანება საერთო მიზნის მისაღწევად. სახელმწიფო, უწინარეს ყოვლისა, მოქმედების პროექტი და თანამშრომლობის პროგრამაა. ის მოუწოდებს ადამიანებს, ერთობლივი ძალისხმევით იმოქმედონ მათ წინაშე მდგარი პრობლემების გადასაწყვეტად. სახელმწიფო არ არის საერთო ენისა თუ ტერიტორიის მქონე, სისხლისმიერი ნათესაობითა თუ ხანგრძლივი თანაცხოვრებით ერთმანეთთან დაკავშირებულ ადამიანთა გაერთიანება. „სახელმწიფოს“ ცნება არავითარ მატერიალურს, ინერტულს, ერთხელ და სამუდამოდ მოცემულსა და შეზღუდულს არ გულისხმობს. სახელმწიფო თვით დინამიკაა, მისთვის ნიშნეულია სწრაფვა საერთო მიზნის ხორცშესხმისაკენ. სწორედ ამიტომ სახელმწიფოებრიობის იდეა არ შეიძლება ექვემდებარებოდეს რაიმე ფიზიკურ შეზღუდულობას[85].

საგანგებო აზრის შემცველია საავედრა-ფარხადოს პოლიტიკური დევიზი-ისარი, და მის ქვემოთ წარწერა: „სიმაღლისკენ ან სიღრმისკენ“. აი, ესაა სახელმწიფო. მისი არსი სტატიკა კი არაა, არამედ მოძრაობა. თავისი არსებობის ყოველ მომენტში სახელმწიფო საიდანღაც მოდის და სადღაც მიემართება. მოძრაობის ყველა სხვა სახისა არ იყოს, ისიც terminus a quo და terminus ad quem[86]-ია. შეწყვიტეთ ერთხანს

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

სახელმწიფოს ჭეშმარიტი ცხოვრება, და თქვენ მართლაც დაინახავთ ადამიანთა თანაარსებობას, რომელიც თითქოს მატერიალური ცხოვრების ამა თუ იმ ატრიბუტზე - სისხლისმიერ ნათესაობაზე, ენასა თუ „ბუნებრივ საზღვრებზეა“ დაფუძნებული. სტატიკის თვალსაზრისით სწორედ ესაა სახელმწიფო. მაგრამ, ადრე თუ გვიან, აუცილებლად გამომჟღავნდება, რომ ადამიანთა ეს გაერთიანება გამუდმებით ისწრაფის იმისაკენ, რომ გადალახოს თავისი გაერთიანების მატერიალური პრინციპი, რაკიღა ისე იქცევა, როგორც, ჩვეულებრივ, იქცევიან ამნაირი გაერთიანებანი: მეზობელ ხალხებს იმორჩილებს, კოლონიებს აარსებს, ან კოალიციურ კავშირს ამყარებს სხვა სახელმწიფოებთან. სწორედ ესაა terminus ad quem[87], სწორედ ესაა ჭეშმარიტი სახელმწიფო, რომლის ერთიანობაც ნებისმიერი სტატიკის დაძლევასა და გადალახვაში მდგომარეობს. თუ ეს სწრაფვა გარკვეული მიზნისკენ ქრება, სახელმწიფოს ნგრევა გარდუვალია. მისი ხსნა თვით იმ ერთიანობასაც კი აღარ შეუძლია, რომელიც ყოველთვის არსებობდა და, თავისი მატერიალურობის წყალობით, თითქოს ურყევი ჩანდა (რასა, ენა, ბუნებრივი საზღვრები). სახელმწიფო ირღვევა, იშლება და მტვრად იქცევა.

მხოლოდ სახელმწიფოს ამ ორმაგი ბუნების - უკვე არსებული ერთიანობისა და ახალი ერთიანობისაკენ დაუცხრომელი სწრაფვის - მართებული გაგება თუ შეგვაძლებინებს გავიცხადოთ მისი ჭეშმარიტი არსი. ყველას კარგად მოეხსენება, რომ აქამდე არ არსებობს ერის ზუსტი განსაზღვრა. ამ სიტყვის დღევანდელი გაგებით, ქალაქი-სახელმწიფო გვივლენდა ცხადზე უცხადესი ცნების ნიმუშს, რაც შეიძლებოდა თვალნათლივ დაგენახათ. მისგან განსხვავებით, ადამიანთა გაერთიანების ახალი ტიპი, გალიისა და გერმანიის საზოგადოებრივი ცხოვრების სიღრმეში რომ ყალიბდებოდა და ხელს უწყობდა დასავლეთში პოლიტიკური მოღვაწეობის ახალი მიმართულების დამკვიდრებას, - ცოტა არ იყოს, ბუნდოვანი, განუსაზღვრელი და გაურკვეველი ჩანდა. არქაიზაციის მოყვარე ფილოლოგი (ხოლო ნებისმიერი თანამედროვე ისტორიკოსი გულის სიღრმეში სწორედ ამნაირი ფილოლოგია) შეცბუნებული ჩერდება ამ ძნელად ასახსნელი ფაქტის წინაშე და ზუსტად ისევე იბნევა, როგორც ოდესღაც იბნეოდნენ კეისარი და ტაციტუსი, თავიანთი რომაული ტერმინოლოგიით რომ ცდილობდნენ იმის ახსნას, თუ რას წარმოადგენდნენ ის სახელმწიფოები, რომლებიც ალპებსა თუ რაინს გადაღმა გადაჭიმულ ტერიტორიაზე, ან, ვთქვათ, ესპანეთში ყალიბდებოდნენ. ისინი მათ civitas-ს, gens natio[88]-ს უწოდებდნენ, თუმცა მშვენივრად ესმოდათ, რომ არცერთი ეს სახელწოდება არ ესადაგებოდა დასავლელთა ამ გაერთიანებებს. რომელთა წევრებსაც მოქალაქეებად ვერ მიიჩნევდით იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ისინი მოქალაქეები არც იყვნენ[89].

არავითარი აზრი არა აქვს, კიდევ უფრო გავაბუნდოვანოთ ამ სიტყვის (ერი) მნიშვნელობა და ვამტკიცოთ, რომ ის გულისხმობდა გარკვეულ ტერიტორიასაც, სადაც ბარბაროსები ცხოვრობდნენ. ახალი ხალხები ძალიან

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

ადვილად იცვლიდნენ თავიანთ საცხოვრისს, ან, ყოველ შემთხვევაში, ასევე ადვილად ავრცობდნენ ან ამცრობდნენ მას. მათ გაერთიანებებს საფუძვლად უკვე აღარ უდევს ეთნიკური ერთობა, როგორც gentes nationes[90]. საითაც არ უნდა გავიხედოთ, ყველგან დავინახავთ, რომ ახალ სახელმწიფოთა შემადგენლობაში სხვადასხვა ტომების წარმომადგენელნი შედიან, მათ ძარღვებში სხვადასხვა წინაპართა სისხლი ჩქეფს. მაშ, რაღაა ერი, თუკი მას ვერც სისხლისმიერ ნათესაობას ვუწოდებთ, ვერც გარკვეულ ტერიტორიაზე თანაცხოვრებას და ვერც სხვა მისთანათ?

მოდით, ამ შემთხვევაში ისე მოვიქცეთ, როგორც უნდა ვიქცეოდეთ მუდამ, ესე იგი, გავაანალიზოთ კონკრეტული ისტორიული ფაქტები. ალბათ, ამნაირი ანალიზი მაინც მოგვცემს ამ მოვლენის ახსნის საშუალებას. რა გვეცემა თვალში, როცა ვაკვირდებით ამა თუ იმ „თანამედროვე ერის“, ვთქვათ, ფრანგების, ესპანელებისა თუ გერმანელების განვითარების ისტორიას? უწინარეს ყოვლისა, აი, რა არის თვალში საცემი; ის, რაც გარკვეულ ისტორიულ მომენტში თითქოს ერად გვევლინებოდა, ისტორიის მომდევნო პერიოდში უკვე აღარ იყო ერი. თავდაპირველად, ერი თითქოს სხვა არა არის რა, თუ არა ტომი, არა ერი კი - მეორე, მეზობელი ტომი. შემდეგ ერი უკვე ორი ტომისაგან შედგება. უფრო გვიან მის შემადგენლობაში შედიან სხვა მეზობელი ტომები და ხალხები, ბოლოს კი ერი საგრაფოს, საჰერცოგოსა თუ „სამეფოს“ ქმნის. თავდაპირველად ერი ლეონია, მაგრამ არა კასტილია, შემდეგ ლეონი და კასტილია, მაგრამ არა არაგონი. აქ ჩვენ საქმე გვაქვს ორ პრინციპთან. ერთი - გარდუვალი ზრდის ცვლადი პრინციპი - საერთო ენითა თუ დიალექტით გაერთიანებული ტომი, ოლქი, საჰერცოგო, „სამეფო“. მეორე პრინციპი კი მუდმივია, თავისუფლად რომ ევლება თავს ყველა ზღვარსა თუ საზღვარს და ერთიანობის საფუძვლად აცხადებს იმას, რაც, პირველი პრინციპის თანახმად, სხვა არა არის რა, თუ არა რადიკალური დაპირისპირებულობა.

თანამედროვე ფილოლოგები (მე ამ სახელს ვუწოდებ ყველას, ვისაც „ისტორიკოსად“ მოაქვს თავი) მომხიბლავი მონაჩმახით გვიმასპინძლდებიან, როცა ამტკიცებენ, თითქოს ის დასავლელი ერები, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინათ, ორი თუ სამი საუკუნეა, რაც ჩამოყალიბდნენ, - ოდითგანვე არსებობდნენ, და თითქოს ვერც ინგეტორიქსი და სიდი ცდილობდნენ შეექმნათ ერთიანი საფრანგეთი, სენ-მალოდან სტრასბურგამდე, ანდა Spania[91], - ფინისტერიდან გიბრალტარამდე. ეს ფილოლოგები, ერთი მიამიტი დრამატურგისა არ იყოს, თითქმის ყოველთვის ოცდაათწლიან ომში ისტუმრებენ თავიანთ გმირებს. როდესაც ცდილობენ აგვიხსნან, როგორ წარმოიშვა თანამედროვე საფრანგეთი ან ესპანეთი, „ისტორიკოსები“ მხოლოდ თავიანთ ვარაუდს ეყრდნობიან, რომლის თანახმადაც, ერთიანი საფრანგეთი და ერთიანი ესპანეთი თითქოს უკვე არსებობდნენ სადღაც, ფრანგებისა თუ ესპანელების სულის სიღრმეში. მაგრამ ან ფრანგი სად იყო და ან ესპანელი ერთიანი საფრანგეთისა თუ

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

ესპანეთის შექმნამდე? განა ფრანგი ან ესპანელი ერი ერთბაშად, ერთის დაკვრით ჩამოყალიბდა, და არა ისტორიის უმძიმესი, ორიათასწლოვანი რუდუნების შედეგად?

ჭეშმარიტება აკი ის გახლავთ, რომ არცერთი თანამედროვე ერი სხვა არა არის რა, თუ არა იმავე დასაბამიერი, ცვლადი პრინციპის გამოვლინება, პრინციპისა, რომელიც ბედის მიერ საიმისოდაა განწირული, რომ თავისი თავი დასძლიოს. ახლა უკვე ეს პრინციპი სისხლისმიერ ნათესაობასა თუ ენობრივ ერთიანობაში როდი ვლინდება, ვინაიდან საფრანგეთის ან ესპანეთის მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, სისხლისა და ენისმიერი ერთიანობა ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების მიზეზი კი არა, მისი შედეგი იყო. ამ ეტაპზე ზემოხსენებული პრინციპი „ბუნებრივი საზღვრების“ დადგენაში ვლინდება.

სავსებით ბუნებრივია, რომ დიპლომატი, თავისი მახვილგონივრული მოსაზრებებით რომ ხელმძღვანელობს და გამოცდილ მოფარიკავესავით მოხერხებულად კენწლაობს „ბუნებრივი საზღვრების“ ცნებით, დავისას ultima ratio[92]-დ იყენებს მას. მაგრამ ისტორიკოსის საქმე როდია ამ ცნების ჩრდილს შეაფაროს თავი, თითქოს ის უკანასკნელი სანგარი იყოს. „ბუნებრივი საზღვრების“ ცნებას საგანგებო აზრობრივი დატვირთვა არ გააჩნია და ის არაფერ საბოლოოსა და დასრულებულს არ შეიცავს.

არ უნდა დაგვავიწყდეს ჩვენ მიერ დასმული საკითხის მთელი სერიოზულობა. ამრიგად, ჩვენ შევეცდებით გავარკვიოთ, მაინც რა განასხვავებს ნაციონალურ სახელმწიფოს (ესე იგი, იმას, რასაც ამჟამად ერს ვუწოდებთ) სახელმწიფოთა სხვა ტიპისაგან, როგორიცაა, მაგალითად, ქალაქი-სახელმწიფო, ანდა ამ უკანასკნელის საპირისპირო სახელმწიფოებრივი ფორმაციისაგან, როგორიცაა, ვთქვათ, ავგუსტუსის მიერ დაარსებული იმპერია[93]. თუ საჭიროა კიდევ უფრო ზუსტად და მკაფიოდ ჩამოვაყალიბო ჩემი აზრი, მაშინ შეიძლება ითქვას: „რა რეალურმა ძალამ მისცა დასაბამი საფრანგეთს, ინგლისს, ესპანეთს, იტალიას, ან გერმანიას, ესე იგი, ასეულ მილიონობით ერთად მცხოვრებ ადამიანს, ერთი და იმავე ტიპის საზოგადოებრივ ძალაუფლებას რომ ემორჩილებიან?“ ეს ძალა არ შეიძლება დასაბამიერ სისხლხორცეულ ნათესაობაზე იყოს დაფუძნებული, ვინაიდან თვითეულ ამ კოლექტიურ ორგანიზმს სრულიად სხვადასხვა შედგენილობით სისხლი ასაზრდოებს. ეს ძალა ვერც ლინგვისტური ერთიანობა იქნება, რადგანაც მოცემულ მომენტში ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებული ხალხები სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ, ან დღესაც ლაპარაკობენ. ენისა და წარმომავლობის ფარდობითი ერთგვაროვნება, რომლითაც ისინი სიამოვნებით სარგებლობენ დღეს (თუკი აქ, საერთოდ, შეიძლება სიამოვნებაზე ვილაპარაკოთ), სხვა არა არის რა, თუ არა პოლიტიკური გაერთიანების შედეგი. ამრიგად, სახელმწიფოს წარმოშობა შეუძლებელია როგორც სისხლისმიერი ნათესაობის, ისე ენობრივი ერთიანობის საფუძველზედაც; პირიქით, სწორედ სახელმწიფო ახდენს იმ თავდაპირველ სხვაობათა ნიველირებას, რაც ნიშნეულია სისხლის შედგენილობისა თუ

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

სხვადასხვა სიტყვათა წარმოთქმისათვის. ყოველთვის ასე იყო. არასოდეს, ან ძალზე იშვიათად თუ მომხდარა, რომ სახელმწიფოს წარმოშობას საფუძვლად დასდებოდა სისხლისმიერი ნათესაური კავშირი თუ ენობრივი ერთობა. ესპანეთი დღეს ესპანელი ხალხის სახელმწიფოა, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ მთელ მის ტეროტორიაზე ესპანურად ლაპარაკობენ[94]. არაგონი და კატალონია იმის შედეგად როდი ჩამოყალიბდნენ ნაციონალურ სახელმწიფოებად, რომ მათი საზღვრები ერთ მშვენიერ დღეს კასტილიის საზღვრებს დაემთხვა. ჩვენ უფრო ახლოს ვიქნებოდით სინამდვილესთან, თუ რეალური ისტორიული სიტუაციის მთელი სირთულის გათვალისწინებით, ამნაირ ვარაუდს წამოვაყენებდით: ამა თუ იმ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხისათვის ნიშნეულ ლინგვისტურ ერთობას, ჩვეულებრივ, წინ უსწრებდა გარკვეული ტიპის გაერთიანება პოლიტიკური პრინციპის თანახმად[95]. სახელმწიფო ყოველთვის დიდი მთარგმნელი-პოლიგლოტი იყო. ამნაირი დასკვნა დიდი ხანია თავისით გვეხვევა თავზე, და მით უფრო საოცარია, როდესაც ხედავ, რა დაჟინებით ცდილობენ დაგვარწმუნონ იმაში, რომ ერის ძირითად ნიშნებად სისხლისმიერი ნათესაური კავშირი და ენა გვევლინება. ამნაირ მტკიცებას მე აღვიქვამ არა მარტო შეუსაბამობად სინამდვილის მიმართ, არამედ უმადურების გამოვლენადაც. თანამედროვე საფრანგეთი და ესპანეთი ხომ თავიანთ არსებობას უნდა უმადლოდნენ გარკვეულ პრინციპს, რომლის მოქმედებაც სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ თანდათანობით გადაელახა სისხლისა თუ ენისმიერი ერთობის ზღვარი სახელმწიფოებრიობის გავრცელების კვალდაკვალ. დღევანდელი საფრანგეთი ან ესპანეთი შეიძლებოდა იმის სრულიად საპირისპირო რამ ყოფილიყო, რამაც ორივე მათგანის წარმოშობა განაპირობა.

ზუსტად ასევე აბუნდოვანებს საკითხის არსს ყველა, ვისი მტკიცებითაც, ერის ფორმირებას საფუძვლად დაედო ერთ ტერიტორიაზე ცხოვრება; მათი აზრით, რაკი სისხლისმიერი კავშირი და ენობრივი ერთობა საკმარისი არ არის ერის გასაერთიანებლად, ამ გაერთიანების მიზეზი უნდა იყოს იმ პრინციპის მისტიური მოქმედება, რომელიც ადგენს „ბუნებრივ საზღვრებს“. თუ დღევანდელი ერები კონტინენტურ ტერიტორიათა დიდი ნაწილისა და ახლომდებარე კუნძულების მცხოვრებლებად გვევლინებიან, ეს საკმაოდ შემთხვევით გარემოებათა შედეგი გახლავთ. თავგამოდებით ცდილობენ ახლანდელ საზღვრებს საბოლოო და ამაღლებული მნიშვნელობა მიანიჭონ. მათ ბუნებრივ წარმომავლობას რომ ამტკიცებენ, ამით სურთ ხაზგასმით წარმოგვიჩინონ, თითქოს მათი „ბუნებრიობა“ იმ ერთგვარი მისტიური უპირატესობის შედეგია, რასაც ბუნება ანიჭებს ხალხების გაერთიანებას გეოგრაფიული ნიშნის მიხედვით. მაგრამ საკმარისია ამ მოსაზრებას იგივე არგუმენტი დავუპირისპიროთ, რომელსაც ვეყრდნობოდით იმ მტკიცების გასაბათილებლად, თითქოს ერის ფორმირებას სისხლისა და ენისმიერი ერთობა ედოს საფუძვლად, და ეს მითი მაშინვე გაქარწყლდება. თუ

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

დავუფიქრდებით, რას წარმოადგენდა საფრანგეთი ან ესპანეთი რამდენიმე საუკუნის წინათ, დავინახავთ, რომ ამ ქვეყნების მოსახლეობას, სისხლის სხვადასხვაობის მიხედვით, ძალიან ჭრელი ხალხი შეადგენდა; თანაც, ყოველი ეს ხალხი თავის საკუთარ ტერიტორიაზე ცხოვრობდა და თავისი საზღვრები ჰქონდა. პირენეები და ალპები, რომლებიც დღეს ბუნებრივ საზღვრებად გვევლინებიან, შეიძლებოდა არც ისე მაღლები ყოფილიყვნენ, ხოლო საზღვაო თუ სამდინარო საზღვრებს, ვთქვათ, რაინს, პა-დე-კალესა თუ გიბრალტარის სრუტეს ნაკლები სიგანე ჰქონოდათ. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს ჩვენს აზრს იმის შესახებ, რომ ამ საზღვრების „ბუნებრიობა“ ძალზე ფარდობითი ცნებაა და ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიურ სიძლიერესა თუ სამხედრო პოტენციალზეა დამოკიდებული.

ყბადაღებული „სახელმწიფო საზღვრების“ ისტორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი თითქოს ბუნებრივ დაბრკოლებად გვევლინებიან, რაც A ხალხის ექსპანსიისაგან იცავს B ხალხს. ამრიგად, სახელმწიფო საზღვრები მართლაც დაბრკოლებად ეღობება წინ A ხალხს, რომელიც ომსა თუ მშვიდობიან თანაარსებობას ესწრაფვის. „ბუნებრივი საზღვრების“ ცნება თვით ამ საზღვრებზე უფრო ბუნებრივად გულისხმობს ექსპანსიისა და ხალხთა ერთ მთლიანობად შერწყმის უსაზღვრო შესაძლებლობას. როგორც ჩანს, ამ შერწყმას ხელი შეიძლება შეუშალოს მხოლოდ ისეთმა მატერიალურმა ზღუდემ, როგორიცაა „ბუნებრივი საზღვრები“. დღეს ჩვენ უკვე აღარ გვგონია, რომ საფრანგეთისა და ესპანეთის გუშინდელი თუ გუშინწინდელი საზღვრები ხელს უწყობდნენ ფრანგებისა თუ ესპანელების ნაციონალურ ერთიანობას. და მაინც, ჩვენ ვცდილობთ ფუნდამენტური და საბოლოო მნიშვნელობა მივანიჭოთ სახელმწიფო საზღვრებს, მიუხედავად იმისა, რომ სატრანსპორტო საშუალებებისა და სამხედრო ტექნიკის განვითარების შედეგად ისინი უკვე აღარ შეიძლება დაბრკოლებად გვევლინებოდნენ.

რა როლი უნდა ეთამაშათ საზღვრებს ერების ფორმირების პროცესში, თუკი მათი არსებობა, როგორც უკვე დავამტკიცეთ, არ შეიძლებოდა ამ პროცესის პოზიტიური საფუძველი ყოფილიყო? ამ კითხვის პასუხი მარტივია და, თანაც, მას დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გასაგებად, თუ რა განასხვავებს ასე ძირფესვიანად, ერთის მხრივ, იმ პრინციპებს, რომლებიც წარმართავდნენ ნაციონალური სახელმწიფოს შემქმნელთა მოქმედებას, და მეორეს მხრივ, პრინციპებს, რომლებიც საფუძვლად უდევს ქალაქ-სახელმწიფოს არსებობას. საზღვრების ფუნქცია სწორედ ის იყო, რომ დაეფიქსირებინათ დროის გარკვეულ მომენტში მიღწეული პოლიტიკური ერთიანობა. მაშასადამე, საზღვრების არსებობა არ შეიძლებოდა ყოფილიყო ის საწყისი, რომელიც ხელს უწყობდა ერის ჩამოყალიბებას. პირიქით, საზღვრები ჯერ დაბრკოლებად გვევლინებოდნენ, ხოლო მათი საბოლოო დადგენის შემდეგ იმ ბუნებრივ საშუალებად იქცნენ, რაც უზრუნველყოფდა მიღწეული ერთიანობის შენარჩუნებას.

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

არადა, ზუსტად ამნაირი ისტორიული როლი უნდა შეესრულებინათ სისხლისმიერ ნათესაობასაც და ენასაც. ტომობრივი ერთიანობა არასდიდებით არ შეიძლებოდა საფუძვლად დასდებოდა ერის ჩამოყალიბებას; პირიქით, ნაციონალური სახელმწიფო თავისი ფორმირების პროცესში იძულებული იყო გადაელახა ეს დაბრკოლებაც, მრავალ სხვა ხელისშემშლელ მიზეზთან ერთად, როგორიცაა, მაგალითად, პოლიეთნიზმი თუ მრავალენოვნება. ამ დაბრკოლებების დაძლევა ხელს უწყობდა სხვადასხვა ტომებისა და სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანების გაერთიანებას, ხოლო შემდეგ - ამ ერთიანობის განმტკიცებას.

რაღა დაგვრჩენია, გარდა იმისა, რომ ერთხელ და სამუდამოდ ჩამოვაცილოთ ყალბი შარავანდედი ტრადიციულ წარმოდგენას ნაციონალური სახელწიფოს შესახებ და თანდათანობით შევეჩვიოთ იმ აზრს, რომ ეს სამი მიზეზი, რომელიც თითქოს საფუძვლად უდევს სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, სინამდვილეში სხვა არა არის რა, თუ არა ყველაზე დიდი დაბრკოლება, რისი გადალახვაც მოუხდა ნაციონალურ-სახელმწიფოებრივ იდეას თავისი განვითარების გზაზე. და რაკი პირველად მე ვცადე გამექარწყლებინა ეს მცდარი წარმოდგენა, რა თქმა უნდა, კრიტიკის ქარცეცხლი, უწინარეს ყოვლისა, სწორედ მე დამატყდება თავზე, კრიტიკისა, რომელიც ბრალად დამდებს საკითხის არსის გაყალბებას.

მოდით, გავბედოთ და პირდაპირ გავაცხადოთ: ნაციონალური სახელმწიფოს საიდუმლო ისაა, რომ იგი სწორედ ნაციონალურ სახელმწიფოდ იქნა ჩაფიქრებული. ამ საიდუმლოს ახსნა თვით სახელმწიფოს პოლიტიკურ კურსში უნდა ვეძებოთ, და არა ამ პოლიტიკისათვის სრულიად უცხო ბიოლოგიური თუ გეოგრაფიული ხასიათის პრინციპებში.

რატომ შეიქმნა საჭირო „რასის, ენისა და საცხოვრებელი ტერიტორიის ერთიანობის“ ცნებები მოგვესპო თანამედროვე ერების იდუმალებით მოცული წარმოშობის ასახსნელად? მხოლოდ იმიტომ, რომ ძველი ყაიდის სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, თანამედროვე სახელმწიფოს მოქალაქენი აშკარად გამოხატავენ რადიკალურ თანხმობას საზოგადოებრივი ძალაუფლების ინსტიტუტებისადმი, რომლებსაც ყოველნაირად უჭერენ მხარს. ძველ ათენსა თუ რომში საზოგადოებრივ ძალაუფლებას რამდენიმე კაცი განასახიერებდა, დანარჩენები კი მონები, პროვინციელი მოკავშირეები თუ კოლონუსები, მოკლედ, ხელქვეითები იყვნენ. თანამედროვე ინგლისში, საფრანგეთსა თუ ესპანეთში მოქალაქეები არასოდეს არ ყოფილან მარტოოდენ ხელქვეითები: პირიქით, ისინი ყოველთვის მხარს უჭერდნენ სახელმწიფო ძალაუფლებას და თვითონაც მონაწილეობდნენ მის აღსრულებაში. სხვადასხვა დროს ეს კავშირი სახელმწიფოსთან თვით სახელმწიფოს შიგნით სხვადასხვანაირ ფორმებს იღებდა, განსაკუთრებით, იურიდიულ სფეროში. ყოველთვის არსებობდა ინდივიდუალური სხვადასხვაობა რანგებისა თუ სტატუსის მიხედვით, ყოველთვის არსებობდნენ მეტ-ნაკლებად პრივილეგირებული საზოგადოებრივი კლასები

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

თუ ადამიანები და ბედით ჩაგრულნიც. მიუხედავად ამისა, თუ მოვინდომებთ გავაანალიზოთ პოლიტიკური სიტუაციის ნამდვილი სურათი ამა თუ იმ ეპოქაში, დავინახავთ, რომ ყოველი მოქალაქე, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის წყალობით, აქტიურად თანამშრომლობს სახელმწიფოსთან. ერი, ამ სიტყვის იმნაირი გაგებით, რანაირითაც ის უკვე საუკუნეზე მეტხანს იხმარება დასავლეთში, „ორი ჰიპოსტასის“ - საზოგადოებრივი ძალაუფლებისა და მისდამი დაქვემდებარებული მოქალაქეების ერთობას ნიშნავს. რანაირიც არ უნდა იყოს სახელმწიფოს ფორმა - პრიმიტიული, ანტიკური, შუა საუკუნეობრივი თუ თანადროული, - ის ყოველთვის გულისხმობს ხელშეკრულებას ორ სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს შორის ერთობლივი საქმიანობის განსახორციელებლად. ეს საქმიანობა, მისი კონკრეტული გამოვლინებების მიუხედავად, საბოლოო ანგარიშით, მიზნად ისახავს თანაცხოვრების გარკვეული წესის დამკვიდრებას. სახელმწიფო და ცხოვრებისეული პროგრამა, მოქმედების გეგმა თუ ადამიანის ქცევა, - ყველა ეს ცნება ურღვევი კავშირით ერწყმის ერთმანეთს. ამა თუ იმ სახელმწიფოში სხვადასხვა საზოგადოებრივი კლასის წარმოშობა იმ ურთიერთობაზეა დამოკიდებული, რასაც სახელმწიფო ძალაუფლებით მოსილი ჯგუფი ამყარებს საზოგადოების სხვა ფენებთან. ასე მაგალითად, ძველ სახელმწიფოთა ხელისუფალნი ვერასოდეს ვერ ახერხებდნენ ერთობლივი საქმიანობისათვის დაკავშირებოდნენ სხვა სოციალურ ჯგუფებს, რომი მართავდა იტალიასაც და პროვინციებსაც, რომი იყო როგორც ნახევარკუნძულის მოსახლეობის, ისე პროვინციელების ცივილიზატორი, მაგრამ მას არასოდეს გაუყადრებია თავი მათთვის და არც საერთო მიზნის მისაღწევად ერთობლივი თანამშრომლობისთვის მიუწვევია ისინი. საკუთრივ ქალაქში მიუღწეველი რჩებოდა მოქალაქეთა პოლიტიკური ერთიანობა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რესპუბლიკის დროინდელი რომი ფაქტიურად ორი ქალაქი იყო: სენატის ქალაქი და ხალხის ქალაქი. სახელმწიფოებრივი ერთიანობა არასოდეს გასცილებია ერთურთის მიმართ არსებითად უცხო ჯგუფების მექანიკური ურთიერთობის ფარგლებს. ამიტომ როცა იმპერიას საფრთხე დაემუქრა, ხელისუფლებს საერთოდ არ ჰქონიათ სხვა ჯგუფების შემწეობის იმედი. ისინი იძულებულნი იყვნენ მარტოოდენ სამხედრო-ბიუროკრატიული აპარატის მეშვეობით დაეცვათ იმპერიის სუვერენიტეტი. არა, ძველ ბერძნებს და რომაელებს არ შესწევდათ იმის უნარი, რომ სხვებს შერწყმოდნენ, რასაც რთული და სიღრმისეული მიზეზები უდევს საფუძვლად. ჩვენ აქ არა გვაქვს საიმისო დრო, რომ ამ მიზეზების ახსნას შევუდგეთ, მაგრამ ერთ - ყველაზე მთავარ მიზეზზე მაინც შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას. საქმე ისაა, რომ ანტიკური ეპოქის ადამიანს ძალზე მარტივი, ტლანქი და პრიმიტიული წარმოდგენა ჰქონდა იმ თანამშრომლობაზე, რომელიც, გვინდა თუ არა, ნებისმიერი სახელმწიფოს საფუძვლად გვევლინება: მისი გაგებით, ეს იყო მმართველთა და ხელქვეითთა დუალიზმი[96]. რომის მოწოდება მმართველობა

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

იყო და არა მორჩილება[97]. დანარჩენებს კი მარტოოდენ მორჩილება ევალებოდათ და არა ის, რომ საზოგადოება ემართათ. ამიტომაც იყო, რომ სახელმწიფოს იდეა მატერიალიზდებოდა pomerium[98]-ში და თავის სიმბოლურ გამოხატულებას ჰპოვებდა ქალაქის სახით, რომლის გალავნითაც მატერიალურად შემოფარგლული იყო ქალაქის მთელი ტეროტორია.

მაგრამ დღეს უკვე ჩნდება „სახელმწიფოს“ ცნების ნაკლებად მატერიალური ინტერპრეტაცია. თუ სახელმწიფო ერთობლივი მოქმედების განსახიერებაა, მის ერთ-ერთ ძირითად სპეციფიკურ ნიშნად დინამიურობა გვევლინება: შემოქმედების პროცესი, თანამშრომლობა. ამ განსაზღვრის შესაბამისად, სახელმწიფოს საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას იღებს პოლიტიკური სუბიექტი, ესე იგი, ნებისმიერი ადამიანი, ვინც საზოგადო საქმეს აძლევს მთელ თავის ძალას. სწორედ ესაა მთავარი, ყოველივე დანარჩენი კი - რასა, სისხლისმიერი ნათესაობა, გეოგრაფიული საცხოვრისი, ამა თუ იმ საზოგადოებრივი კლასისადმი კუთვნილება, - მეორე პლანზე ინაცვლებს. ახლა უკვე ძველი, უხსოვარი დროიდან არსებული, ტრადიციული, წარსულისაკენ მიქცეული. მოკლედ, დრომოჭმული ერთობა კი აღარ ანიჭებს სახელს იმ პოლიტიკურ თანაარსებობას, რასაც სახელმწიფო ჰქვია, არამედ სულ სხვა ერთობა. ესაა აბსოლუტურად ახალი ერთობა ადამიანებისა, რომლებიც თავიანთი ოფლითა და შრომით სჭედენ საკუთარ მომავალს. სახელმწიფოში ჩვენ გვაერთიანებს არა მარტო ის, რაც იყო გუშინ, არამედ ისიც, რასაც ერთობლივი ძალისხმევით ავაგებთ ხვალ. აი, რატომაა, რომ დასავლური ქვეყნების პოლიტიკური ერთიანობის იდეა ასე ადვილად წყვეტს იმ ბორკილებს, რომლებიც ბოჭავდნენ ანტიკურ სახელმწიფოს. ამიტომ ევროპელი, „homo antiquus[99]-ისაგან განსხვავებით, უფრო გახსნილია მომავლისათვის, ის მომავლით ცხოვრობს და მომავლის მსჯავრითვე განსჯის თავის დღევანდელ მოქმედებას.

ამნაირი პოლიტიკური ტენდენცია გარდუვალად გამოიწვევს ადამიანთა სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობის გაერთიანებას, რადგანაც ამ პროცესის შეჩერება, არსებითად, შეუძლებელია. უსაზღვროა ურთიერთშერწყმის უნარი. მე ვგულისხმობ არა მარტო ერთი ხალხის მეორესთან შერწყმის უნარს, არამედ (რაც უფრო მეტად ნიშნეულია ნაციონალური სახელმწიფოსათვის,) - ყველა საზოგადოებრივი კლასის შერწყმასაც პოლიტიკური მოღვაწეობის პროცესში. რაც უფრო მეტად იზრდება ერი ეთნიკური თვალსაზრისით, რაც უფრო მასშტაბურია მისი გეოგრაფიული ექსპანსია, მით უფრო საბოლოო და შეუქცევად ხასიათს იღებს შიდაპოლიტიკური თანამშრომლობა, ნაციონალური სახელმწიფო დემოკრატიულია თვით თავისი არსით და სწორედ ამიტომ მმართველობის სხვადასხვა ფორმებს ფუნდამენტური მნიშვნელობა არ გააჩნიათ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ყველა, ვინც თანამედროვე ერის წარმოშობას საერთო წარსულით ხსნის, ბოლოს და

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

ბოლოს, იძულებული ხდება რენანისეული ფორმულის კიდევ ერთი წევრით შეავსოს თავისი ახსნა, წევრით, რომელიც სისხლის, ენისა და ტრადიციების მიერ ერთობას ახალ ატრიბუტს - „პლებისციტუმის ჩვეულებას“ უმატებს. მაგრამ კარგად თუ გესმით, რას ნიშნავს ეს? იქნებ შეგვიძლია ამ გამოთქმას ახლავე მივანიჭოთ უფრო ჭეშმარიტი, იმ მნიშვნელობისაგან ძირეულად განსხვავებული შინაარსი, რასაც მას ანიჭებდა რენანი?

8

„იყო სახელოვანი წარსულის მემკვიდრე, ზურგს უკან გქონდეს მოტოვებული აწ უკვე ხორცშესხმული გრანდიოზული წამოწყებანი, ფლობდე აწმყოში მოქმედების ნებას და გქონდეს მომავალში კიდევ უფრო სასახელო საქმეთა აღსრულების სურვილი, - აი, რა უწყობს ხელს ერის, როგორც განუყოფელი მთლიანობის, ჩამოყალიბებას. ერმა წარსულისაგან მემკვიდრეობით მიიღო არა მარტო სინდისის ქენჯნა, არამედ დიადი მიღწევებიც, მომავალში კი მას ელის ერთობლივი მოქმედების ერთიანი პროგრამის განხორციელება... ერის არსებობის პირობა პლებისციტუმის ჩვეულებაა“.

ასეთია ერის საყოველთაოდ ცნობილი დეფინიცია, რომელიც რენანს ეკუთვნის. რითი აიხსნება მისი უჩვეულო პოპულარობა? ეჭვს გარეშეა, რომ რენანის გამონათქვამი თავის პოპულარობას უნდა უმადლოდეს სულ ბოლო, ძალზე დახვეწილ შენიშვნას. აზრი იმის შესახებ, რომ ერის არსს საზოგადოებრივი პრობლემის საყოველთაო სახალხო განხილვა შეადგენს, მაცოცხლებელ სიოსა ჰგავს, დასიცხულ შუბლს რომ გვიგრილებს. მკაცრი, ფატალური, სტატიური და ინერტული პრინციპები - სისხლისა თუ ენისმიერი ერთობა, საერთო წარსული - დილეგის ვიწრო კედლებივით დამთრგუნველ ზემოქმედებას ახდენენ ჩვენზე. ერი რომ მარტოოდენ ამ სამი პრინციპის წყალობით არსებობდეს, მაშინ ჩვენ უკან მოვიტოვებდით თვით „ერის“ ცნებას, როგორც სრულიად უსარგებლო რასმე. ერი პროცესის შედეგი იქნებოდა და არა თვით პროცესი. ამ შემთხვევაში აზრი აღარ ექნებოდა ჩვენი მტრებისაგან მის დაცვას.

გვინდა თუ არა, ადამიანის არსებობა ყოველთვის მომავალზეა ორიენტირებული. აწმყოს ყოველი მომენტი უხილავი ძაფებით უკავშირდება მერმისს. ამიტომ ცხოვრება მუდმივი მოქმედებაა, შესვენებისა თუ სულის მოთქმის გარეშე. მაშ, დღემდე რატომ არავის მიუქცევია ყურადღება იმისათვის, რომ მოქმედებაა, ნებისმიერი მოქმედება მომავლის შენებას ნიშნავს? აწმყოს მოცემულ მომენტში ჩვენ იმ მიზნით ვრთავთ ჩვენი მეხსიერების მექანიზმს, რომ უახლოეს მომავალში რაღაცას მივაღწიოთ, თუნდაც ეს „რაღაც“ მარტოოდენ წარსულის სასიამოვნო მოგონება თუ მისი ხელახლა განცდა იყოს. მოგონებებით მოკრძალებული ტკბობის არსი ისაა, რომ წარსული ანაზდად, ერთის წამით, სასურველ მერმისად წარმოგვიჩნდება. აქედან დასკვნა: ადამიანისათვის არსებობას

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

აზრი ენიჭება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის მომავალს უკავშირდება[100].

ერი რომ მხოლოდ წარსულით და აწმყოთი ცოცხლობდეს. არავინ აღარ დაიცავდა თავის სამშობლოს, როცა მას მტრები ესხმიან თავს. ვინც საპირისპიროს ამტკიცებს, ან ბრიყვია, ანდა პირფერი. ერის საერთო წარსული მხოლოდ ხელს უწყობს იმას, რომ მომავლის რეალურმა თუ წარმოსახულმა სტიმულებმა იჩინონ თავი. მერმისზე ფიქრისას, ჩვენი ერის არსებობის გარეშე ვერ წარმოგვიდგენია იგი. ამიტომ ყოველ წამს მზადა ვართ ძვირად დავუსვათ მტერს ჩვენს სამშობლოზე თავდასხმა. დიახ, სწორედ ამიტომ, და არა იმის გამო, რომ ყველას ერთი სისხლი გვიდუღს ძარღვებში, ერთ ენაზე ვლაპარაკობთ და საერთო წარსული გვაქვს: ჩვენი სამშობლოს არსებობას რომ ვიცავთ, ამით ჩვენს გუშინდელ კი არა, ხვალინდელ დღეს ვიცავთ.

სწორედ ამ რეალობას ასახავს რენანის დეფინიცია, რომლის თანახმადაც, მომავალში ერთობლივი მოქმედების გეგმაა ის, რაც ერს განუყოფელ მთლიანობად აერთებს. დღეს მოსახლეობის გამოკითხვა წყვეტს ხვალინდელი დღის ბედს. ის გარემოება, რომ ამ შემთხვევაში სამომავლო მოქმედება წარსულში იმავე მოქმედების გაგრძელებად გვევლინება, იოტის ოდენადაც არა ცვლის საქმის არსს, არამედ ერთხელ კიდევ გვიდასტურებს რენანისეული დეფინიციის არქაისტულ ხასიათს.

ნაციონალური სახელმწიფოს იდეაში განსახიერებული სახელმწიფოებრიობის პრინციპი გაცილებით უფრო ახლოა სახელმწიფოზე იდეალურ წარმოდგენასთან, ვიდრე ანტიკური პოლისი თუ ნათესაურ კავშირზე დაფუძნებული არაბთა „ტომობრივი“ სახელმწიფო. ჩვენი წარმოდგენა „ერის“ შესახებ საკმაოდ გადატვირთულია მისი „საერთო წარსულის, ერთი და იმავე რასისადმი კუთვნილებისა თუ ერთსა და იმავე ტერიტორიაზე ცხოვრების“ ბალასტით. მაგრამ სწორედ ამიტომ ჩვენს მუდმივ განცვიფრებას იწვევს ადამიანთა ერთობის დიადი პრინციპის ტრიუმფი, ერთობისა, რომელსაც ერთობლივი მოქმედების სასიცოცხლო პროგრამა უდევს საფუძვლად. მეტიც, მე ვიტყოდი, რომ წარსულის ამ ბალასტსაც და ნაციონალური იდეის, როგორც მატერიალურ ნიშანთა ერთობლიობის საკმაოდ არასრულ განსაზღვრასაც შემთხვევით როდი უჩენია თავი დასავლელ ადამიანთა სულში. ნაციონალური იდეის ამნაირი გაგება მისი „ერუდიტული“ ინტერპრეტაციისაგან იღებს დასაბამს, რომელიც რომანტიკოსებმა შემოგვთავაზეს. შუა საუკუნეებში რომ ჩამოყალიბებულიყო ერის იმნაირი გაგება, რომელიც XIX საუკუნემ შემოგვთავაზა, თანამედროვე ინგლისს, საფრანგეთს, ესპანეთსა თუ გერმანიას, ალბათ, ვერასოდეს იხილავდა ქვეყნიერება[101]. ერის ამნაირი გაგება ერთმანეთში ურევს ორ პრინციპს: ესენია, ერთის მხრივ, პრინციპი, რომელიც ერის ჩამოყალიბების შთამაგონებელ სტიმულად გვევლინება და ხელს უწყობს მის ფორმირებას, მეორეს მხრივ, პრინციპი,

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

რომლის წყალობითაც ხდება ერის კონსოლიდაცია და ერთ განუყოფელ მთლიანობად მისი ჩამოყალიბება. ერები (დროა ერთხელ და სამუდამოდ შევიგნოთ ეს) პატრიოტიზმის წყალობით როდი ჩამოყალიბებულან. გინდ ის გიმტკიცებია, რომ ერს პატრიოტული იმპულსი აყალიბებს ერთ მთლიანობად, და გინდ დაუსრულებლივ გიმეორებია ერთი და იგივე გაცვეთილი ჭეშმარიტება, რომლის მცდარობაზედაც უკვე მიგაქცევინეთ ყურადღება. თვით რენანიც კი, თავისი სახელგანთქმული განსაზღვრის ფორმულირებისას, ანალოგიურ შეცდომას უშვებს. თუ „ერი“ ადამიანთა ამა თუ იმ ჯგუფის საერთო წარსულს ნიშნავს, მაშინ რანაირ პასუხს გავცემთ შემდეგ კითხვას: „რა სახელი შეიძლება ვუწოდოთ ადამიანთა იმავე ჯგუფს, ვიდრე ის აწმყოდ განიცდის იმას, რაც დღევანდელი დღის სიმაღლიდან წარსულად წარმოგვიჩნდება? როგორც ჩანს, აუცილებელია, რომ ერთობლივი არსებობა, წარსულში გადასვლისთანავე, უკვე აღარ იყოს ის, რაც არის. და მაშინ შეიძლებოდა გვეთქვა: „ჩვენა ვართ ერთი ერი“. ნუთუ ვერ ამჩნევთ აქ იმავე პროფესიულ სიბეცეს წარსულის მიმართ მიქცეული ფილოლოგისა თუ არქივარიუსისა, აწმყოს დანახვა რომ არ შეუძლია? ფილოლოგს საიმისოდ, რომ ფილოლოგი იყოს, წარსულის არსებობა სჭირდება. მაგრამ ერებს, ვიდრე უკან მოიტოვებდნენ საერთო წარსულს, ჯერ ეს ერთობა უნდა შეექმნათ, მის შექმნამდე კი უნდა მოეწადინებინათ მისი ხორცშესხმა, დაეგეგმათ და ეოცნებათ კიდევაც მასზე. ერს არსებობისათვის საკმარისია ჰქონდეს საკუთარი საარსებო პროგრამა, თუნდაც ისეთი, ყოველთვის რომ არ უწერია ცხოვრებაში განხორციელება, და საბოლოოდ კრახსაც განიცდის, როგოც ეს არაერთხელ მომხდარა ისტორიაში. ამ შემთხვევაში საქმე გვექნება ერთან, რომელმაც თავისი თავის რეალიზაცია ვერ შესძლო (ასეთია, მაგალითად, ბურგუნდიელთა ერი).

ესპანელ ხალხსა და ცენტრალური თუ სამხრეთ ამერიკის ხალხებს საერთო წარსული, საერთო ენა აქვთ და საერთო წინაპრებიცა ჰყავთ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამერიკელი ხალხები არ შედიან ესპანელი ერის შემადგენლობაში, რატომ? რატომ და იმიტომ, რომ, ეტყობა, საერთო არა აქვთ ის, რაც მთავარია, კერძოდ, მომავალი. ესპანეთმა ვერ შესძლო მომავლის ერთად შენების ისეთი პროგრამა შეეთავაზებინა მათთვის, რომელიც თანამშრომლობის სურვილს აღუძრავდა ზოოლოგიური თვალსაზრისით ჩვენთან ახლოს მდგომ ამ ხალხებს. საზოგადოებრივი საკითხების გადაჭრისადმი ფუტურისტულმა მიდგომამ ვერასდიდებით ვერ მოიკიდა ფეხი ესპანეთში. ამიტომ ჩვენი გადარჩენა ვერც საარქივო მასალებმა შესძლო, ვერც ერთობლივი წარსულის ხსოვნამ, ვერც საერთო წინაპრებმა და ვერც ეგრეთწოდებულმა „სიყვარულმა სამშობლოს მიმართ“. როდესაც არსებობს მომავლის შენებისაკენ საერთო სწრაფვა, ყოველივე ის, რაც ზემოთ ჩამოვთვალეთ, დაუყოვნებლივ იძენს ძალას და იმ საძირკვლად იქცევა, რომელსაც უნდა დაეფუძნოს ერის განუყოფელი მთლიანობა, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ საძირკვლად[102].

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

შეძენილია ელ. წიგნების ონლაინ მაღაზიაში iBooks.ge

ამრიგად, ნაციონალური სახელმწიფო სხვა არა არის რა, თუ არა თავისი პლებისციტური ხასიათის ხარჯზე არსებული თავისებური სტრუქტურა. ნაციონალური იდეის ყველა დანარჩენი გამოვლინება, თავისი ფასეულობის მიხედვით, წარმავალია და ფარდობითი, რადგანაც ან შინაარსია, ან ფორმა, ანდა იმ პირნციპის დასტური, რომელიც პლებისციტუმის მოქმედებაში ვლინდება. რენანმა შესძლო ეპოვა სიტყვა, რომელმაც ჯადოსნური ფარანივით გააშუქა პრობლემის არსი, რადგანაც პლებისციტუმის ცნება საშუალებას გვაძლევს ნათელი მოვფინოთ ერის რთულ არსობრივ სტრუქტურას, რომელიც ორი ინგრედიენტისაგან შედგება. ერთი ამ ინგრედიენტთაგანი ერთობლივი თანაარსებობაა, რომელიც მიზნად ისახავს ერთიანი საყოველთაო მოქმედების განხორციელებას, მეორე კი - ასევე საყოველთაო მხარდაჭერა, რასაც ხალხი არ აკლებს ამ მოქმედების განხორციელების პროექტს. სწორედ ეს ერთსულოვანი და საყოველთაო მხარდაჭერაა ის შინაგანი ძალა, ერთ განუყოფელ მთლიანობად რომ ადუღაბებს ადამიანებს ნაციონალურ სახელმწიფოში და, ამრიგად, ისტორიაში არსებული ყველა სხვა სახელმწიფოსაგან განსხვავებს ამ უკანასკნელს. გარდასულ ეპოქათა სახელმწიფოებში ეს გაერთიანება ხორციელდება იმ გარეგანი ზემოქმედების შედეგად, რასაც ძალაუფლების ინსტიტუტები ახდენენ ერთმანეთისათვის უცხო სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებზე, მაშინ როდესაც თანამედროვე სახელმწიფოს ძლიერებას „ხელქვეითთა“ სწორედ ამ უშუალო და ორგანულ მთლიანობაში აქვს ფესვი გადგმული. სინამდვილეში კი ეს „ხელქვეითები“ იგივე სახელმწიფოა, და ამიტომაც არ განიცდიან მას როგორც უცხო, მათდამი მტრულად განწყობილ ძალას. სწორედ ესაა „ნაციონალურობის“ ცნების აბსოლუტურად ახალი და განსაცვიფრებელი ხასიათი.

და მაინც რენანი თითქმის მთლიანად აქარწყლებს თავის მართებულ განსაზღვრას, აქარწყლებს იმით, რომ რეტროსპექტულ იერს ანიჭებს მას, რაკიღა ამტკიცებს, რომ პლებისციტუმი ნიშნეულია უკვე ჩამოყალიბებული ერისათვის, და რომ პლებისციტუმის ქმედითობა თუ უმოქმედობა გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენს ერის შემდგომ ბედზე. მე ვამჯობინებდი, შემეცვლა რენანისეული გამოთქმის ნიშანი და ერისადმი in statu nascendi[103] მიმესადაგებინა იგი. სწორედ ეს მდგომარეობა განაპირობებს მის სპეციფიკურ ხასიათს. ერი დინამიური ცნებაა. ამით განსხვავდება იგი სახელმწიფოებრიობის სხვა ფორმებისგან. ერი მუდმივად ან ფორმირების პროცესშია, ან დაშლის პროცესში, - tertium non datur[104]. ის ან იძენს, ან კარგავს მომხრეებს. ეს იმაზეა დამოკიდებული, შეუძლია თუ არა სახელმწიფოს, მრავალწლიანი მოქმედების ქმედითი გეგმა შესთავაზოს თავის მოქალაქეებს.

ძალზე საგულისხმო იქნებოდა, თვალი გაგვედევნებინა იმისათვის, თუ რა წარუშლელ ზემოქმედებას ახდენდა დასავლეთში სხვადასხვა გრანდიოზულ პროექტთა განხორციელება ადამიანური არსებობის მოდუსზე, რაც

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

შეძენილია ელ. წიგნების ონლაინ მაღაზიაში iBooks.ge

თვალნათლივ დაგვარწმუნებდა, რომ ამ პროექტების ხორცშესხმა არა მარტო განწონიდა საზოგადოებრივი ცხოვრების მთელ ატმოსფეროს, არამედ ევროპელის ინდივიდუალური არსებობის ყველაზე შორეულ კუნჭულებსაც უწევდა. ჩვენ დავინახავდით, რომ ამ გრანდიოზულ წამოწყებათა აღსრულება თავისებურად „წვრთნიდა“ ევროპელის სულს, მაშინ როდესაც უქმად ყოფნა ხელს უწყობდა მის შემდგომ დემორალიზაციას.

ამნაირი ანალიზი გამოავლენდა სახელმწიფოებრიობის ანტიკური ფორმების შემდეგ თავისებურებას: ძველი ხალხების სახელმწიფოებრივი წამოწყებანი დროსა და სივრცეში არსებითად შეუზღუდავნი იყვნენ სწორედ იმიტომ, რომ არასოდეს არ ხერხდებოდა სახელმწიფოებრივ საქმიანობაში მათ მიერ დაპყრობილი ხალხების ჩართვა. სახელმწიფო ტომისა თუ ქალაქის გარდუვალი შეზღუდულობისათვის იყო განწირული. ერთ ხალხს - სპარსელს, მაკედონელსა თუ რომაელს - შეეძლო თავისი იმპერიისათვის მიეერთებინა დედამიწის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ხალხების მიწა-წყალი. მაგრამ რაკი ამნაირი გაერთიანება შეუძლებელია ჭეშმარიტი, საბოლოო და შინაგანად აუცილებელი ყოფილიყო, ამიტომ მისი შენარჩუნება შესაძლებელი იყო მხოლოდ სამხედრო ძალის მეშვეობითა თუ დამპყრობელი ხალხის მიერ განხორციელებული ადმინისტრაციული ღონისძიებებით. დასავლეთში კი ნაციონალურმა გაერთიანებამ თავისი განვითარების გზაზე რამდენიმე გარდუვალი ეტაპი განვლო. ის ფაქტი, რომ ევროპაში შეუძლებელი შეიქნა იმნაირი იმპერიის დაარსება, რომელიც სპარსული ყაიდისა თუ ალექსანდრე მაკედონელის ან ავგუსტუსის მიერ შექმნილ იმპერიებს ემგვანებოდა, - უფრო მეტ განცვიფრებას უნდა იწვევდეს, ვიდრე სინამდვილეში იწვევს.

ევროპული ერების ჩამოყალიბების პროცესი შემდეგნაირად მიმდინარეობდა. **პირველი ეტაპი.** მხოლოდ დასავლელი ადამიანისათვის ნიშნეულ საგანგებო ინსტინქტს, რომლის ზემოქმედებითაც სახელმწიფო მოიაზრება, როგორც სხვადასხვა ხალხის ერთ მთლიანობად შერწყმა, ქცევის ერთნაირ წესს რომ ემორჩილება, - შედეგად მოსდევს გეოგრაფიული თუ ლინგვისტური თვალსაზრისით ერთმანეთთან ყველაზე ახლოს მდგომი ეთნიკური ჯგუფების გაერთიანება. ერი ეთნიკურ, ლინგვისტურსა თუ გეოგრაფიულ სიახლოვეზე როდია დაფუძნებული. პირიქით, გაერთიანება ხდება იმის წყალობით, რომ ახლოს მყოფის მრავალფეროვნება უფრო ადვილად ემორჩილება მართვას. **მეორე ეტაპი** კონსოლიდაციის პერიოდს შეესაბამება, რომლის განმავლობაშიაც ის ვიღაც სხვები, ახლად შექმნილი სახელმწიფოს გარეთ რომ დარჩნენ, აღიქმებიან როგორც უცხონი და პოტენციური მოწინააღმდეგენი. ამ პერიოდში ნაციონალური იდეა თავის განსაკუთრებულობას აცხადებს და საკუთარი სახელმწიფოს ფარგლებში იკეტება, მოკლედ, თავს იჩენს ის, რასაც დღეს ნაციონალიზმს ვუწოდებთ. მაგრამ პარადოქსი ისაა, რომ ვიდრე სხვებს, პოლიტიკური

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

შეძენილია ელ. წიგნების ონლაინ მაღაზიაში iBooks.ge

თვალსაზრისით, უცხოელებად და მეტოქეებად ვთვლით, ჩვენ შეგვიძლია ეკონომიურად, მორალურად თუ ინტელექტუალურად კვლავაც გავაგრძელოთ მათთან თანამშრომლობა და თანაარსებობა. ნაციონალისტური ომები სწორედ იმისთვისაა საჭირო, რომ მოახდინონ სახელმწიფოთა ტექნიკური თუ სულიერი განვითარების სხვადასხვაობათა ნიველირება. დასაბამიერი მტრები თანდათანობით ისტორიულ ერთგვაროვნებამდე მიდიან[105]. და მაშინ ჩვენი არსებობის ჰორიზონტზე თანდათანობით იკვეთება იმის შეგნება, რომ ჩვენდამი მტრულად განწყობილი ხალხები ადამიანთა იმავე ერთობას ეკუთვნიან, რომლის წევრებადაც ითვლებიან ჩვენი სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალი ხალხებიც. თუმცა ჩვენ კვლავ უცხოებად და ჩვენს მტრებად მიგვაჩნია ისინი. **მესამე ეტაპი.** სახელმწიფო უფრო მტკიცე გახდა, ვიდრე ოდესმე, და მაშინ ჩვენ წინაშე ისახება ახალი ამოცანა, ახალი მიზანი - იმ ხალხებთან გაერთიანება, რომლებსაც ჯერ კიდევ გუშინ ჩვენს მტრებად ვთვლიდით. იზრდება რწმენა იმისა, რომ მათი ინტერესები და მათი მორალი ჩვენს ინტერესებსა და მორალს ენათესავება, და რომ ერთად უკეთ შევძლებთ წინ აღვუდგეთ უფრო შორეულსა და ჩვენდამი უფრო მტრულად განწყობილ ხალხებს. ასე ყალიბდება ნაციონალური იდეის ახლებური გაგება.

ჩემი აზრის საილუსტრაციოდ მოვიტანთ ერთ მაგალითს. ამტკიცებენ, რომ სიდის დროს უკვე არსებობდა ესპანეთის (Spania), როგორც ნაციონალური ერთიანობის გაგება. ამ თეზისის დასტურად მოაქვთ წმინდა ისიდორეს სიტყვები, რომელიც სიდის დაბადებამდე რამდენიმე საუკუნით ადრე უკვე ლაპარაკობდა „დედა ესპანეთზე“. მე თუ მკითხავთ, აქ ჩვენ უხეშ შეცდომას ვუშვებთ, რომელიც აყალბებს ისტორიულ პერსპექტივას. სიდის დროს მხოლოდ ლეონ-კასტილიის სახელმწიფოს თანდათანობითი ფორმირების პროცესზე თუ შეიძლებოდა ელაპარაკათ; ლეონისა და კასტილიის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება შეესაბამებოდა ნაციონალური ქმნადობის მაშინდელი იდეის განვითარების ხარისხს. პოლიტიკური თვალსაზრისით მხოლოდ ის იდეა თუ შეიძლებოდა ყოფილიყო ეფექტური - ისე კი, Spania-ს იდეა პირწმინდად „ერუდიტული“ წარმომავლობისა გახლავთ. ესაა ერთი იმ ნაყოფიერ იდეათაგანი, დასავლურ ნიადაგზე რომ გადმონერგა რომის იდეოლოგიამ. „ესპანელები“ მიეჩვივნენ იმას, რომ ოდესღაც რომმა ერთ ადმინისტრაციულ ოლქად, ერთგვარ პროვინციულ ეპარქიად გააერთიანა ისინი. მაგრამ ეს გეოგრაფიულ-ადმინისტრაციული ცნება ესპანელებისათვის უცხო იდეა იყო, სხვა ხალხის მიერ იძულებით თავს მოხვეული. ის ვერასოდეს ვერ აღგვძრავდა საიმისოდ, რომ ნაციონალური ერთიანობისათვის საბრძოლველად დავრაზმულიყავით, და, მით უმეტეს, ვერ იქნებოდა ამ ერთიანობის მიზანი.

რამდენსაც არ უნდა ვცდილობდეთ, ამ იდეის დასტური ვპოვოთ XI საუკუნის ლიტერატურულ წყაროებში, მაინც იძულებულნი ვიქნებით, ვაღიაროთ, რომ ის ძალზე შორსაა იმ პოპულარობისაგან, რომლითაც ძველი წელთაღრიცხვის IV

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

შეძენილია ელ. წიგნების ონლაინ მაღაზიაში iBooks.ge

საუკუნეში სარგებლობდა ბერძნებს შორის ელადის ცნება, რომელსაც გაცილებით უფრო მკაფიოდ გამოხატული ხასიათი ჰქონდა. და მაინც, ელადის იდეა ვერასოდეს ვერ იქცა ჭეშმარიტად ნაციონალური ერთიანობის იდეად. თუ გვინდა უფრო ზუსტად ჩამოვაყალიბოთ ჩვენი შედარება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ IV საუკუნის ბერძნებისათვის ელადის იდეა იგივე იყო, რაც Spania XI და თვით XIV საუკუნის ესპანელებისათვის, ან ევროპა - XIX საუკუნის „ევროპელთათვის“.

ჩვენი მაგალითი გვიჩვენებს, რა ეტაპობრივად ხორციელდება ცხოვრებაში ნაციონალური ქმნადობის იდეა, ზუსტად ისევე, როგორც ცალ-ცალკე მჟღერი ნოტები თანდათანობით ერწყმიან ერთმანეთს მელოდიად. გუშინდელი სიახლოვე ხვალინდელ დღეს უნდა დაელოდოს, რადგანაც სწორედ ხვალ დაიწყება საერთო სახალხო ქმედითობის ვულკანური ამოფრქვევა მთელი ერის საკეთილდღეოდ. მაგრამ ჩვენ დღესვე შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, რომ ადრე თუ გვიან, გარდუვალად დაჰკრავს ამ ქმედითობის საათი.

დადგა დრო, როცა ნაციონალური ერთიანობის იდეას შეუძლია ზოგადევროპულ იდეად იქცეს. დღეს ჩვენ გვწამს, რომ ამ იდეას განხორციელება უწერია, და ეს რწმენა გაცილებით უფრო ნაკლებ უტოპიურია, ვიდრე XI საუკუნის წინასწარმეტყველება მომავალი ერთიანი ესპანეთისა თუ საფრანგეთის შესახებ. რაც უფრო მეტად უერთგულებს დასავლური სახელმწიფო იმ პრინციპებს, რომლებიც საფუძვლად უდევს მის არსებობას, მით უფრო მალე გამოამჟღავნებს თავის ჭეშმარიტ არსს, და ერთ უზარმაზარ კონტინენტურ სახელმწიფოდ იქცევა.

9

როგორც კი მთელი სიცხადით იკვეთება დასავლელი ადამიანის პროფილი, მის ფონზე დაუყოვნებლივ ისახება ევროპა. ევროპელები ერთი და იმავე ჰაერით სუნთქავენ. ამ ჰაერს, ამ ატმოსფეროს ისინი თვითონვე ქმნიან. ჯერ კიდევ აღორძინების ეპოქიდან მოყოლებული, ევროპელი ერები, ისე, რომ თვითონაც ვერ ამჩნევენ ამას, ერთ მთლიანობად ყალიბდებიან, თითქოს თავიანთი აგრესიული მრავალსახეობისაგან აბსტრაგირებას ახდენენო. საფრანგეთი, ინგლისი, ესპანეთი, იტალია და გერმანია კვლავინდებურად ეომებიან ერთმანეთს, სამხედრო კავშირებს ჰქმნიან, გამოდიან ამ კავშირებიდან და კვლავ შედიან მათში, მაგრამ როგორც ომის, ისე მშვიდობიანობის დროსაც ისინი კვლავ განაგრძობენ თანაარსებობას, და ეს თანასწორთა თანაარსებობაა, ძველი რომაელებისაგან განსხვავებით, რომლებიც არც ომისა და არც მშვიდობის ჟამს არ კადრულობდნენ იმას, რომ თავი გაეყადრებინათ კელტ-იბერების, გალების, ბრიტანელებისა თუ გერმანელებისათვის. ისტორია, უწინარეს ყოვლისა, დასავლური ქვეყნების პოლიტიკისა თუ ერთაშორისი შუღლის ამბებს გადმოგვცემს, მაგრამ ხომ ცნობილია, რომ ერთიანობის თესლი ევროპულ ნიადაგზე უფრო მალე მომწიფდა, ვიდრე

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

მისი ნაყოფის მოწევას მოასწრებდნენ პოლიტიკოსები. ვიდრე ბრძოლის ველზე მოწინააღმდეგენი მუსრს ავლებდნენ ერთიმეორეს, ასობით სხვა ასპარეზზე სავაჭრო ხელშეკრულებებს დებდნენ და ცხოვრებისეული გამოცდილების, იდეებისა თუ ხელოვნების ნაწარმოებების გაცვლა-გამოცვლით ამდიდრებდნენ ერთმანეთს. შეიძლება ითქვას, რომ საბრძოლო გრგვინვა-გრიალი ერთგვარი ტკაცუნა საფარი, შენიღბვის თავისებური საშუალება იყო, რომლის მიღმადაც მშვიდობის ობობა მოუღლელად ქსოვდა თავის ქსელს, მეომარი ქვეყნების მთელი ტერიტორია რომ უნდა მოეცვა. ევროპული ქვეყნების მცხოვრებთა ყოველი ახალი თაობა სულ უფრო და უფრო მეტად უახლოვდებოდა ერთმანეთს. თუ გნებავთ, მე შემიძლია უფრო მეტი გულმოდგინებითაც და სიზუსტით ჩამოვაყალიბო ჩემი აზრი. რა თქმა უნდა, ფრანგები, ინგლისელები თუ ესპანელები ნაციონალური ფსიქოლოგიით განსხვავდებოდნენ და დღესაც განსხვავდებიან ერთმანეთისგან. მაგრამ ჩვენ ყველას საერთო ფსიქოლოგიური სტრუქტურა გვაქვს, რომელიც გამუდმებით ივსება ახალი შინაარსით. სწორედ ასე, თანდათანობით, რელიგია, მეცნიერება, სამართალი, ხელოვნება, საზოგადოებრივი თუ ეროტიული ფასეულობანი საერთო საკუთრებად იქცევა. ყოველივე ეს კი, როგორც ცნობილია, აყალიბებს სულიერ ატმოსფეროს, რომელიც ადამიანს სისხლსავსე ცხოვრების საშუალებას აძლევს. უფრო მეტი სულიერი სიახლოვე შეუძლებელი იქნებოდა თვით იმ შემთხვევაშიაც კი, ყველა სული ერთ თარგზე გამოჭრილიც რომ იყოს.

ჩვენ რომ გვეცადა და ჩვენი დღევანდელი სულიერი სიმდიდრის (შეხედულებების, წესების, სურვილების, ვარაუდების) საერთო ბალანსი გამოგვეყვანა, ესე იგი, გაგვერკვია, რა არის მასში ნაციონალური და რა - ზოგადევროპული, დავინახავდით, რომ ზოგადევროპული ნაწილი გადასწონიდა, და არა ის, რაც პირწმინდად ნაციონალური ბუნების, ვთქვათ, ფრანგული თუ ესპანური წარმომავლობისაა. მეტიც, ეჭვს გარეშეა, რომ დღეს თითოეულ ჩვენგანშიც სწორედ ზოგადი, ევროპული ჩრდილავს კერძოს, ნაციონალურს, ვთქვათ, ფრანგულსა თუ ესპანურს, და ა. შ. რომ შეიძლებოდეს ჩაგვეტარებინა წარმოსახვითი ექსპერიმენტი და კაცისთვის გვებრძანებინა, მხოლოდ შენი „ნაციონალურობით“ იცხოვრეო, ანდა მართლა წაგვერთმია საშუალო ფრანგისთვის ყველა ის ნივთი, ჩვეულება, აზრი თუ გრძნობა, რაც მან ჩვენი კონტინენტის დანარჩენი ხალხებისაგან შეითვისა, საბრალო ფრანგს, ალბათ, თავზარი დაეცემოდა. ის მიხვდებოდა, რომ შეუძლებელია მარტოოდენ საკუთარი „ნაციონალურობით“ ცხოვრება. და დარწმუნდებოდა, რომ მისი ცხოვრების ოთხი მეხუთედი ზოგადევროპული ფასეულობების - ადათ-წესების, ჩვეულებების, აზრებისა თუ საგნებისაგან შედგება.

მე ვერ წარმომიდგენია ჩვენი პლანეტის მცხოვრებთათვის უფრო მნიშვნელოვანი საქმე, ვიდრე იმ აღთქმის ასრულებაა, რომელიც აგერ უკვე ოთხი საუკუნე მაინც იქნება, რაც ჩვენთვის,

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

ევროპელებისათვის, მოქცეულია თვით სიტყვის - „ევროპა“ სემანტიკაში[106]. მხოლოდ რეტროგრადებს, წარსულისაკენ მიქცეული ძველი „ერების“ მომხრეებს თუ შეუძლიათ წინ აღუდგნენ ამ აღთქმის აღსრულებას. დადგა დრო, შევამოწმოთ, შეიძლება თუ არა, ლოტის მეუღლის ნაშიერებად მიგვაჩნდნენ ევროპელები, მერმისისაკენ ზურგმიქცეულნი რომ მქნიან თავიანთ ისტორიას. დაე, ძველი რომაელისა და, საერთოდ, ანტიკური ეპოქის ადამიანის მაგალითი ჭკუის სასწავლი გაკვეთილი იყოს ჩვენთვის. განა ადვილი საქმეა, ზოგ-ზოგიერთს თავიდან გამოუბერტყო სახელმწიფოს ის გაგება, კერკეტა კაკლის ლებანივით რომ ჩასჭედია შიგ? საბედნიეროდ, ნაციონალური სახელმწიფოს იმ გაგებას, რომელსაც - შესაძლოა, ქვეშეცნეულადაც - ამკვიდრებს ამქვეყნად დასავლელი ადამიანი, საერთო არა აქვს რა მისსავე „ერუდიტულ“ - ფილოლოგიურ გაგებასთან, ასე ჯიუტად რომ გვახვევენ თავზე.

ახლა კი დროა, მოკლედ ჩამოვაყალიბოთ ამ ჩემი შრომის ძირითადი დებულებები. დღეს მსოფლიო უფრო დემორალიზებულია, ვირე ოდესმე. ეს დემორალიზაცია ევროპული წარმომავლობისა გახლავთ. ავადმყოფობის სხვა სიმპტომებთან ერთად ის ვლინდება მასების აღვირახსნილ ამბოხში, რაც დღეს უკვე აშკარად საშიშ ხასიათს იღებს. ევროპული ცხოვრების დემორალიზაციას მრავალი მიზეზი განაპირობებს. მათ შორის ერთ-ერთი უმთავრესია იმ ავტორიტეტის დაკარგვა, რომლითაც სარგებლობდნენ ევროპული ქვეყნები არა მარტო ჩვენი პლანეტის სხვა მხარეებში, არამედ შინაც. ევროპამ აღარ იცის, კვლავაც მართავს თუ არა მსოფლიოს, და ვეღარც სხვა ქვეყნები გრძნობენ მისი ძალაუფლების ზემოქმედებას. ისტორიული თვალსაზრისით, ამ ძალაუფლებას ნიადაგი გამოეცალა ფეხქვეშ.

უკვე ვეღარავინ გრძნობს „საკუთარი არსებობის სისავსეს“, თავისთავად რომ გულისხმობდა ნათელ, განსაზღვრულ და უცვლელ პერსპექტივას, რომელიც იშლებოდა XIX საუკუნის ადამიანის წინაშე. ოო, მას კი ეგონა, რომ შეეძლო ზუსტად ეწინასწარმეტყველებინა, რას უმზადებდა ხვალინდელი დღე. ამჟამად ჩვენი არსებობის ჰორიზონტზე კვლავ უცხო ქარები დათარეშობენ, და ეს იმიტომ, რომ უკვე აღარ შეგვიძლია ვთქვათ, ვინ იქნება ჩვენი მმართველი, ან რანაირი ფორმით განხორციელდება ეს მმართველობა მთელ პლანეტაზე. „ვინო“, რომ ვამბობ, მე ვგულისხმობ, რომელი ხალხი თუ ხალხების ჯგუფი, ესე იგი, რომელი ეთნოსი, რანაირი იდეოლოგია, სიმპათიების, წესებისა თუ სასიცოცხლო ძალების როგორი სისტემა.

ჯერჯერობით შეუძლებელია იმისი თქმა, თუ სიმძიმის რომელი ცენტრისაკენ გადაიხრებიან ახლო მომავალში ადამიანური ფასეულობანი. სამწუხაროდ, დღეს ჩვენს ცხოვრებაში ყველაფერს წარმავალი ხასიათი აქვს. საზოგადოებრივი თუ პირადი ცხოვრების ყველა, აბსოლუტურად ყველა გამოვლინება, მათ შორის, ყველაზე ინტიმურიც (გარდა მეცნიერების ზოგიერთი დარგისა) ამ წარმავლობის ნიშნითაა აღბეჭდილი. მართალია, ვისაც არა

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

სწამს დღევანდელი ქება-დიდება, ყბედობა, კვეხნა, ბაქი-ბუქი თუ საქმის ჩხრეკა. ყოველივე ეს უფრო მალე გაქრება, ვიდრე მოევლინა ქვეყნიერებას. ყველაფერი გარდავა: სპორტით მანიაკური გატაცებაც (გატაცების სიშლეგე და არა თვით სპორტი), პოლიტიკური ძალმომრეობაც, „ახალი ხელოვნებაც“ და პლიაჟებზე გასარუჯად კოტრიალის ჩვევაც. ყოველივე ეს გამონაგონია, ბრიყვული, ფუქსავატური ჟინი. შეუძლებელია ნამდვილი იყოს ყველა ეს საქმე თუ გატაცება, ვინაიდან ამნაირ ფორმებს როდი უნდა იღებდეს ყოფიერების სიღრმისეული, არსობრივი შემოქმედება. მოკლედ, ამნაირი ცხოვრება ყალბია ძირის-ძირამდე. ამ სასიცოცხლო სტილის შინაგანი წინააღმდეგობა იმაში გამოიხატება, რომ ის, ერთდროულად, წრფელიცაა და ყალბიც. ჩვენი ცხოვრება მხოლოდ მაშინაა ჭეშმარიტი, როცა ყველა ჩვენი ქცევა თუ მოქმედება შინაგანად და არსობრივად აუცილებელია. ძნელად თუ მოიძებნება დღეს ისეთი პოლიტიკოსი, გულის სიღრმეში რომ სწამდეს მის მიერ გატარებული პოლიტიკის აუცილებლობა. ამიტომ რაც უფრო ექსტრემისტული ხასიათისაა მისი სიტყვაც და საქმეც, მით უფრო მკაფიოდ ვლინდება მათი ფრივოლური და შემთხვევითი არსი. ჩვენი ცხოვრება მხოლოდ მაშინ იძენს სიღრმეს, მხოლოდ მაშინ ხდება ჭეშმარიტი, როცა ყველა ჩვენი მოქმედება ჩვენივე ულმობელი ბედითაა ნაკარნახევი. ყოველივე დანარჩენი კი - ის, რაც შეიძლება ავიღოთ, ადგილზე დავტოვოთ, ან სხვა რამით შევცვალოთ, - მხოლოდ არსებობის ნიღაბია, მისი ფალსიფიკაცია.

ჩვენი დღევანდელი ცხოვრება მეუფეზათა შორისი ანარქიის პროდუქტია, სიცარიელის ნაყოფი, სიცარიელისა, რომელმაც მის მერე იჩინა თავი, რაც მსოფლიოს ისე გაეცალა მბრძანებელი, რომ მემკვიდრე არ დაუტოვებია. აქედან - ჩვენი ცხოვრების ესოდენ წარმავალი ხასიათი. დღეს კაცმა აღარ იცის, რომელ საზოგადოებრივ ინსტიტუტს მიუძღვნას თავი, ქალმა კი - რომელ მამაკაცს.

ევროპელებს მხოლოდ იმ პირობით შეუძლიათ იარსებონ, თუ რაიმე გრანდიოზულ საზოგადოებრივ საქმეს აძლევენ თავიანთ ძალას. როცა ამნაირი საქმე არა აქვთ, ისინი სულით ეცემიან, მელანქოლია იპყრობთ და ცხოვრებას არავითარი აზრი აღარა აქვს მათთვის. ეს პროცესი უკვე იწყება ჩვენ თვალწინ. იმ საზოგადოებებმა, რომლებსაც ჩვენ ერებს ვუწოდებთ, უკვე რამდენიმე საუკუნე, ან ცოტა ნაკლები იქნება, რაც თავიანთი განვითარების პიკს მიაღწიეს. დღეს მათ უკვე აღარ შეუძლიათ იმ სახით არსებობა, რომლითაც უწინ არსებობდნენ. უკვე დროა, უკან მოიტოვონ თავიანთი საზღვრები. ევროპული ატმოსფერო წარსულითაა გაჟღენთილი. ეს წარსული დამთრგუნველად მოქმედებს ჩვენზე. ახლა, როცა მეტი სასიცოცხლო თავისუფლება მივიღეთ, ვიდრე ოდესმე გვქონდა, ჩვენ ვგრძნობთ, როგორ გვეხუთება სული ჩვენივე ნაციონალობის ვიწრო საზღვრებში, რარიგ გვაკლია სილაღე და სიხალვათე. ნებისმიერი ევროპული ქვეყანა, სადაც უწინ თავისუფლად დათარეშობდნენ ყოველი მხრიდან მონაბერი ქარები, დღეს პროვინციად, „მიყრუებულ კუნჭულად“ იქცა. ევროპული

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

თანაარსებობის მომავალი უზენაესი ფორმა სრულიადაც არ გულისხმობს დღევანდელი მრავალსახეობის გაქრობას. ანტიკური სახელმწიფოსაგან განსხვავებით, რომელიც სახელმწიფო მმართველობას სიახლოვეს არ აკარებდა მის მიერ დაპყრობილ ხალხებს და ნულამდე დაჰყავდა ყოველგვარი სხვაობა მათ შორის, ან, უკეთეს შემთხვევაში, უცვლელად ტოვებდა ამ სხვაობას, მაგრამ ისე კი, რომ არავითარ გასაქანს არ აძლევდა და მის მუმიფიცირებას ახდენდა, - ნაციონალური ერთიანობის დინამიური იდეა თავისთავად გულისხმობს ფორმათა იმ მრავალფეროვნების აქტიურ ქმედითობას, რაც ყოველთვის ახასიათებდა ევროპულ ყოფას.

დღეს ყველას კარგად ესმის ახალი სასიცოცხლო პირნციპის აუცილებლობა. მაგრამ, როგორც ყოველთვის, ამნაირი კრიზისისას, ახლაც ბევრია ხალხი, რომელიც ცდილობს ხელოვნურად იხსნას მდგომარეობა და ძალით დაამკვიდროს მოძველებული, დრომოჭმული პრინციპები. აქედან - ნაციონალიზმის ნამდვილი აფეთქება, რისი მოწმენიც ამ უკანასკნელ ხანს ვხვდებით. თუმცა ყოველთვის, კვლავ ვიმეორებ, ყოველთვის ასე იყო. უკვე მინავლული ხანძრის უკანასკნელი ალი უფრო მაღლა იჭრება ცაში; სულთმობრძავის უკანასკნელი ამოსუნთქვა ყველაზე ღრმაა. ვიდრე საბოლოოდ გაქრებოდნენ, სამხედრო თუ ეკონომიური საზღვრები საშინელი კრუნჩხვებით ებრძვიან სულს.

ნაციონალიზმის გზას არასად არ მივყავართ. გაჰყევით ამ გზას ხვალინდელი დღის საძებნად და თქვენ ჩიხში შეხვალთ, ნაცვლად იმისა, რომ სადღაც მისულიყავით. ნაციონალიზმი ის ძალაა, მკვეთრად რომ უპირისპირდება ნაციონალური გაერთიანების ძალას, რომელიც ერს ყოველთვის სხვა ერების ერთიან კავშირში რთავს, მაშინ როდესაც ნაციონალიზმი მას, პირიქით, გამორიცხავს ამ კავშირიდან. მიუხედავად ამისა, ნაციონალური ერთობის განმტკიცების პერიოდში, უმაღლეს ისტორიულ კანონად ქცეული ნაციონალიზმი თავის დადებით როლს ასრულებს. მაგრამ დღეს, როდესაც ევროპული ერების მდგომარეობა უფრო მტკიცეა, ვიდრე ოდესმე, ნაციონალიზმი ერთგვარ თავდასაძვრენ საშუალებად იქცა მათთვის, ვისაც შემოქმედებით საქმიანობაში მონაწილეობა არ სურს, არ უნდა თავისი წვლილი შეიტანოს ერთობლივ გრანდიოზულ წამოწყებათა ხორცშესხმაში. დაუკვირდით, რა ხალხი ქადაგებს ნაციონალიზმს, ან რა პრიმიტიული მეთოდებით ხელმძღვანელობს, და თქვენ თვალნათლივ დარწმუნდებით, რომ ნაციონალიზმი და ისტორიული შემოქმედება ორი ურთიერთშეუთავსებელი რამ გახლავთ.

შექმნილი ვითარებიდან მხოლოდ ერთი გამოსავალი არსებობს: ერთობლივი გადაჭრა იმ ამოცანისა, რომელიც დიადი კონტინენტური ერის ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად. მხოლოდ ამ გზით თუ შეიძლება გამოვაცოცხლოთ ევროპული ცხოვრების მისუსტებული მაჯისცემა. და როცა ევროპა კვლავ ირწმუნებს თავის ძალას, უფრო მაღალ მოთხოვნებს წაუყენებს საკუთარ თავს და ეცდება უფრო მკაცრი დისციპლინით დასძლიოს სულის დღევანდელი მცონარება.

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

ევროპის ახლანდელი მდგომარეობა გაცილებით უფრო დიდ საფრთხეს გვიქადის, ვიდრე ჩვენ გვგონია. წლები წლებს მისდევენ და სულ უფრო მეტად იზრდება ალბათობა იმისა, რომ ევროპელი შეეგუება ესოდენ არასრულფასოვან ცხოვრებას, რომლითაც დღეს ცხოვრობს, და შეურიგდება იმ აზრს, რომ უკვე აღარ მართავს მსოფლიოს და არც თვითონ მას მართავს ვინმე. და მაშინ სამუდამოდ გაქარწყლდება ყველა მისი ღირსება თუ უნარი.

დღეს, ისევე როგორც ყოველთვის, ერის ფორმირების მთელი პერიოდის მანძილზე, ევროპის გაერთიანებას ეწინააღმდეგებიან კონსერვატიული ელემენტები. მათმა წინააღმდეგობამ შეიძლება კატასტროფა გამოიწვიოს: საბოლოო დემორალიზაციისა და ევროპული ქვეყნების ისტორიული განვითარების შედეგად მათი სასიცოცხლო ძალების დაწრეტის საფრთხეს დაუმატეთ კიდევ ერთი, უფრო კონკრეტული და გარდუვალი განსაცდელი. როდესაც რუსეთში კომუნიზმმა გაიმარჯვა, ბევრი შეშინდა, ვაითუ წითელმა ნაკადმა მთელი დასავლეთი წალეკოსო. მე არასოდეს გამიზიარებია ამნაირი პროგნოზი; პირიქით, სწორედ იმ წლებში ვწერდი, რომ დასავლური კუჭი ვერ მოინელებდა რუსული კომუნიზმის უხეშ საკვებს, რადგანაც სლავებისაგან განსხვავებით, ჩვენ, დასვლეთ ევროპელები, რაღაც უჩვეულო გულმოდგინებით, ყველაფერს ინდივიდუალიზმის პრიზმიდან აღვიქვამთ და ინდივიდუალობასვე ვწირავთ. გამოხდა ხანი, და, აი, უკვე დამშვიდდა ყველა, ვინც ჯერ კიდევ გუშინ ასე შფოთავდა კარს მომდგარი განსაცდელის გამო. ისინი სწორედ მაშინ დამშვიდდნენ, როცა საგანგაშო მომენტი დადგა. რადგანაც ევროპას შეიძლება სწორედ ახლა დაატყდეს თავს ძლევამოსილი კომუნიზმის ყოვლისწამლეკი ლავა.

ჩემი თეზისი ასეთია: დღეს, ისევე როგორც უწინ, კომუნიზმის რუსული ვარიანტი ვერასდიდებით ვერ მიიპყრობს ევროპელების ყურადღებას, რადგანაც მას არ შეუძლია შემოგვთავაზოს მომავლის შენების ისეთი გეგმა, რომელიც დააინტერესებდა ევროპას. ეს იმ ბანალურ მიზეზთა გამოისობით როდი ხდება, რომელთაც იმოწმებენ რუსული კომუნიზმის მოციქულები, ისეთივე ურცხვი თვალთმაქცნი, როგორიც ყველა სხვა მოციქულია. დასავლელმა „ბურჟუამ“ კომუნისტური ქადაგების გარეშეც მშვენივრად იცის, რომ ადამიანი, რომელიც მარტოოდენ რენტით ცხოვრობს, და თავის შვილებს მემკვიდრეობად უტოვებს მას, უთუოდ განწირულია. ევროპამ დღემდე ვერ გამოიმუშავა იმუნიტეტი რუსული სარწმუნოების მიმართ, და, ამ მხრივ, საფრთხის მუქარა ნამდვილად არ შემცირებულა. დღეს ჩვენ სასაცილოდ გვეჩვენება ის თვითნებური არგუმენტები, რომლებზედაც ამ ოცი წლის წინათ სორელი აფუძნებდა ძალმომრეობის მისეულ ტექნიკას. ბურჟუა არც ისე მხდალია, როგორც მას ეგონა. ის კი არა და, თვით მუშაზე უფრო თამამად მიმართავს ძალადობას, როცა გრძნობს, რომ ეს აუცილებელია. ყველას კარგად მოეხსენება: ბოლშევიზმმა სწორედ იმიტომ გაიმარჯვა რუსეთში, რომ ამ ქვეყანას ბურჟუაზია არ ჰყავდა[107].

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

ფაშისტებმა, რომლებიც ყველას ასევე კარგად მოეხსენება, წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის გამომხატველები არიან, ძალადობის კიდევ უფრო აშკარა მომხრეებად წარმოგვიჩინეს თავი, ვიდრე მუშათა ყველა მოძრაობამ ერთად აღებულმა. მაშასადამე, ეს როდი უშლის ევროპას ხელს, კომუნისტური იდეოლოგიის აბჯრით აღიჭურვოს, არამედ სულ სხვა რამე. საქმე ისაა, რომ ევროპელს არა სჯერა, თითქოს კომუნიზმი შეიძლება კაცობრიობის ბედნიერი მომავლის გარანტიად მოგვევლინოს.

და მაინც, კვლავ ვიმეორებ: ჩემის აზრით, ევროპამ ახლო მომავალში დიახაც შეიძლება ენთუზიაზმით მიიღოს კომუნისტური დოქტრინა, მაგრამ ეს კომუნისტური პროპაგანდის წყალობით კი არ მოხდება, არამედ მის საპირისპიროდ.

წარმოიდგინეთ, რომ ხუთწლიანი გეგმით დასახული მიზანი, გეგმით, რომლის შესრულებაც ესოდენ გიგანტური ძალისხმევის ფასად უჯდება საბჭოთა ხელისუფლებას, - მიღწეულ იქნა, რის შედეგადაც რუსული ეკონომიკა არა მარტო აღდგება, არამედ ქვეყანას დიდ ეფექტსაც მისცემს. რანაირიც არ უნდა იყოს დღეს ბოლშევიზმის რეალური შინაარსი, შეუძლებელია დიდ სოციალურ მიზანდასახულობად არ აღიქვა იგი. ბოლშევიზმის დროშის ქვეშ დარაზმული ადამიანები თამამად აღუდგნენ წინ ბედისწერის ყველა ქარტეხილს და საკუთარი სარწმუნოების მკაცრ დისციპლინას დაუმორჩილეს თავიანთი სიცოცხლე, თუ ადამიანების შთაგონებული იდეების მიმართ სრულიად გულგრილი და ურყევი კოსმიური მატერია მტვრად არ აქცევს ამ დიად წამოწყებას და განხორციელების თუნდაც სულ მცირე შესაძლებლობას დაუტოვებს მას, მაშინ მისი ყალბი ციმციმი უცნაური შუქით გაანათებს ევროპული ცხოვრების ჰორიზონტს, ცის თაღზე ახლად აკიაფებული ხელოვნური ვარსკვლავის მსგავსად. თუ ევროპა კვლავაც იმ უღირსი ვეგეტატიური ცხოვრებით იცხოვრებს, რაც მისთვის ნიშნეული გახდა ამ ბოლო წლების მანძილზე: თუ იმის გამო, რომ ახალი ცხოვრების მშენებლობის პროექტი არ გააჩნია, დაეცემა სულის დისციპლინა და შესუსტდება ევროპული ცხოვრების პულსი, როგორღა ავიცილებთ თავიდან რუსული წამოწყების გადამდებ ეფექტს? ნუ გგონიათ, რომ ევროპელი არ აღენთება, როცა ახალი საქმისკენ მოწოდება სწორედ იმ მომენტში ჩაესმის, როცა მას არ შეუძლია თავის დროშაზე ესოდენ მაცდური ლოზუნგი წააწეროს, - მაშინ ცუდად გცნობიათ იგი; რადგანაც ევროპელის ყველაზე სანუკვარი სურვილი ისაა, რომ მთელი არსებით ემსახუროს საყვარელ საქმეს, ოღონდ კი ეს აზრს ანიჭებდეს მის ყოფას და ხელს უწყობდეს იმაში, რომ თავი დააღწიოს არსებობის სიცარიელეს. ამიტომ ადვილი შესაძლებელია ისედაც მოხდეს, რომ მან დაივიწყოს თავისი ანტიპათია კომუნიზმის მიმართ და ამ ახალი მოძღვრების პროპაგანდისტებს კომუნიზმის არსით თუ არა, მისი მორალური ასპექტით მაინც გააბრუებინოს თავი.

მე დარწმუნებული ვარ, რომ მხოლოდ ერთიანი ნაციონალური, ზოგადევროპული სახელმწიფოს მშენებლობა

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

თუ შეგვაძლებინებს წინ აღვუდგეთ ხუთწლიან გეგმას მისი წარმატებით შესრულების შემთხვევაში.

პოლიტეკონომისტები, თავიანთი მხრივ, ვარაუდობენ, რომ ამ გეგმას განხორციელება არ უწერია. მაგრამ რაოდენ სულმდაბალი იქნებოდა ანტიკომუნიზმი, უნიათოდ გულხელდაკრეფილი რომ დალოდებოდა იმას, თუ როდის მოუღებენ ბოლოს მატერიალური სიძნელენი მის დაუძინებელ მტერს. კომუნიზმი თავის მონსტრუოზულ „მორალს“ გვთავაზობს. როგორ გგონიათ, განა უფრო ღირსეული და ნაყოფიერი არ იქნებოდა, ამ სლავური მორალისათვის დაგვეპირისპირებინა მისგან ძირეულად განსხვავებული დასავლეთ ევროპული მორალი და ახალი ცხოვრების ჩვენეული პროგრამის განსახორციელებლად მოგვეხმო კაცობრიობა?

XV

თანამედროვეობის ძირითადი საკითხის გადაჭრის ზღურბლზე

აი, ეს საკითხი: ევროპა მორალური ხელმძღვანელობის გარეშე დარჩა. საქმე ის კი არაა, რომ ადამიანმა-მასამ, როგორც ფუჭი და უსარგებლო, მიწის პირისაგან აღგავა ძველი მორალი და ახალი მორალის მიმდევარი გახდა. პრობლემის არსი შემდეგი გახლავთ: ადამიანი-მასა თავგამოდებით ეურჩება იმას, რომ თავისი არსებობა ამა თუ იმ მორალურ კანონს დაუმორჩილოს. ნუ ენდობით ახალგაზრდებს, როცა ისინი „ახალ მორალზე“ ლაპარაკობენ. მე ნამდვილად არა მჯერა, რომ დღეს ევროპის მთელ კონტინენტზე შეიძლება მოიძებნებოდეს ადამიანთა თუნდაც ერთი ჯგუფი, რომელსაც უნარი ექნებოდა ისეთი ახალი ethos[108]-ი შემოეთავაზებინა ჩვენთვის, მიახლოებით მაინც რომ ჰგვანებოდა ზნეობას. „ახალ მორალზე“ ლაპარაკი კიდევ უფრო დიდი უზნეობაა. ეს რაღაცით მოგვაგონებს ახალი გზების ძიებას კონტრაბანდული საქონლის შემოსაპარებლად.

ამიტომ ჩვენის მხრივ მიამიტობა იქნებოდა, თანამედროვე ადამიანისათვის უზნეობაში დაგვედო ბრალი. ამ ბრალდებას ის ერთ ყურში რომ შეუშვებდა, მეორიდან გამოუშვებდა, ან, უმალ, კომპლიმენტად აღიქვამდა მას. ვისაც დღეს თავისი უზნეობით მოაქვს თავი, მეტი შანსი აქვს, იაფფასიანი პოპულარობა მოიხვეჭოს.

თუ (როგორც არაერთხელ მოვქცეულვარ ამ ჩემს შრომაში) სათვალავში მივიღებთ ქრისტიანების, „იდეალისტებისა“ თუ ძველი ყაიდის ლიბერალების, ესე იგი, იმ ჯგუფების ეთიკურ პრეტენზიებს, რომლებიც მემკვიდრეობით გადმოგვეცა წარსულისაგან, ბევრიც ვეძებოთ, ვერსად ვპოვებთ თუნდაც ერთ სოციალურ ჯგუფს, ღრმად დარწმუნებული რომ არ იყოს იმაში, თითქოს სრული უფლება აქვს ცხოვრებისაგან მოითხოვდეს ყველაფერს, მაგრამ თვითონ კი არავითარ მორალურ პასუხისმგებლობას არ კისრულობდეს. რანაირადაც არ უნდა ინიღბებოდეს ადამიანი-მასა, რა სახელითაც არ უნდა

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

იწოდებოდეს - რეაქციონერად თუ რევოლუციონერად, - რანაირადაც არ უნდა ცდილობდეს თვალში ნაცარი შემოგვაყაროს, ბოლოს და ბოლოს, მაინც გამომჟღავნდება, რომ გულის სიღრმეში ის გადაჭრით უარყოფს ნებისმიერი მოვალეობის ნებაყოფლობით აღსრულების აუცილებლობას, და, ქვეშეცნეულად, თავს უფლებამოსილად თვლის, აკეთოს ყველაფერი, რაც კი მოეპრიანება.

ნებისმიერი საქმე, რასაც არ უნდა ჰკიდებდეს ხელს, ანალოგიურ შედეგამდე მიიყვანს თანამედროვე ადამიანს და იმის კიდევ ერთ საბაბად იქცევა მისთვის, რომ თავი აარიდოს ყოველგვარ კონკრეტულ მოვალეობას. ისინი, ვისაც რეაქციონერებად თუ ანტილიბერალებად მოაქვთ თავი, ამტკიცებენ, რომ მათი მოღვაწეობა სამშობლოსა და სახელმწიფოს გადასარჩენად უფლებას აძლევთ ფეხებზე დაიკიდონ ადამიანური თანაცხოვრების ყველა დანარჩენი ნორმა და, დაბალ ღობესავით, თავზე გადაუაროთ თავიანთ მოყვასს, მით უმეტეს, თუ ეს მოყვასი არაორდინარული პიროვნებაა. ზუსტად ასევე იქცევიან ეგრეთ წოდებული რევოლუციონერებიც; მათი ზერელე ენთუზიაზმი, მათი „სიყვარული“ პროლეტარიატისა და, საერთოდ, ყველა ჩაგრულისადმი, არსებითად, სხვა არა არის რა, თუ არა ნიღაბი, რისი წყალობითაც ისინი ცდილობენ თავი დააღწიონ ნებისმიერ მოვალეობას. ისინი არას დაგიდევენ თავაზიანობის წესებს, პატიოსნებისა თუ კეთილშობილების პრინციპებს, და, რაც მთავარია, არავითარ ანგარიშს არ უწევენ, არად აგდებენ იმათ აზრს, ვინც აშკარად მათზე მაღლა დგას მორალური თუ ინტელექტუალური თვალსაზრისით. მე ვიცი, ბევრი მხოლოდ იმიტომ შედის მუშათა ამა თუ იმ პარტიაში, რომ სამუდამოდ დაიმკვიდროს ინტელექტის ფეხქვეშ გათელვისა და უღრმესი შინაგანი სიხარულით ტკბობის უფლება, სიხარული, რასაც საფუძვლად უდევს იმის შეგნება, რომ აღარაფერი აღარ აიძულებს ქედს იხრიდეს ადამიანური სიბრძნის წინაშე. რაც შეეხება დანარჩენ პოლიტიკურ მოძრაობებს, რომლებიც ცდილობენ თავს მოგვახვიონ თავიანთი დიქტატურა, ზემოთ მე უკვე მივაპყარი თქვენი ყურადღება იმას, თუ რა გულმხურვალედ უკმევენ გუნდრუკს მათი ლიდერები ადამიან-მასას, რა თავდავიწყებით უგალობენ მას ოსანას, და, იმავდროულად, ფეხქვეშ თელავენ, ლაფში სვრიან არაორდინარულობის ნებისმიერ გამოვლენას.

ეს თავგამოდებული სწრაფვა იმისკენ, რომ თავი აარიდონ ნებისმიერ მოვალეობას, ერთგვარად მაინც გვიხსნის ჩვენი დროის ერთ სასაცილო და, იმავდროულად, სკანდალურ თავისებურებას, კერძოდ, თაყვანისცემას „ახალგაზრდობის“ მიმართ, კერპთაყვანისმცემლობას რომ უახლოვდება. რაგინდ სასაცილოც არ უნდა იყოს, ადამიანები წელებზე ფეხს იდგამენ, რათა ხაზგასმით წარმოგვიჩინონ თავიანთი „ახალგაზრდობა“, სწორედ იმიტომ, რომ იციან: ახალგაზრდობას უფრო მეტი უფლება აქვს, ვიდრე მოვალეობა, ამიტომაც ცდილობენ სამერმისოდ გადასდონ თავიანთი მოვალეობის აღსრულება, და იმ ასაკს დაელოდონ, „მოწიფულობას“ რომ უწოდებდნენ ძველი

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

ბერძნები. ყოველთვის ფიქრობდნენ, რომ ახალგაზრდა კაცს თვით მისივე ახალგაზრდობა ათავისუფლებდა იმისაგან, რომ აწმყოში რაიმე დიადი საქმის აღსრულებისათვის მიეყო ხელი. მით უფრო დიდი უაზრობა იქნებოდა, ამნაირი საქმის აღსრულება წარსულში მოეთხოვათ მისთვის. ახალგაზრდობა ყოველთვის ვალებით ცხოვრობს. ასეთია ადამიანის ბუნება. მოწიფულები ყოველთვის უყოყმანოდ უთმობდნენ ამ ფსევდო-უფლებას ახალგაზრდებს. ამაში გამოიხატებოდა მათი ირონიული და გულისშემძვრელი დამოკიდებულება ახალგაზრდობის მიმართ. მაგრამ იმ თავდაჯერებულობამ, რომლითაც დღეს ამ ფსევდო-უფლებას ნამდვილი უფლების მაგივრად იყენებს ახალგაზრდობა, შეუძლებელია სულის სიღრმემდე არ შეგვაძრწუნოს. ამით ახალგაზრდები მოწიფულების წისქვილზე ასხამენ წყალს, მოწიფულებისა, რომლებსაც ახლა კი შეუძლიათ თამამად თქვან: ჩვენ რაღაც მაინც გავაკეთეთო.

ახალგაზრდობა თავისებურ შანტაჟად იქცა. ძნელია ამის დაჯერება, მაგრამ ეს მართლაც ასეა. ჩვენ საყოველთაო შანტაჟის ეპოქაში ვცხოვრობთ, და მის უკეთურ გრიმასებს ვჭვრეტთ. ამას ემატება ორი სხვა სახის შანტაჟიც: ძალმომრეობის მუქარა და ცხოვრებისადმი არასერიოზული დამოკიდებულების საფრთხე. ორივე ერთსა და იმავე მიზანს ემსახურება - „საშუალო“ ადამიანის განთავისუფლებას ყოველგვარი დაქვემდებარებისაგან.

თუ ღმერთი გწამთ, ნუ ეცდებით კეთილშობილების ნატამალი მაინც აღმოაჩინოთ თანამედროვე კრიზისში და ორი მორალისა თუ ორი ცივილიზაციის - წარმავალისა და მომავლის კონფლიქტად დასახოთ იგი. ადამიან-მასას საერთოდ არ გააჩნია არავითარი მორალი. რადგანაც მორალს საფუძვლად უდევს იმის შეგნება, რომ აუცილებელია მოვალეობის უზენაეს პრინციპებს დაუქვემდებარო შენი სიცოცხლე და საარსებო აუცილებლობად მიგაჩნდეს დიადი საქმისადმი მსახურების მოთხოვნილება. მაგრამ, როგორც ჩანს, შეცდომა დავუშვი, როცა მოგახსენეთ, ადამიან-მასას არავითარი მორალი არ გააჩნია-მეთქი. საქმე ის კი არაა, რომ ეს არსება ნემსის ყუნწში ძვრება, რათა თავი აარიდოს მოვალეობის მოხდის აუცილებლობას. არც ისე ადვილია, თავი დააღწიო მორალური მოვალეობის აღსრულებას. ის, რასაც ჩვენ ამორალობას ვეძახით (ხოლო ეს სიტყვა თვით გრამატიკის თვალსაზრისითაც კი არასწორადაა ნაწარმოები), სინამდვილეში არ არსებობს. თუ მიზნად დაისახავთ არ დაემორჩილოთ ქცევის არავითარ წესებს, მაშინ volens nolens[109] მოგიწევთ ნებისმიერი მორალის უარყოფა, ეს კი არა მარტო ამორალურია, არამედ ანტიმორალურიც. მორალის უარყოფას მორალის ფორმა აქვს, მაგრამ ესაა შინაარსისაგან დაცლილი ფორმა.

რატომაა, რომ ასე ხელაღებით ვირწმუნეთ ცხოვრების ამორალობა? იმიტომ, რომ კულტურისა და ცივილიზაციის დღევანდელი მდგომარეობა მთელი სიცხადით გვარწმუნებს ამაში. ევროპა სწორედ დღესაა იძულებული, მოისთვლას

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

თავისი სულიერი განვითარების მწარე ნაყოფი. ევროპელებს დიდხანს მოუღლელად ამოჰყავდათ თავიანთი კულტურის დიდებული ტაძრის კედლები, მაგრამ ამ ტაძარს საძირკველი არ ჰქონდა.

ჩემს შრომაში მე ვცდილობდი ზოგადად მაინც მომეხაზა გარკვეული ტიპის ევროპელის კოლექტიური პორტრეტი. უწინარეს ყოვლისა, ჩემი მიზანი იყო გამეანალიზებინა მისი ქცევა მისივე წარმომშობი ცივილიზაციის წიაღში. მე იძულებული ვიყავი მიმემართა ამნაირი ანალიზისთვის, რადგანაც დარწმუნებული ვარ, რომ ადამიანი-მასა არ შეიძლება ახალი ცივილიზაციის წარმომადგენელი იყოს, თავგამოდებით რომ ებრძვის ძველი ცივილიზაციის გადმონაშთებს. ეს „გმირი“ ყოველგვარი ცივილიზაციის უარმყოფელია, არადა კაცმა რომ თქვას, რა იმალება ამ უარყოფის მიღმა, თუ არა პირწავარდნილი პარაზიტიზმი? ადამიანი-მასა დღემდე იმის ხარჯზე ცხოვრობს, რასაც თვითონვე უარყოფს, და გამგელებული ნთქავს სხვების მიერ შექმნილსა და დაგროვილ სინამდვილეს. ერთის მხრივ, მისი ფსიქიკის დიაგრამის აგების ცდა არ უნდა ავურიოთ მეორე, უაღრესად მნიშვნელოვან საკითხში: მაინც სადაა საძიებელი იმ სნეულებათა ბიწიერი ფესვი, რომელთაგანაც ვერასდიდებით ვერ დაუღწევია თავი ევროპულ კულტურას? მაგრამ, მეორეს მხრივ, ისიც ცხადია, რომ საბოლოო ანგარიშით, სწორედ ამ სნეულებებისგან იღებს დასაბამს ადამიანური არსებობის ჩვენ მიერ აღწერილი ფორმა.

თუმცა ეს რთული და უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემა შორს სცილდება ჩვენი გამოკვლევის ფარგლებს. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა დაგვეწერა ახალი, უფრო ვრცელი შრომა, სადაც გადმოცემული იქნებოდა, თუ რანაირად ხდება, რომ თანამედროვე ევროპული კულტურის ეს ავადმყოფური ნიშნები, ცალკეული ხმებისა არ იყოს, კონტრაპუნქტულად ერწყმიან ერთმანეთს და ამრიგად ქმნიან ადამიანური ცხოვრების ერთიან თემას. შესაძლოა, შორს აღარაა ის წამი, როცა კაცობრიობას ხმამაღლა უნდა ეუწყოს ჩვენი ყოფიერების ჭეშმარიტი არსი.

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

შენიშვნები

1 ↑ მოვლენათა განვითარების განსაკუთრებულ ტრაგიზმს განაპირობებდა ის გარემოება, რომ უზარმაზარი ქალაქების წარმოქმნასთან ერთად დაიწყო სოფლების დაცარიელებაც, რომელთა მაცხოვრებლებმაც ქალაქებს მიაშურეს, რამაც, საბოლოო ანგარიშით, გამოიწვია რომის იმპერიის ტერიტორიაზე მოსახლეობის მკვეთრი შემცირება.
2 ↑ იხ. „ესპანეთი მალების გარეშე“ (პირველი გამოც. 1920 წ.), აგრეთვე სტატიების სერია გაზეთში „ელ სოლ“ („მზე“ - მთარგმნ.) ვსარგებლობთ ამ შემთხვევით, რათა უცხოელ მკვლევარებს, რომლებიც ძალზე გულისხმიერად ცდილობენ ჩემი შემოქმედების გაანალიზებას და არცთუ იშვიათად აწყდებიან სიძნელეს ამა თუ იმ ნაწარმოების პირველი გამოცემის თარიღის განსაზღვრისას, - დიახ, რათა ვაუწყო უცხოელ მკვლევარებს, რომ თითქმის ყველა ჩემი შრომა ჩემივე საგაზეთო სტატიების მასალის თანდათანობით განზოგადების საფუძველზე შეიქმნა. ხშირად საკმაო დროს გაუვლია, ვიდრე ეს სტატიები წიგნებად იქცეოდნენ (1946).
3 ↑ ბედნიერი უმცირესობა (ინგლ.) აქ და ქვემოთ ყველა უცხოენოვანი პასაჟის თარგმანი, სქოლიოებში ჩამოტანილი შენიშვნების სახით, მთარგმნელს ეკუთვნის.
4 ↑ გრაფის მეუღლე (ფრანგ.).
5 ↑ ზოგადად (ლათ.).
6 ↑ ჩვენ გვშვეს მამებმა, ჩვენსავ პაპებზე უარესებმა, და ჩვენ, საკუთარ მამებზე უარესნი, მალე ჩვენზე უარეს ნაშიერთა ვშობთ“, - „ოდები“, III, 6, 46-48.
7 ↑ დრო ჩვენს მხარეზე როდია (ლათ.).
8 ↑ იმპერატორ ადრიანეს დროინდელ მონეტებზე შეიძლება ამოვიკითხოთ, მაგალითად, აი, ასეთი წარწერა: „Italia felix, Saeculum aureum, Tellus stabilita, Temporum felicitas“, - „ბედნიერი იტალია, ოქროს საუკუნე, ქვეყნად მშვიდობის სუფევა, ნეტარი დრო“. ამ საკითხით დაინტერესებულთ შეგვიძლია მივუთითოთ არა მარტო კოენის დიდი ნუმიზმატიკური კოლექციის კატალოგი, არამედ მონეტების რეპროდუქციებიც, გამოქვეყნებული როსტოვცევის წიგნში „The social and economic history of the Roman Empire“ („რომის იმპერიის სოციალური და ეკონომიური ისტორია“), 1926, რეპრ. II, ,გვ. 538, შენ. 6; ესპანური გამოცემა „ეპასა კალპეში“ გამოვიდა.
9 ↑ მკითხველს ვურჩევ გაეცნოს „საყოველთაო კმაყოფილების“ ეპოქათა ბრწყინვალე ანალიზს ჰეგელის „ისტორიის ფილოსოფიაში“, თარგმანი ხ. ვაისისა. ტ. I. გვ. 51 და შმდ.
10 ↑ დასაბამიერი აზრი სიტყვებისა - „თანადროული“, „თანამედროვეობა“, როგორც ჩვენმა დრომ თვითონვე მოინათლა თავი, მთელი სიცხადით გვივლენს მის საერთო განწყობილებას. „თანადროული“, „მოდერნი“ ის გახლავთ, რაც ახალ მოდაზე, არსებობის ახალ მოდუსზეა დამოკიდებული. ერთის მხრივ, სიტყვა „თანადროული“ ახალი ცხოვრების შეგნებას გულისხმობს, მეორეს მხრივ კი გამოხატავს „დროის

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

სიმაღლეზე“ დგომის მოთხოვნილებას; თანამედროვე ადამიანისათვის „დროის სიმაღლეზე“ არყოფნა იგივეა, რაც „ძველმოდური“ იყოს.

11 ↑ შრომიდან „ხელოვნების დეჰუმანიზაცია“.

12 ↑ ადამიანი სწორედ იმიტომ მიელტვის დროისა და სივრცის დაძლევას, რომ მისი სიცოცხლე შეზღუდულია დროით, რომ ის მოკვდავია, უკვდავი ღმერთი არ გამოიგონებდა ავტომობილს.

13 ↑ უარეს შემთხვევაში, როცა გვეჩვენება, რომ მხოლოდ ერთი გამოსავალიღა გვრჩება, სინამდვილეში ასეთი გამოსავალი ორია; მეორე - ამ ქვეყნით გასვლაა. მაგრამ ამ ქვეყნით გასვლა თვით ამ ქვეყნისა და, საერთოდ სამყაროს არსებობით განპირობებული მოქმედებაა. გინდ ამ ქვეყნიდან გასულხარ და გინდ ოთახის კარი გამოგიღია.

14 ↑ ეს ცნება მე შემომაქვს ჩემს პირველ წიგნშივე - „მსჯელობანი „დონ კიხოტის“ შესახებ“ (1916). „ატლანტიდებში“ მე მას „ჰორიზონტს“ ვუწოდებ. იხ. ჩემი ესსე „სახელმწიფოს სპორტული წარმომავლობა“ (1926).

15 ↑ მიღწევები (ინგ.).

16 ↑ ნიუტონისეული სამყარო უსასრულო იყო, მაგრამ რაკი არავითარი სიდიდით არ იყო გამოხატული, ეს უსასრულობა ლიტონ განზოგადებად, უტოპიურ აბსტრაქციად რჩებოდა, აინშტაინის სამყარო სასრულია, მაგრამ ის სავსეა საგნებით, ის კონკრეტულია თავის ნებისმიერ ნაწილში; ამიტომაც ის უფრო მრავალფეროვანია და, მაშასადამე, მეტი მასშტაბურობითაც გამოირჩევა.

17 ↑ სულის თავისუფლება, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინტელექტის პოტენციური შესაძლებლობანი, ტრადიციულად გაერთიანებულ ცნებათა გამიჯვნის მისეული უნარით განიზომება. ცნებათა გამიჯვნა ყოველთვის გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე მათი გაერთიანება, როგორც ეს თავისი ცდებით დაამტკიცა კელერმა, შიმპანზეს ინტელექტის განსაზღვრას რომ ისახავდა მიზნად. ადამიანის გონებას არასოდეს არ ჰქონია ისეთი ანალიტიკური უნარი, როგორიც დღეს.

18 ↑ სწორედ აქაა საძიებელი ყველა იმ თეორიის აღმოცენების მიზეზი, ევროპული ცხოვრებისა და ცივილიზაციის დეკადანსს რომ ასაბუთებენ. საქმე ის კი არაა, რომ ჩვენ უკვე დაცემის პერიოდში ვართ, არამედ ის, რომ რაკიღა ვუშვებთ ყოველგვარ შესაძლებლობას, არც დაცემის შესაძლებლობაა გამორიცხული.

19 ↑ მიუხედავად ამისა, წარსულმა საანალიზოდ შეიძლება პოზიტიური თუ არა, ნეგატიური გამოცდილება მაინც შემოგვთავაზოს. წარსული არასოდეს არ გვეტყვის, რა უნდა ვაკეთოთ, მაგრამ მას შეუძლია მიგვითითოს, რისი გამეორება არ გვმართებს.

20 ↑ სიტყვა ისევეა ნაწარმოები, როგორც „პურეული“, „ბაღჩეული“, „ბოსტნეული“. - მთარგმნ.

21 ↑ ჰერმან ვაილი, თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი ფიზიკოსი, აინშტაინის მეგობარი და მისი საქმის გამგრძელებელი, კერძო საუბრისას ხშირ-ხშირად იმეორებდა: საკმარისია უცებ გამოგვცლოდა ხელიდან ათი თუ თორმეტი წამყვანი მეცნიერი, და ჩვენ შეგვეძლო დაბეჯითებით

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

გვემტკიცებინა, რომ ფიზიკის უკანასკნელი მიღწევები სამუდამოდ დაკარგული იქნებოდა კაცობრიობისთვისო. ვინ იცის, რამდენი საუკუნე დასჭირდა იმას, რომ ადამიანის ტვინი მომზადებულიყო თეორიული ფიზიკის აბსტრაქტულ სირთულეთა აღსაქმელად. ნებისმიერ შემთხვევით მოვლენას შეუძლია მტვრად აქციოს ადამიანური გონების ეს გამაოგნებელი უნარი, რომელიც იმავდროულად, მთელი ტექნიკური პროგრესის გარანტად გვევლინება.

22 ↑ დაბადებითვე (ლათ.).

23 ↑ უწინ, რაგინდ მდიდარიც არ უნდა ყოფილიყავი კაცი, მთელი იმ განცხრომისა თუ ფუფუნების რაოდენობა, რაც შეიძლებოდა ფულით გეყიდა, საკმაოდ შეზღუდული გახლდათ. კაცობრიობის უმეტესი ნაწილის ხვედრი სიღატაკე იყო. ადამიანი-მასის ცხოვრებას დღეს უკვე აღარ ეთქმის „მძიმე“; მისი არსებობა უფრო უზრუნველყოფილია და კომფორტული, ვიდრე უწინ ნებისმიერი მდიდარი კაცის ყოფა. რა მნიშვნელობა აქვს მისთვის, სხვებზე უფრო მდიდარია თუ არა, რაკიღა საზოგადოებრივი კეთილდღეობა საშუალებას აძლევს ისე ისარგებლოს საუცხოო გზატკეცილებითა თუ რკინიგზებით, სატელეფონო კავშირითა თუ სასტუმროებით, თითქოს მისი პირადი საკუთრება იყოს; იმავდროულად, უზრუნველყოფს მის ფიზიკურ ხელშეუხებლობას და ასპირინითაც ამარაგებს?

24 ↑ თუ ნებას მივცემთ მასას (სულერთია, „პლებეური“ წარმომავლობისა იქნება იგი თუ „არისტოკრატულის“), თავისი მიდრეკილების მიხედვით იმოქმედოს, მისთვის ნიშნეული სასიცოცხლო იმპულსით ის შემუსრავს თვით საკუთარი არსებობის საფუძვლებსაც. იმ პრინციპის ქმედითობის სასეირო კარიკატურად, რომლის თანახმადაც, „propter vitam, vivendi perdere causas“, („სიცოცხლის გულისათვის ანადგურებენ თვით ამ სიცოცხლის მიზეზებს“), ჩემის აზრით, გვევლინება ერთი შემთხვევა, რაც 1759 წლის 13 სექტემბერს, კარლოს III-ის კორონაციის დღეს მოხდა სოფელ ნიხარში, ალმერიის მახლობლად რომ მდებარეობს: „სოფლის მოედანზე წაკითხულ იქნა ბრძანება. ამის შემდეგ ბრბოს ჩამოურიგეს 77 არობა ღვინო და ოთხი ტიკჭორა არაყი, რამაც ისე აღაგზნო ხალხი, რომ „ვაშას“ ბღავილით გაემართნენ ბეღლებისაკენ, საიდანაც დაიტაცეს მთელი ხორბალი და სალაროდან მოიპარეს 900 რეალი. შემდეგ ისინი გაეშურნენ თამბაქოს დუქნისაკენ და აიძულეს მედუქნეები, მთელი ნავაჭრი თანხა და თამბაქო მიეცათ მათთვის. ისინი აიძულებდნენ ქალებს, მთელი თავიანთი ავლადიდება გამოეტანათ სახლებიდან, რაც სანაქებო უანგარობით იქნა აღსრულებული, ასე რომ სახლებში აღარ დარჩა აღარც პური, აღარც ხორბალი, აღარც ფქვილი, აღარც ქერი, აღარც თეფშები, აღარც ქვაბები, აღარც ფილები, აღარც სკამები, - ასე იქნა გაძარცვული მთელი სოფელი“, (ასე სწერია ერთ იმდროინდელ დოკუმენტში, რომელიც სენიორ სანჩეს დე ტოკას კოლექციაში ინახება და მოტანილია დონ მანუელ დანვილის წიგნში „კარლოს III-ის მეფობა“ ტ, II-ის გვ. 10, შენ. 2). ეს სოფელი იმდენად აღივსო ქვეშევრდომული გრძნობებით,

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

რომ თვითონვე გაინადგურა თავი. ჰოი, ნიხარის ღირსეულო მცხოვრებნო! მომავალი თქვენია, თქვენი!

25 ↑ ინტელექტუალური თვალსაზრისით, ადამიანი-მასა იქნება ის, ვინც რაიმე პრობლემის გადაჭრისას იმ აზრს სჯერდება, პირველად რომ მოუვა თავში; „რჩეულად“ კი, ამ შემთხვევაში, ის უნდა მიგვაჩნდეს, ვინც არ ენდობა ანაზდეულად გაელვებულ აზრს და მხოლოდ იმას მიიჩნევს ღირსეულ აზრად, რომელსაც ადვილად ვერ მოიფიქრებს და რომელიც დიდ გონებრივ ძალისხმევას მოითხოვს.

26 ↑ კეთილშობილება გვავალდებულებს (ფრანგ.).

27 ↑ იხ. ჩემი შრომა „ესპანეთი მალების გარეშე“, 1927, გვ. 156, თავი „შერჩევის იმპერატივი“.

28 ↑ იხ. „სახელმწიფოს სპორტული წარმომავლობა“.

29 ↑ რაკიღა ზემოთ საქმე ეხებოდა იმას, რომ სიტყვისთვის „კეთილშობილება“ მისი პირველადი მნიშვნელობა დაგვებრუნებინა, რასაც გამორიცხავს „მემკვიდრეობითობის“ გაგება, ამიტომ აქ აღარ შევეხებით იმ საკითხს, თუ რატომაა, რომ ისტორიაში „კეთილშობილება“ ესოდენ ხშირად იწვევს „კეთილშობილური წარმომავლობის“ ასოციაციას.

30 ↑ მასების, განსაკუთრებით კი ესპანური მასების ურჩობის შესახებ უკვე იყო ლაპარაკი ჩემს წიგნში „ესპანეთი მალების გარეშე“ (1927), რომელსაც ვუთითებ ყველას ვისაც ეს საკითხი აინტერესებს.

31 ↑ რამდენჯერ მიკითხავს ჩემი თავისთვის: ვინ მოსთვლის, რამდენ ადამიანს ცხოვრებაში ყველაზე მძიმე გამოცდად ჰქცევია მოყვასთა სიბრიყვესთან შეჯახება. მიუხედავად ამისა, დღემდე (რამდენადაც ჩემთვის ცნობილია) არავის უცდია მისი შესწავლა, ჯერ კიდევ არავის დაუწერია ესსე სიბრიყვის შესახებ.

32 ↑ ნურც ეცდებით შეცვალოთ საკითხის არსი, რადგანაც აზრის ნებისმიერი გამოთქმა თეორეტიზირებას გულისხმობს.

33 ↑ თუ ვინმეს თქვენთან დავისას არავითარი სურვილი არა აქვს გაარკვიოს ჭეშმარიტება. თუ მას არ აღძვრია სურვილი, ჭეშმარიტებას მისდიოს, მაშინ ის ინტელექტუალური თვალსაზრისით, ბარბაროსია. სწორედ ასეთია ადამიანი-მასის პოზიცია. როცა ის იფხორება, ლექციას კითხულობს, ან სამწერლო მოღვაწეობას ეწევა.

34 ↑ უკანასკნელი არგუმენტი (ლათ.).

35 ↑ პირველი არგუმენტი (ლათ.).

36 ↑ ერთ ადგილს ტკეპნის (ფრანგ.),

37 ↑ სამწუხაროდ, მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ არც ერთი ჩემი მკითხველი სერიოზულად არ მიიღებს ჩემს მოსაზრებებს ამ საკითხთან დაკავშირებით; ყველაზე კეთილმოსურნენი, ალბათ, მახვილგონივრულ მეტაფორებად მიიჩნევენ მათ. უნდა მოიძებნოს ისეთი მკითხველი - რაც ძალზე იშვიათად ხდება, - რომელიც საკმაოდ მიამიტი და, ამიტომ, დარწმუნებულიც იქნებოდა, რომ ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტია საბოლოოდ, რა არის, ან, ყოველ შემთხვევაში, რა არ არის ცხოვრება; მხოლოდ ამნაირი მკითხველი თუ ირწმუნებს ჩემი დებულებების დასაბამიერ მნიშვნელობას. ის კი სულერთია, რანაირად აღიქვამს მათ: ჭეშმარიტნი იქნებიან

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

მის თვალში თუ ყალბნი; მთავარია, რომ ის მათ გაიგებს. დანარჩენები კი მეტ-ნაკლებად ერთსულოვანნი იქნებიან, მხოლოდ ერთი განსხვავებით: ზოგს ეგონება, რომ, თუ სიმართლე გნებავთ, ყოფიერება სულის არსებობის პროცესია, ზოგი კი იტყვის, რომ სიცოცხლე სხვა არა არის რა, თუ არა ქიმიურ რეაქციათა თანმიმდევრობა. მე მგონია, ვერ ვაიძულებ მკითხველებს, ჩემი თვალსაზრისი გაიზიარონ, მკითხველებს, რომლებიც არ მოისურვებენ მომისმინონ, თუ შევეცდები ამ რამდენიმე პწკარში მოვაქციო ჩემი აზრების მთელი განვითარება და ვამტკიცო, რომ სიტყვა „ცხოვრების“ დასაბამიერი და ინტიმური აზრი მაშინ ვლინდება, როცა ბიოლოგიური კი არა, ბიოგრაფიული მნიშვნელობით ვხმარობთ მას. იმის გამო, რომ ბიოლოგიის ნებისმიერი დარგი, საბოლოო ანგარიშით, მხოლოდ ადამიანის ბიოგრაფიის ერთი თავია, ბიოლოგები მთელი თავიანთი ცხოვრების მანძილზე მიტომაც ჩაჰკირკიტებენ მას, ცხოვრებისა, რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება ბიოგრაფიულად იქნეს განმარტებული. სხვა საქმეა აბსტრაქცია, ფანტაზია, მითი.

38 ↑ წარსულის მიმართ ეს თავისუფალი დამოკიდებულება არამც და არამც არ გულისხმობს მის ხელაღებით უარყოფას. პირიქით, წარსულისადმი სწორედ ამნაირ დამოკიდებულებას დაჟინებით მოითხოვენ კაცობრიობის განვითარების „კრიტიკული ეპოქები“, მე თუ XIX საუკუნის ლიბერალიზმს ვიცავ მასების წინაშე, რომლებიც ბარბაროსულად თავს ესხმიან მას, ეს სულაც არ ნიშნავს, თითქოს მე მოვითხოვ უარი ვთქვა საკუთრივ ლიბერალიზმის პრინციპის თავისუფალ ინტერპრეტაციაზე. მეორეს მხრივ, პირველყოფილი მდგომარეობა, რომლის ყველაზე ამაზრზენი ნიშან-თვისებები ასახულია ამ ესსეში, ნებისმიერი ისტორიული პროგრესის პირობად გვევლინება. იხ. რას ვწერდი ამ რამდენიმე წლის წინათ ჩემს ესსეში „ბიოლოგია და პედაგოგიკა“.

39 ↑ ახალი მეცნიერებანი (იტალ.).

40 ↑ ბუნების შვილი (გერმ.).

41 ↑ თავისი თავის მიზეზი (ლათ.).

42 ↑ ამიტომ დარწმუნებული ვარ, რომ ვინც ამერიკას განსაზღვრავს როგორც ქვეყანას, რომელიც წინ მიუძღვის ტექნიკურ პროგრესს, სინამდვილეში არაფერს არ ამბობს ამ ქვეყანაზე. არაფერი ისე არ აბნელებს ევროპელების გონებას, როგორც დაუფიქრებელი მსჯელობა იმის თაობაზე, რაც ამერიკაში ხდება. არადა, ხშირად ასე მსჯელობენ თვით ყველაზე უფრო განათლებული ადამიანებიც, დისპროპორციის სრულიად თავისებური სახეა თანაფარდობა, რაც დღეს არსებობს ერთის მხრივ, თანამედროვე პრობლემების სირთულესა და მეორეს მხრივ, ჩვენი თანამედროვეების გონებრივ შესაძლებლობათა დაბალ დონეს შორის. მაგრამ ამის თაობაზე ქვემოთ მოგახსენებთ.

43 ↑ და მართლაც: ლიბერალურმა დემოკრატიამ ტექნიკურ პროგრესამდე მიგვიყვანა, რომელიც, თავის მხრივ, წარმოუდგენელია ლიბერალური დემოკრატიის გარეშე, ერთი ცნება მეორეს გულისხმობს. ისინი ისე მჭიდროდ არიან

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

დაკავშირებული ერთმანეთთან, რომ შეუძლებელია ერთის არსებობის წარმოდგენა მეორის არსებობის გარეშე. როგოც ჩანს, საჭიროა მესამე სიტყვა, რომელიც მოიცავდა ორივე მნიშვნელობას. ეს სიტყვა გამოხატავდა ორივე ცნების ჭეშმარიტ არსს; ის ჩვენი საუკუნის სიტყვად იქცეოდა.

44 ↑ ჩვენ აქ არ შევუდგებით მეცნიერების შინაგანი მდგომარეობის ანალიზს. სწავლულთა უმრავლესობას წარმოდგენაც არა აქვს, რა მძიმე, რა საშინელ კრიზისს განიცდის ჩვენს დროში მეცნიერება.

45 ↑ ამ მოვლენის არნახულ საშინელებას ადასტურებს ის ფაქტი, რომ (როგორც უკვე აღვნიშნე) დღევანდელი არსებობის დანარჩენი პრინციპები, როგორც მაგალითად, პოლიტიკა, სამართალი, ხელოვნება, მორალი, რელიგია, მართლაც განიცდიან კრიზისს, რაც მათი განვითარების შედეგად გვევლინება. კრიზისი თუ არა, ყოველ შემთხვევაში, მათი დეკადანსი ხომ უეჭველია. მხოლოდ მეცნიერებამ დააღწია თავი ამ კრიზისს; მეტიც, დღითი დღე ახალ-ახალ წარმატებებს გვპირდება, და უფრო მეტსაც კი ასრულებს, ვიდრე აღგვითქვამს. დღეს მეცნიერებას კონკურენტი არ მოეძებნება; მით უფრო მიუტევებელია საშუალო ადამიანის განდგომილება მეცნიერებისაგან, რადგანაც კულტურაში დღეს აღარაფერია ისეთი, მისი მიზიდვა რომ შეეძლოს.

46 ↑ ფაქტის ძალით (ლათ.).

47 ↑ ამ სიტყვის ფართო გაგებით (ლათ.).

48 ↑ უკვე მაშინ აშკარა ხდება განსხვავება მეცნიერების იმდროინდელ მდგომარეობასა და კულტურის მდგომარეობას შორის; იქმნება სიტუაცია, რომელიც ჩვენი თანამედროვეობის განსაკუთრებულ შეცბუნებას იწვევს.

49 ↑ ერთი თაობის საზოგადოებრივი ცხოვრება დაახლოებით ოცდაათ წელს გრძელდება. ეს ცხოვრება შეიძლება ორ პერიოდად და, მაშასადამე, ორ ეტაპადაც დაიყოს. დაახლოებით თხუთმეტი წლის განმავლობაში ახალი თაობა ცდილობს დაამკვიდროს თავისი იდეები, მისწრაფებები თუ წარმოდგენები და, ბოლოს და ბოლოს, მიზანსაც აღწევს: მისი იდეები თხუთმეტი წლის მანძილზე დომინანტურნი ხდებიან საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თუ თაობა აღზრდილია მშვიდობიან ვითარებაში, სადაც ბატონობს წინა თაობის, ესე იგი, მამების აზროვნების მანერა, მაშინ ის ცდილობს ახალი იდეები, მისწრაფებები და წარმოდგენები თავს მოახვიოს საზოგადოებრივი ცხოვრების ატმოსფეროს. თუ უფროსი თაობის იდეები, მისწრაფებები და წარმოდგენები ექსტრემისტული ხასიათისაა, მაშინ ახალი თაობა ანტიექსტრემისტულად და ანტირევოლუციურად იქნება განწყობილი, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რესტავრაციის მომხრე იქნება. სწორედ ესაა ახალი თაობის ნებისმიერი მოღვაწეობის არსი. რა თქმა უნდა, რესტავრაცია სულაც არ ნიშნავს წარსულისაკენ უბრალო „მიბრუნებას“, რაც, კაცმა რომ თქვას, არც არასოდეს მოჰყოლია შედეგად არავითარ რესტავრაციას.

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

50 ↑ შემოქცევადი (ფრანგ.).
51 ↑ უკუნითი უკუნისამდე (ლათ.).
52 ↑ ერთმანეთში არ უნდა ვურევდეთ „შეძლების“, ან თვით საარსებო საშუალებათა „რაოდენობრივი ზრდის“ ცნებას და მათ „სიჭარბეს“. XIX საუკუნეში მნიშვნელოვნად გაიზარდა ცხოვრებისეულ სიკეთეთა რაოდენობა, რამაც გამოიწვია, როგორც უკვე მოგახსენეთ, სასიცოცხლო შესაძლებლობათა განსაცვიფრებელი რაოდენობრივი და თვისებრივი ზრდა. მაგრამ მალე დადგა მომენტი, როცა ცივილიზებულ ქვეყნებში რეალობად იქცა პროდუქტთა სიუხვე და საქონლის ჭარბწარმოება. შეიქმნა სიტუაცია, რომელსაც ვერასდიდებით ვერ აწონასწორებდა საშუალო ადამიანის რეალური შესაძლებლობანი. თავდაჯერებამ, პროგრესი (ცხოვრებისეულ სიკეთეთა განუხრელი ზრდა) გარდუვალიაო, მისი სრული დემორალიზაცია გამოიწვია, რადგანაც განვითარების შეუქცევადობის ბრმა, მაცდური რწმენით აღავსო.
53 ↑ ამ მხრივ, თუმცა ბევრი სხვა თვალსაზრისითაც, ინგლისური არისტოკრატია საერთო წესიდან იშვიათ გამონაკლისად გვევლინება. მაგრამ ამაში არაფერია გასაკვირი. მოდით, ზოგადად მაინც გავიხსენოთ ბრიტანეთის ისტორიის ზოგიერთი წვრილმანი. მაშინ დავინახავთ რომ ეს გამონაკლისი, თუკი მას ამ შემთხვევაშიაც გამონაკლისად მივიჩნევთ, მხოლოდ ადასტურებს საერთო წესს. საყოველთაოდ აღიარებული შეხედულების მიუხედავად, უნდა შევნიშნოთ, რომ ინგლისური არისტოკრატია ერთ-ერთი ყველაზე ღარიბი არისტოკრატია იყო მთელ ევროპაში. ამასთანავე, მას გაცილებით უფრო ხშირად ემუქრებოდა განადგურების საფრთხე, ვიდრე ნებისმიერ სხვა არისტოკრატიას. ამიტომ ის თავდაუზოგავად იბრძოდა საკუთარი ღირსებისათვის, მზად იყო იარაღით დაეცვა თავისი სიცოცხლე და თავისი თავი. რატომღაც ივიწყებენ იმ დიდმნიშვნელოვან ფაქტს, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე ინგლისი ევროპის ერთ-ერთი უღარიბესი ქვეყანა იყო: სწორედ ამან გადაარჩინა არისტოკრატია. რაკიღა ინგლისელი არისტოკრატები არასოდეს არ ყოფილან მაინცდამაინც მდიდრები, ცხადია, ისინი იძულებულნი იყვნენ კომერციისა და მეწარმეობისათვის მიეყოთ ხელი (რასაც არასდიდებით არ იკადრებდა კონტინენტური ევროპის არისტოკრატია); სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათ საკმაოდ ადრე დაიწყეს აქტიური ეკონომიკური მოღვაწეობა, ასე რომ, მარტოოდენ თავიანთი წოდების პრივილეგიების წყალობით როდი გაჰქონდათ თავი,
54 ↑ გონიერი ადამიანი (ლათ.).
55 ↑ ზოგიერთი სახელმწიფო საერთაშორისო ასპარეზზე ზუსტად ისევე იქცევა, როგორც განებივრებული ბავშვი - საზოგადოებაში რადგანაც ავიწყდება, რომ შინ, საკუთარ სახლში არ არის, ესე იგი, ყველაფრის უფლებას აძლევს თავის თავს. ამნაირ ქცევას მიამიტურად უწოდებენ „ნაციონალიზმს“. მიუხედავად იმისა, რომ მე ძირფესვიანად უარვყოფ ინტერნაციონალიზმის პირფერ მიმდევართა არგუმენტებს, მაინც არ შემიძლია სასაცილოდ არ მიმაჩნდეს ამ „ერების“

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

ინფანტილური ქცევაც, რომლებმაც ვერ იქნა და ვერ შეაბიჯეს „სიმწიფეში“.

56 ↑ იგულისხმება პაპ პიუს IX-ის 1864 წლის 8 დეკემბრის ბულა (მთარგმნ.).

57 ↑ ის, ვინც კოპერნიკივით ფიქრობს, რომ მზე ჰორიზონტს იქით არ ჩადის, კვლავინდებურად ხედავს, რომ ის ჩადის; და რაკი იმისათვის, რაღაცა რომ დაინახო, ჯერ უნდა ირწმუნო იგი, - მას უწინდებურად სწამს, რომ მზე ჩადის. მაგრამ, ამასთანავე, მისი მეცნიერული მრწამსი მისსავე არსებაში გამუდმებით სძლევს იმ წარმოდგენას, რომელსაც მისი პირველადი, ესე იგი, ემპირიული რწმენა უდევს საფუძვლად. ასე კათოლიკეც უარყოფს თავისი დოგმატური რწმენით იმ წარმოდგენებს, რომლებიც აღეძვრიან სულში მისი ჭეშმარიტად ლიბერალური რწმენის შედეგად. მე კათოლიკეზე მხოლოდ იმიტომ ჩამოვაგდე სიტყვა, რომ განვმარტო ჩემი აზრი. კათოლიკეს ვერ უსაყვედურებ, რომ მისი არსებობა არაჭეშმარიტია, როგორც თანამედროვე ადამიანი-მასის, ამ „მაძღარი ბატონიშვილის“ ცხოვრება. კათოლიკეს არსებობა მხოლოდ მის ცალკეულ გამოვლინებებშია არაჭეშმარიტი. მაგრამ თვით ეს ხშირი დამთხვევაც შემთხვევითი ხასიათისაა. კათოლიკეს არსებობა არაჭეშმარიტია მაშინ, როცა ის ცდილობს უერთგულოს თავისი არსებობის ძირითად პრინციპებს, კათოლიკური რწმენის პრინციპებს. ამიტომ კათოლიკეს ყოფისათვის ნიშნეულია ეს ტრაგიკული გაორება. მაგრამ ამ გაორებას უდრტვინველად რომ ურიგდება, კათოლიკე თავის მოვალეობას ასრულებს. „მაძღარი ბატონიშვილი“ კი, ყოველნაირად რომ ცდილობს თავიდან აიცილოს ტრაგედია, კისრისტეხით გაურბის საკუთარ თავს.

58 ↑ ვინც უარს ამბობს იყოს ის, რაც უნდა იყოს, ბოლოს და ბოლოს, აუცილებლად დაკარგავს საკუთარი ღირსების გრძნობას და თავიდან ვერ აიცილებს მორალურ დაცემას. მიუხედავად ამისა, მისი ჭეშმარიტი „მე“ მაინც არ კვდება, არამედ ერთგვარ უჩინარ ბრალმდებლად, აჩრდილად თუ ლანდად იქცევა, რომელიც გამუდმებით შეახსენებს მისი არსებობის სიმდაბლეს, აშკარად რომ არ შეესაბამება მის ჭეშმარიტ დანიშნულებას. ადამიანი, რომელსაც აღარა აქვს თავისი არსებობის ჭეშმარიტების შეგრძნება, თვითმკვლელსა ჰგავს - თავის საკუთარ სიკვდილს რომ მოესწრო.

59 ↑ ფესვებითურთ ამოგლეჯილი (ფრანგ.).

60 ↑ იმისათვის, რომ ფილოსოფია მართავდეს საზოგადოებას, სულაც არ არის აუცილებელი, რომ ფილოსოფოსები მართავდნენ, როგორც ამბობდა პლატონი თავდაპირველად, მაგრამ არც ისაა საჭირო, რომ მმართველები ფილოსოფოსებად გვევლინებოდნენ, როგორც უფრო მოკრძალებულად ამტკიცებდა იგი მოგვიანებით. მმართველობის ორივე ფორმა დამღუპველი იქნებოდა საზოგადოებისათვის. ფილოსოფია რომ მართავდეს საზოგადოებას, საკმარისია მხოლოდ მისი არსებობის ფაქტი; სხვა სიტყვებით, საკმარისია, რომ ფილოსოფოსი ფილოსოფოსადვე რჩებოდეს. აგერ უკვე საუკუნეზე მეტი იქნება, რაც ფილოსოფოსი ყველაფერია, რაც

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

გნებავთ, - პოლიტიკოსი, პედაგოგი, ლიტერატორი, მეცნიერ-მუშაკი, მაგრამ არა ფილოსოფოსი.

61 ↑ ესპანელები მეორენაირად ასე უწოდებენ ლუციფერს. (მთარგმნ.).

62 ↑ არგუმენტი (ლათ.).

63 ↑ იხ. „ესპანეთი მალების გარეშე“, 1921.

64 ↑ ეს მარტივი სახე, თვალნათლივ რომ გვიჩვენებს დიდ ისტორიულ ძვრებს, რომლებითაც აღინიშნა ის მომენტი, როცა ბურჟუაზია კარდინალურ პოსტებს იკავებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, პოსტებს, რომლებიც უწინ მხოლოდ არისტოკრატიას ეჭირა, - მე რანკესაგან ვისესხე. რა თქმა უნდა, ამ სახის სიმბოლური და, ცოტა არ იყოს, სქემატური სიმართლე არაერთ დანამატს მოითხოვს, რათა ზუსტად შეესაბამებოდეს ჭეშმარიტებას. თოფის წამალი ძალიან დიდი ხნის წინათ იქნა გამოგონილი. ვიღაც ლომბარდიელმა პირველად დაამზადა ცეცხლსასროლი იარაღი, მაგრამ ის არაეფექტური იყო, ვიდრე ტყვია არ გამოიგონეს. „კეთილშობილებს“ არასოდეს უსარგებლიათ ცეცხლსასროლი იარაღით, რადგანაც მხოლოდ არისტოკრატიაზე გაცილებით უფრო მდიდარ ბურჟუაზიას თუ შეეძლო, დიდძალი რაოდენობით გამოეყენებინა იგი. ამიტომ, როგორც მოსალოდნელი იყო, არისტოკრატები, რომლებსაც შუა საუკუნეების ტიპის ლაშქარი ჰყავდათ, საბოლოოდ გაანადგურეს შვეიცარიელი ბურჟუების ახალმა, არაპროფესიონალი მეომრებისაგან შედგენილმა რაზმებმა, რომელთა ძალაც ახლებურ დისციპლინასა და ტაქტიკური საკითხების გადაჭრისადმი ახლებურ მიდგომაში მდგომარეობდა.

65 ↑ ყურადღება უნდა გაგვემახვილებინა იმაზე, რომ აბსოლუტური მონარქიების ეპოქაში ევროპული სახელმწიფოებრიობა თითქმის სრულიად განუვითარებელი იყო. რითი აიხსნება ეს მოვლენა? საზოგადოება ხომ უკვე ყალიბდებოდა სახელმწიფოს ირგვლივ. რა იყო მიზეზი, რომ სახელმწიფო, რომელსაც შეეძლო ყველაფრის ნება მიეცა თავისათვის - ის ხომ „აბსოლუტური“ იყო, - უფრო ძლიერი არ ხდებოდა. ამ მოვლენის ერთ-ერთ მიზეზზე უკვე შევაჩერე თქვენი ყურადღება, კერძოდ, იმაზე, რომ ეგრეთწოდებულ შთამომავლობით არისტოკრატიას არავითარი ტექნიკური და ბიუროკრატიული უნარი არ გააჩნდა. მაგრამ არსებობდა მეორე მიზეზიც. საქმე ისაა, რომ აბსოლუტისტურ მონარქიას, არისტოკრატიის სახით, არ უნდოდა სახელმწიფო უფრო ძლიერი გამხდარიყო საზოგადოებრივი ძალაუფლების შესუსტების ხარჯზე.

აბსოლუტისტური სახელმწიფო, თავისი ინსტინქტური არსის მიუხედავად, გაცილებით უფრო დიდ პატივს სცემს საზოგადოებრივ აზრს, ვიდრე ჩვენი დემოკრატიული სახელმწიფო, რომელიც რაციონალურ პრინციპებზეა დაფუძნებული, მაგრამ გაცილებით უფრო ნაკლებად აქვს განვითარებული ისტორიული პასუხისმგებლობის გრძნობა. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში, საყოველთაოდ

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

გავრცელებული შეხედულება არ შეესაბამება საქმის ნამდვილ ვითარებას.
66 ↑ გაიხსენეთ სეპტიმიუს სევერუსის სიტყვები, რომლებითაც მან სიკვდილის წინ მიმართა თავის ვაჟებს: „ერთად იყავით, ჯამაგირი აძლიეთ ჯარისკაცებს, დანარჩენს მნიშვნელობა არა აქვს“.
67 ↑ სიტყვასიტყვით: „ჩქმეტა სიცილის გარეშე“ (ფრანგ.) გადატანით, - გრიმასა იმ ადამიანისა, სიცილის შეკავებას რომ ცდილობს.
68 ↑ იგულისხმება პირველი მსოფლიო ომი.
69 ↑ ერთი და იმავე ადგილის ტკეპნა (ფრანგ.).
70 ↑ იხ. ჩემი ესსე - „რომის იმპერიის დამხობა“, - „ელ ესპეკტადორ“, ტ. VI
71 ↑ სწორედ ასე მსჯელობენ ფიზიკოსები და „ნატურალისტის გონების“ მქონე ბიოლოგები, რითაც გვიმოწმებენ, რომ ეს გონება უფრო ზედაპირული ბუნებისაა, ვიდრე „ისტორიული გონება“, რომელიც, იმ შემთხვევაში, როცა ცდილობს ღრმად ჩასწვდეს (და არა ზერელედ, როგორც ამ შრომაში) მოვლენათა მიზეზებს, გადაჭრით უარყოფს იმას, რომ ამა თუ იმ მოვლენის აბსოლუტური ხასიათი აღიაროს. „ისტორიული გონება“ ცდილობს თვალი გაადევნოს ნებისმიერი მოვლენის განვითარებას და თვით მისი წარმომავლობის სათავეს მიაკვლიოს. იხ. ჩემი ესსე - „ისტორია როგორც სისტემა“.
72 ↑ სახლი (ლათ.).
73 ↑ თავისებური (ლათ.).
74 ↑ აქ: ქალაქსა და სოფელს შორის (ლათ.).
75 ↑ თანასახლობა, თანაცხოვრება (ძვ. ბერძნ.).
76 ↑ სახლი (ძვ. ბერძნ.).
77 ↑ ქალაქი, სახელმწიფო (ძვ. ბერძნ.).
78 ↑ საინტერესო იქნებოდა გაგვეანალიზებინა, რანაირად ხდებოდა კატალონიაში ორი ურთიერთსაპირისპირო ძალის განვითარება: ევროპული ნაციონალიზმისა და ბარსელონას ქალაქური პატრიოტიზმისა, სადაც ყოველთვის ძლიერი იყო ხმელთაშუა ზღვისპირეთის ძველ მკვიდრთა სულისკვეთება. ერთხელ უკვე გაგამახვილებინეთ ყურადღება იმ ფაქტზე, რომ სწორედ ლევანტელებს შემორჩათ ყველაზე მეტად homo antiquus-ის (ძველი ადამიანის, - ლათ.) სული, რომელიც ოდესღაც პირენეის ნახევარკუნძულზე მძლავრობდა.
79 ↑ ესპანურსა და, საერთოდ, ყველა რომანულ ენაში „სახელმწიფო“ (ესპ. პორტუგ. estado; ფრანგ. etat; იტალ. stato) წარმოსდგება ლათინური ზმნიდან stare, რაც „დგომას“ ნიშნავს, - მთარგმნელის შენიშ.
80 ↑ იურიდიულ ჰომოგენურობას აუცილებლად როდი მივყავართ ცენტრალიზმამდე.
81 ↑ ამ მოკლე მტკიცების უფრო საფუძვლიან დასაბუთებას, აგრეთვე უფრო ნათელ განსაზღვრას იმისა, თუ რას წარმოადგენს სინამდვილეში პოლიტიკა (მიუხედავად იმისა, „სუფთაა“ ის თუ „ბინძური“), მკითხველი იპოვის ჩემს შრომაში - „ადამიანი და ადამიანები“.

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

82 ↑ ქალაქის მთავარი, სახელმწიფოს მმართველი, ზომიერად გამრიგე (ლათ.).
83 ↑ ესპანურში და, საერთოდ, ინდოევროპულ ენებში მეტყველების ამ ნაწილთა (თანდებული, ზმნიზედა) ნაცვლად იგულისხმება „წინსართი“ (ლათ. praepositio). - მთარგმნელის შენიშ.
84 ↑ პირველი თანასწორთა შორის (ლათ.).
85 ↑ იხ. ავტორის შრომა „სახელმწიფოს სპორტული წარმოშობა“.
86 ↑ აქ: რაღაცის ზღვარი, რაღაცის საწყისი (ლათ).
87 ↑ აქ: რაღაცისაკენ მიმართება (ლათ.).
88 ↑ ქალაქი, ერთი ტომის ხალხი (ლათ.).
89 ↑ რომაელები ვერასოდეს ვერ ბედავდნენ ქალაქები ეწოდებინათ ბარბაროსთა დასახლებებისათვის, რაგინდ მჭიდროდაც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი განაშენიანებულნი. ისინი მათ sedes aratorum (მხვნელ-მთესველთა დასახლებები, - ლათ.) უწოდებდნენ, faute de mieux (უკეთესი სახელწოდების უქონლობის გამო, - ფრანგ.).
90 ↑ თვისტომნი (ლათ.).
91 ↑ ესპანელი (ლათ.).
92 ↑ უკანასკნელი არგუმენტი (ლათ.).
93 ↑ საყოველთაოდ ცნობილია, რომ ავგუსტუსის მიერ დაარსებული იმპერია ძირეულად უპირისპირდებოდა იმპერიის იმ ტიპს, რომლის შექმნასაც ავგუსტუსის მამობილი - კეისარი ესწრაფოდა. ავგუსტუსი პომპეუსივით, ესე იგი, კეისრის მტერივით იქცეოდა. დღესდღეობით ამ თემისადმი მიძღვნილი საუკეთესო შრომაა ედუარდ მაიერის წიგნი „კეისრის იმპერია და პომპეუსის პრინციპატუსი“, 1918.
94 ↑ არ შეიძლება ხელაღებით ვამტკიცოთ, რომ ყველა ესპანელი ესპანურად ლაპარაკობს, ყველა ინგლისელი - ინგლისურად, ხოლო ყველა გერმანელი - ზემო გერმანულ დიალექტზე, ვინაიდან ეს ასე არ არის.
95 ↑ რა თქმა უნდა, ჩვენ სათვალავში არ ვაგდებთ იმნაირ გამონაკლისებს, როგორიცაა koinon ან lingua franca, რომლებიც ნაციონალურ ენებად კი არ გვევლინებიან, არამედ იქნენ გამოგონილნი საერთაშორისო ურთიერთობისათვის.
96 ↑ ის ფაქტი, რომ იმპერიის ყველა მცხოვრებს შეიძლებოდა რომის მოქალაქეობა მინიჭებოდა, თითქოს ჩვენი მოსაზრების საპირისპიროდ მეტყველებს, მაგრამ, სინამდვილეში, ის მხოლოდ ადასტურებს ჩვენს აზრს. უცხოელებისათვის რომის მოქალაქეობის მინიჭების შემთხვევები მით უფრო ხშირი ხდებოდა, რაც უფრო მეტად ეცემოდა რომის პოლიტიკური სტატუსის პრესტიჟი. ბოლოს და ბოლოს, რომის მოქალაქეობა, თანდათანობითი გადაგვარების გზით, „რომაული სიმართლის“ კიდევ ერთ თავად და, ასე განსაჯეთ, ერთგვარ ბეგარადაც კი იქცა, რაც ძალაუნებურად უნდა ეხადა სახელმწიფო სამსახურში გამწესებულ კაცს.
97 ↑ ამნაირი ცივილიზაციისგან, რომელსაც მონობა არსებობის პრინციპად მიაჩნდა, სხვა რამე არც იყო მოსალოდნელი, მაშინ როდესაც თანამედროვე „ერებისათვის“ მონობა მხოლოდ წარსულის გადმონაშთია.

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

შეძენილია ელ. წიგნების ონლაინ მაღაზიაში iBooks.ge

98 ↑ პომერიუმ: თავისუფალი სივრცე ქალაქის გალავნის ორივე მხარეს, რომელიც წმინდად იყო მიჩნეული.
99 ↑ ანტიკური ეპოქის ადამიანი (ლათ.).
100 ↑ ყოველივე ზემოთქმული თვალნათლივ გვიდასტურებს იმ მოსაზრებას, რომ ადამიანის არსებობას უცილობლად ფუტუროლოგიური მიმართულება აქვს: ადამიანი მომავლითა და მომავალში ცოცხლობს. და მაინც, მე ანტიკური ეპოქის ადამიანი ჩვენს თანამედროვეს დავუპირისპირე და აღვნიშნე, რომ დღევანდელი ადამიანის სული გაცილებით უფრო გახსნილია მომავლისათვის, ვიდრე ძველი ადამიანის სული, ადამიანისა, რომელიც, გარკვეული თვალსაზრისით, ბრმაა მომავლის მიმართ. ერთგვარი შინაგანი წინააღმდეგობა ამ ორ თეზისს შორის შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს. ეს მოჩვენებითი წინააღმდეგობა განსაკუთრებით ნათლად ვლინდება მაშინ, როცა ვივიწყებთ, რომ ადამიანის არსებობა ორ სიბრტყეში მიმდინარეობს. ერთის მხრივ, ესაა არსება, სწორედ ისეთი, როგორიცაა სინამდვილეში, მეორეს მხრივ კი, მას გარკვეული წარმოდგენა აქვს თავის თავზე, წარმოდგენა, რომელიც მეტ-ნაკლებად თანხვდება იმას, რადაც ის გვევლინება სინამდვილეში. რა თქმა უნდა, ჩვენი წარმოდგენები, სიმპათიები თუ სურვილები ვერ შეცვლიან ჩვენი „მე“-ს ჭეშმარიტ არსს, მაგრამ მათ შეუძლიათ უფრო გაართულონ და კიდევაც შეცვალონ იგი. ძველ ადამიანსაც და თანამედროვე ევროპელსაც თანაბრად აღშფოთებს მომავალი; მაგრამ ანტიკური ეპოქის ადამიანი წარსულის პოზიციიდან განიხილავს მომავალს, მყოფადს, ახალს. ეს ანტაგონიზმი, რომელიც არსებობის კი არა, რაღაცის მჯობინების, რაღაცისათვის უპირატესობის მინიჭების სფეროში ვლინდება, უთუოდ ამართლებს ჩვენს დეფინიციას, რომლის თანახმადაც, თანამედროვე ევროპული ყოფა განისაზღვრება როგორც ფუტურისტული, ანტიკური ყოფა კი - როგორც არქაისტული. ნიშანდობლივია შემდეგი ფაქტი: როგორც კი ევროპელი იღვიძებს და ევროპელად აღიქვამს თავს, ის თავის ისტორიას „თანამედროვეობის“ სახელით ნათლავს. როგორც მოგეხსენებათ, „თანამედროვე“ თუ „თანადროული“ „ახალს, ძველი ჩვეულებების უარმყოფელს“ ნიშნავს. XIV საუკუნის დამლევიდანვე ევროპელები ხაზგასმით აღნიშნავენ იმ მოვლენების თანადროულსა და ახალ ბუნებას, რომლებსაც იმხანად საგანგებო მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ასე მაგალითად, „თეოლოგიური მისტიციზმის“ ერთ-ერთ ავანგარდულ მიმდინარეობას ისინი devotio moderna-ს (ახალ ღვთისმოსაობას, - ლათ.) უწოდებდნენ.
101 ↑ ერების ქრონოლოგიური პრინციპი რომანტიზმის ერთ-ერთ უპირველეს ნიშნად გვევლინება (XVIII საუკუნის დასასრული).
102 ↑ დღეს ჩვენ გრანდიოზული პოლიტიკური ექსპერიმენტის მოწმენი ვართ, რომლის შედეგები თვალნათლივ გვიჩვენებენ, შესძლებს თუ არა ინგლისი შეინარჩუნოს მთელს მსოფლიოში მიმოფანტულ კოლონიათა თანაარსებობის სუვერენული

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks

ერთობა, შესძლებს თუ არა ერთობლივი მოქმედების პროგრამის განსახორციელებლად დარაზმოს ისინი.
103 ↑ ფორმირების პროცესში (ლათ.).
104 ↑ მესამე მოცემული არ არის (ლათ.).
105 ↑ იმ პირობით, რომ ეს ერთგვაროვნება არსებობის პირობათა დასაბამიერი მრავალფეროვნების მოსპობას კი არ უწყობს ხელს, არამედ მათ შენარჩუნებას.
106 ↑ „ევროპა“ ძველი ბერძნული კომპოზიტია: „ევრის“ (ფართო), „ოპსის“ ბედი, ხედვა, თვალი). - მთარგმნელის შენიშ.
107 ↑ საკმარისია ერთხელ მაინც მიაქციოთ ყურადღება ამ ფაქტს, რათა სამუდამოდ დარწმუნდეთ, რომ ისტორიული თვალსაზრისით მარქსის სოციალიზმს საერთო არა აქვს რა ბოლშევიზმთან.
108 ↑ მორალი (ძვ. ბერძნ.).
109 ↑ გინდა თუ არა; ძალაუნებურად (ლათ.).

მსგავსი წიგნები:

მ. შტირნერი

მ. შტირნერი

მ. შტირნერი

კ. ლევი-სტროსი

საავტორო უფლება ამ წიგნზე ეკუთვნის გამომცემლობას iBooks